

3. პეპიდები

აღმოსავლეთი

ქოქეზი

თარგმანი მდინა მარათამცილიძე

შთუღმა ხალხმა რამ ერთად ამოიხვეწეს,—
ქარი იქნება,
შიშას რამ თუნი ღაატყყას,—
მიწისძვრა იქნება.
ჩინური ანდაზა

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

(1 9 3 2)

მ ა ი ს ი

თვითმფრინავი მოსკოვიდან
 აღმოსავლეთისაკენ მიჰქრისდა.

1

1932 წლის მაისის დილას მანჯურის საზღვარზე, ხანკის ტბის სამხრეთით, ამ ადგილებისათვის სრულიად ჩვეულებრივი ამბავი მოხდა. საბჭოთა სანაპირო პატრულს მდინარე სანჩაგოუზე შემოესმა ყვირილი მანჯურის ნაპირიდან. გაზაფხულის წვიმებისაგან ოდნავ აქაფებული პატარა, ვიწრო მდინარის იქით გამოჩნდა იაპონელთა სადარაჯო-რაზმი.

რაზმის წინ სიმღერის ყრუ ამოკვნესით შიდიოდა ჩამოფლეთილი და უკან ხელებგაკრული ხუთი ჩინელი. იაპონელმა უნტერ-ოფიცერმა ზურგით მდინარისაკენ ჩაამწყრივა ისინი ხის პატარა ნავთმისადგომზე, ხელში მაუზერი შეათამაშა, ზედიზედ ოთხი ტყვია გაისროლა და ოთხ ჩინელს რიგრიგობით თვალი გაუპო. როდესაც ხელი მეხუთე ჩინელისაკენ წაიღო, ეს უკანასკნელი—ყველაზე ტანმორჩილი ჩინელებს შორის—ჩაცუცქდა და წყალში გადაეშვა.

იაპონელები შემფოთდნენ, ერთმანეთს რალაც გადასძახეს და დიდხანს ისროდნენ მდინარეში, თან წყალში მოკურავე ხერგებსა და ნავაგზე უთითებდნენ. შემდეგ გაიცინეს, მათმა უნტერმა საბჭოთა ნაპირს გადახედა, რალაც წამოიყვირა და თან მდინარესა და მაუზერზე ანიშნა,—და განშორდნენ ნაპირს.

უსურის ნადრევი გაზაფხულის ხანგრძლივი განთიადი იღვა, თეთრი ღამის მსგავსი, დაბლა მოკურავე და შუქმილეული მზით ოდნავ შეფერადებული. დღის სურათი მოხაზული იყო, მაგრამ ჯერ საღებავები აკლდა. ისინი აუჩქარებლად, თანდათან ასხივოსნებდნენ მინდორ-ველის, გორაკებისა და ცის კონტურებს.

მდინარის გასწვრივ სამი საბჭოთა მესაზღვრე მიდიოდა. მიდიოდნენ ისე, რომ დროს ვერ ამჩნევდნენ. დიდ საგუბართან მივიდნენ და წამოწვნენ. დილა დიდი ხანია გადასულიყო. ლურჯ, მტრედისფერ და მწვანე მინდორ-ველზე ბრწყინავდნენ ზღვისფერ-გადაკრული ლურჯი და ცისფერი მთები და მინდვრის ყვავილებით შემკული, ოცნების მსგავსი, თავისებურად შეფერადებული თეთრი და ვარდისფერ-წითელი, ვარდისფერ-რისებური და ვარდისფერ-შავი პატარა მწყობრი გორაკები.

წვიმების დრო ახლოვდებოდა და ჰაერი—ნაშუადღევის შემდეგ—უფრო მძიმდებოდა, ნესტიანდებოდა, ბალახის მძაფრ სურნელებას გამოჰყოფდა. შარშანდელი ბუდეების ირგვლივ ფრინველები ფუსფუსებდნენ. სადღაც მახლობლად, ჰორიზონტს იქით, წვიმა იტკორებოდა. ამ წვიმას უკვე მოაქანებდა მდინარე მალღობებიდან და ირგვლივ წყლით ავსებდა ნარვალებს, რუებსა და პაწაწა ორმოებს. მიწა მდინარესთან თითქოს დაჩვრეტილი იყო, ბალახებში ციმციმებდნენ ახალი გუბეები. მდინარის ნაპირზე წყლით გულმოჯერებულ ბუჩქნარს ძირს დაეშვა ქანცმილეული ტოტები. მდინარეში იფხვნებოდა წვიმით გაყენითლი დამბალი ნაპირი.

ველური იყო საზღვრის სიწყნარე. არც ერთი ხმა არ არღვევდა მის მყუდროებას.

მესაზღვრეები ბილიკს მიჰყვებოდნენ ხშირ ბუჩქნარში. მეორე, უცხო ნაპირიდან, მათ თვალყურს ადევნებდა თავდიდა ჩინელი ბიჭი: შემდეგ ისინი ბორცვს უკან წამოწვნენ.

— ალბათ, ჩვენამდეც მალე მოაღწევენ,—სთქვა ტარასუკმა, მზვერავეთა უფროსმა,—შემოდგომისთვის უნდა მოველოდეთ.

მესაზღვრეებთან მივიდა ლუზა, ძველი პარტიზანი და მონადირე საზღვრის მახლობლად მდებარე პატარა კოლმეურნეობიდან.

— დაინახე რა მოხდა?—შეეკითხა ტარასუკი.

— დავინახე,—მიუგო ლუზამ.

— შემოდგომისთვის უნდა მოველოდეთ...

— თუ მანამდე არა. გუშინ გეორგიევკიდან საზღვარს კულაკები გადავიდნენ: კოზულია მთელი ოჯახით და ვორონკოვი სამი სიძით და ძმით. ჩემთან შემოიარეს, გამომეთხოვნენ. დიდხანს ნურც შენ დააყოვნებო, —მითხრეს,—წადი, საითაც მოასწრებ, სულ ერთია;

არ მოგასვენებთ, როგორც შენ არ გვასვენებდიო. შენს კოლმეურნეობებს მალე ქარს გავატანთო.

— აი კიდევ ახალი საქმე, — ამოიხვნეშა ტარასუკმა. — მერე, წავიდნენ?

— ახლა ბევრი ხალხი დაიძრება, რადგან შეშინებულნი არიან. იაპონელი დგას და ხელს იქნევს.

ტარასუკმა თავი მოიუხანა და თავის მესაზღვრეებს გადახედა. ორი დღის შემდეგ, ღამით, ძალი ბანჯაი თათებით შეებო დასაზვერად გასულ, მიწაზე გაწოლილ ტარასუკის მხარს და ფრთხილად წაიყვანა იგი მდინარისაკენ... ნაპირზე თავდაყირა მოცოცავდა პირველი გვამი და თან მოჰქონდა ერთად არეული დამპალი სველი ბალახი, ქაფი და ნაგავი. მას ქანაობით უკან მოსდევდა სამი გვამი ერთად. გვამები ერთმანეთს ეკვროდნენ და ტალღასთან ერთად, რომელიც ქვიშას ლოკავდა, დაბალ ნაპირზე მიცოცავდნენ. სველი ბალახით დაფარული მათი სახეები წყალშიაც ისევე დაკოჭრებული, დასვრილი და დასივებული სჩანდნენ, როგორც სიცოცხლეში იყვნენ.

მესაზღვრეთა სადარაჯოს გვერდით მდებარე ბორცვზე, მწოლარე ვეფხვს რომ ჰგავდა, იმავე დღეს ამოთხარეს საფლავი და ობელისკად ამართეს მუხის გათლილი მორი. საღამოთი მახლობელ კოლმეურნეობებიდან მოვიდნენ ჩინელები და ზეიმით დაასაფლავეს ოთხი გალურჯებული, დასივებული გვამი დასახიჩრებული და ჩაშავებული სახეებით.

სადარაჯოდან და ნაპირიდან უჩინარი ორკესტრი სამგლოვიარო მარშს აკენესებდა.

გალმა ნაპირიდან იაპონელები იცქირებოდნენ.

ქვის კვარცხლბეკზე ამართული ობელისკი დიად სანახაობას წარმოადგენდა. მანჯურიისაკენ მიმართულ მის წინაპირზე გახურებული ლურსმით ამოსწვეს:

საფლავი თავისუფალი ჩინეთისათვის
მეზობელი ხათი ჩინელია. რომლებს
იაპონელებმა დახრიეს 1932 წლის
5 მაისს. სახელაბი უსწოპია.

ორმა დღემ გაიარა და „25 ოქტომბრის“ კოლმეურნეობის საველე კარავში ტანისამოს-დასისხლიანებული პატარა მკვირცხლი ჩინელიც გამოცხადდა. კოლმეურნეობიდან სადგურისაკენ მიმავალი ვასილ პიმენოვიჩ ლუზა შემთხვევით წააწყდა მის პატარა, ქუჭკუიან ტანს და ღამე მასთან გაათია.

მაისის ღამეები შორეულ აღმოსავლეთში წვიმიანი იცის. ეს ღამეები შემოდგომასავით ბნელია, ცაც შემოდგომასავით მძიმე და ჩამოწოლილია. წვიმას დასასრული არ უჩანს.

კარავში სიბნელისაგან სივიწროვე იყო. სიბნელე და სიჩუმე გვერდი-გვერდს იდგნენ და რალაც ერთის შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ. ჩინელის ტანი ამ ბნელ სიჩუმეში ინთქებოდა, და ლუზა ხშირად ეხებოდა ხელით ჩინელის თავს, ამოწმებდა, აქ არის თუ არაო.

წვიმიანი ღამის წყვდიადში ძლივს გამოჩნდა ჩინელის უფერული პირისახე მკვეთრად წინწამოწეული ყვრიმალის ძელით და დიდი ჩამომქეპნარი პირით. იგი ბუნდოვანად გამოკრთოდა სიბნელიდან, როგორც ნიჟარა ღრმა წყლიდან.

მაგრამ ღიძხანს იმალებოდნენ მისი თვალები, და ლუზამ ჩინელის თვალები მხოლოდ მაშინ დაინახა, როცა სავსებით გათენდა. წვიმას ამოვესო თვალის ბუდეები და ყოველი ახალი წვეთი მაგრა ეცემოდა ზედ. მაგრამ ადამიანს ეძინა. მისი ძილი სიკვდილს ჰგავდა, თითქმის სუნთქვაც გაჰკრობოდა.

ჩინელმა შუადლისას გაიღვიძა. ლუზამ წინ დაუდო საკმელი: შავი პურის ნატეხი და ერთი ქილა კონსერვი, მაგრამ ჩინელს კვლავ ჩაეძინა. ეძინა მთელი დღე, მთელი საღამო, მთელი ღამე გათენებამდე. ლუზა თავისი ორლულიანი თოფით ფერხთ ეჯდა და სიმღერას ღულუნებდა.

ლუზა ფიქრობდა, რომ საჭირო არ იყო ამ დაცხრილულ ცივ ქოხში ღამის გასათევად დარჩენა. კოლმეურნეობიდან რომ პირდაპირ რაიონულ ცენტრში წასულიყო, არაფერიც არ შეემთხვევოდა: არც დადნებოდა, არც ავად განდებოდა და არც გზა დაებნეოდა წვიმაში. მაგრამ გაზაფხული იდგა, ზღვასავით უდაბური და ზღვა-სავით ველური, — და ლუზაც გაზაფხულს დაემორჩილა.

ყველაფერი ახმაურდა ბუნებაში, ყველაფერი აცახცახდა — წვიმა, წვიმაო. ლუზამაც მთელ ბუნებასთან ერთად მოინდომა წვიმა, მარტოობა.

ფუტკართან ერთად მქროლავი ადგილობრივი ოდნავი ქარი ბალახს აბიზინებდა და სოროებში მიძვრებოდა, ყრიაშული ასტეხეს ფრინველებმა, ბალახმა ღეროები ამოჰყარა და ხმელ, ჯერ კიდევ ცივ ფესვებს დაეყრდნო.

ასხი, წვიმავ, ასხი!

წვიმაც აშხაპუნებდა, ჯერ ნელა, ირიბად, თითქოს სინჯავსო, შემდეგ კი ერთბაშად დაუშვა. გარეთ გამოსვლა უკვე შეუძლებელი იყო, წვიმა ჩამოეთარა მანძილს, მიწა მოლიპული გახდა. და მაშინ ლუზა კარავში დარჩა, შარშანდელი ფიჩხით ცეცხლი გააჩალა, ყალიონი გააბოლა და მარტოობაში თავი ბედნიერად იგრძნო, რაც ხშირად ემართება ადამიანს და რასაც ვერასოდეს შესაფერისად ვერ ახსნი.

წვიმის ხმაურში იგი სიამოვნებით მიეცა მოგონებებს, ალადგინა მესხიერებაში ჩარჩენილი ცხოვრების უფრო საამური სურათები: გაიხსენა რომელიღაც ბაზრობა უკრაინაში, ბავშობის დროინდელი, შემდეგ შეხვედრა ერთ პარტიზან ქალთან და მასთან საუბარი. ეს საუბარი მუდამ გულს უტოკებდა, თუმცა არ ახსოვდა, რაზე იყო ლაპარაკი.

მაგრამ ჩინელი არღვევდა მარტოობას. მასთან არაფერი არ ხერხდებოდა, აზრი წამდაუწყუმ სხვა საქმეებზე გადადიოდა.

პატარა, გასისხლიანებულმა კაცმა კი მთელი ღამე ძილში გაატარა და კიდევ შუადღემდე იძინა. შუადღისას თვალები გაახილა.

— ჩეკაში უნდა წავიდე, — საკმაოდ შეგნებულად სთქვა მან. ლუზა გაკვირვებული ფიქრობდა, ვინ უნდა ყოფილყო ეს კაცი.

ჩინელი კოჭლობდა, ფერდებს ისინჯავდა და ყოველი ასი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ისვენებდა. სადარაჯოზე იგი მაშინვე იცნეს — ეს მეხუთე ჩინელი იყო. ტკივილისაგან სახე ემანქებოდა, ყველას წინაშე ტანთ გაიხადა და ყველას, როგორც ძველ ნაცნობებს, ხელის ჩამორთმევით მიესალმა.

— აქ ერთი თუ სამი ნეკნი მაკლია, — სთქვა მან და ფერდებს დაუწყო სინჯვა. — კიდევ ცოტა და დავილუპებოდი.

თავი უარესად ჰქონდა. მარცხენა წარბიდან კეფამდე კანი ტყვიას გაეფატრა და იგი თეთრკიდეებიანი განიერი ლარივით გადახსნილიყო.

შეატყო თუ არა ლუზამ, რომ ეს კაცი მახლობელია, პარტიზანული, მაშინვე გამოელაპარაკა. მან ჩინური იცოდა, მაგრამ იშვიათად ლაპარაკობდა.

— ჩვენ ეგ წითელ დაფაზედაც კი აღვნიშნეთ,—დინჯად წარმოსთქვა ტარასუკმა.—უკანასკნელი პატივი ვეცით.

ჩინელმა მდინარეს გადახედა, ობელისკთან მივიდა, მოწონების ნიშნად ენა ააწკლატუნა და მეტად თავაზიანად, მაგრამ გადაქრით წარმოსთქვა:

— მე უნდა ამომშალოთ. ეხლავე უნდა ამომშალოთ.

მეტად კმაყოფილი დარჩა, როცა ლურსმანი გაახურეს და დიდის ვაი-ვაგლახით ხუთი ოთხად გადააკეთეს.

— ნუ აჩქარდებით,—დინჯად წარმოსთქვა მან, თან თავს უკრავდა და ხელს ართმევდა ყველას.

გალმა ნაპირიდან იაპონელები იცქირებოდნენ.

2

ლუზა პარტიზანთა საქმეების გამო ქალაქში მიდიოდა. კოლმეურნეობიდან რაიონულ ცენტრამდე, ბილიკით გორაკებს შორის, ორი საათის სავალი გზა იყო.

გზაზე მომქანცველი სიჩუმე იდგა, უზომოდ მოსაწყენი სიჩუმე. მიდიხარ და გგონია, ქვეყნად ჯერ ძეხორციელი არ შობილაო. ეს სიჩუმე თავის ტკივილს იწვევდა.

იქ, სადაც ამჟამად რაიონული ცენტრი იმყოფება, ღდესლაც დიდი სოფელი იყო. ახლა იგი გაპარტახებულ ან ჯერ დაუსახლებელ ადგილსა ჰგავს. აქა-იქ შამბნარით დაფარულ ველზე, ერთი მეორისაგან მოშორებით, დგანან უკრაინული თეთრი ქოხები. ეზოებს არავითარი ნიშანი არა აქვთ და ერთმანეთზე არიან გადაბმული. ქუჩა ველურ მუხებს გადაუღობავთ, ხშირი შამბნარი ქოხების სახურავებამდე აწვდილა. ამ შამბნარში ბუდობენ გარეული კატები და თავიანთ უკანასკნელ ღლეებს ატარებენ ძველი ნაცადი ხოხბები, რომელთათვისაც არა ერთხელ უსროლიათ კაზაკთა შეზარხოშებულ ესაულებს. სოფლის მოთუთიებულ სახურავები ქირხლით დაფარული გეჩვენებათ, მათი ტალღისებური შუქი ჩრდილავს მზეს, მათგან მაცდური ნისლი და სიგრილე გამოკრთის.

გეორგიევკა ოდესლაც მხიარული სტანიცა იყო. განთქმული იყვნენ მისი კაზაკები. იქ ყველანი ხანგრძლივად, მოდუნებულად ცხოვრობდნენ, სვამდნენ მხოლოდ მაღალი ხარისხის სამკურნალო ამერიკულ კონიაკს, ტანისამოსს ყიდულობდნენ ხარბინში, სურსათ-სანოვაგე შემოჰქონდათ ოკეანეს იქიდან, ფიქრები იყო ფართო და დუნე, ტაიგა კი ტაიგად რჩებოდა. არც მიწა აწუხებდათ. მას იჯარით აძლევდნენ მდიდარ ჩინელებს საშესამედოდ, ხოლო ჩინელები თავის მხრივ სამეექსედოდ, სამეთორმეტოდ იძლეოდნენ, და ეშმაკმა უწყის, რამდენი ხალხი ფუსფუსებდა ამ მიწის გარშემო მიუხედავად ამისა, იგი თითქოს ყველას ჰყოფნიდა.

გეორგიევკის ნაშთებზე დიდხანს ქეიფობდა, სტენკა რაზინივით, ცნობილი ხუცესი ინოკენტი, რომელმაც სამი ომი გადაიტანა და შვიდი ეკლესიის ქონება შესანსლა. ქეიფით გაცოფებულმა ხუცესმა გადასწყვიტა განდგომოდა რუსეთს: გაშალა საეკლესიო ბაირალები, ჩაიცვა, რაც კი მთელი საეკლესიო სამოსელი გააჩნდა, და თორმეტიოდე გამოყეყეჩებულ დედაბერთან ერთად ჩინეთს წავიდა. დიდხანს არ უშვებდნენ მას ხატებისა და ბაირალების საზეიმო მსვლელობით განაწყენებული ჩინელები: დიდხანს ევედრებოდა მათ ხუცესი ინოკენტი, ბოლოს ყველაფერს მიაფურთხა, გაიძრო საეკლესიო სამოსელი, დაკეცა ბაირალები, კიპამდე აიკაპიწა ანაფორა და უბრალო მომაკვდავი დედაბერივით ფეხით გავიდა მდინარეს.

ერთი წლის შემდეგ იქ ერთი ცნობილი კაზაკიც კი აღარ დარჩენილა. ზოგი ჩინეთში გადავიდა, ზოგი ხანგრძლივი დროით შრომის ბანაკში დამკვიდრდა, ზოგმა კი ტაიგას შეაფარა თავი და ხელი მიჰყო ნადირობასა და მეთევზეობას. სოფელს შამბნარი, ღუმფარა, ღრუმილაკი მოედო და მთლიანად წაშალა ბალ-ბოსტნეულის კვალი. ახლა დგანან ქოხები და ირგვლივ იცქირებიან, არ იციან, სად იწყება და სად თავდება გეორგიევკა. მხოლოდ გარეული კატები კნავიან ლამლამობით და ქოხებიდან იწვევენ შიმშილით გაძვალტყავებულ უულვაშო შინაურ კატებს.

ასეთივე მდგომარეობაა ოლგინსკში, ტატიანოვკაში და ხუტორებზე.

„ასეთ მიწას ვერავინ ვერ გაართმევს თავს,—ფიქრობდა ლუზა,—ან კი ვილა დარჩა? მხოლოდ ჩვენ, მხოლოდ პარტიზანები, და ჩვენც ცოტანი ვართ“.

იმავე დღეს, საღამოთი, ლუზა მატარებელში შეხვდა თავის ძველ, პარტიზანობის დროინდელ ამხანაგს—ჩეკისტ შლეგელს. იგი ბრუნდებოდა ქვემო ამურის ტაიგიდან, სადაც ის-ის იყო საძირკველი ჩაუყარეს ქალაქს. ლუზამ არაფერი არ იცოდა ქალაქის საძირკველის ჩაყრის შესახებ. იგი პირქუშად უსტვენდა თავისი ნაღვლიანი ფიქრების ყაიდაზე.

— იყუდით შორეული აღმოსავლეთი და აღარ არის შორეული აღმოსავლეთი,—ეუბნებოდა იგი შლეგელს.—ხალხი სხვადასხვა მხარეს გადაისროლეს. ზარეკვი, პარტიზანთა არმიის ყოფილი სარდალი, ახლა ტაიგას ჩეხავს, იანკოვი კოოპერაციაში შეჩხირეს, სამნეო ნაწილის გამგედ, გავრილა ეფიმოვიჩი იანკოვი კი გაბედული მეომარი იყო, თავზებელალებული კაცი, თუმცა ხანში შესული... ამასწინათ ჩემთან ინჟინერი მოვიდა. ჰაერი უნდა დავეტოთო, — მეუბნება. კი, მაგრამ როგორ? — ვეკითხები. იგი, ჩვეულებრივად, მიედევ-მოედვა და წავიდა. წინა ხაზზე კი დიდი უთავბოლოება.

შემდეგ ლუზამ უამბო შლეგელს ჩინელების დახვრეტის ისტორია და აუწერა შუბლგახეთქილი მეხუთე ჩინელი.

შლეგელი გულდასმით უსმენდა და ეკითხებოდა. მეხუთე ჩინელი მშვიდად იწვა საოლქო საავადმყოფოში. შლეგელს ის-ის იყო ენახა იგი, მაგრამ ლუზას არ გაუმხილა.

თვითონ შლეგელი მეტად დანაღვლიანებული იყო, თითქოს ავადმყოფობის მოახლოებას გრძნობსო.

ლუზა კი სულ წუწუნებდა, სულ ჩიოდა. შლეგელმა ველარ მოითმინა.

— გეყოფა წუწუნი, — უთხრა მან. — თვითონ შენ უნდა დაგადოს კაცმა გახურებულ ღველფზე შიშველი ტერფით... მყუდროებააო, გავერანებულიაო, გაძახი. თვითონ კი მხარეს არ იცნობ. დიახ, დიახ! წადი, მოიარე მხარე, ნახე, რას ვაკეთებთ, რა ჩავიფიქრეთ, ნახე, საით მივქროლავთ.

და ორივენი დაჩუმიდნენ. ლუზა ფიქრობდა პატარა ჩინელზე და პარტიზანებზე, შლეგელი კი იმ კაცზე, რომელიც აი უკვე მეშვიდედ გადმოვიდა დაუსჯელად საზღვარზე და რომელსაც ხან შაბანოვს ეძახიან, ხან მატვეი მატვეიჩს, ხან კიდევ ზურუსიმას. ეს კაცი ახლა ჩვენს მიწა-წყალზე იყო და მანჯურიაში დაბრუნებას აპირებდა.

შლეგელი ლუზასკენ გადიხარა და უთხრა:

— თუ გული გეწვის, მოდი ჩემთან, საქმეს გაგიჩენ. შენ მყუდროებამ გაგიწყალა გული, ნამდვილად კი არავითარი მყუდროება არ არის. ავადა ხარ. სულელივით აცეცებ თქალებს, მყუდროებააო. სად არის მყუდროება? ამ მყუდროებაში...

მან ველარ შეიკავა თავი და უამბო ლუზას მურუსიმას თუ მატევი მატევიჩის ამბავი.

— ჩემის აზრით, ის სწორედ შენს კოლმეურნეობაზე გავლით გადმოდის ჩვენთან, სადღაც შენი ადგილებიდან ახერხებს შემოპარვას.

— თუ ჩემი მხრიდან გადმოდის, მაშინ უკანასკნელად გადმოსულა, — მტკიცედ წარმოსთქვა ლუზამ. შლეგელმა კი, გვერდზე გაიხედა და ღვარძლიანად ამოიხენწა.

მან ის-ის იყო სამი ათასი კილომეტრი გაიარა თვითმფრინავით, ორი დღე-ღამე მონადირეთა ქობში ეგდო და ახლა უხერხული, ხალხით გაჰყვდილი მატარებლით ბრუნდებოდა შინ.

მას ქანცავდა და აბრაზებდა მძინარე ხალხი. მეზობლების ხვრინვა ძილს ჰგვრიდა — თვლემას იწყებდა და თან ცხვირით ხრუტუნებდა. მაგრამ მჯდომარეს ძილი არ უწყვარდა, წამოწოლა კი არ-სად არ შეიძლებოდა, და როცა იგრძნო, რომ დასვენებას ვერ მოახერხებდა, შეუდგა ჯაშუშობასთან დაკავშირებული ერთი მეტად ბუნდოვანი, დახლართული საქმის გარჩევას.

საქმე სამეურნეო დარგს შეეხებოდა. ერთის შეხედვით იგი მატევი და ნათელი იყო: მესამე თვეა ზარეცკისთან, მშენებლობაზე, გეგმები იფუშება. ზარეცკი ცნობილი კაცი იყო, ძველი პარტიკომუნის პარტიზანი, მაგრამ გონებაშეზღუდული და ყოყორა მუშაკი. ყველა თავის უწესრიგობას ცენტრს აბრალებდა, და ზოგ რამეში მართალიც იყო. ზარეცკის ქედმაღლობა ძალიან ართულებდა საქმეს. ძალიან! მშენებლობის გარღვევებში იყო რალაც ისეთი, რასაც ვერავითარი ფორმალური გამართლება ვერა ჰფენდა შუქს. შლეგელმა თავლები დახუჭა და გონებაში შეუდგა მშენებლობის რევიზიას, მისი მუშაკების დაკითხვას. ძილი თანდათან ქრებოდა, გონება ნათელი ხდებოდა, და მან მშვიდად, ოღნავ ირონიულად გაიღიმა.

შლეგელისათვის რომ შეგეხედათ, ვერ შეამჩნევდით, რომ ამ ადამიანს ორი თუ სამი ღამე არ უძინია და, ალბათ, არც ხვალ

დაიძინებს, რომ მას მუდამ შეუძლია ოცდაოთხ საათში თერამეტი, ოცი საათი ფეხზლად იყოს და „ფორმა არ დაკარგოს“.

შლეგელი ძველი ჩეკისტი იყო — უყვარდა, როდესაც კარგად გამოიყურებოდა. მისი თხელი ახოვანი ტანი ბავშვის ტანს მოგაგონებდათ. ოცდათორმეტი წლის შემდეგ საქმიან კაცს ტანი უმძიმდება, მაგრამ შლეგელს ქალიშვილივით წვრილი წელი აქვს. ფეხები მთელ ტანთან შედარებით, გამხდარი აქვს, წვრილიც კი, მაგრამ კოხტა. ფეხებს მოხერხებულად იყენებს. სამაგიეროდ ხელები ძარღვიანი, მშვიდი და მძლავრი აქვს. სუფთად და მოხდენილად აცვია, ოდნავ კეკლუცადაც, თითქოს სააღლუმოდ მომზადებულაო. მისთვის რომ შეგეხებადათ, იფიქრებდით, შეებულებაში მიდისო.

მატარებელი ზანტად მიიზღაზნებოდა. ცარიელ სადგურებზე მატარებლები დიდხანს ჩერდებოდნენ. მათ რიგრიგობით უშვებდნენ. ხანგრძლივი მგზავრობით გაოგნებული მგზავრები ქმრად სთავაზობდნენ თავიანთ თავს მარტოდ მიმავალ ქალებს. ზოგი განუწყვეტლივ ლაყობდა პოლიტიკაზე, მოახლოვებულ ომზე, იმაზე, რომ ევროპაშილოვმა ბრძანა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიკვან შორეულ ალმოსაველეთი.

ვაგონებსა და სადგურებში ქარხნებზე მსჯელობდნენ თვალის ჩაკვრით და ენის წკლატუნით.

დასაელვითიდან მიმავალი მუშები პირობითს ენაზე ლაპარაკობდნენ, — „რიდერი“, „სეირსტროი“, „სტალგრესი“, „სელმაშსტროი“, „ჩელიაბი“, „მაგნიტკა“, „ხა-ტე-ზე“, „უკლინკერო ცემენტი“, „ბერეზნიკი“, „ოტკაზჩიკები“, „ფუნქციონალი“, „სოციალკა“.

მთვრალი მონადირე კომუნების ამბავს უსმენდა და მხიარულად გაჰყვიროდა სივრცეში:

— ფული ერთად, ბედნიერება კი ცალ-ცალკე! შენ სინილისი გაჰყავი, შეიდ მანეთსა და ექვს შაურს კი არ გაგიყოფ, — და მხრებზე ხელს უთათუნებდა მის პირდაპირ კუთხეში ჩუმად მიკრუნჩხულ ნაზ ქალიშვილს. — ხომ მართალს ვამბობ? თქვენ გათხოვილი ხართ?

— არა, გათხოვილი არა ვარ. ხელს ნუ მახლებთ, — სთხოვდა ქალიშვილი, მაგრამ მონადირე მხიარულად და უტიფრად უთათუნებდა ხელს.

— მთელი ციმბირი გამოგივლია და ჯერაც არ გათხოვილ-
ხარ, — ჰკვირობდა იგი. — მომეცი ხელი! გითხოვ სრული გარანტიით.
მომეცი ხელი! მომებლაუქე!

შლეგელმა თავისი ადგილი ქალიშვილს დაუთმო.

— მოსკოვიდან ხართ? ფრთხილად ჰკითხა მან და აათვა-
ლიერ-ჩაათვალიერა მისი სახე. ეს სახე უცნაურად იზიდავდა მას.

შლეგელმა ერთბაშად შენიშნა, რომ სახე ქალიშვილს მოდილო
აქვს და არ შეეფერება მის ფიგურას, იგი უფრო შეესაბამება შავ-
გრემან კანსა და ტანადობას და არა ჩრდილოელი ქალის ცისფერ
პატარა თვალებსა და ფერმკრთალობას. კაცს ეგონებოდა, რომ
ქალიშვილი აეადაა, რომ იგი გახდა და არა საერთოდ გამხდარია,
ფერწასულია და არა საერთოდ თეთრი ფერისაა. მისი სახე და მთე-
ლი ფიგურა ორი ტიპის შეხამებას წარმოადგენდა, და რადგან ეს ტი-
პები ვერ ახერხებდნენ მის ურთიერთშორის მალულად გაყოფას, ან
ერთმანეთისათვის დათმობას, ამიტომ უხეზად და დაუდევრად შეაერ-
თეს ჩრდილოეთის მოუქნელობა და სამხრეთის სინაზე და სიმ-
კვირცხლე.

ამავე დროს ქალიშვილის სახე არაჩვეულებრივად მიმზიდველი
იყო. შლეგელმა გაიფიქრა, რომ ქალიშვილის ბუნებაში ყველაფერი,
რაც საჭიროა, მოცემულია ნახევრად ნაკლებად ან ნახევრად მეტად
და რომ ასეთი ადამიანი წერილმანებშიაც კი თავშეუქავებელია.

— დიად, მოსკოვიდან, — ფრთხილადვე უპასუხა ქალიშვილმა.

— საიუშაოდ?

— ნათესავებთან მივდივარ. საზაფხულოდ.

— მოსკოვში სწავლობთ?

— დიად. ოკეანოგრაფი ვარ.

— მაშასადამე, თევზს აწარმოებთ, — ირონიულად შენიშნა ლუ-

ზამ და თანაგრძნობით შეეკითხა: — დედა თქვენი ვლადივოსტოკშია?

— დიად.

— უკაცრავეად, რომ გეკითხებით, ვინ არის?

— ხლებნიკოვა, ვარვარა ილინიშნა, შეიძლება გაგეგონიათ.

— ღმერთო ჩემო! ოლეჩკა ხომ არა ხართ?

— დიად.

— შლეგელ! — წამოიყვირა ლუზამ, თუმცა ჩეკისტის გვერდით
ეჯდა, — აი, ვარიუხას ქალიშვილი. შეხედე, რა კობტა ქალი გამხდა-
რა ოლეჩკა!

ქალიშვილი შეერთა, გაწითლდა და ფანჯრისაკენ მიიბრუნა სახე.

— რა მშვენიერი ყვავილი გაზრდილა!—გააქნია თავი ლუზამ.
— ჯერ ოცი წლისა არც კი იქნებით, დაბეჯითებით ვიცი.

ლუზას უნდოდა დაწვრილებით მოჰყოლოდა, სად და რა პირობებში დაიბადა ოლქკა, მაგრამ შლეგელმა თვალი ჩაუკრა, და ლუზამ ჩაახველა და ჰკითხა ქალიშვილს მოსკოვზე. შემდეგ, შენიშნა რა, რომ შლეგელი თვალს არ აშორებდა, ლუზა გაჯავრებული დაჩუმდა და ყური დაუგდო ფანჯარასთან მჯდომ ვილაც ყმაწვილების საუბარს.

ისინი ლაპარაკობდნენ სადღაც ტაიგაში სამუშაოდ მობილიზებულ ექვსას კომკავშირელზე.

— კომკავშირის გლეხის საქმეს აკისრებენ,—ამბობდნენ ვაგონში, — სულ სხვა ხორცი და ძვალია.

— მართლა ექვსასი კაცია მობილიზებული?—იკითხა ლუზამ.

შლეგელმა მღუმაარედ მხრები აიჩეჩა. თუმცა იცოდა, რომ მობილიზაცია მოახდინეს, მაგრამ ნაადრევად მიაჩნდა ამაზე ლაპარაკი.

შლეგელი ამჟამად ტაიგის სწორედ იმ ადგილიდან ბრუნდებოდა. იქამდე მიღწევა შეიძლება მხოლოდ ამურით და ჰაერით. მან სამი დღე დაჰყო იმ კარავში, რომელზედაც კომკავშირელმა შემდეგი პლაკატი ჩამოჰკიდა:

„რკინის გზის მახლობელ სადგურამდე ექვსასი კილომეტრია“.

ეს იყო ქვეყნისათვის უცნობი ახალი ქალაქის დასაწყისი. იქ სტუმრად არ მიდიოდნენ და წერილებს არა გზავნიდნენ. შლეგელს თვითონაც არ ესმოდა კარგად, რატომ დაიწყეს ქალაქის შენება ასეთ შორეულ კუთხეში, ტაიგის ყრუ ოკეანეში, გზებისა და ქარხნებისაგან მოშორებით.

პირველი რაზმი—ექვსასი კომკავშირელი—შლეგელმა მიიყვანა იქ და ახლა სხვა გზით უკან ბრუნდებოდა.

გასული წლის დეკემბერში მოსკოვიდან შლეგელს ეწვია სტუმარი, ყინვები იდგა. მან ბრძანა, გაემზადებინათ თვითმფრინავი ჩრდილოეთისაკენ ფასაფრენად, და როდესაც გადაათვალიერა ქალაქის აშენების გეგმა, მტკიცედ წარმოსთქვა:

— აი აქ უნდა დაეწყოთ ქალაქი,—და თითოთ მოხაზა რუკაზე ტაიგა ქვემო ამურთან. იმ ვარიანტებს შორის, მხარემ რომ დასამ-

ტკიცებლად წარადგინა, ასეთი ვარიანტი არ არსებობდა. ეს იყო მოსკოვის გეგმა, აქაურებისათვის ახალი გეგმა.

შლეგელი მოსკოველ სტუმართან ერთად ჩრდილოეთისაკენ გაფრინდა, და მთელი გზა სდუმდა. მას არ ესმოდა, როგორ წარმოიშვა მოსკოვის ვარიანტი და საიდან იცის მოსკოვემა ასე ზუსტად, თუ სად უნდა გაიშალოს მშენებლობა.

— როგორ მოგწონთ?—ჰკითხა მან ჩამოსულ სტუმარს, როდესაც ძლივს მიაღწიეს თოვლით დაფარულ, რამდენიმე კაციით დასახლებულ ადგილს ქვემო ამურის ტაიგაში.

სტუმარმა გათოშილი თკალები მიმოაელო მიდამოს.

— როგორც ვფიქრობდით, სავსებით შესაფერია,—სთქვა მან.

სუფთა ადგილია, აქ ეშმაკიც ვერ მოაღწევს.

შლეგელს უბრძანა, გაზაფხულზე პირველივე გემით მოეყვანა აქ ხალხი.

მაისის დამდეგს შუა ამურზე ჯერ კიდევ ყინული დაცურავდა. გემებს ჰრაჰა-ჰრუჰი გაჰქონდათ, ისინი ნელა მიჰყვებოდნენ მდინარეებს. ნაპირიდან, ნანაელთა სადგომებიდან მოისმოდა ბაეშეების ყვირილი და დამშეული ძაღლების ღმუილი. ორკესტრას ხმით დამფრთხალმა ურიცხვმა ფრინველმა ტაიგას მიაშურა. სამი დღე-ღამის შემდეგ გემიდან დაინახეს ოცდაათი კომლისაგან შემდგარი სოფელი. ტაიგა მჭიდროდ შემორტყმოდა სოფელს.

ორკესტრმა „ინტერნაციონალი“ დაუკრა, ხალხი დამწყვირდა, გემის ტრიუმფები გაიღო.

სალამო იყო. აანთეს კოცონები. ერთად ამღერდა ექვსასი კაცი. მათმა ხმამ დააფრთხო ფრინველები და ღამე. ყუთები, კასრები, მანქანები, კარვები სწრაფად ფარავდნენ ცივ უბალახო მიწას. სამნეო ნაწილის გამგე იანკოვი ყუთების, კარვების, მანქანებისა და ფანერის ფარების მოხერხებული კომბინაციით ელვისებური სისწრაფით ჰქმნიდა სხვადასხვა დაწესებულებას. მაკარონის ყუთებისაგან აგებულ ხუხულას ის ცარციტ აწერდა „მდკ“, პატარა ბუნავს კასრებს შორის — „ახ. ლ. კ. უჯრედი“.

სამნეო ნაწილის გამგე საერთო საცხოვრებლებსა და სათვისტომოებს აწყობდა და კარვებსა და ფაცხებს აწერდა: „ოღესა“, „მოსკოვი“, „ნიენი“, „ტფილისი“, „ლენინგრადი“. მაგრამ ვერხოიანსკის ქარსსველი თოვლი და მჩხვლეტავი წვიმა მოჰქონდა. იგი აქრობ-

და კოცონებს და სპობდა სამნეო ნაწილის გამჭრიახ შემოქმედებას. დაძინების ჟამს ქალაქები ერომანეთში აირია. ოდესა არხანგელსკს ავიწროვებდა, ტფილისი კიევის ედავებოდა. ძილი არ ხერხდებოდა, და ექვსასი კაცი მთელი ღამის განმავლობაში მღეროდა, სკლიდა ტრიუმებს, ანთებდა კოცონებს და თბებოდა ამბების თხრობით. იწვნენ წვიმის წუმბეში სველი ბრეზენტებისა და სველი საბნების ქვეშ. დილისთვის წყალი ადამიანთა სხეულებისაგან თბილი და საამო გახდა.

გათენებისას ყველაფერი გასუფთავებულ-გარეცხილი იყო ახალ ქალაქში—ადამიანები, საბნები, ყუთები, მუგუზლები. როდესაც გაიღვიძეს, პარტიებად დაიყვნენ ტყის საჩენად და ბილიკების გასაკათავად ნაპირიდან ტაიგისაკენ. მღარველები და ხარატები თავის ქნევით კუნძების ძირკვას შეუდგნენ. მოანგარიშებები ქაობების დასაშრობად წავიდნენ, მხურავეები, რომლებმაც განცხადება შეიტანეს წასვლის შესახებ, ხე-ტყის ქრას შეუდგნენ, ღურგლებმა კარვები გაშალეს. იანკოვი კარვების შესასვლელებზე კვლავ აწერდა ცარციით და ნახშირით: „ოდესა“, „მოსკოვი“, „ხარკოვი“, „როსტოვი“, „კიევი“ „ლენინგრადი“, „ნიჟნი“, და მხოლოდ ერთმა კარავმა ამართა ამაყად იმ დღეს ანძა პლაკატით: „მარჩენკოს ბრიგადა“.

— ეს სათვისტომოები მხოლოდ საქმეს აკირებენ,—სთქვა ბრიგადირმა.— წინადადება შემომაქვს, ვიცხოვროთ ბრიგადების მიხედვით. ნაკლები აურზაური და მეტი წესრიგი იქნება.

ამუშავდნენ ამფეთქებლები. ცაში ავარდა დასაბამიდან გაუტეხავი მიწის პირველი ღრუბელი. დაიწყო ქალაქის მშენებლობა.

მეხუთე დღეს ტაიგიდან გამოვიდა, თითქოს ჩამოღვენთილი სანთლიდან გამოძერწილი, ღრმად მოხუცებული ბანჯგელიანი კაცი, გრძელი ყალიონით, რომელიც იატაკს სწვდებოდა.

— შვილებო,—სთქვა მან ნანაელთა ენაზე, თუმცა ვერავინ ვერ გაიგო, რა სთქვა: —ყოველი ხუთი წლის შემდეგ ტაიგიდან კაკლისათვის გამოდიან დათვები. მათ ავზნეს ვერავინ გადაურჩება. ეს წელი სწორედ მეხუთე წელია. ისინი უნდა მოვიდნენ. და მაშინ ხსნა. შეუძლებელი იქნება. ვიცი ისეთი მიყრუებული ბილიკები, რომლებიც ახალგაზრდა დათვმაც კი არ იცის. ეს ბილიკები ვიცით მხოლოდ მე და ყველაზე ხნიერმა დათვებმა. მე გაგვიყვანთ, ყმაწვილებო, წმინდა მიწაზე.

მოხუცი გააგდეს, მაგრამ სოფელში გლეხებმა სთქვეს, რომ გამყოლებს ისინიც იპონიან და თვითონ მათაც შეუძლიანთ გაიყვანონ ტაიგიდან ყველანი, რადგან დათვის მართლაც არ უყვარს ახალი სუნი და ძნელად ეჩვევა მასო.

სწორედ იმ დღეს დადგეს რადიო და შლეგელმა სამხრეთისაკენ, ზაბაროვსკში ელვა გაგზავნა: „სოფელი დაუყოვნებლივ უნდა იყიდილოთ, მცხოვრებთ სხვა ადგილი უნდა მიუჭინოთ“.

სერიოზულად დაიწყო ქალაქის მშენებლობა.

3

პროკურორის ნიკიტა პოლუხრუსტოვის ბინაზე შეიკრიბნენ მთელი პრიმორიის პარტიზანები.

ამურის ნიკოლაევსკიდან ჩამოვიდა სტეპან ზარეცკი, ცოლით და შვილით. ზარეცკი ტანმორჩილი ჩასკენილი მოხუცია ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკის ჩვევებით. მასში ყველაფერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, განსაკუთრებით ხაზგასმული. მისი თავის ყოველი მოძრაობა, ყოველი მისი ფრაზა მეტყველებდა, რომ მან ჩინებულად იცის ყოველი მოძრაობა, რომლის გაკეთებაც მას შეუძლია, და ყოველი კარგი სიტყვა, რომელიც შეუძლია წარმოსთქვას, და თუ არ აკეთებს და არ ამბობს, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ეს უნარი ისედაც ყველასათვის ცნობილია.

ყოფაქცევის ასეთი: მანერა დიდხნის განწავლობაში პასუხისმგებელ მუშაკად მყოფ ადამიანში თავს იჩენს, რა თქმა უნდა, სწორეთ მაშინ, როდესაც იგი აღარ არის ასეთი მუშაკი, და გამობატავს უფლებას მოითხოვოს უფრო მეტი უურადლება და მეტი პარტივისტება ირგვლივ მყოფთაგან, ამასთან ამ ირგვლივ მყოფთათვის ზედმეტია იცოდნენ, თუ რატომ არის ახლა ასე პატარა ეს დიდი კაცი.

კამჩატკიდან ჩამოვიდნენ ფეოდოროვიჩები. მათ დაუსწრებლად არც ერთი ზეიმი არ იმართება, რადგან მათთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ათასი კილომეტრის გავლა რუსული ტყვის შესასრულებლად.

ტერნის უბედან ჩამოვიდა უნგრელი ვალეში, მას თან ჩამოჰყვა შვილი—შორეული ნაოსნობის შტურმანი. მამა გადაჰყავდათ მოსაზღვრე რაიკომის მდინად, შვილი კი მიდიოდა შორეულ რეისში—დე-

დამიწის ირგვლივ, და მათთვის უკეთეს შეხვედრას, ვიდრე პოლუ-
ხრუსტოვის ბინაზე ეწყობოდა, ვერც კი მოიფიქრებდა კაცი.

ტაიგის სოფლებიდან მოვიდნენ აგრეთვე პლუტონიკოვები, ზუე-
ვები, ოხოტნიკოვები. ისინი რაზმებში იბრძოდნენ მთელი ოჯახობით,
ოც-ოცი კაცი თითო გვარიდან. ტაიგიდან, სადაც საძირკველი ჩაეყა-
რა ახალ ქალაქს, მოულოდნელად ჩამოფრინდა მიხაილ სემიონოვიჩი,
ახოვანი კაცი, შუაზე გაყოფილი თმით. ქალიშვილივით მოლიმა-
რე, იგი ყრუ ხმით მიესალმა ძველ ამხანაგებს. მიხაილ სემიონოვიჩი
საოლქო ცენტრში მუშაობდა და დიდხანია არ ენახა ისინი.

მისი ხმის გაგონებამ ყველა ერთბაშად გაამხიარულა.

მრავალი წლის განმავლობაში ისინი ამ ხმას ისმენდნენ ბრძო-
ლაშიც და მუშაობაშიც. ამ ხმით ნიხაილ სემიონოვიჩი კიდეც სარ-
დლობდა და კიდეც ყვებოდა ანეკდოტებს, ამასთან თითო ანეკდოტს
ნახევარ საათს ანდომებდა. მიხაილ სემიონოვიჩთან ერთად მოფრინ-
და ქალარაწარბიანი იანკოვი. მათ შემდეგ მოვიდა დივიზიის რამდე-
ნიმე მეთაური—ერთი მეორეზე უკეთესი, ლამაზი და მხიარული
ვაჟკაცები. თითოეული მათგანი ოცდაჩვიდმეტი წლისა იქნებოდა.
მოულოდნენ კიდეც ვარვარა ხლებნიკოვას და კიდეც ბევრ ცნობილ
და წარჩინებულ ამხანაგს, ამხანაგს სისხლითა და ხორციით. მიუხე-
დავად ამისა, მაგიდას დაუყოვნებლივ შემოუსხდნენ. მეთაურები
დასხდნენ გარნიზონის უფროსის ვინოკუროვის ირგვლივ, პარტიზან-
ები—მიხაილ სემიონოვიჩის გარშემო, ახალგაზრდობა—აქა-იქ ვინც
სად მოხვდა.

— კარგი დღესასწაულია, — სთქვა პოლუხრუსტოვმა და მაგი-
დას გადახედა. — გმადლობთ, ვისაც მოველოდით, ყველა მოვიდა.

იგი მაგიდის თავში იდგა და მოკლე ეესტებით მოუწოდებდა
სტუმრებს შესდგომოდნენ ჭამას. შავი დიდი წვერი დავარცხნილი და
დარბაისლურად გადაფენილი ჰქონდა თეთრ უკრაინულ ხალათაზე. პო-
ლუხრუსტოვმა ოდნავ ხელს უჭერდა წვერს, რომ არ აბურძნუ-
ლიყო.

— ვასია, ნუ ჩქარობ, — დაყვავებით და თავაზიანად ეუბნებო-
და ის ლუზას, რომელიც ერთბაშად დაეწაფა არაქს, — ხომ იცი, მა-
გიდა შეხმატკბილებულ მოქმედებას მოითხოვს. ნუ ჩქარობ... ვინო-
კუროვი! შესწყვიტე ლაპარაკი, ძეხვს შეექეცი.

დალიეს, ისაუზმეს—ალაპარაკდნენ.

გაიხსენეს თოვლი, ქარბუქი, დაგლეჯილი თექის ჩექმები გაყინულ ფეხზე, ყუმბარები საკონსერვო ქილებში, და ადლეგრძელეს თავიან რი არმიის სარდლები, ამჟამად ცოცხალი ამხანაგები, დალიეს დაღუპულთა მოსახსენებელი.

გაიხსენეს, როგორ შეიკერა ვარვარა ხლებნიკოვამ ოქტომბრის დღესასწაულისათვის ტანისამოსი საეკლესიო სამოსლისაგან და შემდეგ ამ ფარჩაში გამოწყობილმა, სანთელ-საკმეველის სურნელებით გაჟღენთილმა; როგორ გახსნა რეეკომის სხდომა.

სწორედ იმ წუთს, როცა მის სადლეგრძელოს სვამდნენ, შემოვიდა ვარვარაც. ჩასუქებული და ფართო გულმკერდიანი, იგი ძლივს შემოეცია კარებში.

ახლა იგი უბრალო ქალი იყო, რაიონული მუშაკის, თევზის სარეწაოს მომუშავეის ცოლი, მაგრამ ყველას იგი ახსოვდა იმ სახით, როგორიც ის ოც წელს იყო, როცა ვარვარა პირდაპირ რევოლუციის სასწაულებს ახდენდა. მაშინ ვარვარა მარჯვე და ლამაზი იყო, გასაოცრად მაჯი და უდარდელი. ამიტომ ანდობდნენ მას ყველაზე საძიმო საქმეებს. და ვარვარაც ყველაფერს კისრულობდა... ხან განათლების საქმეს განაგებდა, ხან ფინანსებს. ეს კიდევ ცოტაა. იყო შემთხვევა, როდესაც იგი საგარეო სახკომისარიატის სათუთ საქმეებშიც ჩაერია და მარხილზე აფრიალებული წითელი დროშით საზღვარს გადავიდა ჩინელებთან რევოლუციის საკითხზე შესათანხმებლად.

იგი ყველაფერს ახერხებდა.

ვარვარა იყო მხიარული, არც თუ იმდენად ჭკვიანი, მაგრამ უბრალო და ერთგული ადამიანი. ერთის შეხედვით, ვარვარას არავითარი განსაკუთრებული ბიოგრაფია არა ჰქონდა. მისი ბებია, დედა, ორი მამიდა და თვითონაც მრეცხავებად მუშაობდნენ ოქროს საბადოებზე. როცა იგი თავის თავზე დაიწყებდა ლაპარაკს, მუდამ თავის ამბავს ბებიის ან მამიდეების ამბებში ურევდა, ან მამიდეებს აწერდა იმას, რაც მას შეხვედოდა, რადგან მართლაც ძნელი იყო ხუთი მრეცხავი ქალის ერთნაირად უფერულ არსებობაში გარკვევა. ვარვარას უყვარდა ახალგაზრდების დაქორწინება, ახლადშობილთა მონათვლა და გარდაცვლილთა დასაფლავება. ამყობდა იმით, რომ ვისივე ნათლია ან დედობილი იყო, და რევოლუციადე მისი ცხოვრების მთელი თავგადასავალი ქორწინებათა, დასაფლავებათა, ნათ-

ლობათა, განქორწინებათა და ქურდობათა რაღაც ცნობარი იყო, თითქოს მას სამრეცხაოში კი არა, პოლიციაში ემუშავოს.

მისი ცხოვრება შეიძლება შესანიშნავ ცხოვრებად მოგჩვენებოდეთ, მის მიერ განკლილი ერთი ამბავი მაინც რომ უშუალოდ ვარვარა ილინიშნასთან ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ მას პირადი არაფერი გააჩნდა. მისი ცხოვრება სხვის ცხოვრებაში იყო შეზარდილი, იგი სხვებს ემსახურებოდა და ეხმარებოდა.

სამაგიეროდ სამი ათასამდე ნათესავი და ნაცნობი ჰყავდა და ყველას სახელი იცოდა. იგი აღვივლად ეთვისებოდა ადამიანებს, — და იმდენად მართალი და გულწრფელი იყო, რომ ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა და არც კი იცოდნენ — რისთვის, ალბათ, ამ სიკარგისა, პატიოსნებისა, გულწრფელობისა და გულკეთილობისათვის.

ვარვარა ილინიშნამ უკვე დიდი ხანია თავი მიანება ქორწინების ამბების გადმოცემას, ახლა თვითონ მასზე ლაპარაკობდნენ, და ისიც, ფართო გულმკერდზე ხელებ-დაკრეფილი, ისმენდა და იცინოდა.

ახლაც ვარვარა სიცილით შემოვიდა. ყველამ სიყვარულით შეხედა. არც კი შეუმჩნევიათ მისი დამძიმებული ტანი, — შემოვიდა მათი ახალგაზრდობა, ვარია ხლებნიკოვა.

ვარვარასთან იყო მისი ქალიშვილი ოლგა.

— ნუთუ შენია? — ჰკითხა იანკოვმა, როდესაც დაინახა შავთმიანი ქალიშვილი, ბუსუსიანი პირისკანით, მაგრამ შეკრთა და გაჩუმდა, ისე ნათლად და გარკვევით მოაგონა ამ ქალიშვილმა მთელი თავისი იერიჲ განსვენებული მამა — ოვანეს შახვერდიანი.

გაიხსენეს ვარვარას მშობიარობა, ექიმისათვის მიწერილი ბარათი: „ისარგებლეთ მცნეირული მეთოდებით და ქალაქის ევაკუაციის გამო, მოაწყეთ ბავშვის დაბადება არა უგვიანეს ამა თვის ოცდაორი რიცხვისა“.

დალიეს ვარვარა ხლებნიკოვას სადღევრძელო, შესვეს ოვანეს შახვერდიანის ხსოვნისათვის, რომელიც იაპონელებმა ყინულოვან მდინარეში ჩაუშვეს, უსურვეს მის ქალიშვილს ოლგას, რომ მისი ცხოვრება ისეთივე ზობოქარი ყოფილიყოს, როგორიც იყო მამის ცხოვრება, და ისეთივე მხიარული, როგორიც დედის ცხოვრება.

შუა სადღეგრძელოს დროს შემოვიდნენ შუან-შენი ცოლით და ბალტიკიდან ახლად ჩამოსული ექვსიოდე მეზღვაური. ძველი მეგობრებიდან მარტო შლოგელი აკლდათ.

ახალი სტუმრების შემოსვლას შემდეგ სუფრის წესრიგი აირია. დივიზიის მეთაურები ქალიშვილებისაქენ გაეშურნენ საცეკვაოდ, მაგრამ იანკოვმა მათ გზა გადაუღობა.

— ნეტავ ერთხელ კიდეც გვაომა, ამხანაგო მეთაურებო, და მერე რაც მოსახდენია, მოხდეს, — წარმოსთქვა მან თხოვნის კილოთი და იმედიანად.

— სხვები იოშებენ, მე და შენ კი აღარ მოგვიხდება, — წვრილი ხმით სთქვა მუდამ მღუმარე მიხაილ სემიონოვიჩმა და მყისვე ერთი ჭიქა არაყი გადაჰკრა.

— რატომ არ მოგვიხდება?

— იმიტომ, რომ მე და შენ მასშტაბი დაგეანჩრობს — აი რატომ. ჩვენ მეტად პასუხისმგებელი ხალხი გავხდით.

ჩამოეარდა ლაპარაკი მოხუცებზე. მეთაურები შუაგზაზე შეჩერდნენ.

ოლია ხლებნიკოვა, შემოვიდა თუ არა, როიალთან დაჯდა, ვარვარა ილინინასს ზურგს უკან, და ადგილიდან აღარ დაძრულა. მას არასოდეს არ ენახა აშდენი ორდენი და აშდენი სარდალი.

ოლგას პირველ შეხედვისთანავე გონებაში ჩაეჭვდა ერთი მათ განის ელვარე, წითლად მკვესავი თვალები. მას მსხვილნოკებიანი მხიარული სახე ჰქონდა და, მიუხედავად ორმოცი წლისა, ჰაბუკურად გამოიყურებოდა. ეს იყო გოლიკოვი. მისი დივიზია განთქმული იყო.

იგი მოკამათეთა შორის გზას იკვლევდა ოლგასაქენ, მაგრამ ლაპარაკის გუნებაზე მოსული იანკოვი სწორედ მას დაებლაუქა ყველაზე მაგრა.

მეორე კი, გუბერი, დინჯი, შავგრემანი, დიდ-ულვაშებიანი ვაჟაკი იყო. იგი ჰგავდა თურქეთის ომის გმირს, როგორსაც ძველ ჟურნალებში ხატავდნენ. მის გვერდით იღვა გამაგრებული რაიონის კომისარი შერშაინი, კობტა გამხდარ-გამხდარი კაცი, ძალიან ჭკვიანი, მაგრამ ხანში შესული მსახიობი ქალის სახით. იგი გაჩუმებული იყო, მეგობრულად შესცქეროდა მოლაპარაკებებს და დროგამოშვებით ბებრულ ტუჩებს აცმაცუნებდა.

მეოთხე, კონდრატენკო, პატარა ტანის კაცი იყო, მხარბეჭიანი, და, როგორც ოლგას მოეჩვენა, ძალიან წააგავდა გენერალ დოხტუროვს, როგორადაც ის აწერილი ჰყავს ლევ ტოლსტოის.

ყველა მათზე მთელი თავით მალალი და ახოვანი კი ადგილობრივი გარნიზონის უფროსი ვინოკუროვი იყო, მასში სამი იაპონელი გამოიქრებოდა. ვინოკუროვს ჰქონდა ახალგაზრდა ჯარისკაცის უბრალო, მხიარული და უსაზღვროდ კეთილი სახე, მეტად ჰქვიათ ახალგაზრდა მუშის სახე, რომელსაც ოდნავადაც არ დაუკარგავს თავისი უბრალოება და არ გაჰკარებია არც სიმსუქნე, არც ნაოქი; იგი არაჩვეულებრივად ჯანსაღი, ჰქვიათი და ოდნავ მოუხეშავი იყო. მისი მუშტები სამი თვის ბავშვის თავის ოდენა იქნებოდა, და ვინოკუროვი დიდი სიამოვნებით აჩენდა მათ. ეტყობოდა, ჰქვიათი იყო და თან მეტად მოხერხებული, საზრიანი და გაბედული, მაგრამ ფრთხილი. ვინოკუროვი რაღაცას უმტკიცებდა ცხენოსანთა დივიზიის მეთაურს ნეიმანს, ვებერთელა ქება ლატვიელს, რომელიც მთვლემარე თვალით მისჩერებოდა მოსაუბრეს და მხოლოდ დროგამოშვებით, დასტურის ნიშნად, დეზებს აწკარუნებდა.

კამათი მოხუცთა შესახებ თანდათან ცხარე ხასიათს ლებულობდა.

— აბა, ერთი დაუფიქრდი, ვინა ვართ ჩვენ?—ეუბნებოდა მიხაილ სემიონოვიჩი იანკოვს. — თვალი გადაავლე, მიმოიხედე...

და დამსწრეებმა გონების თვალი გადაავლეს ერთმანეთს და მთელ კომპანიას.

ირგვლივ ისხდნენ საოლქო კომიტეტების მდივნები და აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები, მსხვილი ტრესტების მმართველები, პროკურორები, კოოპერატორები, ქალარათმიანი მოხუცები, ოქტომბრის მამები, ყველაზე ხნიერი ცოცხალთა შორის, მათზე ხნიერი იყვნენ მხოლოდ დაღუპულთა სურათები, ცოცხლებს შორის კი არავინ.

— ახლა ვხედავ, რომ მასშტაბი დაგეანზრჩობს,—დაეთანხმა იანკოვი და შურის თვალთ გადახედა ახალგაზრდობას.—რა გაეწყობა, დავლით ბავშვების სადღეგრძელო,—პარქუშად წარმოსთქვა მან.

მოხუცები შეუდგნენ თავიანთი ცვლის ჩამოთვლას—გაისმა ინჟენრების, მფრინავების, ექიმების, მწერლების სახელები.

— ჩემი ოლგა კი ოკეანოგრაფია. არავის არა აქვს ასეთი პროფესია,—სთქვა ვარვარამ.

— თითქოს უცნაურიც კია,—შენიშნა მიხაილ სემიონოვიჩმა და ნათქვამს მორცხვად არაყი დააყოლა,—არავის არა ჰყავს ოკეანოგრაფი, შენ კი, ვარია, რატომღაც გყავს. კაცმა რომ სთქვას, რად გინდა ქალიშვილი-ოკეანოგრაფი?

— ცოტა რამ ჩვენც წაგვიკითხავს,—წარმოსთქვა ვარვარამ და თვალი ჩაუკრა,—წამყვანი პროფესიაა ამჟამად და თან სახლთანაც ახლოა.

ნიკიტა ალექსეევიჩ პოლუხრუსტოვმა ბრძანა, ყველას კიჩები შეევესო და წარმოსთქვა ყველაზე სახელოვანი სადღეგრძელო იმ საღამოს წარმოთქმულ სადღეგრძელოთა შორის:

— გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც ასეთები გაგვზადა!—სთქვა მან.

და ყოფილმა მწყემსებმა, ზეინკლებმა, მონადირეებმა და მრეცხაეებმა დალიეს საბჭოთა ხელისუფლების სადღეგრძელო, იმ ამაგი-სათვის, რომელიც მან ხალხს დასდო.

დაიწყო ცეკვა.

პირველად გამოვიდნენ დივიზიის მეთაურები და მეზღვაურები. მათ მიჰყვნენ სამეურნეო მუშაკები, რომლებიც პირველხანს თავს იკატუნებდნენ, ცეკვა არ ვიცითო. ისინი პაპიროსის ნამწვავებს ყვავილის ქოთნებში ჰყრიდნენ და საცეკვაოდ იწვევდნენ ქალებს, ვინც კი ხელთ მოხვდებოდათ.

სხვადასხვანაირად ცეკვავენ ფოქსტროტს საბჭოთა კავშირში. ზოგი ვალსისა და პოლონურისებურად, ზოგი კაზაკურისა და ლეკურის მსგავსად. საშიშია მხოლოდ ერთი რამ, რომ თანამოცეკვავე ქალის ფეხი არ მოხვდეს ჩექმებქვეშ. არავინ არ მორცხვობდა, ფოქსტროტი კარგი ტემპისა იყო, ლალი, თავისუფალი. ცეკვის დროს ხელმძღვანელობდნენ არა მუსიკით, არამედ გულისცემით, მაგრამ ეს საქმეს არ აფუქებდა.

— მოცეკვავეთა შორის ვერ ვხედავ შედერთმეტე კავლივიზიას,—სთქვა ვინოკუროვმა, უკიდურესი განცვიფრების ნიშნად მხრები აიჩჩია და თვალთ დაუწყო ძებნა ნეიმანს.

— არ არის ისეთი კავალერისტი, რომელიც არ მღეროდეს, არ სვამდეს და არ ცეკვავდეს,—უბასუხა ბრიგადის მეთაურმა,—მაგრამ დღეს არა ვმღერიოთ და არ ვცეკვავობთ, დათრობისა გვეშინია.

მან ხელი ჩაიქნია და ვარვარა ილინიშნას მიუჯდა.

ვარვარას კი წარბები მალლა აეწია და ხელი ლოყაზე მიედო, იგი სამღერლად ემზადებოდა.

— რა მოხდა, რა დაგემართათ?—შეეკითხა ნეიმანს ვარვარა.

— შეცხრეს შევჯიბრეთ,—პირქუჩად მიუგო ნეიმანმა. — მაგრამ ისეთი შეჯიბრება გამოგვივიდა, რომ...—აზრი აღარ დაამთავრა, კიქა აივსო და დასცალა.

— თავი დაანებე ნეიმანს, ვინოკუროვ,—მიმართა ვინოკუროვს ვარვარა ილინიშნამ, ხოლო ნეიმანს თავით ანიშნა, მესმისო. — დღეს ჩვენ ტირილის გუნებაზე ვართ.

მისი არაჩვეულებრივი ბგერის მკვახე სოფლური ხმა ცეკვის მგლოდიაში შეიქრა. მოცეკვავე მამაკაცებს წუთით რიტმი აერიათ, ზოგმა მათგანმა ფეხი დაადგა თანამოცეკვავე ქალის ფეხსაცმელს, მაგრამ მყისვე გამოსწორდნენ. იანკოვმა წასაქეხებლად შესძახა ვარვარას:

— დასცხე, ვარიუხა, დასცხე!

ვარვარა ილინიშნა მღეროდა უკრაინულ სიმღერას, რაც მოასწავებდა მის უსაზღვრო გულაჩვილებას, ნალველსა და სევდას, მომღერალს რომ იპყრობს, როდესაც იგი გატაცებით მღერის:

— გაიხედე, შეილო, მზის ამოსვლა ნახე,
ხომ არა ჩანს სადმე იაპონელის სახე.

— არა, დეტი, არა, მე არ მძინავს ახლა.
მე ვგუშავობ საზღვარს, მე არ ვიცი დალლა.
მე არ მძინავს, არა, მე სამშობლოს ვიტავ,
სულ მზადა ვარ ვუღარაჯო მშობელ ქვეყნის მიწას.

სიმღერით მოხიბლული შეზარხოშებული ლუზა პატივისცემით შესტქეროდა ვარვარას.

— შეექეც, ვარია, შეექეც, ჩემო მშვენიერო!—აღფრთოვანებით გაიძახოდა იგი. გაურკვეველი იყო, რა სურდა ვარვარასაგან,—ღვინო დაელია თუ ემღერა, მაგრამ ლუზას გული უკვე აღძრავითარ სიტყვას არ უწევდა ანგარიშს. — შეექეც, ვარია! — გაიძახოდა იგი ტირილით.

ბევრმა მოიხედა ქალის ნაღვლიან ხმაზე. ამ ხმაში გამოკრთოდა მშრალი, თვალზე მომდგარი მოციმციმე მარილიანი ცრემლი.

ლუზას ქეიფი არ ახარებდა. ის განუწყვეტლივ მეხუთე ჩინელზე ლაპარაკობდა, დახვრეტას რომ გადაურჩა.

— ოცდაცხრა წელს თვალი უნდა ჩავეყვრა მათთვის, — ამბობდა იგი. — თვითონაც ხომ ასეთები ვიყავით.

— პირადულსა და პარტიულს ერთმანეთში ნუ ურევ, — ანუ გეშებდა მოხუცი ვალეში.

ხოლო უფროსი პლუჟნიკოვი შუშტებს სცემდა ზურგში და ეუბნებოდა:

— ტაიგაში წამოდი, ტაიგაში მეტად საინტერესო ჰაეა...

ვასილი ბევრჯელ ყოფილა სტუმრად, გულის გასაქარებლად სწვევია ძველ ამხანაგებსაც, არც სანატორიუმები იყო მისთვის უცნობი. ერთხელ განუწყვეტლივ ორი თვე დაჰყო შესანიშნავ დასასვენებელ სახლში, ყირიმში, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ უკვე მოსწყინდა, ძალზე დანაღვლიანდა.

პირველ ხანს ყველაფერი სიამოვნებას ჰგვრიდა — ხალხიც და საუბარიც. იგი მოხერხებულად ჩაურთავდა ხოლმე საუბარში სამოქალაქო ომის ამბებს, ჩამოაგდებდა ლაპარაკს იაპონელებსა და პარტიზანებზე. მაგრამ სამი დღის შემდეგ, როდესაც უკვე მოთავებული იყო ყველაზე საინტერესო და თვალსაჩინო ამბები, დაუწყეს გამოკითხვა: როგორ არის ტყის საქმე, დიდი ნაოსნობაა თუ არა იქ, როგორია ბრინჯის მოსავალი, როგორია დაყენებული მეთევზეობა. ის კი ისევ სამოქალაქო ომსა და იაპონელ ჯაშუშებს უბრუნდებოდა, უამბობდათ, როგორ ცხოვრობენ ტაიგაში ეს ჯაშუშები, გენერალური შტაბის ოფიცრები, მონადირეებად, როგორ ფაქტავენ ისინი თევზებს. მაგრამ ეს ამბებიც ერთ დღეში ამოიწურა. როდესაც ყველაფერი მოათავა, ლუზა დადუმდა, თავი ანება კლუბში სიარულს, ადრე წებობდა და ძილში ბორგავდა.

დასასვენებელ სახლში განსაკუთრებით საქმე გაუჭირა ერთმა კაცმა, პოლიტიკაზე ლაპარაკის მოყვარულმა. ლაპარაკობდა იგი ქვანახშირზე, რკინის მადანზე, ტყეზე, ტაიგაში ახლად აღმოჩენილ ტბებზე. იგი ქედმაღლურად მანქავდა ტუჩებს და ლანძღავდა ტაიგის ხალხს უსახლკარობისათვის.

— თქვენი მხარე ღარიბია ადამიანებით, — ამბობდა ის. — თქვენში ცოტაა ხალხი, თქვენებული კაცი მეტისმეტად შიამიტი. გაბედულია, მაგრამ შეზღუდული, დამოუკიდებელ ფართო გონებრივ ჰორიზონტს მოკლებული. განა ცოტა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც იგი იქ შეიქრა და დასახლდა ადგილობრივ მკვიდრთა სოფლების ნანგრევებზე? განა მან ცოტა ხალხი ამოელიტა, ცოტა ტყე გადასწვა, ცოტა ნადირი დააფრთხო, მაგრამ მაინც ვერ შეეგუა მხარეს, ვერ გახდა მისი მშობელი, ღრმად ვერ გაიდგა ფესვები მიწაში, ვერ უმღერა მას, ვერ იწამა სამშობლოდ.

— სისულელეა, — ამბობდა ლუზა და ცდილობდა მოსაუბრის თავიდან მოშორებას.

მაგრამ მოსაუბრის დაბნევა ძნელი იყო.

— ცხოვრობდა იქ ადამიანი მაძღრად და ქურდულად, როგორც სხვის და არა საკუთარ სახლში. არაფერი არ იყო იქ აღნუსხული, არაფერი არ იყო გაზომილი: არც მიწა, არც ტყე, არც თევზი, არც ნადირი. მხარის სიმდიდრის გამო ადამიანი დაუდევარი და საერთოდ ღარიბი იყო, ხოლო იმის გამო, რომ ყველაფერი ხელუხლებლად ეყარა, იგი შრომას ყურადღებას არ აქცევდა. თქვენში ადამიანი არა ჰქმნიდა ხანგრძლივ სასიხარულო ცხოვრებას, არ უტოვებდა შვილებს მეურნეობას ძველი, თავისი ხელით ჩარგული ვესვებით.

ლუზამ შეჰკრა ჩემოდანი და ისე გაუდგა გზას შინისაკენ, რომ არავის არ გამოთხოვებია.

როდესაც ბაიკალს მიუახლოვდა, დამშვიდდა. ბლაგოვეზჩენსკის იქით გამხიარულდა, ხოლო ხაბაროვსკში სიმღერა გააბა:

მთაზე, მთაზე მობიბინე ბალახში
ორი მტრედი იჯდა..

ვაგონის ფანჯარაში ტყეების ხანძრის სუნი შემოდინდა. ყაჩაღური ხანძრის სუნი ამხიარულებდა ლუზას. მოხუცი ფანჯარაში ჰყოფდა თავს, მოურიდებლად ლანძღავდა გზადმიმავალ გლეხებს. ისინი კი გაკვირვებით და ამასთან მშვიდად უპასუხებდნენ შესტებით, რაც ლუზას ბრაზს ჰგვრიდა.

ასე რომ მან კარგად იცოდა, რას ნიშნავდა სტუმრად ყოფნა. ამიტომ უგულოდ ხელი ჩაიქნია და ვალეშს უპასუხა:

— ყველამ იცით, რა უსაზღვროდ გაბრაზებული ვარ იაპონელებზე, ჩემი სიბრაზე პირველი ხარისხისაა, მაგრამ ნერვები... ეჰ, ნერვები თავს იჩენენ ხოლმე ყოველ საკითხში.

იგი უფრო და უფრო ბრაზდებოდა. ვიწრო თვალები მოკუტა, პირს ნელა, ზანტად აღებდა.

— ანტიპარტიული დამოკიდებულება მაქვს იაპონელებთან—ეს ფაქტია, — ამბობდა იგი.—მეზიზღებიან. შეუბრალებლად ვსპობდი.

— მერე, რა სარგებლობა მოგიტანა?—ჰკითხა შერშავინმა უძინარი თვალების მოკუტვით. — ზედ საზღვარზე ზიხარ, იაპონელები კი შენ ცხვირწინ სადივერსიოდ გადმოდიან.

— თქვენ კიდევ აიღეთ და ბოქლომით დაკეტეთ ჰაერი,—გესლიანი სიცილით უპასუხა ლუზამ. — მართლაც და რას უყურებთ? დაკეტეთ ბოქლომით ჰაერი, თქვენც წყნარად იქნებით და ჩვენც გავმხიარულდებით. ხალხი არა გეყავს,—კვლავ განაგრძო მან ქალარა უღვაშების ღეჭვით.—რაღაცის აშენებას ვაპირებთ, ეზო კი ვერ შემოგვიღობავს. ყველაფერს დაიტაცებენ, ჩემო ძმაო.

ოლგა ყველაზე მეტხანს იმ მხიარულ მეთაურთან ცეკვავდა, რომელიც მას პირველადვე მოეწონა, მაგრამ მოხუცები არ ასვენებდნენ, გამოსტაცებდნენ ხოლმე მეთაურს და, იმისდამიუხედავად, თუ რას უკრავდა მუსიკა, დანავარდობდნენ დარბაზში, თანაც კეთილსინდისიერად უძეკავდნენ ფეხებს.

ქალარა მოხუცი—გეოლოგი შოტმანი გატაცებით მართავდა პარტიფონს და მოკრძალებით ღირიფორობდა ფირფიტების მუსიკას.

— პოლონური, პოლონური!—უეცრად წამოიძახა უღვაშებიანმა ფეოდოროვიჩმა.— ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი, მე ღირიკოსი ვარ და აზარტი მიყვარს!

მაგრამ ვალსი დაუკრეს.

— მე წმინდა ღირიკოსი ვარ, ვალსიც შემძლია ვიცეკვო,— მშვიდად წარმოსთქვა ფეოდოროვიჩმა.

მან დასტაცა ხელი ოლგას და გააქანა, შემდეგ ბუნაობას მოჰყვა, რიხიანად უბაკუნებდა ფეხებს იატაკზე. მოხუცები არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდნენ მუსიკას. ხელებ-გადახვეულნი, შუბლით ერთმანეთზე მიკრულნი, ისინი ორ-ორნი და სამ-სამნი ცეკვავდნენ. შოტმანი ერთ-ერთ ასეთ მოცეკვავე სამეულს მიეტანა, მაგრამ სამეული არ იკარებდა.

— შენ რას დაეძებ, სოლომონ? — ჰკითხა მას პოლუხრუსტოვ-
ში. — ვიცი, ცემენტს დაეძებ.

შეშფოთებული შოტმანი მოეხეია პოლუხრუსტოვს, ლოყა ლო-
ყაზე მიაღო და შემპარავად ჩასჩურჩულა სასოწარკვეთილი ხმით:

— ჩუ!.. ათიოდე ტონა მინდა, ეს ხომ თხოვნა არ არის...

— არაფერი გამოვა, — სთქვა პოლუხრუსტოვმა.

— მეც ასე ვფიქრობ, — ჩაურთო იანკოვმა, რომელიც სამეულ-
ში ქალის მაგიერობას ეწეოდა.

— რას ნიშნავს, არ გამოვა... მე ცხიმებს მოგაწვდით...

— ჰოო, ეგ სხვა საქმეა, — ერთბაშად დაინტერესდა სამივე,
ხოლო გავრილა იანკოვმა გულგრილად ჰკითხა:

— რამდენს მოგვაწვდით? ცხიმები ხომ ფონდირებულია?..

ოთხეული დატრიალდა, ერთგულად მორთეს ფეხების ბაკუნი,
თან ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და ოლანდებოდნენ.

სხვებიც მათსავით ცეკვავდნენ და მსჯელობდნენ რაღაც გეგმებ-
ზე ან ერთმანეთს სთხოვდნენ სხვადასხვა ს. განს და ერთი სამეული-
დან მეორეში გადადიოდნენ. ოლგა ჩააბეს ერთ ასეთ საუბარში
ბრინჯის შესახებ და როდესაც მან თავი დააღწია სამეულს და
თვალთ მოძებნა თავისი დივიზიის მეთაური, იგი, უკვე სკამზე გა-
დამჯდარი, გატაცებით ლაპარაკობდა წვევამდელთა სწავლების ახალ
სისტემაზე, რომელიც სასწაულს ახდენდა.

მეთაურმა ნიემანს გადახედა და მანაც დაამოწმა, რომ ეს სის-
ტემა მართლაც ახდენს სასწაულს და საკიროა მისი აუცილებლად შე-
მოღებო.

ოლგამ დედას მიაშურა, იგი ცუდად გრძნობდა თავს.

— არ წავიდეთ შინ?

— ჰო, უნდა წავიდეთ. ახლა აქ აღარ იქნება აღარც ცეკვა
და აღარც სიმღერა, არაფერი აღარ იქნება, — უპასუხა ვარვარა ილი-
ნიშნამ — სიმთვრალის მესამე საფეხურს მიაღწიეს — ახლა დილა მდე
საქმეებზე ილაპარაკებენ.

მაგრამ ამ დროს მათთან ლუზა მივიდა, გაიხსენა ოლგასთან
შეხვედრა ვაგონში და დაიწყა ლაპარაკი პატარა ჩისელზე. ოლგამ
გადასწყვიტა კიდევ დარჩენილიყო.

სალამო მხოლოდ ახლა იწყებოდა. როდესაც ვახშამი და ცეკვა
მოათავეს, დასხდიენ, რომ გული მოეჯერებინათ ურთიერთთან
საუბრით.

— ლუზა, თქვენ ისე იგონებთ იმ პატარა პარტიზანს, როგორც საკუთარ თავს,—უთხრა ვასილს შუან-შენმა, ჩინური ტექნიკუმის დირექტორმა.

მას ხარბინიდან და შანხაიდან მოსდიოდა გაზეთები და იცოდა ყველაფერი, რაც საზღვარს იქით ხდებოდა.

— მანჯურელ პარტიზანთა უბედურება იმაშია,—სთქვა მან,—რომ მათ ბელადი არა ჰყავთ. მე ვიცნობ მათ. ჩუ შან-ხაო ყოფილი ხუნხუზია, მასზე დაყრდნობა ძნელია. სიანო დეი-ვანი მღვდლად იყო შემდეგ მეტრაქტირედ, ბოლოს მანჯოუ-გოს ოფიცრად. მამაცი ბრიყვია და მეტი არაფერი. ჩენ-ლაის, რომელმაც ორი აეოროდრომი გადასწვა და ხელთ იგდო გემი სუნგარაზე, ბრძოლა შეუძლია მხოლოდ მდინარეზე. იგი იმარჯვებს, როდესაც ასი კაცი ჰყავს და გარბის, როდესაც ათასი ჰყავს. გარდა ამისა, იგი ორმოცდაცხრამეტი წლისაა. ტაი-პინი ყველაზე ნიჭიერია იმათ შორის, ვისაც ვიცნობ, მამაცია, მოხერხებული, მოძრავი, მაგრამ ეშინია ხმამაღლა გამოაცხადოს თავისი პროგრამა, და მას ნაკლებად ეტანებიან. ცინ-ლინი ყველაზე კვიანი და მცოდნეა, მაგრამ იგი პატარა აგიტატორია, მას არა აქვს ლიდერის თვისებები, თუმცა მან დაამთავრა გერმანული უნივერსიტეტი შანხაიში. უკანასკნელ დროს ბევრ კარგს ლაპარაკობენ იუ-შანზე. მაგრამ იგი შაეი მუშაა, უცოდინარი, არც ერთხელ არ უნახავს ქალაქი. იგი თავისთავზე ამბობს: ჩემი საქმე გაუღეტაა, დანარჩენზე სხვამ იზრუნოსო. ის კაცი, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ, ალბათ, მისი რაზმიდანაა... იაპონელები კი მანჯურიაში შერჩეულ ხალხს გზავნიან. მარტო ვატანაბე მთელი სიმდიდრეა. მოხუც მურუსიძას, მათი ჯაშუშობის ამ შექსპირს, შეუძლია ორმოცდაათი კაცის მაგიერობა გასწიოს. მე იგი მინახავს მართლმადიდებელ მღვდლად ვლადივოსტოკში, მიწისმზომლად სახალინში, კულტსაკითხების ლექტორად მონღოლეთში.

— რაო, გენერალი ორისიკა გამოკეთდა?—ჰკითხა ვინოკუროვმა, თითქოს საუბარი ეხებოდა ძველ ნაცნობს, რომელიც შუან-შენს ახლახან ენახოს.

— თითქმის,—უპასუხა შუან-შენმა. — იაპონური რევმატიზმი საშინელი რამაა, გენერალი კი სუსტი კაცია.

ისინი ლაპარაკობდნენ გვარდიის დივიზიის მეთაურზე. ეს დივიზია ამასწინათ დაბანაკდა საზღვართან.

— ორი კვირის წინათ მათ საინსპექტორო დათვალეირება ჰქონდათ,—სთქვა გოლიკოვმა. — ორისაკას დივიზიამ პირველი ნიშანი მიიღო სროლაში, თანაც კარგად დაიარებიან ის არამზადები.

დივიზიის მეთაურები შეჯგუფდნენ.

— ვფიქრობ, მეც პირველი გამოვალ სროლაში,—სთქვა კონდრატენკომ, რომელმაც გაიხსენა, რომ მალე მასაც ეწვევა ინსპექცია, — მაგრამ ნაბიჯი, წყეული ნაბიჯი არ მივარგა. ერთი სიტყვით, ნაბიჯი ცუდი გვაქვს.

— რატომ, შენი 57-ე პოლკი ცუდად არ დადის,—თავაზიანად შენიშნა გოლიკოვმა, რომლის დივიზიას ძალიან კარგი ნაბიჯი ჰქონდა. — მე მის სიარულს ყოველთვის გამოვიცნობ.

— თუნდაც ბალეტმეისტერი მოიწვიე!—ამოიხვნეშა კონდრატენკომ და მეზობლებს გადახედა.

თენდებოდა. ცა იხსნებოდა.

— ხომ არ დავლიოთ რუსული „ურას“ სადღეგრძელო?—სთქვა ოცნების გუნებაზე მოსულმა კონდრატენკომ.

— არ გეთანხმები, — შენიშნა ვინოკუროვმა. — „ურას“ სადღეგრძელო?—ხელმეორედ შეეკითხა იგი. — ჰმ... პირველი ვერ გამოხვალ სროლაში, გრიგოლ გრიგორიევიჩ. „ურას“ სადღეგრძელო?!—მან მხრები აიჩქრა. — ბრძოლაში სიჩუმისათვის, აი ჩემი სადღეგრძელო... ბრძოლაში სიჩუმისათვის...

სამეურნეო მუშაკები კი ამ დროს თავიანთ საქმეებზე ჩურჩულებდნენ. ცეკვის დროს ისინი შეთანხმდნენ ერთმანეთისათვის სამსახურის გაწევაზე და ახლა დაუზოგავად ლანძღავდნენ მომპარაგებელ ორგანოებს და სახელდახელოდ ანგარიშობდნენ თავიანთი გეგმების შეუსრულებლობის პროცენტებს.

— თავს ვერ გავართმევთ,—ამბობდა იანკოვი. — აბსოლუტურად შეუძლებელია გეგმის ვადაში შესრულება.

მიხაილ სემიონოვიჩმა თავაზიანად შესვა ყველაფერი, რაც მის გარშემო იყო, და სხვებთან ერთად ისიც ჩაება საუბარში. იგი ყველას ყურადღებით უსმენდა, ეწეოდა ჩიბუხს და იმეორებდა: „დიად, მეტად საინტერესოა“... ამაზე მეტი არაფერი არ უთქვამს. მაგრამ როდესაც მოცეკვავე სამეურნეო მუშაკები მის ირგვლივ შეჯგუფდნენ იმ იმედით, რომ იმსჯელებდნენ ხარჯთაღრიცხვებზე, გეგმებ-

ზე და კადრებზე, მან ამოიხენეშა და ნელა, თითქოს ლაპარაკს სწავლობსო, წარმოსთქვა:

— თქვენ, ამხანაგო დირექტორებო, მიეჩვიეთ დიდძალი ფულის მიღებას. თქვენი ხარჯთაღრიცხვების თანხებს რომ სპილენძის ფულით იძლეოდნენ, ვერაფრით ვერ დახარჯავდით. მაგრამ როდესაც მსხვილ ქალაქის ფულს ლეგულობთ, წონას ვერა გრძნობთ.

— ნუ ჰქირდავ ჩემს თავს,—სთქვა ზარეცკიმ. — კანონით ხალხი ვინ უნდა გააჩინოს, მე თუ სხვამ? ჩამაბარეს მშენებლობა, მომცეს მტკიცე ვადები, თითი დაადეს რუკას—ინებეო. იქ კი, ჩემო ძმაო, არაფერი არ არის, ბუნებაც კი გროშად არა ღირს.

— ბუნებას მყისვე გაგიჩენ, — ყვიროდა შოტმანი. — აი ვიპოვი შენთან ოქროს—და ყველას ერთბაშად მოეწონება. ოღონდ ათიოდე ტონა ცემენტი მომეცით.

— რა ოხრად გინდა ეგ ცემენტი?—გაასავსავა ხელები პოლუხრუსტოვმა. — მთელი საღამო მხოლოდ ეს მესმის—ცემენტი და ცემენტიო.

— შე ხომ ერთი წელიწადია არ მინახავხართ!—ყვიროდა მღელვარებისაგან მოქანცული შოტმანი. — ხეალ კი კვლავ ერთი წლით ტაიგაში მივდივარ, ისევ მარტოდ-მარტო ვიქნები, ირგვლივ ისევ ტყე და ოქრო. მაჩუქეთ ათი ტონა უხეში მასალა, საბადოზე თეატრს ვაშენებ. სამოცი წლისა ვარ და მეცა მსურს...

— დიაღ, ძალზე სანტერესოა...—წაილულლულა მიხაილ სემიონოვიჩმა. — როგორც კი ეს შოტმანი ტაიგიდან გამოცხადდება, ყველაფერი ხელიდან მეცლება. დავაგროვებ თუ არა რამეს, ხელავე უკვე მიაქვს.

— მიმაქვს, როგორ არა! შენ ხომ ყველაფერი ზაფხულიდანვე გაქვს მომარაგებული...

— წინადადება შემომაქვს, დავლიოთ სადღეგრძელო, — წამოიყვირა ვინოკუროვმა და მიხაილ სემიონოვიჩს გაუღიმა.

— მშენებლობის გამარჯვებისათვის?—იკითხა ფეოდოროვიჩმა.

— მშენებლობაში დუმილისათვის!

ყველამ როგორღაც მორცხვად გადახედა ერთმანეთს და უხალისოდ დალია სადღეგრძელო.

— ვწუხვარ, რომ ვერ მოვასწარი შეამბნა თქვენთვის ერთი შესანიშნავი ისტორია თევზის თაობაზე, — შენიშნა ზარეცკიმ.

— ერთი კი არა, სამი ისტორია,—სთქვა გესლიანად პოლუხ-რუსტოვმა, — ორი ასეთი ისტორია ჩემთან არის პროკურატურაში, ერთიც შენს ხელშია. უმჯობესია სადღეგრძელო დავლიოთ.

— დეე იყოს ღუმილისათვის!

ერთხელ კიდევ დალიეს ღუმილისათვის.

— უმჯობესია ჩემსავით იოცნებოთ,—სთქვა შოტმანმა და ხელი მოხვია ფეოდოროვიჩს.— ისე გველები თავს, როგორც კარგი ოჯახიდან გამოსულ ქალიშვილს. ღორობაა კრუხივით დააჯდე ცემენტს. ჩემთვის ძნელია ისეთ ხეპრესთან შეგუება, როგორიც შენა ხარ, მე ხომ მოხუცი ვარ. მომეცი ათი ტონა!

— ნახა ამანაც მიმცემი!—პირქუშად წარმოსთქვა ფეოდორო-ვიჩმა.

— რა ამბავია, ვაგონს ხომ არა გთხოვთ?..

გაიღო კარი და ახალგაზრდა ვალეში შემოვარდა.

— გამიგონეთ, შლეგელი დასკრეს,—წამოიყვირა მან, კარებში შეჩერდა და დაბნეულმა რამდენჯერმე დაუკრა თავი ოთახში მყოფთ. ყველა წამოდგა სუფრიდან და ყველა ერთბაშად ალაპარაკდა, თან ხელებს ასავესავებდნენ.

— ამხანაგო დივიზიის მეთაურებო! გთხოვთ ჩემთან სრულ რვაზე. ვინოკუროვმა საათს დახედა, ექვსი საათი იყო. იგი ღერე-ფანში გავიდა, სადაც ტანისამოსის საკიდი იდგა.

— ათის ნახევარზე შესდგება ბიუროს სხდომა,—სთქვა მიხაილ სემიონოვიჩმა და ფეხზე წამოდგა. — დაესწრებიან მხოლოდ ბიუროს წევრები, ფეოდოროვიჩი და ზარეკვი კი დაუყოვნებლივ უნდა გაემ-გზავრონ. შენც წადი,—უთხრა მან იანკოვს.—უშენოდაც მოვაგვა-რებთ საქმეს.

— ჯანდაბას შენი თავი, მოგცემ ცემენტს,—წასჩურჩულა ფეო-დოროვიჩმა შოტმანს. — ნასადილეც შემომიარე.

— ვინ დასკრა?—წამოიძახა ოლგამ და სწრაფად გაირბინა მთელი ოთახი. რაღაცას ეძებდა და სულ ჰკითხულობდა:—ვინ დას-კრა, ვინ ჩაიდინა?

ვალეში სდუმდა. ოლგას შეკითხვა აღარავის გაუმეორებია და ყველანი ერთად ქუჩაში გავიდნენ.

— კიდევ როდის ვნახავთ ერთმანეთს?—შეეკითხა ზარეკვი იანკოვს გამოთხოვებისას.

- ორიოდე წლის შემდეგ. შენ საით?
- ისევ ჩრდილოეთისაკენ.
- იქნებ სწორედ იქ შევხვდეთ. 34-ე მშენებლობაზე, არა?
- მშენებლობაზე. გადაეცი სალამი 'შლეგელს.
- ნახვამდის, მოხუცებო.
- ნახვამდის, ამხანაგებო. გადაეცი თ სალამი 'შლეგელს.

ცარიელ ბინაში დარჩნენ ოლგა და ლუზა. ღია ფანჯრებში ქუჩიდან სინესტე შემოდინოდა, ვილაცის ცოცხი ნაღვლიანად ფხეკლა ქვაფენილზე დილის სულისშემხუთაგ სიჩუმეს.

— ჩემთან წინა ხაზზე ისეთი სიჩუმეა, საათიც კი ჩერდება, — სთქვა ლუზამ და ხელები გაასახსავა.

ი ვ ნ ი ს ი

მისჯთვიდან აღმთსაკუთასაკენ
თბი თეთმთფინაჯი მიძქრთფა.

1

საბჭოთა რაიონების კორეელი გლეხის ტანისამოსში გამოწყო-, ბილი იაპონიის მზეერავი მურუსიმა ტომრით ხელში მატარებლიდან ჩამოვიდა უსურის რკინისგზის პატარა სადგურზე. ტომარა მხარზე მორიდლო და ბაჯბაჯით გაჰყვა მონადირეთა ბილიც გორაკებისაკენ. გზაზე ხშირად ისვენებდა და აქეთ-იქით იცქირებოდა. პატარა, გამხდარი მოხუცი იყო და სიარული უძნელდებოდა. გათენებისას მაინც მიაღწია ტაიგის დასაწყისს და შევიდა დიდი ხნის წინათ დაღუპული რომელიღაც მონადირის ბნელ, ნახევრად დანგრეულ ფანჯაში. შესვლისთანავე ლამფა აანთო, ფარდა ჩამოაფარა ფანჯარას, კარი დაკეტა და ხარბინში გასაგზავნ წერილის წერას შეუდგა.

„ათი დღეა, რაც აქა ვარ, და ეს სავეგებით საკმარისია, რომ გავერკვე იმაში, რაც აქ ხდება. 1920 წლიდან ბევრი არაფერი შეცვლილა, ან, ყოველ შემთხვევაში, არ შეცვლილა იმდენად, რომ ორიენ-

ტაცია დაეკარგოთ და უცნობი ფაქტების წინაშე დაედგეთ. ვითარება ჩვენი მუშაობისათვის თითქმის საუცხოვოა.

სოფელი შფოთავს. არ შეიძლება აგრეთვე მტკიცე ეწოდოს მოქალაქეთა განწყობილებას მანჯურისა და შანხაიში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. ყოველ შემთხვევაში, აქ გამოთქმულ აზრთა საერთო ტონი სასარგებლოა ჩვენთვის, და მე ჯერ არ შევხედვარ ვარც ერთ ენტუზიასტს, რომელსაც სურდეს ერთ წელიწადზე მეტხანს დარჩენა ამ მხარეში. თავის მხრით სასურსათო მდგომარეობა აძლიერებს „მეჩემოდნეების“ მოძრაობას, ასე უწოდებენ აქ იმ მოხელეებს, რომელთაც სურთ დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ ქვეყნის შიგნით, როგორც კი გაუთავდებათ ლიმიტით დაწესებული სამსახურის ვადა.

ჩვენ მიერ ხარბინში მოცემული შინაური მდგომარეობის ანალიზი ძირითადად დღემდე სწორი რჩება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ განზრახულ ცვლილებას თავდაცვის ხაზით.

ვეგულისხმობ ვოროშილოვის შარშანდელ ჩამოსვლას, მან ახლებურად დააყენა შორეული აღმოსავლეთის დაცვის ამოცანა. ვოროშილოვის მიერ ფართო კრებებზე გაკეთებულ იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ შორეული აღმოსავლეთი სსრ კავშირის განუყოფელი ნაწილია და რომ იგი მთელი ძალებით იქნება დაცული, პარტიული წრეები ავრცელებენ ხმას, რომ მზადდება სამუშაოები საზღვრების გასამაჯრებლად. მაგრამ მე ვერ მოვახერხე რაიმე რეალურის გაგება და, უნდობლობას ჩვეული, ვფიქრობ, რომ ეს ხმები აქაური ხელმძღვანელი წრეების ნერვიულობას უნდა მიეწეროს, თუმცა ამოცანად ვისახავ მუშაობის ამ სექტორის ფრიად დაწვრილებით გამოკვლევას.

შემდეგ, ერთი სიტყვა კიდევ ჩვენი რუსი მეგობრების შესახებ. სამი დღის წინათ ჩემთან იყო ბარონ ტორნაუ და დაწვრილებით გამაცნო „Братство русской правды“-ის ღონისძიებანი სასაზღვრო ზოლში. თქვენ უკვე მოგეხსენებათ ჩემი მუღმივი. სიფროთხილე, რასაც ამართლებს ჩემი ოცდაათი წლის პრაქტიკული ნუშაობა, და, ვფიქრობ, გაიზიარებთ ჩემს რწმენას, რომ ამჟამად მთავარია არა ტერიტორი და ხელიგნობა საზღვარზე, არამედ ძალთა თანდათან დაგროვება, კადრების ორგანიზაცია საპასუხისმგებლო ამბების მომენტი-სათვის. მე მინდა გთხოვოთ, მთელი თქვენი ავტორიტეტით მოახდინ-

ნოთ გაელენა იმ უთუოდ მამაც, მაგრამ პოლიტიკურად გულუბრ-
ყვილო ადამიანებზე, რომელნიც დღემდე გართულნი არიან მეფის-
დროინდელი რუსეთის უკვე გამქრალ პოლიტიკურ ჯგუფებთან თავიანთ
განხეთქილებათა არქეოლოგიური გათხრებით. ამ შემთხვევაში, რო-
გორც ყველა სხვა შემთხვევაში, მე ვეზბრობი იმას, რომ მუშაობა
ვაწარმოოთ მკვიდრი მოსახლეობის ფენებს შორის, ქვეყანასთან მკიდ-
როდ დაკავშირებულ და მისგან განუყოფელ ფენებს შორის, რო-
მელნიც სახელმწიფო ორგანიზმის ერთგვარ უჯრედს შეადგენენ,
რომელნიც არსად არ გარბიან, რადგან არასოდეს არაფერში არ
ერევიან, და რომელნიც წარმოადგენენ საუკეთესო წრეს აქტიური
ძალებისათვის, რადგან იგი—ეს წრე—საუცხოვოდ იცნობს მდგომა-
რეობას.

მახლობელ დღეებში გავემართები ჩრდილოეთისაკენ, იმ რაიონ-
ებში, სადაც ოქროს იკვლევენ. იმედი მაქვს, შემდეგი ფოსტიო
მოგაწოდოთ დაწვრილებითი ცნობები ბელგიელი ინჟინერის ვებერის
გამოკვლევათა შესახებ. გეხსომებათ, რომ ეს ცნობები აინტერესებ-
დათ ჩენს საბანკო წრეებს.

მეტად მოხარული ვიქნები, თუ შესაძლებლად ჩასთვლით მო-
მაწოდოთ ინფორმაცია „თევზის“ პრობლემების შესახებ. თუმცა ამ-
ჟამად ამ პრობლემებს არ ვამუშაებ, მაგრამ მაინც სასურველად
მიმანია ვიცნობდე მეზობელ ოპერაციებს. ამის გამო მივეწერ ჩემს
მეზობელს, როგორც კი გამოვინახე მასთან კავშირის გაბმის საიმე-
დო და სასწრაფო საშუალებას. რაც შეეხება მარშრუტს ჩემგან თქვე-
ნამდე, ამ მხრივ ყველაფერი კარგადაა. საზღვარზე სიწყნარია. ლა-
პარაკობენ კოლმეურნეობათა შესახებ მოწინავე სასაზღვრო ხაზზე,
მაგრამ ყველაფერი ეს საკმაოდ არარეალურია, ყოველ შემთხვევაში,
მახლობელი. სამი-ოთხი წლისათვის. გიგზავნით მოკლე ნაკრებ ცნო-
ბას ტრანსპორტზე, ამ ცნობიდან გაიგებთ, რომ ჩვენ აქ ტყუილ-
უბრალოდ არ დაგვიკარგავს დრო. ტრანსპორტი ჯერჯერობით რუსე-
ბის ყველაზე, სუსტი ადგილია.“

გარედან ხმაურობა მოისმა. ფანჯარაში დააკაკუნეს.

— მე ვარ, მატევი მატევიჩ.— მოისმა შარაპოვის ბებრული,
ხრინწიანი ხმა. შარაპოვი „საზღვარზე გადამსვლელი“ იყო, ის კაცი,
რომელიც ხუთი წელიწადია უკვე საზღვარზე გადად-გადმოდის მუ-
რუსიმას საქმეების გამო.

შარაპოვი შემოვიდა, დაქანცულობისაგან მთლად გალურჯებული, ძლივს ითქვამდა სულს.

— მზად არის?—იკითხა მან ფეხზე მდგომმა.— ეფიქრობ, ღამე გალმა გავათიო, ხვალ სიგნალს მიიღებთ.

— ღმერთი იყოს შენი შემწე!—დალოცა მურუსიძემ, პირჯვარი გადასწერა და გაკვირვებით შეხედა მოხუცის მოქანცულ და შეშფოთებულ სახეს. — დაგიფაროს ქრისტემ. თუ ცოცხალი ვიქნებით, ბედნიერად ვიცხოვრებთ,—დაუმატა მან, როდესაც შარაპოვს აცილებდა.

— ფულზე არაფერი ჩაგიწერიათ?—ჰკითხა შარაპოვმა. — წინანდელი გადასვლისათვის არაფერი მოგიციათ, ახლანდელსაც თუ ჩავთვლით, თქვენზე სულ ოთხი ათასი იენი იქნება, მხედველობაში იქონიეთ.

— კარგი, კარგი...

— მე კარგს ვერაფერს ვხედავ. ხარბინში სახლის დასაზღვევი ფული მაქვს შესატანი. ბანკი არ მასვენებს... თორემ აღარ წავალ. ისედაც დაგვდევენ ჩეკისტები.

მურუსიძეს არ უკითხავს, ჯა ჰქონდა მხედველობაში. სხვა რაიმეს გამოკითხვა საპასუხისმგებლო საქმის წინ ცუდად ჰქონდა დაცდილი.

ღიღი ხანია გათენდა, მაგრამ ხილვადობა ნაკლებად ხელსაყრელი იყო.

ტაიგიდან მექანიკური ხერხის ზუზუნნი მოისმოდა. წინ კი, ფანზის იკით, გადაშლილი იყო ველი ნახევრად-გაჩეხილი ბუჩქნარით. მოსჩანდა ოქროზე მომუშავეთა თუ ხის მჭრელთა მიწურები. ირგვლივ გაბატონებული იყო სრულიად დაუსახლებელი, ყოველგვარი საქმისაგან თავისუფალი და სიზარმაცისაგან გალალეული ქვეყნის მყუდროება.

2

ვარვარა ილინიშნა ოლგასთან ერთად ივნისში პოსიეტს ბრუნდებოდა. გემი ღამით გადიოდა. ახალი მთვარე ღრუბლებში დასრიალებდა და ნახევრად ანათებდა. ზოლოტოი როგი, ორი ნაპირის რკალში გახვეული, ვარსკვლავიანი ბრავის ყურეს ჰგავდა.

ნაპირებისა და გემების ჩირალდნებზე, ვარსკვლავები და ჩინელთა პატარა ნაგებობის ფანრები საზეიმო-სადღესასწაულო სახეს აძლევ-

დნენ ლამეს. ეგერშელდის კლდოვანი ხროვა პირქუშად დასცქეროდა მიმავალ გემებს. წინ მთვარის სინათლეზე ბრწყინავდა რუსული კუნძული, წყნარ ოკეანეს კრონშტადტი. იგი დიდხანს მიიკლანჯებოდა „ვიუგას“ გეზით, თითქოს გემს მისდევსო, მაგრამ მთვარემ დაფარა კუნძული და მტრედისფერ ღრუბლებში გაახვია.

— შორს რალაც ელავდა მკრთალი ვერცხლისფერი ალივით. მაგრამ სამხრეთით ჰორიზონტი პირქუში და ბნელი იყო, ზღვა მუქდებოდა და შფოთავდა. ოღვა დიდხანს იჯდა ბაქანზე. დიდი ხანია დასაძინებლად წავიდა ვბრვარა ილინიშნა, დიდი ხანია თბილ კუთხეებს მიაშურეს ბაქანის მგზავრებმა, ოღვა კი კვლავ იჯდა, კვლავ რალაცას უსმენდა, კვლავ მოხიბლული სდუმდა.

ლამის ნესტიან და ქარიან მყუდროებაში გემი განუწყვეტილად ბუტბუტებდა თავისი ცხოვრების ამბავს. ილანძღებოდა მესაქე, მანქანიდან მოისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიმღერა. გემის კიბოზე ბოცმანი ჯაქვებს აჩხარუნებდა. ვილაც თეთრეულს რეცხავდა და ფოქსტროტის ხმაზე უსტვენდა. კამბუზში მზარეული რალაცას აბრაახუნებდა და გაჰყვიროდა: „ნელა რეცხავ, უფრო ჩქარა, უფრო ძლიერად მოიქნე.“ ზოგჯერ იღებოდა კუბრიკის ლუკი და იქიდან მოისმოდა ხმამალალი ხარხარი და დომინოს კაკუნი.

ფრინველთა გუნდი დაეწია გემს, ყურადღებით შემოუარა ბაქნებს თავზე და გაჰყვა ზღვას, მყის მიიმალა ვერცხლისფერად გაბრწყინებულ ჰაერში, თითქოს არც გამოჩენილაო.

ოღვა იჯდა, ათასგვარ რამეზე ფიქრობდა და კრთოდა მარტობისა და კიდევ რილაცისაგან, რასაც მასში ჰბადებდა ლამით მოკაშკაშე წყალი. იქვე გვერდით უცხო ზღვა იწყებოდა. პარტიზანთა მონათხრობი ომზე, შლეგელის დაჭრა, გაუგებარ მატყევი მატყევიის ძებნა, იმ ადამიანის ძებნა, რომლის შესახებაც არავინ იცოდა—ერთი კაცი იყო თუ თავის მსგავს ას კაცს აერთიანებდა, — ყოველივე ეს ამეამად ცოცხლდებოდა მის წინაშე და, წარმოდგენით შევსებული, ძალზე საშიშად ეჩვენებოდა. ეს აჩრდილები მჭიდროდ ენასკვებოდნენ მის მუშაობას, მის ცნობიერებაში წიგნების მიხედვით აღბეჭდილ ზღვის სურათებს. ოღვამ გონების თვალთ გადაარჩია დიდი გამოკვლევები, პროფესორთა სახელები, მეთევზეობის პრობლემები, ეძებდა და ვერ გამოეძებნა, რა მხრით დაუახლოვოს თავისი მუშაობა შლეგელის, მიხაილ სემიონოვიჩის ან იანკოვის უბრალო საქმეებს.

„ეს აუცილებელია, ეს პირდაპირ აუცილებელია“, — გაბოროტებით თქვა და ოღვა დიად საქმეებს დაშორებულ ოკეანოგრაფიაზე.

ზღვა კი მისდა შეუმჩნეველად უფრო და უფრო შფოთავდა, ტალღა უფრო ძლიერდებოდა. ქარმაც უმატა. იგი ახლა გემის მარცხენა მხარეს ასკდებოდა, წყმუოდა, კენესოდა, უსტვენდა რკინის რომელიღაც ნაწილი ბაქნის ბნელ კუთხეში. ქარმა ნაფლეთებად აქცია ღრუბლები და შორს გასტყორცნა. ცის მტრედისფერი, მბრწყინავი თალი მოკრიალებული იყო და მის შეუქზე უფრო მდულარე და ცხელი მოსჩანდა შემხვედრი მჩქეფარე ტალღა. გუშაგი შემთხვევით წააწყდა ოღვას.

მან უყოყმანოდ და თანაგრძნობით ჰკითხა:

— უბილეთოდ ხომ არა ხართ?

და როდესაც გაიგო, რომ ბილეთიც აქვს და კაიუტაც, უთხრა:

— აბა რა საინტერესოა ცარიელი წყლის ყურება! ბუნების ერთფეროვანი სურათია.

მაშინ ოღვა კაიუტისაკენ გაემართა, იგი უგულოდ ადგამდა თავის უგრძნობ, მყიფე ფეხებს, და ტანთგაუხდელი წამოწვა საწოლზე. ჩაეძინა, მაგრამ მალ-მალ ეღვიძებოდა, და საშინლად მობეზრდა ეს. ამიტომ როგორც კი ვარდისფრად აფერადდა ილუმინატორი, ოღვა ბაქანზე გავიდა, რათა საბოლოოდ მოეფიქრებინა თავისი ბედი.

ახლა ზღვა გასაოცრად მხიარული იყო. იგი ლალად, თითქმის უხმოდ ეცეკვავდა. თანაბრად გადაშლილი, ძალას მოკლებული ფაქიზი ცის ქვეშ მხოლოდ ის ცხოვრობდა და ისე მოქმედებდა, როგორც სურდა. მარჯვნივ ხან თავს ამოჰყოფდა და ხან მიიმალეობდა მიწის მკრთალი კონტური, არასასიამოვნო, დაუნდობელი და ტალღის გაქვავებული ქოჩრის მსგავსი.

ზღვა კი შფოთავდა.

გემი აღარ ყირავდებოდა და აღარ იყვინთებოდა. იგი ხმამაღლა სუნთქავდა, დახტოდა როგორც გიმნასტი, და წყალს მიაპობდა როგორც მცურავი. ახლა არაფერი აღარ წკრიალებდა მასზე — ყველაფერი დაუცხრომლად გრიალებდა. იგი რკინის სხეულს ახეთქებდა წყალს — რკინა გუგუნებდა და დარტყმა ტალღაში გამოკრთოდა; იგი რკინას ახეთქებდა ჰაერს, ჯარასავით ატრიალებდა მას, და დარტყმა ჰაერში ბოულობდა გამომძახილს.

პოსიეტის ყურე მოულოდნელად გამოჩნდა. იგი ჯერ კიდევ ზღვა იყო, მაგრამ უფრო სხვაგვარი, მოთენიერებული ტალღით. მიწამ ზანტად ამოჰყო თავი ჰორიზონტზე და სახლების გამამხნევებელი კვამლით მიეგება გემს.

ზღებნიკოვები ცხოვრობდნენ თევზის სარეწაოზე, ექსპედიციის უბეში. ეს იყო ერთ-ერთი ულამაზესი, მყუდრო და არალრმა უბე-ვარვარას ქმარი, დემიდოვი. სარეწაოს განაგებდა, თვითონ ვარვარა ილინიშნა. დიასახლისობდა, ნადირობდა ტულის მძიმე საფანტიანი თოფით და, როგორც შეეძლო, მკურნალობდა კორეელ ქალებს საკუთარი წესით დამზადებული მალამოებით.

დღეები ძალზე გაჭიანურდა, ისეთივე დიდი და უღვევი იყო დღე, როგორც ბავშობაში.

ოღვა ისვენებდა მოსკოვისა და სწავლების შემდეგ, დაეხეტებოდა სარეწაოში, ან ჯდებოდა ნავში და მთელ დღეს უბეში ატარებდა. ძველმა საზღვაო რომანტიკოს-გეოგრაფებმა პრიმორიის უბეებსა და ყურეებს რომანებიდან ამოღებული საოცნებო სახელები დააარქვეს. „მომინებისა“ და „იმედის“ უბეებს შორის არსებობდნენ „მოჯირითეები“, „მხედრები“, „ოპრიჩნიკები“ — მოგონებანი იალქნიანი გემების დაუცხრომელ მეზღვაურებზე, ოდესღაც ეს ადგილები რომ აღმოაჩინეს. ოღვა განაგრძობდა რომანტიკულ ტრადიციას და პატარა უბეებსა და ყურეებს არქმევდა სახელებს თავისი სულიერი განწყობილების მიხედვით. ზოგჯერ ეს იყო მოლოდინის უბე, ზოგჯერ ონეგინისა და ტატიანას ყურე. ქექა-ქუხილის კონცხი ოღვას მამინაცვალსაც კი მოეწონა, და მეთევზეებმა მიიღეს ეს სახელწოდება. ქექა-ქუხილის კონცხზე დააწესეს საზაფხულო სათევზაო საგუშაგო.

თევზის სარეწაოს. იქითა მხარეს, ქექა-ქუხილის კონცხის მახლობლად, იწყებოდა კორეელთა სოფელი, დაბალი მუქი ფანჯები. მათ გვერდით მიწაზე იდგა ღუმელის მილები, თითქმის ყოველი ფანჯა ყავარჯენს ეყრდნობაო. კორეელები სამგზავროდ ძროხებს იყენებდნენ. ცხვირის ნესტოებში უყრიდნენ მათ ბეჭდებს და ამ ბეჭდებზე გამობმულ ბაწარს აღვირად ხმარობდნენ. ძროხის რძით ჰკვებავდნენ გოჭებს, თვითონ კი ჩუმითა და პაიხით იყვებოდნენ. კორეელები სიმღერის მოყვარულნი იყვნენ და ღამეც კი არ ისვენებდნენ — ვიღაც უჩინარი მუდამ მღეროდა მინდვრად. ისინი

ქარგი მეზღვაურები იყვნენ. კორეელები ლამაზი ხალხია, განსაკუთრებით ქალები, თავდაპირველი სიამაყით აღსავსენი..

სამხრეთით, უბეს იქით, საზღვარი იწყებოდა. მის იქით — კორეა. იქიდან ზოგჯერ ხალხი გადმოდიოდა. მაშინ სოფელი მათ მოსასმენად იკრებებოდა და მთელი მუშაობა ჩერდებოდა, სანამ ხალხი გულს არ იჯერებდა ლაპარაკით.

ყურეს ირგვლივ გადაშლილი იყო ველურობითა და სიუხვით ლალი ადგილები. მაგრამ ოლგა მხოლოდ ზღვას ხედავდა. იგი ოლგას დიდ, ნათელ და ვრცელ აზრებს უღვიძებდა:

უფრო და უფრო ხშირად ეჩვენებოდა, რომ მისი ცხოვრება მოკლებულია უბრალოებას და სრულიად არ არის პრაქტიკული, ხოლო ოკეანოგრაფია უაღრესად მშვიდი რამაა. ოლგას სურდა რაიმე მოეპოებინა, ეზიდა საქონელი, ემკურნალა ხალხისათვის და საერთოდ ისეთი რამ ეკეთებინა, რის დატრიახებაც მოუხრიდებლად შესძლებოდა.

საყვარელი საქმე კი, ისეთი საქმე, რასაც შეიძლებოდა მტლად დასდებოდა, ბევრი იყო. საკმაოა ერთი წუთით რითიმე დაინტერესდე, რომ სწორედ ის გეჩვენოს ყველაზე საინტერესო საქმედ ცხოვრებაში. მაგრამ ბოლოს და ბოლოს რაიმე უნდა აერჩია. და ივნისში ოლგა პრაქტიკანტად მოეწყო პროფესორ ზვიაგინის ჯგუფში: წავიდა ჩრდილოეთისაკენ, თათართა ყურეში, სადაც მთელი ზაფხული უნდა გაეტარებინა. ოლგამ მტკიცედ გადასწყვიტა, გადაეყირავებინა თავისი ოკეანოგრაფიის აკადემიზმი. ეს ოკეანოგრაფია გოგენის ტილოებით კაშკაშა იყო, მაგრამ ზოგჯერ მათსავით გაუგებარი და უსარგებლო ხალხისათვის.

3

მაისში დაწყებული წვიმა ჯერაც არ შეწყვეტილიყო. ფიქრობდნენ, სექტემბერში გამოიღარებოდა. ფერდობებიდან დაძრულ ბელტებს თან მოჰქონდა ბალახი. ხილები წყალს ველარ იჭევდნენ. მათ ქვეშ გაჯავრებული კრუხუნით დაძვრებოდნენ სველი თეთრი დალლები, აბურძგნულ ფრთებს ძლივს მიათრევდნენ მიწაზე.

მაგრამ რაც ხანი გადიოდა, მით უფრო თბებოდა და მსხვილდებოდა წვიმა, დღითი დღე მძიმდებოდა მისი წვეთები, თითქოს მზის წვენით იჟღენთებინაო. წვიმის შესაგებებლად მიწიდან თავს

ჰყოფდა ბალახი, იწევდნენ ზევით ყვავილები, მინდორი მცენარეულთ იფარებოდა.

გორაკები ბაზარში გამოტანილი ქოთნებივით იყო შეფერადებული სხვადასხვა საღებავით. ყვავილების ზღვა მოსავდა მათ მტრედისფრად, იისფრად და ვარდისფრად. გუნდ-გუნდად ჩნდებოდნენ თეთრი, მოიისფერო ყვავილები, ერთმანეთს შორის ინაწილებდნენ გორაკებს და გულმოდგინეთ ღებავდნენ მათ პიონების, მთის შროშანების, ყაყაჩოების ასმეტრიანი ლაქებით, — ზოგან თეთრად, ზოგან ლურჯად, ზოგან კი მათი გიჟი მღებავის ფუნჯი ერთმანეთში ურევდა ყველა სახისა და ფერის საღებავს. ბალახი ჰაერშივე ისრუტავდა წვიმას და ერთბაშად ჰყოფდა თავს ყოველი პატარა გუბის ირგვლივ, სიმაძღრისაგან იზნიქებოდა, ზევით და ზევით მიიწევდა, სისქეს იმატებდა, ფოთლებს იმსხვილებდა, ფესვებს იმაგრებდა.

მულამ გამხმარ ბებრუხანა აბზინდას მზესუმზირაზე მალლა ეჭირა თავი, ვაცისწვერა სილამაზითა და სიმარჯვით ჩაგრაედა ლერწამს. ყველა ერთად იზრდებოდა და იბრძოდა: ვაცისწვერა ცულერწამიც, მთის შროშანაც. გაზაფხულის ამ ბობოქარ ომს ვერაფრით ვერ შესჩვეოდა ლუზა, თუმცა მრავალი წელიწადია უკვე ხედავდა მას.

მაგრამ წვიმა გადაუღებლად უშხაპუნებდა. სულ სხვადასხვაგვარი იყო იგი: ხან ნელი და წვრილი, როგორც მუმლი; ხან ხშირი და მსხვილი, როგორც გამჭვირვალე კენკრა, და ამ წვიმების შესაგებებლად მიწიდან დაუცხრომლად ჰყოფდა თავს ბალახი. წარმოუდგენელი იყო მიწისქვეშ, თესლში გაბნეული მისი სიუხვე. თითქოს ბუზის დასაჯდომი ადგილის ნასახიც, პაწაწა წერტილიც კი აღარსად სჩანდა. მაგრამ აი სქლად დაფენილ ბალახში თავი წამოპყო უნახავმა, არაჩვეულებრივმა ყვავილმა. ვერც კი მოასწრო მზეზე თავის ამოყოფა, რომ მყისვე აჩალებს ბრძოლას მეზობლებთან, სთელავს მათ და საჩქაროდ იფურჩქნება, ან უეცრად ჰქრება: ძლიერთა მიერ დამარცხებული, და საბოლოოდ სტოვებს დაუნდობელი ბრძოლის ასპარეზს.

ყველაფერი გიგანტური იყო იქ — ყველა მკვეთრი საღებავებით შემკული, ყველა ახოვანი ჯიშისა, ყველა ფესვმაგარი, — გოლიათები და გმირები მცენარეთა შორის.

ეს იყო ნამდვილი ყვავილები, ისეთები, როგორც უნდა იყვნენ ისინი.

როდესაც უკანასკნელ, უკვე შეთხლებულ და ნაფლეთებად ქცეულ ღრუბლებიდან უკანასკნელი წვეთები ეშვებოდა, ჰაერში გაბედულად ატყორცნილი ყვავილივით გაჰქროლა დამშეულმა ფუტკარმა. იგი ნელა ბზუოდა, ყუმბარმტყორცნელივით, და ძირდაუშვებლად, ზემოდან უვლიდა გარს თავის მინდვრებს. ჯერ არც კი მიყუჩებულიყო პირველი მზვერავის ბზუილი, რომ ზღვა ფუტკარის ზრიალმა გორაკების თბილ ჰაერი გააყრუა. ფუტკარი ნისლივით ედებოდა ჰაერს, და შემოდგომამდე აღარ შეწყვეტილა მისი ხმა. მაგრამ უცნაური იყო, რომ თაფლი არსად სჩანდა და ეშმაკმა უწყის, სად იმალებოდა ფუტკარი და ვინ იყო მისი პატრონი!

ახლა წვიმა უფრო იშვიათად უშხაპუნებდა, და გაჩაღდა თიბვა.

ამ ზაფხულს ლუზას კოლმეურნეობაში, „25 ოქტომბერშიაც“ კი მანქანით თიბავდნენ, და ასეთი გიჟური, მხიარული თიბვა არავის არ ახსოვდა.

უკვე არავედნენ ვეფხვთა ველის თიბვას და, როგორც ყოველთვის, ლუზა ტარასუკთან წავიდა. სტუმრად, რათა გამოეწვია მესაზღვრეები თივის აღებაზე დასახმარებლად.

სადარაჯოს აგურის სახლი მდინარის პირას იდგა. მდინარის იქით მდებარეობდა ჩინელთა პატარა ქალაქი. იგი ისე ახლოს იყო, რომ ჩინელ ზავშვთა ყვირილი წიწილებს აფრთხობდა სადარაჯოზე.

ლუზა მიდიოდა და გულგრილად გაჰყურებდა დიდხნის ნაცნობ უცხო ქალაქს, სადაც ის ათასჯერ ყოფილა და სადაც არაფერი დაწყობილ-დალაგებული არ უნახავს. მდინარის ნაპირზე სეირნობდა ორი ქალი სოსანისფერ ხალათებში. ბუჩქებში, ზედ საზღვარზე, ქათმები მიწას ქეჩავდნენ. წყლის სამი მზიდავი ხმამაღლა ლანძღავდა მებაღე ვან სიუნ-ტინს, რომელიც მშვიდად აბოლებდა ჩიბუხს. მან დაინახა ლუზა და გაღმიდან მიესალმა.

— ეტყობა, კვლავ წაასწრო, — სთქვა ლუზამ, რომელიც მეორე სართულზე ტარასუკთან ადიოდა. — რა ძუნწია, ეგ ქოფაკი!

— ვან სიუნ-ტინი? — ჰკითხა ტარასუკმა. მისი ფანჯრიდან ამ პაწაწა გაფიცვის ეპიკური სურათი ჩინებულად მოსჩანდა. — მეტად უსინდისო ძუნწია, მაგრამ შესანიშნავი მებოსტნე კი არის. ფან-

ჯრიდან ვხედავ, რასაც აკეთებს და მაშინვე ვბაძავ. პირუტყვი კი არ უყვარათ, — სთქვა ტარასუკმა და მუითითა საძოვარზე ქალაქის მარჯვენა მხარეს, — კატის ჯიშის პირუტყვი ჰყავთ.

— მაგათ რომ სისტემა აქეთ, სჯობს პირუტყვის მაგიერ თითონ ხნავდე. გუშინ სწორედ ამ ვან სიუნ-ტინმა ორი ქალი გამოიყვანა, კავში შეაბა ვირთან ერთად და შუღვა მიწის ჩიჩქნას. წელში მოკაკვილები, ძაღლებივით მიათრევდნენ კავს, თან დალილინებდნენ კიდეც.

— საინტერესო სააგიტაციო მასალაა ჩვენებისათვის, — სთქვა ტარასუკმა, ხელში ღურბინდი აიღო და ჩაფიქრებულმა გახედა ქალაქს იქით მდებარე ბორცვებს.

ლუზას ღურბინდი არ სჭირდებოდა. მანაც იქითკენ გაიხედა. მცოდნე კაცის შინაგანი ხედვით მან ერთბაშად შენიშნა არაჩვეულებრივი ფუსფუსი ქალაქში.

— რას იტყვი? — ჰკითხა ტარასუკმა. იგი ლუზას მიაჩერდა და ღურბინდი გადასცა.

— დიალ, დიალ... დიდიხანია შენიშნე?

— გუშინ.

— დიალ, დიალ...

— ეტყობა, იმედი არა აქეთ, რომ იერიშით წაიღონ რამე ჩვენგან. დაცემაზე გადადიან, — სთქვა ტარასუკმა. იგი გაპყურებდა მშენებლობაზე მომუშავე იაპონელთა შავ ფიგურებს.

— ასეა, — ამოიხენემა ლუზამ, — ნათქვამია, ნუ ეჩრებიო.

ჯერ კიდევ დილა იყო. მაგრამ სადარაჯოდან შინ მიმავალ ლუზას იგი ნაადრევ საღამოდ მოეჩვენა. ასე მოგვაპარება სიბერეც — მოულოდნელად. დღეს ლუზას აბრაზებდა გაღმიდან მოსალოდნელი საფრთხე. ყოველ წუთს ტენიდა თავის ჩიბუხს, ეწეოდა, კვლავ ტენიდა.

მაგრამ ჯერ კიდევ დილა იდგა. ფუტკარი ზუილით ეჯახებოდა შეშუპულ, მოუქნელ ყვავილებს: დახვავებული ჭრელი ღრუბლები მზეს ფარავდნენ, მზე გაჩხირულიყო მათ შორის. თვალნით სჩანდა ჰაერში გაბნეული სიციხის თაფლისებური ნაკვალავი, იგი ნელა ეშვებოდა მიწაზე უსათუთესი ლითონის წკრიალით, რომელიც ცაყადების ხმას მოგაგონებდათ.

ლუზა მდინარეს მისდევდა, მიდიოდა სადარაჯო ბილიკით. ქვეყანა მის ფეხებთან თავდებოდა. არასოდეს ისე ცხადად, როგორც დღეს, არ უგრძენია, რომ მიდის არა ოლქის, არა თავისი რაიონის მიწა-წყალზე, არამედ დედამიწის სფეროზე, და ღელავდა.

აი ეს ხაზი, რომლითაც ის მიდის, აღნიშნულია მსოფლიოს ყველა რუკაზე. აქ არ არის არც სოფლები, არც ქალაქები, არც სახნავ-სათესი. მიწა ცარიელია.

მაგრამ, როდესაც მასზე დგებარ და ხედავ, რომ ამ პატარა მდინარის, გზის თუ ბუჩქებისა და ქვების ხაზს იქით იწყება არა ჩვენი, არამედ სხვისი მხარე, ორმოცდაათი მეტრის მანძილზე კი სდგას სხვა ქვეყნის გულმოდგინედ მოთვალთვალე მესაზღვრე, ხოლო მის ზურგს უკან გადაშლილან არა ჩვენი, არამედ სხვისი სოფლები, სადაც სხვანაირი ცხოვრებაა, მაშინ ისე გეჩვენება, თითქოს იქითა მხარეს ყველაფერი უცხოა — ღრუბლებიც სხვანაირია, ჰაერიც სხვაგვარი, და საზღვარს მიკრული შენი მიწის ვიწრო ზოლი უძვირფასესი ხდება შენტვის. მასზე ყველაფერი საყვარელია, ყველაფერი მნიშვნელოვანი.

და ლუზას შეებრალა თავისი მიწა, რომელზედაც მრავალი წელიწადია სდგას საზღვრის ცოცხალ სვეტივით.

ცოლმა უთხრა ლუზას:

— ვან სიუნ-ტინმა შემოიარა, იკითხა, როდის იქნები შინ.

გვიან საღამოთი ვან სიუნ-ტინმა ფანჯარა დაუკაკუნა.

— ცუდათაა საქმე, ვასიკა, — სთქვა მან: — იაპონელი საზღვარზე ცემენტს ეზიდება.

— მოუწოდეთ პარტიზანებს, — უთხრა გაჯავრებულმა ლუზამ. — რაშია საქმე? თქვენ, ეშმაკის კერძებო, კიდევ ორას წელიწადს გაზიდინებენ წყალს.

— ვერ მოუწოდებთ, — უპასუხა ჩინელმა, — პური ცოტა გვაქვს... სამი დღით ხერხი მათხოვე.

— წაიდე, ერთი რამ დაიხსომე: ღამ-ღამობით ეხლა ჩვენს მხარეზე ნუ გადმოდიხარ. თუმცა ჩვენი ხარ, მაინც უმჯობესია დღისით მოხვიდე ხოლმე.

— ეე, — გააგრძელა ვან სიუნ-ტინმა, — მე ხომ ოფიცერი არა ვარ, მე ბოლოკი მომყავს, ბოსტანს ვუვლი, მე მუშა-გლეხი ვარ.

— ღამ-ღამობით თუ დაიწყებ ხეტიალს, პასპორტის ამოღება-საც ვერ მოასწრებ: ძაღლები დაგგლეჯენ.

ამ ღამესაც აუშვეს ძაღლები, ხოლო სახანძრო ფარდულის უკან, ზართან, დარაჯი დააყენეს.

წყალ-გაღმა, გორაკებთან, სწრაფად მიდიოდა მშენებლობა. ჩნდებოდა შენობები. სამ მწკრივად გაიქიმა ეკლიანი მავთული. პატარა მდინარის ფონთან, სადაც ერთი კვირის წინათ ბავშვები ბანაობდნენ, უკვე იდგა იაპონელი გუშაგი; თეთრი გეტრებით.

ახლა შეუძლებელი იყო გაღმიდან გადმოსვლა ჩვენს მხარეზე „ტორგსინში“ ნათვისა და მარილის სასყიდლად. ფანზაზე,¹⁾ სადაც „ტორგსინი“ იყო მოთავსებული, ჯერ კიდევ ეკიდა დიდებული ჩინური პლაკატი: „მარილი და ნავთი ყველას, განუსაზღვრელად და შეუწყვეტლად მთელი დღის განმავლობაში“. მაგრამ ფანზის კარები გამოკეტილი იყო, ხოლო მის წინ იწვა მგელზე მონადირე ქალარა მელანქოლიური ძაღლი.

— დაგიხურეს, შურკა, ბაზარი? — ეკითხებოდნენ გამგეს.

— სხვა ასორტიმენტია, — ამბობდა ის ორჭოფულად.

ღამ-ღამობით გაღმა მხარეს მოუსვენარი შუქი ელავდა ცაზე. არავინ იცოდა, რა იყო: კოცონის ალი, ავტომობილის გზის მძებარი შუქი თუ მძაფრად ძირს დაშვებული პროექტორის სხივები.

ველზე წასვლის დროს დედაკაცები წელზე ფალასკას ირტყამდნენ, მხრებზე ფილთა თოფებს იკიდებდნენ, ხოლო მამაკაცებს შარვლის ქამარზე ნაგანები ჰქონდათ ჩამოკიდებულნი.

ივნისში კვლავ ჩამოვიდნენ სტუმრები — მოსკოველები. მათ ახლდნენ, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები; შერშავინი და გუბერი. უფროსი ჩამოსულთა შორის, მალა-ლი, მოღუშული კაცი, ჩაწყლეტილი ცხვირით და ორად გაყოფილი ნიკაპით — ზვერიჩევი, მიესალმა ლუზას და უთხრა;

— ჩამოვედით, რომ ჩაგკეტოთ ბოქლომით. დასავლეთით ჩავეკეტეთ, აქაც ჩაგკეტავთ.

— ძალიან საინტერესოა, როგორ ჩავეკეტავთ სინათლეს, — მიუგო ლუზამ.

1) ფანზა — ღარიბი ჩიჩლის საცხოვრებელი, თიხის ან ქვისა, კრამიტით გადახურული, მწის იატაკით და ლურჯმის კარით.

— სინათლეს ხელს არ ვახლებთ, მიწასა და ჰაერს კი ჩავეკეტავთ.

— ჰაერს? ვნახოთ. გაგონილი გვაქვს.

— ისეთ რამეებს ავაგებთ, რომ ფრინველიც ვერ გადმოფრინდეს, თვითმფრინავმაც ვერ გაიკვლიოს გზა.

— სულ ათი კაცი იყო. ეახშომობისას ლაპარაკობდნენ საფრანგეთზე, უკრაინაზე, ახალ მორალზე. გაიხსენეს ნაცნობი ქალები. დივიზიის მეთაური გუბერი წარამარა აწყვეტინებდა მათ საუბარს:

— მგონი დავიგვიანეთ, — და მუშტს სცემდა მაგიდას. — ვერაფერს ველარ მოვასწრებთ. ამოდ დაეკარგეთ დრო.

— რა დაემართა? — ჰკითხა ლუზამ შერშავინს.

— რა უნდა დამართნოდა: რაც უნდა იყოს, გამაგრებული რაიონის უფროსია, — უპასუხა მან. — გამოგზავნეს აქ, როგორც ციხე-სიმაგრეში. ჩამოვიდა და რას ხედავს: ცარიელ მინდვრებს, არც ერთი აგური. ნერვიულობს.

— განერვიულდება, მა რა მოუვა, — თანაგრძნობით წარმოსთქვა ლუზამ. — ინჟინერი მხოლოდ იცინის, ჰაერის დაკეტვით იმუქრება.

— მაგას კი მოახერხებს. — სთქვა შერშავინმა.

გუბერი წამოდგა.

— მე, ამხანაგებო, სრულიად არ ვიზიარებ თქვენს ოპტიმიზმს. საფორტიფიკაციო¹⁾ სამუშაოები სერიოზული საქმეა...

— გავგაგებინე. რა გინდა? — დაიყვირა ზვერიჩევმა. — აგიშენებ შენი სიმაღლისა და მოყვანილობის შესაფერ გამაგრებულ რაიონს. განა, მაგისტანები გავაკეთეთ დასავლეთით!

— არ მჯერა თქვენი ოპტიმიზმი, ამხანაგო.

— ეგ, ჩემო მეგობარო, შენს კომისარს უთხარი. გინდა დაიჯერე და გინდა არა, ჩაბარება დეკემბერში უნდა მოხდეს. გეუბნები, როგორც ძველი თერძი.

— სხვათა შორის, მართლაც ძველი თერძია, — უთხრა შერშავინმა ლუზას, — დღემდე თვითონ იკერავს შარვალს.

გათენებას ერთი საათი აკლდა, როცა სტუმრები დასაძინებლად დაწვნენ. არ დაწოლილა მხოლოდ ზვერიჩევი, იგი თავის უბის წიგნაკს ჩაუჯდა. გულზე ეკიდა ნაპირბმემოცვეთილი წითელი დრო-

¹⁾ საფორტიფიკაციო სამუშაოები — სამხედრო-საინჟინერო სამუშაოები ადგილებისა და ციხე-სიმაგრეების გასამაგრებლად.

შის ორდენი. ზვერიჩევი რაღაცას კითხულობდა, უსტევენდა და დილინებდა. გათენებისას დაუკითხავად ხელი შეჰყო ღუმელში, ჩაიდანნი გამოიღო, სამი ჭიქა ცივი ჩაი დალია და მხიარული მთქნარებით, თითქოს დიდხანს ეძინაო, თვალი ჩაუკრა ლუზას:

— ავაშენებთ. საკმაოდ სწრაფადაც ავაშენებთ, ამხანაგო თავმჯდომარე.

— სიმაგრეებს?— ჰკითხა ლუზამ.

— Etwas!.. რაღაცას! — სთქვა ინჟენერმა და ჰაერში ხელი გაიქნია.

— დიდი დრო უნდა, ჩვენი მიწა-წყალი უდაბურია, დაცარიელდა.

— მინდოდა გამეფრთხილებინე, ამხანაგო თავმჯდომარე, დიდი დავიღარაბა დაგატყდება თავს... ბევრი ხალხი მოაწყდება ამ ადგილებს, ოჯახობით, ბავშვებით, ხურდა-მურდით. რამენაირად უნდა... რაც მთავარია, ხელი მოჰკიდებ ღორებს. ღორები გიხსნიან, თორემ თვითონ შენ შეგჭამენ.

— სამი წელი ხომ დასკირდება?— ჰკითხა ლუზამ, თან ტანისამოსს იხდიდა, ღორებზე ნათქვამს კი ყური წაუყრუა.

— ნაბრძანები გვაქვს ზამთრისათვის, ზამთრისათვის, ამხანაგო თავმჯდომარე, — მხიარულად უპასუხა ინჟენერმა, ჩექმები ჩაიცვა და კვლავ გაახსენა ღორები.

დილით ცხენზე მჯდომმა ტარასუკმა ქონის ფანჯარა დააკაქუნა.

— ახალი ამბავი, — უთხრა მან ლუზას, — პარტიზანთა მამასახლისმა დილით გაღმიდან სალამი გამოგიგზავნა.

— რომელმა?

— მგონი, იუ-შანი ჰქვია. სწორედ ის ახალგაზრდა, შენთან რომ კარავში მოვიდა.

— როდის დაიწყებენ? ხალხი ჩივის — იაპონელები ძალზე გავიწროებენო.

— უნდა ვიფიქროთ, რომ შემოდგომაზე შეუტევენ, — სთქვა ფიქრებში წასულმა ტარასუკმა.

ს ე ქ ზ ე მ ბ ე რ ი

მოსჯილიან აღმოსავლეთისაჲგან
ათი თვითმჯუზინაჲ მიჰქრთდა.

I

ქვეყნად ცოტაა ნაპირი, შორეული აღმოსავლეთის ნაპირების მსგავსი. უთვალავი ყურეებისა და უბეების ზოლით ესაზღვრება. საბჭოთა კავშირი იაპონიის ზღვას, იგი არა ჰგავს პოეტების მიერ დახატულ სურათებს, რადგან იქ ნისლია, წვიმა და ქარი.

მისი სილამაზე უბრალო თვალთ უხილავია, მხოლოდ წარმოდგენა შეიძლება.

ასეა ძველ იაპონურ პეიზაჟებზე გამოხატული მომხიბლავი წვიმა და ნისლი, რასაც მხატვრული ტილოს შვიდი მერვედი უჭირავს, და მხოლოდ სადმე, სურათის კუთხეში ჩინებულად გამოყვანილი კაცუნები და მოღრეცილი ფიჭვის ხეები გარწმუნებენ, რა წარმტაცი და გასაოცარი მთელი ბუნება, მას რომ ნისლი არ ფარავდეს.

იქ ყველაფერი, თვით ხელოვნებაც, წვიმის ნაშობია, უწვიმოდ წარმოუდგენილია იაპონელთა ყოფა-ცხოვრება: ფერწერა გადაეჩნევა შორს ხედვას, ხოლო თუ ზოგჯერ ხედავს, ისე პირობით, თითქოს ნახევრად თვალდახუჭული იცქირებაო.

მხატვრები მხოლოდ მიხვედრით ასახავენ მთელს. წყეულმა ნისლმა დაუქარგა მათ რეალობის რწმენა.

იაპონიაში ყველაფერი შეფარებულია წვიმასა და ნისლთან.

იაპონური ლაქი, ხეს რომ ლპობისაგან იცავს, წვიმიან ამინდს ითვალისწინებს. იგი გვაგონებს დაფნის ფოთოლს, წვიმისაგან გაბრწყინებულს. ეს ლაქი გამოგონილია იმისათვის, რომ წყალი სწრაფად მოშორდეს კედელს, რომ ლაქქსამული წითელი ხისაგან ნაგები ტაძრები უფრო დიდებულად გამოიყურებოდნენ წვიმაში,

ვიდრე მზეზე. ლაქი გამოგონილია წვიმიანი პეიზაჟების შესალამაზებლად. იგი ერთად-ერთი მშრალი წერტილია სველ, ბუნდოვან, ნესტიან სამყაროში.

წვიმისათვის არის გათვალისწინებული ძველი იაპონური ფეს-საცმელიც—გეტა, ხის ფლოსტები მაღალ შესადგამებზე, ქოლგებიც, ჩალის სოფლური მოსასხამებიც, სახლებიც. წვიმასვე ეგუებიან ჩვეულებანი.

იაპონიის ზღვა შფოთიანია, მაგრამ ამ ზღვამ ჩვენს ნაპირებში დაკლაკნილი და წყნარი უბეები გამოთხარა. ყურეები ტბებს მოგაგონებენ. იალქანი ზღვაზე რჩება გვიან შემოდგომამდე. მთელი ზაფხულის განმავლობაში დგას დამძალი თევზის სუნი ნაპირებზე, სარეწაეობსა და ბანაკებში, სანამ მას არ შესცვლის უშმო-რებულ წყალმცენარეთა სუნი, რომელსაც დეკემბრის ქარიც კი ვერა სპობს.

ზღვა შრომისმოყვარე და ნაყოფიერია. აზიური დაეინებით სთხრის იგი ახალ უბეებს, ჰკვებავს უამრავ თევზს და აჩენს ფსკერზე წყალმცენარეთა ათასვერსიან მდელოებს,—და თევზისა და წყალმცენარეების სუნი, როგორც ზღვის შრომის ოფლი, ზამთარ-ზაფხულს დგას ხალხით სავსე ნაპირებზე.

ივლისში ოლგა ზვიაგინის ექსპედიციას გაჰყვრ.

სამუშაოს თემას შეადგენდა შორეული აღმოსავლეთის ფლორის¹⁾ სახეობითი შემადგენლობის შესწავლა და წყალმცენარეთა რუკების შედგენა.

ივლისის დამდეგს მთელის ძალით, თუმცა მცირე ხნით, გაიშალა ზაფხულის მშრალი დღეები. ცხოვრებას თავს დაადგა ორი ჩრდილი—მოოქროვილ-მტრედისფერი და ოქროსფერ-ლურჯი, ცისა და ზღვის ჩრდილი.

ფრინველების თანხლებით ჩრდილოეთისაკენ მიეშურებოდნენ თევზის ქარავნები. იალქნების ფრიალით მათ კვალ და კვალ მიჰქროდა მეთევზეთა ფლოტილია. მეთევზეებს მისდევდნენ ექსპედიციები. მაგრამ ექსპედიციები მარტო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არ მიეშურებოდნენ, ისინი ჩრდილოეთიდანაც ეშვებოდნენ ან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიდიოდნენ, იკვლევდნენ

¹⁾ ფლორა—ერთად აღებული ყველა მცენარეული.

ზღვას, მთებს, ტაიგას, თევზს და იქაურობას ხალხთა იშვიათად დასახლებულ პუნქტებს.

ოღმა მოხვდა პატარა იალქნიან გემ „ჩაიკაზე“. სამუშაო უზომოდ რომანტიული იყო. ფრინველებივით მზის ამოსვლამდე დგებოდნენ, გარიჟრაჟზე ვარჯიშობდნენ და ათასგვარ ხმაზე მღეროდნენ.

დილის კოცონი არასოდეს ერთბაშად არ ჩაღებოდა. კოცონისათვის ხმარობდნენ არა შეშას, არამედ ნავთს, ამიტომ იგი ერთს დაიფრუტუნებდა, მერე იფეთქებდა და აქეთ-იქით გადაჰყრიდა ჩაიდნებსა და ქვაბებს.

დილიდანვე ნავებით მიდიოდნენ ზღვაში და დაბინდებამდე ჩიჩქნიდნენ ფსკერს, არკვევდნენ და იწერდნენ წყლის მდინარებას, ამოჰქონდათ წყალმცენარეები, ზომავდნენ სიღრმეს. წყალქვეშა ველები გაჭიმული იყო თითქმის მთელი ნაპირის გასწვრივ. ზოოსტერა, ანფელცია, ფილოსპადიქსი, პტილოტა, ალარია, დესმარესცია, ფუკუსი, ხარდარია, პორფირა¹⁾ და მრავალი სხვა განსოცარი სახელწოდება ძველი დროის ღმერთებისა და გმირების სახელებს აგონებდა კაცს.

ცხოვრება ისე მიმდინარეობდა, თითქოს ბავშობის ხანას იმეორებდა. შრომა თამაში იყო ანუ, უფრო სწორად, გატაცება, მას სწირავდნენ თავიანთ თავს მთლიანად. საქმიანი ენტუზიაზმით გატაცებულებმა სცადეს წვენი და მზადებაც კი ზღვის კომბოსტოსაგან, მაგრამ მისი ჭამა შეუძლებელი იყო.

— მეტად მდიდარია ვიტამინებით, — ამბობდა იმედგაცრუებული ზვიაგინი გასინჯვის შემდეგ, — მაგრამ გემო საშინელი აქვს.

საქმე ბევრი იყო. აღმოჩნდა, რომ ოკეანოგრაფია მეტად მებრძოლი მეცნიერებაა და მისი ტევადობა თითქმის უსაზღვროა. ახალგაზრდები სარეწაოებში გამოდიოდნენ მოხსენებებით წყალმცენარეებზე, ვიტამინებზე, საერთოდ კვებაზე და ყოფა-ცხოვრებაზე, რევიზიას უკეთებდნენ სასადილოებს, ხოლო სარეწაოების ღირებულებას უხსნიდნენ მდინარებათა და ქართა კანონებს. ერთ ადგილას კლუბი გახსნეს, მეორე ადგილას ანგარიშის შედგენაში დაეხმარნენ

¹⁾ ზოოსტერა, ანფელცია, ფილოსპადიქსი და სხვა — სხვადასხვა სახის წყალმცენარეებია.

თანამშრომლებს, მესამე ადგილას მხარეთმცოდნეობის ბიურო შექმნეს, მეოთხე ადგილას მათთან მიიღბინა საბჭოს თავმჯდომარემ, ყოფილმა წითელარმიელმა; თხოვნით—ეცნობებინათ მეცნიერებათა აკადემიისათვის, რომ მან ნავთი აღმოაჩინა. საბჭოს თავმჯდომარემ მათ წერილი გადასცა:

„მეცნიერებათა აკადემიის თავმჯდომარეს, ასლი რაიკომს.

თქვენი მეცნიერული შეკითხვის პასუხად ამასთან ერთად გიგზავნიტ ერთ ლიტრ ჩემს მიერ აღმოჩენილ ნავთს. არ შემიძლია სიტყვებით განვმარტო, როგორია იგი“.

ტერნის უბეში ოლგას ზარეცკები გაახსენდა და ჩასვლისთანავე შეიბრინა მათთან.

იქ დახვდა შლეგელი—გამხდარი, გაუპარსავი, წელში მოხრილი. მასთან იყო ვიღაც უცნობი, პატარა არწივისებური სახის კაცი.

იგი სულ იღიმებოდა და დამცინავად გამოიყურებოდა, ფრთხილად, თითქმის უხალისოდ შეექცეოდა საქმელს და სუფრის ქვეშ მალავდა თხელ, ქუქკიან ხელებს. მისი საზაფხულო წითელარმიული შარვალი ისე ბზინავდა, თითქოს ტყავისა ყოფილიყოს, მაგრამ ქურთუკი წესიერი ჰქონდა, თუმცა ცხადად სჩანდა, რომ ვიწრო იყო...

— ჩვენ მაგაზე დიდი რამეებიც აგვიშენებია, მოქალაქე ზარეცკი;—ამბობდა ის, როდესაც ოთახში შესულმა ოლგამ ზარეცკისაკოცა და მასაც ხელი გაუშვირა. ის სწრაფად და მარჯვედ წამოხტა, შეხედა შლეგელს, მერე გვარის დაუსახელებლად თავაზიანად ჩამოართვა ხელი ოლგას და დაბლა თავი დუკრა.

— არ ელოდით, რომ მნახავდით?—ჰკითხა შლეგელმა.—მგონი, ერთხანს კიდევ ვიცოცხლებ.

ზარეცკიმ მაგიდასთან დასვა ოლგა და მოგვიანებით უპასუხა გამხდარ კაცს:

— მერე რა, რომ აშენებდით... სხვადასხვა საქმეს ედებოდით...

— სწორედ მაგრეა და ყოველთვის კარგად ვაკეთებდით.

— შემოწმებაა საჭირო, — ჩაიციინა ზარეცკიმ. — ნუ გეწყინებათ, მე პირში მთქმელი კაცი ვარ. თვითონ გესმით...

— არა, მოქალაქე ზარეცკი, არ მესმის...

შლეგელმა ყველას თითო ჰქიქა არაყი დაუსხა და ჰქიქა ჰქიქას მიაკატუნა.

მოხუცმა ტუჩზე იკბინა, თავი დაუკრა დამსწრეთ და დალია.

— კარგი, გაგაფორმებთ ჩემთან, — ზანტად და უგულოდ სთქვა ზარეციმ, — ენახოთ.

— როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ? — ჰკითხა შლეგელმა გამხდარ მოხუცს.

ის წამოდგა, ხელსახოცი დაკეცა და არავისთვის არ შეუხედნია, ისე წარმოსთქვა:

— გთხოვთ, ძველ მდგომარეობაში დამტოვოთ. აქ მუშაობა არა მსურს. აქ არავინ არის, რომ შემამოწმოს. შეიძლება წავიდე?

— წაბრძანდით, — უთხრა შლეგელმა.

მოხუცმა ყველას ერთად თავი დაუკრა და გავიდა ისე, რომ არავისათვის ხელი არ გაუწოდებია. იგი ფრთხილად ადგამდა დიდ, მისი ფეხებისაფრის შეუფერებელ ჩექმებს.

— ვინ არის? — იკითხა ოლგამ.

— აა, საინტერესო ტიპია. ათი წელი სასჯელის უმაღლესი ზომის ნაცვლად. ახტირსკი. წმინდანია ტრანსპორტის ინჟინერთა შორის.

— გამოსწორება ეტყობა?

— შეიძლება გამოსწორდეს.

— მაგრამ არამზადაა, — შენიშნა ზარეციმ და მრავალმნიშვნელოვანად შეხედა შლეგელს.

— სამაგიეროდ მუშაკია. შენ ასეთივე არამზადები სხვებიც გყვანან, მაგრამ საშინლად ზარმაცები არიან.

— პირობები, პირობები! — ხმამალლა წარმოსთქვა ზარეციმ. — ისეთი პირობები შემიქნეს, ჩემო ძვირფასო, რომ კარგად მუშაობა შეუძლებელია. თვითონ მიკვირს, ასეთ პირობებში რატომ ყველამ არ მიმატოვა...

— ხელსაყრელია და იმიტომ არ მიგატოვეს, — შეაწყვეტინა სიტყვა შლეგელმა, — შენ ფიქრობ, რაკი უწესრიგობაა, იგი არავის არ მოსწონსო. შენთან უწესრიგობის მოყვარულები სხედან.

— ეგ თქვენი პროფესიული ექვიანობის შედეგია, — შენიშნა ოლგამ.

— სისულელეა! ვერ ნახავთ ისეთ ოპტიმისტს, როგორც ჩეკისტია. ჩვენ ყველანი ძალიან მხიარული ხალხი-ვართ, ოლია. მერწ-

მუნეთ, სხვაფრივ ვერ გავძლებდით. მხოლოდ უდიდესი ოპტო-
მიზმი გვაფრთოვანებს.

სადილის შემდეგ ზარეცკის ცოლმა თვალი ჩაუკრა ოლგას და
თავის საწოლ ოთახში წაიყვანა.

— ოლია, კარგად იცნობ შლეგელს?—უთხრა მან.—გეთაყვა,
მოელაპარაკე, რას ერჩის ჩემს მოხუცს.

— შლეგელი აქ საქმეზეა ჩამოსული?

— ხომ იცი, ჩეკისტია. ეგენი ძილშიაც დაკითხვას აწარმოებენ.
ვინ რას გაუგებს მაგათ. ჩააცივდა სტეპანს—შენა ხარ და შენაო,
შენის მეოხებითაა ყველა ნაკლი, და საზოგადოდ ისე გამოჰყავს,
თითქოს მისი დაქრაც ჩვენს გამო მომხდარიყოს. ხომ იცი, შვიდი
წელიწადია ტაიგიდან თავი არ გამოგვიყვია.

— აბა, როგორ მოველაპარაკო?—სთქვა ოლგამ, იგი დააფრთ-
ხო დიდ და უცნობ საქმეში ჩარევის აზრმა.—თუმცა, ვეტყვი, ვკით-
ხავ,—დაუმატა ისე, რომ ზარეცკაიასათვის არც შეუხებდავს.—მაგ-
რამ რატომ დასჭრეს იგი თქვენი გამოისობით?

— აზრით ასე გამოდის. საქმე იმაშია, რომ სტეპანს უპასპორ-
ტო მუშები ჰყავს, მათ შორის ორი კორეელია. ჰო-და ჩაგვაცივდა,
ვინ არან, საიდან არიან, ვინ დაგროთოთ ნებაო. აბა, სად ნახავ აქ
პასპორტიანებს? მოსკოვი ხომ არ არის! გამობრძმედილთაც კი არა
სურთ ტაიგაში წამოსვლა...

ჩაის სმის დროს ოლგა ერთხელ კიდევ შეეკითხა შლეგელს,
რა მდგომარეობაშია მისი ქრილობა და შეიპყრეს თუ არა მსრო-
ლელი.

— ქრილობა არაფერია, შეპყრობის საშუალებას კი ამხანაგე-
ბი არ იძლევიან,—ცივად წარმოსთქვა მან.

— ტყუილ-უბრალოდ ცილს ნუ მწამებ, სიმონ არონოვიჩ,—
გულკეთილი სიცილით უპასუხა ზარეცკიმ.—შენ ოლონდ კანონი
დაიცვა და მეტს არას დაეძებ, აბა შეებრძოლე მიწას და ნახავ, რა
ბედენაცაა. კარგი, თანახმა ვარ, დავითხოვო,—აღელვებით წარ-
მოსთქვა მან.—მაგრამ გარღვევისათვის შენ აგვ პასუხი.

შლეგელი სდუმდა.

შემდეგ ჰკითხა:

— რამდენი წლისა ხარ, სტეპან?

— რაო, მოხუცი ვარ თუ?

— არა. არ გეტყობა, რომ მოწიფული იყო.

ასეთ პირობებში ოლგამ ვერ გაბედა ეკითხნა რამე, ამიტომ გამოთხოვებას შეუდგა.

შლეგელი ოლგას გაჰყვა ნაპირამდე გასაცილებლად.

— ზარეცკაიამ, ალბათ, უკვე დაგავალათ მომელაპარაკოთ, — უთხრა გზაზე ოლგას.

— მიხედრილი ხართ, რა მთხოვა?

— ვიცი, სისულელეა! ის ფიქრობს, რომ ზარეცკი გენიალური სამეურნეო მუშაკია, ნამდვილად კი ტუტუცია. არც სამეურნეო მუშაკია და არც... ეშმაკმა იცის, რა არის! მზიარული ტუტუცია და მეტი არაფერი. ტიპიური ტუტუცი.

— პატოსანი კაცია.

— ესე იგი არ იპარავს? ჰო, მაგ მხრივ პატოსანია. მაგრამ მთელი თავისი სიცოცხლე რომ ოცნებობს, ამას, თქვენის აზრით, რა უნდა ეწოდოს? მთელი სიცოცხლე ოცნებობს. სისულელეა და მეტი არაფერი. ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს ელოლიავებოდნენ როგორც განაწყენებულ გენიოსს. შემდეგ ოცნებობდა, რომ გამოცდილი, პირდაპირ უბადლო მშენებელია, მაგრამ მუშგლებინი ხელს უშლის გაბედულ კაცს. იგი მუშგლებინში გადაიყვანეს. მან წარმოიდგინა, რომ ქურდების სახელგანთქმული მამხილებელია და რომ ყველა, ვინც ერთ წელიწადს მეურნეობაში დაჰყო, არამზადა და გაიძვერაა. მაშინ იგი მეურნეობაში სამუშაოდ გაგზავნეს — აქ კიდევ გარღვევები აქვს, რადგან, ნუ იტყვით, თურმე სახპოლიტსამმართველო ვერ ჩასწვდომია მის დიად სულს.

ისინი ხელიხელ ჩაკიდებულნი მიდიოდნენ ვიწრო ბილიკით, ზღვის ნაპირის გასწვრივ. ნადრევი, მუქ-მწვანედ მოციალე საღამო იყო. ირგვლივ ზღვის თვალუწვდენი სივრცის სუნი იდგა. თვალწინ იშლებოდა დიდი ცა, ძირს გაწოლილიყო დიდი ზღვა, მარცხნივ ისახებოდა ძალუმი ტყეების ხაზი.

— ჩემთვის ეგ გასაგებია, — სთქვა ოლგამ. — გსურს აკეთო მხოლოდ უდიადესი საქმეები.

— დიად საქმეებს, ფეიქრობ, სპეციალობა არა აქვს, — უპასუხა შლეგელმა. — და, საერთოდ, ქვეყნად მე მხოლოდ ერთი კარგი სპეციალობა მეგულება. აი განსვენებული მამა თქვენი უნაკლოდ ჰვლობდა მას.

— რა სპეციალობაა?

— ის გასაოცარი რევოლუციური პრაქტიკოსი იყო ყველაფერში, რასაც ხელს მოჰკიდებდა. ყველგან ახალს ეძებდა, ხელს მაგრა ჩასჰიდებდა ხოლმე ამ ახალს, და, ვფიქრობ, ყველა მეცნიერებაში მას მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა— როგორ დაემარცხებინა თეთრები უმცირესი ძალის დახარჯვით. ვარვარა ილინიშნას სხვა სპეციალობა ჰქონდა— იგი გაიძულებდა გამსჭვალულიყავი რწმენით მისდამი. სჯეროდათ, რომ ვარვარა ილინიშნა შეასრულებდა ყველაფერს, რისთვისაც არ უნდა მოეკიდნა ხელი. რა არის დიადი საქმე? დიადი საქმე არის დიადი ხასიათი, გამოვლინებული კოოპერაციაში, ფიზიკაში, მეთევზეობაში, ომსა და ხელოვნებაში. შეიძლება იყო დიადი მეეზოვე და უნიჭო პროფესორი, ხომ?

— მაგრამ ადამიანები უნდა ოცნებობდნენ, შლეგელ. ვისაც არაფერი დიადი არ შეუქმნია, მას სხვაზე შეტი უფლება აქვს ოცნებოს დიადზე.

— ჩრდილოეთში, ოლგა, შეხედებით შოტმანს. ხომ იცნობთ? პატარა ჰალარა მოხუცია. ბებრუხანა, როგორც აქ უწოდებენ. აი— მეოცნებე! თუ შოტმანი გატაცებულია მუსიკით, იცოდეთ, სადღაც უკვე ამზადებს მუსიკოსს. როდესაც ის გატაცებულია არქიტექტურით, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ჩაბლაუჭებია ვილაციის სულს და აშენებს იქ. და აბა შეხედეთ, რამდენი ხალხი ახვევია გარს. მე თვითონ ლექსებს ვწერდი,— განაგრძო შლეგელმა და მორცხვად ჩაახველა.— მინდოდა სახელგანთქმული პოეტი ვყოფილიყავ, მაგრამ ერთხელ შევხვდი ახალგაზრდა ბრიყვს, რომელიც მუდამ სიყვარულზე წუწუნებდა... საზიზღარი თვალები ჰქონდა, გოქის თვალები, საძაგელი ჭუჭყიანი ხელები. აშკარად მოწადინებული იყო— მიეღო დიდი ჰონორარი თავის უფიც ლექსებში. ესაზმრებოდა გაკრიალებული ფეხსაცმელი და შნიცელი და არა დაფნის გვირგვინი. და მაშინ გავიფიქრე: მე და პოეტი? მე უნდა ვწერო ლექსები სიყვარულზე? მომავალზე? მე, მე? შიშმა შემიაყრო. როგორი სული უნდა გქონდეს ადამიანს, რომ ეს სავეძირო საქმე იკისრო. მას შემდეგ ჩეკისტი ვარ. იმიტომ კი არა, რომ აქ საჭიროა უფრო პატარა სული, არა, აქ სულ სხვაგვარი სული უნდა, უფრო მტკიცე, უფრო სუსხიანი. როდესაც თავს ვყოფ ჩემი კაბინეტიდან, სადაც ყველაზე ხშირი პატიმარი მე თვითონ ვარ, როდესაც თვალს ვაშორებ დამ-

ნაშავეებს, არამზადებს, იდიოტებს, მინდა ვიხილო, რომ ვილაც ჩემს მაგიერ ოცნებობდა, ვილაცამ ქალაქები ააგო, კარგი წიგნები დასწერა და შესანიშნავი წარმოდგენები დადგა, ჰპოვა ახალი გზა მეცნიერებაში,—მე მაშინ ლალად ვგრძნობ თავს, რამდენჯერმე ამოვიხვენეშებ ჩემი ლექსების განსენებაზე და კვლავ საქმეებს ვუბრუნდები. კარგად რომ ვიმუშაო, ჩემი ფანჯრის უკან მუდამ რაღაც სასიხარულო უნდა ხდებოდეს...

შლეგელმა გადააფურთხა, სული ამოითქვა და დაუშატა:

— მაგრამ მე არ შემძლია ორი დღე ვსვა ჩაი და ვილაყბო იმაზე, რომ დიდი სარდალი, გენიალური პოეტი ან მუსიკოსი ვიქნებოდი, დროზე რომ საქალაქო სასწავლებელი გამეთავებინა. ზარეცკის კი ცუდად აქვს მუშათა პასპორტების საქმე, მისი სამნეო ნაწილის გამგე ქურდია, ბარაკებში, ჭუჭყია, თვითონ მას მუდამ დორბლიანი ტუჩები აქვს, რადგან არ იცის ჩიბუხის მოწვევა.

შლეგელს ლაპარაკის დროს სული ეგუბებოდა და როდესაც ლაპარაკობდა, სიარულს ანელებდა. იგი ჯერ კიდევ ავად იყო.

ალარ ეტყობოდა შლეგელს ალარც ის სიკოხტავე, ალარც ის ტანმოქნილობა, რამაც ასე გააოცა ოლგა ვაგონში, მასთან პირველი შეხვედრის დროს.

თუ ჩეკისტს ჩექმები გაწმენდილი არა აქვს, ეს მისი ავადმყოფობის მომასწავებელია.

თუ ტანისამოსზე ღილი აკლია, ეს იმის მანიშნებელია, რომ რაღაც შეემთხვა.

გაუპარსავი, დაუდევრად ჩაცმული შლეგელი როგორღაც დამძიმებულ, მოუქნელ ადამიანად გამოიყურებოდა. გამხდარი სახე ხორკლიანი გეჩვენებოდათ, თითქოს პუდრი აქვს წაცხებულიო.

— თქვენ უნდა იწვეთ. დახუჭოთ თვალები და იწვეთ, არაფერზე არ უნდა იფიქროთ.

— ჩვენ ეგ არ შეგვფერის, ოლია. სიმშვიდე ჩეკისტს აფუჭებს. აი ვიწექი, შვიდი კილო მოვიმატე, შვიდი წლით მოვხუცდი. არა, არა,—სთქვა შლეგელმა სიცილით,—დასვენება ჩემი სპეციალობა არ არის, არ მეხერხება... მერე რამდენი ძალა მიაქვს დასვენებას! ჯანდაბას მისი თავი!

შლეგელი ცუდად იყო, თუმცა ცდილობდა მხნედ ყოფილიყო.

— ისე გამოიყურებით, როგორც ორმოცდა ხუთი წლის კაცი, — სთქვა ოლგამ.

— დიად, დიად, დიდხანს ვიწევი. ვიცი ჩემი თავის ამბავი, — კვლავ გაიმეორა შლეგელმა და სხვა თემაზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

შლეგელმა კიდევ დიდხანს არ გაუშვა ოლგა. დიდხანს ატარა დიდ, წყნარ ნაპირზე, ეკითხებოდა ექსპედიციასზე და მის მონაწილეებზე.

— თვითონაც წამოვიდოდი ჩრდილოეთში, მაგრამ არ შემიძლია. თუ რამე მოხდეს, მომწერეთ, — უთხრა მან გამოთხოვებისას. — პასუხს არ დაეყოვნებ. მერწმუნეთ, ჩინებულ წერილებს ვწერ. ცუდი პოეტები მუდამ კარგ წერილებს სწერენ.

ზვიაგინთან თავი მოიყარეს ჩინებულმა ახალგაზრდებმა, და ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ ოჯახი შექმნეს. ნაოსნობის დამთავრებაზე ისე ფიქრობდნენ, როგორც უბედურებაზე.

დიად, ოჯახი იყო. და ახალგაზრდობას ყოველივე კარგის არეგ-დარევის შიში რომ არა ჰქონოდა, რა თქმა უნდა, ყველანი დაქორწინდებოდნენ და ბავშვებთან ერთად იმოგზაურებდნენ, როგორც ბოშები.

25 სექტემბერს ზვიაგინი პირველი მივიდა ამურის ლიმანში.

ოლგამ მთელი ჯგუფი ზუევის აბანოში მოაწყო.

იქ უკვე იყო სტუმარი — ზუევის დისწული ოლიმპიდა, გასათხოვებლად ჩამოსული, ის უბრალოდ ამბობდა თავის თავზე:

— ერთი ხუთიოდე თვით გავთხოვდები, მივიხედ-მოვიხედავ.

ამურის ნიკოლაევსკში სრული მყუდროება იყო. ქალაქი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო ტაიგიდან და ზღვიდან. ორი კვირის შემდეგ მოელოდნენ ორას კაცს საბადოებიდან და საგამოკვლევო სამუშაოებიდან, და ფიქრობდნენ, რომ უამრავი ხალხი დაქორწინდება. ნიკოლაევსკელი ქალიშვილები ნერვიულობდნენ საღამოს ქუჩებში სეირნობის დროს. ელოდნენ შემოდგომას და მასთან ერთად საქმროებს ტაიგიდან.

სწორედ იმ დროს, როდესაც ოლგა ექსპედიციასთან ერთად ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა, ლუზამ მიხაილ სემიონოვიჩისაგან დეპეშა მიიღო — ეპატიებოდა გაპყლოდა მხარის სხვადასხვა ად-

გილის დასათვალისწინებლად. და თუმცა საზღვარზე უამრავი საქმე იყო, ლუზა გაეშურა მის შესახვედრად უსურვის ნიკოლსკში.

სალონ-ვაგონით, გამყოლის გარდა, სამნი მიემგზავრებოდნენ — მიხაილ სემიონოვიჩი, დავალებათა ამსრულებელი ჩერნიაევი და ლუზა. მაგრამ ეს მხოლოდ იღებოდა იყო. ნამდვილად კი ვაგონში, სულ ცოტა, ოცი თუ ოცდაათი კაცი ირეოდა. ისინი შემოდისდნენ პატარა სადგურებზე და სადგურიდან სადგურამდე ელაპარაკებოდნენ მიხაილ სემიონოვიჩს პურზე, სოიაზე, კადრებზე, და შემდეგ ჩადისდნენ ისე, რომ გამოთხოვებას ვერც კი ასწრებდნენ. მათ ნაცვლად სხვები შემოდისდნენ.

ვლადიმოსტოკში მზიანი და ქარიანი დილა იყო. ვაგონი ჩინში დააყენეს, თითქმის ზღვის ყურის ნაპირთან. ვაგონიდან მოსჩანდა გემები, მოისმოდა მტვირთავთა სიმღერა და ესტაკადის¹⁾ გრანიტზე ტალღის ჯახუნა. ჯერ აღრე იყო. ქალაქს ეძინა. კავშირგამბმელებმა ვაგონის ერთ კუთხეში ორი სატელეფონო აპარატი დასდეს და ვაგონი მსოფლიოს დაუკავშირეს. ჩერნიაევი, რომელსაც მტრედისფერი ბამბის ტრიკო ეცვა, ბოროტი ჩურჩულით ჩახახა მილში:

— ალო, ქალაქი, ალო!..

მიხაილ სემიონოვიჩმა და ლუზამ საჩქაროდ დალიეს ჩაი და ფეხით წავიდნენ ქალაქში. გზაზე უკვირდებოდნენ, როგორ ჰგვიდნენ ქუჩებს მეფხოვეები, როგორ აღებდნენ მაღაზიებს. შეიარეს ფოსტაში, საავადმყოფოში, გავიდნენ მილიონკაზე, სადაც ვიწრო ქუჩებში ქურდები და კონტრაბანდისტები ფუსფუსებდნენ, ხოლო კონდიტერები ნივრის სუნით გაჟღენთილ, რაღაც ტკბილეულს აცხობდნენ. შეაღეს კარები და შევიდნენ ჩინელთა ცარიელ თეატრში. სცენაზე სამხედრო ნაბიჯით დადიოდა რვა წლის ბავშვი, მოხუცი ჩინელი შორიდან თვალს ადევნებდა და ხრინწიანი ხმით რაღაცას უყვიროდა.

შემდეგ მოუსხდნენ საერთო მაგიდას ჩინელთა სასადილოში და ნავსადგურის მუშებთან და მათხოვრებთან ერთად შესჭამეს რაღაც ცხარე საწებელი, მომყავ-მოტკბილო და აყროლებული, და დააყოლეს თბილი, თითქმის ცხელი ლუდი.

¹⁾ ესტაკადა — ხომინჯზე დაგებული ფიტარნაგი გემების მისადგომად, რომელსაც მათ, წყლის მცირე სიღრმის გამო, ნაპირთან მისვლა არ შეუძლიათ.

მერე შეიქრნენ მზა ტანისამოსის ახლად გაღებულ მაღაზიაში და დიდხანს ირჩევდნენ სხვადასხვა ნივთებს. დილის ათ საათზე ვაგონში დაბრუნდნენ სხდომის მოსაწყობად.

ვერ მოასწრო ლუზამ გამყოლის კუბეში ერთი ბოთლი ნარზანის დაღვევა საწებლის გემოს გასაქარწყლებლად, რომ სალონიდან მიხაილ სემიონოვიჩის ბოხი ხმა მოესმა. იგი თითქმის ყვიროდა:

— პალტო სამასი მანეთი ღირს — გადასარევი! ვის უნდა მიჰყიდოთ? ქალაქი ბინძურია, უყურადღებოდ მიტოვებული. მეეზოვეები დილიდანვე გაღეშილები არიან. არ გაგიგონიათ, რომ ქუჩები ზოგჯერ წყლით უნდა მოირწყას? ან იქნებ მოელით, რომ ქუჩების დამგველთა ინსტიტუტს დაგიარსებთ?

ლუზა კუბეში იჯდა, სალონის გვერდით. თავში ერეოდა მოხსენებებზე თევზზე, ოქროზე, ბავშვებზე და აბანო-სამრეცხაობებზე. დავალებათა ამსრულებელი ჩურჩულით ჩასძახოდა სატელეფონო მილში — მხარესთან შემეაერთეთო. გამყოლი ტამბურში იდგა, ფერმკრთალი და მრისხანე. იგი ისე ახლოს იყო სახელმწიფო საქმეებთან, რომ ეგონა — შეძლებისდაგვარად მეც უნდა მივიღო მათში მონაწილეობაო. დინჯად უშვებდა მოსულებს სალონში და უსიტყვოდ ანიშნებდა, შესულიყვნენ ან მოეცადათ.

— სადილზე არაფერი ისმის? — ჰკითხა მას ლუზამ.

— ხომ ხედავთ მიღება გრძელდება. — უპასუხა გამყოლმა. — საღამომდე თავს ვერ გაეართმევთ.

ლუზა კუბეში დაბრუნდა. სალონში ახალგაზრდა პროფესორი ეუბნებოდა მიხაილ სემიონოვიჩს:

— შე ჩემი საქმეები მოგვათავე. ტექნიკუმი შექმნილია, კადრები არის. მე კი პორტფელში მაქვს უკვე დაწყებული ისტორიული შრომა.

— დიდი ხანია პარტიაში ხართ?

— ათი წელიწადია. მომისმინეთ, მიხაილ სემიონოვიჩ, ყველაფერი გავაკეთე, რაც შემიძლო. ნათქვამია, საუკეთესო ქალიშვილსაც კი არ შეუძლია იმაზე მეტის მოცემა, რაც მას აქვს.

— სისულელეა, მას შეუძლია გაიმეოროს.

— არ შემიძლია, მიხაილ სემიონოვიჩ, არ შემიძლია. ჩემს თავზედაც უნდა ვიფიქრო.

— თქვენ ბევრი დრო გექნებათ. მე ვფიქრობ, რომ თქვენთვის საძნელოა კომუნისტად დარჩენა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. კიდევ ერთი, ორი წელიწადი და გათავდა.

— მიხაილ სემიონოვიჩ...

— აშკარად გეუბნებით — ორი-სამი წელიწადი დაგრჩენიათ. დღესვე შეუდექით თქვენს თავზე ფიქრს, მაგრამ იფიქრეთ ჩემი თავით. როდესაც მტყუანი ხარ, არ უნდა გეწყინოს. ზოგს, ჩემო ძმაო, უჭირს კომუნისტად ყოფნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. რაღაც გაპკარავს ნერვებში და ხედავ — ხუთი წლის შემდეგ მისგან ნაფლეთები-ღაა დარჩენილი. თქვენ, ფრატკინ, ინტელიგენტი ხართ, სათუთი სულის პატრონი და ამას უფრო მკაცრად უნდა ჩაუფიქრდეთ. ჩვენთან პროლეტარებიც კი ჩლუნგდებიან. აიღეთ თუნდაც ზარეცკი. თავის სიცოცხლეში ერთხელ დასცხო იაპონელებს და ვერაფრით ვერ დაუფიწყნია ეს. მას შემდეგ მაგ ქოფაკმა ოცი საქმე გაგვიფუჭა. კომუნისტად ყოფნა — ეს ნიჭია, ფრატკინ, დიდი ნიჭი.

— თუ მაგრეა, გამგზავნეთ ცენტრალურ კომიტეტში, დეე ცენტრალურმა კომიტეტმა შემამოწმოს.

— კარგი აზრია, მხოლოდ თქვენ კი არა, წერილს გავგზავნით. — მე...

— თქვენ, ფრატკინ, უმარაგო კაცი ხართ, შინაგანი ფონდები არა გაქვთ. აშკარად გეუბნებით — ორი წლის შემდეგ პარტიიდან გაგაძევენ და ამისთვის ყოველი მუხლი გამოდგება, ყოველი ცოდვა გაგამხელთ... დიდხანს გვეყავით პროფესორად, აი რაშია საქმე. როდესაც კაცს ხელმძღვანელობ, უნდა გახსოვდეს, რისთვის არის იგი გამოსადეგი და რამდენ ხანს შეუძლიან გასძლოს. კმარა! ორი კვირის შემდეგ მხარეში წავალ, დავსვამ იქ თქვენს საკითხს...

იგი ფეხზე დგება და მძიმედ რამდენიმე ნაბიჯს ადგამს სალონში.

— კარგი იქნებოდა გვესადილნა, ამხანაგო ჩერნიაევი, — გაჯავრებული ამბობს და ფრატკინს ეკითხება: — დომინოს თამაშობთ? დაჯექით. ვასია! — ეძახის იგი ლუწას, — გამოძვერი კუპედან. შელანქოლიკივით გძინავს, ძაღლი შეიღო.

სადგურის ბუფეტთან სადილის მოლოდინში დომინოს თამაშს იწყებენ.

მიხაილ სემიონოვიჩი ჩერნიაევთან, ლუზა — პროფესორთან.

— ვისა ჰყავს „მარატი“? — მარატს უწოდებდნენ სათამაშო ძვალს, რომელზედაც აღნიშნულია 6 : 6.

მარატი ლუზას ჰყავს. ლუზას იერიში მიაქვს.

— ჩერნიაევ! მეორე ხელი თქვენია, ნუ გძინავთ! — ამბობს მიხაილ სემიონოვიჩი და დასცქერის თავის ხელს, რომელშიაც დომინოს შვიდი ძვალი უჭირავს.

დავალებათა ამსრულებელი ჩერნიაევი, მიხაილ სემიონოვიჩის ძველი კომპანიონი, თამაშობს ისე, რომ არავის არ უყურებს. იგი აღტყინებულია კეთილშობლური განზრახვით, ხელი შეუწყოს თავის პარტნიორს და იცის, რომ მას მეტი არც მოეთხოვება. პირველ შეცდომას პროფესორი უშვებს. მიხაილ სემიონოვიჩი გაბრაზებული დაარტყამს ხელს მაგიდას.

— დოყლაპია ხართ! — ამბობს ის წვრილი ხმით. — მაგ სვლით ხომ თქვენსავე პარტნიორს უფუჭებთ საქმეს. თამაშშიაც კი დოყლაპია ყოფილხართ! ერიდე. ვასია, პროფესორს.

შემდეგ თავი ისახელა ლუზამ. მან გზები ჩაკეტა ისე, რომ თვითონაც ვერ შეამჩნია.

— რას ეჩრები, თუ თამაშობა არ იცი? — მიხაილ სემიონოვიჩი მუშტს არტყამს მაგიდას. — თამაშსაც რომ ჩემულობს... აი დოყლაპია!

— მე ხომ არც ვეჩრებოდი...

— ჯანდაბას თქვენი თავი! მოდით ვისადილოთ. რაკი სათამაშოდ ჯდები, წესიერად ითამაშე.

დღის სამი საათია. სადილი გათავდა.

— მანქანა! — ამბობს მთქნარებით მიხაილ სემიონოვიჩი.

მიდიან სანაპირო დაცვის სამუშაოებზე, აპრილში რომ დაიწყო.

ნაპირი სავსეა დახვეული მავთულით, ცემენტის ცარიელი კასრებით, ყუთების ნამსხვრევებით და დახვავებული ღორღით. ლურჯ ტანისამოსში გამოწყობილი მებეტონეები, მიწის მთხრელები ჭა ელექტრიკოსები დადიან კოცონებსა, ქურებსა და ბეტონსარეველებს შორის. იქვე დგას ვებერთელა ყუთები მომავალი ქვემეხის დეტალებით. ეს ერთი ქვემეხი იქნება. ის ჯერ კიდევ არ არის, მაგრამ მომავალი მეურნეობა ამ მოკრძალებული „ხუტორისა“, რა-

გორც აქ სიყვარულით უწოდებენ ამ გოლიათ ზარბაზნებს, უკვე განლაგებულია საამშენებლო ფართობის ირგვლივ.

ამ „ხუტორის“ კლუბში (უფრო სწორად, ქვემეხის კლუბში) მღერის გუნდი, იქვე გვერდით აწყობენ რაციას, ხოლო ის, ვისაც ძველად არტილერისტს უწოდებდნენ, ლურჯ ტანისამოსში გამოწყობილი მკვირცხლი არსება, უსაჩინო ქუდით, გამაყრუებლად უსტვენს და სიყვარულით გარს უვლის ელექტროსადგურის ძრავს, რომელიც იმავე ზარბაზნის მეურნეობას ეკუთვნის.

შემდეგ მოსდევს თვით ზარბაზნის^{*} შტაბი, საკომანდო კოშკი, პატარა საავადმყოფო, საწყობები, ყაზარმები, სარდაფები, ბოსტანი და ყვავილნარი.

— ომი ძნელ სპეციალობად გადაიქცა, — კმაყოფილი სახით ამბობს მიხაილ სემიონოვიჩი. — ერთი კაცი რომ მოჰკლა, ათწლედი მაინც უნდა გაათავო.

წითელფლოტელთა ყაზარმებში შედიან.

— სოფლელებო, ხელი ასწიეთ! — სთხოვს მათ მიხაილ სემიონოვიჩი.

არც ერთი ხელი არ აწეულა. ყველა მუშაა. ნახევარს შვიდწლედი აქვს დამთავრებული.

— კომკავშირელებო, ხელი ასწიეთ! — ამბობს მიხაილ სემიონოვიჩი მეორე ყაზარმაში. ყველამ ხელი ასწია.

შემდეგ მიხაილ სემიონოვიჩი და ლუზა ქარხანაში მიდიან — ათვალეირებენ საცხოვრებელ ბინებს. ნავსადგურში ათვალეირებენ ვეშაპთსანადირო გემს, ქალაქ გარეთ — წყალსადენს.

საღამომ მათ ამურის ყურეში ბორცვებიან გზაზე მოუსწრო. ტყეს ნისლი ედება. მისი გრძელი თეთრი ზოლი ტყისმჩეხავთა ბილიკებს მიჰყვება, ადვილად ეშვება გორაკებიდან ყრუ დაბლობებში და ხეებს შორის იფანტება.

* ნესტიანი, მომლაშო ქარი სახეს ეკვრის. ისინი დაბინდებისას ბრუნდებიან ქალაქში, მაგრამ ვაგონში არ შედიან. მიდიან ნავსადგურში, სადაც მათ წასასვლელად გამზადებული ბარკასი ელოდება.

— შეიძლება დავიძრათ? — ჰკითხულობს ბარკასის კაპიტანი, მხიარული, მუდამ ღომინოს მოთამაშე ბოიარიშნიკოვი.

— წავიდეთ, — უპასუხებს მიხაილ სემიონოვიჩი და სხვა ფიქრებში გართული დასძენს: — როდესაც განთავისუფლდები, კაიუტაში შემოდი, ძილის წინ გავითამაშოთ.

— არის, შემოდი, — ხუმრობით გაიმეორა კაპიტანმა.

ჩერნიაევის მჯდომარეს სძინავს პაწაწა კაიუტაში.

— ამხანაგო შტაბის უფროსო, გაიღვიძე, გვიჩვენე დეპეშები, — ალერსით ეუბნება მიხაილ სემიონოვიჩი.

ჩერნიაევი თვალდახუჭული ლულულუღებს:

— ყველაფერი წესრიგზეა, ყველა თქვენი დეპეშა გაგზავნილია, თქვენს სახელზე მხარედან არაფერი არ მოსულა.

— როგორ თუ არ მოსულა, შვებულებაში ხომ არა ვარ? — უქმყოფილოდ შენიშნავს მიხაილ სემიონოვიჩი. — ალბათ, გეძინა და არ მიგიღია.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არაფერი არ მოსულა, — ამბობს ჩერნიაევი და უფრო მაგრა ხუჭავს თვალებს.

ჩერნიაევი ზღვის ავადმყოფობისათვის მოემზადა და დინჯად შოელის მის პირველ ნიშნებს.

მიხაილ სემიონოვიჩი თავისუფალია, გასაკეთებელი სრულიად არაფერი აქვს, კაპიტანს დაავიანდა, ამიტომ ლუზას ჩააცივდა. დიდხანს დაწვრილებით გამოჰკითხავდა კოლმეურნეობის ამბებს, სასაზღვრო ზოლის ყოფა-ცხოვრებას.

— ყალბი აქტივისტი ხარ, — მწუხარედ ეუბნებოდა ლუზას. — საპატიო სიყალბე ხარ. ერთ დროს კი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ იყავი.

— თავი გამანებე, თუ ძმა ხარ, მეძინება, — გაჯავრებით იცავს თავს ლუზა.

— მომიყევი კარგი ამბავი და თავს გაგანებებ.

და ვასილ პიმენოვიჩი ლუზაც აუჩქარებლად და უხეიროდ უყვება ისტორიებს, სახელდახელოდ გამოგონილ ამბებს. მაგრამ მიხაილ სემიონოვიჩი გულგრილად იწუნებს ყოველ მის მონათხრობს.

— მიკვირს, რას აყოვნებენ შენი კოლმეურნეები, შენისთანაა კაცს მე კისრის ტეხით გავაძევებდი, — ამბობს იგი უკვე გაჯავრებული და თვითონ იწყებს ლაპარაკს.

ეს სიტყვა კი არაა, ზღაპარი იყო ცემენტზე, რომელიც მას არაკორდეს არ მოეპოება საკმარისი რაოდენობით მხარისათვის. მიხაილ

სემიონოვიჩს უყვარს ცემენტის გამომუშავების ახალი წესების გამოგონება ან ოცნებობს „წებოვან მიწაზე“. მის ჭკვიანურ, ეშმაკურ თავში მუდამ ცოცხალია ხალხის ლტოლვა ჯადოქრულ ამბებისაკენ.

— დაეუშვათ, რომ ჩემთან მოდის კაცი და მეუბნება: ვიპოვე წებოვანი მიწა, ვთქვათ, ნავთის ან ბუნებრივი ფისის მსგავსი, ან რაღაც ტორფისებური. მარაგი ასი ათას ტონას შეადგენსო. მე ასეთ კაცს ულაპარაკოდ ჩაეუჩხრიალებდი ხელში ასი ათას მანეთს.

— ჩაუჩხრიალებდი?

— იმავე წუთს.

ახლა მიხაილ სემიონოვიჩი თითქმის თავისთავს ესაუბრება და აღარა ჰგავს პასუხისმგებელ სამეურნეო მუშაკს, ძველ მებრძოლს, ყველას მასწავლებელს, როგორც ის ხალხში არის ხოლმე. ამჟამად ის უბრალო ადამიანია მოქანცული თვალებით და ნაოჭიანი შუბლით, რომლის ცხოვრებაც შესდგება ცემენტისა და ქვიშანას ბურღულისაგან, მანუფაქტურისა და ქვანახშირისაგან, ისევე, როგორც არსებობს სხვა სახის ცხოვრება, მარადიული ვნებათაღელვისა და ლექსების შემცველი. არსებითად ის არაფერს არ ხელმძღვანელობს, გარდა თავისი საკუთარი ცხოვრებისა, რომელსაც საკუთარი ბედნიერებისათვის ესაპიროება მეტი ქვანახშირი, მეტი რკინა, ფოლადი, თევზი და პური.

მისი მოქმედების ყველა პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ შეათავსოს საგნობრიობის ცალკეული მოძრაობანი. ის ისე უგდებს ყურს ქვანახშირს და ხე-ტყის დაცურებას, როგორც მაჯისცემას, და შემდეგ სწყვეტს — დაძაბოს თავისი ძალები თუ დაისვენოს. ჩერნიაევი, რომელმაც იცის მიხაილ სემიონოვიჩის ხასიათი, მუდამ ხვდება მისი მხიარულებისა თუ დაღვრემილების მიზეზს. „ეს უეჭველად ქვანახშირია“, — ამბობს იგი, როდესაც ატყობს, რომ მიხაილ სემიონოვიჩის ხმა თანდათან რიხიანდება, ხოლო ინტონაცია უფრო და უფრო ავი ხდება. „ეს თევზმა მოჰგვარა სიცილი“, — ამბობს იგი სხვა დროს, რადგან უკვე მიეჩვია სახის ნაკვთთა და ნაოჭთა მიხედვით იმის გაგებას, რა იწვევს მის სახეზე ნაკვთს თუ ნაოჭს: თევზი თუ ქვანახშირი, კადრები თუ პურის საკითხი.

კაიუტის კედლებს იქით ღამე გუგუხნებს. მიხაილ სემიონოვიჩს ფერმკრთალი სახე ხელებზე დაუყრდნია და ნეტარებით ბუტბუტებს ზღაპრებს.

— გამიგონე, ვასია, — დროგამოშვებით ეუბნება ლუზას: — შენ, მგონი, ხე-ტყე არ გყოფნის. რამდენ ამბავსაც ყურადღებით მომიხმენ, იმდენ ხუთ კუბომეტრს მოგცემ.

მაგრამ ლუზას გულსა და სულს არ იზიდავს ის საგნები, რაზედაც მიხაილ სემიონოვიჩი ოცნებობს.

ლუზა მონადირეა. მას მხოლოდ უწოდებენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ნამდვილად კი იგი არავითარი თავმჯდომარე არ არის. უბრალო საპატო კაცია, გმირი, რომელიც მოელის თავის დროს. ლუზას ისეთი დიდი სახელი აქვს, რომ არაფრისთვის არა სცალია, არაფრისთვის დრო არა აქვს. ხან პარტიზანების საქმეს აგვარებს, ხან სხვადასხვა ზეიმს ესწრება, ხან მოგონებებს უკარანახებს სამოქალაქო ომის ისტორიისათვის. ლუზამ ფრიად მღელვარე ცხოვრება გამოიარა. მაგრამ „25 ოქტომბრისათვის“ ხე-ტყის შოვნა მასაც უნდა და ულვაშების გრეხით გულმოდგინედ ემზადება ამბების მოსასმენად.

ზღვა სრულიად გაუვალი ხდება. ბუქსირი ოხვრითა და ხენეშით მალლა მიჰყვება ტალღას, მერე ბოლოს ქნევით ძირს ეშვება. ლუზა პირაღმა ეცემა დივანზე.

— რატომ არ მოდის კაპიტანი? — მთქნარებით ბუტბუტებს მიხაილ სემიონოვიჩი, რომელზედაც ლეღვა არ ამოქმედებს. — კარგი იყო გაგვეთამაშნა ძილის წინ. მიყვარს აი ასე დასვენება, ვასია. კარგია ძვლების დასვენება სუფთა ჰაერზე. ვასია! — ეძახის იგი, მაგრამ ლუზა გაუნძრევლად წევს. — ვასკა, თვალი გაახილე, კუბომეტრს მოგცემ.

ლუზას არ ესმის და კიდევაც რომ ესმოდეს, არაფრისათვის არ გაახელს თვალს.

ისეთი ლეღვაა, რომ ბუფეტთან — ზემოდან ქვემოთ — ჰალზე ცვივა საინები; ჰალი ახლა ბუფეტზე დაბლაა. საინების ნამსხვრეები კედლებს ასკდება. ჩერნიაევის ზეწარში თავი გაუხვევია და წევს.

— ეჰ, არამზადებო, თქვე არამზადებო! — ოცნების კილოზე ჩურჩულებს მიხაილ სემიონოვიჩი. — ზღვაზე მგზავრობაც კი არ იცით.

ლეღვით, ზღვის ავადმყოფობით, დარდითა და თავის თავისადმი ზიზლით გაშმაგებული ლუზა გათენებისას საწოლიდან გადმოხობდა. იგი ბურანში იყო და თვითმკვლელობაზე ფიქრობდა,

მაგრამ ბაქანზე რომ გავიდა, შორეული ნაპირი დაინახა. ერთბაშად დაუბრუნდა ძალ-ღონე.

მიხაილ სემიონოვიჩი გემის ვიწრო ხიდზე იდგა და მეთევზეთა სეინერებს გასცქეროდა.

— კარგად მუშაობენ, — დაუყვირა მან ლუზას.

წინ სლავიანკის სუფთა, კოხტა უბე გამოჩნდა.

გაათავეს თუ არა ჩაის სმა რაიადმასკომის თბემჯდომარესთან, დაუყოვნებლივ გასწიეს კოლმეურნეობების დასათვალიერებლად.

გზების გაყვანა მხოლოდ განზრახული იყო, მაგრამ რაიონის მუშაკი საკმაოდ დაწვრილებით უხსნიდა მათ, თუ როგორი იქნება ამ გზების სანე მომავალში.

აუჩქარებლად მიდიოდნენ — საათში თორმეტ კილომეტრს. მანქანებს ხელით მიათრევდნენ და ხშირად ისვენებდნენ გზასთან, ბალახში.

— რატომ სჩადიხარ ასეთ უწესრიგობას? — თავის ქნევით ეუბნებოდა ლუზა და გამეიციხავი თვალთ შესცქეროდა მიხაილ სემიონოვიჩს.

— რა უწესრიგობას? — შეეკითხა მიხაილ სემიონოვიჩი, რომელიც ფარაჯაგახსნილი ბალახზე წამოწოლილიყო.

— რა და ის, რომ ამდენ ჯნღრევას ვერ გაუძლებ.

— არაფერია.

მიხაილ სემიონოვიჩის სახე კმაყოფილებას გამოხატავდა.

— წელიწადში რამდენჯერ გიხდება ასე ხეტიალი?

— მეე? ნაკლებად, ვასია. ხანდახან თუ მონახავ დროს, რომ მიხედო თესვის კამპანიას, თევზის ქერას, მოსავლის აღებას, დაათვალიერო მშენებლობანი, გაეცნო ხე-ტყის დაცურების საქმეს, გადაავლო თვალი სოიას, ბრინჯს...

კორეელთა კოლმეურნეობაში დაათვალიერეს, როგორ სწავლობენ კორეელი ქალები ძროხების წველას რუს მწველელ ქალთა ხელმძღვანელობით.

მიხაილ სემიონოვიჩი უამბობდა ლუზას:

— საბჭოთა ხელისუფლებამდე კორეელები რძეს არ ეკარებოდნენ, ხოლო ერბოზე წარმოდგენაც არა ჰქონდათ. ჩვეულებად არა ჰქონდათ რძის სმა. ღორებს კვებავდნენ რძით, ძროხებს კი

სამგზავროდ იყენებდნენ, ზედ სხდებოდნენ. ამ წლიდან ვასწავლით წველას და რძის მოხმარებას. პირველ რიგში კომუნისტებს ვავალდებთ მაგალითი უჩვენონ — სვით რძე, ისწავლეთ კარაქის გამოხდა ვეუბნებით. კომუნისტები, ძმაო, პირველად რძეს მხოლოდ პარტიული წესით სვამდნენ. უბრძანებდი — დაღვედა. თუ თვალს აარიდებდი — ავიწყებოდა მასზე ფიქრიც კი. ახლა სმით ყველა სვამს მაგრამ წველა დღემდე არ იციან. წარმოიდგინე, ძუძუებს აგლეჯენ ძროხებს. იძულებული ვართ ინსტრუქტორი ქალები ვგზავნოთ ფანზიდან ფანზაში.

ორ ფანზაში რძეს სვამდნენ. ფანზის პატრონები ნელა იყუდებდნენ რძიან ჭიქას და ერთბაშად ყლაპავდნენ, როგორც არაყს.

კოლმეურნეობიდან მიხაილ სემიონოვიჩმა და ლუზამ ინვალიდთა არტელის მინის ქარხანაში შეიარეს. იგი გორაკებს შორის იდგა, ბინებს დაშორებული. ინვალიდები ბოთლის მწვანე მინიდან ჭიქებს ამზადებდნენ.

პატარა, უხეირო ქარხანა იყო, შიგ საბრალო ოსტატები ფუსფუსებდნენ. მაგრამ მიხაილ სემიონოვიჩს ყველაფერი მოეწონა.

— აი, ინვალიდები ესენი არიან! — ყვიროდა ის, — მართებული ხალხია. მათ აქ სამოთხე აქვთ. სანატორიუმი.

ჭიქებს სინჯავდა, მზარზე ხელს უთათუნებდა ოსტატებს, ჰპირდებოდა რალაცას. უბრძანა, გრაფინები და ლამბაქები დაემზადებინათ. ქარხნის დირექტორი თავისი ხის ფეხით ბტოდა მიხაილ სემიონოვიჩის ირგვლივ, მზიარულად შესცქეროდა გარშემო მყოფთ და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ძალზე მოქანცულიყოს საქმისაგან.

— პროთეზიც კი გამოიფლიანდა, — მზიარულად ჩასჩურჩულა დირექტორმა ლუზას. იგი ზიამაყით და საკუთარი თავისადმი პატივისცემით იყო გამსჭვალული.

დაათვალიერეს ნედლეულის საწყობები, საცხოვრებელი ბინები, ფარდულეები. ნახეს კრამიტის სამი საყალიბო დაზგა. არავინ იცოდა, ვინ იყო მათი პატრონი. მიხაილ სემიონოვიჩმა განკარგულება გასცა, დაუყოვნებლივ გადაეგზავნათ ეს დაზგები რაიონში.

მოვიდა დავიზიის მეთაური კონდრატენკო.

— საქმე გამოგინახე, — მიაძახა მას მიხაილ სემიონოვიჩმა, — კრამიტის დამზადება. აი ინვალიდებს თიხა ვერ უშოვიათ. მოაწყე

კრამიტის საქმე, მოვაგვაროთ გაცელა-გამოცელა, შენ მომცემ კრამიტს, მე კი — ხე-ტყეს.

— არის, მოწყობილი იქნება. მიხაილ სემიონოვიჩი, ავანსად ვერ მომცემ ექვს კუბომეტრ დახერხილ ხე-ტყეს. კრამიტს კი რამდენიც გინდა, იმდენს მოგიშნადებ.

შეთანხმების ნიშნად ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

მინის ქარხნის შემდეგ კიდევ ერთი კოლმეურნეობა ინახულეს. მერე კი გადასწყიტეს, მთები გადაეგლოთ და პირდაპირ ვარვარათან მისულიყვნენ. ღამემ მთებში მოუსწროთ. ნელა მიემართებოდნენ, ხოლო აღმართს ფეხით ადიოდნენ. ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ, და ლუზამ, რომელსაც მოსწყინდა ეს საქმეები და ციურები, საუბარი ომზე ჩამოაგდო.

— ომი, ომი! — ომის შესახებ მიხაილ სემიონოვიჩს ლუზაზე ნაკლებ როდი შეეძლო ლაპარაკი. — რა უნდა გითხრა? იმდენი ფოლადი და რკინა უნდა გვექონდეს, რამდენიც მოწინააღმდეგეს არა აქვს. პური მეტი უნდა გვექონდეს, ვიდრე მასა აქვს, ხოლო სიმამაცე იმაზე მეტი, ვიდრე მოწინააღმდეგეს წარმუდგენია. ომზე მკითხავ, ეგ იგივეა, ავადმყოფობაზე მკითხო: ზოგორი პარტახტიანი ტიფით ვარ დაავადებული, მსუბუქით თუ მძიმით? — ეშმაკმა იციას, როგორით! ყოველი პარტახტიანი ტიფი მძიმეა, თუ ორგანიზმი საუსტია.

მყუდრო ღამეში, როდესაც ყუჩღებოდა მისი კაბინეტის ტელეფონების წკარუნი, მიხაილ სემიონოვიჩს არა ერთხელ უფიქრია, რამდენი ახალი ქარხნის, ფაბრიკისა და სარეწაოს აშენება შეეძლო, თავდაცვაზე რომ სახსრები არ იხარჯებოდეს.

— ომი მძიმე იქნება, — ამბობს ის. — აბა, იფიქრე. მანჯურის სოია ველარ გავა მსოფლიო ბაზარზე, გირინის თამბაქო საწყობებში დარჩება. ესევე დაემართება ხორბალსა და ბრინჯს. საფეიქრო ფაბრიკები შეჩერდება. მარილი და ნავთი მანჯურის სოფელში ახლაც არ არის, მაშინ ხომ მთლად დაივიწყებენ. მანჯურელ გლეხს ძალიან გაუჭირდება. როგორც კი მტერს უკუევაგდებთ ჩვენი საზღვრებიდან, მანჯურია ხელს გამოგვიწვდის. უნდა გამოეკვებოთ. კეთილი და პატიოსანი — თევზს მიეცემ, ნავთსა და პურს მივაწოდებ, მაგრამ შენც ხომ უნდა გკვებო, შე წყურთლო! მეც ხომ მინდა საზრდოობა!

მიხაილ სემიონოვიჩი აბოლებს და ოცნებაში წასული ამბობს:

— ყველაზე საკვირველი, ვასია, ის იქნება, რომ ყველანი უნდა გამოგკეებოთ: შენც და ჩინელებიც. პირობას ვიძლევი, რომ წელიწად-ნახევრის განმავლობაში გასაზრდობთ. საკირო იქნება მუკდენის მრეწველობის მოგვარება, სოიისა და ბრინჯის უფართოესი კონტრაქტაციის ჩატარება ფასების შესანარჩუნებლად.

ლუზამ გაიხსენა, როგორ გაგზავნეს მიხაილ სემიონოვიჩი 1920 წელს ჩიტიდან შორეული აღმოსავლეთის პარტიზანთა მეთაურად. მძიმე დრო იყო, ფრონტი სუსტდებოდა და ირღვეოდა. ფულის ნაცვლად გადასცეს პაკეტი ორი კილოგრამი საკერი ნემსით. იპიერ-ბაიკალის მყუდრო სადგურებზე იგი პირადად გადმოდიოდა მატარებლიდან და ნემსით ვაკრობდა. თითო ნემსში ერთ ჭიქა რძეს და კვერცხს იძლეოდნენ, სამ ცალში — მთელ პურს. ჩიტიდან ვლადივოსტოკამდე მისვლას თავისი შტაბით მთელ თვეს მოუწინა და სულ ნახევარი კილოგრამი ნემსი იმყოფინა. ეშმაკმა იცის, რა იყო ეს: ახალგაზრდობა თუ სიგიჟე, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არაფერია შეუძლებელი ან განუხორციელებელი, როდესაც სიცოცხლეს სწირავ.

და როდესაც მიხაილ სემიონოვიჩს უსმენდა, ლუზას სწამდა, რომ იგი გამოჰკეებავს მანჯურიას და ეხლაც ტყუილ-უბრალოდ არ ლაპარაკობს ამაზე.

ლამე იყო, სოფელში რომ შევიდნენ, და ორი საათით სკოლის შენობაში წაიძინეს. მასწავლებელმა მოკრძალებით აუწყა მიხაილ სემიონოვიჩს — პროექტი მაქსო: უსურბის ტყეებში ცხოვრობს გარეული მუხლუხი — აბრეშუმის ჭია. შეიძლება სატყეო მეაბრეშუმეობის მოწყობა. ყაჭი მაღალი ხარისხისა იქნება. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკები ტაივანში!

მიხაილ სემიონოვიჩი ჩექმით ხელში ყურადღებით უსმენდა მასწავლებელს.

— აი ავაშენებთ ქალაქს ქვედა ამურზე, ორ კიდევ სხვა ქალაქს ზღვის პირას და მაშინ მოვიდებთ ხელს თქვენს პროექტს, — ეუბნება მასწავლებელს. — თქვენი პროექტისათვის ათი ათას მანეთს გავიღებ. გადავარჩენ ბავშვების ხარჯიდან. გამომიგზავნეთ პატარა მოხსენება.

— რომელი ბავშვების ხარჯიდან? — ეკითხება მასწავლებელი,

— როგორ თუ რომელი, ჩვენი ბავშვების ხარჯიდან. სამხარეო საგეგმო განყოფილება ფიქრობს, რომ წელს ექვსი ათასი ახლად-შობილი გვეყოლება. მე კი ვფიქრობ, რომ, როგორც ყოველთვის, გეგმები ამჯერადაც ჩამორჩებიან ცხოვრებას და გვეყოლება არა ექვსი ათასი, არამედ ათი ათასი. ბაგებს, საბავშვო სახლებს, კერებს, დოლებს უამრავი ხარჯი დასჭირდება. ჰო-და, ამ ხარჯებიდან გადავარჩენ ათი ათას მანეთს თქვენი აბრეშუმისთვის. ჩინებული საქმეა. ნულარ დაავიანებთ, სვალვე დასწრეთ, გამოვიანგარიშებთ... მე კი როგორმე დოლებზე და სხვა რამეებზე ეკონომიას გავაკეთებ.

მასწავლებელი მიდის. მიხაილ სემიონოვიჩი ეუბნება ლუხას:

— საქმე აბრეშუმი როდია, ჩემთვის ძვირფასია ის, რომ მასწავლებელია კარგი. ხომ დაინახე, როგორი თვალეები აქვს? ფაბრიკებიო, ამბობს, ტაიგაში. ჭიის მონადირე. ყოჩაღ! ღირს ათი ათას მანეთად.

ლუხამ, როგორც მას ჰგონია, ვერც კი მოასწრო ხეირიანად წამოწოლა, სიარულისაგან დაღლილი ფეხები ჯერ კიდევ ეწვოდა და სტეხდა, რომ მიხაილ სემიონოვიჩი უკვე აღვიძებდა.

— ადე, ძმაო—ეუბნებოდა ის. — აბა რა საკადრისია, სახაზინო პურს წოლისათვის სჭამდე...

— ეს-ეს არის დავხუქე თვალეები. საით მივდივართ?

— ვინოკუროვის დივიზიაში. სამი საათია თვალეები დახუქული გაქვს, გეყოფა.

მიდიან ვინოკუროვის დივიზიაში. ვიწრო-ყელიან უსურიის რკინიგზას სული ეხუთება. წიგნები, ტრაქტორები, ასანთი, ტანკები, ადამიანები, მედიკამენტები, წყალქვეშა ნაგები, — ყველაფერი, რაც კი დასავლეთიდან აქეთ მოედინება, იჩხირება ვეშაპის ყელივით ვიწრო გასავალში.

ჩერნაევი მიხაილ სემიონოვიჩის ვაგონში დეპეშას დეპეშაზე დებულობს და მდივნის განსაკუთრებული ალლოთი, რაც მიხაილ სემიონოვიჩის ბუნების დამატებას წარმოადგენს, სწრაფად ხვდება, სად უნდა იყოს მისი შეფი.

ჯერ თითქმის ღამეა. არც ღამე, არც დილა. დივიზიის მეთაური ვინოკუროვი ტელეფონის წკარუნზე იღვიძებს.

— ვინ არის? — ყვირის ის. — რაო? მიხაილ სემიონოვიჩი? არა. ყოფილა. ჰო, კარგი. გმადლობ. არ წავა, არა. როგორც კი ხელში ჩავიგდებ, გაცნობებ, ჩერნიაევი. კარგი. დაწე, არ წავა.

მაგრამ მიხაილ სემიონოვიჩმა მოატყუა ჩერნიაევის ალლო — ის ვარვარა ილინიშნასთან წავიდა, ვინოკუროვთან კი ხვალ შეივლის-მთებში სინესტე და ნისლოა, ჩუმად ჯდომა და ფიქრი არ შეიძლება, გცივა და ძილი გეპარება, წელში გტეხს და წვასა-გრძნობ. მიხაილ სემიონოვიჩი ხმამალა ფიქრობს, — რაც უნდა იყოს ლაპარაკია.

— ჩვენში როგორღაც ჰორიზონტალურად ფიქრობენ, — ამბობს მთქნარებით.

ამ ფრაზაში ყველაფერია.

ადამიანი, რომელსაც რევოლუციამ მისცა ორი ორდენი, დიდი თანამდებობა, დიდი ბინა, სადაც იგი უდროობის გამო ცხოვრებას ვერ ახერხებს, დიდი და მხიარული ოჯახი, რომელსაც მთელი კვირეებით ვერ ხედავს, დიდი და საუცხოვო ავტომობილი, რომლის გაფუჭებაც ენანება ამ გზებზე, — აზარტითა და ალტყინებით განაგებს მხოლოდ თავისი დიდბუნებდვანი და ნათელი ხასიათით. მისი ხასიათიც რევოლუციამ გამოსჭედა. იგი თითქოს შემნახველ სალაროშია და ყოველწლიურად პროცენტებს იძლევა. მუდამ რაღაც ემატება და ემატება ადამიანთა გამოცნობისა და შორს ჰერეტის მის უნარს.

— ჩვენში როგორღაც ჰორიზონტალურად ფიქრობენ, — იმეორებს მიხაილ სემიონოვიჩი და ამ ფრაზასთან ერთად მის ცნობიერებაში ცოცხლდება მთელი ნაკადი სახელებისა, სახეებისა და ფაქტებისა, რომლებიც მას უმართებულოდ მიაჩნია.

იგი ადამიანებზე ფიქრობს, როგორც მათი გამომგონებელი.

— მე ამ ფრაზისისაგან საპონს დავამზადებ, — მწყრალოდ ამბობს იგი. შემდეგ იგონებს ოლგას, თევზს, იმ გარემოებას, რომ არავინ არ იცის „ტუზლუკების“ კეთება და დაქერილი თევზის შესამედი ტყუილ-უბრალოდ ფუჭდება ნაპირზე.

თვალეებს ხუჭავს. ახლა აღარ ეშინია. დაძინებისა, რადგან მასში ყველაფერი დულს და გადმოდის, ისეა იგი გახელებული და გააფთრებული. მის თავში იბრძვიან ხარჯთაღრიცხვები, პროექტები, ადამიანები, გაჰყვირიან რაიონები, და იმ ცხოვრებიდან, რომელიც

მის მეხსიერებაში ბოლოქრობს, იგონებს ათი-თორმეტი კაცის სახელს, გზავნის მათ ნავთსა და ქვანახშირზე სამუშაოდ, თან ილიმე-ბა, თუ გრძნობს, რომ კარგად მოაგვარა საქმე.

— კარგი ხალხია რაიონის მუშაკები. — ეუბნება მიხაილ სემიონოვიჩი ლუზას, — მაგრამ ნადირები არიან. ოდნავ რომ შეაწუხო სიკვდილამდე არ გაპატიებს. შარშან ერთმა რაიონმა გადასწყვიტა, ვენური ავეჯის ფაბრიკის აგება. მოუყარეს თავი ოსტატებს, ააგეს შენობა, მიიღეს დაკვეთები... უეცრად თავს დავესხი: ვხედავ, პურის საქმე ცუდადაა, თევზის საქმე უფრო უარესად, ხე-ტყის საქმეში გარღვევაა, — ისინი კი ფაბრიკას აგებენ. დაუცაცხანე. საფაბრიკო-საქარხნო პროლეტარიატის შექმნა გვინდოდაო. იდიოტები! ავეჯის საშუალებით უნდოდათ, გესმის?

ვარვარა ილინიშნა სტუმრებს არ მოელოდა, მაგრამ ისეთი ხანიათი ჰქონდა, რომ როგორც კი მის კარზე ვინმე გამოჩნდებოდა, ყველაფერი ფერს იცვლიდა. ეხვეოდა მიხაილ სემიონოვიჩსა და ლუზას და თან სასადილო ოთახისაკენ უჯიკავებდა, ჰკოცნიდა და იმავე დროს ვილაყან გასძახოდა:

— ამოიღე ხიზილალა საყინულედან და ლურჯი გრაფინი, მოდიდო.

და როგორც კი ოთახში შევიდნენ, ერთბაშად გაჩნდა ხიზილალა, ლურჯი გრაფინი, ზურგიელი, კორეულად ჩამუქუქებული რალაც ბალახი. თვითონ ვარვარა ილინიშნამ ჩალურჯებულ სპილენძისაგან გამოქანდაკებული კერპის მსგავსი სამოვარი შემოიტანა, თან ისე დაბაჯბაჯებდა, რომ ოთახს ზანზარი გაჰქონდა.

დანაყრება ვერც კი მოასწრეს, რომ სტუმრებს ყველა ახალი ამბავი გადასცა. მის ქმარს, დეზიდოვს, თურმე ქარხნის აგება განუზრახავს, და მიხაილ სემიონოვიჩის ჩამოსვლაც სწორედ რომ დროულად იყო, რადგან ხარჯთ-აღრიცხვა ჯერ არ დაუმტკიცებიათ, მუშაობა კი დაწყებული იყო.

— ალგინსა) დავიმზადებთ, მიხაილ სემიონოვიჩ, — ამბობდა ვარვარა და ტუჩს თავსაფრით იწმენდდა, — ძვირფასი საქონელია. წყალმცენარისაგან დამზადებული წებოა. თიხაში თუ რალაცაში ურევენ. ცემენტზე მაგარი გამოდის, ნამდვილი ქვაა.

1) ალგინი — წყალმცენარეებისაგან მიღებული წებო.

ლურჯი გრაფინიდან სასმელს ასჭამდა და თან აგზნებული ჩურჩულით ამბობდა:

— ნუ იძუწებ, გეთაყვა, ორმოცდაათი ათასი მანეთი მაინც გაიღე. ნაღდი საქმეა.

მალე თვითონ დემიდოვიც მოვიდა, თან მოიტანა პროექტები და გეგმები, ხოლო ვარვარამ განჯინიდან გამოიღო ოლგას წერილები, სადაც ალგინის საკითხი მეცნერულად იყო დასაბუთებული.

— რა არის ეგ, წებო? — იკითხა მიხაილ სემიონოვიჩმა. წერილებს ფურცლავდა და წაკითხულის გამო იღიმებოდა. — თიხის წებვა მოისურვეთ?

— ნამდვილი რკინაბეტონი გამოდის, — არწმუნებდა დემიდოვი.

— კარგი. ქარხანა ოვანესის სახელობისა უნდა იყოს. ოლგამ, როგორც კი ჩამოვა ჩრდილოეთიდან, ქარხანაში ივარჯიშოს. რა გაეწყობა, ორმოცდაათი ათასს მოგცემთ. ეს მხოლოდ შენი თვალეზისათვის, ვარია, დემიდოვს არავითარ შემთხვევაში არ მივცემდი. მარტო შენი მჯერა.

ვასილ პიმენოვიჩ ლუზა კი ლურჯი გრაფინიდან სურნელოვან-არაყს ისხამდა და დაღლილი ტონით დაყინებით იმეორებდა:

— მაშ, მალარიჩი თქვენზეა. იმღერე, ვარია.

მაგრამ მიხაილ სემიონოვიჩი მალე წამოდგა და სთქვა — დროა გზას გავუდგეთო.

— შენი ქალიშვილი ჩრდილოეთშია? გაუგზავნე ამანათი, ვარია, ვუბრძანებ გადასცენ.

ცრემლმორეული ვარვარა განჯინას მევარდა და საჩქაროდ ჩაყარა ბალიშისპირში თბილი საცვალი, შაქარი და შავი გემრიელი ნამცხვრები.

ნაშუადღევს უკან დაბრუნდნენ. ლუზა დუღუნებდა:

„მთაზე, მთაზე, მოზიბანე ბალახზე...“

გაჯავრებული აყო. მიხაილ სემიონოვიჩმა კი, მანქანის კუთხეში მოკრუნჩხულმა, ფშვინვა ამოუშვა, როგორც ტურისტმა კარგი მგზავრობის შემდეგ.

მისი უღვაშები ქარს გაეწეწა. წვერი. რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სიზანტის გამო მოუშვა. გვერდზე მოქცეოდა და ყურზე უღიტინებდა. მიხაილ სემიონოვიჩი იკმუხნებდა, მაგრამ თვალს არ

ახელს, არ ინძრევა — ჯიუტად სძინავს. მას ახლა, ალბათ, რაღაც გაცხოველებული სიზმარი აღელვებს, თვალის ქუთუთოები ოდნავ ირჩვეიან, წარბი მალლა იწევს, ტუჩები მზადაა ამეტყველდნენ. ლუზა ალტაცებული შესცქერის და ფიქრობს: „კვლავ ვილაცას ლანძლავს“.

გზაზე თევზის ერთ სარეწაოში კიდევ შეიარეს, ხოლო შემდეგ რაზდოლნისაკენ მიმავალ გზატკეცილზე გავიდნენ. კვლავ დაიწყო გრძელი უკუნეთი ღამე მთებში, სოფლებიდან მოშორებით.

დილით შოფერმა სთქვა:

— დივიზიის მეთაური მოდის, მანქანა ვიცანი. გავაჩერო ავტო?

— ალბათ, რაღაც მოხდა, — ამბობს მიხაილ სემიონოვიჩი. —

გააჩერე.

— როგორ გაიგო? — გაიკვირვა ლუზამ. — საიდან სად მოუარეთ.

— რა ძნელი გასაგებია!

ვინოკუროვი გაქანებული მანქანიდან ხტება და სწრაფი ნაბიჯით მიდის მიხაილ სემიონოვიჩთან. ეს უკანასკნელი ფაცა-ფუცით გამოდის გზატკეცილზე, და ისინი სამხედრო სალამს აძლევენ ერთმანეთს.

— თქვენი ვაგონი საღამოთი ოცდაათი კილომეტრის მანძილზე იქნება ჩემგან, — ეუბნება ვინოკუროვი.

— კარგი, დაჯექით ჩვენთან.

— არის. მესმის, — მოკლედ უპასუხებს ვინოკუროვი და უსიტყვოდ ართმევს ხელს ლუზას.

დივიზია დაბანაკებულია გზატკეცილის მოსახვევთან, რომელსაც აგურის არშია არტყაა გარს. მოსჩანს წითელი ტილოებით მორთული თაღები, პლაკატები, დამკვრელთა სურათები, ყვავილნარები, სასროლო მოედნები, ცხენების მისამბეღლები, ორკესტრები, საბარგულეები.

— ნება მომეცით, სასროლო მოედანზე წაგიყვანოთ? — ამბობს ვინოკუროვი და თან სამხედრო სალამს აძლევს.

— გთხოვთ.

სროლის დათვალაერების შემდეგ:

— ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ უკანასკნელი შევსება?

— გთხოვთ.

ეს ხალხი რვა დღის წინად მოვიდა ტაიგადან. დივიზიის მეთაური ასახელებს მებრძოლთა გვარებს, სპეციალობას, თვისებებს.

— უშაკოვი, — მიუთითებს იგი მაღალ კორფლიან ახალგაზრდაზე, რომელსაც გაკვირვებისაგან ნეტარება ეფინება სახეზე. — არც ერთხელ არ უნახავს მატარებელი, არ მოუსმენია რადიო, ფიწლით ნადარობდა დათვზე. ყველაფრიდან სჩანს, რომ ჩინებული მსროლელია. პირადად ვადებნებ თვალყურს. აი მებრძოლი ცოი, კორეელთა ასეულიდან. გიმნასტი, მუსიკოსი. საუკეთესო მამა-სახლისი მომავალში.

შევსების წარდგენის შემდეგ:

— ნება მომეცით, გიჩვენოთ კლუბი?

ლუზა ხელს წაატანს ვინოკუროვს:

— ბორის ივანიჩი, როდისღა დაგვანაყრებ?

— ამხანაგო კოლმეურნეობის თავმჯდომარე, დივიზიის მეთაურთა შემადგენლობა სტუმრებთან ერთად ისაუბრებს თორმეტზე ნოლ-ნოლ.

მიდიან წითელი არმიის სახლში და წარმოსადგეი მეკარე მკაცრად ათვალეირებს ჩექმებს.

— ვისაც დამტვერიანებული ჩექმები აქვს, ვთხოვ მარცხნით, — გულგრილად ამბობს იგი.

ისინი იწმენდენ ჩექმებს, სანამ შევიდოდნენ დივიზიის მხატვრების მიერ დასურათებულ, დივიზიის დურგლების მიერ მოწყობილ და დივიზიის ცოლების მიერ მორთულ-დალაგებულ ოთახებში. კლუბიდან წაეიდნენ საჯინიბოში, საჯინიბოდან გარაჟში, ბაკში, საწყობში, სკოლაში, შტაბში.

— ნება მომეცით, გთხოვოთ საუზმეზე დივიზიის მეთაურთა შემადგენლობასთან ერთად, — ამბობს, ბოლოს, ვინოკუროვი.

ყოველივე ნახულით დაქანცული მიხაილ ზემიონოვიჩი მექანიკურად იმეორებს:

— გთხოვთ, გთხოვთ.

და შედიან დივიზიის მეთაურის ბინაში. ვინოკუროვი მხიარული, მოქანცული ხმით გაპყვირის:

— ნაღია, მიხაილ სემიონოვიჩი ჩამოვიდა, მიეგებე! — შემდეგ სტუმრებს მიუბრუნდება და ვიწრო ბნელ შესავალ ოთახში, სადაც სტუმრებს ფარაჯის გახდაც კი უჭირთ, ეკითხება: — რას იტყვით, პა? როგორ მოგწონთ, მიხაილ სემიონოვიჩი? ლუზა, რას ფიქრობ? გვაქვს თუ არა, რაც საჭიროა? ხომ ნახეთ ხალხი? როგორია თქვენი შთაბეჭდილება?

მიხაილ სემიონოვიჩი წელში სწორდება და ღიმილით ეუბნება:

— ძალიან კი გავტანჯე, შე საძაგელო. მაგრამ ასეთი დივიზიის უნახაობა არ შეიძლება. შენ რას ფიქრობ, ვასია?

ლუზას უნდა რაღაც განსაკუთრებული სთქვას.

— ეს დივიზია კი არა, — ამბობს ის მრავალმნიშვნელოვანად, — ჯარია.

დივიზიის მეთაური მიუხვდა.

— ხომ სწორია? გმადლობ. დაჯექ, ვასია, დაჯექ, ძვირფასო. ყველანი დასხედით, სვით, ჭამეთ. '

მიხაილ სემიონოვიჩი ხელს ართმევს მეთაურებს და უხალისოდ ჯდება, თითქოს გამძღარია და ეს-ეს არის ადგა ლოგინიდანო.

— ყოჩაღ, ბორის, — ამბობს ის, — შენ დივიზიის ყველაზე კულტურული მეთაური ხარ. შენ მაგალითს სხვებიც წაბაძავენ.

— მერე, რამდენი ხანი ვარ აქ? — ყვირის ვინოკუროვი, — შეილიწადიც არ არის. როცა კარგა ხანს დავეყოფ, შეტი იქნება.

კიდევ ჰპირდება რაღაცის ჩვენებას, სადილს შემდეგ, მაგრამ მიხაილ სემიონოვიჩსაც კი აღარ ძალუძს და ხელეებს ასავსავენს:

— არა, არა, ჯანდაბას შენი თავი, სულს ამოგვართმევ! ერთი ჩერნიავეს გამოუძახე, ბორის.

ერთი წუთის შემდეგ უკვე გაისმის მისი ხმა ტელეფონის მილთან:

— რა მოხდა, ჩიხი გაჩნდა? შე გეტყვი, ვინ უნდა გაიგზავნოს. შოტმანი, ის უნდა გაიგზავნოს, ინჟინერია. ტაიგაში? მაშინ იანკოვი. რა შლეგელი? უკვე წავიდა? ზარეცკისთან? აი, გ'ჟი! მაშინ დეე პოლუხრუსტოვი წავიდეს, მე კი ჩრდილოეთში წავალ, ასე გადაეცი. მე ჩრდილოეთში, ის ჩიხზე. კარგი.

ლუზას ძალზე ეძინებო. მიხაილ სემიონოვიჩმა საათს დახედა და გამოთხოვებას შეუდგა.

— ვასია, აბა ცხენებზე!

დაქანებული და დაბალი ბორცვები. მინდვრების სურათი რუსეთს აგონებს კაცს.

— მიყვარს ბორის ვინოკუროვი, — ამბობს მიხაილ სემიონოვიჩი და მოხერხებულად ჯდება მანქანაში. — არმიის მომავალი სარდალია. ხომ ნახე, როგორ უჭირავს თავი ხალხში. ნამდვილი კულტურული მეთაურია. ყოჩაღია.

ლუზა პასუხს არ აძლევს, სძინავს. სახე დაღრეჯილს, თავი მხრებში ჩაუმაღავს. ფეხები დაბუყებია, თავს გუგუნის გააქვს, თვალის გახელა და ტანის განძრევა არ ძალუძს.

ევონათ, ვერასოდეს ვერ მივლენ, ისე გრძელი, ისე მომქანცველი იყო ეს უქანასკნელი მგზავრობა დასვენების წინ.

მაგრამ აი გამოჩნდა ნახევრად ბნელი სადგურა და პირველ ხაზზე მოგუგუნე მატარებელი.

სალონში ფერწასული ჩერნიაევი ზანტად უკრავს მანდოლინას. კაცი ვერ გაიგებს: სწავლობს თუ მელოდიას სთხზავს. მიხაილ სემიონოვიჩმა დერეფნიდან დაუყვირა:

— მომე მანდოლინა! განა მაგრე დაკვრა შეიძლება!

მერე იხსნის ფარაჯის ღილებს, დივანზე ჯდება და მარჯვედ უკრავს რალაც სიმღერას თუ ცეკვას, თან ლუზას შესცქერის დაღლილობისგან მიბნედილი თვალებით.

— აი როგორ უნდა დაკვრა! — ამბობს თვალის ჩაკვრით.

შემდეგ სერიოზულ გამომეტყველებას მიიღებს და განკარგულებას გასცემს დილისთვის.

— თვითმფრინავი!

— უკვე არის, მიხაილ სემიონოვიჩ.

— როგორი ამინდია იქით?

— ამბობენ, არა უშავს რაო.

— ლუზას თბილი რამე უნდა ჩავაცვათ. სტუმრად კი არ მივდივართ.

მთვლემარე ლუზას ესმის ეს ლაპარაკი და ეკითხება:

— კიდევ აპირებ სადმე?

— არაფერია. სულ ათასიოდე კილომეტრს გავივლით. ფეხით კი არა, თვითმფრინავით. დაიძინე.

დივიზიაში ხუთი თუ ექვსი დღის წინათ მოსული ახლად გაწვეულნი კონცერტს ესწრებოდნენ დივიზიის კლუბში. ორივე სტუმარი, საზღვრიდან და ოლქიდან ჩამოსული, წინა რიგში იჯდა. დივიზიის მეთაური სკამზე ჩამოჯდა მეშვიდე რიგში, უშაკოვის გვერდით, და განუწყვეტლივ ეკითხებოდა, საინტერესოა თუ არაო.

— დიახ, საინტერესოა... — ის იმდენად დარცხვენილი იყო, რომ მეტის თქმას ვერ ახერხებდა. უკანა რიგებში გადასვლა უნდოდა, მაგრამ დივიზიის მეთაურმა მუხლზე ხელი დაადო და წასჩურჩულა:

— ყველას აგრე ემართება პირველ ხანებში, არაფერია. ნუ მორცხვობ.

კონცერტის შემდეგ საზღვარზე მცხოვრებმა მოხუცმა უამბო დამსწრეთ, როგორ დასცხეს იაპონელებს 1920 წელს, ხოლო ოლქიდან ჩამოსულმა გააკეთა მოხსენება საამშენებლო ხუთწლედზე.

ყზარმებში მწყობრად ბრუნდებოდნენ და მღეროდნენ. შემდეგ ახლები წითელ კუთხეში შექუჩდნენ და ოხვრა-ხენეშით ჩამოაგდეს ლაპარაკი თავიანთ ოჯახებზე.

— ქალაქელი რომ ვიყო, ადამიანი გავხდებოდი, — სთქვა უშაკოვმა, — ისე კი გასაქანი არა მაქვს, ვერაფერს მივალწევ.

— კარგია, ტანზე თუ მოხვდი, სპეციალური საქმეა, — შენიშნა ვიტებსკელმა ჩერვიაკმა. — სრული პროფესიაა, ყველაფერში გამოსადეგი.

— ქვეითა ჯარში დამნიშნავენ, — ჩუმაღ წარბოსთქვა უშაკოვმა თავის ქნევით, — წერა-კითხვა არ ვიცი, კომკავშირში არ ვყოფილვარ; ქვეითა ჯარში მიკრავენ თავს.

— ახლა ქვეითი ჯარიდანაც ისეთები გამოჰყავთ, რომ... — ჩერია საუბარში პესტრიაკოვი, ტაიგელი ვილუედან. — ქვეითი ჯარიდან ბევრი ახალგაზრდა პოლიტიკაში მიდის, თვითონ მინახავს. ამ ტანკებიდან, იცოდე, შენი გზა სამეურნეო მუშაობისაკენ მიიმართება, საბჭოთა მეურნეობაში ან ფაბრიკაში. ქიმიკოსებზე — ეშმაკმა იცის მათი თავი! — ვერაფერს ვიტყვი. მეზღვაური ფაბრიკის კაცია, ცხენოსანი — ცხადად უნდა იცოდე, ჩეკისტი გამოვა, ჩვენინები კი, ქვეითი ჯარის არმიელები, სამსახურს შემდეგ სახელმწიფო, სამოქალაქო ხაზით მიდიან. ჩვენს სოფლის საბჭოში შვიდი კაცია ქვეითი ჯარიდან. ერთი ორგა-

ნიზატორია, მეორე—თავმჯდომარე, მესამე—ბრიგადირი, ოთხი ინ-
სტრუქტორი...

— ვერ მივალწვეთ, — სთქვა უშაკოვმა. — აი თუნდა მე: სინდი-
სიერად რომ ვთქვა, ყველაფერში შავ დაფაზე ვარ. წერა-კითხვაში
ნული, პარტიულობის მხრივ სრული ნული, საზოგადოებრივ მუშაო-
ბაში ისევ ნული, მოდი და ამის შემდეგ გზა გაიკაფე—ვერაფერსაც
ვერ გაიკაფავ.

კორეელმა ცოიმ მუშტი დაჰკრა მაგიდას და მგლის ლეკვივით
კბილები დააკრაქუნა, — ყველას ტანში გააქრეოლა.

— რა დაგემართა, მეგობარო?

— მომეცი ხელი, შევეჯიბროთ ერთმანეთს! ნუ მომიკრიდები,
წამითაც, რაც ძალი და ღონე გაქვს. თუ უკან ბრიყვი დავბრუნდი,
ჩვენი კოლმეურნეობა დაილუპება, იქ არავითარი წესრიგი არ არის,
თავმჯდომარე არა გყავს. მაგრამ მე ბრიყვი არ დავბრუნდები. თუ
თავმჯდომარედ არ ვავხდი, კოლმეურნეობა დაილუპება, დედა მეტ-
ყვის—უკან წადიო, მამა მეტყვის—გასწი, გასწი, ბრიყვო, წადი ბა-
ზარში, ქკუა იყიდევო.

— ეს გზას გაიკაფავს, — შურით სთქვა ჩერვიაკმა.

— ძარღვიანი ხალხია.

— ისწავლი? — ჰკითხა უშაკოვმა.

— არც ერთ წუთს არ გავაცდენ.

— მომეცი ხელი!

დილით ვერაფრით ძილს თავი ვერ წაართევს.

თბილად ჩაცმული მფრინავი ფრენკელი უკვე ნახევარი საათა
ზის სალონში და ოფელში იწურება.

— ძალიან თბილა თქვენსა, — ეუბნება ჩერნიაევს. — პირდაპირ
სოჩაა.

მიხაილ სემიონოვიჩი კუპედან უყვირის:

— გამარჯობა, ჰაერის აღმირალო! როგორი ამინდია?

— რაში გვეკითხება ამინდი? ავიაცია მიმოსვლის უსწრაფესი
ჩაშუალებაა, მაშასადამე, რატომ უნდა ვიჩქაროდეთ. თუ ცუდი ამინ-
დი იქნება—დავეშვებით, დავისვენებთ.

ლუზა საბროლოდ მხოლოდ თვითმფრინავის კაბინაში იღვიძებს.

— ალბათ, გუბერნატორობა უფრო ადვილი იყო... — ყურში ჩასძახის ის მიხაილ სემიონოვიჩს. მიხაილ სემიონოვიჩი წიგნაკში იწერდა იმ ადამიანების სახელებს, რომლებიც მან ადგილობრივ შენიშნა.

— არ ვიცი. არ გამომიცდია. არც შენ იქნებოდი ცუდი გუბერნატორი—ულვაშები შესაფერი გაქვს,—უპასუხებს მიხაილ სემიონოვიჩი და განაგრძობს წერას. — მინის ქარხანა ქალაქში უნდა გადავიტანოთ, დემიდოვი სხვა სამუშაოზე უნდა გადავიყვანოთ, ქარხანას ვარვარაც გაუძღვება. ვინოკუროვს ათი ტრაქტორისტი ჰყავს...

— ახლა საით?—ჩასძახის ყურში ლუზა.

— ზუევთან დაისვენე, შემდეგ ტაიგაში დამეწევი.

სანამ ისინი ჩრდილოეთისაკენ მიფრინავდნენ, რადიომ მოსძებნა-ინაკოვი, პლუჟნიკოვი, ოხოტნიკოვი, შოტმანის თავისუფალი ბიჭები და ყველა ისინი გზის გარღვევის გამოსასწორებლად გადაისროლა.

მიხაილ სემიონოვიჩი მიფრინავს და ამ გარღვევაზე ფიქრობს.

სანამ ახალი გზა არ იქნება, გემებმა ბალტიკიდან და შავი ზღვიდან დედამიწას უნდა შემოუარონ, რომ ასანთი, ძეხვი, ცემენტი, ბურღული და ტრიკოტაჟი მოზიდონ.

— უაღრესად საჭიროა გზა,—ბუტბუტებს ის. — ასეთი მხარი-სათვის ექვსი, შვიდი მაგისტრალიც ცოტაა.

— რაო?—ეკითხება ლუზა მოტორების გრიალში.

— არაფერია, იძინე,—უპასუხებს მიხაილ სემიონოვიჩი. — ყველაფერს მოვაგვარებთ, არაფერიც არ დაგვემართება.

ზუევს სახლი, რომელსაც ხუმრობით „მეცნიერთა სახლს“ უწოდებენ, რადგან ქალაქში ჩამოსვლისას იქ ჩერდებოდა შოტმანი, სავსეა ჩრდილოეთში მიმავალი ან ჩრდილოეთიდან სამხრეთში დაბრუნებული ხალხით.

ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიეჩქარებოდათ შვებულებაში მყოფთ და სწოლქო რწმუნებულებს, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიეშურებოდნენ მონადირეები, საბადოებზე მომუშავენი, ინჟენერები, ექიმები და რადიოს მუშაკები.

შემოდგომა ადრე დადგა, გიჟი და მოუსვენარი. მან ყველაფერი არივ-დარია—გემები გრაფიკიდან გამოვარდნენ, საცხენო გზა თოვლის მოსვლამდე გაქრა. კულტურის საკითხების ლექტორი, რადიოგადამ-

ცემით ჩემოდანში, უკვე მეთორმეტე დღე ელოდება ცხენებს საბადოებზე წასასვლელად. ლექტორს ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ თან არა ჰქონდა თბილი ტანისამოსი, და ჩრდილოეთიდან მომავალთ ეკითხებოდა, სად შეიძლება იყიდოს კაცმა ქურჭიო.

— უცნაური ვინმე ყოფილხარ, ახლა ხომ სექტემბერია!—ეუბნებოდა ლუზა.

— სექტემბერს რას უყურებ, გაიხსენე, რომ ტაიგაა, —უპასუხებდა შეწუხებული ლექტორი. — მთელი ჰავა აქედან იწყება. თქვენკენ, უსურიის მხარეში, ყველაფერი განწყვრივებულია: გაზაფხული გაზაფხულსა ჰგავს, ზაფხული — ზაფხულს, ჩვენში კი, გაიგე, მოვლენათა ქაოსია.

— მე კი წლის ოთხი დრო განრიგებული მაქვს მარწრუტების მიხედვით, — ამბობდა ბეწვეულის აგენტი. — სხვაგვარად, მერწმუნეთ, შეუძლებელია... ქურჭი და თექის ჩექმები აღდანზე მაქვს, საზაფხულო ტანისამოსი — სელენჯაში, საგარეო — ვლადივოსტოკში, შემოდგომისა კი აქ. მე გრაფიკის მიხედვით დავიარები, რათა ამინდის განრიგებას არ დავცილდე.

ბოლოს, მოუყვანეს ცხენები ლექტორს, წავიდა შემოდგომის ტანისამოსში გამოწყობილი ბეწვეულის აგენტი, შემთხვევითმა გემმა წაიყვანა შევებულებაში მიმავალნი. ლუზა წავიდა მფრინავ სევასტიანოვთან მოსალაპარაკებლად. სევასტიანოვი ემზადებოდა ტაიგაში გასაფრენად, სადაც ფოსტა უნდა წაეღო.

მაგრამ ჯერ საჭირო გახდა რადიოთი მოლაპარაკება მშენებლობასთან ნოლ-ნოლ-ერთი. სევასტიანოვმა რამდენჯერმე სთხოვა ვიღაც ჟორკას, აუცილებლად გამოერკვია რალაც და დაერეკა მისთვის.

— დღეს ჟორკა ყველაფერს გვაცნობებს, — ამბობდა ლუზას მფრინავი. — შეიძლება მიხაილ სემიონოვიჩიც ნახოს, მას ყველაფერი შეუძლია.

ღამე, როცა ლუზას ეძინა, ზუევის დისწულმა ოლიმპიადამ ორჯერ გაიღვიძა ფანჯარაში უტიფარი კაკუნისაგან. ფოსტის შიკრიკი უყვიროდა: „ჟორკა გეძახით, აბა ჩქარა“. ოლიმპიადა, მაქმანით მორთულ გრძელ პერანგზე შალმოსხმული, ორჯერ გავარდა გარეთ, კიშკარში, მაგრამ მიწაყრილთან ვერავენ ნახა. გაბრაზებულმა ძაღლები აუშვა და დაწვა, კაკუნისთვის ყურადღება აღარ მიუქცნებია

დილით კი გამოიკრევა, რომ რადისტმა ჟორკამ ლუზას გამოუძახა „ნოლ-ნოლ-ერთიდან“, რათა გადაეცა, რომ მან მიიღო ნებართვა გაჰყვეს სევასტიანოვს.

დილით ამ ჟორკამ კვლავ გამოიძახა ლუზა და შვიდი მშრომელის სახელით სთხოვა, თან წაეღო ორი ქილა მურაბა უნივერსალიდან, ეყიდა საბავშვო წიგნები და ორი მეტრი მტრედისფერი რეზინი ქალის წვივსაკრავისთვის.

— მე ვყიდილთ ყველაფერს, — მშვიდად უთხრა ოლიმპიადამ სადილობისას. — მე ვყიდულობ მთელი ტაიგისათვის ყველაფერს. გასულ კვირას მეოცე საბადოს დირექტორის ცოლის კოსტიუმი, მის მაგივრად, მე მოვიზომე, ძალიან მომიხდა.

ოლიმპიადამ მართლაც ყველასთვის ყველაფერს ყიდულობდა. ზოგჯერ თვითონაც არ იცოდა, ვის უწევდა სამსახურს, და მხოლოდ გვიან შემოდგომაზე, როდესაც ტაიგელები ქალაქში ჩამოდიოდნენ, იცნობდა ხოლმე იგი თავის შეფობის ქვეშ აყვანილ პირებს ქურთუკების, ტანისამოსის, ჩემოდნებისა და ყელსახვევების მიხედვით.

დილით ლუზა სევასტიანოვს გაჰყვა. თვითმფრინავის ქვეშ ზღვა ისე მოსჩანდა, თითქოს ცას მოწყვეტილი ნაჭერი იყო. შემდეგ იგი მიიშალა და ტაიგა გადაიშალა. ტაიგა ციმციმებდა თავისი მდინარეებით, ყვითელი და მტრედისფერი წყლით გაბრწყინებული, ნახევრად შიშველი გორაკებით, იშვიათი და დაბალი შენობებით. უეცრად ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ სოფლები. არა სჩანდა მათთან დამაკავშირებელი არც ერთი ბილიკი.

— რას ეძახიან აი ამას? — ყვიროდა ლუზა, — ქალაქია? რას უწოდებენ?

— ვნომრავთ, — უპასუხებდა ბორტ-მექანიკოსი. — ჩვენ, ძმაო, მარტო იმას ვაკეთებთ, რომ ვნომრავთ. გონება გვებნევა.

მავეთულით შემოვლელულ რამდენიმე სახლთან მათ ჩაუშვეს პარაშუტი ფოსტი. ტაიგის ფრინველთა შავი გუნდა დიდხანს დასტრიალებდა თავს იმ ადგილს, სადაც პარაშუტი დაეშვა.

— ძალიან მიეჩვივნენ მეცნიერებასა და ტექნიკას, — დაუყვირა ლუზას ბორტ-მექანიკოსმა. — შენიშნავენ თუ არა პარაშუტს, მაშინვე იწყებენ კრუხუნს და ერთად გროვდებიან. ამას წინათ ხარის ხორცი ჩავუშვით პარაშუტით. ათი ათასი ფრინველი მოფრინდა, დაესივნენ,

ჩხუბი ასტიხეს. მეგონა, გაიტაცებდნენ ჩვენს ხარს პარაშუტთან ერთად... ფოსტას კი ხელს არ ახლებენ. როგორც ეტყობა, უკვე ერკვევიან, არამზადები.

ნოლ-ნოლ-ერთის აეროდრომზე სალამოს დაეშენენ. მწვანედ გაბრწყინებული მდელი, ტბასავით გადაშლილი, გარშემორტყმული იყო მაღალი, ახოვანი ტყით. მის შუაგულში პატარა შუქურები ანათებდნენ. იქ უკვე ბნელოდა.

მდელის ნაპირებზე, ხეების ჩრდილში, თითქოს ბრეზენტში გახვეული ფართო ბუჩქები წამოზრდილიყვნენ. მათ უკან, შიგ ტყეში, კარვები ციმციმებდნენ. ტყის ნესტიანი სუნი ბენზინის ნაპწვის სუნში არეულიყო, გაისმოდა სიმღერა, და ამ უმაგალითო სამყაროს ფრიად უცნაური და მხიარული სახე ჰქონდა.

— მიხაილ სემიონოვიჩი იტყობინება, რომ მას ვეღარ დაეწვევით, — უთხრა ლუზას კომბინებონში გამოწყობილმა მაღალმა გამხდარმა კაცმა, როდესაც ლუზა და სევასტიანოვი მორებისაგან აგებულ მახლობელ სახლში შევიდნენ. — დაბრძანდით, დაისვენეთ. ახლავე ვახშამი იქნება.

ლუზამ უხერხულად იგრძნო თავი.

— მაშ, უკან უნდა გავბრუნდეთ? — იკითხა მან თავის ფხანით.

— დიად, დილით. თავს ხომ კარგადა გრძნობთ. მაშინ, დილით გაბრუნდებით.

ჯერ ოთხნი ვახშომობდნენ: სევასტიანოვი, ბორტ-მექანიკოსი, ლუზა და მაღალი კაცი. მაგრამ სევასტიანოვი მალე წავიდა, თან წაიღო მურაბა და წვივისაქრავეჭი. ბორტ-მექანიკოსი მაშინვე დაწვა. მაღალი კაცი კი მაკიდასთან იჯდა და სქელკანიან წიგნს კითხულობდა.

ლუზაც მაშინვე დაწვებოდა, ეს წიგნი რომ არ ყოფილიყო. რალაც შეურაცხმყოფელი იყო წიგნის კითხვამი.

ლუზა აბოლებდა, ქსუტუნებდა, ახველებდა, გარეთ გადიოდა, — ძალზე მყუდრო ღამე იყო, — და ბოლოს, სივრცეში წარმოსთქვა:

— კარგი ადგილია.

— დიად, — უპასუხა მაღალმა და ზრდილობიანად წიგნი გვერდზე გადასდო. — ადგილი მართლაც კარგია.

— საესებით შესაფერია, — სთქვა ლუზამ თვალის ჩაკვრით.

— სავსებით,—გაიღიმა მალალმა კაცმა და კვლავ წიგნს წაატანა ხელი.

— მაგრამ, მგონი, ცოტა მოსაწყენია.

— არც თუ ძალიან,—რაღაც მნიშვნელოვანად წარმოსთქვა მალალმა. — თქვენ ღამ-ღამობითაც ეწევი? — ჰკითხა მან და სიტყვა შეაწყვეტინა ლუზას.

— აბა ეს რა ღამეა! — უგულოდ შენიშნა ლუზამ. — კოლმეურნეობაში ახლა იცით, რა არის? როდესაც ამინდია — განუწყვეტელი დღეა, მაგრამ თუ წვიმა დაიწყო — დილიდანვე ღამეა და ღამე.

— რას ამბობთ? — უნდობლად გამოეხმაურა მალალი კაცი, ისე კი, რომ წიგნისაგან თავი არ აუღია.

ლუზა მიხვდა, რომ უნდა დამორჩილდეს და დაწვეს.

დილით სევასტიანოვმა ლუზას გადასცა საღამო და შურაბის ფული ჟორკასაგან.

— შენ ხომ არსად არ შეგხვედრია ვინმე ქენია ტარასენკოვა? — ჰკითხა მან ლუზას. — ჰო-და, აღარა გვყავს ქენია ტარასენკოვა, — სევდიანად და დინჯად წარმოსთქვა მან. ხოლო ბორტ-მექანიკოსმა ლოყაზე ხელი შემოირტყა.

— გაიტაცეს გოგონა? — ჰკითხა მან.

ლუზამ ვერ გაიგო, რომელ ქენიაზე იყო ლაპარაკი და არც გამოკითხვას შესდგომია.

კვლავ გუშინდელ ტაიგაზე მიჰქროდნენ, მაგრამ ახლა იგი ლუზას სხვაგვარი, მნიშვნელობით აღსაესე ეჩვენებოდა. ლუზა აკვირდებოდა იდუმალ კვამლს, ოდნავ შესამჩნევ ბილიკებს, ნავებს პატარა მდინარეებზე, დაწყობილ შეშას უღამიანო მინდვრებში, ერთად თავმოყრილ ცემენტის კასრებს და ყუთებს გორაკების თავზე, — მთელ საბჭოთა მიწა-წყალზე სიკეთის მომფენ მძლავრ საამშენებლო ტალღის ამ ნაკვალევს.

როდესაც აჭურის ნიკოლაევსკში დაეშენენ, სევასტიანოვმა თვალის ქუტვით უთხრა:

— შენ ახალი კაცი ხარ, ჩვენ საქმეებს არ იცნობ — არაფერ გინახავს, არაფერი არ გაგიგონია, მაგრამ თუ ქენია ტარასენკოვაზე რაიმე გაიგო, ვინც შეგვხდეს უთხარი — გადასცეს ჟორკას, რომ ქენია ამა და ამ ადგილას არის. ჟორკა რომ არ იყოს, ჩვენ ყველას გზა დაგვებნეოდა ტაიგაში. იგი ყველას მეგობარია.

ზუევთან კვლავ ისე ირეოდა ხალხი, როგორც აბანოში. მობინადრეები მოთავსდნენ ფარდულებში, უკანა ფლიგელში და კარვებში ბოსტნის მხარეს. ხალხი განუწყვეტლივ მოდიოდა. შემოდგომა ჯგუფ-ჯგუფად მოერეკებოდა ხალხს ტაიგიდან. ვერც კი მოასწროლუხამ თავისი უნაყოფო მგზავრობის ამბის მოყოლა, რომ შემოიკრნენ ბარსოვის გეოლოგიური კვლევის მონაწილენი — დედაქალაქიდან ჩასული ახალგაზრდები, კათედრებზე მეოცნებე, მკაცრი გამომეტყველების, სათვალეებიანი ყმაწვილები. ისინი ემზადებოდნენ წარმოდგენის დაუყოვნებლივ დასაღამებლად, რათა ქალიშვილებს გასცნობოდნენ, და შეჯგუფებულიყვნენ კიშკართან. მათ გაოფლიანებული რომების მყრალი სუნი სდიოდათ, ამავე დროს განირჩეოდნენ ლენინგრადის მკვიდრ მცხოვრებთათვის დამახასიათებელი შნოიანობით. ისინი მღეროდნენ ბლოკის ლექსს:

Я помню нежность ваших плеч
—Они застенчивы и чутки...

და გადაკრული, მნიშვნელობით აღსავსე შენიშვნებით მიმართავდნენ გამვლელ ქალიშვილებს. სადილის დროს ახალწვეულთა მსგავსად სიმღერით მოვიდნენ ვერებიცკის თევზმცოდნეობის ჯგუფის წევრები და, ოლიმპიადას პროტესტის მიუხედავად, აბანო დაიკავეს. ხმა გავარდა, რომ შოტმანს ტაიგიდან გამოჰყავს ოქროს საბადოების გამომკვლევი სამი რაზმი და ხვალ ან ზეგ თვითონაც აქ იქნება, რომ უხელმძღვანელოს მათ განაწილებას დაზამთრებისათვისა.

ზუევმა უბრძანა, გარეთ გაეტანათ მაგიდა სამოვრით, სკამები და თავისი საყვარელი ცალფეხა სავარძელი. ეს სავარძელი მან სამხრეთით წარმოებულ სამოქალაქო ბრძოლების დროს წაართვა მტერს და დიდის სიამაყითა და რიხით მიიტანა შინ.

ზუევი და ლუზა სამოვარს შემოსხდომოდნენ და ყველას ახალ ამბებზე ეკითხებოდნენ, თითქოს სურდათ იათად შეესყიდათ ეს ამბები დიდი ბაზრობის წინ.

— ნუ თუ დასძლიეს? — ამბობდა ზუევი, — იქნებ ტყუილად ფუსფუსებენ, ვითომ საქმეს ვაკეთებთო?

— რაზე ლაპარაკობ?

— ჩვენს ჩრდილოეთზე, ჩვენს ზღვებზე, ტაიგაზე.

— დასძლიეს, — დაბეჯითებით ეუბნებოდა ლუზა, — ჩვენთან წინა ხაზზედაც კი უფრო სიწყნარეა, ვიდრე თქვენთან.

— ქვეყანა მარტო ხიშტით ვერ გასძლებს,—უპასუხებდა ზუ-
ვევი. — ოღონდ თქვენ ხალხს ნუ მოგვაკლებთ და ოქროთი ავაესებთ,
უამრავ თევზს მოგაწვდით, ხე-ტყით გადავლობავთ საზღვარს.

ოლიმპიადას თეთრი შალი მოესხა კაბაზე, რომლისთვისაც ჩამო-
ექრა სახელოები, საყელო და ნახევარი კალთა, და ჯარასავით ტრი-
ალებდა მაგიდასთან, ნაცნობებს ეგებებოდა.

— აი, სტეკლიცკის რაზმიდანაც მოვიდა,—მინაზებული ხმით
წამოიძახა მან, როდესაც ოთახში შევიდა მტვრისაგან შექალარავე-
ბული, ნავთზე მომუშავე ინჟენერი.

— როგორ მოგერგოთ შარვალი? დაბრძანდით მაგიდასთან.

— რომელი შარვალი? — ლულულულებდა ინჟენერი, მაგრამ რო-
დესაც გაიხსენა, რომ მართლაც ვიღაცას დაავალა შარვლის ყიდვა
და კიდევ მიიღო იგი ბარათით „ბედნიერად გეტარებინოთო“,
მხურვალედ ჩამოართვა ხელი და დიდხანს უხდიდა მადლობას უძველესი
ნაცნობის აზარტით.

— სამუდამოდ დავალებული ვარ თქვენგან. მოსკოვში რომ ჩა-
ვალ, ერთ ბიღონ სურნელებას გიყიდით.

— მამაკაცის დაპირება აბა რა დასაჯერებელია, — მწარედ, ნარ-
თაულად წარმოსთქვა ოლიმპიადამ, თან ეშმაკურად მოჭუტული
თვალთ შესცქეროდა სტუმარს: — მამაკაცისაგან ვერაფერს მიიღებ...

ახალგაზრდები მაგიდასთან მიდიოდნენ, ჩაის ისხამდნენ და ახალ
ამბებს უამბობდნენ დამსწრეთ.

— რა აღმოაჩინეთ? — ყვიროდა ზუვევი და ყოველი მხრით ატრი-
ალებდა თავის ცალფეხა სავარძელს. — ნაწთი არის, ქვანახშირი არის?

— ყველაფერი აღმოვაჩინეთ, — ამბობდა ბარსოვი. — ყველაფერი
უამრავია, ოღონდ ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი გვაკლია — ადა-
მიანი. მომეცი თორმოცდაათი ათასი კაცი — ყველას საქმეს გაუუჩენ-

— ორმოცდაათი ათასი... — თავის ქნევით ამბობდა ზუვევი და
ლუზას შესცქეროდა. — აბა საიდან?

მოხუცი ზუვევი ყველაფერს სულით და გულით ეხმაურებოდა
და ახალგაზრდობასთან ერთად იტანჯებოდა, თურამე ვერ ეწყობოდა.

— აქ საჭიროა მოხიერებული მიდგომა, — ამბობდა ის ენის წლა-
კუნით და გადამკრელ მეთოდს იგონებდა. — პირველ რიგში შენთვის
საჭიროა დედაკაცები. თუ დედაკაცმა მიწაზე მოიკალათა, ათ მამა-
კაცს გაიყოლებს. ნალღია.

ღამით ჩრდილოეთიდან ცივმა ქარმა დაჰბერა.

— მშვიდობით, ტაიგავ, გაზაფხულამდე!—გაჰყვიროდა ახალგაზრდობა ეზოში. — მშვიდობით, ზღვავ, გაზაფხულამდე!

— წარმოდგენა, ტაიგის უკანასკნელი წარმოდგენა!—მოისმოდა ბალიდან, და ქალიშვილები ერთად გარბოდნენ ფარდულისაკენ, სადაც უკვე ჰკიდებდნენ ზეწრის ფარდებს და სანთლის შუქზე უკრავდნენ გიტარას.

ვიოლინის დამკვრელი, ომახიანი ახალგაზრდა ქალიშვილი მოსკინის ბრიგადიდან, კრულ ჯემპრსა და ღინღლიან ქულში, ვიოლინს აწყობდა და ცალი თვალით მისჩერებოდა ულვაშებიან ინჟინერს, რომელიც მისი ჩემოდნიდან ტრუსების, ქილებისა და წინდების ქვეშ ამოდებულ ნოტის რვეულებს იღებდა.

მოხუცი ზუევი და ლუზა კი კვლავ მაგიდასთან ისხდნენ, კვლავ ჩაის შეექცეოდნენ, ახალგაზრდობას ეკითხებოდნენ ტაიგისა და ზღვის ახალ ამბებს და ისევე მხიარულად, ოდნავ მშფოთვარედ გრძნობდნენ თავს, როგორც ახალგაზრდობაში.

ის იყო წამოდგნენ, რომ აჰრიალდა ჰიშკრის პატარა კარი და ხტუნვით შემოვარდა შოტმანი.

მას ძლივს მოჰყვებოდა განაწამები ქალი ბავშვით.

შოტმანის ჯგუფი ყველაზე სახელგანთქმული იყო. მისი ხალხი ტაიგაში ცხოვრობდა ოჯახობით, ტაიგაში შობდნენ ბავშვებს და ბოშებივით თან დაათრევდნენ ამ ბავშვებს ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლისას.

— მალე რაზმთან შეიღწლედისკ გახსნა მომიხდება,—სიცილით ამბობდა შოტმანი. ჯერ კიდევ შუაზაფხულში,—შემდეგ მუშფაქის, მერე უმაღლესი სასწავლებლის, ბოლოს კი თანამდებობებს გადავცემ მემკვიდრეობით, მამისაგან შეიღს. ჩემთან კადრები იზრდებიან წარმოებისა და ოჯახისაგან მოუწყვეტლად.

სამი წლის წინათ კოლიმში შოტმანს „რა არის“ უწოდეს.

— „რა არის“ ჩამოვიდა?

— ჩამოვიდა.

შოტმანთან სატაიგო ლაშქრობაში ნამყოფი ხალხი ამბობდა, რომ შოტმანს შეუძლია ლაპარაკით ძალღონე გამოაცალოს უძლიერეს დათვსაცო.

შოტმანს მართლაც ძალიან უყვარს გამოკითხვა. მისთვის არ არსებობს მოსაწყენი საქმე და მოსაწყენი ადამიანი. მისი თავიდან მოშორება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ყველაფერს გადმოალაგებ. სხვა გამოსავალი არ არის.

აი, მოიჩქარის იგი ხტუნვით, დაბალი, გამხდარი, ჭალარაშერეული, საფეთქელთან დახუჭუქებული თმით და ჩიტის ბოლოსავით დაგრძელებული შავი წვერით. შოტმანი ჰგავს მუსიკოსს, უფრო კი ღირიჟორს, რადგან ხელები მუდამ გაშლილი აქვს. ხელებით ამხნევებს ან ამშვიდებს ამბის მომყოლს. ხოლო როდესაც თვითონ ლაპარაკობს, რალაც სხვას, რაც ნათქვამს უნდა დაემატოს, ხელებით გამობატავს ხოლმე. ხელები რომ არა ჰქონოდა, მკერმეტყველობის ნახევარს დაჰკარგავდა.

— მოიცა, სოლომონ, მაგრე უღვაშებს ერთიანად დამაგლეჯ, — ეუბნებოდა ასეთ შემთხვევაში მიხაილ სემიონოვიჩი. — რას ასავსავებ მაგ ხელებს? რა ამბავია, ნუ თუ აღგილს ვერ მიუჩინ? ჯიბეში ჩაიწყე, გეთაყვა.

მაგრამ ხელების ჯიბეში ჩაწყობა შეუძლებელია. ჯიბეები შარშანდლიდანვე სავეს აქვს. იქ არის გასაღები, გამადიდებელი შუშა, სახრახნისი, ძაფი და მადნეულისა. და მინერალების უამრავი ნატეხი — „მეხსიერებისათვის“.

— რა არის, რა მოხდა! — ეუბნებოდა ჩვეულებრივად მიხაილ სემიონოვიჩს შოტმანი. — მე ხელით გიჩვენებ, რომ მიხვდეთ, ტყუილად კი არ ვასავსავებ ხელებს.

— რამდენიც გინდა ასავსავე, ოღონდ მიაშვებ, — და მიხაილ სემიონოვიჩი, თითქოს დამფრთხალი, განვებ იფარებდა ხელს უღვაშებზე.

— ზუევ! — დაიყვირა შოტმანმა: — მიიღე გმირი-ქალი. მიუჩინე ოთახი და მყუდროება. ტყუპი უნდა შობოს. გადაწყვეტილია. ტყუპი. ლაპარაკი ზედმეტია. სერჟანტებად ვრიცხავ რაზმში. გადაწყვეტილია. ვინა გყავს აბანოში? დაკავებულია? გამოყარეთ ხიშტებით! მომყევით!

უკან დაედევნა ხუთი ნახევრად-შიშველი წითელარმიელი. ეს სახელგანთქმული ექსკურსანტები იყვნენ. მათ ფეხით გაიარეს სამი ათასი კილომეტრი, ტაივის მდინარეში ჩაუცვივდათ მთელი ავლა-დიდება

და შოტმანმა ცოცხალ-მკვდრებს მიუსწრო. მარტო ტრუსები-ღა შერჩენოდათ.

აბანოდან მოისმა ველური კივილი და „ურა“-ს გრიალი.

— ეტყობა უკვე შემოდგომაა, — სთქვა ოლიმპიადამ. — რაკი სოლომონ ოსკაროვიჩი ტაიგიდან გამოვიდა, მაშასადამე, ყველაფერი გათავებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუმრებს აღარ უნდა მოველოდეთ.

სამოვარი თავის ადგილას დასდო და თეძოების რხევით აბანოსაკენ გაექანა.

ზვიაგინის თევზმცოდნეებმა და ბარსოვის გეოლოგებმა კაპიტულაცია მოახდინეს შოტმანის წინაშე. დაეა სწარმოებდა მსოლოდ კაპიტულაციის საპატიო პირობებზე. დამარცხებულნი გმირული თავდაცვისათვის მოითხოვდნენ აბანოს წინა ოთახს და კიდეც მიიღეს იგი ნავთის მუშაკთა და მცენარეთმცოდნეთა მთელ ჯგუფთან ერთად.

— უკიდურესად უნდა შემკიდროვდეთ, — გასცა ბრძანება შოტმანმა, მაგრამ მისი ბრძანება საჭირო არ იყო.

— კერბიდან ხარ? — ეკითხებოდა ერთი მეორეს.

— ჩუმიგანიდან. სამხრეთისაკენ მივდივარ.

— სამხრეთისაკენ?

— ერთად დავწყვეთ.

— ვის აწუხებს კვების პრობლემა? ვთხოვ ჩემს სანთელთან.

— ლენინგრაძელებო, ჩემთან. ორი კვირის დამარილებული გაზეთები მაქვს.

— ახალ-ახალ შეელიტები!). საუცხოვო პრობლემაა.

— ლიტერატურაში აღნიშნული არ არის ნახეთქი შრის არცერთი ტიპი.

— შეელიტიანი? რამდენიც გნებავთ. შემიძლია მოხსენებით გამოვიდე, თუნდაც აკადემიაში. გთხოვთ ჩემ სანთელთან.

ამ ყვირილსა და აურ-ზაურში უეცრად შეიქრა გამაყრუებელი სტვენა. ვილაც ყუთზე შეხტა და ხელი ასწია:

— ხომ არავის გინახავთ ეენია ტარასენკოვა? — ხმამალა იკითხა მან.

1) შეელიტები — მადანი, რომლისაგანაც ქიმიური წესით ვალფრამის სიმჟავს ამზადებენ.

— ჟენია ტარასენკოვა? როგორ არა, როგორ არ გვინახავს! — გაისმა ხმები.

— ჰო-და, აღარა გვყავს ჟენია ტარასენკოვა, — ნაღვლიანი ხმით წარმოსთქვა უცნობმა. — ყველაფერი გამორკვეულია. გასულ დეკადაში მის სოფელთან დაეშვა მფრინავი ფრენკელი, თავდაცვა-ავიაქიმელი. მისი გაფრენის ერთი დღის შემდეგ გაჰქრა ჟენიაც. — ყუთზე მდგომმა ხელით მუქარა გამოხატა ჰაერში. — ხეირი არ დაგეყრება, ფრენკელ! — პირშუქად წარმოსთქვა მან. — ვინც ნახოთ ფრენკელი, უთხარით — ხეირი არ დაგეყრება-თქო, ფრენკელ.

ოლიმპიადამ თავი მოუყარა ყველა ექსპედიციის ქალიშვილებს და მოაწყო ისინი აბანოში, ლუმელს უკან. ხუთხაზიანი ლამპის შუქზე მათ ერთმანეთი აათვალიერ-ჩაათვალიერეს, ერთმანეთს გამოეცნაურნენ.

ოლგა არც ერთ ქალს არ იცნობდა და ლუმელს იქით, ფირებზე წამოწოლილი, მთელმხარე, ყურს უგდებდა მეორე მხარეს მოთავსებულ მამაკაცთა საუბარს. აბანოში ცხელოდა, ოლგამ ტანისამოსი გაიძრო და შიშველი გაეხვია დამტვერიანებულ, ჩალით გატენილ მჩხვლეტავ საბანში.

ქალიშვილები მამაკაცებს ძველი დაჩვეტილი შირმით გაემიჯნენ. ოლიმპიადამ ნაჭვრეტებიდან უცქეროდა მამაკაცებს.

— მეტად საინტერესო ხალხია, — ამბობდა ის: — აშკარად ხედავ, რომ მართებული მამაკაცები არიან. ამ შემოდგომაზე უეჭველად გავთხოვდები, არჩევანი დიდი, ღვთის წყალობა თუ იქნება.

მამაკაცები არაყს სვამდნენ, მურაბას აყოლებდნენ და სამი თვის გაზეთებს ერთბაშად კითხულობდნენ საწოლებთან დადგმულ ელექტრონის ფარნების შუქზე.

შოტმანი ვერჯებიცკის და ზვიაგინს გეოლოგიაზე ესაუბრებოდა.

— ჩვენ, გეოლოგებს, არსებული კაცობრიობა არა გეყოფნის. ჩვენ ისტორიისათვის ვმუშაობთ. მარტო მე ასი წლისათვის სამყოფი ოქრო აღმოვაჩინე. მის დასამუშავებლად ნახევარი მილიონი კაცია საჭირო. აბა სად მოსძებნი ამდენს? მე ვპოულობ, ვიკვლევ და ვიწერ, ამომღები კი არავინაა.

ზვიაგინი შურიტ ისმენდა ოქროს პერსპექტივებს და, თავისი არაპრაქტიკული წყალმცენარეებით დარცხვენილი, არ ეთანხმებოდა შოტმანს.

— სისულელეა, ბოდვია!—ყვიროდა შოტმანი. — თქვენი წყალ-
ქვეშა ბოსტნები, ჩემო ძვირფასო, უდიდესი რამაა. საკვებია, საზრდო.
ასი ათასი ტონა საკვები. სიცოცხლეშივე ნახავთ თქვენს წყალმცენა-
რეთა ზეიმს... დიდებულია სიცოცხლეშივე ნახვა. მათგან დაამზადებთ
იოდს და რალაც მნიშვნელოვან ვიტამინებს, აგარ-აგარს, ალგინს და
სხვას. ისწავლით აგურების დამზადებას წყალმცენარეთა ნაყარისაგან
ან მათ გადამუშავებას გამანოყიერებელ ნივთიერებად. შეიძლება სათ-
ბობიც დაამზადოთ მისგან ან, ბოლოს, გვასწავლოთ ზღვის კომბოს-
ტოს ხმარება შემოზიდული პამიდორის ნაცვლად.

ნახევარი წლის განმავლობაში მდუმარე შოტმანი განუწყვეტლივ
ლაპარაკობდა და ყურს არ უგდებდა საწინააღმდეგო მოსაზრებებსა
და რეპლიკებს. აქ ყველაფერი იყო. ახალგაზრდობა და ხელიდან
გაშვებული რომანები, ცოტა რამ თეორიიდან და უცოლო ადამი-
ანის მოხეტიალე ცხოვრება.

— ჩვენ უცოლოები ვართ პროფესიით,—ამბობდა ის. — დიალ,
დიალ, მოხეტიალეები ვართ. ცხოვრებას ვერ ვასწრებთ. რა არის აწმყო?
როგორც კი აწმყო დასრულდება, ამებასავით გაიშლება წარსულად
და მომავლად. საკმარისია აწმყო წამოიზარდოს, რომ იგი მყისვე
გაქრება. მასთან ერთად შენი ნაწილი ორად გაიყოფა, იქით და აქეთ
განშტოვდება... ჩემი ნაწილი საქმეებშია დატული და ნაპოვნი
ოქრო ჩემთვის წარსულია, მეორეს მხრივ იგი წმინდა წყლის მომავა-
ლია... თორმეტი წლის წინათ ოქრო ვიპოვე ზედა ობზე. იგი საქმე-
ებშია. მას ოცდაათი წლის შემდეგ გაიხსენებენ; როგორც დავიწყე-
ბულ რომანს. ვიპოვე ოქრო ჩუმიგანთან. ჩუმიგანში ამ ოქროზე ლა-
პარაკს დაიწყებენ ორმოცი წლის შემდეგ. აღმოვაჩინე ოქრო-კერბში.
კერბში კეთილი სიტყვით მომიხსენიებენ სამოცდაათი წლის შემდეგ.
მე მოვკვდები, მაგრამ ათეული წლების განმავლობაში განავრძობენ
ჩემს პოვნას. ჩემგან დარჩება არა ერთი მუქა მტვერი, არამედ კარგა
დიდი მუქა ოქრო, პატიოსან სიტყვას ვიძლევი. ორმოცი და ორმოც-
დაათი წლის შემდეგაც არ შესწყვეტენ თხრას ჩემს ირგვლივ და
იტყვიან—ეს შოტმანიო. აი ესეც მისი, არამზადა შოტმანის ოქროაო...
მე კიდევ ვიშოვი ას ორმოცდაათი წლის სამყოფ საქმეს. ვიპოვი
მთელ ოქროს; ჩემ სახელზე დავიწერ და მოვკვდები. ინებეთ და და-
ამუშავეთ.

შოტმანი განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ მას ნაკლებად უგდებდნენ ყურს. სანთლები და ფარნები ერთი მეორეზე ქრებოდა და ყოველი კუთხიდან ხვრინვა მოისმოდა. ოლგას კი არ ეძინა. შოტმანის მთრთოლვარე ხმამ გააღვიძა მისი ოცნება, და სითბოთი და დაღლილობით მთლად მოთენთილი ოლგა, თითქოს ბოდავსო, თავს ვერ ართმევდა აზრებს, ვერ ამშვიდებდა მათ.

„კარგად, ჩინებულად ლაპარაკობდა შოტმანი ჩვენზე, — ფიქრობდა ოლგა და თან იზმორებოდა. — კარგი იქნებოდა, რომ ზვიაგინის ნაცვლად, ის ყოფილიყო ჩვენთან...“

ოლგას განსაკუთრებით ის ესიამოვნა, რომ შოტმანმა ალგინი ახსენა.

ოკეანოგრაფია გაბედული და შრომისტევადი მეცნიერება აღმოჩნდა. იგი მშვიდად გადადიოდა მეზობელ მეცნიერებათა ტერიტორიაზე და ერთის შეხედვით მშრალი, განყენებული, დიად საქმეებს დაშორებული, დასაბამს აძლევდა ქეშმარიტად ფანტასტიურ, თუმცა ყოველმხრივ რეალურ სარეწაოებს, მაგალითად, წყალქვეშა მემდელოებას. მოკრძალებულ და წყნარ ოკეანოგრაფიას სპირდებოდა წყალქვეშა ნავები და მყვინთავები, ქიმიკოსები, მებეტონე-ექსპერიმენტატორები და მხატვარი მზარეულები, რომ ხელმძღვანელობა გაეწიათ ზღვის ფსკერის ცხოვრებისათვის, ლაბორატორიებში შეემოწმებინათ ნაპოვნი პროდუქტები და გაბედულად მოემზადებინათ ისინი პრაქტიკული ცხოვრებისათვის. ვარვარა პოსიეტში ქარხანას აშენებდა, მზარეული გრიშუკინი სასწორზე აგდებდა თავის მდგომარეობას კულინარიაში და იგონებდა „წყალქვეშა“ სალათს წყალმცენარეებისაგან, პროფესორი ზვიაგინი კი მყვინთავთა სკოლაში დადიოდა და როდესაც ფლოტის სარდალს ხედავდა, დაბეჯითებით სთხოვდა რომელიმე ძველის-ძველ წყალქვეშა ნავს მეცნიერული მუშაობისათვის.

ოლგა კმაყოფილი იყო. იგი იწვა და ღიმილით ფიქრობდა ამ ქარხანაზე.

მამაკაცთა განყოფილებაში ინჟენერი ლუბენცოვი ჩურჩულით უამბობდა ვილაცას თავის ოჯახურ საქმეებს.

— ყოველ ექსპედიციაში ცოლი მყავს, — ამბობდა ის. — დღეს-დღეობით ოთხი მყავს. გეფიცები, შესანიშნავი გოგონები არიან. ოთხივეს ვუგზავნი ფულს. ორისაგან ბავშვებს მოველი. პატიოსნად, სერი-

ოზულად ვეკიდები მათ. ყველამ იცის, ვინცა ვარ და რაცა ვარ. თვითონ იფიქრეთ, განა სხვაგვარად შეიძლება? ერთი წელიწადი პეჩორზე დავეყავი—აბა რომელი ქალი წაგყვება ცენტრიდან იქ? მხოლოდ მანკიანი თუ... ჰო-და, აი, პირველი ქორწინების წინაისტორიაც—ჩემი ცოლი შესანიშნავი ქალი აღმოჩნდა, კოლმეურნე. ვასწავლე წერა-კითხვა და დავეყენე საზოგადოებრივ სამუშაოზე. წამოსვლისას ვეუბნები, როგორც გსურს, ისე მოიქეცი, თავისუფალი ხარ მეთქი. მერე წერილი მივიღე—ბავშვი მეყოლაო. შევიარე. ჩინებული ბავშვია, ყველაფერი რიგზეა. მოვილაპარაკეთ, როგორც წესია. თუ არ ჩამოხვალ ან არ წამიყვან, შეიძლება გავთხოვდეო. წაყვანა არ შემიძლია მეთქი,—ვეუბასუხე. — შორს, აღმოსავლეთში მგზავნიან, ბავშვით წასვლა უხერხულია. გათხოვდი-მეთქი. მეორე თაჯიკისტანშია, თაჯიკელია, ისიც საუცხოვო ქალია. რამდენხანსაც გინდა, დაგელოდებიო, —მითხრა. ლამაზი ქალია. აგრონომიდაა კოლმეურნეობაში. დაგელოდებიო,—მითხრა,—სხვას არაფრისთვის არ გავყვებიო. ორი წელიწადია არ მინახავს, ზაფხულში ჩავალ, ენახავ, რაც უნდა იყოს, ნაციონალური საკითხია. მესამე.. იგი აღარ დამლოდებია, გაჰყვა ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთ მონაწილეს. ხოლო მეოთხე ზოიდა,—თქვენ მას იცნობთ. თვენახევრის შემდეგ უნდა შობოს... არა ღირს მხოლოდ მემანქანებთან საქმის დაქერა,—ისინი ანგარიშობენ, რამდენი ბეწვეულის პალტო შეიძლება გამოგცანცლონ, და საერთოდ დიდი თავის ტეხა გიხდება...

— აბა, აბა... — გაამხნევა იგი ვილაცამ ჩურჩულით.

— მე ეგ ეთიკურად არ მიმაჩნია,—სთქვა მეორემ.

— ჩვენთან მაგისტანა საქმეებისათვის გვერდებს უზელენ,— მშვიდად შენიშნა წითელარმიელმა ტურისტმა.

— ვინ იცის, შეიძლება მე ძალიან უბედური კაციც ვიყო,— თავი მოიკატუნა ლუბენცოვმა.

ტრუსებიანმა წითელარმიელმა თავი გაიქნია, საბანი წამოისხა და აბანოდან გავიდა.

— უბედურებაა ასეთი ცხოვრება!—წარმოსთქვა მან და მძინარეებს გადააღაჯა. — ეჰ, ტიალო!

შოტმანმა თავი ასწია, წითელარმიელს შეხედა და თითქოს ძველის-ძველი ნაცნობი დაინახაო, თავი დაუქნია.

ეს წითელარმიელი, რომელმაც სიამოვნების გულისათვის ათასი კილომეტრი გადალახა, რომელიც ორჯერ კინალამ დაიღრჩო და შვიდი დღე-ღამე შიმშილს განიცდიდა ტაიგაში, ფრიად ნაცნობ ფიგურად მოეჩვენა.

ამ ტიპის ადამიანების ჩამოყალიბება ოთხი თუ ხუთი წლის წინათ დაიწყო. ისინი ერთბაშად ათასობით ჩამოყალიბდნენ, თითქოს ერთის დაბერვით წარმოშვა საერთო ქარმაო. ისინი შეიქრნენ ცხოვრებაში, როგორც თვრამეტი წლის წინათ მათი მამები იჭრებოდნენ მატარებლებში ფრონტის პატარა სადგურებზე, რომ გაეჩალებინათ ომი ძველი რუსეთის წინააღმდეგ. შემდეგ ისინი შიმშილობდნენ, ტიფით ავადმყოფობდნენ და თევობით არ იბანდნენ პირისახეს და არ იცვლიდნენ საცვალს, რადგან ცხოვრების აზრი მხოლოდ ომი და გამარჯვება იყო. ყოველი კარგად გამოძინებული კაცი, როდესაც ქვეყანას ამთელი კვირაობით არ ეძინა, მტრად მოსჩანდა.

შემდეგ ისინი ფრონტიდან ფრონტზე გადადიოდნენ, ერთი ქვეყნიდან მეორეში, ქალაქიდან ქალაქში, ხან ერთ, ხან მეორე ქალს ეკედლებოდნენ და იმაზე ზრუნავდნენ, რომ უკან მოეტოვებინათ ქალაქები და ქალები. შემდეგ კი კვლავ წასულიყვნენ დაუპყრობელ ადგილებში სხვა ქალებთან, რომელთაც კიდევ შერჩენოდათ სიყვარულისა და მათი მოვლის უნარი.

მაგრამ ცხოვრების ფრონტი სწრაფად იცვლებოდა. უკვე სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ მოხეტიალეებსა და პარტიზანელობას. მოითხოვდნენ განათლებას და შრომის სიებს. ალიმენტებს ახდევინებდნენ, მიუხედავად დამსახურების გრძელი დავთრისა.

ამასობაში წამოიზარდნენ ბრძოლების დროს ჩასახული ყმაწვილები. მათი მამების მიერ მძიმე ბრძოლით მოპოებული სახელი მათ სიამაყეს შეადგენდა. მაგრამ აი მათ თვალი მიმოავლეს ცხოვრებას და ცხოვრებამ უთხრა მათ: „ყოველივე, რაც თქვენშია, ჩემია. მე არ დაგიტოვებთ თქვენ პირადი ხარჯებისათვის არც მეგობრისადმი დამოკიდებულებას, არც ქალისადმი დამოკიდებულებას. ყოველივე, რაც თქვენშია, მე უნდა ვიყო. მე სული ვარ თქვენი, მე ჭკუა და სისხლი ვარ თქვენი“.

და აი ისინი გამოვიდნენ ასიათასობით და მილიონობით, რომ ფებდაფებ გაპყოლოდნენ რევოლუციას და ერთი ნაბიჯითაც არ ჩამორ-

ჩენოდნენ მას. მათი მამები ცეცხლის ალში ხევედნენ მემამულეთა სახლ-კარს, მრავალ ფრონტზე იბრძოდნენ, ჰკარგავდნენ ცოლებს და ივიწყებდნენ ბავშვებს, შვილები კი აშენებდნენ ქალაქებს, ჰქმნიდნენ მტკიცე ოჯახებს და ეჩვეოდნენ დღე-ღამეში რვა საათის ძილს და დღეში სამჯერ ჭამას.

ქვეყანა ხალხით ავსებდა ახალ ქალაქებს, ახალი გზებით დაიარებოდა, ახალ სიმღერებს მღეროდა, უყვარდა და აზროვნობდა ისე, როგორაც მსოფლიოს ისტორიაში ერთხელ ან ორჯერ თუ ახერხებდნენ აზროვნებას ყველაზე დიდი ადამიანები.

და ეს პატარა წითელარმიელი, რომელმაც სიამოვნების გულისთვის ათასი კილომეტრი გადალახა, დაწყებული დიადი ცხოვრების ერთ-ერთი რიგითი დეე-გმირი იყო.

მის სულში, რომელმაც არ უწყოდა ძველი გრძნობები, რევოლუცია აღბეჭდილი იყო როგორც ბედნიერება და სიხარული. მას ასე ესმოდა იგი და ჯერ არც ერთხელ არ შემეცდარა.

ლუბენცოვის სიტყვებმა სხვადასხვა ცოლზე, ათი ან თუნდაც რვა წლის წინათ ჩვეულებრივმა სიტყვებმა, იგი ცეცხლივით აანთო.

წითელარმიელი აბანოს წინა ოთახში გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

აბანოში უკვე ყველას ეძინა. ძილი ეპარებოდა ოლგასაც, თუმცა იგი შეაფრთხო, შეაშფოთა ლუბენცოვის ნამბობმა.

ბუნდოვანი, სიბნელეში გაურკვეველი ფაჩუნი ოლიმპიადას საწოლთან ოლგას მოჩვენებად წარმოუდგა. მაგრამ შემდეგ ყური მოჭკრა რამდენიმე სიტყვას, ხელის აქნევას, შიშველი თეხის სრიალს იატაკზე.

— რა საშინელება! — ჩურჩულით ჩაილაპარაკა ოლგამ და ჩუმად მიხობდა თავის ფიცარნაგის კუთხეში, ღუმელთან:

ტუჩებმოკუმული და ძალზე შუბლშეკრული ცდილობდა იგი არ გამოჰპარებოდა ეს ფაჩუნი ყურების წივილის გამო. ყურები უწიოდა, წკრიალი გაჰქონდა რალაც მომწლოსა და მძაფრს და წრისებურად იფანტებოდა. დრო და დრო არაფერი არ ესმოდა. ოლგა წამოდგა, ირგვლივ ხელი მოაფათურა და სიბნელეს ჩააშტერდა. მოძრაობამ დააწყანარა, სმენა წივილისაგან განთავისუფლდა. ისევ დაწვა, შვება იგრძნო. უეცრად გვერდით შიშველი თეხის ხმა მოისმა. ყურები კვლავ საშინლად აუწივლდა.

„მთელს აბანოს ესმის ჩემი გულისძგერა, — გაიფიქრა. — დავიყვირო თუ არა?“

— ჩუ... ბოდიშს ვიხდი, — მოესმა ოლგას ჩუმი ჩურჩული თავის სახესთან. — კომკავშირელი ხართ?

— დიალ.

— კრებაზე. ჩუმაღ.

ოლგა საბანში გამოეხვია და ნმას გაჰყვა, უკითხავად, თან შიშისაგან მთლად კანკალებდა.

აბანოს წინა ოთახში ადგილობრივი პროკურორი, ძველი კომკავშირელი, ჩაის შეექცეოდა და შემთოფებული შესცქეროდა აბანოდან გამოსულებს: გეოლოგი ქალი ძუძუმწოვარა ბავშვით ღუმელთან ჩამოჯდა.

ტრუსებიანმა წითელარმიელმა ოლგა მიიყვანა და ჩურჩულით წარმოსთქვა:

— ყველანი აქ არიან.

პროკურორმა ჩაის სმა მოათავა და სთქვა:

— რალაც სისულელე ხდება, პატივცემულო ამხანაგებო. ამ ზამთარს ყოველგვარ მეცნიერებასა და ტექნიკას მოკლებულები ვრჩებით. როგორ უყურებთ თქვენ ამას?

ყველა სდუმდა.

— რა თქმა უნდა, — განაგრძო პროკურორმა და ხელები გაშალა, — ოფიციალურად არაფრის რჩევა არ შემიძლია, მაგრამ მივმართავ თქვენს კომკავშირულ შეგნებას. ჩვენი რაიონები მთლად დაცარიელდნენ ხალხისაგან. ცოტაა მასწავლებელი. ინჟენერები ოთხმოც პროცენტამდე გვაკლია. ოფიციალურად არაფრის რჩევა არ შემიძლია, მაგრამ... — მან აზიურად მოიკალათა და ჩურჩულით წარმოსთქვა, — ვფიცავ პარტიულ ბილეთს, თქვენ თვითონ უნდა გამოხახოთ გამოსავალი.

პროკურორის სიტყვა შეაწყვეტინა ტრუსებიანმა წითელარმიელმა:

— შევბულებაზე უარი უნდა ვთქვათ, — მტკიცედ წარმოსთქვა მან. — შე მეცნიერული მუშაკი არა ვარ, მაგრამ სინიღისი ხომ უნდა გქონდეს კაცს. შოტმანი ხვალ ფიქრობს შევბულებისა და ჯილდოების საკითხის განხილვას. ამხანაგებო, ზამთარი ტაიგაში უნდა გავატაროთ, აი რა არის საჭირო.

— სეზონის ხალხი ხართ,—პირქუშად წარმოსთქვა პროკურორმა. — ზაფხულობით ბუზივით ირევი, ზაპტრობით კი ადამიანი ადამიანისაგან ხუთასი კილომეტრით არის დაშორებული. გეგმებს ზამთრობით არ გვიმცირებენ, ტემპები კი ზამთარ-ზაფხულს ერთნაირია. წინადადებას ვაძლევ ყველას, თავისი სინიდიის მიხედვით მოიქცეს... მართალია, პროფესორები ხართ, მართალია, ინჟინრები ხართ... მაგრამ ზამთარი აქ გაატარეთ.

— მეთექვსმეტე საბადოზე ძალიან ცუდად მუშაობენ,—სთქვა ბავშვიანმა გეოლოგმა.

— დიად, დიად,—დაიწყო ბუტბუტი გახარებულმა პროკურორმა. — მეოთხეზედაც, ოცდამეცხრამეტეზედაც—ყველგან, მეგობრებო, ყველგან არის საქმე. მეც ხომ ამას ვამბობ... გაიგეთ, ამხანაგებო! ამ ზაფხულს მე ხუთი ათასი კილომეტრი გავიარე. მე ხომ პროფესორი ვიხე არა ვარ! მე პროკურორი ვარ. მაინც ტყეს ვჩეხავდი, გზები გამყავდა, თევზს ვიჭერდი... ცოლი უგოლცეეოში დაეტოვე, სტუმრად ჩამოსული ძმა დავაპატიმრე, კერბში გავგზავნე, კოოპერაციაში. და ჩამოსვლას დამპირდა, მაგრამ, ეტყობა, დაფრთხა. სამხარეო კომიტეტში მიჩვილა. ხოლო ცოლი უგოლცეეოში მეტყვევს გაპყვა, ჯიბრით. პროკურორმა პაპიროსი გააბოლა.

— შარშან აქ ერთი მეზღვაური გემს ჩამორჩა. მერვე თვეა ინსტრუქტორად მყავს. მემუდარება, მთხოვს, ვლადივოსტოკში ოჯახი მყავსო. შლეგელთან მიჩვილა. შლეგელმა მიბრძანა: დაუყოვნებლივ გაუშვი სახლშიო. მაგრამ, განა შემიძლია გავუშვა? თუნდაც ხვალვე დამხვრიტოს—ვერ გავუშვებ. თავდაუზოგავად მუშაობს. ათას ხუთას მანეთს ვაძლევთ თვეში.

პროკურორმა დინჯად თვალი გადაავლო დამსწრეთ. ყმაწვილები სულგანაბულნი შესცქეროდნენ.

— ასეთი საქმეებისათვის სამართალში უნდა მიმცენ!—მრისხანედ წარმოსთქვა მან.

— დიად,—წაიჩურჩულა წითელარმიელმა. — ცუდ მდგომარეობაში ხარ ჩავარდნილი.

— ჩემი მდგომარეობა ცუდზე-ცუდია.

ბავშვიანი გეოლოგი წამოდგა; გაწეწილი თმა უკან გადიგლო:

— ეშმაკმა უწყის, რა მდგომარეობაა! უნდა დავრჩე, მეტი ღონე არ არის.

ოლგას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა. ცრემლები ახრჩობდა.

— რა მოგივიდა?— ჰკითხა წითელარმიელმა ტურისტმა. — თანახმა ხარ თუ არა?

ოლგამ თავი დაუქნია.

— ხვალ მოელაპარაკე შენიანებს, შეიტანე წინადადება, რომ ყველა დარჩეს, გაიგე? რას კანკალებ? ხვალ წინ გამოდი და თამამად განაცხადე: ხომ ხედავთ, ქალიშვილი ვარ, მაინც ვრჩები-თქო. გაიგე? სთქვი, რომ ყმაწვილებს შერცხვეთ. მარტოხელა ქალი ვარ და მაინც ვრჩები-თქო... ჩვენც მხარს დაგიჭერთ.

გეოლოგმა უეცრად ხელი დასტაცა ბავშვს და ბორძიკით კუთხეს მიაშურა. ყველამ უკან მიიხედა. კარებთან იდგა გაოცებული შოტმანი, საცვლების ამარა.

— ეშმაკმა იცის თქვენი თავი, რაღა ამ გზაზე დამსხდარხართ! — წამოიძახა მან განზრახ უხეში ხმით და თითქოს არაფერი შეუნიშნავსო, აბანოში დაბრუნდა.

იმ ღამეს, გაღვიძებამდე ერთი საათით ადრე, ოლგამ სიზმარი ნახა.

არაჩვეულებრივი სიზმარი იყო. დაესიზმრა აზრები. ისინი ერთი მეორეს მისდევდნენ, თითქოს წიგნის ფურცლებზე არიან ჩამწკრივებულიო, წიგნის, რომელიც უხილავად გადამლილიყო მისი ცნობიერების წინაშე. ამ აზრებს ის როდი წარმოსთქვამდა, როდი კმნიდა. ისინი მოდიოდნენ როგორც ღრუბლები ზღვაზე, როდესაც ცას არ უცქერი და ლურჯ ტალღებში ასახული ჩრდილის მიხედვით ხედავ მათს თეთრ, მზის მიერ ოდნავ გაციისკროვნებულ მჭიდრო ქარავანს. აზრები ერთი-მეორეს მოჰყვებოდნენ და ოლგა ხედავდა მათ. ისინი ჰგავდნენ მიხაილ სემიონოვიჩს, შლეგელს თუ იანკოვს, ბავშვიან გეოლოგს თუ თვით ოლგას. ისინი მოეშურებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და მოურიდებელი ყურადღებით ათვალეირებდნენ ოლგას. ის კი იდგა მათ წინ, როგორც საექიმო კომისიის წინაშე, შემკრთალი და დაბნეული.

გაიღვიძა თვალცრემლიანმა, აღელვებულმა და ახლადშობილი ბავშვივით ნათელმა. მისი სული სავსე იყო სიშამაცით, უფრო მეტი სიშამაცით, ვიდრე ის, რომელიც მის ბუნებას ახასიათებდა. გრძნობ-

და, რომ ვერასოდეს ვერ შეასრულებდა იმ დიად საქმეს, რომელიც მას ბედნიერებასავით ესიზმრა, მაგრამ სიხარულით ფიქრობდა: სულ ერთია, რითაც არ უნდა გათავდეს ეს, რაც არ უნდა იყოს იგი, ცხოვრებაში ყველაზე მძიმე საქმეს ვიკისრებ და ადვილად გაუძლევი. ოღვას მხოლოდ ამგვარი სიცოცხლე უნდოდა.

დილით, მეცნიერთა ჯგუფების შეკრებისას, მოფრინდა მიხაილ სემიონოვიჩი. აბანოდან მოისმოდა „ურას“ ძახილი და ტაში. მიხაილ სემიონოვიჩმა ყური აღარ ათხოვა ლუზას ლაპარაკს, აბანოსკენ წავიდა და კარებთან დადგა, შეჯგუფებულ ცნობისმცემართა უკან.

დედა-გეოლოგი ჩუმად რეცხავდა ბავშვის პერანგებს და თან ყურს უგდებდა ლაპარაკს. ადგილობრივი პროკურორი გულგრილად იჯდა გადაყირავენებულ გოვზაკზე და ძილს ებრძოდა.

ეტყობოდა, ვილაცამ ის-ის იყო კარგრ, საქმიანი სიტყვა წარმოსთქვა და ყველანი ჩურჩულებდნენ: „ყოჩაღ“, „მოსაწონია“...

მიხაილ სემიონოვიჩმა მისწი-მოსწია შეჯგუფებული ხალხი—იგი შოტმანს ეძებდა. უეცრად ვილაცის ხელები შემოეკვდო მის სახეს, ხოლო ცრემლით დასველებული მლაშე ტუჩები ლოყას შეეხო.

— ოღვა?

— ტაიგაში ვრჩებით,—ჩასჩურჩულა მან.

შოტმანი წამოდგა, მასთან ერთად ყველანი წამოდგნენ.

კვლავ გაისმა „ურა“.

— ვრჩებით! — წამოიძახა შოტმანმა. — გინახავს ასეთი პაცანები? პირდაპირ გასაოცარი ხალხია.

გეოლოგმა, თეთრეულს რომ რეცხავდა, მალლა ასწია სველი წითელი ხელი.

— მე წინადადება მაქვს,—დაღლილი ხმით წარმოსთქვა მან, მიხაილ სემიონოვიჩს შეხედა და დაუმატა: — ზოგიერთი შეგებულებაში უნდა გავგზავნოთ. მაგალითად, ლუბენცოვი.

— კენჭს ვუყრი. ჩამოაყალიბეთ წინადადება,—წამოიძახა შოტმანმა.

— გაიგზავნოს შეგებულებაში სუსტი ხასიათის გამო,—წარმოსთქვა გეოლოგმა და აბანოს წინა ოთახში დაბრუნდა.

ყველამ ხელი ასწია, თავმჯდომარის ნიშნისთვის არც კი დაუცდიათ.

— რაშია საქმე?— იკითხა მიხაილ სემიონოვიჩმა.

— ქალების მუსუსნა,— გაისმა ვილაცის ხმა. — დეე წავიდეს ტკბილ წყლებზე. სწორედ ასე ჩაუწერეთ: განთავისუფლებულია მოზამთრეობისაგან ქალების მუსუსობისათვის.

ლუბენცოვი შუა ადგილას გამოვიდა. გაფითრებული იყო, ილიმებოდა.

— მოითმინეთ, მოითმინეთ!— იძახდა იგი ჩუმი, ყრუ ხმით.

— შინ დაბრუნდი, შინ! წადი შენს ქალებთან!

ლაპარაკის საშუალება არ მისცეს. გაჯაერებულმა შეჯგუფებული ხალხი გაარღვია და ეზოში გავიდა. სახე უცახცახებდა.

წამოიშალნენ ცნობისმოყვარე დედაბრებიც.

ლუზა შორიდან იკვირებოდა:

— გაიგეთ, რა მოხდა?— ჰკითხა მას ლუბენცოვმა.

ლუზამ თავი დაუქნია.

— რა უნდა ვქნა? თავი მოვიკლა?

ლუზამ მხრები აიჩეჩა.

— არა, მითხარით, როგორ მოვიქცე?

მათთან ზუევი მივიდა, ჩაახველა და სთქვა:

— ეგ კიდევ ცოტაა შენისთანა სულელისთვის. აიღე ქალაღი და წადი კისლოვოდსკში, ნუ აფუქებ აქ ჰაერს.

აბანოდან მოისმოდა ხმამალალი უწყსრიგო სიმღერა, მღეროდნენ შორეულ აღმოსავლეთის პარტიზანულ სიმღერას. სამნეო ნაწილის გამგეები, რომლებიც საერთო ხოროს ბანს ეუბნებოდნენ, უკვე გარეთ გამოდიოდნენ და ბლოკნოტებს იღებდნენ. სამგზავრო ჩანთებიდან.

როდესაც სამხრეთისაკენ— ვლადივოსტოკში, ხოლო იქიდან უფრო შორს— შავი ზღვისაკენ მიმავალი ორასი კაცი ერთბაშად ჩერდება— ეს ძალზე უჭირებს საქმეს სამნეო ნაწილის გამგეს, უფრო მეტად, ვიდრე მათი გამგზავრება. სამნეო ნაწილის გამგეები გარბოდნენ, ერთმანეთს მოკლე შენიშვნებით მიმართავდნენ და თან ხარხარებდნენ.

ახლა სამნეო ნაწილის გამგეებს საზრუნავი არ გამოეღევათ, შოტმანი კარგად შეახურებს მათ.

— ყველანი?— მიაძახა სამნეო ნაწილის გამგეებს ზუევმა.

— ყველანი, — უპასუხეს მათ. — ყველანი. იცით, რა დავიდარაბა დაგვატყდა თავს?

და მართლაც, სანამ ყველას თავისი ადგილი არ მიუჩინეს, ქალაქი გადაირია უსაქმურობისაგან. სწავლულები კონცერტს კონცერტზე, წარმოდგენას წარმოდგენაზე მართავდნენ და, მართალი უნდა ითქვას, ბევრ ქალიშვილს გაუშრეს სისხლი. ფოსტას არასოდეს ისე არ უმუშავებია, როგორც ამ დღეებში. უამრავი წერილი მიდიოდა შორეულ დასავლეთსა და სამხრეთში, მოსკოვში, კიევში, და ყველა ერთ რამეზე იწერებოდა—წელს ნულა მომელოდებითო.

2

მურუსკმა დაბინდებისას დაბრუნდა შინ. მას არ უნდოდა პასუხი გაეცა წერილზე, სანამ არ მოიფიქრებდა ყველაფერს, რაც განმარტებას საჭიროებდა. საზღვარზე გადასვლელი შარაპოვი, გაუხდელი, ტალახიანი ჩექმებით წამოწოლილიყო ლუმელის თავზე. მურუსიძემ ხელი დაჰკრა ფეხზე.

— თავი დამანებეთ, მატყვი მატყვიჩი, — წაილულულა შარაპოვმა, — ძალღვივით დალლილი ვარ.

— ადექით, მიაბზეთ, რა ხდება ხარბინში.

— არ შეიძლება ხვალამდე გადავდოთ? მაციებს.

— არ შეიძლება. ჩამოდით. ინახულეთ ხარბინში ნაკადა?

— ვინახულე და კიდევ ვესაუბრე, — სთქვა შარაპოვმა და თან ლუმელიდან ჩამოცოცდა. — მეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილება დამრჩა.

— საკმირისია ჩვენი აზიელი, ჭკვიანი იყოს, რომ ევროპელს იგი მაშინვე არამზადად მოეჩვენოს, — ჩაიცინა მურუსიძემ. — მიაბზეთ უფრო დაწვრილებით.

— ყველაფერი არეულ-დარეულია. არავინ არაფერი არ იცის, მაგრამ ყველა, ვისაც კი არ ეზარება, ხელმძღვანელობს.

— ჩვეულებრივი ისტორიაა, როდესაც საქმე რუსებთან გაქვს, — შენიშნა მურუსიძემ და წინ სუფთა ქალაღი დაიდო. — მოჰყევით რიგ-რიგად. იყავით თუ არა იაკუიამსთან?

— ვიყავი, — უპასუხა შარაპოვმა, — და რამდენიც არ უნდა მელაპარაკოთ არამზადებსა და ჭკვიანებზე, უნდა გითხრათ, რომ ეს

თქვენი იაკუიამა, ჩემის აზრით, სამგზის ჭკვიანიც არის და ამასთან სრულიადაც არ არის არამზადა.

მურუსიამ სერიოზულად დაუქნია თავი დასტურის ნიშნად, რადგან საეცებით დარწმუნებული იყო წინააღმდეგში და იაკუიამა დიდიხანია დამთავრებულ არამზადად მიაჩნდა.

შარაპოვი უამბობდა რეზიდენტთა¹⁾ განსაკუთრებული ჯგუფის კრებაზე, რომელიც მოწვეული იყო ზემდგომთა ინიციატივით. ამ კრებას უნდა დაესახა თეთრგვარდიელ რუსებთან მუშაობის ხაზი.

— შევიკრიბებით, — უამბობდა იგი, — ხარბინში, რესტორან „ფანტაზიაში“, ჩინელთა ქუჩაზე. დავესწართ ბარონ ტორნაუ, მე და ვრეესკი „Братство русской правды“ — საგან, კახაკთა ოფიცერი სამოილიჩენკო და ვინმე შპილმანი კოოპერაციისაგან. იგი ვითომ იმ მებაღე შპილმანთაგანია, რომლებიც ანნა იოანოვნამ თან ჩამოიყვანა გოლშტინიიდან²⁾. ჩემის აზრით, სტყუის. არასოდეს არაფერი არ გამოგონია მეფის ასეთი მებაღეების შესახებ. სუნზე ეტყობა, რომ გაიძვერაა.

შარაპოვი უყვებოდა კრების ამბავს, თან არჩევდა ყველაზე მნიშვნელოვანს და დასცინოდა იმას, რის შესახებაც სდუმდა.

იაპონელებისაგან იყო დაზვერვის კაპიტანი იაკუიამა. უკანასკნელ წუთს კრება გააფრთხილეს, რომ მართმადიდებელი იაპონელი ეპისკოპოსი ძუძი ნაკადა მოვაო. მაშინ რუსებმა სასწრაფოდ გამოიხმეს მონასტრიდან ეპისკოპოსი პავლე, რომელმაც რამდენიმე იაპონური სიტყვა იცის.

სრულ რვა საათზე, როგორც კი რუსები ჩინური ნოხებით მორთულ ნომერში შევიდნენ, მოისმა იაპონელთა ხმა.

მათ დიდის ამბით მოჰყავდათ, თითქმის მოათრევდნენ იაპონელთა შეხედულებითაც კი მეტის-მეტად პატარა მოხუცს ანაფორასა და ბარტყულაში, პანაგიით გულზე...

— მონსინიორ ძუძი ნაკადა, — ღიმილით ჩურჩულებდნენ ისინი და ძლივს ახერხებდნენ თავიანთი აღფრთოვანების შეკაეებას. — დი-

1) რეზიდენტი — იმპერიალისტური სახელმწიფოების რწმუნებულები ფორმალურად დამოუკიდებელ მთავრობებთან. ფაქტიურად რეზიდენტი კოლონიის გუბერნატორია.

2) ანნა იოანოვნა გოლშტინელი — რუსეთის იმპერატორი ქალი, პეტრე I-ის ძმისწული. მისი მეფობა (1730-1740) აღნიშნულია მკაცრი ფეოდალური რეაქციით.

დად გმადლობთ ყურადღებისათვის. ეს ჩენი მეუფებაა, პატივცემული მოძღვარი ნაკადა, კორეის მართლმადიდებელი ეპისკოპოსი.

პაწაწა მოხუცი ბეჯითად აბაკუნებდა ფეხებს და ძლივს მიჰყებოდა თავის გამძღოლებს. სასაცილო შეხედულება ჰქონდა.

რუსები წამოდგნენ. პავლემ მწუხარედ ამოიხვნეშა. იაპონელმა მოხუცმა, რომელიც ძლივს აქიციანებდა დანაოქებულ თავს, აკურთხა დამსწრენი და მეტად გახარებული გაეშურა პავლესაკენ, მოხვია წელზე ხელი, მიიზიდა თავისკენ და აკოცა მხარზე. შემდეგ ისინი სასტუმროს ნომრის პირველ ნახევარში მრგვალ მაგიდას მოუსხდნენ, ხოლო თალით გაყოფილ მეორე ნახევარში, სადაც ჩვეულებრივ საწოლებია, გაშლილი იყო სუფრა საუზმითა და ღვინით. სუფრა გაწყობილი იყო რუსულ-იაპონურ ყაიდაზე. მაგრამ აშკარად სქარბობდა რუსული კერძები და ღვინოები.

ტორნაუმ შამპანიურის ბოთლი გახსნა. რადგან მოსამსახურეების მოწვევა არ მოისურვეს, შპილმანმა სუფრას ლანგარით ჩამოუარა.

— მეგობრული შეხვედრისათვის!—სტქვა იაკუიამამ.

-- ღმერთმა ინებოს, ღმერთმა ინებოს!—ერთხმად წაიჩურჩულეს ეპისკოპოსებმა.

საუბარი რუსულად სწარმოებდა.

— ღრმად პატივცემულმა მისმა მეუფებამ ეპისკოპოსმა, ბატონმა ნაკადამ პატივი დაგვლო და გვეწვია ფრიად მცირე ხნით,—სტქვა იაკუიამამ. — გამოვთქვამ საერთო სურვილს...

მან თავი დაუკრა მოხუცს:

— გთხოვთ გამოსთქვათ თქვენი აზრი ეშმაკების მიერ თავის წამოყოფის შესახებ.

— მე მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი, თუ როგორ მესმის დღევანდელი შეხვედრა,—მოკრძალებით მიუგო ეპისკოპოსმა. — იმის მიზეზი, რომ...

— გთხოვთ, გთხოვთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, კეთილი ინებეთ,—გაამხნევა შპილმანმა, თან ჭიქებს ავსებდა მეორე ბოთლიდან.

ნაკადამ ძალიან კარგად, თუმცა რაღაც არაბუნებრივად, მექანიკურად დაიწყო ლაპარაკი რუსულად, მაგრამ მალე გაშალა ფრთები, თან სიყვარულით შეჰყურებდა პავლეს.

— ჩვენ ხშირად გვესმის, — ამბობდა ის, — ისეთი განმარტება, რომ ანგელოზი, „აღმოსავლეთით, მზის ამოსვლის მხრით მოვლენილი“, რომელიც მოხსენებულია „გამოცხადების წიგნის“ მეორე მუხლში, იაპონიის ერს მოასწავებს. მე მწყუროდა იმის გაგება, ნამდვილად ეხება თუ არა ეს იაპონიას, და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ შორს არ არის ის დღე, როდესაც წინასწარმეტყველება სწორედ ამგვარად აღსრულდება. იერემიას წინასწარმეტყველებაში კვითხულობთ, რომ მისი ხალხი, ესე იგი ღვთისაგან რჩეული ხალხი, მოწოდებული იქნება აღმოსავლეთის ქვეყნებიდანო. ასე იყო ნაწინასწარმეტყველები ორი ათასი წლის წინათ და იგი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს რაღაც ათასიოდე ებრაელს, რომლებიც ბირობიჯანში იმყოფებიან, იგი გვეხება ჩვენ, იაპონელებს. გაეხსენოთ ისაიის წინასწარმეტყველება: „ვინ მოაელენა აღმოსავლეთიდან კაცი სიმართლისა, მისცა მას ხალხნი და დაუმორჩილა მეფენი?“ ხოლო 46-ე კარის მე-11 მუხლში ნათქვამია: „მწოდებელნი აღმოსავალთათა არწივისა, და ქვეყნისაგან შორეულისა, რომელთათვის განმზარახველი და ვიტყოდეცა და მოვიყვანე, და აღვაგე და ვყავ, მოვიყვანე იგი, წარმართე გზა მისი“. სიტყვა „აღმოსავლეთი“ აქ ორივე შემთხვევაში ნახმარია როგორც „მიზარახო“, რაც ებრაულად ნიშნავს ამომავალი მზის ქვეყანას...

— ჰმ, ადვილად შეიძლება, არწივი იმას მოასწავებდეს, რომ ეს ხალხი თავისი გამოსვლისათვის აეროპლანებით ისარგებლებს, — უზრდელად ჩაურთო სიტყვა პავლემ.

ნაკადა მაშინვე მიბრუნდა მისკენ პროტესტის მანიშნებელი ჟესტებით.

— იგი აღსდგება ანტიქრისტის მიერ ჩაგრული ხალხის დასახმარებლად, — მკაცრად წარმოსთქვა მან, ამასთან უყურადღებოდ დასტოვა ხუმრობა აეროპლანების შესახებ. — წყეულმც ვიყო, თუ ამაზე რასობრივი წინაზრახვის ან ნაციონალური სიამაყის გრძნობის გამო ვლაპარაკობდე. არა და არა! მე მინდა გამოვთქვა ერთი აზრი: დროა შევიგნოთ, თუ რა სურს ჩვენგან უფალს. დროა ვიყოთ ღირსი მისი მოწოდებისა.

ნაკადას სიტყვის შემდეგ გადასწყვიტეს სუფრას შემოსხდომოდნენ. მოხუცი ეპისკოპოსი მაღე წავიდა, მას მიბაძა პავლემ. დარჩენილებმა:

თავი უფრო ლაღად იგრძნეს. ტორნაუმ, საუბარი რომ დაწყებულყო, იკითხა: არის თუ არა რაიმე ახალი რუსეთიდან?

— პატროსან სიტყვას გაძღვეთ, თქვენ აშკარად აზვიადებთ: ჩემს ცოდნას,—სთქვა კაპიტანმა ღიმილით და ტანის რხევით, თითქოს სიცილით იგულებდნენ. — ბოლოსდაბოლოს, ჩვენ იმდენად გვაინტერესებს რუსეთი, რამდენადაც იგი საინტერესოა თქვენთვის.

კაპიტანი დასცინოდა რუსებს და არ სურდა პირველს დაეწყო ლაპარაკი.

შარაპოვი ყველაფერს ამას არ უამბობდა მურუსიძეს, მაგრამ მურუსიძე კარგად ახერხებდა ყოველივე მომხდარის ნათელი სურათის წარმოდგენას. მას სჭირდებოდა მხოლოდ ოდნავი ორიენტირება, ის გამოცდილი კაცი იყო.

— მაშინ, ალბათ, თავი ანებებს მაღალ პოლიტიკაზე მსჯელობას და დაიწყებს საუბარი მანჯურის საქმეებზე? — უთხრა მან შარაპოვს.

— დიად, ლაპარაკი ჩამოაგდეს „ბრატსტვო“-ზე და საერთოდ იმაზე, თუ როგორ წარემართათ საქმე იაპონიის ექსპანსიასთან დაკავშირებით...

— რასთან დაკავშირებით? — გაკვირვებით შეეკითხა მურუსიძე.

— ხომ გესმით, რაშია ც არის საქმე?.. სიტყვას ნუ მაწყვეტილებთ, მატვეი მატვეიჩი. ლაპარაკი პარტიზანებზე ჩამოვარდა. „მანჯურის კომუნისტებმა ცუდად იციან თავიანთი კომინტერნის გადაწყვეტილებანიო, — სთქვა იაკუიამამ, — კომინტერნი შეაჯამა იავაის თცდაეკესი წლის აჯანყება და უკმაყოფილო დარჩა ამ აჯანყებით. დმის ნაცვლად, რომ შეიარაღებული აჯანყება გაეხადა საყოველთაო გაფიცვისა და გლეხთა აჯანყების გადაწყვეტ პუნქტად, კომინტერნი...“

— ეგ იავაელთა უეჭველი შეცდომაა, — შეაწყვეტინა შარაპოვს სიტყვა მურუსიძემ, — კაპიტანი იაკუიამა იავაელებს, ალბათ, მანჯურელ კომუნისტებს ადარებს.., განაგრძეთ.

— „მე ძალიან მაკვირვებს, რომ თქვენ კომინტერნის შესახებ რაღაც იცითო“, — უთხრა მაშინ ბარონმა კაპიტანს. „დიად, თქვენში, ჩინეთში, ძალიან ხშირად უკვირთ ხოლმეო;“ — მიუგო კაპიტანმა.

— საერთოდ ჩემთვის ნათელია, რაც მოხდა, — კვლავ შეაწყვეტინა სიტყვა მურუსიძემ. — დამიხსაჩათეთ შელმანი თუ შპილმანი, ვინ არის იგი?

— ეშმაკმა იცის, ვინ არის!—უპასუხა შარაპოვმა,—ამბობს, მეფის მებაღეების შთამომავალი ვარო... ოცდაექვს წლამდე ციმბირში ცხოვრობდა, წითლებთან. ძალზე დაითვრა ის მამაძაღლი, უზრდელობამდე მივიდა. თავი დაანებეთ მაგ აბდა-უბდასო,—წამოიძახა,—ბოლ-შევიკებთან ბრძოლა გასურთ და შიშისაგან კი გონება გეშლებათო: გადაგკიშაღეთ თქვენი სული, გვიჩვენეთ ზღვის ეშმაკებო.

— ჰმ!... უცნაური საქციელია. პროვოკატორი ხომ არ არის?—ინტერესით შეეკითხა მურუსიმა.

— არა მგონია.

— გაბედულია პროვოკატორივით. შემდეგ, შემდეგ?

— ჰო-და; საშინლად დაითვრა. მთლიანად ვყიდი ჩემს თავს,—გაჰყვიროდა,—მიყიდეთ ვისაც გსურთო. ვიღებ დაკვეთებს. მე შორეულ აღმოსავლეთში პიკის ტუზი ვარო. ვლადივოსტოკში მაქვს სამი ოთახი სამზარეულოთი, მყავს ცოლი, მაქვს ავეჯი, შემოიარეთ, როდესაც თავისუფალი დრო გექნებათო.

— გესმით, შარაპოვ, ეგ ძალიან მოხერხებული კაცია.

— არა, ბრიყვია. ქიმიურად წმინდა ბრიყვია. ვუთხარი: მალე ვლადივოსტოკში ვიქნები, გადავცე თუ არა მოკითხვბ შენს ცოლს-მეთქი. მისამართი გასურსო,—წამოიყვირა.—სთქვი ფასი და მოგცემო.

— თქვენ, რა თქმა უნდა, მისამართი არ გამოგირთმევიათ.

— გამოვართვი, რატომაც არა.

— შეცდომაა,—მკაცრად და პირქუშად შენიშნა მურუსიმა.

— შემდეგ?

— შემდეგ აღარაფერი ყოფილა. იმ ვაჭრუქუნამ მთელი ჩვენი ლაპარაკი ჩაშალა. ერთი რამ გავიგე: იაკუიამა ჰქვეცს საინფორმაციო ქსელს და ყველა ოპერატიულ სამუშაოზე გადაჰყავს. ვრევესკის ჩემთან წამოსცდა, რომ ინფორმატორებმა მალე უნდა გამოიცვალონ იარაღიო. როგორ უნდა გავიგოთ ეგ, პოლკოვნიკო, ვკითხე მე.

— მან, რა თქმა უნდა, არაფერი არ გიპასუხათ.

— მხრები აიჩეჩა. გაზეთები იკითხეთო.

— კეთილი,—სთქვა მურუსიმამ,—როგორც ახლა ვხედავ, საინტერესო კრება ყოფილა. განსაკუთრებით საინტერესოა შპილმანი.

— რა ნახეთ შპილმანში? ჩვენ შევიკრიბენით, რომ სხვა რამეზე მოგველაპარაკნა,—უკმაყოფილოდ შენიშნა შარაპოვმა.—კაპი-

ტანი იაკუიამაც, თითქოს განგებ, ამ შპილმანით დაინტერესდა, სრულიად უდროოდ...

— კოპიერატორი შპილმანი თქვენს შორის ყველაზე საინტერესოა, — მხიარულად წარმოსთქვა მურუსიამ. — ბევრმა თქვენგანმა, ჩემო უძვირფასესო მეგობარო, უკვე მოსკვამა თავისი დრო. ბრძოლა ახალ კალაპოტში ჩადგა, ახალი ფორმები მიიღო, ახალი ადამიანები წამოაყენა.

— მაგალითად...

— კულაკები, ისინი, რომელნიც აღარ ბრუნდებიან, ხმაჩამორთმეულები. ისინი იცნობენ საბჭოებს, თქვენ კი არა. მათ აქვთ თვალი და ყური, თქვენ კი ბრმები და ყრუები ხართ. მათ აქვთ ლაპარაკის უნარი, იციან სიტყვები, რომლებიც თქვენს შემდეგ წარმოიშვა. აბა, რა უნდა გააკეთოს კაცმა თქვენი საშუალებით, ჩემო მეგობარო? დღევანდელი რუსეთი თქვენთვის უცნობია. განა თქვენ იცნობთ სახალხო კვების კავშირის სატარიფო ქსელს? განა იცით, როგორ უნდა დაიწეროს პროკლამაცია? არა, არ იცით.

— პირდაპირ მეშინია შეგეკითხოთ—მაშ რითი ვართ ჩვენ თქვენთვის სასარგებლონი?

— ფეიქრობ იმით, რომ გეხმარებით შურისძიებაში, — სთქვა მურუსიამ და შუბლი შეიკმუნა, — რომ აღარათფერი ვთქვათ კარგ გასამრჯელოზე.

შარაპოვი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— გამიგონეთ, მურუსიამ, — სთქვა მან, თითქმის თვალდახუჭულმა. — მითხარით, რისთვის გკირდებით, თუ ჩვენ ყველანი უსარგებლონი ვართ?.. აი თქვენ, როგორც ამბობენ, ბლაგოვეშჩენსკში გყავთ ცოლი და ორი ქალიშვილი. თქვენ, როგორც თვითონ აღიარებთ, თითქმის რუსი ხართ. კითხულობთ პუშკინს... მოიცათ, მე ხომ მიცეკვია თქვენთან ბლაგოვეშჩენსკში, ვიცნობ თქვენს ცოლს...

— საუცხოო ქალია...

— ნუ მოჰყვებით სისულელეს! თავი დაანებეთ ამ აბდა-უბდას, როგორც შპილმანი ამბობს. თქვენ ძველი მზეერავი ხართ, ისევე, როგორც მე. რას ჩმახავთ სისულელს? შესანიშნავი ქალიაო... იმ ტიპის ქალებიდანაა, ვინც მეტს მისცემს.

— თამაშია, — სთქვა მურუსიძემ. — თამაში! თქვენ ყველაფერი წააგეთ. ვინც ყველაფერი წააგო, სიკვდილამდე თამაშობს. აი რა გვაკავშირებს... წადით, დაიძინეთ. დაეწერ წერილს.

მისი წერილი მოკლე იყო.

„ნებას მივცემ თავს გაგაფრთხილოთ, რომ რუსებთან თქვენმა საუბარმა მიზანს ვერ მიაღწია. ვფიქრობ, რომ საკმაოდ ნათლად არა გაქვთ წარმოდგენილი აქ არსებული ვითარება და აჩქარებთ მოვლენათა მსვლელობას ისეთი საშუალებებით, რომლებიც დროულად არ მიმაჩნია. მეორე წერილში, ჩინელის ხელით რომ გამოვგზავნე, შეტად დაწვრილებით განვაავითარე ჩემი უახლოესი ამოცანების გეგმა. ეს ამოცანები ფართოა და გამსჭვალულია თანმიმდევრობით. მათი შესრულება გვიკარნახებს უდიდესი სიფრთხილის მეთოდებს იმ მცირეოდენ დარგებშიაც კი, რომელთაც მე და თქვენ დამკვრელური დარგები ვუწოდებთ და სადაც დასაშვებია შეუპოვრობა.

თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც ერთმანეთს აზრები გავუზიარეთ, მაგრამ ვფიქრობ, დადგა დრო შემდეგი შეხვედრისათვის, რადგან ვგრძნობ სახიფათო დაცილებას ჩვენს ტაქტიკურ ხერხებს შორის. გთხოვთ, ჩემი აზრი აცნობოთ თქვენთვის ცნობილ პირს, ჯერჯერობით კი მოკლედ გიპასუხებთ თქვენს სასწრაფო შეკითხვებზე:

1. არა, არ შენდება.
2. დაგეგმილია, მაგრამ მუშაობას ჯერ არ შესდგომიან.
3. არა ისმის-რა.
4. არ შესდგომიან.
5. ათამდე მატარებელი აქ დროის განმავლობაში.
6. უკანასკნელი კვირის განმავლობაში ხმები ქალაქის შესახებ ტაიგაში, ჯერჯერობით შემოწმებული არ არის.
7. პოლუხრუსტოვი მშენებლობის უფროსია.
8. გამოწმებ.
9. მუშაობა არ არის დაწყებული, თუმცა მასზე ლაპარაკობენ.
10. ინჟინერი ზვერიჩევი, ლეონიდ სერგეის-ძე, ორად გაყოფილი ცხვირით და ნიკაპით. ორმოცი წლისაა. ითვლება საუცხოო სპეციალისტად. ენერჯიულია. აქვს ინიციატივა. 15 წელიწადია, რაც პარტიაში ირიცხება. კარგად უყურებენ. ან უცოლოა, ან და ცოლი რუსეთში ჰყავს.
11. გაიარა შვიდმა პარტიამ. ვამუშავებ.
12. მოსავალი საშუალოა.
- 13 და 14 შემდეგ წერილში“.

— უნდა გაგაფრთხილოთ, — უთხრა შარაპოვმა. — ვილაც მი-
თვალთვალებს. ტყვია დამიშინეს საზღვარზე.

— მომატება გინდათ?—ჰკითხა მურუსიმაჲ, რომელიც წერილს ბეკდავდა. — ღმერთმანი, ოფიცრობისას იმდენს არ იღებდით, რამდენსაც ახლა იღებთ.

— მაშინ ჩემზე არ ნადირობდნენ.

— სამაგიეროდ ახლა პოლიტიკური მოღვაწე ხართ.

— ეგ საამოა ჩემთვის, მაგრამ თქვენ და იაკუიამას უფრო ძვირად გიჯდებათ.

იაკუიამა გენერალური შტაბის ოფიცერი იყო, სხვა ეპოქის ადამიანი, ვიდრე მურუსიმა. ძველი პრუსიული სადაზვერვო სკოლის მომხრე, მურუსიმა ორმოცდასამ წელწადს აწარმოებდა უსისხლო ომებს წყნარ ოკეანეზე. რუსეთთან ომის დროს იგი ვლადივოს ტოკში იყო. მას უყვარდა განსვენებულ ნაკამურას სიტყვების ხმა-მალლა წარმოთქმა:

მე ორჯერ მომკლეს ჩინელებმა,

სამჯერ დამწვეს ფორმოზის ველურებმა,

ოთხჯერ დამხვრიტეს ბოლშევიკებმა—

• და მაინც ვშობე შვილი სიამში, ვშობე

შვილი კანტონში, ვშობე ორი ქალიშვილი

ციმბირში. მე ვარ ნაკამურა, მრავალი ბედიღბლის ადამიანი.

მურუსიმაჲ ნაკამურასთან ერთად დაამთავრა ბერლინის აკადემია, მასთან ერთად მუშაობდა ჰეინცთან, უდიდეს თავხედთან, როგორც კი ქვეყანას უნახავს.

„ყველას, ვინც დღეს გროშის საფასური გაჰყიდა, ხვალ შეუძლია მანეთის საფასური გაჰყიდოსო“, ამბობდნენ მათ დროს. დაზვერვა არის პსიქოლოგია, ადამიანთა შეცნობის მეცნიერება, დაზვერვა არის ყურადღება და სიფრთხილე, ხელოვნება.

თავის დროზე მურუსიმაჲ ათი ათასი ტელეფონი დადგა კუნძულ ფორმოზაზე. მან დიდი თაოსნობა გამოიჩინა. ტელეფონებს დგამდნენ სათბობ ადგილებში, ფეხისადგილის ნიჟარებში. ფილიპეს კუნძულებზე მურუსიმა ბინების შეკეთებისა და მოპირკეთების კანტორის შეფი იყო. კორეაში—გადასახლების საქმის აგენტი. ადამიანთა გაცნობის მეცნიერება დაზვერვის მხოლოდ პირველი კარია. როდესაც ადამიანს გაიცნობ, სწავლობ იმის გავებას, თუ რა იცის მან. ეს არის მეორე კარი. მესამე კარი არის მისთვის შენი აზრების შთაგონება და იმის მიღწევა, რომ მან ეს აზრები შეითვისოს და გაიმეოროს. მეოთხე კარი არის—დარჩე შეუმჩნეველი, მიუწოდამელი.

სექტემბერში შლეგელმა ოლგა ჩრდილოეთისაკენ გააცილა და ტერნის უბიდან ტაიგით ნიჟნი ამურში გადავიდა. დაწყებულ ქალაქს გასაოცრად ქაოტიური სახე ჰქონდა. საწვავის საწყობები ბინების გვერდით იყო მოთავსებული, ხოლო საავადმყოფო ობლად იდგა სადღაც შორს ბინებიდან. ყოველ ნაბიჯზე მანქანები მოსჩანდა და ყველგან ცარიელ მინდორზე ქარხნების, კლუბებისა და ბაგების ადგილის აღმნიშვნელი ნიშნები იდგა. ეს ნიშნები გადაჰქონდათ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე. შემდეგ კი ყველას ერთად თავი მოუყარეს კანტორის კედლის უკან. ადამიანის გონება უძლური იყო მშენებლობის ამ აურზაურსა და არეულობაში გაეგო, თუ რა გამოვიდოდა ყოველივე ამისაგან.

ეს სავალალო სანახაობა აფრთხობდა გამოუცდელთ. ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ამ სიბინძურიდან, მორებიდან, ნაგავიდან, გადათხრილი მიწიდან და მანქანებიდან, რომელთაც აბნეოდანთ თავიანთი დანიშნულება, შესაძლებელი იქნებოდა რაიმე სერიოზული საქმის მოგვარება.

ამიტომ ყველა ყოფა-ცხოვრებაზე ლაპარაკობდა, და იგი უფრო საზარელი ეჩვენებოდათ, ვიდრე ნამდვილად იყო. საკუთარი საქმეების პერიოკას შეიცნობდნენ ხოლმე მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი ავად ხდებოდა ან შვებულებას ღებულობდა. მაშინ იგი იღვიძებდა საშინლად შეშფოთებული თავისი შეუპოვრობით.

ვინც ჯანსაღი იყო, დრო არა ჰქონდა მოესაზრებინა და აესახა ის, რაც გაკეთდა. მათი შრომა მძიმე იყო და სიმძიმის გამო მოსჩანდა პატარად, უმნიშვნელოდ, მსოფლიო თვალსაზრისით კი სულ მცირე რამედ. მაგრამ როდესაც მათ უამბობდნენ მთელი მშენებლობის გეგმებზე მთელს შორეულ აღმოსავლეთში, სადაც მათი ქალაქი მხოლოდ ერთი დეტალი იყო,—ისინი ანგარიშობდნენ, თუ რამდენი მორი, რამდენი კუბომეტრი მიწა და შრომადღე დასჭირდება ამ გეგმებს და მაშინ ხვდებოდნენ, რომ მონაწილეობენ არაჩვეულებრივი საუკუნის არაჩვეულებრივ საქმეში, და სურდათ თვითონ შეესრულებინათ ბოლომდე ეს დიადი საქმე.

შლეგელი იანკოვთან ცხოვრობდა. საღამოობით ისინი ცდილობდნენ არ დაენთოთ ცეცხლი კოლოების გამო და მაინც დასისხლიანებული ლოყებითა და დასივებული თვალებით დადიოდნენ.

— ავი სულია და არა ბუნება,—ამბობდა ხრინწიანი ხმით იანკოვი. — ძირფესვიანად მოსასპობია. ტაიგა გაუშენებიათ და ადამიანს კი შიგ არ ეცხოვრება. უნდა ასჩეხო და გადასწვა იგი და გააშენო პარკები.

— რალას უტდი, აიღე და გადასწვი,—ეუბნებოდა შლეგელი.

— ძალა არ მომდევს.

— მაშინ იჯექ ჩუმაღ.

შლეგელი ჩავიდა გასაფრთხილებლად, რომ დიდ საამშენებლო პრძოლას ემატებიან ახალი ძალები—არხანგელსკიდან მოდიან ტყის მჩენავები, უკრაინიდან—კალატოზები, ვოლგის მზრიდან—ინეერები, რომ ახალი ქალაქი შეკვეთილია ნაწილ-ნაწილ და შენდება ლენინ-გრადისა და უკრაინის ქარხნებში და ყუთების მთელი არმიის სახით მოემართება მატარებლებითა და გემებით.

— დროა მომავალი კადრებიც შევუკვეთოთ,—ამბობდა იგი.— ვიფიქრიათ ამაზე?

— ბევრია. საჭირო, სიმონ არონიჩ. საჭირო იქნება სპეციალური უმაღლესი სასწავლებლების დაარსება.

— მერე რა, დავაარსებთ.

— საჭიროა თუ არა გემის ოსტატები? —საჭიროა. საჭიროა თუ არა გემთმშენებლები, ელექტრომონტიორები, ელექტრიკოსები? —საჭიროა. პირველ წლებში, მე ვფიქრობ, საჭირო იქნება ათი ათასი კაცი.

— დროა შევუკვეთოთ,—აჩქარებდა შლეგელი. —სანამ ბალხს შეაგროვებდე და მოამზადებდე, ქალაქიც მზად იქნება.

შლეგელი ტყუილუბრალოდ როდი აჩქარებდა ადამიანთა მომზადების საქმეს. საჭირო იყო ხალხი.

იმავე წელს დიდი ქალაქის საზღვაო სკოლა მიაწერეს ტაიგის მშენებლობას, სახომალდო ტექნიკუმში გაამრავლეს კადრები და სტიპენდიები, ხოლო დედა-ქალაქების უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ტაიგის ახალი ქალაქისათვის ათობით დაჯავშნეს ადამიანები.

ახლა ქალაქი ყველგან შენდებოდა—ოკეანედან ოკეანემდე, მთელი ქვეყნის სიგანეზე, და იგი ერთმანეთს უკავშირებდა მრავალი ადამიანის ბედს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

მშენებლობის ადგილზე კი ჯერჯერობით დომხალი იყო და ზოგ-ჯერ ცუდი ამბავიც ხდებოდა. იენისში სიკვდილიანობა ორ პროცენტს აღწევდა.

სექტემბერში თავის-თავად წარმოიშვა ორი ახალი პროფესია—პოეტისა და დალაქისა. ინჟენერმა ლუბენცოვმა, სწორედ იმ ლუბენცოვმა, რომელსაც კისლოვოდსკში ჰგზავნიდნენ, შემდეგ კი დასტოვეს შოტმანის რჩევით, ჩეხვის დროს ფეხი მოიტეხა და დასვენებისას თავი დალაქად გამოაცხადა. ლუბენცოვი პროფესიით სამთო ინჟენერი იყო და ქალაქის მშენებლობაზე მოხვდა დროებით, ზამთრის განმავლობაში. საჭირო, იყო ტაიგის გაჩეხვა და მას ხელში ცუდი მიაჩნეს.

ზეინკალმა გორინმა კი ციებ-ცხელების დროს ლექსების წერა დაიწყო. პირველ ხანებში მათი რეპერტუარი უბრალო იყო—ლუბენცოვი ჰკრეკდა კულულებს საფეთქლებსა და კისერზე და ჰგლეჯდათმას ეგრეთწოდებული მეორე ნომრით. ამ წამებით აღსავსე სიამოვნების ატანა ყველას არ შეეძლო, მაგრამ ლუბენცოვი შეუპოვარი იყო და იწვრთნებოდა. როდესაც იგი უმტკივნეულო გაპარსვის საიდუმლოებას ჩასწვდა, გამოიგონა სამი ფასონი—„გოლიაკი“, „ჩუბჩიკი“ და „ევეგნი ონეგინი“. შელავათებითა და საერთო ყურადღებით წათამამებულმა ლუბენცოვმა შემდეგში დაამუშავა ქალებისათვის ნავარცხნი „AA“. ფანტასტიურად აბურდული თმა, რომელსაც აქა-იქ მაკრატელს გადაეველო, გასაოცრად წააგავდა ერთგვარ სენს—მძოვარას, მაგრამ არჩევანი არ იყო. ის-ღა დარჩენოდათ, რომ იმედი დაემყარებინათ ლუბენცოვის ნიჭზე და გამსქვალულიყვნენ რწმენით მისი შეუპოვრობისადმი. ლუბენცოვი მოელოდა, რომ ზამთრისათვის ტექნიკის უმაღლეს საფეხურებს აითვისებდა.

ზეინკალი გორინი კი სწერდა ლოზუნგებს კლუბში და ეპიტაფიებს საფლავებზე. მასვე გამოჰყავდა წარწერები გვირგვინებზე და ამათრახებდა თავკერძებსა და უქნარებს კედლის გაზეთში. მაგრამ ბუნებით გორინი ტრაგიკოსი იყო და არა სატირიკოსი. საფლავებზე სწერდა: „სმირნოვი დაიხრჩო ქაობში, მომავალი ცენტრალური მოედნის ადგილას“. „გრიგორიემა მოსჭრა სამასი ხე. ჩვენ ექვსი საათი მოგვქონდა იგი ფეხგადაჭრილი—მოკვდა იმის გამო, რომ ექვსჯერ დაუვარდათ მიწაზე“. „ჩვენთან კვლებიდან მოზრდილნი,

მაგრამ ჩვენი ბავშვები ჯანსაღები იყვნენ. ეს პირველია, წითელასაგან რომ მოკვდა“.

თავის ლოზუნგებს პლაკატებზე და წარწერებს საფლავეებზე გორინი სწერდა: როგორც ადამიანი, რომელმაც უკვე დიდი ხანია მიატოვა ეს ქვეყანა. ის თითქოს დაღუპული თაობის სახელით მეტყველებდა. მას სურდა, რომ მომავალ თაობას კარგად და საფუძვლიანად სცოდნოდა—ვინ, სად და როგორ მოკვდა ამ დიად სამუშაოზე.

იმ ადამიანთა საფლავეებზე, რომლებიც არაფრით არ გამოირჩეოდნენ, ის სწერდა: „შეუმჩნეველი გმირი კატუშკინი“, „შეუმჩნეველი გმირი კოლია სურჟენკო“, „შეუმჩნეველი გმირი სტიოპა“.

ახლა კი კვდებოდა თვითონ იგი, დახრული კლექით, წელგატეხილი რევმატიზმით, სისხლდაცლილი კუქის წყლულით. და თუმცა ყველა აიმედებდა, მან იცოდა, რომ სიკვდილი აუცილებელია, და არ სწუხდა ამის გამო. თავის-თავზე ჯერ ასე დასწერა:

„დიადი ქალაქის პირველი პოეტი—გორინი“, მაგრამ შემდეგ გადააკეთა: „ყველაზე ადრინდელი პოეტი გორინი“, „პოეტი მშენებელთა პირველი პარტიიდან“, „პოეტი 1932 წლის მაისიდან სექტემბრამდე“. გორინი მოკვდა, როდესაც ადგენდა ვარიანტს: „მე პირველმა დავიწყე სიმღერებისა და ლოზუნგების თხზვა ქალაქის მშენებლობაზე. მე შევადგინე ცხრაასი ლოზუნგი, ოცდათერთმეტი წარწერა პლაკატებზე და ორასი წარწერა საფლავეებზე. მე მიწოდებდნენ გორინს: მე მსურს, რომ ჩვენს სასაფლაოზე შემდეგში გააშენონ დასვენების პარკი და ამხანაგებმა იცეკვონ და იმზიარულონ ჩვენს ძვლებზე“.

პირველი ბალი ცეკვით მოეწყოა ჯერ კიდევ ივლისში, ელექტრობის დღეს, სექტემბერში კი ხელი მიჰყვეს ექსკურსიებს, რადგან სექტემბერი, უკანასკნელი თვე ყინვებისა და ქარების წინ, განსაკუთრებით ნათელი და მსუბუქი იყო.

სექტემბერში არაჩვეულებრივად წყნარი და მიყუჩებული იყო ფრინველების მიერ მიტოვებული ტევრები. თითქოს ტკიპებისაგან დაკაწრულ-დასისხლიანებული, უძრავად იდგნენ ტოტებგაშლილი ნეკერჩხლები. უფრო და უფრო მაღალი და შეუმჩნეველი ხდებოდა ცა, უფრო და უფრო ფართოდ მოსჩანდა პორიზონტები ფოთლებ დაცვიფრულ ტყეში. მუხის ყვითელქორფლიანი ფოთოლი უფრო და უფრო გავარვარებული და წკრიალა ხდებოდა. პირველი

პოეტების ლექსები გადაჰქონდათ ფანერის ფარებზე და სდგამდნენ კარვების წინ, როგორც განწყობილებათა განრიგებას.

სორმოველები ნავებს აკეთებდნენ, ვიატკელები ჰარმონიკებით ერთობოდნენ, წითელბაქოელები სწვრთნიდნენ ხოროს, წითელესტონელები გართულნი იყვნენ თევზის ქერით, არზამასელები მახეებს წნავდნენ.

ოლგა დილის ექვს საათზე ადგა ამ მშენებლობიდან დაშორებულ ჯერ კიდევ მძინარე ხაბაროვსკში. მიხაილ სემიონოვიჩს, რომლის-სტუმარიც ის ახლა იყო, ჯერ კიდევ ეძინა. ჩაიყვანა რა ოლგა ხაბაროვსკში, მას სურდა დაუყოვნებლივ გაეგზავნა იგი პოსიეტში, ვარვარა ილინიშნასთან, მაგრამ ოლგამ მტკიცედ გადასწყვიტა, ზამთარი ჩრდილოეთში გაეტარებინა.

მიხაილ სემიონოვიჩს თავდაპირველად ამის გაგონებაც კი არ სურდა, მაგრამ ოლგამ თანდათან დაიყოლია იგი:

მიხაილ სემიონოვიჩმა იმდენი მოახერხა, რომ დააჯერა ოლგა წასულიყო საზამთროდ ორას მეთოთხმეტე მშენებლობაზე, გავრილა იანკოვთან, და თვითმფრინავით გადაიყვანა ხაბაროვსკში, საიდანაც ოლგა დასვენების შემდეგ მშენებლობაზე უნდა წასულიყო.

ოლგამ მარქსის ფართო მორთული ქუჩით, რომელიც არსებითად ერთად-ერთი ქუჩა იყო ქალაქში, შეივრბინა სამხარეო კომიტეტში, შეიარა ფოსტაში, დასწერა წერილები მეგობრებთან. ნახევარი საათის შემდეგ იგი უკვე შედიოდა თვითმფრინავის კაბინაში და თან სწუხდა, რომ არავითარი სანოვაგე არ მიჰქონდა თან.

— სულ ოთხი საათის საფრენი გაქვთ, — უთხრა მფრინავმა ფრენკელმა, — ალბათ, თქვენმა ბიძამ ყველაფერი მოგიმზადათ. ეუთხარი, დისწულს ჩამოგიყვან მეთქი. ჩამოიყვანეო, მითხრა, ჩამოიყვანე, მხოლოდ წამოიღე მისთვის თევზის ცხიმო.

— ჩემთვის? ხომ არ გაგიყებულა! — გაიცინა ოლგამ.

— მე კი დამავიწყდა ის წყეული ცხიმი! სულს ამომართმევს ახლა მოხუცი.

გაფრენის წინ მგზავრებმა ერთმანეთი გაიცნეს. ორი მათგანი ამურის ნიკოლაევსკში მიფრინავდა. ოლგამ გადასცა მათ ბარათი შოტმანისათვის, რომელიც, როგორც ამბობდნენ, საზამთროდ ერთ-

ერთ ახალ საბადოზე დარჩა. შემდეგ მან მალე ჩასთვლიმა, გზა ნელი და ინტერესმოკლებული მოეჩვენა. დილის ათი საათი იყო, როდესაც მგზავრები ფანჯრებს მიაწყდნენ. ოღვა ვერაფერს ხედავდა, გარდა ირგვლივ გადაშლილი ტაიგისა, რომელსაც ჰკვეთდა ლურჯად დაკლანილი ამური. გაიქროლა მოგრძო ტბამ მარჯვენა ფრთის ქვეშ.

— სად არის, სად?—გაჰყვიროდა ოღვა.

— რა უცნაური ხართ, აი აქ, აქეთ გაიხედეთ!—უყვიროდნენ მგზავრები და ქვემოთკენ უთითებდნენ.

იგი ტყის გარდა ვერაფერს ხედავდა. აქა-იქ თანაბრად გაწოლილ ხშირ ტყეს ვიწრო გზები სერავდნენ. შორს კვამლი მოსჩანდა. მაგრამ აი რაღაც ოდნავ გამოკრთა წინ.

— ყველაფერი გამოგეპარათ!—მიაძახეს ოღვას.

მან დაინახა რამდენიმე კარავი არყის ხის მოყვითალო მოთეთრო ქალაში, ქალის შემდეგ გადაიშალა აეროდრომი, რომელიც თითქოს ირხევარო. მის ირგვლივ გაწოლილიყო პირქვედამხობილი ტაიგა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ყველა ეს ხე აღამიანმა წააქცია.

ფრენკელი, რომელიც ზანტად და ბოროტად აქყეტდა თვალებს დღითი-დღე ცვალებად პეიზაჟს, უცბად დაეშვა ზევიდან და როდესაც მიწას შეეხო, დიდხანს მიაცოცებდა თვითმფრინავს აეროდრომის ნაპირზე მდგომ ფიცრულ შენობისაკენ.

— რა უნდა, პირდაპირ საპირფარეშოში ხომ არ აპირებს შესვლას?

ფიცრულ შენობიდან სწრაფად გამოვიდა იანკოვი. კანტორა იქ იყო.

— ყოჩაღ, ოლიუშკა, ყოჩაღ! — წაიბუტბუტა მან და ფრთხილად მიუახლოვდა თვითმფრინავს. — რა ამბავი, ფრენკელ? — მან მქერმეტყველურად ჩაუკრა თვალი მფრინავს, თან ხელებით თრთქოს ანიშნებდა, დავალებო. შეასრულეო. — ჰო, მე რომ გთხოვე... აი ის... არა?

— ხომ არ გაგიჟდით, გავრილა ეფიმოვიჩ! — მიაძახა ოღვამ, თან შერუჯულ უღვაშებში ჰკოცნიდა. — რაში დაგვირდათ თევზის ცხიმი?.. მე ძროხასავით ჯანსაღი ვარ.

— ჰო, ჰო, ძროხასავით... ასე ითქმის, მაგრამ კაცმა რომ შე-
მოგხედოს...

— შემომხედეთ, გამსინჯეთ, როგორც გსურთ, თუნდაც ჯანმ-
რთელობის კონკურსზე წამიყვანეთ...

— კარგი, კარგი, — უკმაყოფილოდ ბუტბუტებდა იანკოვი. — არა-
ფერს არ ავისრულებენ, არამზადები... მე ხომ საკუთარი შვილივით
გთხოვე. მთელი გეგმები ჩამიშალე, შე მამაძალლო, შენა!

— სიტყვას გაძლეეთ, ნიკოლაევსკიდან ჩამოგიტანთ, — დაუყვი-
რა ფრენკელმა და თან თვალი ჩაუკრა ოლგას. — ერთ ბიღონს ჩა-
პოვიტან.

— მე შენთვის ბიღონი არ მითხრვია, — სთქვა იანკოვმა და
ჩანქანაში ჩაჯდა. — ხუთასი გრამი გთხოვე, წყეულო არამზადავ!

მან ზანტად გადაისევა თვალზე ხელი, უღვაშებში ჩაიციინა და
როდესაც დაწყნარდა, დაანახვა ოლგას მშენებლობის ადგილი. არყის
ხის ქალაში, ბარაკების ირგვლივ, შეჯგუფებულიყვნენ საბარგო ავტ-
ომობილები და ტრაქტორები.

მანქანამ გვერდით ჩაუარა ქალას და მიაღდა ბარაკებს. შემ-
დეგ გაემართნენ ამურისაკენ, ყოფილი სოფლის ქოხებისკენ. იანკო-
ვი სწორედ მდინარის ნაპირას ცხოვრობდა.

საუზმობისას მოილაპარაკეს იმაზე, თუ რა უნდა გაეკეთებინა
ოლგას. მან მოკლედ აუხსნა გავრილა ეფიმოვიჩს, რომ შოტმანის
გეოლოგებმა გადასწყვიტეს, ზამთარი გაატარონ ტაიგაში, მშენებ-
ლობაზე, და საზამთროდ გაიწვიეს ყველა დანარჩენი პარტია. თვი
თონ იგი იმიტომ მოვიდა ორას მეთოთხმეტე მშენებლობაზე, რომ
ოკენანოგრაფს ზამთრობით არაფერი არა აქვს საკეთებელი ზღვაში.

— სოლომონი ყოჩაღია, — სთქვა იანკოვმა, — მან იცის თქვენის-
თანების ხელში ჩაქერა... სამწუხარო კია, რომ შენ გეოლოგი არა-
ხარ. მარილი უნდა ვეძებოთ აქ. მარილმა საქმე გაგვიჭირა. თითო
ფუთზე მანეთ ნახევარი ზედნადები ხარჯი მოდის. ნუ თუ აქ ტორ-
ფი არ არის? კარგი კი იქნებოდა ტორფი აღმოჩენილიყო. ამ ბა-
ზალტ-მაზალტებს¹⁾ თავი დაანებეთ, რისი მაქნისია!

იანკოვის ქოხი ამურს გადაჰყურებდა. მდინარის მეორე ნა-
პირზე წითლად ეღვარებდა მაღალი გორა, რომელიც თავისი მოწი-
თური ფერდობებით შავ ტაიგაში ეშვებოდა.

1) ბ ა ზ ა ლ ტ ი — ვულკანის მიერ ამოსროლილი მთის ქანი.

სალამოთი, როდესაც ოლგა მშენებლობის კანტორიდან დაბრუნდა, იანკოვი სავარძელში სთვლემდა.

ოლგამ გააღვიძა. ფანჯრიდან მოსჩანდა მტრედისფერი ცა, რომელიც უფრო და უფრო დაძაბული და მძაფრი ხდებოდა. კაცს ეგონებოდა, ეს არის მთელს ამურსა და ტაიგას მწვანე-მტრედისფერი ცეცხლი უნდა მოედოსო. სანაპიროდან მოისმოდა სიმღერები ოლგასთვის უცნობ მრავალ ენაზე.

— გავისეირნებ, — სთქვა ოლგამ. — დღეს ხაბაროვსკში ოპერეტაა, დილას ხაბაროვსკში გავიღვიძე, გზიდან წერილი მივწერე შოტმანს, ამჟამათ ჩემს ბარათს, ალბათ, უკვე აძლევენ მას, ოპერეტასა და შოტმანს შორის კი რამდენიმე ათასი კილომეტრია. წავიღეთ, გავიაროთ. ხვალ მუშაობას ვიწყებ.

— იცი, მეტად არასასიამოვნო ისტორია გამოვიდა ამ თევზის ცხიმიდან, — სრულიად უადგილოდ წარმოსთქვა იანკოვმა. — საქმე იმაშია, რომ მე თითქოს დაებრმავდი. საესებით კი არა, ისე... რას ეძახიან... ფრინველის სიბრმავე თუ... აკური, მგონი ასე უწოდებენ...

— მერე და რატომ არ მომწერეთ?

— რა უნდა მომეწერა... დაიწყებენ ლაპობას... პანიკა... და სხვა... მე ჩუმადა ვარ, ვღუმი. გადავეცი თევა, ვთხოვეთ გადმოეგზავნათ თევზის ცხიმი, თხუთმეტი კაცია დაბრმავებული. ჩემზე აღარას ვაძბობ. შენ მოგიმიზეზე — გოგონა სისხლნაკლულია-მეთქი, შენ კი, სულელო, ვერ მოისაზრე, აბა გამსინჯეო, აყვირდი, მკერდი მომიშვირე მოხუცს და ყველაფერი არივ-დარიე. ელოდე ახლა!

იანკოვი წამოდგა, ხელები წინ გაიშვირა.

— წამომასხი პალტო, გავიღეთ, გავიაროთ.

მდინარის ნაპირზე ცეკვავდნენ და მღეროდნენ. ბევრი, ოლგასა და იანკოვის მსგავსად, დინჯად და ფრთხილად დადიოდა წყვილ-წყვილად. ქართველ ღოღობერიძის ბრიგადა ძველი უკრაინული სიმღერის შესასრულებლად ემზადებოდა, მოლოტოველები იმერული საგუნდო სიმღერით აპირებდნენ პასუხის გაცემას. ლატიში დინჯად კითხულობდა ებრაულ ლექსს.

— ერთმანეთს უზიარებენ, — სთქვა. იანკოვმა. — გადავწყვიტეთ მოვახდინოთ ენების გადაცვლა. ქართველები — უკრაინულად, უკრაინელები — ქართულად, ლატიშები — ებრაულად, ებრაელები — თათრულად... საკვირველი ისტორიაა, — ჩაიხითხითა მან. — ვერც მე შევიკავე თავი...

ახალგაზრდა სომეხი წრეში გამოვიდა, ამხანაგის მხარზე ხელ-
გადადებული. მან თავი მალა ასწია, თვალები მთვარეს მიაპყრო და
თათრული სიმღერა დაიწყო. სიმღერა ერთად-ერთი ბგერისაგან
შესდგებოდა, ტალღისებურ, დაუსრულებელ ბგერისაგან...

— ისიც ამით იტანჯება... — სქვა იანკოვმა, რომელმაც ხმაზე
იცნო სომეხი, — მაგრამ იმალება როგორც ნადირი, თითქოს გადა-
მღები სენით იყოს შეპყრობილი.

ისეთი ღამე იყო, როგორიც ყირიმშია ხოლმე...

— ვერც კი მიხვდები, თუ სად არის თქვენი გმირობა, — ჩურჩუ-
ლით წარმოსთქვა ოლგამ. — მხოლოდ თვალების გამო რაღაც სისუ-
ფლედ ხდება.

— იმიტომ რომ ტუტუცი ხარ. შენ, ალბათ, გინდა ისე იყოს,
როგორც ომში ხდება: ირგვლივ მკვდრები ეყაროს, დაქრილები
კენესოდნენ და სისხლი იღვრებოდეს.

ისინი მშენებლობის ადგილის ბილიკს მიჰყვებოდნენ.

— ომში ყველაფერი უფრო მარტივად ხდება. თუ არ მოგკლეს,
მაშასადამე, ცოცხალი ხარ, თუ ცოცხალი ხარ, მაშასადამე, კმაყო-
ფილი ხარ. დაგჭრეს? გმირი ხარ. აქ კი ომზე უარესია. მოსაკლავი
არაფინ არ არის. ვერც თავს მოიკლავ უადგილობის გამო. გინდა
„ურა“ იყვირო და სახელოვნად დაიღუპო, მაგრამ სწრაფად ვერც
ეს ხერხდება. სამი წელიწადია „ურას“ გავეყირი, მაგრამ შენიშვნის
გარდა არაფერი არ მიმიღია. რაღაც მაკლია: ჭკუა თუ ხასიათი,
ემშაკმა იცის, რომელი! ჰო, რაზე ვლაპარაკობდი?

— გმირობაზე, — ზრდილობიანად მოაგონა ოლგამ.

— დიად, გმირობაზე. სად არის მარჩენკო? — ხმამალა შეეკი-
თხა იგი მოცეკვავეებს.

— შინ, — ერთხმად უპასუხეს ყმაწვილებმა. — თავის აგარაკზე.

— აი ახლა გიჩვენებ ისეთ გმირს, როგორიც არასოდეს არ გი-
ნახავს. გამიძებს კლუბისკენ.

სანამ ისინი ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ბილიკით მიდი-
ოდნენ, იანკოვმა უამბო ერთი შემთხვევა ამ მარჩენკოს ცხოვრები-
დან, შემთხვევა, რომელიც წელს მოხდა...

— მშენებლობიდან ათი კილომეტრის მანძილზე სჩეხდნენ ტა-
იგას. სუსხიანი, ქარიანი დეკემბერი იდგა. ძალიან დიდი, არაჩვე-
ულებრივად ღრმა თოვლი მოვიდა. თოვლმა დაფარა ღროებითი გზე-

ბი ხე-ტყის სახერხ ქარხნიდან ტაიგამდე. რადაც უნდა დამჯდარიყო, უნდა მოგვეგვარებინა ხე-ტყის მიზიდვა სახერხ ქარხნამდე. ვერავინ ვერაფერი გამოიგონა. მანქანები არა გვეყოფნიდა, ცხენებს განძრევის თავი აღარ ჰქონდათ. მაშინ მარჩენკომ წინადადება შემოიტანა, ამურის ქიზულეებში გაგვეთხარა სამოცდაათი სანტიმეტრის სიღრმის არხი, აგვევსო იგი წყლით ყინულჭრილებიდან და ამ არხით გადაგვეზიდა მორები. გავთხარეთ არხი, ავაესეთ წყლით, არხის გასწვრივ დაეაყენეთ ბიჭები კეტებით და გავაყოლეთ წყალს მორები: პირველი სამი საათის განმავლობაში საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ წყალი თანდათან გასქელდა, გაიყინა, მორებს ყინული ედებოდა და არხში იჩხირებოდა.

იანკოვი მცირე ხანს შეჩერდა, მერე განაგრძო:

— შესაზარი მოსაგონია! ავტებეთ ზარის რეკა, რათა შეგვეცვალა არხის გასწვრივ დაყენებული ხალხი. მათ მალა აეშვირათ კოგრები, იქნევენ ამ კოგრებს, მაგრამ თითონ ისინი ადგილიდან დაძვრას ვეღარ ახერხებდნენ. გავგზავნეთ ცვლა, გვინდოდა გაგვეგო, რა მოხდა იქ. გაგზავნილები უკან მოვარდნენ, სახეზე ფერი არა ჰქონდათ. ჩქარა მანქანაო, — მოგვაშახეს. — მთელი პირველი ცვლა გაიყინა, ძეგლებივით დგანან და მხოლოდ ხელებს იქნევენო. გავგზავნეთ მანქანები და მიხეხლნი ცულებით. ისინი მიდიოდნენ თვითეულთან, ცულებით სჭრიდნენ ყინულს მათ ფეხებს ირგვლივ და მანქანაში სვამდნენ გმირებს. მათ ჩხარა-ჩხური გაჰქონდათ, ისე გაყინულიყვნენ. მეორე ცვლაზე, რა თქმა უნდა, ყველაფერი გავითვალისწინეთ: კოცონება დაუნთეს და მხოლოდ ორ-ორი საათი ამუშავეს. სამი დღის განმავლობაში ათი ათასი კუბომეტრი მორი გადავზიდეთ არხით. მოვაგვარეთ საქმე.

— საით წავიდეთ? — ჰკითხა ოლგამ. — აი კლუბი.

— მარცხნივ ხომ ქალაა? იქით წავიდეთ.

ქალაში ერთბაშად დაბნელდა, ბილიკი გაქრა.

— გიორგი! — დაიყვირა იანკოვმა. — ჰეი, მარჩენკო, სადა ხარ? შორიდან რადიო-მიმღების ბუტბუტი მოისმოდა.

— ეს მისი რადიოა. ჰეი, მარჩენკო!

ციცაბო ბილიკის ბოლოში მოულოდნელად კარავს წააწყდნენ.

— ვინ არის? — დაიძახა ყრუ ტენორმა და კარავიდან ოთხით მომავალი ფიგურა გამოვიდა.

— შენა ხარ, გიორგი?—იკითხა იანკოვმა.

— მე ვარ, გავრილა ეფიმოვიჩი. გამარჯობა! რას დადინხარ ღამ-ღამობით?

იანკოვმა ხელზე ხელი მოუჭირა ოლგას, თითით ანიშნა, ხმა არ ამოიღო. ოლგა ბილიკიდან გადავიდა და ხეებს ამოეფარა.

— გესტუმრე. რას აკეთებ?

— მეე? მანილას ვუსმენ. შემოდი კარავში.

— მანდ რა მინდა, დახუთული ჰაერია... აი, აგერ ბალახზე დაეჯდები.

ოლგა ხედავდა, როგორ ფრთხილად დაეშვა იანკოვი ბალახზე კარვის წინ. დაჯდა მუხლებზე მდგომი მარჩენკოც. მაგრამ ნახევრად ზურგ შექცეული, თითქოს მორცხვობსო.

— ახალი ამბავი ხომ არაფერია?—ჰკითხა მან.

— არაფერია... თამბაქო ხომ არ გინდა? აილე.

მარჩენკომ ხელი გაუშვირა, მაგრამ მაშინვე უკან წაიღო და გაიცინა:

— მე ხომ თავი დავანებე. არ მინდა.

— დისწული ჩამომივიდა,—წთქვა იანკოვმა—და თამბაქოს კვამლი შეისუნთქა. — მეცნიერი მუშაკია, შესანიშნავი გოგონაა. დღეს მშენებლობა დაათვალიერა და სთქვა: ვერა ვხედავ გმირობასო. გესმის? გულში გავიფიქრე, ისეთ საქმეში უნდა ჩაგაბა, რომ...

— მერე და როგორ ფიქრობ,—გააწყვეტინა სიტყვა მარჩენკომ, რომელიც განზე იყურებოდა,—გმირობა იშვიათი მოვლენაა. წელს ჩვენ ჯერჯერობით გმირობა არ ჩავეიდენია.

— რატომ ლაპარაკობ უსაფუძვლოდ, ჩავიდინეთ,—სთქვა იანკოვმა. — ყინულის არხზე ვუამბე...

— ეგ ხომ შარშან იყო,—სწრაფად მიუგო მარჩენკომ. — წელს კი... თუ არ ჩავთვლით ექსკურსიას საწყობებში, შენ რომ გამოიგონე...

— კარგია ერთი... განა ლუბენკოვმა, შენის აზრით, გმირობა არ გამოიჩინა?

— არაფერი გმირობის მსგავსი არ გამოუჩენია.

— გორინმა?

— ლექსებს სწერდა, მეტი ხომ არაფერი. ერთის სიტყვით, წელს ჩვენ გმირობა არა გვაქვს. კარგად ვმუშაობთ, მაგრამ გმირო-

ბა არა გვაქვს. მოდი ერთი, გავრილა ეფიმოვიჩი, ექვს თვეში ავაგოთ ქალაქი. ავაგოთ ექვს თვეში. აი ეს იქნება გმირობა!

— უპ, რამდენი კოლო გყოლია!—დაიწყა ბუტბუტი იანკოვმა, თან ხელებს იქნევდა და თავს აკანტურებდა.

მარჩენკომ ჩუმად ჩაიცინა.

— მომეცი ერთი პაპიროსი,—სთქვა მან.—კოლო მართლაც უთვალავია.

იანკოვმა კოლოფი გაუწოდა, მაგრამ ზურგშექცევით მჯდომმა მარჩენკომ ვერ დაინახა იგი და დიდხანს აფათურებდა ხელს ჰაერში უშედეგოდ.

— წაილე, რალას ელი,—უთხრა იანკოვმა.

— არა ღირს,—უპასუხა მარჩენკომ და ხელი დაუშვა.—რახან სიტყვა მივეცი ჩემ თავს, აღარ გავტეხ.

— ჯანდაბას შენი თავი! კოცონი მაინც გააჩაღე. ძალა აღარ შემწვეს.

— აი მდინარიდან დაბრუნდებიან ბიჭები და გააჩაღებენ კოცონს. იჯექ, გაუძელ.

— უმჯობესია სახლში წავიდე,—სთქვა იანკოვმა.—კარგი მასპინძელი ხარ, შენ ნუ მომიკვდები! გარდა ამისა, ძალზე ბნელააქ, შენთან,—წარმოსთქვა მან თითქოს გაკვირვებით,—თვალებს დაითხრის კაცი.

— მოიცა, ფარანს მოგცემ, გავრილა ეფიმოვიჩი,—სთქვა მარჩენკომ, სწრაფად მოიხარა წელში და ფოფხვით შეძვრა კარავში. მალე კარვიდან გამწარებული ფათური მოისმა.

ოლგა გამოვიდა ბუჩქებიდან და ხელი მოჰკიდა იანკოვს.

— წავიდეთ,—წასჩურჩულა მან.—მარჩენკო კარავშია, ვერა გვხედავს.

— აბა, ნახვამდის!—დაუყვირა იანკოვმა მარჩენკოს და ცანცალით გაჰყვა ოლგას.—ნუ გამაცილებ, საჭირო არ არის.

როდესაც ქალას გასცილდნენ, იანკოვმა ჩაიცინა.

— როგორ მოვატყუე, აი ამას ჰქვია მოტყუება! კიდეც კარგი, რომ არ გამომაცილა, თორემ გაიგებდა, რომ ვერა ვხედავ. ძალიან კი შეაქვს, თავს გაუვიდა, ზის, ოცნებობს...

— რას ამბობთ? ის ხომ ისეთივე ბრმაა, როგორც თქვენ,—სთქვა ოლგამ,—ვერაფერს ვერა ხედავს, ბრმაა.

მოხუცი შეჩერდა.

— შეუძლებელია!—წამოიძახა შემოფოთებულმა.

— მე თვითონ დავინახე, როგორ იჯდა ზურგშექცეული, როგორ გაიშვირა ხელი პაპიროსისთვის სულ სხვა მხრისაკენ, ვერ მი-
აგნო და სთქვა—თამბაქოს წევას თავი დავანებეო... აი, ეგ ნამდვი-
ლი გმირია,—ჩაილაპარაკა ოლგამ ჩუმად.—ნამდვილი ადამიანია.

— აბა რა გმირია!—სთქვა იანკოვმა. — ძალიან შესაჯობრებელი
რამ კი ნახეს! ხვალ პარტკომში დავსვამ საკითხს, რომ ერთი კარ-
გად მოსცხონ ამ ქათმის გმირებს. ერთმანეთს ასულელებენ.

— თქვენც ხომ ასეთი ხართ!

— მე ადმინისტრაცია ვარ, ის კი საწარმოო მუშაკია. განსხვა-
ვება!

სახლამდე იანკოვს ხმა აღარ გაუცია ოლგასთვის და ისე და-
წვა, რომ კრინტი არ დაუძრავს.

ერთი კვირის შემდეგ ოლგა მარჩენკოსთან წავიდა გასაცნობად.

— გამიგონია თქვენს შესახებ,—უთხრა მარჩენკომ. — გმირობას
ეძებთ. არ არის გმირობა, არა, ჯერ ადრეა, სამი თვე მაინც უნდა
გავიდეს.

— რატომ?

— ბევრი ახალი ხალხი გამოგზავნეს, ჯერ ვერ შეეჩვევიან, აქ
ადამიანს ჯერ სევდა იპყრობს, როდესაც სევდას მოიშორებს, მაშინ
შეიძლება მოსთხოვო გმირობა. როდესაც, ასე ვთქვათ, მხედველობას
შეიძენენ.

მშენებლობაზე რვა ათასამდე კაცი გაგზავნეს. ისინი პირველი
ყინეების დროს ჩავიდნენ. ტაიგა მათ მწუხარე ქარიანი ღუმილით
შეხვდა. ქალაქი გამურული, დაბინძურებული იყო, გადასახლების
ადგილს მოგაგონებდათ. დაბალი მიწურები, რომლებიც წააგავდნენ
საფლავის ბორცვებს თხელი რკინის მილებით. ჯვრების ნაცვლად,
მყრალ კვამლში ხვევდნენ უდაბურ არე-მარეს. აქედან ყველაფერი
შორს იყო, თვით ბედნიერებაც კი.

სამი თვის წინათ აქ ჩამოვიდა სამასი ქალიშვილი. მათ შესა-
ხვედრად ორასი კილომეტრის მანძილზე გაემგზავრნენ. ერთმანეთს

ეცნობოდნენ გასაჩერებელ ადგილებზე, შემდეგ კი მთელი შემოდგომა არ შეწყვეტილა ქორწილები და სალამოები. გაბედული ბიჭები კი, რომლებსაც ყინვები არ აშინებდა, უკვე ტრაბახობდნენ, რომ „ვერფებზე საძირკველი ჩაუყარეს“¹⁾ ბავშვებს და გაზაფხულზე კრეისერებთან ერთად ისინიც გავლენ ზღვაშიო.

მაგრამ შემოდგომა ისეთი მძიმე იყო, რომ არ იცოდნენ, როგორ მიაღწევდნენ გაზაფხულამდე. ვილაცამ ხმა დაადო, ცუდად არის სურსათ-სანოვაგის საქმე და როდესაც ამური შეჩერდება, ულუფას განახევრებენო. მაშინ იანკოვმა აფიშები დაბეჭდა: „ექსკურსია მშენებლობის ცენტრალურ საწყობში“—და ოთხი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ დაჰყავდა ხალხი თავის მშრალ და თბილ სარდაფებში, სადაც ელაგა მანქანათა დეტალები ჯერ კიდევ აუშენებელი საამქროებისათვის, ფაბრიკა-სამზარეულოს მოწყობილება მომავალი ქალაქისათვის, აბანო-სამრეცხაოს კომპლექტები, მინა, ცემენტი, ლურსმანი. ამ საწყობებიდან წაიყვანა ისინი საყინულეებში და უჩვენა უამრავი ხორცი, მწყობრად დაკიდებული კაუჭებზე ნახევარი კილომეტრის მანძილზე, რამდენიმე მილიონი ყუთი კონსერვები, რამდენიმე ათი ათასი ტომარა მარცვლეული, ხუთას კასრამდე ერბო. ხალხი „ურას“ გაჰყვიროდა და თავს იყრიდა ხორცის ირგვლივ. არავის აღარ დაუთვალეირებია სხვა რამ, არ უნახავს (და აღარც საინტერესო იყო) ფორთოხლის მურაბით და მკავე კიტრით სავსე კასრები.

ხალხი ერთბაშად გამხიარულდა. სევდის გასაქარვებლად იანკოვმა მოაწყო გამოფენა: „ქალაქის საერთო სახე ხუთწლედის დამლევს“ და იქვე ბავშვებისათვის საჭირო მარაგის განყოფილება—თავხაფქვი ბურღული, შესქელებული რძე და ხილის წვენი.

ის იყო მიაწვნენ მშენებლობას, რომ გაჩნდა აკური—ქათმის სიბრძავე. ახალგაზრდა ტაგანროგელმა მლარველმა მაკარიანმა მაშინ მოიგონა „ენების გაცვლა“. ვინც სიბრძავეით ავადდებოდა, მასზე, სასჯელის სახით, ამაგრებდნენ მასწავლებელს და ავალებდნენ შეესწავლა სიმღერა რომელიმე ენაზე. იყვნენ ისეთები, რომელნიც სამ ენაზე მღეროდნენ და ლაპარაკსაც კი ცდილობდნენ, მაგრამ ჯერჯერობით უფრო ხელებით, ჟესტებით.

დაბალი მიწურებიდან ამომავალი კვამლი შორს ეფინებოდა ტაიგას და ტაიგაც ფრთხილად ეტანებოდა კვამლსა და მშენებლობის შუქს.

1) ვერფი—გემოსაშენი

ნანაელთა ორმა ბანაკმა გადასწყვიტა ზამთარი გაეტარებინა ქალაქის თავში, მდინარესთან. ცალკეული მონადირეები უბრალოდ შეაღებდნენ ხოლმე სასადილოების კარებს და როდესაც შეთბებოდნენ, მაგიდაზე აწყობდნენ სიასამურის ტყავებს.

— მოგვეცით კოოპერაცია!—ყვიროდნენ ისინი რუსულად და მოითხოვდნენ ტყავში მარილსა და ვაზნებს.

ჯერ კიდევ არ მოეთავებინათ ფიცარნაგებები და დოკები, რომ ქალაქი უკვე ამოქმედდა—მოეზიდებოდნენ ბეწვეულს, მოეშურებოდნენ პურისათვის და მზაში სწერდნენ დაბადებისა და ქორწინების აქტებს, ხოლო ერთხელ მოიყვანეს მკვდარი გრძელწვერიანი მოხუცი და ითხოვეს დაემარხათ იგი სხვებთან ერთად დიდ და ლამაზ სასაფლაოზე, ნაძვების ქალაში. შემდეგ ნანაელებმა გორაკებზე დადგეს ხის ღმერთები და კვირაში ერთხელ ჯოხებით სცემდნენ, თუ ნადირობა ხეირს არ იძლეოდა. მერე მათ ხელშეკრულობა დასდეს გავრილა იანკოვთან საქაპანო სამუშაოებზე. ხოლო მილიციონერმა შიშოვმა, რომელიც მხიარული ტენორით გაჰყვიროდა, დინჯად დაიწყო ავტომობილებისა და ძაღლებშებმული მარხილების მოძრაობის მოწესრიგება, სანაპიროზე გამოჰკიდეს განცხადება: „სალამოს მ საათის შემდეგ სასტიკად აკრძალულია ტრაქტორებით და ტანკებით მოგზაურობა. ჯარიმა 3 მანეთი“.

ქალაქი ნელა და ტანჯვით იბადებოდა, და ქალაქი კი არა, თითონ ტაიგა მიიკვლევდა მისკენ გზას, ეკვროდა მას და ფრთხილად ათვალიერებდა.

— ომზე ლაპარაკობენ, — სთქვა მარჩენკომ. — ვთქვათ, მართლაც მოხდა ომი, ხომ ათი წლით აგვაცდინეს გზას. ომის წარმოება ჩვენი მხარის საკუთარი ძალებით მოგვიხდება. ეს იმას ნიშნავს—მისცე, რაც დაგიგროვებია.

— უმჯობესია შევებულება აილო, წახვიდე დასასვენებლად, — უთხრა ოლგამ.

— ხელსაყრელი არ არის. მე, ჩემო კარგო, სიტყვა მივეცი ჩემ თავს, გავხდე აქ ქალაქის თავმჯდომარედ. ასეც დაწვერე ვახეთში. ქალაქს მე პირველთა შორის პირველმა ჩაუყარე საფუძველი, ქარხანას აგური ბლიუხერთან ერთად მე დავუდე საძირკვლად და მევე დავამთავრებ, ყველაფერს გადავლახავ და ქალაქის თავმჯდომარედ

გაეხდები. ავიშენებ ქალაქს და შევუდგები მის მართვას. ასეთი ოცნება მორღნის.

— ერთიც ვნახოთ და არ აგირჩიეს.

— მე? რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ოცნება უნდა გქონდეს. მამაჩემი მეზოვედ მუშაობდა კიევეში. არაფერი სახარბიელო სამუშაოა საჭირო ადგილების წმენდა. ახლა კი პირველი კაცია კომუნალურ საქმეში. მწერს, რომელიღაც ინსტიტუტში მინდოდა შესვლა, მაგრამ წლოვანების გამო არ მიმიღესო. ეწყინა და კოლმეურნეობაში წავიდა. მე სხვა მანერით დავიწყებ მოქმედებასო,—მწერს. სამოცი წლის კაცია!

მარჩენკომ დაავადებული თვალებით მოსძებნა ოლგას სახე და ეშმაკურად, ტუჩებმოკუმულმა გაიღიმა.

— ესე იგი, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ რა იქნება შემდეგ. უნდა გითხრა, ხალხი მთას მიაწვა და დიდის ძალითაც მი აწვა. ჩვენ, მეგობარო, საერთოდ თუ ვიტყვით, ომიც არაფრად გვიღირს—სადაც უნდა მოვხვდე, არ დავიკარგები. თუ ჩინელებთან დავრჩი, ჩინელების სოფლის საბჭოში შევალ, ტყვედ თუ წამიყვანეს—საქმეს იქაც ვიშოვი. ერთი შიში მაქვს, რომ მომკლავენ, მაგრამ ამის საწინააღმდეგო საშუალებაც არსებობს.

— რა საშუალება?—უნებლიეთ შეეკითხა ოლგა და განზე გახტა რადიო-აპარატის მოულოდნელი წამოკივლების გამო.

— მოსკოვიდანაა,—განუმარტა მარჩენკომ.—კონცერტი თუ არის... ჰო, არ მითქვამს, რა საშუალებაა. აი,—მკერდზე ხელი დაირტყა და ერთ წუთს გულზე გააჩერა,—ეს, ჩემო გოგონა, ისეთი კონსტრუქციია, რომ თუ იგი მაქვს, ვერავითარი ეშმაკი ვერ შემაშინებს. ამ საშუალებით მე ყველგან პირველი ვიქნები.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ფრიდრიხს დიდს უყვარდა თქმა: სამხრეთ-
კავშირის ზღვარზე უფრო მეტად ღირს,
ვიდრე თრთოვანათი მის წინათ.

მ ქ ვ მ ბ ე რ ი

ცაიგაზე თქვანესკუნ თრთოვი თვით-
მფრინავი მიპქრთდა.

გირინის მცველი ჯარის პირველი პოლკი გათენებისას შედიო-
და ხანშინის ქარხნის თიხისაგან ნაგებ ციხე-სიმაგრეში.

კაპიტანი იაკუიამა, დროებითი სამხედრო მრჩეველი, ქარხნის
კედლის თხემიდან დაჰყურებდა ფაციფუცს ჭიშკართან. კუთხეებზე
აწვდილ კოშკებში ტყვიამფრქვევები აჰქონდათ. ეზოში უნაგირებს
ხდიდნენ ცხენებს.

იაკუიამამ მთელი ძალით დაუსტვინა სასტვენნი, რომელიც მას
ყალიონივით გამოუღებლად ედო პირში. მის წინ უნტერ-ოფიცერი
გამოიჭიმა.

— ეს მათხოვრები წესრიგში უნდა მოიყვანოთ! — სთქვა კაპი-
ტანმა და მიუთითა ჩინელ ჯარისკაცებზე, რომელნიც აღფრთოვანე-
ბულნი ეხვევოდნენ ტკბილით საესე კასრებს.

ამ დროს ეზოში შევიდა ბანჯგელიან მონღოლურ ცხენზე მჯდო-
მი პოლკის უფროსი — მანჯურელი, ჭკვიანი და ბოროტი სახით.
იგი გატაცებით ატრიალებდა ირგვლივ მათრახს წესრიგის დასამყა-
რებლად.

კაპიტანმა იაკუიამამ მიმოიხედა. სინათლე ხან აქ, ხან იქ გა-
შოკრთოდა გასხივოსნებული ნისლის სახით, მაგრამ დილა ჯერ კი-

დღე არ იყო. იგი ცალკეულ ლაქებად ისახებოდა ღამის გაცრეცილი ლურჯი ნაშთების ტალღებზე. ეტყობოდა, ცხელი დღე იქნებოდა. იაკუიამამ დაუსტინა.

— სთხოვეთ პოლკის უფროსს, მოვიდეს ჩემთან!

ქარხნის ეზოში ყველაფერი თანდათან წესრიგში მოდიოდა. ჩრდილოეთ კედელთან ტყვიამფრქვევები ჩამწკრივებულიყვნენ, ორთვალა ეტლებს დასავლეთი მხარე ეკირათ. დიდ გზასთან მდგომი ხანშინის ქარხანა ძველ ციხე-სიმაგრეს მოგაგონებდათ.

ატაკუნდა კოკონები. ჩაცუცქული მზარეულები ცეცხლს აჩაღებდნენ მაყალ ქვეშ, რომელზედაც ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა სოიას ერბოს.

— იაპონელმა ვახტერმა მზარეულებს ფეხებში მიუგდო გასისხლიანებული ტომარა.

— ჰეი შენ, რამდენია? — ჰკითხა კაპიტანმა ზემოდან.

— ორას-ერთი, ბატონო მრჩეველო, — უპასუხა ვახტერმა.

შიკრიკებმა კედლის თავზე დააგეს ქილობები, დადგეს პატარა გაკრიალებული მაგიდა, აიტანეს ჩაი.

პოლკის უფროსი ხეი-ხუ ნელა ადიოდა კედელზე ციცაბო კიბით.

— იაკუიამამ თვალე-მოჭუტულმა მიმართა მას:

— თქვენში, სულ ცოტა, სამი ფუთი შეუსრულებელი სურვილებია, სამი ფუთი ქონია.

— ეს ჩემი ხასიათის გამო, — უპასუხა ხეი-ხუმ. — გულკეთილობა აღუნებს კაცს.

— რამდენი დავკარგეთ? — ჰკითხა იაკუიამამ.

— დაკრილია ას ოცდარვა, მოკლული ოცდაათი, ჩამორჩა თერთმეტი, — უპასუხა ახალგაზრდა ტანმოქნილმა ადიუტანტმა ცუდ იაპონურ ენაზე.

— ტყვედ წამოყვანილია ას სამოცდა ერთი, — ჩაურთო სიტყვა პოლკის უფროსმა. — დაიხსომეთ, საქმე ღამით მოხდა.

— ჯარისკაცმა არ უნდა იცოდეს, რა არის დღე, — დარიგების კილოზე მიუგო იაკუიამამ. — ეგ შეიძლება იცოდეთ თქვენ და ისიც კერძო ცხოვრებაში. ომი ღამეა. მუღმივი, უმთვარო ღამე.

— ძველი გამოცდილი არმიებისათვის, ძველი ჯარისკაცებისათვის... ჩვენ კი ახალგაზრდები ვართ, ძალიან ახალგაზრდები, ბატონო მრჩეველო.

იაკუიამამ ჩაიხედა ძირს, ეზოში. სოიას ერბოს სუნი ცხვირის ნესტოებს უღიზიანებდა. აქაფებული და მჩქეფარე ერბო თუნუქის ტაფებზე ჩუხჩუხებდა. მზარეული ტომრიდან იღებდა პატარა ნამცხვრების მსგავს ადამიანის ყურებს და გულმოდგინედ აწყობდა მღულარე ერბოში. ჩაწყობის შემდეგ ნელ-ნელა აბრუნებდა მათ წვეტიანი ჩხირით, როდესაც ყურის ბიბილოზე გაიეღვებდა საყურე ფერადი ქვით, მზარეული ფრთხილად იღებდა ყურს და აცლიდა საყურეს.

ვახტერი იქვე იდგა გრძელი მსხვილი ძაფით და ნემსით ხელში. როგორც კი ყური შეიწვებოდა, იგი ძაფზე წამოაცმევდა. აცმულ შემწვარ ყურებს (რომ არ გაფუჭებულიყო) შტაბში ჰგზავნიდნენ პრემიების მისაღებად.

ახალი ხორცის გემრიელი სუნი იდგა. ეს სუნი ძილს უფრთხობდა მძინარეთ. ისინი ტუჩებს ილოკავდნენ ძილში.

— ვერ ჩავთვლით ამ ოპერაციას ხელსაყრელ საქმედ, — სთქვა იაკუიამამ და ხელი მოჰკიდა ადგილმდებარეობის რუკას, რომელიც დასერილი იყო ლურჯი და წითელი ისრებით და წრეებით.

გასულ ღამეს პოლკი გარს შემოერთყა პარტიზანებს ხეობაში, ორ სოფელს შორის. პოლკის წრე იკვროდა, როდესაც მესამე ასეულმა უეცრად უკან დაიხია. დანამდვილებით არავინ იცოდა, როგორ მოხდა ეს; მაგრამ მოწინააღმდეგე ხელიდან გაუსხლტათ, მან რკინისგზისაკენ დაიხია. პოლკმა გაიარა სოფელი, გაუსწრო მოწინააღმდეგეს და გზვიდა შარა გზაზე, სადაც, ორი კილომეტრის მანძილზე, ბაკი იყო. შორიდან ისმოდა, როგორ აწყდებოდა ხალხი ბაკის კარებს. ცხენოსანმა დაზვერვამ წაიყვანა თან ვახტერი ტომრით და იქითკენ გაექანა.

— მუდამ ასეა, — სთქვა მაშინ პოლკის უფროსმა: — ვიდრე ბანდიტები ხელში გვყავს ჩაჭერილი, თვალწინ არიან, მაგრამ საკმარისია მიბრუნდე, რომ მყისვე გაქრნენ. ეს თქვენი მანევრული ომი უაზრობაა. ადგილიდან არ უნდა დაიძრა და იმ დრომდე უნდა იომო, სანამ ერთი ცოცხალი მცხოვრები მაინც დარჩება.

პოლკის უფროსმა ისე მოაბეზრა თავი იაკუიამას, რომ მრჩეველმა არათფერი არ უპასუხა. ესეც კია, თვითონ ის პირველად იღებ-

და მონაწილეობას საომარ საქმეებში, ჯარში იგი სულ სხვა მოსაზრებით შევიდა.

საერთოდ კი ხეი-ხუ ცუდი ოფიცერი არ იყო, ესე იგი ისეთივე იყო, როგორნიც იყვნენ ის ახალგაზრდები, რომელთაც ჯერ უნივერსიტეტი დაამთავრეს, ხოლო შემდეგ, უმუშევრობის გამო, სამხედრო სკოლები, და არმია მათ აინტერესებდათ თავიანთი სამეცნიერო სპეციალობის მიხედვით სამსახურის მიღებამდე. მაგრამ ხეი-ხუს კარგი ურთიერთობა ჰქონდა იაპონელებთან, იყო იმდენად მამაცი, რამდენადაც ეს საჭიროა, და, ბოლოს, თუ ომისაგან დიდი შემოსავალი ექნებოდა, შეედლო გენერალიც გამხდარიყო.

— ისეთ ქვეყანაში, როგორიც თქვენი ქვეყანაა, მსოფლიოს მხოლოდ საუკეთესო ჯარისკაცებს შეუძლიანთ იომონ, — სთქვა კაპიტანმა. — ყველა დანარჩენისათვის აქაური ომი სიკვდილია. თქვენს ადგილზე, — თავაზიანად დაურთო მან, — ვუბრძანებდი, ერთხელ კიდევ დაეთვალე რებინათ ბაკი.

ეს იყო ბრძანების ჩვეულებრივი ზრდილობიანი ფორმა, და პოლკის უფროსმა სიამოვნებით მიიღო რჩევა. მან გადასწყვიტა პირადად დაეთვალე რებინათ ბაკი.

ცხენოსანი მზვერავეი რაზმი გარს შემოერტყა ბაკს და არავის არ უშვებდა არც ეზოში და არც ეზოდან.

— ჩვენ ბანდიტები არა ვართ, ჩვენ გლეხები ვართ! — გაჰყვიროდა ხალხი და გარს ეხვეოდა მისულ მეთაურებს.

— ამოარჩიეთ ბრბოდან ბავშვები, — უთხრა იაკუიამამ რაზმის უნტერ-ოფიცერს.

პოლკის უფროსმა გაუღიმა მრჩეველს:

— მესმის თქვენი მოქმედების სისწორე, მაგრამ ნერვებისათვის ეს საშინელია. ბავშვები, ვფიქრობ, შეიძლება გადაგვენთავისუფლებინა ეგზეკუციისაგან.

— ბავშვები? მაპატიეთ, მაგრამ ბავშვები დიდებზე უფრო ყბედები არიან, და მე რომ თქვენს პატივცემულ ადგილზე ვიყო, სწორედ ბავშვებით დავიწყებდი.

პოლკის უფროსმა არ შეასრულა მისი რჩევა. მაშინ იაკუიამამ წამოიწია უნაგირზე და დაიყვირა:

— დაჰკითხეთ მამაკაცებს!

მეთაურები ჩამოხტნენ ცხენებიდან და სასადილოში შევიდნენ. ბაკში მყოფთ სათითაოდ მიათრევდნენ ეზოდან, თარჯიმანი წიხლის კვრით აჩოქებდა მათ და სწრაფად ეკითხებოდა:

— რამდენი კაცია, ვინ არიან, საიდან, შეიარაღებულნი არიან თუ არა, რამდენი ჰყავთ ცხენი, რამდენია ტყვიამფრქვევი, მათი სახელები?

დასაკითხავად მოყვანილნი, მუხლმოდრეკილნი და შეშინებულნი შესცქეროდნენ გამომკითხავთ, ვერ ასწრებდნენ პასუხს და უთაბოლოდ ბუტბუტებდნენ:

— თვრამეტი... არ ვიცი... შევიდი თუ რვა, არ დამინახავს. სხვა სოფლიდან ვარ, ოთხი, არ დამინახავს...

— რა ოთხი?

— მე სხვა სოფლიდან ვარ...

ადამიანი ვერც კი ასწრებდა მოესაზრებინა, თუ რა სურდათ მისგან, რომ ვახტერის დანა ეშვებოდა მის მარცხენა ყურზე.

გაისმოდა კივილი, ტკივილისაგან დანას მიკრული თავი ერთი წუთით გარინდებული რჩებოდა, შემდეგ დაჩოქილს ჯოხის ცემით ფეხზე აყენებდნენ და გარეთ აგდებდნენ.

მიათრევდნენ შემდეგს. ვახტერი ტომარაში აგდებდა ყურს.

ღრმა მოხუცი, რომელიც, მოხუცისათვის დამახასიათებელი მოუხერხებლობის გამო, ხელოვნურ ადამიანს წააგავდა, მეტად მოუქნელი, მოუსაზრებელი და ვახტერის მოძრაობის ამყოლ-დამყოლი, ჩუმად ყვიროდა და არაფითარ შეკითხვას ყურადღებას არ აქცევდა.

— სამასი კაცია, თქვენო მოწყალეზავ... მათ ექვსი ტყვიამფრქვევი აქვთ... არც ერთი არ არის ჩვენი ადგილებიდან, თქვენო მოწყალეზავ... ნუ მომჭრით ყურს... ხუნ-ძიუნია, წითელი არმია, წყეულმც იყოს მისი ხსენება!..

— ვინ არის მეთაური? — ჰკითხა კაპიტანმა.

— ჩვენი ადგილებიდან არ არიან, არ არიან...

— სახელი!

— ჩემი უღირსი სახელი...

— პირუტყვო! შენი კი არა, იმისი...

— არ ვიცი, თქვენო მოწყალეზავ...

გასისხლიანებული ხელების წებოვანი ანაბეკლით შეთითხნილ

კარებთან გამოჩნდა ახალგაზრდა ჩინელის ფიგურა. მან ხელი ასწია, თითქოს ორატორობას აპირებდნო.

— ყოველივე იმის გასაგებად, რაც თქვენ გსურთ, საჭირო არ არის ორმოცდაათი ყურის ჩამოჭრა, — სთქვა მან. — გთხოვთ მომისმინოთ. თქვენ გსურთ გაიგოთ წითლების უფროსის სახელი? იუ-შანია მისი სახელი.

— საიდან იცით? — შეეკითხა იაკუიამა.

— მე თქვენი სახელიც ვიცი, ბატონო ოფიცერო, — სთქვა მან და მხრები აიჩეჩა.

— ჩემიც? ვინ გითხრა?

— ცხოვრებამ, ბატონო იაკუიამა.

— დაასვით დალი! — უბრძანა კაპიტანმა. — დამალე თვალები! — დაუყვირა მან. — ეგ თვალები გამხელენ შენ. ამოითხარე თვალები, ამოიგლიჯე ენა! ყველაფერი გამხელს შენ... დალი დაასვით!..

ვახტერი მივარდა ახალგაზრდა ჩინელს, მაღლა ასწია დანა, საიდანაც სისხლი სახელოზე დასდიოდა.

— ფრთხილად მოსქერი! — დაუყვირა ვახტერს ჩინელმა, — ლოყა არ გამიფუჭო. მაგრე.

თითონ ჩააგდო ტომარაში მოჭრილი ყური, ისე რომ არც კი შეუხედნია მისთვის.

— შემოდია შემოგთავაზოთ მეორეც, — სთქვა მან ფერწასულმა.

პოლკის უფროსი წამოდგა, იგი სხვა მხარეს იცქირებოდა და თან ხელებს უქნევდა.

— გასწი, გასწი აქედან!

ჩინელმა ხელიდან გამოსტაცა ვახტერს დანა, ჩამოიჭრა მარჯვენა ყური და კარებისაკენ გადახტა, მერე სახეში ესროლა იაკუიამას სისხლისაგან გაბერილი ყური.

— ჰა, მიიღე! ამ დღეებში შენგან მივიღებ...

მუცელში ფეხი წაჰკრა და უკან გადაისროლა მისკენ გაქანებული ვახტერი, გაალო კარები და ბრბოში მიიმალა.

ღრმა მოხუცი ამ ღროს იატაკზე განართხული ეგდო. სახე შემშრალი სისხლით ჰქონდა გათხუპნული.

იგი ქვემოდან შეჰყურებდა მეთაურებს და ბუტბუტებდა:

— თქვენო მოწყალებავ, მინდა რაღაც ვთქვა...

— იცნობ იმას? — შეეკითხა იაკუიამა და თან სისხლი მოიწმინდა ზუნდირზე.

— ვიცნობ, თქვენო მოწყალებავ, ჩემი უღირსი შვილია.

— აა! წაიყვანეთ მოხუცი შტაბში. წავიღეთ! — მიმართა მან პოლკის უფროსს. — აქ უჩვენოდაც დაამთავრებენ.

უფროსმა მხრები აიჩეჩა და სახით გამოხატა, რომ ადგომა არ შეუძლია. გული უღონდებოდა.

— სისულელეა, — სთქვა იაკუიამამ. — პატაკში გუშინდელი დღის შესახებ თქვენს სენტიმენტალობას ადგილი არა აქვს. თქვენს პატივცემულ ადგილზე მე დაუყოვნებლივ ავდგებოდი...

ისინი გავიდნენ ფანზიდან. ღამის ჰაერი სპირტივით სწვავდა მათ თვლებს...

— სად არის გუშინდელი მოხუცი? — იკითხა კაპიტანმა და მაგიდას მიუჯდა.

მოხუცი იმ წუთშივე მოათრის.

— გაჩერდი! ილაპარაკე ნელა. კიდევ უფრო ნელა...

მოხუცმა უამბო, რომ რაზმი, რომელმაც სახელად ხუნ-ძიუნი, ე. ი. წითელი არმია დაირქვა, მთლიანად, სამი კაცის გარდა, უცხო მხრიდან მოსულებისაგან შესდგებო. აი ამ სამი ნაცნობის შესახებ უნდა ეამბნა მოხუცს. ერთი მათგანი ყველასაგან პატივცემული მიუ დან-ძირია, დეე ბატონმა დაიხსომოს სახელი: იგი წმინდანია, იმდენად მოხუცი და იმდენად პატივცემული ყველას მიერ, რომ ხელით დაჰყავთ. ორი დანარჩენი მისი შვილები არიან.

— ეს წმინდანი, მიუ დან-ძირი, განთქმული ხუნხუზია¹⁾, უხუცესი ხუნხუზი ამ ქვეყნად.

იაკუიამამ სამგზავრო ჩანთიდან ამოიღო ბატონ მურუსიძის საცნობარო წიგნი: „ხუნხუზთა მოძრაობის მოღვაწენი 1898 წლიდან 1932 წლამდე“.

როდესაც მონახა მიუ დან-ძირის სახელი, ყურადღებით დაიწყო კითხვა და თითქმის აღარ უსმენდა მოხუცს.

1) ხუნხუზები — ყაჩაღები, რომლებსაც ტერორის ქვეშ ჰყავთ ჩრდილოეთ ჩინეთისა და მონღოლეთის მოსახლეობა. ამჟამად იაპონელები ხუნხუზებს უწოდებენ პარტიზანებს.

— რას აკეთებს ხუნხუზთა წმინდანი ბანდაში? — შეეკითხა იგი შემდეგ.

— ვინ იცის, რას აკეთებს! მისი ერთი შვილი ოფიცერია, მეორე მოხელედ არის ბეიპინში. ასეთ ადამიანს ყველაფრის გაკეთება შეუძლია, თქვენო მოწყალეებო. ვფიქრობ მას სურს ხელშეკრულების დადება იარაღის მიწოდებაზე.

— კარგად დამიგდე ყური. შენ მოხუც ხუნხუზთან მიიყვან ჩემს ოფიცერს. ჩვენ ვთხოვთ მიუ დან-ძირს, სტუმრად გვეწვიოს. როდესაც დაბრუნდები, აი, ხომ ხედავ, — და მან სამლოლარიანი ქალაღი ამოიღო, — ეს შენი იქნება.

ღლის ბოლოს მოხუცთან ერთად შოვიდა ორი ჯგუფი, ფეხმრუდი ხუნხუზი ყურებამდე ჩამოფხატული ბეწვიანი ქულებით. მოხუცის სახე დაფარული იყო თუნუქის დიდი სათვალეებით. იგი ჩამომხმარი, დანაოქებული იყო და მომაკვდავს ჰგავდა.

— მაქვს იშვიათი იმედი, რომ თქვენ წარმოდგენილი გაქვთ, თუ ვინ არის ეს მოხუცი, — უთხრა კაპიტანმა იაკუიამამ პოლკის უფროსს. — ჩაიხედეთ საცნობარო წიგნში — იგი ბანდიტია ევროპული წელთაღრიცხვის 1898 წლიდან. მას დაბეგრილი ჰყავდა ცხრა-მაზრა ოცი წლის განმავლობაში, ორჯერ აქვს გაძარცული მუკდენი და მოხსენებულია ოცდაორ ინგლისურ, ოთხ ფრანგულ და სამ რუსულ შრომაში მანჯურიის შესახებ. მე თითქმის არ მაინტერესებს ის. გარემოება, რომ იგი მუკდენის ერთერთი ბანკის აქციების მფლობელია.

— იფიქრეთ თუ არა თქვენს პორუჩიკ ოძუზე, რომელიც თავდებად არის დატოვებული ბანდის შტაბში?

— მისი სიცოცხლე სახელოვნად შეეწირება სამშობლოსა და მიკადოსა). მე მშურს პორუჩიკ ოძუს ბედი. უბრძანეთ მოამზადონ პოლკი. ოპერაცია შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს.

ჩამოსულმა ხუნხუზმა დინჯად მოიკალათა კილობზე, ნელა ამოიღო ხალათის სახელოდან ქალაღი და მშვიდად ელოდა, სანამ იაკუიამა დაამთავრებდა თავის ჩუმ საუბარს პოლკის უფროსთან. შემდეგ მან მეფის გამოცდილი კარისკაცის გაქნილი, ხელოვნური ხმით, როგორითაც მათ მსახიობები გვიხატავენ, წარმოსთქვა:

1) მიკადო — იაპონიის იმპერატორის ტიტული.

— ჩენი მსცოვანი, ყველას მიერ პატივცემული მფარველი და მამა მიუ დან-ძირი მადლობას გიძღვნით სტუმართმფყვარეობისა და საჩუქრისათვის...

— რას ბუტბუტებს? — ჰკითხა იაკუიამამ პოლკის უფროსს, — ვერ იქნა ვერ მივეჩვიე ადგილობრივ კილოს.

— მე მხედველობაში მყავს პორუჩიკი ოძუ, — განაგრძო ხუნხუზმა.

— ეს მიუ დან-ძირი არ არის, — პოლკის უფროსმა ზრდილობიანად გაუღიმა იაპონელ მრჩეველს. — თვითონ იგი არ მოვა ჩვენთან? — სწრაფად შეეკითხა იგი ხუნხუზს.

— მან გინახულათ თქვენ, ბატონო ოფიცერო. მის ასაკს ეპატიება დაღლილობა. მით უფრო, რომ საქმიანი საკითხები მეტად ხანგრძლივ მსჯელობას მოითხოვენ. მე ნებას მივცემ ჩემს სუსტ გონებას მოგახსენოთ ჩემი მფარველის პირობები.

შემფოთებულმა პოლკის უფროსმა მრჩეველს შეხედა. იგი სდუმდა.

— ბატონი პორუჩიკი ოძუ შეფასებულია ჩვენ მიერ თხუთმეტ ტყვიამფრქვევად და ასი ათას ვაზნად. ახალგაზრდობამ მას სარგებლობა მოუტანა. როგორც გენსომებათ, კაპიტან ამორის განთავისუფლებისათვის ჩვენ მივიღეთ ათასი შაშხანა და ორმოცდაათი ათასი დოლარი, მაგრამ კაპიტანი შტაბის ოფიცერი იყო. ბატონ ოძუს ჩვენ უფრო იაფად ვაფასებთ, თუმცა იგი თქვენი გენერლის შვილია. ოძუს გამოსყიდვის შემდეგ წაიყვანთ ჩვენს ხალხს და დავიტოვებთ წითლებს, როგორც იქნება დათქმული. სხვა საკითხები რომლებიც მოითხოვენ განხილვას...

— რა საკითხები? — უნებლიეთ ჰკითხა იაკუიამამ.

— გრძნობის საკითხები, ბატონო ოფიცერო. ის კაცი, რომელმაც თქვენ მარჯვენა ყური გაჩუქათ, პატივცემულ მიუ დან-ძირის შვილია. თქვენი საქციელი მისი მარცხენა ყურის მიმართ მეგობრულ განხილვას მოითხოვს. მე, ხარბინის ბანკის უღირსი მწერალი, ველოდები თქვენს ყოვლად მოწყალე პასუხს, — დაამთავრა მოხუცმა, სათვალეები მოიხსნა და დაკეცა.

მეზობელ ოთახში პოლკის აღიუტანტი და ხაზინადარი პატაკის პროექტს ადგენდნენ.

— „ჩვენ გარს შემოგვერტყნენ, მაგრამ გავარღვიეთ წრე...“ — სწერდა ადიუტანტი.

ხაზინადარი ბინძურ გრძელ ცირკულარს დასჩერებოდა.

— ნათქვამია, რომ „თუ ხუნხუზების მიერ გარსშემორტყმულმა ნაწილმა გავარღვია წრე და მოსპო ბანდა, მას ჯილდოდ მიეცემა ორასიდან ხუთას დოლარამდე“, — კითხულობდა იგი.

— ჩვენ წრე გავარღვიეთ და გაფვანტეთ მტერი, — სთქვა ადიუტანტმა. — აბა ნახე, რამდენია ამისათვის?

— მაგისათვის არაფერია... გავარღვიეს და მოსპეს, ამ შემთხვევაში ორასიდან...

— მაგრამ ჩვენს წინაშე წითლები არიან... წითლები ხუნხუზები როდი არიან...

— არა, აქ მაგის შესახებ არაფერია ნათქვამი... ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი...

— ჰმ... სხვა გზა არ არის, ასე უნდა ჩავწეროთ: „მტრის სრულ მოსპობას აძნელებდა ადგილმდებარეობის უცოდინარობა...“.

— სწორია, თორემ ყურები გვაქვს, ნაალაფევი შაშხანები კი არ არის. ახლა ვიანგარიშოთ: ორას ოთხმოცდა ორი ყური, თითო ათი დოლარი, სულ ორი ათას რუასს ოცი... სამი დაჭრილი ტყვე...

— ვნახოთ, რა არის მათი ფასი, — სთქვა ადიუტანტმა.

— ბანდის მოკლული მეთაურისათვის ორასიდან ათი ათას დოლარამდე, ყოველი მოკლული ხუნხუზისათვის ათი დოლარი, ყოველი ტყვედ წამოყვანილისათვის ცალკე...

— ცალკე, ესე იგი არაფერი, — სთქვა ადიუტანტმა. — უმჯობესია მათ ყურები ჩამოვათალოთ, ოც დოლარს მაინც მივიღებთ... შემდეგ რა არის?

— ხუნხუზებისაგან წართმეული გამართული შაშხანისათვის ოცდაათი დოლარი...

— შემდეგ?

— თითოეული რევოლვერისათვის...

— შემდეგ, შემდეგ!

— თოფის თითოეული ვაზნისათვის სამი ცენტი.

— შეჩერდი. ჩვენ ვაზნების ცოტაოდენი ეკონომია გვაქვს ამ დღეებში... ოცი ათასი... უწყებაში მე ეს ვაზნები დახარჯულად ვუჩვენე... უბრალო შეცდომაა.

— აა! ექვსასი დოლარი ემატება. რაც უნდა იყოს...

— ეგ უმნიშვნელოა. მთავარი ის არის, რომ მოხუცი არამზა-
და ჩვენს ხელშია. ორმოცდაათი ათასი ხელთა გვაქვს.

— მას შემდეგ, რაც სამხედრო ოპერაციებში სამეურნეო ან-
გარიში შეიტანეს, კარგ ბუხვალტერსაც შეუძლია სარდალი გახდეს.
შემოსავალი გამარჯვების საუკეთესო მაჩვენებელია. მე პრემიას და-
ვაწესებდი ტერიტორიის დაკავებისათვის, კვადრატული კილომეტ-
რის მიხედვით.

— არა, ეგ რთულია. მიწისმზომელს ხომ არ ათრევ თან...

ამ დროს საშინელი ხმაურით გაიღო კარი და ჰაერში ლასტი-
ვით გართხმული მოხუცი ხუნხუზი კაპიტნის ოთახიდან გამოუარდა.

— მე ოთხმოცდა ორი წლისა ვარ და ჩინეთში არსებულმა
ყველა სასამართლომ უკვე გამასამართლა, — ამბობდა ის, როცა ფეხ-
ზე დგებოდა. — ჩემთვის სულ ერთია, ჩინეთის ყველა სასამართლომ
მე უკვე გამასამართლა.

რ ე კ ე მ ბ ე რ ი

სამოცი თვითმფრინვაჲ აღმოსავლეთ-
ით ოკუანესკენ მიჰქრთოდა:

წმინდა და მსუბუქი ჰაერია. წითურად, ხოხბის მსგავსად აფე-
რადებული მიწა გაყინული ბალახით, რომელსაც არ დაუკარგავს სისხ-
ლის ფერი, წკრიალებს როგორც თუნუქის გვირგვინი საფლავზე ქა-
რის დროს. დილაობით ტანს იმშრალევენ ხის რუხ ტოტებზე ცეცხ-
ლოვანი თაიგულელებით ჩამომსხდარი ხოხბები. ყინვა და მტვერია.
ერთსა და იმავე დროს შეიძლება ცხვირიც მოიყინო და მზეც მო-
გეკიდოს.

— არის სამი ჯურის მონადირე, — ეუბნება ლუზა ზვერიჩეცს,
რომელსაც ძალზე მოსწყინდა ყინულიან ქარში სიარული. — აი რა

ჯურისა: მოფლატუნე, მოტკაცუნე და მხვნეშავი. მე და შენ მხვნე-
შავები ვართ.

გორაკებზე ორი დღის სეირნობის შემდეგ შინდაბრუნებული
ლუზა ინჟენერს შეხვდა. ლუზას პაემანი ჰქონდა დანიშნული გაღმა
მცხოვრებ ერთ ჩინელ მეგობართან, მაგრამ პაემანმა უნაყოფოდ ჩაი-
რა. ღამე მან გაათენა კატკას ეზოს წინ, როგორც ჩინეთის მხარე-
ზე მღებარე სამიკიტნოს უწოდებდნენ. სამიკიტნო ეკუთვნოდა ხუ-
ცესის ინოკენტის ქალიშვილს, საშინელ დედაკაცს ადგილობრივ
მცხოვრებთა წარმოდგენითაც კი. სამიკიტნოში ქეიფი იყო. გაისმო-
და რუსული სიმღერები, მაგრამ საზღვრისკენ არავინ არ წასულა,
თუმცა მინდორზე კვალი სჩანდა. ლუზამ ნახა ეს კვალი. თივა აწე-
წილი იყო, ქობიც სხვაგვარად გამოიყურებოდა, ვიდრე წინათ. აქ
უქველად უცხო კაცი ყოფილა...

ინჟენერი კი შინ ბრუნდებოდა სამუშაოს დათვალიერების შემ-
დეგ. ეს სამუშაო სადღაც მახლობლად იყო. ინჟენერმა მანქანა გაუშ-
ვა და მთელი დღე ლუზას აეკიდა. ექვსიოდე ხოხობი მოჰკლეს და
მზიან გორაკს უკან წამოწვინენ.

— საინტერესო დროს ვცხოვრობთ, — ამბობდა ინჟენერი. —
ინებე, აიგე შენთვის ძეგლიო, გეუბნებიან, ეუბნებიან რომელიმე ჩვენ-
განს. აჰა ააშენეო. ააშენე ისე, რომ გასძლოს. თუ გასძლებს, შენც
დარჩები. თუ დაინგრევა, აღარც შენ იქნები. თუ გსურს დიდი ადა-
მიანი იყო, ნურაფერს ნუ მოერიდები, იყავ, ჯანიც გაგვარდნიაო.

— ყველაფერს მაგას შენს თავზე ამბობ? — გულცივად გამოეხ-
მაურა ლუზა, რადგან სხვა ფიქრებში იყო გართული.

— ცხადია, ჩემს თავზე.

— გამოდის, რომ ააშენებ.

— აშენება ძნელი არ არის, მაგრამ გასძლებს? უნდა გასძლოს.
კოკონაქებს ისე ვაწყობ, როგორც ცოცხალ ადამიანებს. ხელს ვუთა-
თუნებ, ვეალერსები. მზადა ვარ, ვაკოცო.

— ბევრია მზად?

— საზღვრის სამი ათასი ხუთასი კილომეტრი — პატარა მეურ-
ნეობა როდია, ერთბაშად ვერ გაიბრუნენ. მაგრამ ეს ოხერი წყალი
არ არის.

— რა წყალი? წყლისაგან ვილუპებით, ინებე, რამდენიც გნ-
ბავს..

— შენ ბევრი გაქვს, მაკრამ სკოვოროდინოში არ არის. მატარებლები ძლივს დახობავენ.

— სკოვოროდინო, აი სად ყოფილა...

-- სულ ერთია, საზღვარია, ვასილ. თუ გზა არ გვექნება, დავილუპებით.

— არა, ძმაო, ასე მსჯელობა არ შეიძლება. თუ სკოვოროდინო საზღვარია, გამოდის, რომ მოსკოვიც...

— მოსკოვიც.

— გაჩუმდი ერთი... ვთქვათ, ვაშენებთ ქარხანას პეჩორზე...

— საზღვარია.

— ხუმრობის გუნებაზე ხარ. უმჯობესია ტარასუქთან წავიდეთ, ჩაი დაველიოთ, გავიყინე.

გზა-გზა ზვერიჩევი ომზე ლაპარაკობდა.

— მარტო იპრის ბრძოლაში საარტილერიო სამზადისის დროს გასროლილი ყუმბარების საერთო წონა ას შეიდი ათას ტონას უდრიდა და ღირდა ოცდა ორ მილიონ გირვანქა სტერლინგად. იცოვს რას ნიშნავს? ეს იმდენი ლითონია, რამდენსაც ხმარობს მთელი რუმინეთი ერთი წლის განმავლობაში. ახლა მოისმინე სხვა: გასული საუკუნის ნახევარში მწყობრიდან რომ ერთი ადამიანი გამოგეყვანა იმდენი ლითონი უნდა დაგეხარჯა, რამდენსაც თვითონ ის ადამიანი, იწონიდა, ვთქვათ, ხუთი ფუთი. უკანასკნელ ომში კი ერთი კაცი გამოყვანას დასჭირდა ერთი ტონა ლითონი. ახლა, ხომ გაიგე, რა არის ომი? ხომ გაიგე? ჰო-და მიხვდი ახლა, რატომ მიძვრება იაპონია მანჯურიაში. იაპონიაში ქვანახშირი ცოტაა, არ არის ნავთი, სპილენძი, არ არის სხვა ფერადი ლითონები. ყოველივე ეს შორიდან უნდა ზიდოს. მანჯურიაში კი ყველაფერია, რასაც მოისურვებ. აუჩქარებლად მიდიოდნენ, რადგან ქარი ნაბიჯს აძნელებდა, ხოლო მტვერი თვალებს ავსებდა.

ტარასუქიდან ლუზასთან წავიდნენ და ტარასუქიც თან წაიყვანეს. ახლა ტარასუქს ლაპარაკი შეეძლო მხოლოდ იაპონელებზე. მან ზუსტად იცოდა, რას აკეთებენ ისინი, როგორი სამუშაო დღე აქვთ, რომელი ბატალიონები მიიწვევენ წინ და რომელნი ჩამორჩებიან.

იგი თავს ატრიალებდა, ინჯენერს არ უყურებდა და მნიშვნელოვანად ამბობდა:

— მოხერხებულად მუშაობენ, ამხანაგო უფროსო.

მაგრამ ლუზას ყველაზე უფრო ჯაშუშები აღელვებდნენ, და მან საუბარი სასურველი კალაპოტით წარმართა.

— გიამბობთ ერთ ისტორიას, — სთქვა მან, თან ჩაის შეექცეოდა. — თითქოს ჩვეულებრივი ისტორიაა, მაგრამ ჩაუკვირდით, რა არის მასში ჩაქსოვილი. აი, მისმინეთ... 1921 წელს, როდესაც იაპონელთა ინტერვენცია დამთავრდა, მათი ხალხი შინისკენ გაეშურა. ისეთებიც კი, რომელნიც ოცი წლის განმავლობაში ჩვენთან ცხოვრობდნენ, გემებს მიაწყდნენ. ვინ იცის, რა მოხდებოდა. აი ერთ პატარა ქალაქში, — ქალაქს არ დავასახელებ, — ატყდა ეს პანიკა — შინისკენ გამგზავრება. ყველამ მიყიდ-მოყიდა, რაც გააჩნდა და წავიდა. კეთროვანთა სახლში მივიდა ერთი მოხუცი, ღარიბი იაპონელი ქალი და სთქვა — კარგად დაუგდეთ ყური, თუ რა სთქვა მან: — მივდივარ, ძალზე არეული დროა, მირჩიეთ, როგორ მოვიქცეო. მყავს ჩვიდმეტი წლის შვილი, უნდა გამოგიტყდეთ, რომ კეთროვანია, ჩემთან კი ცხოვრობდაო. ამოიღო მოწმობა, რომელიც ადასტურებდა, რომ ესა და ეს იაპონელი კეთროვანია და იგი მოთავსებულ უნდა იქნას ვადამდე სენილ დაავადებულთა სახლში. როგორც სჩანს, მან ქალაქი თავის დროზე მიიღო, მაგრამ თავისი შვილი არსად არ გაუშვა და სახლში ჰყავდა. აბა ვინ შეამოწმებსო, იფიქრა. ირგვლივ ომია, ვინ მოიცლის ვიღაც კეთროვანი იაპონელისათვისო. რა თქმა უნდა, ყველას დაავიწყდა იგი. მოხუცი ქალი კი წყნარად ცხოვრობდა, და აი ახლა კითხულობდა, როგორ წავიყვანო ავადმყოფი შინ, მაქვს თუ არა ამის უფლება, თუ ასეთი რამ ისჯებაო. და სხვა ამგვარ რამეებს ამბობდა. რა თქმა უნდა, წაყვანა არ შეიძლებოდა, უთხრეს. ბიჭი მოიყვანე აქ, კეთროვანთა სახლში, და კიდევ რომ მოხდეს ომი იაპონიასთან, მას მაინც არ გააგდებენ, უპატრონოდ არ მიატოვებენ, არამედ შეინახავენ როგორც კეთროვანსო. ეგ ბიჭი, ნამდვილად რომ ითქვას, ახლა იაპონელი კი არა, ვადამდე სენით შეპყრობილი ადამიანიაო. რაღაპც აგრეა, აგრე იყოსო. მოხუცი დედაკაცი დათანხმდა, ბიჭი ჩასწერეს მოწმობის მიხედვით და მოთავსეს პალატაში. მოხუცმა ითხოვა: ძალიან მკაცრად ნუ მოეპყრობით, ერთად-ერთი იაპონელი რჩება, მე მოხუცი მივდივარ, ეგ ბიჭი სრულიად უპატრონოდ რჩება, არც კი იცის, თუ რა არის ვადამ-

დები სენი, არაფერს არ ვუწხელდიო. ხომ იცნობ ჩენს ექიმებს? ჯავრი ნუ გაქვს, დედი, ყველაფერს გავაკეთებთ, დამწვიდებული გაემგზავრე შენს კუნძულზეო. ახალგაზრდა კი კამერაში შეიყვანეს. არც კი გაუსინჯავთ, რაკი მოწმობა ჰქონდა. ახალგაზრდა ველური, მიუკარებელი იყო. სულ ტიროდა, დედი, დედიო, გაიძახოდა, იაპონურად მოლაპარაკე კი არავინ იყო. გაიღებოდა თუ არა რომელიმე კარი, იგი მყისვე თავგვივით გაძვრებოდა. ღამე, შუალამე, ცივი ზამთარი მისთვის ერთი იყო, ოღონდ გაქცეულიყო. და ისე გაიწაფა, რომ ხშირად სამი დღე გარეთ იყო. შემდეგ კი კვლავ ბრუნდებოდა ქსუტუნით, სკამდა და სვამდა. ერთი სიტყვით, რალა ბევრი გავაგრძელო, წელს დანაშაულზე წაუსწრეს—ჯაშუში გამოდგა. მოახდინეს ანალიზი და, წარმოიდგინე, კეთრის ნასახიც კი არ აღმოაჩნდა ჩვეულებრივი ჯანსაღი ჯაშუში იყო.

— სასიამოვნო სუეტია, — შენიშნა ზვერიჩევმა, — მოკორილი ხომ არ არის?

— რატომ უნდა იყოს მოკორილი! — სთქვა ლუზამ. — ეჰ, თქვენ არ იცნობთ ჩენს წინანდელ, რევოლუციამდელ ცხოვრებას. ჯაშუში, ჯაშუშზე იჯდა. ინტერვენციის დროს ყველაფერი ცბადი გახდა, ყველა თავის ჯარს წარუდგა.

მიუხედავად დაპირებისა, რომ კიდეც ერთ დღე-ღამეს დარჩებოდა და გარეულ ღორებზე ინადირებდა, ინეენერი იმავე დღეს წასასვლელად მოემზადა, მაგრამ დაღლილობამ თავისი გაიტანა და მან დივანზე დაიძინა, ისე, რომ არც კი დალოდებია ვახშამს.

ძილში კბილებს აკრაქუნებდა, მაგრამ გაღვიძება არაფრისთვის არ უნდოდა.

შუალამისას კი, როდესაც სიზმრებითა და დაღლილობით განაწამები დიდი ბავშვივით დივანზე გაშხლართული იწვა, იგი ყველაზე ადრე გააღვიძა მდინარის მეორე მხარეს გასროლილმა ტყვიამ. ინეენერი წამოჯდა, თან კანკალებდა.

— ჰო, ჰო, — წაილულლულა. — რა ამბავია?

ფანჯარასთან მოისმა ხალხის ხმაური, შემდეგ კი ლუზას გაშმაგებული ყვირილი:

— შესდექ! დაწეკ!

აყვირდა სახანძრო კოშკზე დარაჯი:

— შესდექ! დაწექ!

აღმუილდნენ ძაღლები.

— ამხანაგო უფროსო, ომი ხომ არ არის?—ჩურჩულით შეეკითხა ნადეჟა, ლუზას ცოლი.

— სისულელეა, შეუძლებელია!—სთქვა ზვერიჩევმა თავის თხანით.

ფანჯარასთან ხალხი ხმაურობდა.

— ვინა ხარ?—ღრიალებდა ლუზა, რომელსაც კისერში ჩაეელო ხელი ვილაც ჩინელისათვის.

— მე პარტიზანი ვარ. ტყვიები მომეცი.

— დაუძახეთ ტარასუკს!—დაიყვირა ლუზამ და ჩინელი ოთახში შეიყვანა.

იგი დაღლილი ჩამოჯდა ტახტზე და გააბა ლაპარაკი იმაზე, თუ რა მძიმე დღე დაადგათ მათ.

სანამ ლაპარაკობდნენ, ეზოში კვლავ გაისმა ძაღლის ყეფა, დარაჯმა დაიყვირა:

— შესდექ! დაწექ!

— თქვენნიანი ვარ, ჩინელი, პარტიზანი. თქვე ოხრებო, რატომ აკაეებთ ჩვენ კაცს?—დაიყვირა ახალმა პარტიზანმა, გვერდზე გასწვია შაშხანიანი დარაჯი და ძალით შეაღო ქობის კარი. — რომელია ლუზა?—დაიყვირა მან კარებიდან. — ვან სიუნ-ტინი ყვიროდა—ვაზნები არ არის, წადი ლუზასთან, ჩვენი კაცია, ოთხ ყუთ ვაზნას მოგცემო.

ისიც ტახტზე ჩამოჯდა, ოფლი მოიწმინდა და ზვერიჩევს მიმართა:

— შენა ხარ უფროსი? გაეცი ბრძანება. ჰაი, ჰაი,—წამოიძახა მან და თავი ჩაიქნია: — ასეთი რამ როგორ შეიძლება, პარტიზანი ფანჯარაში გამოამწყვდიო, ვაზნები არ მისცე. ტარასუკმა შეიღი პარტიზანი დააკავა, ერთიც ლუზამ, ჰაი, ჰაი, ჰაი! მუშებსა და გლეხებს უნდა დაეხმაროთ,—მწუხარედ წარმოსთქვა მან და ფანჯარასთან მივიდა, ყური დაუგდო.

ბრძოლა ახლოვდებოდა.

ჩინელმა თავი ჩაიქნია.

— გაეცი ბრძანება,—გაუმეორა მან ზვერიჩევს და კვლავ ტახტზე ჩამოჯდა.

— მოდი ახლა და ნეიტრალიტეტზე ილაპარაკე! — ამოიხვნეშა ლუზამ და გადახედა ინჟენერს. ზვერიჩევი ჩუმად დადიოდა ოთახში.

ეზოში კვლავ ატყდა აურ-ზაური და ვილაც ჩინელმა წვრილდ ხმით წამოიყვინრა გრძელი რუსული გინება.

პარტიზანები კარებისკენ გაეშურნენ, მაგრამ ლუზამ გაუსწრო. ვილაც ცხენით დაქროდა ეზოში.

— ნელა, ტარასუკ! — მოესმა ლუზას თვითონ ვან სიუნ-ტინის ხმა.

— ჰა, ბოსტნის საფრთხობელავ, შენც აქა ხარ? რას დაეთრევი ღამ-ღამობით?

— კარგი, კარგი, — წყენით უპასუხა ვან სიუნ-ტინმა, — მე შენთან ტორგისინში კი არ მოვსულვარ, მე საქმეზე მოვედი.

მან ლუზას ხელი ჰკრა, შემოსულ ტარასუკს მიუბრუნდა და დაუყვირა, თან ფეხებს აბაკუნებდა.

იაპონელები მესამე დღეა ავიწროებდნენ მეთაურის იუს რაზმს, ყურებს ათლიდნენ დაჭრილებსა და მკვდრებს, აუპატიურებდნენ ქალებს და სწვავდნენ ფანჯებს. პარტიზანები გააფთრებით იბრძოდნენ, მაგრამ ვაზნები არა ჰყოფნიდათ.

— დიდ დავიდარაბაში გვხვევ, — უთხრა მას ტარასუკმა.

— ვაზნები მოგვეცი! — ყვიროდა ვან სიუნ-ტინი. — ისეთ რამეებს სწერდით — შეერთდით, შეერთდით, ღარიბებოო, ჩვენ კი ვაზნები გვჭირდება, მოგვეცით ვაზნები, — და მოურიდებლად იგინებოდა უკრაინული აქცენტით.

— წაიყვანე შენი კორეელები და გასწი, ვითომ შენი ხსენებაც არ ყოფილიყო! — უთხრა ტარასუკმა. — გასწი უკან!

— ხომ არ გაგიჟდი, სტიოპკა! — დაიყვირა ლუზამ. — ეგენი ხომ ადამიანები არიან, შე ძაღლიშვილო, ეგენი ხომ ცოცხალი ადამიანები არიან, ჩვენი ბიჭები!

— უმჯობესია ტყვედ მიიღოთ, — წამოიძახა შირმიდან ნადეჟდამ. — ძვირფასო ვან სიუნ-ტინ, გადმოიყვანე ყველა ჩვენს მხარეს, ჩვენთან იცხოვრებთ...

— ისეთ რამეებს სწერდით — შეერთდით, ღარიბებოო... — ყვიროდა ახლა სრულიად მოურიდებლად ვან სიუნ-ტინი და გულმკერდს იკაწრავდა.

— ეჰ, სულიც ამოგძრომია!—სთქვა ლუზამ, ხელი ჩაიქნია და დერეფანში გავიდა.

ზვერიჩევი ლუმელს მიყრდნობოდა და ჩუმად უყურებდა ირგვლივ დატრიალებულ ამბავს.

— ამ წუთში უკანვე გაბრუნდი, თორემ დაგიკერ!—უთხრა ვან სიუნ-ტინს ტარასუქმა, რომელსაც თან მოეყვანა მესაზღვრეთა ჯგუფი. — ისედაც უკანონოდ ვიქცევი,—სთქვა მან და ზვერიჩევს შეხედა.

ვან სიუნ-ტინმა რაღაც უთხრა თავის პარტიზანებს. ისინი ქობიდან გავიდნენ.

— მწყრალი ხალხი ხართ,—განმარტა ვან სიუნ-ტინმა და რიგრიგობით ვაუწოდა ყველას თავისი პატარა, ქუჩკიანი ხელი. — იცოცხლე დიდხანს, ვასიკა. იცოცხლე დიდხანს, ნადია! იცოცხლე დიდხანს, უფროსო. დღეს ჩვენი აღსასრულია.

ლუზამ ხელი ჩააგლო თავის პერანგს და მუცლამდე შემოიგლიჯა.

— წყეულიმც იყოს!—წაილულულა მან. — წაველ, მეტის ატანა აღარ შემიძლია!

— კარგი ერთი, შენ და აკლდი, — ჩუმად შენიშნა ზვერიჩევმა.

— ნერვები აღარ მყოფნის ასეთი ცხოვრებისათვის.

— კარგი, — გაიმეორა ზვერიჩევმა. — რკინა არავინ არ არის...

— წაველ პარტიზანად, წაველ, ასე აღარ შემიძლია!

ნადეჟდამ ფანჯარას გახედა და ჩურჩულით სთქვა:

— გეყოფათ ყვირილი. ყური დაუგდეთ.

— რა ამბავია?

მდინარის იქით, გორაკებზე, პარტიზანებმა დაბალი ხმით და გაბოროტებით სიმღერა გააბეს. ბევრნი მღეროდნენ.

— დაიწყეს, — ჩურჩულით სთქვა ნადეჟდამ, —ლმერთმა შეაძლებინოთ გარღვევა.

ლუზა სადარაჯო კოშკს მივარდა.

— ასწიე წითელი დროშა!—იყვირა მან; იგი ყურადღებას არ აქცევდა ტყვიებს, რომლებიც უკვე ზუზუნებდნენ სახურავების თავზე. მერე ნაპირისაკენ დააპირა წასვლა, მაგრამ ზვერიჩევმა შეაჯავა.

ერთად გაიარეს მცირე მანძილი და შეჩერდნენ ბუჩქნართან, საზღვარზე. ღამე სწრაფად ილეოდა, თენდებოდა. ბრძოლა ახლოვდებოდა.

ქალები ჩუმი ოხვრით ერეკებოდნენ პირუტყვის გორაკებს იქით, ტირიფისაგან მოწნული ფარეხებიდან და თან მიჰყავდათ აწივლებული ბავშვები.

მდინარეს იქით ჩინელთა ქალაქის ქუჩები დაცარიელებული იყო. იშვიათად თუ გაირბენდა ქალი ლურჯ შარვალში, ბავშვით ზურგზე, და ფოთხით გაივლიდა დაქრილი, რომელიც მღუშარე ფანხების კარებს აკაკუნებდა.

— კარგი დღე დამადგება ახლა!— წამოიძახა ტარასუკმა და ადგილიდან მოწყვიტა ცხენი.— მოემზადენით სტუმრების მისაღებად!— დაიძახა მან და გააქანა ცხენი სადარაჯოსკენ.

სტუმრები სადილობისას გაჩნდნენ. იაპონელთა ტყვიამფრქვევები სწრაფად მოერეკებოდნენ მათ. მდინარე პირველად გადმოლახეს ქალებმა ფუთებში გახვეული საბნებით და ზურგზე აკიდებულნი ბავშვებით. ზოგ მათგანს თან მოჰქონდა ხუთი და მეტი თოფი. მაგრამ მამაკაცებმა დაბინდებამდე ფეხი არ მოიცვალეს ადგილიდან. ლუზამ უბრძანა, გაეთბოთ აბანო და დაეცხოთ ხახვიანი პურები. როდესაც დაბინდდა, პარტიზანებმა ჩვენს მხარეს გადმოგზავნეს პირველი დაქრილები.

ნესაზღვრეები ზეიმით იბარებდნენ გროს, მურატისა და მარტინის სისტემის დაქანგებულ, ლულიდან გასატენ თოფებს და ერთ ადგილას აგროვებდნენ მათ დანებთან, ცელებთან, შუბებთან და საკონსერვო ქილებში ჩაწყობილ ხელყუმბარებთან ერთად.

ვიღრე პირველი პარტიის ჩაბარება მიმდინარეობდა, სამოცდაათიოდე კაცი სანგრებს თხრიდა გაღმა, ნაპირზე, და თან ყვიროდა, რომ ჩვენებს დაეჩქარებინათ ჩაბარება.

პატარა ჩინელი, თავიდან ფეხებამდე შებანდული, ყურადღებით აკვირდებოდა თავისიანების მოძრაობას საკოლმეურნეო მოედანზე.

ლუზა დაქრილებს შორის დადიოდა და ვან სიუნ-ტინს ეძებდა: უკვე ბნელოდა და მიწამდე უნდა დახრილიყო, რომ სახეები გაერჩია

— ჰეი, ვასიკა!— მოესმა ლუზას.

ვან სიუნ-ტინი საბნით გამოიტანეს სახანძრო ფარდულიდან, სადაც სანთლის შუქზე ექიმის თანაშემწე კრილობებს უხვევდა და სასწრაფო ოპერაციებს უკეთებდა ჩინელებს. თავკომბალა ბიქს მოჰქონდა ხის ლანგარი, რომელზედაც თითებ-მოკრუნჩხული, მიბაკის ფერი ნაცნობი ხელი ეგდო.

— ჰეი, ვასიკა!—უთხრა მებოსტნემ ტკივილისაგან სახელამან-ქულმა, თან ცდილობდა ეჩვენებინა, რომ მას არაფერიც არა სტკი-ვა. — გათავდა მებოსტნეობა, ახლა კომბოსტოს ველარ მოვიყვან,— და არც კი შეუხედნია, ისე ანიშნა მოკრილ ხელზე.

ლუზა საკაცეს მივიარდა.

— აჰ, ვანსიუნტინკა, რა მოსარული ვარ, რომ ცოცხალი ხარ,—და მოურიდებლად ეხუტებოდა მებოსტნის უთანაბროდ გა-პარსულ თავს. — გექნება ბოსტანი, შე ოხერ-ტიალო, ჩემსას მოგ-ცემ,—ამბობდა იგი ტირილით:

შემდეგ წავიდა, ხუთთა საფლავში ჩამარხა ხელი და ობელისკ-ზე ფანქრით წააწერა:

„აქ განისვენებს ავრეთვე მებოსტნის ვან სიუნ-ტინის მეგრძო-ლი ხელი“

დიდხანს იღვა შემდეგ საფლავთან და მანჯურიისაკენ იყურე-ბოდა. მდინარის იქით ოცი-ოცდაათი კაცი კიდე იყო დარჩენილი, ხოლო კოლმეურნეობის ეზოდან რაიონისკენ დაიძრა პირველი სა-ზიდები ბავშვებით, ქალებით და მძიმედ დაქრილებით.

სახანძრო ფარდულში, სადაც რამდენიმე წუთის წინათ დაქ-რილებს კრილობებს უხვევდნენ, სუფრა გაშალეს ოცდაათი კაცისათვის.

უკვე ბნელოდა, მდინარეს ხშირი ნისლი ედებოდა, ყოველ წუთს შეიძლებოდა მოსულიყვნენ უკანასკნელი სტუმრები იუ-შანთან ერთად. ხახვიანი ღვეზელის სუნი დაჰქროდა კოლმეურნეობის თავზე.

— მოდიან?

— არა ისმის რა. მოიცა... არა, არაფერი არ ისმის.

რაიონის ხელისუფალნი თამბაქოს ეწეოდნენ და ჩურჩულებ-დნენ. ლუზა პირქვე გაწოლილიყო ბუჩქებში, მდინარის ნაპირთან, მე-საზღვრე პატრულთან ერთად. გაღმა ქალაქში ხმაურობდნენ ავტო-

ზომილები, „ბანხაის“¹⁾ გაპყვიროდნენ იაპონელთა ასეულები, ხოლო ლელიანში დიდხანს გაისმოდა უცნაური შრიალი.

— მოდიან?

ლუზა ფარდულში შეეარდა, „მოდიანო“ დაიყვირა, საყელო გაიხსნა და სიტყვისათვის მოემზადა. მაგრამ ირგვლივ სიწყნარე იყო.

— რაღაც მოხდა, — სთქვა ცენტრიდან ჩამოსულმა. — წავიდეთ, ნულარ დაველოდებით.

უცებ მოისმა რამდენიმე კაცის ფეხის ხმა, ვილაცის ხელმა მაგრა შემოალო კარები, და ფარდულის მიჯნაზე იუ გამოჩნდა.

მის ზურგს უკან იდგნენ კრივენკო და ტულიაკოვი, ფონთან მდგომი დარაჯები.

— მეტი აღარავინ დარჩენილა, — ჩურჩულით წარმოუსთქვა ტულიაკოვმა. — ჯერ ხუთი მოდიოდა, სამი წაიქცა. იუმ მეოთხე ზურგზე მოიკიდა, შემდეგ, როგორც, ეტყობა, ბალახებში ჩასდო და მარტო წამოცოცდა.

იუმ გადახედა ოცდაათი კაცისათვის გაშლილ მაგიდას და გასისხლიანებული ხელი შეახო საინებს, ნამცხვრებით სავსე ლანგრებს ლუდის ბოთლებს და მოხარული ღორის ხორცის ნაჭრებს.

— შეეგებეთ სტუმრებს! — სთქვა მან და ხელი დაჰკრა მაგიდას. — მარტო ვარ...

ყველა სდუმდა. ლუზა ბანჯგელიან გულმკერდს ისრესდა.

— გაავსეთ ყველა ჭიქა! — სთქვა იუმ. — შეეგებეთ სტუმრებს. დაალაგეთ ნამცხვრები და ღორის ხორცის ნაჭრები ყოველ საინზე. დეე სტუმრებმა ჭამონ და სეან. ჰეი! — დაიყვირა მან წვრილი სასოწარკვეთილი ხმით. — დაუსხით ყველას!

კრივენკომ გახსნა ლუდის ბოთლები და გაავსო ჭიქები. ტულიაკოვმა აკანკალებული ხელით ჩამოარიგა საინებზე ხორცი და ნამცხვარი.

— ლუზა, რატომ არ მიესალმები შენს სტუმრებს? — დაიყვირა იუმ ჩინურად და ჭიქა აიღო. — მე, იუ-შანს, მშიერ ძმათა მეთაურს, შესაწირავად მომაქვს ლუდი და პური და პატივს ვცემ ყველა თქვენგანის, ბრძოლაში დაღუპულის ხსოვნას, — დაიწყო მან წვრილი ხმით, მაღლა აჰსწია თავი და მიაჩერდა ფარდულის გამურულ ნივნივებს.

1) ბანხაი — იაპონური შეძახება — „ვაშა“.

—მე ამას ვჩავედივარ თქვენი სიკვდილის ღამეს. სამასი დღე და ღამე იბრძოდით თქვენ, იტანჯებოდით ცეცხლისა, მახვილისა და ავადმყოფობისაგან. მე, იუშანი, თქვენმა მეთაურმა, თქვენთან ერთად ფიცი დავედი: ან გამარჯვება, ან სიკვდილი. მე მხვდა პატივი მრგებოდა სიცოცხლე და მეხილა გამარჯვება, მაგრამ არ შემიძლია მთელი დამსახურება ჩემს თავს მივაწერო. მე მსურს, ეს სახელი გავიზიარო თქვენთან ერთად, მკვდართა სულეზო, რომელნიც დამეხმარებნით ამ საგმირო საქმის შესრულებაში. ჩვენ სადღესასწაულოდ აგვირჩიეს ადგილი, გარშემორტყმული ბორცვებით, რომლებიც მოწამენი იყვნენ ჩვენი დიდებისა და დაღუპვისა. გაგვიშალეს დიდებული სუფრა. მე მოუწოდებ თქვენს სულებს, მიიღოთ გამასპინძლება და დასტკბეთ დიდების თქვენ-თქვენი წილით საერთო გამარჯვებაში.

სანამ იუ-შანი ლაპარაკობდა, სრული სიჩუმე იყო. არ ისმოდა არც ჩურჩული, არც მოძრაობა. გონების წინაშე ისახებოდნენ პარტიზანთა სულები, რომელნიც ღამის წყვედიდან და ნისლში მოისწრაფოდნენ მიყრუებული კოლმეურნეობის სახანძრო ფარდულისაკენ, რათა შეერთებოდნენ წინანდელ ბრძოლებში დაღუპულებს, რათა გადაეცათ თავიანთი საგმირო საქმეები და მიეღოთ დიდების თავიანთი წილი.

— მე, იუ-შანი, თქვენი მეთაური, მარტო დავრჩი. მაგრამ მე მოუწოდებ და გამოვიწვევ მებრძოლთა ახალ ასეულებს, ვიბრძოლებ იმ დრომდე, სანამ არ დავიღუპები, და სიტყვას გაძლევთ, გმირთა სულეზო, რომ ის ბალახი აღარ აბიბინდება, სადაც მე ფეხს დავდგამ. მე ხანძარს მოვლებ ქვეყანას და იაპონელებს ძალა აღარ ეყოფათ მოკლულთათვის საფლავების სათხრელად, და ნადირნი უშიშრად და დაუბრკოლებლად დაუწყებენ მათ თქველეთას. ჩვენ გავიმარჯვებთ. ჰეი, დალიეთ ლუდი! ჰეი, მიირთვიეთ! დეე იყოს დღესასწაული. ჰეი!

ყველანი მაგიდას მიუახლოვდნენ და გარს შემოეცნენ იუ-შანს. ლუზამ ხელი ასწია.

— შესდექით. მე ვიტყვი სიტყვას.

— საჭირო არ არის. მოამზადე მანქანა. წავიდეთ.

— სად არის იგი? იუ-შან!

მაგრამ იუ-შანი უგზო-უკვლოდ გაქრა. ნადეკდამ, ლუზას ცოლ-
მა, დაინახა, როგორ გავარდა იგი ფარდულიდან და გაქრა ნისლში,
მდინარესთან.

2

იმ წელიწადს ხალხი სხვადასხვა მხრიდან მოდიოდა. ზოგი
მოდიოდა მატარებლით დასავლეთიდან და ვერც კი ასწრებდა გარ-
შემო მიმოხედვას, რომ ცხენზე ჯდებოდა და ტაიგაში მიდიოდა თავიდან
ფეხებამდე მკვლევართა და მშენებელთა ხელსაწყოთი შეიარაღებუ-
ლი. ზოგი მოდიოდა ბალტიისა და შავიზღვის გემებით, ზღვის ავად-
მყოფობისა და ტროპიკული ციებ-ცხელებისაგან გაყვითლებული. ზო-
გიც მოეშურებოდა თვითმფრინავით. ტაიგა ნთქავდა მათ უკლებ-
ლივ, და ქალაქები მაინც კვლავინდებურად ცარიელი იყო. პოლუ-
ხრუსტოვი უკვე მოგზაურობდა ამურის ქვემო მიდამოებში, ქარხანას
აშენებდა. კამჩატკაზე ფეოდოროვიჩი მოითხოვდა მეინსტრუმენტებს-
და ელექტრიკოსებს, ელექტრიკოსებს და ელექტრიკოსებს. ამურში
ჩაუშვეს გლისერები¹⁾, ჩუკოტკის ჩრდილოეთით გამოსცადეს აერო-
მარხილები. კერძო მთვრალი ჩუქჩი ბაზარში ფიცულობდა, რომ ნახა
მათელი ქალაქი აერომარხილებისა, რომლებმაც ელვის სისწრაფით და
შხუილით გაიქროლეს მის თვალწინ მოჩვენების მსგავსად. აშენებდნენ
სათხილამურო ფაბრიკებს, მაგრამ თხილამურები მალაზიებში არ იყო,
თხილამურებს სადღაც ჰგზავნიდნენ. რკინისგზის სადგურებზე ეკიდა
პლაკატები: საჭიროა დურგლები, დურგლები და დურგლები, მეარ-
მატურები, ხარატებიო.

ხმა გავარდა, სიხოტე-ალინის ფერდობებზე საძირკველი ჩაუყა-
რეს ოთხ ქალაქსო. ხეობებიდან, თაობითვე გაუვალ გორაკებს შო-
რის, მოულოდნელად თავს ჰყოფდნენ გზები, და მენიველირე ქალი-
შვილი ეპიკური სიმშვიდით სდგამდა ნიველირს ტუნგუსთა ბანაკის
წინ, რომელთაც ოცი წელიწადი იქნება ქალაქელი არ ენახათ. გო-
რაკებისაკენ მიისწრაფოდნენ გრეიდერები, ექსკავატორები, სატკე-
ცები. მთელმთარე ფრინველებით დაფარულ ტბებზე უეცრად გადაიქრო-
ლებდა თვითმფრინავი და კვლავ მიეშურებოდა ტყის ლურჯ სივრცისა-
კენ, უსახელო გორაკებს შორის მიმალულ თავის საცხოვრებლისაკენ.

¹⁾ გლისერი—ბრტყელ-ფსკერიანი ნავი, რომელიც მოწყობილია სწრაფი
ტურვისათვის. მოძრაობს ავიომოტორის დახმარებით.

ნანაელებს შორის გაჩნდა როსტოვის ფაბრიკების სანთიები და პაპიროსები. შორეული აღმოსავლეთისათვის მუშების შემგროვებელნი ახლა გაშმაგებით მუშაობდნენ. მათ ჯიბეებში ჰქონდათ დეპეშები, რომ შეეგროვებინათ ათასი, ათი ათასი, ასი ათასი მუშა. მათ შეეძლოთ დაეკვეთათ მთელი რაიონები, გაეზიდათ მთელი ქალაქები და რესპუბლიკები. თავდაპირველად მათ მკაცრ პირობებს უყენებდნენ — შეეგროვებინათ პირველი კლასის ხუროები, პირველი კლასის მიწისმთხრელები, შემდეგ კი — იმდენი ხურო, რამდენსაც კი მონახავდნენ, კალატოზები, მებეტონეები, ზეინკლები, მქედლები, ადამიანები, ადამიანები, ადამიანები.

ჯერ უპირატესად მოითხოვდნენ უცოლოებს, მაგრამ მალე ასტეხეს ყვირილი, რომ სასურველია მხოლოდ ცოლშვილიანებით.

ქალები! ქალები! — ახმაურდნენ დეპეშები.

მუშა-ხელის შემგროვებელნი დაქროდნენ კოსტრომიდან ვიატკაში, ვიატკიდან ვორონეჟში, ვორონეჟიდან მინსკში. ხალხი! ხალხი! მაგრამ ჩვენი ქვეყნის მიერ დაწყებულ სამუშაოებს არა ჰყოფნიდა მთელი მისი ას სამოცდა თხუთმეტი მილიონი მცხოვრები.

თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარეობდა პარტიისა და კომკავშირის წევრთა მობილიზაცია შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნად.

მათ კვალ-კვალ მისდევდნენ ნათესავები, მოგზაურობის მოყვარულნი, საშოვრის მოყვარულნი, მეცნიერნი, პრაქტიკანტები, მიდიოდნენ სამხედრო ეშელონები.

იანკოვი მოხსნეს 214-ე მშენებლობიდან და გადაიყვანეს ზარეცკის დასახმარებლად. იგი გაფრინდა სამხარეო ცენტრში, რათა ეთხოვა ძველ სამუშაოზე დატოვება.

— შემომხედე ერთი, მთლად ჩამოვხში მღელვარებისაგან, — ეუბნებოდა იგი მიხაილ სემიონოვიჩს. — შედი ჩემს მდგომარეობაში, მე ხომ მოხუცი ვარ, ვერ ავიტან.

— ომში გაგზავნას კი მოითხოვ! თუ მუშაობა არ შეგიძლია, გავრილა! პენსიაზე გადადი. გამოზარდე თანაშემწეები და მაშინ დაისვენე.

— როგორ, განა არ გამოვზარდე? მარჩენკო — ეს ერთი...

— კიდევ ვინ? — ეუბნებოდა მიხაილ სემიონოვიჩი და თან წიგნაკში იწერდა.

— დისწული ოლგა—ეს ორი, ლუბენცოვი, ინჟენერი—სამი. გაიძვერა იყო, უქნარა, ახლა კი ნამდვილი კაცია...

იანკოვი მაინც წავიდა ზარეცკის ადგილზე. დემიდოვი, ვარვარას ქმარი, ტაიგაში გაგზავნეს, ნანაელებთან. ლუბენცოვი გამოიხმეს, სამი დღე ქალაქში გააჩერეს, მერე 214-ე მშენებლობისაკენ გასაყვანი ყამრგზის გამომკვლევად დანიშნეს, მაგრამ მან უარი განაცხადა.

— რატომ?—შეეკითხა მიხაილ სემიონოვიჩი.

ლუბენცოვი გაწითლდა.

— ცოდვები მაქვს.

მარჩენკო იანკოვის ადგილას დანიშნეს.

— არ შემიძლია, მიხაილ სემიონოვიჩი, ასე სწრაფად დაწინაურება, ძალა არ შემწევს,—სთქვა მან შეხვედრისას.

— თუ არ დაწინაურდები—მიწაში ჩაფულავ.

მარჩენკოსთან ერთად მიხაილ სემიონოვიჩი ვინოკუროვის დივიზიას ეწვია, სწორედ იმ დროს ჯარისკაცების სათადარიგოდ გადარიცხვა ხდებოდა. მან დაიწყო გვარების ძებნა ძველ უბის წიგნაკში, მოსძებნა ცოია და უშაკოვი, მაგრამ ისინი ზევადიან სამსახურში დარჩენილიყვნენ. მაინც აიჩრია ორმოცი კაცი, დასდო მათთან ხელშეკრულება სამი წლით და გააყოლა მარჩენკოს.

გაზეთში წაიკითხა, რომ ვილაც ადელაიდა რორბახი ინგლისური და გერმანული ენების გაკვეთილებს აძლევსო, გამოიხმო იგი და მარჩენკოსთან გაგზავნა.

უთხრა:

— დიდი საქმე წამოიწყეს იქ: ენების გაცვლა. მოაგვარეთ ეს საქმე. თქვენ იცით, როგორც ეცდებით.

— მშენებლობაზე?

— სწორედ მშენებლობაზე. განსვენებული თქვენი მეუღლე თარჯიმნად იყო ჩემთან შტაბში—შესანიშნავად იბრძოდა.

ამ დროს გაახსენდა ფრატკინი. გამოიხმო.

— წადი 214-ე მშენებლობაზე, მოაწყე იქ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ზებუნებრივ მანდატს მოგცემ. აიყვანე ყველა, დაიწყე მშენებლობის უფროსიდან და ასწავლე მეცნიერებანი. იცოდე, ერთი წლის შემდეგ მარჩენკო ინგლისურად უნდა ლაპა-

რაკობდეს, გესმის? ნუ ხტი. აი გავრილა იანკოვს რუსულად ალარკ კი სურს ლაპარაკი... Bitte schön¹⁾). გერმანელი გახდა... (ეეკვ^ა ასწავლე. როგორ თუ საჭირო არ არის? გეუბნები, ასწავლე-მეთქი. ტაიგას უყვარს მხიარული ხალხი. არაყს სვამ? ასწავლე სადღეგრძელოების წარმოთქმა. ნახე, როგორ სვამენ ქართველები—სილამაზეა. დალევენ, იმღერებენ, სადღეგრძელოს წარმოსთქვამენ—მხიარულებაა. ჩვენებს ეს არ ეხერხებათ. სულ გრთია, არყის სმას ვერ გადააჩვევ, მხიარულად სმა მაინც ასწავლე. მხიარულად, კულტურულად. ასწავლე ენამახვილობა... როგორ თუ არ იცი? შენ მხოლოდ თეზისებს სწერ, ფრატკინ. უკან არ მოიხედო, ისე გაფრინდი ხვალ ახალ ადგილზე. გამოიხმო ლუზა.

— სულ ომს ელოდები?

— ველოდები, მიხაილ სემიონოვიჩ.

— როგორ არის საქმე საზღვარზე?

— საქმე კარგად მიდის. დაიწყო კოლმეურნეობების მოწყობა, მიხაილ სემიონოვიჩ. ჩემმა მეზობელმა, ახალმა კოლმეურნეობამ, პირველი ადგილი დაიჭირა. თავმჯდომარედ ბოგდანოვია...

— საქმე მოგინახე: დარაზმე მესაზღვრე მონადირეები. კოლმეურნეობას თავი დაანებე. მოაწყე ძაღლების ფერმა. ძაღლი ძაღზე გეკვირდება. თურმე ძაღლები გვაკლია. აი მხარე—აშკარად სჩანს, რომ აქ წესიერად არ უცხოვრიათ. მოდარაჯე, მამებარი, შესაბამელი ძაღლები—გაიგე? თუნდაც ასი ათასი იყოს. საზღვრის სადარაჯოდ. აბა. შენ იცი. თვითონ მოვალ და ვნახავ.

ახალწლის წინა დღეს ავიობრივად მოვიდა და ტაიგაში დაბანაკდა. ტყე მაღალი და ხშირი იყო, ქარი ვერაფერს აკლებდა, ვერც კი არხევდა. მფრინავეებმა და მექანიკოსებმა ცულებს სტაცეს ხელი—შეუღდნენ ქოხების აგებას. ამ ქალაქისაკენ გზა ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი. თვითმფრინავ-ციტერნებს მოჰქონდათ საწვავი, საფოსტო თვითმფრინავებს—წერილები და წიგნები, საკმელად ხმარობდნენ ახალ ხორცს, რომელსაც ყოველ დღე პარაშუტებით უშვებდნენ ძირს.

1) გთხოვთ, ინებეთ.

მგლები ხშირად დასდევდნენ ხორციან პარაშუტს, რომელიც ქარს განზე მიჰქონდა. მორიგი მფრინავი ისე დაბლა ეშვებოდა, რომ მიწას ფრთით ეხებოდა. ჩაეშვებოდა ტყის ვიწრო ველებში და დასდევდა მგლებს იმ დრომდე, სანამ არაქათს არ გამოაცლიდა.

გაზაფხულისათვის ბრიგადა ცოლებს მოელოდა. ცოლები ეშელონის სახით მოემგზავრებოდნენ და ახლა უკვე ურალს გადადიოდნენ.

აგებდნენ კლუბის, საბავშვო ბაგების და კულტურულ ყოფაცხოვრებაში შემოღებული მრავალი სხვა დაწესებულების შენობებს.

ცოლები სამ ეშელონად მოემგზავრებოდნენ—ავიატორების ცოლები, მოტომექანიკოსების ცოლები, ტყისმჩეხავების ცოლები. ავიატორთა ცოლები მიდიოდნენ ტაიგაში, მოტომექანიკოსთა ცოლები—ხანკის ტბისაკენ, მესამენი—შორეულ ჩრდილოეთში, შანტარის ზღვისაკენ.

ღამ-ღამობით მე-9 ნომრად წოდებული ქალაქის მფრინავები რადიოს უსმენდნენ. ისინი იჭერდნენ ხარბინს, შანხაიას, მანილას.

მათ აპარატებში ხშირად იჭრებოდა ტაიგა.

— თანდათან მეზობლები გვიჩნდებიან,— ამბობდა მაშინ თვალის ჩაკვრით რადისტი ჟორკა.

ჟორკა მთელ ქვეყანასთან იყო დამეგობრებული, იცნობდა ყველას ორი ათასი კილომეტრის მანძილზე, იცოდა, ვინ მიფრინავდა მის თავზე, და ყოველ მესამე დღეს ლებულობდა საღამს მფრინავ ფრენკელისაგან, რომელთან შეხვედრაზედაც ოცნებობდა.

პირველმა სწორედ ჟორკამ გაიგო, სად იმყოფებოდა ენის ტარასენკოვა.

— შენ მოიპარე ტარასენკოვა?—ჰკითხა მან ფრენკელს.

— მე.

— სად წაიყვანე?

— ხაბაროვსკში, სწავლობს.

— სტყუი!

— გეფიცები. პარაშუტისტი იქნება.

— უთხარი, ჩემთან ჩამოხტეს სალაპარაკოდ.

— უიმისოდაც გასძღებ.

— ვხუმრობ. ხომ იცი, უცოლოთა მდგომარეობაში ვართ. ჰოდა, ვაცნობებ გეოლოგებს, რომ ენია იპოვეს, თორემ მთელ ტაიგაში დაეძებენ, სისხლის სამართლის საქმის წამოწყებას აპირებენ.

მან მთელ ტაივას აცნობა, რომ ტარასენკოვა ხაბაროვსკში იმყოფება და რომ იგი ფრენკელმა წაიყვანა.

და შორიდან მიიღო პასუხი:

„გადაეცი შენს ფრენკელს, აირჩიოს სხვა ტრასა, თორემ შევხვდები და მოვკლავ“.

ჟორკამ ვერ გაიგო, ვინ იყო იგი, ფრენკელისთვის კი არაფერი არ გადაუსცია.

3

მურუსიმა ათაევებდა თავის საინსპექტორო მოგზაურობას და ხარბინში ჩასვლას ჩქარობდა. მისი უკანასკნელი წერილი პოლემიკური იყო, მეტად ფრთხილად შედგენილი, რაც მუდამ ახასიათებდა მის ოპერატიულ ტაქტიკას.

დანიშნულ ადგილას არავინ არ იყო. დილით უნდა მისულიყო საზღვარს გადამსვლელი შარაპოვი. მურუსიმას განზრახული ჰქონდა, ფოსტის გადაცემის შემდეგ იმავე დღეს სხვა, უფრო რთული და გრძელი გზით გადასულიყო მანჯურიის მხარეს მას შემდეგ, რაც ერთხელ კიდევ ჩამოუვლიდა თავის რეზიდენტებს.

მურუსიმა ჩინებულად სთვლიდა თავის მგზავრობას. ეს მგზავრობა მან ჩაატარა მოხერხებულად, რისკით. ამ მგზავრობამ მეტად დიდი ნაყოფი გამოიღო. იგი კლასიკური მგზავრობა იყო მურუსიმას ხნის მშვერავისათვის. მიუხედავად ამისა, მურუსიმას ღრღნიდა მოუსვენრობა და გაურკვეველი დარდი, თანაც მოდუნებას გრძნობდა, რაც სულიერი შეშფოთების მაჩვენებელი იყო. იგი თითქოს შეყვარებული იყო, მაგრამ თითონ არ იცოდა, ვინ უყვარდა. დღისთმზისით მის წინ ისახებოდა ახალგაზრდობის წლების მოგონებები. მურუსიმა თავიდან იშორებდა ამ მოგონებებს, როგორც დღევანდელი ცხოვრებით უკმაყოფილების ნიშანს.

იგი სწერდა და თან მისჩერებოდა ფანზის შავ ბინძურ კედელს, რომელზედაც ხოჭოები დარბოდნენ:

„ჩემი პროფესიის ადამიანისთვის სამსახურებრივი საუბარი თავისუფალი აზროვნების ერთად-ერთ ფორმას წარმოადგენს. იძულებულნი ვისმინოთ მღუშარედ ან ვილაპარაკოთ ისეთ რამეებზე, რასაც გვიკარანახებს ოპერატიული მუშაობა, ჩვენ ვატარებთ ისეთ განზოგადობათა ტვირთს, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე თუ

ვახდებდა ცხოვრების კუთვნილებად. მე მივდივარ ახლა რუსეთიდან, რომლის ადამიანებთანაც დაკავშირებული ვიყავი ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში და ასე მგონია, თითქოს ჩემი მგზავრობა წარმოადგენდეს ჩემი ცხოვრების გზის მეორედ გავლას, ჩამოყალიბებულ შეხედულებათა და სამუშაო ჩვევათა რევიზიას, გზადაგზა აღდგენილ მოგონებას, რადგან ვინახულე ყრმობის დროიდან ნაცნობი ადგილები, ვნახე ადამიანები, რომელთაც დიდი ხანია ვიცნობ. ბელი მწყალობდა, რადგან შევხვდი ბევრ იმათგანს, ვისთანაც მე წარმატებით ვმუშაობდი ოცდაათი, ოცი, თხუთმეტი წლის წინათ, და მქონდა შესაძლებლობა, იშვიათი შესაძლებლობა ჩვენს პრაქტიკაში, შემემოწმებინა წინანდელი შეფასება ხასიათებისა, რაც საფუძვლად დაედო მთელ ჩემს შემდგომ მოღვაწეობას, რომელიც არ უნდა იყოს წარმატებას მოკლებული და უსარგებლო სამშობლოსათვის. მაგონდება საკუთარი სიტყვები, რომლებიც არა ერთხელ მომიყვანია სადაზვერვო სემინარებზე ჩვენს მშვენიერ აკადემიაში.

ის, ვინც მიისწრაფვის გამომწვევ და აშკარა, კონიუნქტურობისათვის გამიზნულ მოქმედებისაკენ, ნაკლებადაა ღირსი ატაროს სულთა მზვერავის სახელწოდება. ჭეშმარიტი ჯაშუშუბა სიტყვას მოკლებული ხელოვნებაა. იგი ხედავს, ისმენს, გრძნობს, იმახსოვრებს და არაფერს არ უმხელს ქვეყანას.

ჩვენ ვეძებთ აზარტის იშვიათ წუთებს, გამბედაობის ხანმოკლე წუთებს პირწავარდნილ ლაჩარში, გაშმაგების წუთებს გულგრილ ადამიანში, ეშმაკობის წუთებს ბრიყვში. ადამიანური აღმაფრენის ამ სპილენძის გროშებს, ამ ნაგავს ჩვენ ვაგროვებთ თითო გროშობით და ზოგჯერ ვპოულობთ ძალასა და საშუალებას გადავაქციოთ იგი სახელმწიფო კაპიტალად.

ნაპოლეონმა ულმი აიღო ჯაშუშ შულმაისტერის დახმარებით, ისეთი ადამიანის დახმარებით, რომელიც თითქმის უცნობია ქვეყნისათვის. მოლტკეს¹⁾ გადაწყვეტილება — წაეყვანა ჯარი სედანისკენ უყრდნობოდა პარიზიდან მიღებულ წერილს, რომელმაც შემთხვევით გამოაშკარავა მაკ-მაგონის²⁾ მარშრუტი. სარდალთა ცრუ პატივმო-

¹⁾ მოლტკე (1800—1891) — გერმანელი ფელდმარშალი, გენერალური შტაბის უფროსი 1857—1888 წლებში.

²⁾ მაკ-მაგონი (1808—1893) — ფრანგი მარშალი და პოლიტიკური მოღვაწე.

ყვარობაა იმისი მიზეზი, რომ ჩვენ ყოველთვის არ ვიცნობთ მათი სტრატეგიის ქეშმარიტ გმირებს. მიუხედავად ყოველივე ამისა, გერმანელებმა მაინც ვერ დამალეს, რომ ტანენბერგის 1914 წლის ბრძოლა, გამოცხადებული შურისძიების აქტად ლიტველებისა და პოლონელების მიერ ტვეტონთა ორდენის განადგურებისათვის, მოგებულ იქნა ჯაშუშობის მეოხებით.

„მე ვიყავი ყოველივე, ხოლო ყოველივე—არარაა“, — ამბობს მარკ ავრელიუსი¹⁾),—და მე ამ სიტყვებს წავაწერდი მზევერავის სიცოცხლეს.

მახსოვს ჩინელთა ფანზების ხშირი, სუსტი, შავი და მურა კვამლი და დიდი ნაკამურას ფრაზა ლიაოიანის ბრძოლის წინა დღეს: „მურუსიმა, ვისწავლოთ ამ ბუნდოვანი იეროგლიფების კითხვა. ქვანახშირი და შეშა, ძონძები და ძვლები, მშრალი ჩალა და სველი ბალახი,—აი რა იქნება ჩვენი ფერები“.

ჩვენ გვახსოვს მისი კვამლის სიგნალების საუცხოვო პოემა, რომელიც წაიკითხა ჩვენმა არმიამ ლიაოიანისა და მუკდენის დაუვიწყარ დღეებში.

მე მახსოვს და გახსოვთ თქვენც, ჩემო პატივცემულო და ძვირფასო ხელმძღვანელო, გაბედული გამოგონება ფონ გრევე-გერნროდესი, რომელიც „ნავთს“ ბურღავდა ლონდონის ქვეშ, ნამდვილად კი აგებდა საწვავის მიწის ქვეშა საწყობებს ცეპელინებისათვის. თქვენ გახსოვთ, როგორ აწყობდა იგი მიწაში ორკედლიან მილებს, რომელთა შორისაც ბენზინი იყო, და ინგლისელი ჟურნალისტები განუწყვეტლივ იღებდნენ სურათებს ამ საზეიმო აქტისას, „რომელსაც შეუძლია ძირფესვიანად შესცვალოს ინგლისის ეკონომიკა“-ო. მე და თქვენ მაშინ ვიცინოდით და გვშურდა გერნროდეს სიმტიკე. იაპონური საზრიანობის ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს თქვენს გულმოდგინე და თავგამოდებულ შრომას ევროპის ქალაქების ზნეჩვეულებაზე და სამუდამოდ კლასიკურად აღიარებს თქვენს ხერხს—აგენტების შეგროვებას პრესაში გამოცხადების გზით, ხერხს, რომელიც თქვენ შემოიღეთ სუნ იატ-სენტან ბრძოლის პირველ დღეებში. თქვენმა ღრმა ანალიტიკურმა გონებამ სამშობლოს სასარგებლოდ

¹⁾ მარკ ავრელიუსი (121—180)—რომის იმპერატორი.

გამოიყენა წისქვილის ბორბლების მოძრაობაც და რეკლამაც ქალაქის კედლებზე. მინდვრები, ტალღისებურად მოხნული ან კვალთა ქსელით დაფარული, თქვენი შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშია.

უძლურმა გამასწრო თქვენთვის ახალის გამოგონებაში, მე სიყვარულით განვაფითარე თქვენს მიერ მოპოებული, — და „თეთრეული, რომელიც შრება სოფლის თავში გარკვეული ნახატის სახით“ მე მიმაჩნია ჩემი აზროვნების ყველაზე მომწიფებულ ნაწარმოებად. თქვენმა მოწაფემ და მეგობარმა ნაკამურამ თქვენ, გაკვირვებისა და სიყვარულის ნიშნად, შემოგთავაზათ საჩუქრად სახურავი კრამიტის ნახატი, რომელსაც მე ახლა ვკითხულობ ბევრგან, ჩვენს სამშობლოს დაშორებულ ადგილებში.

ისევე, როგორც ნივთებს-სიგნალებს, ჩვენ ვაგროვებდით ადამიანებს-სიგნალებს და, მერწმუნეთ, ისინი თავს იჩენენ მაშინ, როდესაც დროულად ჩავთვლით დავამთავროთ მათი შეგროვება და მოვახდინოთ მათი დემონსტრაცია სამშობლოს წინაშე, დემონსტრაცია, ჩვენი საკუთარი სიცოცხლის ფასად მოწყობილი.

მოგონებებით აღლევებული ჩემი აზრები გამაართლებათ ჩემი საქმეებისა, რომელთა მნიშვნელობის უარყოფა შეუძლებელია.

მე ვშიშობ, რომ თანამედროვე სახიფათო იდეების გამხრწნელი გავლენა შემოქმედებას მოახდენს აგრეთვე იმ პირთა პრაქტიკულ მუშაობაზე, რომლებიც ჩვენს შესაცვლელად მოდიან“.

ოო, როგორ სძულდა მურუსიმას იაკუიამა და როგორ ეშინოდა გულში ამ ახალგაზრდა, თავხედ, უპატივცემულო კაცისა.

მურუსიმას ესმოდა, რომ მისი სიძულილი იაკუიამასადმი პირად ნიადაგზე იყო აღმოცენებული და მაინც ვერ დაეძლია, ვერ ჩაემწყვდია იგი თავისი გულის შორეულ კუნჭულში. მურუსიმა შურის თვალით შესცქეროდა იაკუიამას, მურუსიმა კანკალებდა თავისი შემოსავლისათვის, იმ შემოსავლისათვის, რომელსაც აი უკვე ოცი წელიწადი მშვიდობიანად იძლეოდა მრავალი მისი საქმიანი წამოწყება, იგი კარგ ფულთან იყო მოკალათებული და ეშინოდა ამ თავისი ადგილისთვის. მაგრამ მურუსიმა ამ სიძულილის სათავეებს არ უმხელდა თავის თავსაც კი.

ლაშე იყო. მურუსიმა დაიღალა, თუმცა უნდოდა კიდევ ბევრი დაეწერა, დაწვრილებით და სევდიანად. მაგრამ მოულოდნელად გაახსენდა ის წყვეული იაკუიამა, მეტიჩარა და გონება.

ჩლუნგი არამზადა, და ბრძნული მსჯელობის განწყობილება მყისვე გაქრა.

იგი უხეშ ტახტზე წამოწვა. მოახლოებული ძილის სიმშვიდე დაეუფლა მის გონებას. მან იხილა არაბეთის უდაბნოები, ბორნეოს ტყეები, ტიბეტის მთები, სირიის ნავსადგურები—და თავისი ძველი მეგობრები, რომლებიც ვაქრობდნენ კბილის საწმენდებით და ველოსიპედებით, ან ამუშავებდნენ კაუჩუკსა და ნავთს მიყრუებულ კონცესიებში, გაბნეულ, მივარდნილ გზებზე.

იაკუიამას არ უვაქრია კბილის საწმენდებით დამშუულ პანამაში, არ ყოფილა იგი მსახურად ამერიკულ სასადილოებში, არ ყიდულობდა ქერამს სპარსელებისაგან, არ გადაუცვლია არაბებისათვის ინდისხურმა ვაზნებზე. მაგრამ მოვა, დადგება დრო და ძველი ჯარისკაცები წამოიძახებენ: „ჩვენ აქა ვართ! ჩვენ საგუშაგოზე ვდგევართ!“

დაინგრევა მსოფლიო არხები, ცეცხლის ალი მოედება შორეულ ნავსადგურებს, და შორეულ ოკეანეში უგზო-უკვლოდ დაკარგული გემები იქნებიან მისთვის, მურუსიმასთვის, უძვირფასესი წერილები უძვირფასეს მეგობრისაგან. მაშინ გაიგებს გარყვნილი ახალგაზრდა იაკუიამა, რას ნიშნავს მუშაობა, რომელიც მთელი სიცოცხლის შეწირვას მოითხოვს.

მურუსიმამ გადაისროლა დაუმთავრებელი წერილი და შეუღლა იაკუიამას წინააღმდეგ დამაბეზლებელი წერილის მოფიქრებას.

ანგლისურ ჰიმნში შეტანილ უნდა იქნას შემდეგი სიტყვები:

*The moment past is no longer,
The future may never be,
The present is all of which man is master.*

წარსული აღარ არის,
მომავალი შესაძლოა აღარ იქნეს,
მსოფლივ აწმყთა ადამიანის ხელში.

ნ ა წ ი ლ ი მ ი ო რ ა ე

(1933)

მ ა რ ტ ი

აღმოსავლეთისაკენ ასმა
თვითმფრინავმა გადაიძროლა

1

წელიწადი მშფოთარედ იწყებოდა. იანვარში გაფიცვა ფაშიზმის წინააღმდეგ გერმანიაში, თებერვალში განადგურება ჩან კაი-შის მეხუთე ვალაშქრებისა ჩინელთა წითელი არმიების წინააღმდეგ, ბუქარესტის ბარიკადები, სამთა-მადნო მუშების გაფიცვები პოლონეთში, გაფიცვა პარიზში და, ბოლოს, აჯანყება ინდონეზიაში, სურაბაის ნავსადგურში, ჰოლანდიის ფლოტის სამხედრო გემებზე. ლაპარაკობდნენ კიდევ აჯანყებაზე იავისა და სუმატრის მეთევზეთა ბანაკებში, ხოლო ამბოხებული გემების პირველი ლტოლვილები უკვე გადმოდიდნენ სიამის ნავსადგურში და ჩინეთის სამხრეთ პროვინციების სანაპიროზე.

მარტის დამდეგს მალაელი მეზღვაური, აჯანყების მონაწილე რომელიც ერთ თვეს სატვირთო გემის ქვანახშირის ჯურღმულებში იტანჯებოდა, შანხაის სამიკიტნოში შეკრებილთ უამბობდა თავისი დამარცხების სამწუხარო ისტორიას.

შანხაიში არის ბნელი სამიკიტნოები, სადაც თავზებელალებული ხალხი იკრიბება:

შელაპურიდან ლტოლვილი ინდუსები, ფორმოზელი მეკობრეები, სამხრეთიდან ჩრდილოეთში და ჩრდილოეთიდან შორეულ სამხრეთში გადასახლებულები, მონღოლები, უზბეკები, სინგალეზელები, რალაც საქმეებით ქანცაწყვეტილი ბერძნებიც კი და ფრთხილი, საეჭვო პრუსიელი უნტერ-ოფიცრები, რომელნიც დინჯად ანგარიშობენ, თუ რა ფასად მოეწყონ ჩინელ ნაპოლეონთა არმიებში, ყველა დროშისა და ყველა სანაოსნო კომპანიის მეზღვაურები, წლობით რომ თამაშობენ

მა-ჯონგს¹⁾), იუნკერსის მფრინავები და კიდეც ბევრი სხვა უსახელო და უპროფესიო ადამიანი, თაღლითური რომანების გმირებზე უფრო რთული ბიოგრაფიით. იყვნენ ყოველგვარი არაფრთხილი პროფესიის ქალებიც. ამ ადამიანებისათვის როდი ხდებოდა რევოლუციები, მათზე როდი ოცნებობდნენ ბარიკადები, მაგრამ ეს ხალხი პირველი ებმებოდა აჯანყებებში. ისინი, როგორც ბანქოს მოთამაშენი, აწყდებოდნენ ხან ერთ, ხან მეორე ამბოხებას, ერთი ბარიკადიდან მეორეზე გადადიოდნენ. მათ კავშირი გაეწყვიტათ თავიანთ კლასთან, დავიწყებოდათ სამშობლო, ათასგვარი სახელი გამოეცვალათ და ყველაფერი ფეხებზე ეკიდათ.

მელერი, პეშტელი ემიგრანტი, ამ ბნელი ადგილების ხშირი სტუმარი იყო. ყოველთვის, როდესაც იგი ამ ადგილებს ჩაუვლიდა, ხან აქ, ხან იქ დომინოს წაითამაშებდა ხოლმე. მელერს ყველა იცნობდა. იგი ძველი ავტომატური კარაბინებიდან მაუზერებს აკეთებდა. ამბობდნენ, თუ მისმა მაუზერმა მსროლელს ხელი არ მოაგლიჯა, საუცხოვო გამოდისო. მელერი „ყვავილების მდელიში“ მაშინ შევიდა, როდესაც მალაელმა ის-ის იყო გაათავა აჯანყებაზე ლაპარაკი. მის ნაამბობს მალაელთა ენიდან სთარგმნიდნენ ჰოლანდიურად, ჰოლანდიურიდან დამახინჯებულ ინგლისურ ენაზე — „პიჯინზე“, რომლითაც ლაპარაკობს მთელი შორეული აზია და რომელიც ისევე ღარიბი, უხეში და დამტვრეულია, როგორც ყველაფერი ევროპული აზიაში. პიჯინურიდან ლაპარაკი გადადიოდა ჩინურ საოლქო დიალექტებზე. გერმანელთა ჯგუფმა განსაკუთრებული თარგმანი მოითხოვა. მელერი მაშინვე მათთან მივიდა, გადაუთარგმნა მალაელის ნაამბობი და მიუჯდა მათ, როგორც ძველი ნაცნობი.

— ახლად მოსულები ხართ? — იკითხა მან. — აბა გვიამბეთ ჩვენი წყეული ევროპის ახალ-ახალი ამბები. რა დავლიოთ? ლუდი? ეს მიუნხენი არ გეგონოთ, ბატონებო, არა. Das ist უბინძურესი ნეხვის გროვა — ეს შანხაი...

— ჭეშმარიტად გასაოცარი ბრიყვები არიან ეს ჰოლანდიელი კომუნისტები, — სთქვა ერთმა მათგანმა, შმუტკეემ. — მოდი და შედი ამის შემდეგ რევოლუციურ არმიაში... არ იცი, რას ყიდულობ, ვერ წარმოგიდგენია, რას ჰყიდი.

¹⁾ მა-ჯონგი — ჩინური კოჭაობაა.

მან საკმაოდ საფუძვლიანად გააკრიტიკა მალაელ აჯანყებულთა საბრძოლო მოქმედება და ჩამოთვალა, თუ რის გაკეთება იყო საჭირო პირველ დღეებში და რა უნდა გაეკეთებინათ შემდეგ.

— ერთის სიტყვით, თქვენ, ჩემო თანამემამულე, გასურთ სთქვათ, რომ ენგელსი მართალი იყო, როდესაც ამბობდა: „არასოდეს არ უნდა გაეთამაშო აჯანყებას, თუ არ გყოფნის გამბედაობა წინააღმდეგობა გაუწიო ყველა შედეგს“.

— უეჭველად, ძვირფასო მეგობარო. წითლებს რომ ეგ ენგელსი სარდლობდეს, დღესვე ჩავეწვრებოდი წითლების რაზმში. მაგრამ როდესაც მეუბნებიან ლი-ხუ-ლინა-ჩინ-სუნ-იანიო, მე ვუპასუხებ: თავი დაანებეთ გინებას, სთქვით, რა ჰქვია თქვენს გენერალს-მეთქი. ეს მისი საპატიო სახელიაო, მეუბნებიან.

— ქვეყნად ყველაფერი ნაგავია. ნაგავში კი ყველაზე უკეთესი სექტია. გენერალი ფონ სექტი ცნობილი მარკაა.

— ჩვენ სექტთან გვიწვევენ, — განმარტა შმუტცკემ. — სამი დღეა ჩა. მოვედით. და ვნახეთ ნაცნობები მის შტაბში. გვიწვევენ ჩან კაი შის არმიაში ინსტრუქტორებად.

— ორი წლის კონტრაქტით? — შეეკითხა მელერი. — კონტრაქტამდე უნდა მოიფიქროთ, ძმებო. ასე გვასწავლიდნენ. რეიხსვერს შტატები ხომ არ შეუმცირებია?

— შეამცირა. ვინც გერმანიაში სოციალ-დემოკრატი იყო, მისთვის ახლა რეიხსვერში სამსახური შეუძლებელია.

— აი რაში ყოფილა საქმე! გასაგებია, — წარმოსთქვა მელერმა და ჩაფიქრდა: — თვითონ მე თქვენსავით ჩამოველ აქ, თუმცა კომუნისტი ვარ. გიამბობთ ჩემს ისტორიას, იგი საგულისხმოა.

1906 წელს უნგრეთის სოციალისტურმა პარტიამ სამი ახალ-გაზრდა ლიეჟში გაგზავნა. მათ შორის მელერიც იყო. ორი შევიდა პერსტალის თოფხანაში ლიეჟის მახლობლად, მელერი კი შეგირდად მოეწყო იარაღის კუსტარულ სახელოსნოში, რომელიც სოციალისტ ოლივიეს ეკუთვნოდა.

— ეჰ, ახალგაზრდობავ, ვინ დააბრუნებს შენს მწარე სიხარულს! — სთქვა მელერმა, — დაიხსომეთ, ძმებო, რომ ეს იყო 1906 წელს.

ლიეჟში მაშინ მსოფლიოს ყველა პარტიის წარმომადგენლები ირეოდნენ. მაკედონელი ჩეტნიკები, ფრანგი ანარქისტები, რუსი

ბოლშევიკები და ესერები, თურქები, ინდუსები, სპარსელები, ჩინელები, სომხები, არაბები. იკრიბებოდნენ პატარა სამიკიტნოებში, კამათობდნენ, ხმაურობდნენ. ახალგაზრდა იაპონელი სტუდენტი, ფილოლოგი, ვინ დაინსომეზს მის სახელს—მურუსიმა თუ კავასიმა, ჯიუ-ჯიტსუსი¹⁾ ასწავლიდა. სახელოსნოს პატრონი ოლივიე ბელგის მუშათა მოძრაობის ისტორიას კითხულობდა. ერთი რუსი ქიმიკოსი ჯიბის ტიპის ჯოჯოხეთის მანქანებს იგონებდა.

იმ წლებში იქ განსაკუთრებით ბევრი იყო რუსი. ბოლშევიკები გაფაციცებით აიარალებდნენ პარტიას. ჰერსტალში კრასინი ჩამოვიდა იარაღის სასყიდლად.

—ზოგჯერ ხელში ჩაგივარდება საბჭოთა გაზეთი,—ამბობდა მელერი,—პოულომ იქ პარტიის ბელადების ფოტოგრაფიებს. ხედავ... მაგრამ თქვენ ამას ვერ გაიგებთ, ძმებო... აი სახე, ეს ხომ ბელადი არ არის, ეს ახალგაზრდა წლების მეგობარია, ეს ხომ ჩემი ახალგაზრდობაა, ეს ხომ ძმობაა! რამდენჯერ ვწოლილვართ ერთად ერთ საწოლზე, ღამეები გაგვითენებია იარაღის გადატანის გეგმებისა და ნახაზების შედგენაზე, ვოცნებობდით გამარჯვებაზე.

ოლივიესთან სახელოსნოში ხშირად შედიოდა კამო, კავკასიელ მებრძოლთა მეთაური, გიჟური გამბედაობის ადამიანი. მელერი მას დაუმეგობრდა. კამო მელერს ბაქოში იწვევდა. „შენ უცხოეთის ქვეშევრდომი ხარ, ამბობდა იგი:—იქ გახსნი მექანიკურ სახელოსნოს, ყუმბარებს დაამზადებო“. მაგრამ მელერს სხვა ხვდა წილად. ოლივიეს სახელოსნოდან ის გადავიდა შენკერის სატრანსპორტო კანტორაში, რომელიც იარაღს აწვდიდა დედამიწის ყველა ქვეყანას. შენკერისაგან გადავიდა ადოლფ ფრანკთან, ჰამბურგში. ფრანკი ფრიად საინტერესო ტიპი იყო. იგი მოხალისედ იბრძოდა ბურების²⁾ მხარეზე ინგლისელების წინააღმდეგ, შემდეგ კი იარაღის ფირმის მეთაური გახდა და იარაღს აწვდიდა კოლონიების აჯანყებულებს. ფრანკთან მელერი გაეცნო მთელ ქვეყნიერებას. რა მეგობრები არ შეიძინა იქ—ჰე ეშმაკსაც წაუღია ეს ცხოვრება! კავასიმა თუ ვილაც ჯანდაბაა ახლა

1) ჯიუ-ჯიტსუსი—კიდაობის იაპონური წესი, რომელიც საშუალებას აძლევს სუსტ ადამიანს დამარცხოს უფრო ღონიერი, იგი ეყრდნობა ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას.

2) ბურები—სამხრეთ აფრიკის ჰოლანდიელი კოლონისტები.

ჯაშუშობის პროფესორია თავის მიკადოსთან, ოლივიე—გამცემი, იტალიელი ბომბაჩიო—როგორა გგონიათ, რა არის ახლა იგი?... ხუცესი... ახლა რამდენი დაიღუპა, რამდენი დაიკარგა უგზოუკვლოდ, თითქოს ადამიანის სიცოცხლე უბრალო ბუმბული იყოსო, აფრინდა და მიმალა... ვალეში გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. ჰო-და, ეს მეღერი იარაღს ჰგზავნიდა ეგვიპტეში, სპარსეთში, ჩინეთში, მან უამრავი ქვეყანა მოიარა, ათას ადამიანს შეპფიცა მეგობრობა სიკვდილამდე, მაგრამ იფეთქა ომმა და ყველაფერი აირ-დაირია. გალიციის ფრონტზე მეღერი, მასთან ერთად ვალეში და კიდევ ორი უნგრელი ტყვედ ჩაუვარდნენ რუსებს. ციმბირში დაუკავშირდნენ ბოლშევიკებს, რალაცას აკეთებდნენ, რალაციისთვის ემზადებოდნენ.

უნგრეთის წითელ არმიაში იგი პოლკის მეთაური იყო. უნგრეთის კომუნის განადგურების შემდეგ გენუაში გაიქცა და ნავსადგურის აგიტატორი გახდა, თუმცა იტალიურად ცუდად ლაპარაკობდა. მაგრამ რევოლუციამ შექმნა რალაც უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე კარგი გამოთქმა, და უფრო საჭირო, ვიდრე გრამატიკა. მალე იგი მონაწილეობას იღებს ჯარისკაცთა ანკონის აჯანყებაში და ძლივს აღწევს თავს საპყრობილეს. მეღერი გაპარვას აპირებს აღმოსავლეთში, სადმე სპარსეთში, მაგრამ ამ დროს მას თავს ატყდება უბედურება— იგი მთელ რიგ სახიფათო პარტიულ შეცდომებს სჩადის. ნაკლებად განათლებული, მაგრამ თავის ბუნებრივ კჳუაში დარწმუნებული ადამიანი, რომელსაც წიგნი თვალის დასანახავად ეჯავრება, იგი ანარქისტობას იწყებს, ტერორისტი ხდება, და 1919 წლის აგვისტოში პარტიის რიგებს გარეთ რჩება. მაგრამ აგვისტოში აჯანყდა მილანი, და მეღერი მილანშია. თავში დაჭრილი იგი გონს მოდის საპყრობილის სავადმყოფოში.

სამი თვის შემდეგ მას აძევენ თურქეთში. სერასკერისტის იარაღის სახელოსნოში ის სწერს ბროშურას „გამცემლები სისუსტის გამო“, რომელშიაც ლაფს ასხამს უნგრეთის რევოლუციას.

— მაგრამ არაფერი ისე არა წრთვნის რევოლუციონერებს, როგორც სისხლი,— ამბობს მეღერი და ჩაფიქრებული თავს აკანტურებს.

1922 წლის მაისს იგი რომშია და მონაწილეობას იღებს ფაშისტებთან შეტაკებაში. საკმაო იყო მუშის სისხლის დაღვრა, რომ მისი ბოდვისაგან აღარაფერი დარჩენილიყო.

— მე ნგრევის პერიოდის კოკუნისტი ვარ, — განაგრძობს იგი, — უეცრად ყოველივე დანარჩენში, მე მიხლოდა, რომ ჩემი ხანა, ესე იგი ნგრევა ხანგრძლივი ყოფილიყო. მე ჩხუბი მწადდა. სულელური აზრია, ძალიან სულელური და უსუსური.

რა თქმა უნდა, ის წითელფრონტელთა ლაიპციგის დემონსტრაციის პირველ რიგებში იყო.

— ჰო, ჰო, — ჩუმად ბუტბუტებს შმუტცკე, — ძალიან კარგად ვიცი, თუ როგორ სცემდა პოლიცია ხალხს ლაიპციგში.

ლაიპციგში მეღერი პარტიას უბრუნდება და შანხაიში მიდის მემანქანედ სატვირთო გემზე. გზაში გაიგო მაროკოელთა აჯანყების ამბავი და მზად იყო მიეტოვებინა გემი, რათა შეერთებოდა აბდ-ელ-ქერიმის არმიას.

— თქვენ არ იცით ძმებო, — ამბობს იგი, — არა, არ იცით, რას ნიშნავს პარტია იმ ადამიანისათვის, რომელსაც დაუკარგავს სამშობლო და სახლი. მე ვცხოვრობდი იტალიელებს შორის, ვუკითხავდი თურქებს ლენინს, ვმუშაობდი ბერძნებთან. მე ვერასოდეს ველარ გავხდები წინანდელი უნგრელი, პატარა ბუდაპეშტური პატრიოტიზმით. ჩემში თავი იჩინა რალაც დიდმა.

1925 წლის გაზაფხულზე აჯანყდა სირია, მემარცხენე გომინდანი კანტონში ჰქმნის მთავრობას, ჩიკაგოში ეწყობა ზანგი მუშების პირველი კონგრესი.

ამოძრავდა მუშათა სამყარო.

— მე მოგზაურობაზე არ მიფიქრია, — ამბობდა მეღერი, — მაგრამ აქაც, იქაც, ყველგან ვხვდავდი ჩემს ხალხს. მე მყავდნენ ამხანაგები სირიაში, კანტონელებს ვხვდებოდი ბერლინში, ვმეგობრობდი ზანგებს. ჩემი სული ახალგაზრდავდებოდა, როდესაც წერილს ვიღებდი აფრიკიდან: „ჩამოდი ჩვენთან, ბებერო კოტო, სამუშაო დაუღვევლიაო“, ან დეპეშას კანადიდან: „გამოეშურე ექსპრესითო“.

დამთავრდა 1926 წლის აჯანყება იავაზე.

დაიწყო მარტის ამბები შანხაიში, და მეღერი ინგლისურ-ჩინური ლექსიკონით ხელში დღე და ღამეს ბარიკადებზე ატარებს.

— კაცი კაცს უახლოვდება, ასე იქმნებიან ადამიანები, — ამბობს იგი და ფიქრებში გართული სდუმს. — ფონ სექტი კი ბოლოს და ბოლოს პოლიციაა, — უმატებს იგი თითქოს სრულიად უადგილოდ.

— აბა რას გვირჩევდით თქვენ?—ეკითხება შმუტცკე.

— არის სამი შესაძლებლობა,—ამბობს მეღერი და თავს მაგიდისკენ ხრის.

იგი დიდხანს ეჩურჩულება გერმანელებს, რაღაცას ხაზავს სუფრაზე, და მის სახეზე სჩანს, რომ ჯერ ლაპარაკობს არასასიამოვნო, საზიზღარ ამბებზე, შემდეგ კი მისი სახე სერიოზული, მღელვარე ხდება, წარბები ხშირად მაღლა იწევეს და მარცხენა თვალი დიდხანს რჩება ეშმაკურად მოკუტული.

— მე თანახმა ვარ,—ჩურჩულით ამბობს შმუტცკე, როდესაც მეღერი თავს მაღლა ასწევს.

— თუ აგრეა, მეც თანახმა ვარ,— იმეორებს ფერმკრთალი, მალარიით დაავადებულის გამომეტყველების მქონე რეისი, მაგრამ სამი დანარჩენი სექტს ირჩევს.

— კეთილი,—ამბობს მეღერი,—ცხოვრება ჯერ კიდევ გაგატარებთ ხორცსაკეპში.

ორი კაცის თანხლებით იგი ბენდზე გადის. ქალები ჩხავანა ხმით დაჟინებით სთავაზობენ მათ სამპანებს.

— არ მინდა!—გაპყვირის მეღერი და თავს არიდებს მათ შემოტევას. ესტაკადის ბოლოში მან მონახა დახურული, გონდოლის მსგავსი სამპანი.

— ნუ დაეკარგავთ ღროს,— ეუბნება იგი გერმანელებს,— სად არის თქვენი საბარგო ქვითარები?

მეღერი ამ ქვითარებს აძლევს ბავშვს და რაღაცას ეუბნება ისეთ ენაზე, რომელიც მარტო შეძახილებისაგან შესდგება.

სამივენი სხდებიან სამპანში, რომელიც ერთბაშად ერთვის მდინარის ცხოვრების აურჯაურს. ხუანპუს ჰაერი გაყენთილია ხმაურით. თითქოს ნივთებიც კი ერთი მეორეზე უფრო გამაყრუებლად გაპყვირიან. გერმანელები გაკვირვებით იცქირებიან. საშინელია, არაჩვეულებრივია მდინარეზე გაშენებული ქალაქი. მასში არის რაღაც მიმზიდველი, თუმცა იგი ლატაკია და ბინძური, როგორც ქეციანი ძაღლი. თავისი ბინით, ოჯახით და პროფესიით, ყოფაცხოვრებისაგან მოუწყვეტლად, მოგზაურობს ადამიანი ფართო ხუანპუში. ქუჩები და მოედნები ჩნდებიან და ჰქრებიან საკიროების მიხედვით.

სამპან-ჩაიხანები, ბაქანზე ჩამწკრივებული ფერუშარულიანი ქალი-შვილებით, ღუზაზე დგანან გარშემორტყმული სამპან-ეტლებით. მცურავი სასადილო, რომელიც თავის სამხარეულს ღირსებაზე გაჰყვირის, სწრაფად უახლოვდება ისეთ ადგილებს, სადაც ხმაურია და ხალხი ირევა. მოხეტიალე ოინბაზი მალა ისერის ფერად ბურთებს და იქერს ამ ბურთებს ბინძური შიშველი ტერფით, ამასთან ისევე მოხერხებულად, როგორც ხელით. ადგილიდან ფეხმოუცვლელად მოგზაურობს მარჩიელი. მისი სამპანი უსწრებს ყვაილების გამყიდველის სამპანს და მოკრძალებით უშვებს წინ პოლიციელს, რომელიც გზას იკაფავს ნავებს შორის.

თილისმით მოვაჭრეს გაუშლია საქონელი თავისი ღუქნის ბაქანზე — აი თილისმა პროსტიტუტ ქალებისათვის, ჯარისკაცებისათვის, მტკირთავებისათვის, მათხოვრებისათვის. თვალეგადმოკარკლული, შავი, გახევებული ულვაშების ცმატუნით მღერის იგი წვრილი არაბუნებრივი ხმით.

ქანაობს ბანქოს სათამაშო სახლი, მკიდროდ გარშემორტყმული მტკირთავეთა კარვებით, წვრილი ფირმების საწყობებით, ნახმარი ძონძეულის ღუქნებით. იქიდან მოისმის სათამაშო ქვების წკრიალი და გაშმაგებული ხმები. მენავეე აშრობს მკვდარი კატებისა და ვირთაგვების სისხლიან ტყავებს.

მაგრამ აი, ბოლოს, ქალაქი უკან დარჩა. თანდათან მიწყნარდა მისი ხმაური. დაყუჩდნენ ნავებიც. უფრო იშვიათად ხედებიან კაცს ჩარჩები და ჩაიხანები, უფრო და უფრო ხშირად — ხელონები და შინამრეწველები. მოისმის პაწაწა გრდემლებზე პატარა ჩაქუჩების რაკუნნი და ხერხების წკრიალი. მაგრამ შინამრეწველებიც ცოტანი არიან მიცურავენ ან დგანან უძრავ შალანდებს¹⁾ მიკრული სამპანები მძინარე აღამიანებით და ისეთებით, რომელნიც მღუშარედ ფხიზლობენ და ტილებს ეძებენ. ეს სამპანები გამწკრივებულნი არიან სამ-ოთხ რიგად. მათი რიცხვი უთვალავია.

მენავეე ქალი მარჯვედ მიაღდა დიდ შალანდას, რომელსაც იალქანი ჩულივით ჰქონდა გადაფარებული.

— აქ ვისადილოთ, — ამბობს მეღერი.

1) შალანდა — ბრტყელპირა ნავი, რომელსაც სათევზაოუ ხმარობენ.

ისინი ჩადიან ქვევით, ბნელ კაიუტაში, გვერდებზე მიდგმული ტახტებით. კუთხეში სძინავს ჩინელს, რომელსაც ძილში ფეხი უკან-კალებს. გერმანელთა ნივთები, იაფ-ფასიანი ფიბრის¹⁾ ორი ჩამადანი, უკვე ტახტებთან აწყვია.

მზარეული, რომელსაც პირი საქმლით აქვს გამოტენილი და ხმაურით ღეჟავს მას, სუფრას შლის. ბიჭი, მათ რომ სანაპიროზე შეხვდა, ჯერ ხსნის ერთ, ორ, სამ, ოთხ, ხუთ ბოთლ ლუდს, შემდეგ ფიქრობს და ხსნის კიდევ ერთ ბოთლ ლუდს და ორ ფლაკონ ინგლისურ არაყს. მზარეული გასაოცრად მოხერხებული ქესტებით სწრაფად აწყობს მაგიდაზე საინებს სოიას ცერცვით, კიბორჩხლებით, ზვიგენის ფარფლებით. ბზრიალასავით დატრიალებული საინები მარჯვედ მისრიალებენ და ჩერდებიან იქ, სადაც საჭიროა. ბიჭს დიდის ამბით შემოაქვს გაციებული ღორის ხორცის ნაჭერი. თავისი მარჯვე ქესტებით კმაყოფილი მზარეული წკმუტუნით აგდებს მაგიდაზე ლანგარს ახლად დამზადებული ნამცხვრებით და პურით. ბიჭს შემოაქვს ხუთი გრძელი, შავი სიგარა, რასაც ორი თავი კომბოსტო მაინც დასჭირდებოდა.

გერმანელები სკამენ და სვამენ, სიგარებს კი პიჯაკის ჯიბეებში იდებენ: კვლავ მოდის სამპანი. კიბის შეუხებლად ბაქანიდან ხტება მალაელი მეზღვაური, სურაბაის ამბის გადმომცემი. მას ფრთხილად მოსდევს ორი სათვალეზიანი სტუდენტი ქალი.

— Good evening! სალამო მშვილობისა! — ზრდილობიანად ესალმებიან ისინი კაიუტაში მყოფთ.

— იქ მილიხართ? — ეკითხება მეღერი და ეშმაკურად ქუჭავს თვალებს.

— დიად, სერ, — უპასუხებენ ისინი.

— გამოცხადდებით ამხანაგ პიტერ გორშეფტთან. ეტყვი, რომ თმაწითურმა გაგგზავნათ.

— გვაზე სურპრიზები ხომ არ არის მოსალოდნელი?

¹ ფ ი ბ რ ი — ძალზე დაწვეული ქალაქი; მზარობენ კოლოფების და ჩამადნების დასამზადებლად.

— O nein, nein, das Ist!) საქმე მოგვარებულია, საესებით მოგვარებულია,— ამბობს მეღერი და ფეხზე დგება, თან მუცელზე ხელს ისვამს.— Also!.. აქაური ლუდი ძილის მომგვრელია.

იგი თავზე ხელს მოხვევს გერმანელებს და აკოცებს სწრაფად, მამობრივი კოცნით.

— ვირა ლუზა! *) კეთილი იყოს, კეთილი იყოს!— ამბობს იგი და ბაქანზე გადის.

მაგრამ ქალაქში როდი ბრუნდება. სამპანს იგი მიჰყავს მიტოვებულ მცურავ ბინებისკენ და გზას იკვლევს მათ ბნელ რიგებში იმ დრომდე, სანამ შესაძლებელია. შემდეგ მეღერი დიდხანს ხტის ერთი ნავიდან მეორეზე, ვიდრე ჩუმად არ დაუძახებენ.

ბნელ კაიუტაში მას ხუთი კაცი ელოდება. ესენი არიან: ტანი, მანჯურიის კომიტეტის წევრი, ოსუდა, რწმუნებული იაპონიიდან, ორი უცნობი ამხანაგი და წითელი მეთაური საბჭოთა რაიონიდან.

— დაჯექით, მეღერ, — ამბობს ტანი ინგლისურად. რა არის ახალი?

მეღერი უამბობს გერმანელებზე, გუშინწინ გადამწვარ ნავით დატვირთულ იაპონურ ბარჯაზე, თხუთმეტ ყუთ იარაღზე. იგი ნახევრად გადაკვრით ლაპარაკობს, თუმცა ყველა თავისიანი.

— აი ეს ახალგაზრდა გასწავლის, როგორ უნდა ცეცხლის წაკიდება, — უთითებს ტანი მეთაურზე საბჭოთა რაიონიდან. — იგი გამოგვიგზავნა ცენტრალურმა კომიტეტმა საკომანდო სამუშაოზე გამოსაცენებლად მანჯურიაში. მერე მოელაპარაკე. ახლა კი ამხანაგი ოსუდა გადმოგვცემს განსაკუთრებულ ცნობას.

ლაპარაკობს რწმუნებელი იაპონიიდან, პატარა ტანის კაცი, მოკლე წითური სახით და ხელების სწრაფი მოძრაობით:

— მივიღეთ ცნობა, რომ იაპონიის სამხედრო წრეები სიამში იწყებენ მეტად მნიშვნელოვან სააღმშენებლო მუშაობას. რა სამუშაოა, კარგად არავინ არ იცის. ის არ არის კაუჩუკის კონცესია, არც თევზის სარეწაო, არც საწვავის ბაზა. ეს საქმე დიდი საიდუმლოებით არის მოცული. მაგრამ ქვეყნად არაფერია ისეთი, რისი ვაგებაც არ შეეძლოთ რევოლუციურ პარტიებს, და აი სიამელმა ამხანაგებმა გვა-

1) ჰოო, არა, არა!

2) ვირა ლუზა — ახსენი ლუზა.

ცნობეს, რომ სიამში, კრას ყელზე, სინგაპურის ჩრდილოეთით, იაპონელმა გენერლებმა მხიარული საქმე წამოიწყესო. მათ გადაუწყვეტიათ გათხარონ ყელი და გაიყვანონ საზღვაო არხი. როდესაც იგი მზად იქნება, ინგლისელთა ციხე-სიმაგრე სინგაპურში ძველ საქათმედ გადაიქცევა, რადგან გემების გზა გვერდს აუქციებს სინგაპურს, ზღვის ცხოვრება ჩრდილოეთით გადავა და ჩინეთიდან და იაპონიიდან კრას არხით ინდოეთისა და ევროპისაკენ წარიმართება¹⁾.

ოსუდა კაბუკს ჰგავს, ისე სუფთად და ნორჩად გამოიყურება მისი სახე, ისე გამომეტყველია მისი თვალები, რომლებსაც არც ერთი ნაოკი არ სერავს და სიყვითლე არ ამახინჯებს. სამაგიეროდ იშვიათი, ფართო და ყვითელი კბილები მკაცრ გამომეტყველებას აძლევენ მის სახეს. ამიტომაც, რომ მისი ღიმილი ნაძალადევად, მექანიკურად ეჩვენება კაცს, და როდესაც ილიმება, ერთბაშად ბერდება. იგი ილიმება თითქოს არა შინაგანი კმაყოფილების გამო, არამედ იმიტომ,

1) ჰოლანდიური ინდოეთის პრესა დაწერილებით გადმოგვცემს, რომ სწარმოებს გაფაციცებული მუშაობა არხის გასაყვანად კრას ყელზე, რომელიც წარიმართება ინდოეთის ოკეანედან სიამის უბისაკენ. ამ არხის დამთავრების შემდეგ, რასაც მოგლიან 1940 წელს, ინგლისის დასაყრდენი ბაზა—სინგაპური დაჰკარგავს თავის გაბატონებულ მდგომარეობას წყნარ ოკეანეზე მშენებლობაზე ბევრი იაპონელი ინჟინერი მუშაობს. ხშირად შეზღუდებით იქ მსხვილ ფინანსისტებსაც ტოკიოდან. მალაკის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ბანჯაკ-რადბურის რკინიგზის ხაზის გასწვრივ, იაპონელთა ზედამხედველობით შენდება ავტოსტრადა სატვიხთო საავტომობილო მოძრაობისათვის. ეს გზა მიდის ბანდონის ყურემდე, სადაც არის უზარმაზარი იაპონური ექსკავატორები, რომლებსაც ამოაქვთ მიწა მდინარე კრადან. კონტრაქტი კრას არხის გაყვანის შესახებ ხელმოწერილია 1934 წლის მაისში სიამის მთავრობისა და იაპონელთა ჯირმების მიერ. არხის საერთო ღირებულება ნეარაუდღევია ათ მილიონ ჰოლანდურ ვერცხლის ფული, რომელიც შეიცავს 0,5 გრამ წმინდა ვერცხლს).

არხი შეამცირებს საზღვაო გზას ინდოეთის ოკეანედან წყნარ ოკეანემდე რითაც დიდად მოიგებს საფრანგეთის ვაჭრობა სიამთან და საფრანგეთის სანაოსნო კავშირი ჩინეთთან. სინგაპური დაჰკარგავს საბაჟო შემოსავლის მეტ წილს. მთავარი საფრთხე კი სინგაპურისათვის ის არის, რომ ომის შემთხვევაში იაპონიის სამხედრო გემებს შეეძლებათ დაემუქონ ბრიტანეთის ინდოეთს, მაშინ, როცა არხის გათხარამდე ინდოეთის ნაპირებთან მისასვლელად საჭიროა სინგაპურის სანაპირო არტილერიისა და ნავსადგურში თავმოყრილი ინგლისის სამხედრო ფლოტის ზონაში გავლა.

რღმ სხვებზე უფრო მკაცრად გაიღიმოს. მისი შავი, ძალზე გაშეშებული თმა ლურჯად ბზინავს. მოძრავი, ხალისიანი მოსაუბრე, თითქოს მხიარული ადამიანი მოლუშული გარეგნობით, ოსუდა ნამდვილად პირქუში და უთვისო ადამიანია. ამჟამად ოსუდას არა ჰყავს არც ოჯახი, არც ნათესავეები, იგი მუდამ ხალხშია, მუშაობაში გაართული, მუდამ ფუსფუსებს და მის მუდამ მოლიმარ სახეზე მოსჩანს ყვითელი იშვიათი კბილები.

ერთი წლის წინათ ოსუდამ ოჯახი დაჰკარგა. მისმა ცოლმა თან წაიყვანა შვილები და მამასთან წავიდა. ნათესავეები გაჰქრნენ. ზოგი საპყრობილეშია, ზოგი მასავით იატაკქვეშ არის, ზოგს კი თავი ისე უჭირავს, თითქოს არასოდეს არ იცნობდა მას. ქალი, რომელიც პარტიას კავშირის დაწყარებაში ეხმარებოდა, მცირე ხნით მის მეორე ცოლად გახდა. ამ ქალის ცხოვრება სახიფათო და ნერვიული იყო, იგი არასოდეს არ ყოფილა მაძლარი, ისევე, როგორც თვით ოსუდას ცხოვრება. ამიტომ მათ არ შეეძლოთ ვენოთ ერთმანეთისათვის არც თავიანთი ცხოვრების პირობებით, არც პარტიული მუშაობით. მაგრამ ოსუდას ახალი ოჯახი მალე დაირღვა.

იგი მანჯურიაში გადაისროლეს, ხოლო ცოლი ჩრდილოეთისაკენ გაგზავნეს, ხოკაიდოში.

ახალ პირობებში ოსუდას არ შეეძლო პირად ცხოვრებაზე ოცნებაც კი: სხვის სახლში ეძინა, სხვის სახელს ატარებდა, სხვა ადამიანების ტანისამოსს იცვამდა.

მაგრამ ბავშვები ყოველ ღამეს ესიზმრებოდა, ამასთან არა თავისი, ნამდვილი, დედასთან მცხოვრები ბავშვები, არამედ ახალი, მომავალი ბავშვები. ისინი სთვლემდნენ მის მკლავებზე, სასაცილოდ სუნთქვდნენ მის გულმკერდზე, უღიტინებდნენ კისერში.

იგი იღვიძებდა, მაგრამ ვერ ბედავდა განძრევას, რომ უცაბედად არ გაეკყლიტა ისინი და შემდეგ დიდხანს აკრაქუნებდა კბილებს მარტობით დაძმარებული.

მუშაობაში იგი მკაცრი, საშინელი იყო. მაგრამ ოსუდა უყვარდათ სიმკაცრისა, პირქუშობისა და სიმშვიდისათვის, იმისათვის, რომ იგი მარტო იყო, უყვარდათ ყველაფრისათვის.

— ოფიციალურად იაპონიას ჯერ არ მიუღია საკონცესიოდ ეს სამუშაოები და, როგორც ეტყობა, ლეგალურად არც შეეცდება მი-

იღოს იგი. მაგრამ მომავალი არხის ტრასაზე მცხოვრები ყველა სიამელი გლეხი უკვე სთხრის მიწას. მუშაობენ ანამელეები¹⁾, ჩინელები, ინდუსები. როგორც კი ისინი უვარგისნი ხდებიან, უკან მიჰყავთ. მუშა-ხელის შემგროვებელნი ახლა აქაც გაჩნდნენ, შანხაიში, და საკიროა კრას არხზე რამდენიმე ჩვენი ამხანაგი მოვაწყოთ.

— ესე იგი მონებად უნდა გაეყიდოთ ათამდე ძვალმაგარი საიმედო ახალგაზრდა, — სთქვა ტანმა. — მაგრამ მე მაინც დარწმუნებულნი არა ვარ, რომ ის არხია.

— აი მოწმე კრადან, — ოსუდამ მიუთითა ერთ კაცზე, რომელსაც არავინ არ იცნობდა. — გამოჰკითხეთ. ანამელია.

საბჭოთა რაიონიდან მოსულმა მეთაურმა, რომელიც ანამურად ლაპარაკობდა, დაუწყო გამოკითხვა ლტოლვილს. იგი მოკლედ უთარგმნიდა იქ მყოფთ ანამელის ნაამბობს.

— ძალიან ცოტაა იქ იაპონელი, არც ერთი ევროპელი არ არის, ბევრია ჩინელი სამხრეთიდან, იმიტომ რომ ისინი ჯანმრთელები არიან. სულ ათი ათასი კაცი იქნება, შეიძლება მეტიც, მაგრამ ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობენ, ჯგუფ ჯგუფად. გასულა არსად არ შეიძლება, არც შეხვედრა. ვინც ბევრს მუშაობს, მას ქალაღს აძლევენ და კვირაში ერთხელ ქალს. ქალები ცალკე ცხოვრობენ და სტუმრებს ღებულობენ უფროსის ქალაღის მიხედვით. ყველას უნდა ჭამა და ხშირად გარბიან შინ, მაგრამ გაქცევა ძნელია. მიწას თხრიან შანქანებით, მკედრებს ზღვაში ჰყრიან. მუშებს ყოველ სამ თვეში სცვლიან.

როდესაც ანამელმა ლაპარაკი დაამთავრა, სამხრეთელმა მეთაურმა სთქვა:

— შე იქ ძალიან სასარგებლო ვიქნები. ვიცი ანამური და იაპონური ენები, ცოტა ინგლისურიც.

ჩაფიქრდნენ.

— არა, თქვენ ახალგაზრდა და ფიცხი ხართ, — სთქვა ოსუდამ. — იქ დიდად გამოცდილი კაცი უნდა გაიგზავნოს.

მეთაურმა დაჟინებით გაიმეორა, რომ იგი თანახმაა.

¹⁾ ანამელეები — მონღოლთა რასის ხალხი, რომელიც ცხოვრობს ინგო-ჩინეთის ნაწილში — ანამაში.

— არსებითად ჩვენ მოკლებულნი ვართ არჩევანს, — შენიშნა ტანმა, — ვგზავნით არა ჩვენ, არამედ შემგროველნი, და თუ ამხანაგი მოახერხებს ხელშეკრულების დადებას, მაშინ... ხელს ნუ შეეუშლით, ჩვენ მოკლებულნი ვართ არჩევანს. შენც, ჩემო ძვირფასო ძმაო, შეეცადე: დაბრუნდე კრაში, — უთხრა მან ანამელს, რომელმაც აიღო და სახეზე მიიკრა ტანის ხელი.

— შენ იქ ცემას არ მოგაკლებენ და დაგამშვევენ. შეიძლება ძალღონე გამოგელიოს და დაილუპო, მაგრამ სხვა არჩევანი არა გვაქვს. როდესაც თქვენ შეგცვლიან, შეეცადეთ სიამში დარჩეთ და კავშირი გააბათ კანტონთან ან შანხაისთან.

— მე გულმაგართა წყებას ვეკუთვნი, სულ ერთია, სიკვდილს ვერ გაექცევი, — უბასუხა ანამელმა სიტყვებით ღარიბ თავის პიჯინურ ენაზე — შეპონი ვარ, — დასძინა მან, რადგან კოლონიების ამ ენაზე ყველაფერ პატარას, ბავშვს თუ კიქას, პონს უწოდებენ. — სულ ერთია, სიკვდილს ვერ გაექცევი.

შელერმა ჩიბუხი გააბოლა:

— ჩვენთვის ახალი ამბავი არ არის, რომ იაპონელები ყველგან აშენებენ. ისინი ჰგზავნიან ხალხს არქიპელაგის კუნძულებზედაც, სიამშიც, აფრიკაშიც... რაც შეეხება ამ არხს *o, my goodness!*, დეე აშენონ. ხალხი ახლოს უნდა გვეყადეს საქმესთან, ბრძოლის ველთან — კრას არხი... — მან რამდენჯერვე გააბოლა ჩიბუხი და თავი გააქნია, — კრას არხი...

ოსუდა შეეკამათა, უმტკიცებდა, რომ ბრძოლის მთავარი ასპარეზი იქ არის, სიდაც უფრო ძნელია მუშაობა, და რომ პარტიამ დანამდვილებით უნდა იცოდეს ყველაფერი, რაც ხდება.

გადასწყვიტეს, რომ ახალგაზრდა მეთაური და ანამელი ხვალვე გამოცხადდებიან მუშა-ხელის შემკრებებთან, ხოლო მეღერი თვალყურს ადევნებს მათ გამგზავრებას.

— მთელი ამ საქმის გამო დაზარალდა მხოლოდ მანჯურიის კომიტეტი, — სთქვა ტანმა. — მოგვიხდება ახალი ამხანაგის გამოთხოვა ცენტრალური კომიტეტისაგან და ვგრძნობ, რომ გვისაყვედურებენ ადამიანთა გაფლანგვას.

1) ჰო, ჩემო ძვირფასებო.

უკვე გვიან იყო და მეღერმა სთხოვა, ეამბნათ მთავარი ამბები, რაც პარტიაში მოხდა.

—ამ დღეებში გაზოგცემთ სტალინის მოხსენებას „პირველი ხუთწლედის შედეგების შესახებ“ და სიტყვას „სოფლად მუშაობის შესახებ“, — სთქვა ოსუდამ. — მეღერ, ყურადღება მიაქციე სიტყვას სოფლად მუშაობის შესახებ, თქვენ გეხებათ. დაიზვიპირე იგი და გულში ატარე.

— მე ვერ მოვასწრებ სიტყვის თან წაღებას? — იკითხა მეორე უცნობმა ამხანაგმა.

— მხოლოდ თავით, ამხანაგო სიაო, — უთხრა ოსუდამ. — დიადი აზრების დამახსოვრება ადვილია და ისინი დიდხანს რჩებიან მეხსიერებაში.

მოხეტიალე აგიტატორი სიაო ის-ის იყო დაბრუნდა მოგზაურობიდან იგი სვატოლუდან წამოვიდა, მოდიოდა ზღვის ნაპირით, გზაში სამ თვეს დაჰყო.

„მე მრავალჯერ ვიყავი დაქრილი, უფრო მეტხანს დავეყავი საპყრობილეში და ბევრჯერ ვყოფილვარ სიკედილის პირას. ლურჯხალათიანებმა ხუთჯერ მაგემეს ას-ასი დარტყმა, ერთხელ ქვეები დამიშინეს, სამჯერ თავის მოკვითა მომისაჯეს, მაგრამ ჩემი თავი ნათელია და სხეული მაგარი“, — ასე ჩასწერა მან გუშინ ანკეტაში.

სიაო მოხეტიალე აგიტატორად გაგზავნეს, და მათხოვრის ტანისამოსში გამოწყობილი იგი ცხოვრობდა სოფლის გზებზე, ეძინა ჩაიხანებში, მუშაობდა ჩინელ მუშებს შორის და ყველგან შექჟონდა თავისუფალი სამშობლოსათვის ბრძოლის, იაპონელთა მონობის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება. მის სახელმძღვანელოს შეადგენდა სტალინის აზრები, ვან-მინის მოხსენებები, მე-4 წითელი არმიის სიმღერები, მთავარსარდლის ჯუ-დეს ბრძანებები და ერთიანი ჩინეთისათვის ბრძოლის ათი თუ თორმეტი ლოზუნგი, რომლებსაც იგი სწერდა კერპთსალოცაეების კედლებზე. ყოველივე ამას იგი თავით ატარებდა, როგორც ნიჭს.

სიაო აგიტატორი იყო, ესე იგი მართებული მოქმედების ადამიანი. მეთევზეებს ის უამბობდა მუშების მდგომარეობაზე, ფაბრიკაში კი ლაპარაკობდა გლეხებზე, გადასახადებზე. მან იცოდა ჩინური ენის ექვსი კილო, იცოდა სიმღერა და სიჩუანელი გმირების საგმირო ამბების გადაცემა. ყველაფერზე ლაპარაკობდა როგორც

მნახველი ან მონაწილე, ხოლო ლენინისა და სტალინის სიტყვები ხალხური სიბრძნით ბგერდნენ და ისევე გადასცემდა მათ, როგორც უბრალოდ ლაპარაკობდა სწორ და წინასწარმეტყველურ აზრებს, თითქოს შრომასა და გაჭირვებაში თვითონ მისულიყოს ამ აზრებამდე. სიამო დაახლოვებით ორმოცდაათი წლის თუ ცოტა მეტის იქნებოდა. გამხდარი სახე ჰქონდა, ჩამომხმარი, გაძვალტყავებული ფიგურა, სიარულისაგან მუდამ წახრილი, პატარა ნაცრისფერი, ფრთხილად მოქუთული თვალები, მკიდე ხელები. იგი იჯდა, უსმენდა ტანს და ოდნავ ირხეოდა, თითქოს ნელი ნაბიჯით მძიმე გზაზე მიდისო. სიარული მისი სპეციალობა იყო. არ გააჩნდა არც ოჯახი, არც კუთხე, არც ქონება. მას რომ ცოლი შეერთო, პარტიას მისი ცოლის შენახვაც მოუხდებოდა, რადგან სიამოს საქმე შემოსავალს არ იძლეოდა. იგი მონაწილეობას იღებდა გაფიცვაში ტვირთშიდავებთან ერთად, იჯდა საპყრობილეებში მინდვრის მუშებთან ერთად, შიმშილობდა უმუშევრებთან ერთად. ის პროფესიული რევოლუციონერი იყო, ესე იგი გაჭირვებაში სხვებზე უნდა ფეიქრა, ჩაეგონებინა შეუფხებელთათვის, ჩაენერგა სიძულილი სასოწარკვეთილ ადამიანებში, გაშმაგება მამაცებში, ეკითხა გაზეთი წერა-კითხვის უცოდინართათვის, ემღერა რევოლუციური ჰიმნები მომაკვდავთათვის და ელაპარაკნა ყოველ მიტიგზე ყოველგვარ საქმიან საკითხზე. სიამო ისეთი ადამიანი იყო, რომელ შიაც ვასაოცარი სიცხადით იყო ასახული მასების სწრაფვა ძლიერი და ბედნიერი ცხოვრებისაკენ.

„მას, ალბათ, ხშირად ხედავენ სიზმარში ისინი, ვისაც იგი ხედება“, — გაიფიქრა ჩენმა.

ჩენი შეჰყურებდა სიამოს, და მან პირველად იგრძნო ჩინელის. სიამაყე თავისი გაძარცული, დამცირებული და ცივილიზებული ბარბაროსების მიერ განაწამები დიადი და სახელოვანი ხალხის გამო.

„თუ ერთი ასეთი სული მაინც კიდევ დადის ჩინეთში, ჩვენ გავიმარჯვებთ და გავიმარჯვებთ მალე“, — და ჩენმა ნათლად წარმოიღვინა, რომ არა ერთი, არა ათი, არამედ მრავალი ათასი პატარა, მაგრამ დიადი სული, სიამოს სულის მსგავსი, სერავს ამჟამად ჩინეთის გზებს. მათ ერთ ადგილას ჰკლავენ, ისინი სხვა ადგილას ჩნდებიან. აქ ისინი იფიცებიან, იქ გაზეთებს სცემენ, მესამე ად-

გილას ხმამალლა კითხულობენ ლენინს, მეოთხე ადგილას აწყობენ პროფესიულ კავშირს.

ზოგი მათგანი კომუნისტია, ზოგიც ანტიიპონური ლიგის, მუშათა კლუბის ან პატარა სასოფლო საზოგადოების წევრი. მათ ვერ მოსპობ, მათთან ბრძოლა შეუძლებელია. ხალხის ხორცი ხორცთაგანნი, ისინი დამშეულნი არიან, როგორც მთელი ჩინეთი, და შეურაცყოფილნი, როგორც მთელი ჩინეთი. და თუ ისინი ზოგჯერ დადუმდებიან, მხოლოდ იმისთვის, რომ ხელი მოჰკიდონ დანას ან კეტს. ისინი აგიტატორები არიან ყველაფრით — სიტყვით, მოქმედებით და სიკვდილითაც კი, რადგან ისინი ისევე კვდებიან, როგორც მილიონები, თავიანთი საარსებო, პირველი საქმისათვის. მათი პროფესიაა — იყვნენ ისეთები, როგორნიც არიან.

ისინი მომთმენნი და შეუპოვარნი არიან, იბრძვიან სხვებზე გაბედულად და სხვებზე ბრწყინვალედ კვდებიან, — აი მათი პროფესიაა და საესებით მოწყვეტილი ტანის სიტყვებს, ჩენი ფიქრობდა, რომ, როდესაც ისინი გაიმარჯვებენ, ხალხი ძეგლს დაუდგამს გამხდარ, დამშეული სახის, შემოგლეჯილ, ქრილობებით დასერილ, ფეხზე ძლივს მდგომ უბრალო ადამიანს. და ძეგლის ქვაზე ოთხივე მის მხარეს მოქანდაკე გამოჰკვეთს ბარელიეფს — დიად ბრძოლებს, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდა და იმარჯვებდა ეს დიდი და სახელოვანი სარდალი — პარტიის აგიტატორი.

— სამწუხარო ცნობებიდან ყველაზე საშინელია ტელმანის დაპატიმრება, — სთქვა ტანმა.

მელერმა თავზე ხელი იტაცა.

— მაგრამ სასიხარულო ცნობებსაც გვატყობინებენ: პოლონეთში ფეხზე დგებიან გლეხები, აჯანყებისათვის ემზადება ესპანეთი. მაგრამ შენტვის ყველაზე საინტერესო ახალი ამბავი, მელერ, ის არის, რომ ჩან-კაი-ში შეუდგა მხადებას მეექვსე ვალაშქრებისთვის ჩვენი საბჭოთა რაიონების წინააღმდეგ და, მაშასადამე, შენი წყეული გერმანელები ჩვენ დღეს უფრო გვანტერესებენ, ვიდრე ოდესმე. არა უგვიანეს ერთი კვირისა შენ მოვალე ხარ კარგი მეკობრეები იყოლიო სადმე შტაბის მახლობლად. იქნებ ტყუილ-უბრალოდ გაგზავნე დღეს შენი თანამემამულეები წითელ არმიას... არა, არა, მე არას ვამბობ, მე მხოლოდ მოსაზრებას გამოვთქვამ..

— გერმანელები საკმაონი არიან, — სთქვა მეღერმა. — ბოლოს და ბოლოს, თუ საჭირო იქნება, მე თვითონ მოვეწყობი სექტთან.

2

ხანკის ტბის მახლობლად საზღვრის დათვლიერებისას კაპიტანმა იაკუიამამ შენიშნა თეთრგვარდიელთა საცხოვრებელი ადგილი — სამი ძველი ფანჯა პატარა მდინარის მოსახვევში.

ძირმაგარ შამბნარზე შრებოდა დაფლეთილი საცვლები. ტალახიდან თავი ამოეყოთ მასში ჯერ კიდევ შემოდგომაზე ჩაყინულ ბოთლებისა და საკონსერვო ქილების ნატეხებს.

იაკუიამა შევიდა ამ პატარა სოფლის მამასახლისის გუბინის ფანჯაში. გუბინის შესახებ გაგონილი ჰქონდა, რომ იგი საზრიანი და იდეური კაცი იყო.

გუბინის ფანჯა ბნელი და ბინძური იყო.

— რუსებს სხენაირად შეუძლიათ იცხოვრონ, — უთხრა იაკუიამამ მასთან მისულ გუბინს.

გუბინმა ხელები გაშალა და შენიშნა:

— ჩვენი გონება სხვა ფიქრებით არის გატაცებული.

— რით არის გატაცებული თქვენი გონება? ჰკითხა იაკუიამამ.

— სულ იმას ვფიქრობთ, რომ აქ დროებით ვცხოვრობთ, სულ მდინარის იქითა ნაპირს შევცქერით: ხომ არ დამდგარა დრო გადავიდეთ მშობლიურ მხარეში.

— როდის გაქვთ გადასვლის იმედი? — ზრდილობიანი სიძულილით ჰკითხა იაკუიამამ.

გუბინმა ხელები გაშალა:

— ძალღონეს არ ვიშურებთ, ვცდილობთ ზოგიერთების გადამობირებას ჩვენს მხარეზე...

— გვიამბეთ, როგორ გადმოიბირეთ.

გუბინი ფანჯარასთან მივიდა და იაკუიამა მიიწვია.

— აი ჩვენი ფურცლები, პროკლამაციები, ვამყარებთ ურთიერთობას კოლმეურნეებთან, ვაგროვებთ თანაშემწეებს...

— ბევრი შეაგროვეთ? — ჰკითხა იაკუიამამ ისე, რომ ფურცლებს არ მიჰკარებია.

— ისახება ზოგი რამ, — უპასუხა გუბინმა და მხიარულად გადახედა კაპიტანს.

— უკვე ბევრია დასახული? — ჰკითხა იაპონელმა.

— რა მოგახსენოთ, უფროსო...

— მე არ ვიცი, რა უნდა მომახსენოთ. ეს თქვენ უნდა იცოდეთ. მე მხოლოდ გეკითხებით — ბევრია დასახული?

გუბინმა ჰკვიანურად შეხედა და მოურიდებლად უპასუხა:

— თქვენ, უფროსო, ყველაფრის შესახებ ჰკითხეთ აი ბატონ ვატანაბეს. მე, მართალი თუ გნებავთ, ტექნიკური შემსრულებელი ვარ.

— იმასაც ვკითხავ, მაგრამ ახლა თქვენ გეკითხებით. გთხოვთ ზუსტად მიპასუხოთ.

— ორი გადმოვიდა, — მიუგო გუბინმა, — ეორონკოვი და კოზულია, კოლმეურნეები.

— რამდენი გადმოვიდა წითელარმიელი, მეთაური? რამდენი კოლმეურნეობა გადასწვით? რამდენი ხიდი გააფუჭეთ? რაო?... მიჩვენეთ ფურცლები. ვინ შეადგინა ეს ფურცლები? თქვენ, ვატანაბე? მე გადავცემ, სადაც ჯერ არს, რომ თქვენ უსარგებლო ბრიყვი ხართ.

მან წაიკითხა ფურცელი და გაიცინა.

— განგებ არის ასე დაწერილი? — ჰკითხა გუბინს.

უბრალო, ნათელი ტექსტია, — უპასუხა გუბინმა და თან ფანჯარაში გაიხედა.

— წაიკითხეთ ხმამალა.

გუბინმა გადახედა ვატანაბეს და დაიწყო გრძნობით, გამომეტყველებით კითხვა:

წითელარმიელეთ

ბატონო წითელარმიელებო. როდემდე უნდა ითმინოთ თქვენი მოშხამული ცხოვრება სსრკ-ში, სახელდობრ ბნელ წერტილში? დროა მიატოვოთ იგი.

განა არ გიფიქრიათ, რომ თქვენი მუშაობა კატორღაა. დიალ, ნამდვილი კატორღაა. თქვენი მუშაობის მიუხედავად, ცოტა პური გექ-

— გერმანელები საკმაონი არიან, — სთქვა მელერმა. — ბოლოს და ბოლოს, თუ საჭირო იქნება, მე თვითონ მოვეწყობი სექტთან.

2

ხანკის ტბის მახლობლად საზღვრის დათვალიერებისას კაპიტანმა იაკუიამამ შენიშნა თეთრგვარდიელთა საცხოვრებელი ადგილი — სამი ძველი ფანჯა პატარა მდინარის მოსახვევეში.

ძირმაგარ შამბნარზე შრებოდა დაფლეთილი საცვლები. ტალახიდან თავი ამოეყოთ მასში ჯერ კიდევ შემოდგომაზე ჩაყინულ ბოთლებისა და საკონსერვო ქილების ნატეხებს.

იაკუიამა შევიდა ამ პატარა სოფლის მამასახლისის გუბინის ფანჯაში. გუბინის შესახებ გაგონილი ჰქონდა, რომ იგი საზრიანი და იდეური კაციაო.

გუბინის ფანჯა ბნელი და ბინძური იყო.

— რუსებს სხვანაირად შეუძლიათ იცხოვრონ, — უთხრა იაკუიამამ მასთან მისულ გუბინს.

გუბინმა ხელები გაშალა და შენიშნა:

— ჩვენი გონება სხვა ფიქრებით არის გატაცებული.

— რით არის გატაცებული თქვენი გონება? ჰკითხა იაკუიამამ.

— სულ იმას ვფიქრობთ, რომ აქ დროებით ვცხოვრობთ, სულ მდინარის იქითა ნაპირს შევცქერით: ხომ არ დამდგარა დრო გადავიდეთ მშობლიურ მხარეში.

— როდის გაქვთ გადასვლის იმედი? — ზრდილობიანი სიძულილით ჰკითხა იაკონელმა.

გუბინმა ხელები გაშალა:

— ძალღონეს არ ვიშურებთ, ვცდილობთ ზოგიერთების გადაშობირებას ჩვენს მხარეზე...

— გვიამბეთ, როგორ გადმოიბირეთ.

გუბინი ფანჯარასთან მივიდა და იაკუიამა მიიწვია.

— აი ჩვენი ფურცლები, პროკლამაციები, ვამყარებთ ურთიერთობას კოლმეურნეებთან, ვაგროვებთ თანაშემწეებს...

— ბევრი შეაგროვეთ? — ჰკითხა იაკუიამამ ისე, რომ ფურცლებს არ მიჰკარებია.

— ისახება ზოგი რამ, — უპასუხა გუბინმა და მხიარულად გადახედა კაპიტანს.

— უკვე ბევრია დასახული? — ჰკითხა იაპონელმა.

— რა მოგახსენოთ, უფროსო...

— მე არ ვიცი, რა უნდა მომახსენოთ. ეს თქვენ უნდა იცოდეთ. შე მხოლოდ გეკითხებით — ბევრია დასახული?

გუბინმა ჰკვიანურად შეხედა და მოურიდებლად უპასუხა:

— თქვენ, უფროსო, ყველაფრის შესახებ ჰკითხეთ აი ბატონ ვატანაბეს. მე, მართალია თუ გნებავთ, ტექნიკური შემსრულებელი ვარ.

— იმასაც ვკითხავ, მაგრამ ახლა თქვენ გეკითხებით. გთხოვთ ზუსტად მიპასუხოთ.

— ორი გადმოვიდა, — მიუგო გუბინმა, — ვორონკოვი და კოზულია, კოლმეურნეები.

— რამდენი გადმოვიდა წითელარმიელი, მეთაური? რამდენი კოლმეურნეობა გადასწვით? რამდენი ხიდი გააფუჭეთ? რაო?... მიჩვენეთ ფურცლები. ვინ შეადგინა ეს ფურცლები? თქვენ, ვატანაბე? მე გადავცემ, სადაც ჯერ არს, რომ თქვენ უსარგებლო ბრიყვი ხართ.

მან წაიკითხა ფურცელი და გაიცინა.

— განგებ არის ასე დაწერილი? — ჰკითხა გუბინს.

უბრალო, ნათელი ტექსტია, — უპასუხა გუბინმა და თან ფანჯარაში გაიხედა.

— წაიკითხეთ ხმამალლა.

გუბინმა გადახედა ვატანაბეს და დაიწყო გრძნობით, გამომეტყველებით კითხვა:

წითელარმიელეზო!

ბატონო წითელარმიელებო. როდემდე უნდა ითმინოთ თქვენი მოშხამული ცხოვრება სსრკ-ში, სახელდობრ ბნელ წერტილში? დროა მიატოვოთ იგი.

განა არ გიფიქრიათ, რომ თქვენი მუშაობა კატორღაა. დიალ, ნამდვილი კატორღაა. თქვენი მუშაობის მიუხედავად, ცოტა პური გემ-

ლევათ. ცხოვრება მარტო სსრ კავშირში როდია, იგი ყველგანაა. განსაკუთრებით ჩვენს ტერიტორიაზე:

ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსვლა ადვილად შეიძლება უპასპორტოდ. გამოიქეცით და გადმოდით!

ჩვენი ქვეყანა—მანჯოუ-გო პურმარილიანი და სტუმართმოყვარე ქვეყანაა. ჩვენ იმდენი საკმელი გვაქვს, რამდენსაც მოისურვებთ თქვენ, გადმოსულვით.

ასეთი ბედი უკვე დიდი ხანია მოგვლით თქვენ.

თეთრი პური! კარაქი! რძე!

როგორ ცხოვრობს რუსი ეროვნება მანჯურიაში? მას მაგრა უჭერს მხარს ხელისუფლება.

თქვენ ბატონებო! მიატოვეთ თქვენი ახლანდელი ცხოვრება და მოდით ჩვენთან.

ღმერთმანი! ჩვენ დიდი სიხარულით შეგხვდებით თქვენ წითელ-არმიელებს.

ჩვენი ქვეყანა მოსავლიანია და წყნარი, აქ თავისუფლება და სამართლიანობაა.

ყოველივე ეს ეკუთვნის არა სხვებს, არამედ ჩვენ...

ბატონო! წითელარმიელებო! გამოიქეცით და გადმოდით...

რუსული ნაციონალური საზოგადოება სანჩაგოში 1933 წელი“.

— განა ამის წამკითხავი თქვენთან მოვა?—ჰკითხა კაპიტანმა-გუბინი ჩაფიქრდა და თვალები რბილ, აბრეშუმისებრ ფურცელს-მიაშტერა.

— რატომაც არა, შეიძლება მოვიდეს კიდევ, რაკი იგი იქ ცუდად ცხოვრობს, შეიძლება მოვიდეს.

—რამდენს იღებთ ჩვენგან, გუბინ?—და როდესაც პასუხი მიიღო, თავი ჩააქნია.—ბევრია. რამდენჯერ გადახვედით. საბჭოთა კავშირში? არც ერთხელ? ჰო, ჰო... დაუძახეთ თქვენებს!

ათი წუთის შემდეგ ქონში შევიდა ექვსი კაცი, რომელნიც ბოლ-შევიზმს გაექცნენ და მიწერილნი იყვნენ „სასაზღვარო საცნობარო ბიუროზე“.

—თქვენ ჯამაგირს იღებთ და მოვალენი ხართ იმუშაოთ,—უთხრა მათ კაპიტანმა დამტვრეულ რუსულ ენაზე.—საზღვარი.—ეს ომია. თქვენ აყვანილი ხართ სამხედრო აღრიცხვაზე. მაგრამ ისე კარგად არ მუ-

შაობდით, როგორც ეს საჭიროა სარგებლობის მოსატანად. გადაგიყვანთ ჯამაგირზე ოპერაციების მიხედვით. ვისაც არ მოგწონთ, განაცხადეთ და თქვენ ღმერთთან, იესო ქრისტესთან ერთად დასტოვეთ საზღვარი ოცდაათხი საათის განმავლობაში. საჭიროა მოქმედება. შესამოწმებლად დაგაყვალეთ რამდენიმე დივერსიას, ესე იგი შეგასწავლით ძირგამომთხრელ მუშაობას და ცეცხლის წაქიდებას.

ვორონკოვმა ხელი ასწია.

— დასწერეთ, მე არა ვარ თანახმა. ჯერ იმ წყეულმა ლუზამ გავიქირა საქმე, ახლა კიდევ რალაც ხიდიები ააფეთქეთო.

ფეხზე წამომხტარმა ვატანაბემ განმარტა, რომ მან დაამუშავა დივერსია— „25 ოქტომბრის“ კოლმეურნეობიდან აქტივისტისა და ყოფილი პარტიზანის ლუზას მოტაცება. ლუზა რაზმავს მესაზღვრე მონადირეებს, მეგობრობს ჩინელ არამზადებს, ხოლო ახლა საზღვარზე მოდარაჯე ძალების მოშენებას შეუდგა. ამ ლუზამ ამასწინათ კინალამ მოჰკლა ვორონკოვი, მოახდინა მათი ქონების რეკვიზიცია და გარეკანათესაეები.

— პირადი შურისძიების აქტია? — ჰკითხა კაპიტანმა. — არა ვარ წინააღმდეგი. მაგრამ ეს მათი პირადი საქმეა. წინააღმდეგი არა ვარ, რომ ეგ გეგმის გარეშე მოეწყოს.

იაკუიამა ისე წავიდა, რომ არც კი გამოთხოვებია მათ. ერთი დღის შემდეგ კი გამოგზავნა დივერსიის მოწყობის ანაზღაურების პირობები. ქალაქში ჩამოთვლილი იყო პირველი რიგის დავალებები: კოლმეურნეობის თავმჯდომარის ბოგდანოვის, გამაგრებული რაიონის უფროსის გუბერის, კომისრის შერშავინის, ინჟენერ ზვერიჩევისა და პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნის ვალეშის მოკვლა.

რუსებმა უარი სთქვეს ახალ პირობებზე და გაგზავნეს „საჩივარი „ბრატსტვო რუსკოი პრავდი“-ში. დაწვრილებით აცნობეს, რას მოითხოვენ მათგან და რისი თანახმანი არიან ისინი („25 ოქტომბრის“ კოლმეურნეობის თივის გადაწვა, ლუზას მოკვლა ან მოტაცება, ფერმის ძალების მოწამვლა).

ერთი კვირის შემდეგ რუსთა სოფელს ეწვია ბარონი ტორნაუ, „ბრატსტვოს“ წევრი, და ყოფილი ოფიცერი ვერესოვი, ისიც „ბრატსტვოს“ წევრი. მათ განუმარტეს რუს მოსახლეებს, რომ კაპიტან

იაკუიამას პირობები მიიღო „ბრატსტომ“, ხოლო მოსახლეებმა იცხოვრონ ისევე, როგორც ცხოვრობენო.

საზღვარს იქით, წითლებთან, უნდა წასულიყო ვერესოვი, ახალგაზრდა, მაგრამ, როგორც ამბობდნენ, საზღვარზე გადასვლაში გამოცდილი კაცი. ვერესოვი უკვე სამჯერ იყო საბჭოთა მხარეს, დასჯრა შლეგელი და შეეცადა მიხაილ სემიონოვიჩამდე მიღწევას, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ ორი კვირა გორაკებში იმალებოდა, სანამ შარაპოვმა არ იპოვნა.

რუსმა მოსახლეებმა შემთხვევით გაიგეს ვერესოვისაგან, რომ იგი დავალებული საქმის წარმატებით შესრულებისათვის მიიღებს სამჯერ მეტს, ვიდრე იაკუიამა მათ აძლევდა, რომ ანაზღაურებული იქნება საზღვარზე უდიდესიოდ გადასვლაც და რომ ვერესოვს სჭირდება გამყოლი „25 ოქტომბრის“ კოლმეურნეობამდე, რომელსაც იგი ფულს ჰპირდება.

— კარგ ფულს აკეთებ, ბატონო ოფიცერო, — უთხრა გუბინმა — რასა ჰგავს ეს: გამოდის, რომ თქვენ ხელშეკრულება ჩაგვიშალეთ და ჩვენს ზურგზე ფულის გამოქრას აპირებთ. მოგვეცი ნახევარი.

— აქ კოოპერაცია არ გახლავთ, — უპასუხა ვერესოვმა, — თუ გსურს, წამოდი, თუ არა დაწექ და დაიძინე. ჩინელს წავიყვან.

— კარგად კი გაჩარხეთ საქმე, — სთქვა გუბინმა და სწრაფად დათანხმდა.

დაბინდებისას გაუდგნენ გზას და მშვიდობით მივიდნენ ლუზას კარვამდე, სადაც გუბინს ვერესოვისთვის უნდა დაეცადნა, ვერესოვმა კი კომპასის საშუალებით გეზი გეორგიევისკენ აიღო. ღამე დაბრუნდებიო, — უთხრა გუბინს.

ა ბ რ ი ე ნ ი

აღმოსავლეთისაკენ ას ორმოცდაათი
თვითმფრინავი მიაქრისა.

I

ამ დროს ჩრდილოეთში, შორს საზღვრიდან, ქარი ტაივას აზანზარებდა. ტაივა აცახცახებული და გვერდზე გადახრილი იდგა. ხეებს

ტოტები ერთი მხრისაკენ გაეშვირათ, ისტერიკას აღარ ეძლეოდნენ, აღარ ცეკვავდნენ და მხოლოდ ხანდახან მოულოდნელად მათ შორადებოდნენ და უხმოდ შორს მიჰქროდნენ პატარა შტოები.

ჰაერი გაქედილი იყო გუგუნით.

მუწუკივით გალურჯებულ ყინულს ამურზე ქარისაგან ტყაცატყუი გაჰქონდა. ღუნე შავი წყალი მისრიალებდა ზემოთ, ყინულზე, შხეფებად იბნეოდა ჰაერში, ჰაერშივე იყინებოდა და, მწვეტიან ნამსხვრევებად ქვეული, ძირს ეცემოდა და თოვლს სჩხვლეტდა.

რაიკომში უკვე მეორე დღე შეუწყვეტლად მიმდინარეობდა სხდომა. ფანჯრებიდან მოსჩანდა საამშენებლო მოედანი. ტაიგისაგან გაშიშვლებულ უდაბურ ველზე აქა-იქ თავი წამოეყოთ ხეებს. დაბალი ბარაკები თოვლის ნამქერებივით იდგნენ. ყოველ ას ნაბიჯზე ქარისაგან თუნუქის საფრებით დაცული კოცონი იყო გაჩაღებული. კოცონებთან შეშა ეყარა. მათ შორის დაფოტხავდა დარაჯი, რომელიც ქარცახით ეყრდნობოდა გაყინულ თოვლს, კოცონებს შეშას აყრიდა. კოცონების დაბალი ალი არ აშუქებდა დაზამთრებულ ქალაქს. ორმოცდაათ გრადუსიან ყინვაზე მინასავით სკდებოდა ფოლიდის ხელსაწყო. ხელები იყინებოდა. ცხვირში ბალანი ერთმანეთს ეკეროდა და სუნთქვას აძნელებდა. სმენა იკარგებოდა. მხედველობა ფუჭდებოდა. მაგრამ მუდამ—ყინვაში თუ ბუქში—კოცონებთან ხალხი იდგა და თბებოდა. ამ შეხვედრაში ცეცხლთან იყო რალაც სამხიარულო, სადღესასწაულო, თითქმის სიტყვით გამოუთქმელი. უფრო მკაფიოდ ეს გრძნობა შეიძლება გამოიხატოს ამგვარად: მუშაობა გრძელდება და ყველა ცოცხალია; თუმცა გარეთ და ბარაკებში ყინვაა, თუმცა მომარაგება ცუდია, ხალხს არა სცალიან ავადმყოფობისათვის და მკურნალობაც შეუძლებელია, მათი ცოლშვილი შორს არის, სამუშაო კი დიდზე-დიდია და იგი ძნელია. მაგრამ მუშაობა მაინც გრძელდება და ხალხიც ცოცხალია. იმის შეგნება, რომ ვერაფერი ვერ შეაჩერებს ქალაქის ზრდას, ვერც ლაჩრების სულმოკლეობა, ვერც ყველაზე თავდადებულთა დაღუპვა, ვერც გაჭირვება და მარცხი, გამოხატული იყო კოცონებში, დღისით და ღამით გაჩაღებულ კოცონებში. ამის გამო ყოველგვარი სიძნელე თითქოს პირადი სულმოკლეობის გამოხატულება იყო და არავის სურდა მათზე ხმა-მართლა ლაპარაკი; როგორც საკუთარ მანკზე.

ქარის ზუილში ზოგჯერ საიდანღაც მოისმოდა აფეთქების ყრუ ზრიალი, და ერთი წამით ჰაერში ჰქროდა თბილი, გადაბრუნებულ მიწიდან ავარდნილი ორთქლის ღრუბელი. თბილი მიწა მყისვე იფარებოდა თრთვილის ვერცხლისფერი აბლაბუდით. მიწა იკუმშებოდა გაყინულ გუნდებად და იქცეოდა გამურულ ხორკლიან ყინულად.

რაიკომში მეორე ღამე ისმენდნენ მოხსენებას გზის შესახებ. ერთად-ერთი გზა ახალი ქალაქიდან ხაბაროვსკისაკენ, მხარისაკენ, ქვეყნისაკენ — ყინულოვანი შარაგზა ამურზე — ქარიშხალმა დაამსხვრია. სხვა გზა არ იყო. ნაადრევ გაზაფხულზე ჰაერი გაუვალია თვითფრინავებისათვის, თაობითვე გაუვალია ტაიგაც. ამურის გზა დაიმსხვრა, მაგრამ მაინც ეს იყო ერთად-ერთი გზა და ამ გზაზე, დამსხვრეულ და აყირავებულ ყინულზე უნდა გაეგლოთ მანქანებს მედიკამენტების მისატანად. დაყოვნება შეუძლებელი იყო.

ნანაელები უარს ამბობდნენ წასულიყვნენ გამყოლებად ამ გიჟურ რეისში, და მართლაც შემზარავი იყო გასვლა თოვლის ამ საშინელ ბურუსში, რომელიც ნთქავდა კოცონებისა და ავტომობილების ცეცხლს. მაგრამ არჩევანი არ იყო. რაიკომში შეეძლოთ თავი ენუგეშებინათ აფორიზმით: გამოუვალი მდგომარეობა მით არის კარგი, რომ ასეთ მდგომარეობას ჩვეულებრივად ღირსეულად აღწევს კაცი თავს.

კოლონის უფროსად არჩეულ იქნა მარჩენკო, ჩუმი, უნდო და მუდამ ავადმყოფი ადამიანი გააფთრებული მგლის ხასიათით. გადაწყვეტილების ერთი საათის შემდეგ მარჩენკო გაუდგა გზას სამი სატვირთო მანქანით. ქარბუქი ჰაერში ატრიალებდა ლითონის მტვერივით აწეწილ თოვლის ბასრ გუნდებს და ჰაერში გაბნეულ მდინარის წყლის პატარა ყინულებს. ამ თეთრი ხაზების, წერტილებისა და ლაქების ტრიალის გამო კაცს თვალთ უბნელდებოდა და სული ეხუთებოდა.

იმ დღეს ბევრნი ფიქრობდნენ მედიკამენტების გაგზავნაზე ახალ ქალაქში. ინჟინერი ლუბენცოვი, რომელიც ჯერ ტყეს ჩეხავდა, მერე, ფეხის მოტეხის შემდეგ, წვერს პარსავდა პირველ მშენებლებს, მანქანის საჭეს მიუჯდა და იმაზე ოცნებობდა, რომ გაზაფხულამდე უბრალო შოფერად ყოფილიყო. ახლა იგი ნახევარტონიანი მანქანით მიეშურებოდა ვოლოჩაევკიდან ჩრდილოეთისაკენ, თან მიჰ-

ქონდა წამლებით სავსე ყუთი და მიჰყავდა ოთხი მგზავრი, მათ შორის ბავშვი და ქალი.

ქალი ლუბენცოვის გვერდით იჯდა, ბავშვი—სხვისი და არა მისი ბავშვი—ქალის მუხლებზე სთვლემდა, ხოლო ორი კაცი ბრეზენტის ქვეშ ძარში ცახცახებდა. ერთი მათგანი ბავშვის მამა იყო. დროგამოშვებით ბავშვი შოფერის კაბინის უკანა საკერეტს აკაკუნებდა და წვრილი ხმით იძახდა:

— მამა, ცოცხალი ხარ?..

ზოგჯერ იგი ლუბენცოვს უხსნიდა თავისი შემფოთების მიზეზს:

— საწინელება იქნება, თუ მამა გაიყინა. სხვა არაფერია გეყავს, მგ კი პატარა ვარ.

ლუბენცოვი ყოველ საათს აჩერებდა მანქანას და ანჯღრევდა მგზავრებს.

დაიწყო ღამე—თეთრი, ამღვრეული, ფხვიერი.

გეოლოგი და ჰიდროტექნიკოსი ჩუმად იწვნენ, ფილტვებს უფრო თხილდებოდნენ. ოღრო-ხოღრო გზებზე გეოლოგის წვერს, რომელიც ქალზე დაკიდებულ შანებსა ჰგავდა, ჩხრილი გაჰქონდა. მას შიში იპყრობდა, თავს აქნევდა და სდუმდა.

— ერთი საათის შემდეგ ტროიკოვ უნდა იყოს,—სთქვა ლუბენცოვმა.—ქმართან ერთად სამუშაოზე მიდიხართ?

— დიალ, სამუშაოზე.

— ნუ გეშინიათ, მივალწევთ. დაუკაკუნეთ, არ ჩაეძინოთ ძარში. თქვენი სახელი?

— ოლიმპიადა. განა არ გახსოვართ? მე ხომ ზუეეთან ვცხოვრობდი მაშინ, როდესაც ის ამბავი მოხდა.

— არ გახსოვს. რა ამბავი?

— აი თქვენი შვებულების ამბავი. მე ცოლად გავეყვი შოტმანს, მოხუცს.

— შოტმანს? სად არის?

— ძარში. ვერ იცანით? წვერი მოუშვა, ალბათ, იმიტომ ვეღარ იცანით.

მანქანა მიფოთხავდა ყინულოვან ოღრო-ხოღრო გზაზე, უკანა ბორბლები უცურდებოდა, ტრიალებდა, სადღაც მიეჭანებოდა. წინ შინა გაიყინა, თუმცა სპირტით იყო გაწმენდილი. ფარების ყვითელი

სინათლე ნისლში ეხვევოდა და მხოლოდ თვალს აბნელებდა. მგზავრები ვერაფერს ხედავდნენ.

— დაუკაკუნეთ, არ დაიძინონ! ჰეი, სოლომონ ოსკაროვიჩ, უდროოდ დროს მიემგზავრები!

წინ ბურქმა გაიღვია. რა ეშმაკია! ბურქი შუამდინარეში? ალბათ, მოეჩვენა. მანქანა მარჯვნივ გადაიხნიქა, ძარი რალაც მაგარს დაეტაკა. ლუბენცოვმა მანქანა მარცხნივ გადასწია, დაამუხრუჭა... ეშმაკმა უწყის, რა ამბავია — სინათლის შუქზე ლუდის მსგავსი ამღვრეული წყალი გამოჩნდა. მანქანის უკანა ნაწილი ნელნელა წყალში ეშვებოდა ძარის ქვეშ მოქცეულ ყინულის ნატეხთან ერთად.

ძარიდან რალაც გაუგებარი დაიძახეს.

— მოემზადეთ, ვალენტინა, გადასახტომად.

— ბიცოლას ლამპიანა მქვია, — შენიშნა ბავშვმა, რომელიც ებღაუჭებოდა ყველაფერს, რაც კი ხელთ ხვდებოდა.

— აა! ორივენი გადახტით, როცა გეტყვით...

მან განავითარა პირველი სიჩქარე გაზის მთელი ძალით, დაატრიალა საჭე, სწრაფად იწყო გადასვლა მეორე სიჩქარეზე, მესამეზე, ასწორებდა ძარს, შემდეგ გადავიდა მეოთხე სიჩქარეზე, მაგრამ არა, არ იძროდა... კვლავ მესამე სიჩქარეს დაუბრუნდა. მანქანა გაქანდა მღვრიე აქაფებულ წყალზე.

— ბორბლები ნახევარ მეტრამდე წყალშია, — წაიბუტბუტა მან და შუბლიდან სველი ქუდი გადაიგდო. — ფუ... არჩევანი არ არის, არაფერი არ არის, გაეწიოთ, — კვლავ წაიბუტბუტა.

ბავშვმა ჩუმად ჩაიციხა.

— არჩევანი არ არის, არაფერი არ არის, — გაიმეორა მან დიდის კმაყოფილებით.

უფრო ნათელი და მომქანცველი ხდებოდა ქარბუქი. თვალს სჩხვლეტდა საშინელი დაღლილობა. თოვლი თანდათან თეთრდებოდა. — ეს განთიადია. ბორბლების ქვეშ ირყევა და ილუნება ყინული. შანქანას ფრთები მოეყინა. მანქანა ნელა, ძლივს-ძლივობით მიდის.

უეცრად ბორბალი უცნაურად დატურდებდა. მანქანა ჰაერში შეხტება.

— მაგრა ჩასკიდეთ ხელი!

მაგრამ კაბინის კარები ერთბაშად გაიღება. ლურჯი ყინული მაშინვე შეიჭრება კაბინაში, ფეხებ ქვეშ. ოლიმპიანა ყინულზე დაეცემა, გაისმის ფეხის ფხაკუნის და...

— მამა, ნუ გძინავს!

მაგრამ რალაც ძალა ბავშვის ყვირილს გარედ ისერის.

ლუბენცოვი მოტორს აჩერებს და უკან იხედება. ძარა ცარიელია. მამაკაცები დახრილან ქალის კივილზე. ლუბენცოვი გადმოხტება ყინულზე, დაცურდება და ადგება ოცი ნაბიჯის მანძილზე მანქანიდან. მანქანა თითქმის გვერდზე გდია, ყინულის ნატეხისაგან აყირაყებული.

ლუბენცოვს მიუახლოვდება ყინულით დაფარული ნაცრისფერი არსება.

— ლუბენცოვ, — ეუბნება არსება. — ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ბავშვზე. ეს არის ჩვენი საერთო აზრი.

— მე ოცდაორი საათი საქესთან ვზივარ. არაფერი არ მესმის, — ძლივს ამბობს ლუბენცოვი.

მაგრამ მასთან უკვე მიიღობინა ტანმორჩილმა ჰიდროტექნიკოსმა, ბავშვის მამამ.

— მოძრაობა, მოძრაობა! — ყვირის იგი. — ერთი, ორი, სამი! აბა სწრაფად!

იგი ყალბი ხმით იწყებს სიმღერას:

Смело, то-ва-ри-щи, в ногу...

— აბა, ადექით...

იგი რევოლვერს ამოიღებს, და ყველანი იწყებენ ფეხების ბაკუნს და ხტომას.

— იხტუნეთ, მაღლა ასწიეთ ფეხები! — გაჰყვირის ჰიდროტექნიკოსი. — ნუ გერიდებათ. ერთი, ორი, სამი...

— ილიოტობაა, — ამბობს თუ ფიქრობს ლუბენცოვი და ვერ ამჩნევს, რომ ეცემა.

ამ დროს მათთან მარჩენკოს მანქანა მივა. შოტმანი ეუბნება:

— ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ბავშვზე. წაიღეთ მედიკამენტები, წაიყვანეთ ბავშვი და დაბრუნდით მშენებლობაზე.

მარჩენკო ფიქრობს.

— მე წავიღებ მედიკამენტებს და თან წავიყვან ქალს, ბავშვს

და ერთ მამაკაცს. ორი კი თქვენს მანქანასთან დარჩება. გზაზე ვეტყვი ნანაელებს, რომ თხილამურებით მოვიდნენ და დაგეხმარონ.

ჭიღროტექნიკოსმა წინადადება შეიტანა — წილი ეყარათ, მაგრამ შოტმანმა მკაცრად და გადაკრით შეუტია:

— მე ყველაზე უფროსი ვარ ხნით და მუშაობით. წავლენ ბავშვი თავისი მამით და ქალი, ჩემი ცოლი. მე და ლუბენცოვი დავრჩებით, აბა, სტარტი!

ლუბენცოვი და შოტმანი სხდებიან დასახიჩრებულ სატვირთო მანქანის კაბინაში და თავზე და ტანზე ქურქს იხურავენ. თავი თავზე აქვთ მიღებული, ერთმანეთს თვალბეჭეში აორთქლებენ, და აღვილად ეძლევიან მთვლემარე ძილს, ძილს სიცხადეში, როგორც ავადმყოფობის დროს. მათ თავზე გადაიქროლა მფრინავმა სევასტიანოვმა, შემდეგ მფრინავმა ფრენკელმა, მაგრამ მათ ვერაფერი ვერ გაიგეს. ესიზმრებათ ქარბუქი, სიცივე, სიზმარში ისინი მერხებზე წვანან და ცეკვავენ თუ ჭიდაობენ, ისე რომ ბეჭები უწივით.

პირველმა გაიღვიძა ლუბენცოვმა. ესმის, რა მძიმედ სუნთქავს შოტმანი და აცმაცუნებს გაწამებულ ტუჩებს. ლუბენცოვი, შიშისაგან აკანკალებული, აღვიძებს.

— სოლომონ ოსკაროვიჩი, — ამბობს იგი. — სოლომონ ოსკაროვიჩი, გაიღვიძე. გამიგონე. მე არამზადა ვარ, სოლომონ ოსკაროვიჩი. ახლა ვიცი, რომ არამზადა ვარ. როდესაც ადამიანი კვდება, მთელ ცხოვრებას ხედავს.

— მაშინ არც უნდა გეცოცხლა, — ძლივს ჩურჩულებს შოტმანი, უცბად უნდა მომკვდარიყავ ინტერესისათვის. უმჯობესია გაჩუმდე, ნუ მიბერავ თვალბეჭეში.

— სოლომონ ოსკაროვიჩი, ძვირფასო, — ეჩურჩულება ლუბენცოვი, რომელმაც არ იცის, რა გააკეთოს, რა მოიმოქმედოს.

— ჩუ, ჩუმად! — ამბობს შოტმანი, — ნუ მიშლი. როცა ლაპარაკობ, მიბერავ, ჩუმად ისუნთქე. ჩუ...

ლუბენცოვი ძლივს გაიშვერს ხელებს მისკენ, მოეხვევა, გულში ჩაიკრავს, როგორც ბავშვს.

— შოტმანი, — ჩურჩულით ეუბნება, — შოტმანი, ძვირფასო, შენ რომ დამელუპო... ესლა მაკლია, ესლა მაკლია.

ასე სძინავთ დიდხანს, დიდხანს, გაუნძრევლად. ჩუმად სუნთქავენ. მათი ოხვრა ნელია. ნელია მათი აზრები. ირგვლივ უფრო და უფრო თბება, უფრო და უფრო ცხება.

ნანაელთა ბანაკში ხმაური იყო. დილიდანვე შეუდგნენ ღმერთების ცემას. პირქვე აწვენდნენ ხის ღმერთებს და სცემდნენ, თან დასძენდნენ: უნდა იმუშაოთ, როგორც ყველა მუშაობსო.

დემიდოვი თოვლზე ხოხვით გაემართა ამ საინტერესო სანახაობაზე. ხელში გრძელი, დანა ეჭირა. ამ დანას არკობდა ყინულში, ებლაუქებოდა და წინ გადაჰქონდა ტანი, შემდეგ კვლავ არკობდა და ასე სდგამდა „ნაბიჯს ხელებით“. ძლიერი ქარის გამო სხვაგვარად სიარული შეუძლებელი იყო.

— რატომ სცემთ ღმერთებს? — იკითხა მან, როდესაც კარავში შეძვრა.

— სულ გაფუქდნენ, — უთხრა ქალარა ნანაელმა, რომელსაც ხელში გრძელი, იატაკამდე დაშვებული ჩიბუხი ეჭირა, — წინათ რაც უნდა გვეთხოვა, ყველაფერს გვისრულებდნენ, ახლა კი თხოვნით ველარაფერი გაგვიწყვია.

— რა გპირიათ?

— ხალხი ძალზე ავადმყოფობს, — განუმარტა მოხუცმა. — ცუდი წელიწადი დაგვიდგა, ნადირი აღარ არის, ნადირი შორს წავიდა, რუსებმა დააფრთხეს. ზამთარი რომ დადგა, ვიფიქრეთ, თევზის ქერას შევეუდგებოდით, თქვენებმა კი მდინარეზე გზა გაიყვანეს, ყინულის ჩამტვრევა აღარ შეიძლება. ცუდად ვცხოვრობთ.

— შეაბი ძაღლები, — უთხრა დემიდოვმა, — წავიდეთ ქალაქში. თითოეულ ღმერთში ვიძლევი თითო ტომარა ფქვილს. ღმერთებს მუზეუმს გადავცემ. ღრეისისათვის მოვცემ ორ ტომარა გაყინულ თევზს. ხოლო თუ ერთ კაცს გადავარჩენთ, — იგი დამტვრეულ მანქანაში დარჩა მდინარეზე, — კიდევ თითო ტომარა ფქვილს მიიღებთ თითო კაცზე და ერთ ყუთ თამბაქოს ყველანი.

— ერთი ყუთი კამფეტიც დაუმატე, — უთხრა მოხუცმა. — როდესაც რუსებთან ვიყავი და ვთხოვე აქედან წასულიყვნენ, კამფეტები მაჭამეს. მერე მომცეს კამფეტები და გამომაგდეს. შემდეგ ორჯერ

კიდევ ვიყავ მათთან და მაშინაც მომცეს. ოლონდ საშიშია იქ. მიწა ძალიანით ღმუის, ჰაერში მიჰქრის, ირგვლივ ცეცხლია.

— გაძლევ ხუთ ყუთ კამფეტს, წავიდეთ.

გაულდგნენ გზას ექვსი მარხილით.

როდესაც დაიძრნენ, მოხუცმა ისევ გააჩერა მარხილი.

— იმ კამფეტს „დათვი“ ჰქვია, — სთქვა მან. — სხვას არ მივიღებთ.

— კარგი. თუ გინდა „სირაქლემას“ მოგიტან, ოლონდ მომეშვი.

ლუბენცოვი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ შოტმანი მკვდარი აიყვანეს.

მარხილები საავადმყოფოსთან გააჩერეს. ნანაელებმა ასწიეს შოტმანი, ლუბენცოვი, ოთხი ყველაზე საპატიო. ღმერთი და სახლისაკენ გაემართნენ.

— აღამიანები სახლში შეიყვანეთ, ღმერთები კი ჩემთან წამოათრიეთ, — უბრძანა დემიდოვმა.

დემიდოვი ოლგასთან ჩამოხტა, იანკოვის ყოფილ სახლში, და მთელ დღეს იქ იჯდა, გარეთ არ გამოსულა. მეორე დღეს კარები დაუკაკუნეს ნანაელებმა მახლობელი ბანაკიდან.

— გვითხრეს, ღმერთებს ყიდულობ. ტროიკელებისაგან წამოგიღია, ჩვენგანაც წაიღე. ძვირად არ დაგიფასებთ.

— დააწყეთ მანდ, კუთხეში, — უთხრა დემიდოვმა. — მუშაობა გინდათ?

— გვინდა, ძალიან გვინდა.

— რამდენი მარხილი შეგიძლიათ გამოიყვანოთ?

— ათი.

— დილით აქ იყავით. მეზობლებს თუ შეგნებებით, მათაც გადაეცით.

შემდეგ მარჩენკოსთან წავიდა მოსალაპარაკებლად.

უკვე საღამო იყო. დემიდოვი დიდხანს დადიოდა ქალაქის მოედანზე, მარჩენკოს ეძებდა. იგი პარტახნომაზე ნახა. მოსკოვში საექსკურსიოდ ჰგზავნიდნენ დამკვრელ ნანაელს ბენ-დი-ბუს. ნათესა-

ვები ურჩევდნენ — წაეყვანა თან ძაღლების ორი შებმა. მარჩენკომ დაარწმუნა, საჭირო არ არისო.

— ჩემი ნანაელები უყურადღებოდ მიტოვებული დამრჩნენ, — უთხრა დემიდოვმა პარტკომის მდივანს მარჩენკოს. — მეგონა, ისინი მონადირეები და მეთევზეები იყვნენ, მაგრამ ნადირი დიდი ხანია აღარ ასაზრდოებს მათ, თევზის ჭერა კი არ იციან.

მარჩენკო ფერდაკარგული იჯდა და განუწყვეტლივ იმეორებდა: „შოტმანი, ჰა, შოტმანი. თავს მოგვჭრიან მისი გულისთვის“. მაგრამ დემიდოვს ყურადღებით უსმენდა.

— ხვალ ძაღლების საკითხს პარტიული წესით დავსვამ, — სთქვა მან. — დაამუშავე შენს ჯგუფში. ჩვენს მხარეში ძირითადი პიროუტყვი ძაღლია, ჩვენ კი ვერიდებით მასთან მუშაობას, ჯიშებს იცნობ?

— ეშმაკმა იცის მათი ჯიშები! მე მგონია, ისინი უჯიშონი არიან.

— მე კი მგონია, ძაღლების ქარხანა უნდა მოვაწყოთ, ახალი ჯიშები გავაჩინოთ. უნდა აღვრიცხოთ, რამდენია აქ სამგზავრო და შონადირე ძაღლი, უნდა გამოვიწეროთ ძაღლების საქმის მცოდნე პროფესორი.

— სისულელეა, მარტო ძაღლები ვერ გვიშველიან.

— მეთევზეობის სისტემის ძირფესვიანად შეცვლა — ეს ერთი, ძაღლების გამრავლება-გაუმჯობესება — ეს ორი, სასოფლო მეურნეობის შექმნა — ეს სამი, სწავლება — ეს ოთხი. მეტად საზრიანი ხალხია. მარჩენკომ მოქანცული, მოჭუტული თვალებით შეხედა დემიდოვს და გაიღიმა.

— ბენ-დი-ბუ მოსკოვიდან დაბრუნდება და მის თანაშემწედ გახდება. რას მოგაქვს თავი ბელადად? მისგან ისეთი ოსტატი უნდა გამოიყვანო, რომ ყველაფრის გაკეთება შეეძლოს.

დემიდოვმა თავი დაუქნია, დავა ზედმეტი იყო. მარჩენკოს მიზაილ სემიონოვიჩის სკოლა ჰქონდა გავლილი: იტყვის და გააკეთებს.

— Do you learn English? ¹⁾

— რაო?

¹ ინგლისურს სწავლობ?

— გასაგებია. მეცადინეობას არ ესწრები. ენებს არ სწავლობ-
იცოდე, როდისმე საყვედურს მოგარტყამ ყველაფრისათვის.

დაწოლისას დემილოვმა ოლგას უთხრა:

— წადი ვარვარასთან, მარტოა. ქარხანა პატარა საქმე როდია.
დილას, როდესაც ოლგამ გაიღვიძა, მაგიდაზე ბარათი ნახა:
„ღმერთები — ექვსი დიდი, სამი პატარა, შვიდი ნახევარ-ღმერ-
თი — ჩააბარე მუზეუმს ხელწერილ ქვეშ. დედას მოკითხვა გადაეცი“.

ხალხი აღმოსავლეთისაკენ მიეშურებოდა და თან უამრავი მოთ-
ხოვნილება მიჰქონდა, ამ მოთხოვნილებებზე ზრუნვისათვის ძალა და
საშუალება არ ჰყოფნიდათ. მოითხოვდნენ თამბაქოს და თეატრებს,
ბინებსა და თექის ჩექმებს. ასანთს საკომისიო მაღაზიებში ჰყიდდნენ.
მსახიობები ძველ პიესებს დაკერებულ ტანისამოსში თამაშობდნენ,
უდეკორაციებოდ, თითქოს ნოვატორობის მოსაზრებით, ნამდვილად
კი სილარიბის გამო, რომლისაგანაც გამოსავალი არ არსებობდა.
ხალხს ტაიგაში, მთებში, ზღვის უდაბურ ნაპირებზე უგზავნიდნენ
ექიმებს და თეატრებს. ექიმები მისდევდნენ საბარგულები წამლით,
საწოლებით, ხელსაწყოებით. თეატრები სალებავებსა და ტილოებზე
გაჰყვიროდნენ.

ნანაელი მონადირეები უამბობდნენ ერთმანეთს უძალლო მარ-
ხილებზე, რომლებიც თოვლიან მინდვრებზე დაჰქრიან, და თვით-
მფრინავეებზე, რომლებიც ყრუ ტაიგაში ცხოვრობენ.

დიალ, თვითმფრინავეები ტაიგაში ცხოვრობდნენ.

დიალ, მიდიოდნენ ქვემეხების ეშელონები, მიდიოდნენ თვით-
მფრინავეები, მიდიოდნენ ტანკები, წინ კი მათ აღამიანი მიუძლოდა-
იგი მიდიოდა ტაიგაში, ფეხს იკიდებდა საზღვარზე, მიცურავ-
და ზღვაში და აშენებდა ქალაქებს.

შუა ზამთარში ოლგა ჩრდილოეთიდან პოსიეტში დაბრუნდა,
ვარვარა ილინიშნასთან.

ჩრდილოეთში კმრის გასტუმრების შემდეგ ვარვარა ალგინის ქარ-
ხნის მშენებლობაში ჩაება. ოლგა ეხმარებოდა მოხსენებითი ბარა-
თების წერაში, ხოლო საღამოობით ხმამალა კითხულობდა ამხანა-
გების წერილებს ტაიგიდან.

ეს წერილები საესე იყო აღფრთოვანებით იქაური ცხოვრების გამო. ოლგას ეჩვენებოდა, თითქოს იგი იყინება მიყრუებულ პროვინციაში და იმსკვალება შურით ამხანაგებისადმი, თუმცა ახალი ქალაქის მშენებლობაზე და საბადოებზე უფრო მეტი სიყრუე იყო და ისინი უფრო დაშორებული იყვნენ ქვეყანას, ადამიანები კი ყველგან ერთნაირები არიან.

აპრილში ოლგა ხაბაროვსკში წავიდა წყალმცენარეთა ფაბრიკის ხარჯთაღრიცხვის დასაცავად, რადგან ხმა გაეარდა, რომ მშენებლობას შეაჩერებნო. ოლგამ ორი მოხსენება გააკეთა ამ საკითხზე მხარეთმცოდნეობის საზოგადოებაში და გაზეთში დასწერა დიდი სტატია ახალ საშენ მასალაზე წყალმცენარეობაზე.

ზოგს იგი იოდით არწმუნებდა, ზოგს ალგინით ზღვის კომბოსტოსაგან, ზოგს კიდევ აძლევდა რეცეპტს: ერთი ვედრო ალგინი, სამი ვედრო თიხა, ერთი ვედრო ქვიშა — და აუღებელი ციხტ-სიმაგრის თიხას მიიღებთო. სხვებს არწმუნებდა, რომ ფილოსპადიქსით გატენილი ლეიბი წყალში არ იძირება და საზოგადოდ ჩინებულაო.

შემდეგ ოლგა ჩაეწერა მისაღებთა სიაში მიხაილ სემიონოვიჩის სანახავად.

მისაღებ ოთახში არავინ არ იყო, მაინც ლოდინი დიდხანს მოუხდა.

დავალებათა შემსრულებელი ჩერნიაევი შეშინებული უგდებდა ყურს ხმას, კაბინეტიდან რომ მოისმოდა, ხშირად შედიოდა კაბინეტში და ყოველთვის უფრო და უფრო შეშფოთებული გამოდიოდა.

მიხაილ სემიონოვიჩი მართლაც მარტო იყო და ფიქრობდა ეს საღამო ოლგასთან საუბარში გაეტარებინა. მაგრამ მის მოსვლამდე ნახევარი საათით ადრე ჩერნიაევი ერთი დასტა დეპეშა შეუტანა. მიხაილ სემიონოვიჩმა თვალი გადაავლო დეპეშებს, და საშინელი მარტოობისა და დადლილობის გრძობამ შეიპყრო. მხოლოდ ახლა გაიგო და შეიგრძნო მთელის არსებით თავისი ნწუხარება. მოკვდა, არსებობა შესწყვიტა, შესწყვიტა ცემენტისა და ლურსმანის გამოთხვა შოტმანმა. მიხაილ სემიონოვიჩის სულში შოტმანის სიკვდილი თანდათან ტრაგედიისა და კატასტროფის ხასიათს ღებულობდა. ეს სიკვდილი თითქოს ჯერ კიდევ გრძელდებოდა. შოტმანი ჯერ კიდევ კვდებოდა მის მიერ წამოწყებულ მრავალ ათას საქმეში, და აი ახ-

ლა განსაკუთრებით შეიპყრო სევდამ და შეშფოთებამ მიხაილ სემიონოვიჩი.

სოლომონ შოტმანი წაიქცა, როგორც ექსპრესი სრული გაქანების დროს, და ერთბაშად გათელა რამდენიმე უცხო ადამიანის არსებობა და არიგ-დარია უამრავი საქმე და ურთიერთობა ადამიანთა შორის. ვინ იქნება ახლა ოქროს პატრონი? ვინ მოგვიტხრობს ტანგის ზნე-ჩვეულებებზე და ვინ მოიყვანს შორეულ საბადოებიდან ვილაც ბავშვებს-სასწავლებლად, ვილაც მოხუცებს საჩვენებლად? ვინ გაუძღვება ექსპედიციებს? ვინ იბრძოლებს ნახევარი ტონა ცემენტის მისაღებად რომელიღაც შორს მიგდებულ კლუბისათვის, რომლის ადგილამდისაც სამ წელიწადს ვერ მიაღწევს კაცი?

აი დებეშები ყოველი მხრიდან. ეძებენ შოტმანს. იგი სწვრდა წიგნს ოქროზე, დაპირებული იყო ორი მოხსენების წაკითხვას ვლადივოსტოკში, ზრუნავდა ჩუკოტსკის შორეულ კოლმეურნეობისათვის სამხარეო-სამიწათმოქმედო ორგანოებში, ჰყავდა ოთხი სტიპენდიტი დედა-ქალაქში... და ყველა ისინი ახლა გაიძახიან: შოტმანი, მოგვეცი შოტმანიო.

მიხაილ სემიონოვიჩმა თავი დახარა ქალღღებზე.

„რა უდროო დროს გაქრა“, — ფიქრობს იგი უკმაყოფილო, თითქმის სჯეროდა კიდევ, რომ დადგებოდა ისეთი დღე, როდესაც ეტყოდა შოტმანს: „წადი ახლა, მოკვდი, თუ სურვილი გაქვსო“.

იმ აზრმა, რომ შეიძლება თითონაც მოკვდეს, ყველაზე უკანასკნელად გაუელვა თავში, მაგრამ ეს იმდენად შეუძლებლად მიიჩნია, რომ თავიდან იშორებს ასეთ აზრს.

მიხაილ სემიონოვიჩს სიკვდილისა არ ეშინოდა. ის ისე შეეზარდა ცხოვრებას, ისე მძლავრად გაიღვა მასში ფესვები, რომ ზოგჯერ შეუძლებლად მიაჩნდა თავისი ავად გახდომაც კი.

იგი ძალამომატებულ, გამაგრებულ ადამიანად გრძნობდა თავს. ცოლი ვასილისა თითქოს მისი სინაზის სექცია იყო. მთელი თავისი სინაზე მიხაილ სემიონოვიჩს გადაცემული ჰქონდა ცოლისათვის, ის განავებდა და მართავდა ამ საქმეს. როდესაც საჭირო იყო ვისიმე გამხნეება, მოფერება, მიაღერება, შინ ურეკავდა ცოლს: „მიიწვიე სტუმრად არტემი, მივალერსე, და იცოდა, რომ იგი ისე მოიქცეოდა, როგორც საჭირო იყო. მეტად ცნობისმოყვარე და დაუღეგარი იყო

მისი ქალიშვილი ზინაიდა. ზინაიდა განაგებდა მისი სულის იმ ნაწილს, რომელიც, მიუხედავად ორმოცდათხუთმეტი წლისა, ჯერ კიდევ ეტანებოდა გასართობ ფიზიკას, თვითმფრინავების მოდელებს და ზღაპრებს, ყველაფერს, რისი წყურვილიც ბავშობისას ვერ მოეკლა.

მაგრამ ეს იყო მისი ცხოვრების მხოლოდ პატარა წრე, მას მოსდევდა დიდი წრე. აქ ლუზას დაკისრებული ჰქონდა სიმღერების ცოდნა, ომის შესახებ მკითხაობა, ნადირობა და წუწუნის იმაზე, რომ ღრო ნელა მიდიოდა. ხოლო შოტმანს ეკუთნოდა ბუნება. აი ეს ქვები მაგიდაზე, ქვანახშირისა და მადნეულის ნამსხვერეები ისე აწყვია, როგორც შოტმანის სხეულის ნაქრები. შოტმანმა თავისი თავი უფრო მეტ მარადიულ სიდიდეში გაანაწილა, ვიდრე მიხაილ სემიონოვიჩმა — ხეში, მიწაში, მადნეულში.

მიხაილ სემიონოვიჩი ხელში იღებს ქვანახშირს, სპილენძს, კალას, ანჯღრევს ნავთიან შუშას. ზედმიწევნით იცნობდა შოტმანი ამ ნივთებს. მეიერხოლდისა არაფერი არ გაეგებოდა, არ უყვარდა იგი, ქვანახშირს კი იცნობდა, ზღაპრებს არ კითხულობდა, მაგრამ ასობით მოგიყვებოდათ, კაცმა არ იცოდა—საიდან და როგორ.

მიხაილ სემიონოვიჩი თავს აქნევს და ჩუმად ეუბნება თავის თავს:

— შოტმანის დაკარგვით ჩვენ ასე კაცი დაკარგეთ.

ამით იმის თქმა როდი უნდოდა, რომ შოტმანი ასე კაცის მაგიერ მუშაობდა, მაგრამ შოტმანი ას თუ ორას სულს მოერეკებოდა ყოველი კუთხიდან, ზრდიდა მათ, აბამდა საქმეში. ახლა კი ყველა ისინი უთაოდ დარჩნენ, ველარც ნახავ მათ, ველარ მიაგნებ, ვერ მიხვდები, რა საქმისათვის ზრდიდა მათ განსვენებული შოტმანი, რისთვის ამზადებდა.

— ეჰ, სოლომონ, სოლომონ, — ბუტბუტებდა მიხაილ სემიონოვიჩი, — რა ჰქენი, რა ჩაიდინე...

მოკვდა დიდი სულისა და ნაყოფიერი შრომის ადამიანი.

დაიხუჭა შორსმჭვრეტი თვალები, დაუჩიდა ფხიზელი ყური, დადუმდა ცხოვრების წვრილმანებში ჩამწვდომი ტვინი, აღარ მოძრაობენ შრომისმოყვარე ხელები, ფეხები, რომლებსაც მანძილისა არ ეშინოდათ, შეჩერდა ღრმა სიყვარულის დამტვევი გულა, რომელიც მხოლოდ სიმხნევის განსახიერება იყო, მოკვდა ნიჭიერი ბოლშევიკი — და ასე კაცით შემეცირდა ხალხი ჩვენს მიწა-წყალზე.

მიხაილ სემიონოვიჩმა მხოლოდ ღამის მეორე საათზე მიიღო ოლგა. ელაპარაკა ვარვარა ილინიშნაზე, ომის საფრთხეზე.

დაამთქნარა.

— ორ წელიწადს კიდევ რომ გასტანოს ამ საფრთხემ, პირველ ადგილზე გამოვალთ კავშირში. ძალიან ხელს გვიწყობს ეს საფრთხე. არაფერს არ იშურებენ ჩვენთვის.

შემდეგ გულგრილად და თითქოს უცაბედად ჰკითხა:

— ეგ რა ფაბრიკა ააშენეთ პოსიეტში? რალაც წებოო.

— როგორ, არ იცით? განა თითონ თქვენ არ გაიღეთ ფული და მერე თვითონვე დახურეთ იგი.

ოლგამ უამბო ფაბრიკაზე, მაგრამ დაუმალა თავისი სიარული ინსტანციებში.

— ჰოო... — წაიბუტბუტა ფიქრებში წასულმა მიხაილ სემიონოვიჩმა. — ჰოო... ვიცოდი, რომ შენ იყავი. ექვსი დღეა ყოველი მხრიდან მირეკავენ. ერთს დაჰპირდი ფაბრიკას, მეორეს — წებოს, მესამეს რალაც ძენძი მიჰყიდე. რეკლამას უკეთებ რალაც წებოს... ჰო, ჰო...

ამოიოხრა. ამ წუთს იგი არაფერზე არ ფიქრობდა.

— ყველაზე მეტად მაინტერესებს თიხა, რომლის შეწებვასაც შენ აპირებ, — სთქვა მან. — სად შოულობ ამდენ თიხას? მე ვიტანჯები უთიხობისაგან. დამიმზადე იაფი რუსული თიხა და შეგიძლია მისი წებვა რითაც გასურს. ნამდვილი თიხა. შენ კი გვაჩეჩებ წებოს უთიხოდ, თვითონ თიხა კი არავეს არა აქვს.

მიხაილ სემიონოვიჩი ხელში სწვდა ოლგას.

— სულელო გოგონა, სჯობს აგურის ქარხანა აგვიშენო. რას იტყვი, ჰა? — და შეარხია ოლგას ხელი. — რაც შეეხება წებოს, მაგ თავშესაქცევარისთვის ოცი ათასს მოგცემ. შეიძლება, ორმოციც მოგცე. ჰა, მოდის?

— კარგი, ვიფიქრებ.

მიხაილ სემიონოვიჩი ერთბაშად გამხიარულდა.

— რაც შეეხება წყალმცენარის ფაბრიკას, მაშინებს, — უთხრა ნდობით: — არაფერი არ გამოგვივა და უაგუროდ დავრჩებით. მაშ შევთანხმდით? ქვანახშირი წინ მიდის, ნავთი პირველ ადგილზე გამოვიდა.

მან კვლავ შეარხია ოლგას ხელი და გულკეთილად, თითქოს ძალზე მხიარულ ამბავს უამბობსო, უთხრა:

— იცი, სტეპან ზარეცკი მაინც ჩავსვით.

— როგორ?

— ისე. მე მუდამ ვამბობდი, რომ ტაიგას მხიარული ხალხი სკირია. მოწყენილი კაცი იქ უეპველად გაიყინება. ეს უკვე გამოცდილებით დადასტურებული ფაქტია. ერთის სიტყვით, ზარეცკისთან დივერსანტებმა თავიანთი ბაზა მოაწყეს. გესმის? ზარეცკისთან მშენებლობაზე ერთ თვეს ცხოვრობდა მურუსიმა—იაპონელი ჯაშუში. წარმოიდგინე. ძალიან კი დავამუშავეთ ზარეცკი. გაბრაზდა, ნაწყენი დარჩა. რითი შემძღია ვუპასუხო ასეთ სამარცხვინო დამუშავებასო. დამუშავებას მუშაობით უპასუხე მეთქი, ვუთხარი მე, სცადე მეთქი. მან კვლავ თავისი გააბა, ჰო-და... ახლა მინდა ვარვარა გავგზავნო ტაიგაში.

— ტაიგაში?

— ხომ არ შეიძლება მთელი სიცოცხლე სამოქალაქო ომის გმირად დარჩენა? შეხედე ვასილ ლუზას — ისიც კი ძალებს ამრავლებს, ცდილობს. რატომ უნდა იჯდეს შინ ვარვარა? აღარ არის თქვენი წყალმცენარე, დაეხურე, ეშმაკს ავკიდე ზურგზე. ვარვარას საქმე ამოიწურა, ის კი ნამდვილი გმირია. რა უნდა აკეთოს? ტაიგაში, ტაიგაში! მხიარული ხალხი ტაიგაში უნდა წავიდეს.

— მე და ის ერთად აგურის ქარხანას ვაგვიჩარხავდით.

— რატომ ერთად? ნუ ეტმანები სხვის სახელს, ოლგა, თვითონ იქვეც ადამიანად. ამიშენე აგურის ქარხანა და მერე თუნდა ჩრდილოეთის პოლიუსზე წადი.

გამოთხოვებისას კვლავ დალონდა.

— რას შერებიან ადამიანები თქვენთან? — ეკითხება იგი. — ხომ იზრდებიან, ხომ მიიწევენ ზევით? გაამრავლე ადამიანები, რამდენიც არ უნდა აღზარდო, მაინც ცოტა იქნება. აი შოტმანი მოკვდა, ოლია, — ამბობს ის შეწუხებული სახით. — მისი შეცვლა კი არ შეგვიძლია, მისი ადგილი შეუვსებელი რჩება. დიდი ტევადობის ადამიანი იყო.

— მართალია, — ამბობს ოლგა, ფერწასული, — ძალიან მიყვარდა იგი.

გაახსენდა შოტმანი, ჩრდილოეთის პროკურორი, სუსხიანი ტა-
აგა, იქაური ცხოვრების უზომო გაჭირვება.

— მიხაილ სემიონოვიჩ, რა უნდა ვქნა? — ამბობს იგი. — დედა
ქმარსა მთხოვს. დამანახვე შენი ქმარიო, ჩამცივებია. ეშინიან. ტაი-
გაში დაეხეტები, ვინ იცის, რას გადაეყრებო. უნდა გამოვტყდე,
დაეპირდი, გაზაფხულზე გავთხოვდები-მეთქი. რა უნდა ვქნა ახლა?

— ტყუილების მორევში ჩაფლულხარ, — ამბობს მიხაილ სემი-
ონოვიჩი. — ახლა ოცი წლის განმავლობაში სულ ტყუილს ილაპარა-
კებ და მაინც ცოტა მოგეჩვენება. ძნელი რამ არის ტყუილი: იქნებ
ქმარი გყავს კიდევ? სთქვი, ნუ გრცხვენია.

ფიქრებში გართული ტუჩებს აცმაცუნებს და თვალმოჭუტული
ამბობს:

— მივლინებას მოგცემ მოსკოვში, ამხანაგო ხლებნიკოვა. ალგი-
ნის საქმე ხომ მაინც უნდა წავეწიოთ წინ. ზე ხელმოკლეობის გამო
შევაჩერე იგი. თუ კი ფულს მოგვცემენ, კვლავ გაეჩარხაეთ. ხომ სწო-
რია? წადი მოსკოვში, სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, მიაკითხე,
აგიტაცია გასწიე. ქარხანა ხომ გამოიგონე, წადი ახლა და დაამ-
ტკიცე, რომ იგი საქირია. გადაწყვეტილია, ხომ? არა, რასა ჰგავს მარ-
თლა ეს, — გამოგონებაში ყველანი ოსტატები ხართ, თუ ბიჭები
ხართ, აიღეთ და მოაწყეთ. გადაწყვეტილია, უნდა წახვიდე.

ოღვა რომ გააცილა, სავარძელში ჩაჯდა და სწრაფად ჩასთე-
ლიმა ტელეფონის დაწკარუნებამდე.

2

მურუსიმა საზღვარს გადავიდა როგორც მათხოვარი. იგი მიჰყავ-
და ძველ მეგობარს, ენაამოგლეჯილ და ყურმოჭრილ მა ჯუნ-სიანს.
მა ჯუნ-სიანი სასაზღვრო ქურდი იყო. იგი დაასახიჩრა ხაილარის მო-
სამართლემ ფიცის გატეხისათვის, მაგრამ ირწმუნებოდა, რომ იაპო-
ნელებმა თუ რუსებმა დამასახიჩრესო, როგორც ამას გარემოებამ მო-
ითხოვდა. მათ გეორგიევკას შემოუარეს და სასაზღვრო სადარაჯოს
წინა მხარეს მიადგნენ, მაგრამ უკან დაიხიეს: ბილიკებზე ძალები
იწვნენ. გადასწყვიტეს, „25 ოქტომბრის“ კოლმეურნეობის მინდვრებით
გაევლოთ, მაგრამ ბედმა აქაც უმტყუნა მათ — ვილაც კაცი მთელ
ლაშქარს ფონთან იჯდა. მაშინ ისინი სხვადასხვა მხრით წავიდნენ. დი-

ლით მურუსიმა თეთრგვარდიელთა სოფელს მიაღვა, მა ჯუნ-სიანო კი ლუზას ტყვიამ იმსხვერპლა.

კაპიტანი იაკუიამა თავაზიანად შეხვდა მურუსიმას, მაგრამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს არაფერი იცოდა მისი წერილებისა და დაბეზლების შესახებ.

საუზმის შემდეგ მათ საქმიანი საუბარი გააბეს.

— თქვენ, ჩემო მეგობარო, მართებულად არ გესმით თქვენი გზა, — დაიწყო მურუსიმამ.

მან იაკუიამას მაგიდაზე დაინახა მარქსისტული წიგნები და მიუთითა მათზე.

— ჩვენ, მზვერავები, ისეთი ადამიანები უნდა ვიყვნეთ, როგორც შეგვიძლია ვიყოთ, როგორც ვიქნებოდით, მზვერავები რომ არ ვყოფილიყავით. თქვენ შეიძლება იყოთ ვაჭარი, იაკუიამა, რადგან კომერცია მოსდგამს ჯანსაღ ენერგიულ კაცს, მაგრამ არ შეგიძლიათ იყოთ ის, რაც არ უნდა იყოთ, — მაგალითად, კომუნისტი. იაპონელს ეს არ მოსდგამს, მერწმუნეთ. მე ოთხი წელიწადი სასულიერო სემინარიაში გავატარე, მაგრამ ხუცესი არა ვარ, თუმცა ვერ წარმომიდგენია მზვერავი, რომელიც განურჩევლად ეპყრობოდეს რელიგიას. გაამრავლეთ, იაკუიამა; გადმოსახლებულები, კორეაში მე შეიდი ათასი კაცი მყავს, გახსენით კანტორები.

— ბატონო მურუსიმა, გეუბნებით, როგორც უფროსს, გულწრფელად, ეძიეთ პროვოკატორები, ზარდეთ დივერსანტები და მიაფურთხეთ თქვენს შეიდი ათას გადმოსახლებულს ან ათი ათას პარიკმანერს.

— არა, არა, იაკუიამა, არ შეიძლება მაგრე მოუფიქრებლად მოქმედება. თქვენ იცით, რომ გერმანელებს ჯერ კიდევ ომამდე ინგლისში ათი ათასი თავიანთი მეზღვაური ჰყავდათ.

— ... მიუხედავად მაგისა, ინგლისის ფლოტი ბატონობდა ზღვებზე. ბატონო მურუსიმა, პროვოკატორი აქტიური მზვერავია: ბატონო მურუსიმა, თქვენ მუშაობდით, როგორც დამკვირვებელი და ცნობების შემკრები, მაგრამ დრო მეტს მოითხოვს. ვიგებ, ვანგარიშობ და ვანგრევე.

— ზარბაზნების ცეცხლი ხშირად აშუქებს უკვე მოგებული ბრძო-

ლის ველს. ჩვენ გვმართებს ვიმუშაოთ ზარბაზნების მოსვლამდე და დაეამთავროთ საქმე უზარბაზნებოდაც კი.

— მას შემდეგ, რაც კომინტერნი არსებობს, — მიუგო იაკუიამამ, — ჩვენ ველარ ვახერხებთ დადებითი პროგრამების დანერგვას ხალხის მასებში. ჩვენ აღარ შეგვიძლია იმედების დამყარება თქვენს ათი ათას პარიკმახერზე, გადმოსახლებულზე და პროსტიტუტზე. ჩვენ აღარ შეგვიძლია ხალხის შერჩევა, აღარ შეგვიძლია ვუთხრათ მათ: იყავით ჩვენს მხარეზეო. მათ უნდა ვუთხრათ: „იყავით ამისა და ამის წინააღმდეგ თქვენს წრეში“. წინააღმდეგ ყოფნა უფრო ადვილია, ვიდრე მომხარედ ყოფნა.

— ეგ ფაშიზმია, — სთქვა მურუსიამამ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ უფრო მაღლა დგას, უფრო ჰკვიანია იაკუიამაზე, და არა თუ მაღლა დგას, უფრო მართალიც არის, და არა თუ მართალია, სავსებით მტრულ წინააღმდეგობაშიც არის იაკუიამასთან, თუმცა ორივე იაპონელია და ორივე მხვერავი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

იაკუიამა შეჭყურებდა და ზიზლით იღიმებოდა. მოხუცი მურუსიმა აბრაზებდა. ბებერი იყო იგი, შურიანი, კარგ ფულს იღებდა და ზვერვაში და ეს საქმე საკუთარ მეურნეობად მიაჩნდა.

იაკუიამას უკვე წაკითხული ჰქონდა მურუსიმას დაბეზღება და ახლა საპასუხო დაბიზღებისათვის ემზადებოდა.

— ყველაფერი სწრაფად, ყველაფერი მაღე, ყველაფერი ალაღბედზე, არავითარი რწმენა ისტორიისა, არავითარი ანგარიში წლობით, — განაგრძო მურუსიამამ. — თქვენ არა გწამთ, რომ ცოცხალი იქნებით ოცი წლის შემდეგ და გსურთ ყველაფერი გარდაქმნათ ერთ, ორ წელიწადში. ასეთი ფიქრი მავნებელია. მე კი, მისმინეთ, იაკუიამა, ვმუშაობ როგორც შემნახველი სალარო — ვაგროვებ, ვაგროვებ, ვაგროვებ ადამიანებს, ვაწვდი და ვაწვდი მათ ქორებს, ამას, იმას, ვეხმარები, თვალ-ყურს ვადევნებ — დეე იცხოვრონ, დეე იარსებონ. ისინი ოდესმე გამომადგებიან. ყველა ფიქრობს, რომ ისინი, ეს ადამიანები, არ არსებობენ, ისინი კი არსებობენ. ისინი მხოლოდ ჩუმი, სულელი ხალხია, მათ არაფერი იციან, ისინი სდუმან. დეე სდუმდნენ. მოვა მათი დრო. თქვენ კი... თქვენი სისტემით ჩვენ ყოველ ორ-სამ წელიწადს უნდა ვიომოთ, რადგან პროვოკატორებს არ შეუძლიათ დიღხანს დარჩენ

უსაქმოდ, დივერსანტებისათვის მოსაწყენია და საზარალო თავშეკა-
ვება.

— რისთვისაა საჭირო, ბატონო მურუსიმა, უქნარა ჯაშუშების
ეს კონსერვები, რომლებსაც თქვენ უკვე ოცდაათი წელიწადია ამზა-
დებთ? რად მინდა კონტრაბანდისტებად და გარეწრებად გამხდარი
თქვენი ათი ათასი პარიკმახერი, თუ საკმაო იქნება სულ ათი პოლი-
ტიკური მოღვაწე? და არა ათი წლით, არამედ ათი თვით. თქვენ
ჰქმნით ჯაშუშებს, რომლებსაც ვერ გამოვიყენებთ. ცუდია, თუ კო-
რეიაში ათი ან ოცი ათასი ჯაშუში გვეყოლება. სიხიფათოა და უნა-
ყოფო ჯაშუშების ასე გამოკვლევა. მომეცით ათი ბელადი და გაჰყა-
რეთ ათი ათასი მონა.

— იაკუიამა, თქვენი აზრი შეცდომებით არის სავსე. მონები
საჭირონი არიან, ბელადები საჭირონი არ არიან. ჩემი ხაზი მონების
შექმნის ხაზია. მე უკვე მივაქციე თქვენი ყურადღება ლამაიზმზე!).
ფრიად სიმპატიური სარწმუნოებაა. იგი ღაღადებს: არ შეიძლება არა-
ვის მოკვლა, *თვით მწერისაც კი. გაავრცელეთ ეს მოძღვრება, იაკუ-
იამა. დეე მთელ მონლოლეთს სწამდეს ლამაიზმი. გაუმარჯოს ლამა-
იზმს! ავრცელეთ იგი ორმოცდაათი წლის განმავლობაში. ოჯახის ორი
წევრიდან ერთი უექველად ლამა? უნდა იყოს, — ამბობს ეს სარწმუ-
ნოება. დიად, დიად. ორი შეილიდან ერთი უექველად ლამა უნდა
იყოს, ძვირფასო იაკუიამა, იყვირეთ — ლამას არ უნდა ჰყავდეს ოჯახი,
ის გატაცებული უნდა იყოს მხოლოდ ლოცვითა და წმინდა წიგნების
კითხვით, ლამას არ უნდა ჰქონდეს მეურნეობა და იგი განთავისუფ-
ლებული უნდა იყოს სამხედრო სამსახურისაგან. გთხოვთ, გაავრ-
ცელოთ ეს მოძღვრება, ვინაიდან ახლაც მონლოლეთის მოსახლეობის
თითქმის ნახევარს ლამები შეადგენენ. ისინი არ მისდევენ არც ომს,
არც სამეურნეო საქმიანობას, არც პოლიტიკას, არც ვაჭრობას. ისინი
კისერზე ასხედან ხალხს და ლოცულობენ. გაუმარჯოს ლამაიზმს! მე
მინდა, რომ ყველა მანლოლი ლამა გახდეს და მაშინ მოვიყვან ჩვენს

1) ლამაიზმი — სარწმუნოება, რომლის მიხედვითაც ნეტარების მიღწევა
შეიძლება მხოლოდ ყოველივე მიწიერზე უარის თქმით. იგი გავრცელებულია
ჩინეთში, ტიბეტში, შუა აზიის მონლოლთა ტომებში.

2) ლამა — კულტის მსახური ტიბეტში, მონლოლეთში.

ბიკებს ხოკაიდან, ორს თითო ლამაზე, და ისინი უჩვენებენ ყველას, თუ რას წარმოადგენს იაპონია.

ასე დაობდნენ ისინი და ყოველი სიტყვის შემდეგ უფრო მეტად სძულდათ და ეზიზღებოდათ ერთმანეთი.

მურუსიმას იაკუიამა მიაჩნდა ახალგაზრდა პატიემოყვარე კარი-ერისტად, სახიფათო აზრებით გამსჭვალულ უქნარად, ხოლო იაკუიამა მოხუც მურუსიმას სთვლიდა წვრილ ჩარჩად, ცხოვრებას ჩამორჩენილ კაცად, ისეთ კაცად, რომელიც სულელურად დარწმუნებულია, რომ მისი პარიკმახერები, მრეცხავეები და მეგაზეთეები, რომელნიც მას შემოსავალს აძლევენ, ოდესმე მართლაც გამოსადეგნი იქნებიან.

„ოცდაათი წლის განმავლობაში იკერს და ჰყრის თავის ვედროში თევზს და დარწმუნებულია, რომ ეს პატრიოტიზმია, — ფიქრობდა იაკუიამა და თან უღიმოდა, თავს უხრიდა მურუსიმას. — ეს არის გმირობა ჩვენი ძველი ჯაშუშებისა, რომელნიც ოც-ოცი წლობით ვაჭრობენ ბაზარზე ძონძეულით და რომელთაც გენერალური შტაბის დიპლომები აქვთ. ეს არის წვრილი რანტიების გმირობა. ისინი მოწყალეებას ითხოვენ, ამავე დროს იღებენ ჩინებს, ჯამაგირს, ორდენებს. თავის მხრივ ოპიუმით და ძონძეულით ვაჭრობა შემოსავალს იძლევა“.

მურუსიმამ და იაკუიამამ ერთმანეთი გამოლანძღეს, მაგრამ ერთი წუთითაც არ სტოვებდნენ ერთმანეთს. არც ერთი და არც მეორე არ გადიოდა სახლიდან, თითქოს ეშინოდათ, არ დაშორებოდნენ ერთმანეთს, რომ ურთიერთისათვის გამცემლობა არ დაებრალებინათ.

იაკუიამამ გადაშალა წიგნი, მურუსიმამ კი დაიწყო სააგენტურო ქსელის რუკის შედგენა და ხმამაღლა ჩურჩულით ახასიათებდა ბევრ საბჭოთა ადამიანს:

— ზვერიჩევს უყვარს ძველი მობინადრე ჩინელები, დიდი პორიზონტის კაცია.

— მოკლულ უნდა იქნას, — სთქვა იაკუიამამ.

— ლუზა ფრიად აქტიური მოხუცია, მეგობრობს ჩინელ პარტიზანებს.

— მოკლულ იქნას, — სთქვა იაკუიამამ. — ცოცხალი დასტოვებ მხოლოდ ხარახურა და ნაგავი, ყველა დანარჩენს ტყვია გულში. ფურთხის ღირსია რუსეთი უკუნითი უკუნისამდე.

— თქვენ კონიუნქტურული კაცი ხართ, მსუბუქი პეპელა, იაკუიამა.

— პირიქით, ჩემი სიძულილი მარადიულია. წითლები ჩემი მტრები არიან, როგორც გველები, სულ ერთია, მკბენენ თუ არა.

— მოკვლით თქვენ უფრო აფრთხილებთ მათ.

— სამაგიეროდ მე თვითონ უფრო გაბედული და გამოცდილი ვხდები.

— არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ჩვენ, იაპონელები და რუსები, ოდესმე მეგობრები ვიქნებით...

— არა მე და თქვენ, მურუსიმა, და არა ეს რუსები. ისინი უნდა მოისპონ. ხომ გაიგეთ?

— იაკუიამა, თქვენ...

— თქვენ, მურუსიმა, იმდენხანს ვაპრობდით აბრეშუმით რუსეთში, რომ უკვე ფიქრობთ მის კეთილდღეობაზე. მე ვაფურთხებთ თქვენს აბრეშუმს და რუსების კეთილდღეობას. იმისათვის, რომ ვიცოდე, თუ ვინ უნდა მოვკლა, არა მპირდება თქვენი სულელური ქსელი—მე იმათ გაზეთებს ვკითხულობ.

— თქვენ სპობთ მრავალი ათეული წლის ნაყოფს, თქვენ ინტრიგანი ხართ, იაკუიამა, საშინელი სადისტი. პოზიორი. ვითომ ესეც რევოლუციონერია.

— თქვენ ხომ თავის დროზე სასულიერო სემინარია დაამთავრეთ, მურუსიმა, და მართლმადიდებელი ხუცესიც კი იყავით. ახლა თქვენი პროფესია საპირო აღარ არის, ხოლო ტროცკი დაზვერვის ნიცშეა, პანიკისა და პროვოკაციის მოციქული.

— ნიცშე? — შეეკითხა გაბრაზებული მურუსიმა, გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის ძველი თაყვანისმცემელი.

— უფრო მაღლა, უფრო მაღლა! ჩვენ მივიღეთ: შულმაისტერი, ჭეინცე, ტროცკი—სამი ვაჟაკი, სამი ჯაშუში. იკითხეთ ტროცკი. დაივიწყეთ თქვენი აკაფისტები.

— ეგ სულ თეორიაა, — შეჰყვირა მურუსიმამ. — უფალო იესო ქრისტე, ეგ მხოლოდ თეორიაა, მე კი პრაქტიკოსი ვარ, მე ღროში ვმოქმედებ.

— საკჭროა არ არის ოცი წელიწადი ტაიგაში დაჰყო, რათა სთქვა, რომ ეგ თქვენი ზარეცკი სულელია. როდესაც ვკითხულობ,

რომ მას ხუთი საყვედური აქვს მიღებული ტყის ჩეხვის ჩაშლისათვის, ვაზობ—ჯერ კიდევ იცოცხლოს ზარეცკიმ. ეს არის და ეს.

ასე გაატარეს მათ თითქმის შეიდი დღე, სანამ ორივენი მუკდენში არ გაიწვიეს.

იაკუიამას უთხრეს, შეეთავსებინა აქტივობასთან სიფხიზლე, ხოლო მურუსიმას უბრძანეს, მომზადებულიყო ბარგუში წასასვლელად, სადაც მონღოლებს პატრიოტიზმი უნდა შეასწავლოს.

გახარებულმა იაკუიამამ მოხუცს აჩუქა მისი ახალი მოღვაწეობისათვის სასარგებლო ბევრი წიგნი: „ჩინგიზ-ხანის ცხოვრების აღწერა“, „მონღოლეთის მიმოხილვა“, „აზიის სამი გმირი“ (ჩინგიზ-ხანი, თემურლენგი და ხიტო-იოსი) და ახლად გამოსული ბროშურა „მონღოლები იაპონელები არიან“.

— მე ვიზიარებ თქვენს აზრს, — სთქვა იაკუიამამ, — რომ წიგნები კაცობრიობის საუკეთესო კაპიტალია.

მურუსიმამ გამოთხოვებისას უთხრა:

— ვისაც სურს საიდუმლოდ შეინახოს მანქანის არსებობა, იგი შლის ამ მანქანას ერთმანეთისაგან დამუქიდებელ შემადგენელ ნაწილებად, რომელთაც უცხო პირი ვერაფერს გაუგებს.

— ბატონო მურუსიმა, თუ თქვენ იცავთ ათი ათას პარიკმახერს, გეტყვი: მათ შეუძლიანთ არსებობა მხოლოდ როგორც პარტიას ან კავშირს. მოაწყეთ პარტია, რომელიც თქვენს მიზნებს სამსახურს გაუწევს. ყველაფერი დანარჩენი ბოდვაა. გთხოვთ, ნუ გამირისხდებით. ცხოვრება დიდად შეიცვალა მას შემდეგ, რაც თქვენ სამხედრო აკადემია დაამთავრეთ.

მურუსიმა. დიდი აზრი აქვს დროულად მოთხრობილ ქორს, გავრცელებულ ხმას, წაკითხულ გაზეთს... თქვენ, იაკუიამა, არ აღევ-

1) ჩინგიზ-ხანი (1160—1227) — მრავალი ქვეყნის დამპყრობი და მონღოლეთის იმპერიის დამაარსებელი.

თემურ-ლენგი (1336—1405) — აღმოსავლეთის დამპყრობი და შუა აზიის იმპერიის დამაარსებელი.

ხიტო-იოსი (1534—1598) — იაპონიის პოლიტიკური მოღვაწე და სარდალი.

ნებთ თვალყურს იმას, როგორ მუშაობენ წითლები ჩვენში, ნიჰონში, და აქ, ჩინეთში.

ი ა კ უ ი ა მ ა. ჩემო პატივცემულო მეგობარო, წითლები ამ მუშაობისათვის არ კირაობენ ჯაშუშებს. ისინი წარმოადგენენ პარტიას, ისინი ავრცელებენ და კითხულობენ იმას, რაც მათ მოსწონთ, რაც მათ ცხოვრებისათვის სჭირდებათ. მათ ვერ აიძულებთ ჩვენი ქადაგების გავრცელებას. ბოლოს, ისინი სრულიადაც არ იმალებიან, და მე პატივსა ვცემ მათ. თქვენი პარიკმახერები კი ორმოცი წლის განმავლობაში აგროვებენ თავიანთ შემოსავალს, ბანქოს თამაშობენ და უსაქმურობის გამო იგონებენ თქვენთვის მორიგ ნაკრებ ცნობებს, რათა არ დაკარგონ უფლება პენსიაზე.

მ უ რ უ ს ი მ ა. მაგრე მარტივი არ არის საქმე. მოსმინეთ პატარა ისტორია. ცეილონზე, ძვირფასო კაპიტანო, არიან მწერები, ეგრეთწოდებული ფილისები. ისინი სავსებით გვანან იმ ხის ფოთლებს, რომლებზედაც ცხოვრობენ. მარტო ფილისი როდი ჰგავს ფოთოლს. მისი კვერცხებიც მთლად მცენარის თესლსა გვანან. ფილისზე ისეთივე ძარღვებია, როგორც ფოთოლზე, იმავე ფერისაა, როგორც ფოთოლია, და როდესაც ბუჩქის ფოთოლი ყუაულდება, ყვითლდება იან ეს უცნაური არსებანიც. ყოველი კარგი ჯაშუში ფილისია.

ი ა კ უ ი ა მ ა. წარმოდგენილი მაქვს, რითი გათავდება ეგ ერთ მშვენიერ დღეს. თქვენ დასთესთ ჯაშუშებს და მემამბოხეებს მოიმიკით. მაპატიეთ, მაგრამ მე ბოტანიკოსი არა ვარ. მე ჯარისკაცი ვარ. ეგ თესლი, რომელიც ამასაც ჰგავს და იმასაც, საექვოდ მიმაჩნია. ჩვენ უკვე იმდენი პარიკმახერი და მზარეული გამოვზარდეთ, რომ თუ მოვისურვებთ, მთელ ჩინეთს გავპარსავთ ან მოვწამლავთ ამა თუ იმ წესით. მაგრამ დღემდე ეს არ მომხდარა.

მან ხელი ჩაიქნია:

— თქვენი ფილისების კვერცხებს კიდევ ერთი საზიზღარი თვისება აქვთ—მათგან ხშირად იჩეკება არა ის, რასაც მოელი.

მ უ რ უ ს ი მ ა. მაშასადამე, დაზვერვა აღარ არსებობს?

ი ა კ უ ი ა მ ა. ბატონო მურუსიმა, არსებობენ პოლიტიკური მოღვაწეები და პარტიები. დაზვერვა, ნება მომეცით მოგახსენოთ, მე-

თოღია და არა მიზანი. გისურვებთ ბედნიერად ყოფნას ახალ სამუშაოზე.

მაშინ მურუსიძემ უთხრა:

— მისმინეთ, თქვე ჩამლრძვალო ჩრჩილო. თქვენ ენა აალაპაკეთ იმიტომ, რომ ჩვენს ყველაზე უფრო გამოყეყეჩებულ საზღვარზე მუშაობთ. აქ არ არის საჭირო დიდი კკუა, მაგრამ რას იზამდით, ბამბის მოსაყვანად რომ გაეგზავნეთ სპარსეთში, საბჭოთათურქმენისტანისა და ავღანისტანის მახლობლად? იქ ჩვენ ავიობაზა გვაქვს—ერთ გადასასვლელზე თურქმენებისაგან, ერთ გადასასვლელზე ავღანელებისაგან. რას გააკეთებდით ჩვენს აბისინიის კონცესიაზე რომლის თვითმფრინავები ერთნაირად ემუქრებიან იტალიელებს კირენაიკში და ინგლისელებს არაბეთში? რას გააკეთებდით ჩვენს კაუჩუკის კონცესიაზე ბორნეოში, რომლის თვითმფრინავები ემუქრებიან ინგლისსაც და ჰოლანდიასაც? განა ვიცით, ვისთან უფრო ადრე მოგვიხდება ომი? მზვერავი საქმეში სიძულილსაც განიცადის და სიხარულსაც, მაგრამ მისი საქმე მიკრობივით უჩინარია დრომდე. უფრო ხშირად იფიქრეთ იმაზე, რაც გითხარით. წაბრძანდით

3

უკრაინიდან შორეულ აღმოსავლეთში მიდიოდა ეშელონი მფრინავთა ცოლებით და ბავშვებით. მეოცე დღის დამლევს გადალახეს ურალი. გაზაფხული ვიატკასთან ჩამორჩათ. მათ წინ გადაიშალა სველი მთებითა და ნესტიანი ტყეებით შემოსილი ციმბირი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულიყო ზამთრის სუსხისაგან.

ყველა პირველად მიემგზავრებოდა იქით და, როგორც ყოველთვის უცნობი ადგილისაკენ მგზავრობისას, იხსენებდნენ კორებს, შორეულ ნაცნობთა ნაამბობს, გადმონაცემს, კითხულობდნენ ქმრების წერილებს, და რადგან არ შეეძლოთ წარმოედგინათ, რა შეხედებოდათ მათ ოკეანეს ნაპირებზე, მომბებზრებლად, მრავალჯერ უამბობდნენ ერთმანეთს თავიანთ პირად მგზავრობას უკრაინიდან ყირიმში ან ბელორუსიიდან ყუბანში. შემდეგში წერილებიც მოსწყინდათ, ამბების გადაცემაც მობეზრდათ, და ბევრი მთელ დღეს საწოლზე გორაობდა. ჯერ კიდევ ურალამდე გადასწყვიტეს ეშელონის მამასახლისი-ქალის არჩევა და ყოფაცხოვრების მოგვარება. ეშელონი ნელა

მიდიოდა და საწოლებზე გორაობა ძალზე მომამბეზრებელი იყო. აირჩინეს კლავდია გოლუბევა, რომლის ქმარი „გამანადგურებელზე“ მუშაობდა, როგორც უბრალოდ უწოდებდნენ ქალები გამანადგურებელ ავიაციას.

რაც უფრო შორს მიდიოდნენ აღმოსავლეთისკენ, მით უფრო მიყრუებული და ერთფეროვანი ხდებოდა ბუნება. დაუსრულებელი ტყეები, ხანგრძლივი ქარები, გრძელი, თითქმის მთელ დღეს ჩამოწოლილი ღრუბლები. ასეთი ღრუბელი გაწოლილია სამას კილომეტრზე, მთელი დღეობით ცეკვაობს ქარი, კვირაობით გადაშლილია თვალწინ ტყე შავ-მწვანე ზოლად, და მგზავრებს ეჩვენებათ, რომ ისინი შედიან ველურ, უსულდგმულო ქვეყანაში, სადაც ყველაფერი უზარმაზარია—ღრუბელიც, ტყეც, მარტოობაც. უკრაინის გაზაფხულს იგონებდნენ, როგორც შარშანდელს. სანამ ჩავიდოდეთ, კიდევ მოგხუცდებითო, — ამბობდნენ ისინი. და რაც უფრო მიიწევდნენ აღმოსავლეთისკენ, მით უფრო ნელა მიდიოდა ეშელონი, მით უფრო ხანგრძლივად ჩერდებოდა პატარა ბინძურ სადგურებზე, სადაც ხედავდნენ ჩუმ, პირქუშ ხალხს, სადაც წინ უშვებდნენ საქონლით დატვირთულ მარშრუტებს და მატარებლებს შეგროვილი მუშებით.

აღმოსავლეთისაკენ დიდძალი ხალხი მიეშურებოდა. მიდიოდნენ მარტოხელნი, ოჯახები, ბრიგადები, კოლმეურნეობები. მიდიოდნენ მიწის მუშები, მეთევზეები, დურგლები, სამთა-მადნო მუშები.

ბაიკალის შემდეგ მათ ხვდებოდათ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმავალი მუშა-მატარებლებიც.

— რომელ ქალაქიდან მოდიხართ?—ეკითხებოდა მათ გოლუბევა.

— მეცხრე ნომრიდან, — ხალისით უპასუხებდნენ დასავლეთისაკენ მიმავალნი. — შემოიარე როდისმე — ქალაქია, ყველაფერია, რასაც მოისურვებ...

— მეცხრე ნომრიდან?

— გასცილდები ხიმკომბინატს, გვერდზე დასტოვებ დიდ ტრაქტს და ვიწროლიანდაგიანი გზით მიაღებები მალაროებს. აი, იქ არის ოცდამეთვრამეტე და მეცხრე ნომრები.

— რა ქალაქებია გზაზე?

— ქალაქები გვერდზე რჩება, სამაგიეროდ საკუთარი მუშათა მომარაგების განყოფილება გვაქვს. რაში გჭირია ქალაქი? გვაქვს

საკუთარი საბჭოთა მეურნეობა, საკუთარი ფერმა, იქვეა თეატრი, რაში გკირია ქალაქი?

ასე იყო უკვე რამდენჯერმე: აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალნი არ ასახელებდნენ ქალაქებს ან, პირიქით, ერთბაშად ასახელებდნენ იმ ქალაქებს, სადაც ისინი დაიქირავეს, ან სადაც ისვენებდნენ მუშაობის შემდეგ, უფრო ხშირად კი გაჰყვიროდნენ რკინიგზის სადგურების სახელებს.

უკან დაბრუნებულებმა გეოგრაფია იცოდნენ თავიანთ მშენებლობათა ნომრების მიხედვით. მათ თავიანთი ენა, თავიანთი გეოგრაფია ჰქონდათ.

— ნეტა სად მიჰყავთ ამდენი ხალხი? — ეუბნებოდნენ ერთმანეთს ქალები. — უამრავი ხალხი მიდის, დიდი ქალაქები კი არა სჩანს, დიდი სოფლები არა სჩანს, სადგურებზე სიცარიელეა.

როდესაც ცოლები ცდილობდნენ დაეჩქარებინათ თავიანთი ვაგონი, სადგურის ზანტი მოსამსახურეები დაცინვით ეუბნებოდნენ:

— ეე, თქვენ რომ მუშა-ხელი იყოთ, ასლავე სადგურის უფროსთან გავიქცეოდით, ვეტყოდით, ნუ აყოვნებ, გაუშვი, სოციალიზმის მშენებლები მოდიანო. თქვენ კი ვინა ხართ — დიასახლისები! თქვენთვის ეგ სიჩქარეც ზედმეტია. სახელდობრ რომელი ადგილისაკენ მიიჩქარით?

— ჩვენი ადგილი წყვდიადით არის მოცული, — ეუბნებოდნენ ქალები: — მეექვსე კილომეტრის მცირე სადგური, საფოსტო ყუთი ოთხმოცდაერთი.

— არასოდეს ასეთი ფოკუსი არ გვინახავს, რომ ცოცხალ ადამიანებს საფოსტო ყუთის მისამართით ჰგზავნიდნენ, ამანათივით.

დრო კი მიდიოდა, და გაზაფხულმა ნელ-ნელა გაუხსროს ეშელონს. ბლაგოვეშჩენსკის იქით ჯერ კიდევ გაზაფხული იყო, მესამე ამ მოხეტიალე წელიწადში, მაგრამ ერთი თუ ორი ღამის შემდეგ ვაგონის ფანჯრებში უეცრად ქარიშხალივით შეიქრა ზაფხული. მან ქარით, სიცხით, მტვრით გაავსო ჰაერი, და დაიწყო წვიმა, აღმოსავლეთის ზაფხულის დიდი წვიმა.

წვიმა ჯერ მზის მხარდამხარ მოდიოდა, მაგრამ მალე დასცილდა მას და დაიმორჩილა მზეცა და ქარიც.

ახლა მზე ცალკეულ სხივებად ელავდა უფერულ, ნესტიან, პატარა მოციმციმე წვეთებით გაქლენთილ ჰაერში და ზოგჯერ ცეცხლს უკიდებდა ამ წვეთებს. მაშინ წვიმასაც თითქოს ცეცხლი ეკიდებოდა და აფუებულ მიწას ბოლი ასდიოდა.

მეექვსე კილომეტრის მცირე სადგური მიყრუებული იყო. ვაგონი ღამით მოხსნეს. წვიმის ოშივიარით გაქლენთილ, დახუთულ ჰაერში ისევე ძნელი იყო სუნთქვა, როგორც სამრეცხაოში.

„რას მოგვცემს დილა?“ — ფიქრობდნენ ქალები. მათ თვალს ძილი არ ეკარებოდა, და შეშფოთებულნი უსმენდნენ იქაური საშინელი უკაცურობის ყრუ ხმას.

ღამის სიჩუმეს არ არღვევდა არც ნადირი, არც ფრინველი. იგი გარინდებული იყო, ცხოვრებისაგან მიტოვებული. დილას არ მოუტანია არც სივარდი, არც ფრინველთა ჭიკჭიკი, არც სხვა ხმაური, თითქოს არც ჩემულობდა, რომ დილა იყო, და თუ საჭიროდ დაინახავდით, შეგეძლოთ მისთვის საღამო გეწოდებინათ.

აქედან ბრიგადის საცხოვრებელ ადგილამდე ოთხმოცდაათი კილომეტრი ჰაობიანი გზა იყო. ხოლო თუ კოლმეურნეობებს გაჰყვებოდით — ასოცი კილომეტრი გამოდიოდა.

ცოლებმა ტანთ ჩაიცვეს. ფანჯრებში იყურებოდნენ და მღელვარებისაგან ამოქნარებდნენ. შუადღისას მოვიდა რაიონის ხელისუფლების წარმომადგენელი მარჩენკო. ყველა გამოვარდა, თუმცა წვიმა ასხამდა. მოხვიეს ხელი მარჩენკოს და ვაგონში შეიყვანეს.

— როგორ არის თქვენი საქმე? როგორ არიან ჩვენები? — უყვიროდნენ მარჩენკოს ყოველი მხრიდან. — თქვენ ბრიგადის პოლიტიგანყოფილების უფროსი ხართ?

— არა, მე ორას მეთოთხმეტე მშენებლობის პარტკომის მდივანი ვარ, ბრიგადის შეფი, თქვენებთან ინსპექციაა, — სთქვა მარჩენკომ. — მე გადავწყვიტე თქვენი შეხვედრა და საღამის გადმოცემა, აბა, ჩავსბდეთ მანქანებში.

უშხაპუნებდა წვიმა, მაისის წვიმად წოდებული. იგი მაისში დაიწყო და ბოლო არ უჩანდა. მაგრამ ქალები ოცდათორმეტი დღე გზაში იყვნენ და ახლა ბუნებას არაფრით არ შეეძლო მათი შემფოთება.

დაიძრა ვაგონებიდან მანქანებისაკენ ფუთები, ჩემოდნები, ახმა-

ურდა საკერავი მანქანები, ხელით მიჰქონდათ შეპეტოვკიდან და კი-
ევიდან წამოღებული საგვარეულო ფიკუსები. გადმოტვირთვა და და-
ტვირთვა ისე სწარმოებდა, თითქოს თამაშობააო. სახლი ახლოს იყო.
ისინი ჩამოვიდნენ. მგზავრობა დამთავრდა. დამთავრდა. მოწყენილობა.
სადღაც, წვიმიან ნისლის იქით, მათ ქმრები ელოდებოდნენ.

ბოლოს, როგორც იყო, მანქანები დატვირთეს და დაიძრნენ.
მათ ხტუნვით მისდევდნენ გორაკები. ველი უგზო-უკვლოდ გაქრა. ირ-
გვლივ ამართული იყო პატარა, კასრისებური მთები, რომლებიც მე-
ტად სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენდნენ თავიანთი ბუსუსიანი
მწვანე ბეწვეულით.

— საქართველო! — წამოიძახა ვილაცამ და მართლაც, წვიმის
ნისლში ისახებოდა სუმბათოვოსა და ბორჯომის ხეობის პეიზაჟები.
ღიალ, პირწავარდნილი საქართველოა.

ყველას უნდოდა, რომ ახალი ადგილი ჰგვანებოდა სამშობლოს,
ან თუნდაც ოდნავ ნაცნობ რომელიმე მხარეს. საქართველო შორს
იყო და ყველაფერი, რასაც თვალი ხედავდა, მხოლოდ ერთი წუთით
აგონებდათ რაღაც ნაცნობს. შემდეგ კი... შეხედეთ რა არის ნეტა?
არაფერს მშობლიურს არა ჰგავს ეს მხარე! არ არის აქ არც ტრა-
მალეები, არც მთები, არც რუსეთის მინდვრები. თვალწინ იშლებოდა
კიდურებში ტყით შემოსილი, ერთფეროვანი თავისი უდაბური მყუდ-
როებით, ქვიანი გორაკების ზღვა.

ამ დროს ლუზა ცხენით ბრუნდებოდა ტაიგიდან, სადაც იგი
ნანაელებთან იყო ძაღლების სასყიდლად. ლუზა და ცხენი გაწუწუ-
ლები იყვნენ. ბინდდებოდა. იწყებოდა ხშირი მუხნარი, რომელიც ჰტა-
რავდა მდინარისკენ დაქანებულ დაღმართს.

შორიდან მოესმა ცულის ხმა. სწრაფად ჩამოიღო მხრიდან თო-
ფი. მუხნარი დიდი ხანია ხელუხლებლად იყო გამოცხადებული. მი-
სი გაკაფვა აკრძალული იყო.

ახლოს რომ მივიდა, დაიყვირა.

— კაცი ცხენზე, — მოისმა ქალის ხმა და ლუზას მუხნარიდან
გამოეგება მაღალი ტანის ახალგაზრდა ქალი ქალაქურ ტანისამოსში,
ფეხშიშველა, ფეხსაცმელით და წინდებით ხელში. ქალს მოჰყვებოდა
მორჩილი ტანის კაცი ნახევრად სამხედრო ტანისამოსში, პარტკომის
მდივანი მარჩენკო.

— სალამი მარჩენკოს! — მიესალმა ლუზა. — რატომ სჩებავ ნაკრძალ ტყეს? — და ცნობისმოყვარეობით ჩაათვალიერა ქალი. — ბევრნი ჰყოფილხართ, — შენიშნა, როდესაც დაინახა გზაზე გამოსული ქალები და შოფერები. — მიტინგი მოაწყე, თუ რაშია საქმე?

მარჩენკო ლუზასთან მივიდა და ცხენს აღვირი დაუქირა.

— მეგობარო, უნდა ჩამოგსეთ. ქალები მიმყავს ბავშვებით. დილიდან აქა ვართ, ხიდის შეკეთებაზე ვმუშაობთ. ჩაინგრა ეს ოხერი ხიდი. უნდა ბრიგადას დაეურეკოთ.

— მე კი ვფიქრობ, რომ საჭიროა ჩემი წასვლა, — სთქვა ქალმა, რომელსაც ფეხსაცმელი ექირა. — თქვენ მდგომარეობა არ გაძლევთ ნებას, მე კი შემიძლია წავიდე. მხედარს უკან შემოვუჯდები და არც ამხანაგს შევაწუხებ.

და იგი დასტურის მიღებამდე მარჯვედ მოახტა ცხენს და ხელი მოხვია ლუზას.

— ხომ არ გაწუხებთ? — ჰკითხა მან.

— აბა, რა შეწუხებაა. გმადლობთ, რომ ფეხით არ მივდივარ, თორემ მარჩენკო დაურიდებლად ჩამომაბრძანებდა, — უპასუხა ლუზამ.

როდესაც ორი კილომეტრი გაიარეს, ლუზამ ზრდილობიანად ჰკითხა:

— საბჭოთა მეურნეობიდან მოდიხართ?

— რის საბჭოთა მეურნეობა, ძმაო?! მეშვიდე დღეა რკინისგზის პატარა სადგურიდან მოვდივართ.

— რას ამბობთ? — უნდობლად წამოიძახა ლუზამ. — მეშვიდე დღე! ავტომობილი შეიდ დღეში, ვინ იცის, რამდენს გაირბენს. გზას არა უშავს რა, ხიდები ახალია.

— ბიძია, შენ, ალბათ, წელიწადში ერთხელ გამოდიხარ გარეთ, სად არის ხიდები?

— პატარა სადგურთან ახალი ხიდია, მე თვითონ გამოვიარე დღეს ხიდზე, შემდეგ აი იქ...

— ორივე ჩვენ გავდეთ.

— ნანაელთა ხუტორებთანაც ახალი ხიდია.

— ისიც ჩვენ გავდეთ ამ სამი დღის წინათ. შემდეგ?

— აქ კი, მუხნარში, მართლაც არ არის ხიდი, — უკან მიიბრუნა თავი და ქალს შეხედა. — მართალს ამბობ, ხიდები თქვენ გასდეთ?

— ხვალ აქაც მოვაგვარებთ.

— მაინც ვერ გახვალთ. მეორე ხუტორამდე მიხვალთ გაქირვებით, შემდეგ კი უბედურებაა: მდინარე აღიდღა, ძველ კალაპოტში გადავიდა, ყველა გზა გადალობა. ასეთი სეზონია. თვითონ მე შესაძლებელია დავეხეტები. ოცდაათი ძალი ვიყიდე, იძულებული გავხდი დამეტოვებინა.

ქალი შეკრთა და ლუზას ზურგს მიეკრა.

— უნდა გავალწიოთ, ძია, — სთქვა მან ჩუმად. — როგორმე შენც დაგვეხმარე.

— ფიქრიც არ შეიძლება, ვერ გაალწევთ. გზა მიცურავს, რას იზამ.

— სულ ერთია, გავალთ, — სთქვა ქალმა. — აბა თვითონ იფიქრე: ბავშვები დასველდნენ, თვით ჩვენ გაწუწულნი ვართ, ჰავა ჩვენთვის უცხოა, შეიძლება რამეს შეეყარო. ქმრებს კი ტაქტიკური სწავლება აქვთ, დაფრინავენ: გველოდებიან, ლელავენ, ვაი თუ რამეც დაემართოთ ჰაერში მწუხარებისაგან.

— რა დროს სწავლებაა, — სთქვა ლუზამ, — თვითმფრინავის დასაშვები ადგილიც კი არსად არის: არც მიწაა, არც წყალი, რალაც კომია. ათ დღეს დაჰყოფთ ნანაელებთან, მერე ნახავთ.

— ხომ გავგიჟდი! ათი დღე ვიცადო!

შემდეგ ისინი ჩუმად მიდიოდნენ. როცა ცხენი გამგეობის ქიშკარს მიაღწა, გოლუბევამ გაბეუებული ფეხები გამართა და ხველვით წარმოსთქვა:

— აბა, სად არის თქვენი ტელეფონი? ჩქარა მაჩვენეთ.

მხოლოდ მეცხრე დღეს მიაღწიეს ცოლებმა ნანაელთა ხუტორებს. იქიდან ბრიგადამდე ოცი კილომეტრი რჩებოდა. ვარდისფრად მოელვარე წვიმა მღვრიე დაფიონს მოგაგონებდათ. წვიმის ნისლში მოსჩანდნენ გორაკები, ჯუჯა ტყეები, ცა, მდინარე.

მიუხედავად დაღლილობისა, ყველა მხიარული იყო. წვიმს, მაგრამ ხვალ ხომ შინ ვიქნებითო, ფიქრობდნენ. მთელ ღამეს აშრობდნენ ტანისამოსს, ადულებდნენ წყალს, იბანდნენ ტანს, ტანისამოსს უცვლიდნენ ბავშვებს და რიგ-რიგობით იხვევდნენ თმებს, რისთვისაც თმის დასახვევებს ნაკვერჩხალზე ახურებდნენ. შიშველ სხეულზე ჩაცმულ სველ ქუქყიან ტანისამოსს უსიამოვნო, საავადმყოფოს სუნი ას-

დიოდა. როდესაც ტანთ გაიბანეს, ტანისამოსი ცეცხლს მიუშვირეს, იქვე დააწყეს ფეხსაცმელი, ხოლო თითონ შიშვლები დასხდნენ და მხიარულად იცინოდნენ—მათ სხეულზე. აღბეჭდილი იყო გახუნებული სარათანების ვარდები და ტრაქტორები, და ვერც ოდეკალონით, ვერც ცხელი წყლით ვერ მოიშორეს ისინი.

— აქა-იქ მოსჩანს ბუნებრივი ფერი, ესეც კარგია, — ამბობდნენ ისინი, იწნავდნენ თმას და სამართებლით უპარსავდნენ ერთმანეთს კისერს.

მარჩენკომ დილა აღრიანად დააკაკუნა.

-- კლავდია ლვოვნა, — სთქვა მან, — თხუთმეტი წუთის შემდეგ მანქანებს მოვიყვან.

ჯერ კარებს არც კი მოშორებოდა მარჩენკო, რომ ქალებმა ერთი აურზაური ასტეხეს.

— რა მოხდა?

— ნუ გვკითხავ. შიშვლებს მოგვიხდება წამოსვლა.

ცეცხლზე გამშრალ ფეხსაცმელში ფეხი აღარ ეტეოდა, ტანისამოსი თეძოებს ედებოდა და არაფრის გულისთვის ძირს აღარ ეშვებოდა, ტრუსები სკდებოდა, წამოსასხამებსა და წვივსაკრავებს წებო გასლიოდა.

— დასხედით ეგრე, როგორც ხართ, — უთხრა მათ მარჩენკომ. — ერთი საათის შემდეგ შინ ვიქნებით.

— რა სიცილს დაგვაყრიან, — ეუბნებოდნენ ერთმანეთს ქალები, — თითქოს პლიაყიდან ვბრუნდებოდით, — და ცდილობდნენ წესრიგში მოეყვანათ თავი, ტანსაცმელს განზრახ ორიგინალურ სახეს აძლევდნენ.

ჰაერში თვითმფრინავი გამოჩნდა. მფრინავმა ხელი აიქნია, კალონას შემოუარა და ფრთები აათამაშა.

— ახლავე, ახლავე! — უყვიროდნენ ქვევიდან, წიოდნენ და კიოდნენ. თან ხელით კოცნას უგზავნიდნენ.

ყოველი მათგანი ფიქრობდა, რომ ეს მისი ქმრის ხელი იყო და ჰაერიდან მისალმებას თავისად სთვლიდა. შვიდი კილომეტრი რჩებოდა. შორს, გორაკებს შორის, უკვე მოსჩანდა მწვანედ მოკიაფე ოვალური ფორმის აეროდრომი, რომელიც ტბას წააგავდა, ხოლო შორეულ კიდურებზე ჩქნავ ისახებოდა დაბალი შენობების კონტურები.

კიდევ ორი კილომეტრი რჩებოდა. გზა მიიმართებოდა ვიწრო ხეობით, პატარა მთებს შორის. გამოჩნდა ორკესტრი, თვიმფრინავთა ფრთები, თეთრი სახლები.

პატარა ქალაქის მისავალთან გზაზე მღვრიე გუბე იდგა. ათამღვ ბარი ბრწყინავდა მზეზე, ათიოდე მამაკაცი სწრაფად აყრიდა მიწას ამ უკანასკნელ დაბრკოლებას. მაგრამ წვიმა, რომელიც ნახევარი საათით შეწყდა, ვერაგულად მოიპარებოდა გზისაკენ.

— უნდა დავეხმაროთ მათ, — სთქვა მარჩენკომ და მომუშავეებზე მიუთითა.

— რას ამბობთ? ჩემმა ქალებმა ვინ იცის, რა არ ჩაიცვეს, შეუფერებელი საქმე გამოვა.

მაგრამ ცის კიდურებზე დაგროვილი ღრუბლები სწრაფად ახლოვდებოდნენ.

გოლუბევა შეშფოთებული შეჰყურებდა ღრუბლებს. როგორც ყოველ ქალს, მასაც არ უნდოდა სასაცილო ან უხამსი შეხედულება ჰქონოდა. სასაცილოს მხოლოდ ძალიან მახლობელს აპატიებენ ხოლმე. მაგრამ არჩევანი არ იყო, მან ხენეშით გაიძრო წებოიანი წამოსახამი, გაიხადა სამ ადგილას გამსკდარი ქვედა კაბა და დარცხენილმა ხელი მოისწო მტრედისფერ ტრუსებზე.

— აბა, ქალებო, იერიში მივიტანოთ! — წამოიძახა მან უღარდელი ხმით.

მანქანებიდან გამოძვრნენ და გოლუბევას მიჰყვნენ ვაი-ვაგლახით შეკოწიწებულ ტრუსებსა, პერანგებსა და სარაფანებში გამოწყობილი ქალები.

აეროდრომს იქით წვიმა კოკისპირულად ასხამდა.

— მანქანები აქ დარჩება, — დაიყვირა გოლუბევამ. — ნივთები ხელში დაიჭირეთ. აბა, გავწიოთ!

და გოლუბევა გუბეში შევიდა. ხელში ეჭირა დიდი ფუთა, საიდანაც თავი გამოეყო ჩაიდნის კრიალა ტუჩს. მას მიჰყვა მარჩენკო, რომელსაც მალლა აეწია თავისი ფარაჯა. მარჩენკოს მხრებზე ეჯდა ქერა ბიჭუნა.

— რატომ არ გაიხადეთ? — დაუყვირა მდივანს გოლუბევამ. — რა დროს სირცხვილია?

— არაფერია, — უპასუხა ღიმილით მარჩენკომ.

მეორე მხრიდან მათ შესახვედრად გამორბოდნენ მკერდამდე ტალახში ჩაფლული მფრინავები. მალე ისინიც შეუდგნენ მანქანებიდან ჩემოდნებისა და ფიკუსების გადმოლაგებას, ბავშვების გადმოყვანას. ისინი მხიარულად ხარხარებდნენ, რაღაც სასაცილოს გაიძახოდნენ, ეძებდნენ ცოლებს და როდესაც აურზაურში ვერ პოულობდნენ ან ვერ სცნობდნენ მათ, ბავშვებივით ხტოდნენ ტალახში, სკივრებით დატვირთულნი.

— ეს ვილაცი მზითეფია, ნახევარი ტონა მაინც იქნება...

— ფიკუსები, ფიკუსები! ალბათ, კორნეევისეულია... შეპეტოკიდან, მახსოვს...

ქალები ყვიროდნენ—ახლოს არ მოგვეკაროთო, ზურგს უშვეროდნენ დამხედურებს და ხმამალა გაჰკიოდნენ—ჩაცმა დაგვაცალეთო.

— გოლუბევა,—ყვიროდნენ ისინი,— მოგვაშორე ეს ხალხი! რას ტრიალებენ აქი დაუშვებელია. ტალახი მაინც მოვიშოროთ...

— გაჰყარე ესენი, მდივანო! — ყვიროდა თავის მხრივ გოლუბევა, რომელსაც გულზე მიეკრა ფუთა, საიდანაც წყალში გადახტომას ლამობდა იხვივით გაბერილი ჩაიდანი.

მარჩენკომ ხელები გაასავსა და დაიყვირა:

— შეაჩერეთ შეხვედრა.

მაგრამ მუსიკოსები მხოლოდ ნიშანს ელოდნენ მარშის დასაჯრავად. ორკესტრისაკენ ყოველი მხრიდან მირბოდნენ ლურჯ კომბინეზონებიანნი.

— შეხვედრისათვის არა ვართ მორთულნი, — დაიყვირა გოლუბევამ. — ვერა ხედავთ, რასა ვგვევართ? არა ვართ საზეიმო შეხვედრისათვის მოწყობილნი, შეაჩერეთ?

— ურა! ურა! — ღრიალებდნენ კომბინეზონები და გარს ეხვეოდნენ ორკესტრს.

გოლუბევას არ შეეძლო საერთო სიყვარულის გამოხატულების ჩახშობა.

— გამიგონეთ, მარჩენკო, ჩვენ სალამომდე ვერ გამოვჩნდებით. უთხარით მაგათ...

ორკესტრის წინ მდგომმა ბრიგადის მეთაურმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ხველებით წამოიძახა:

— სმენა! ტუში! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დიასახლე-სებო!

ლურჯი კომბინეზონები ჩამწყრივდნენ.

— რას იზამ, — სთქვა გოლუბევამ, — ალბათ, დიდი ხანია არ უცინიათ — დეე იცინონ.

და მაგრა ჩასკიდა რა ხელი გახსნილ ფუთას, მან ყვირილსა და ორკესტრის გრიალში პირველმა ჩაუარა მწყობრს. მას მიჰყვნენ დანარჩენნი, მიდიოდნენ თავდახრილნი, ტრუსებსა და ქუჭყიან კაბებში, ბავშვებითა და საგვარეულო ფიქუსებით ხელში.

— ურა! გაუმარჯოს ცოლებს! ურა, კიდეე ურა!

და გოლუბევამ იგრძნო, რომ ის, რაც ერთი წუთის წინათ სასაცილოდ და სამარცხვინოდ გამოიყურებოდა, ახლა მათი დიდების, მათი ღირსების, მათი სილამაზის სახეს ღებულობს.

აი ისინი უკვე შინ არიან. უკვე მოვიდნენ. გამარჯობათ, გამარჯობათ, ძვირფასებო!

ქალებს გარს ეხვევა კომბინეზონთა მწყრივი, წინ ორკესტრი მიუძღვით, შეჯგუფებულნი მხიარულად მიდიან პატარა თეთრ სახლებისაკენ. წვიმა კი, რომელიც ერთხანს შეხვედრის ცქერით სტკბებოდა, ახლა შეუბრალებლად ასხამდა.

შემდეგ ისინი ტანთ იბანენ, ხსნიან ჩემოდნებს, იცვამენ დაქმუქნილ, მაგრამ სუფთა ტანისამოსს. სასადილოში უკვე გაშლილია სუფრა. რაფებზე ჩამწყრივებულია ყვავილებიანი კალათები.

გოლუბევა ზის ქმრის საწოლზე იოდის სუნით გაყენთილ პატარა ოთახში. მაგიდაზე ერთად აწყვია ჯიბის დანა, პორტსიგარი, ევროშილოველი მსროლელის ნიშანი. ბრიგადის მეთაური კარებთან დგას, მარჩენკო ფანჯარასთან.

— როდის მოხდა? — ეკითხება მათ გოლუბევა და ქუჭყიან მიხაკისფერ ხელებს სახეზე იფარებს.

— გუშინ ღამ, — უპასუხებს ბრიგადის მეთაური. — არავენ მოელოდა.

— როგორ? სთქვით ჩქარა, როგორ?

— ერთბაშად.

— რას იზამ, — ჩურჩულებს გოლუბევა, — რას იზამ...

— დარჩით ბრიგადაში, კლავდია ლვოვნა, — ამბობს ბრიგადის მეთაური.

— დღეს დავრჩები, მაგრამ ხვალ წავალ. ჩვენ აქ მოვდიოდით, როგორც პატარძლები. აუტანელია ერთბაშად ქვრივად დარჩენა... საზეიმო შეხვედრას ნუ მოშლით, — ჩურჩულებს იგი. — მაგრამ სალამოთი... ჩემთვის საშინელი იქნება ამ ოთახში შემოსვლა და მარტო დარჩენა. გესმით? ვფიქრობდი, ორნი ვიქნებოდით... მეც ხომ ქალი ვარ! ჩემთვის ძალიან საძნელოა...

იგი მარჩენკოს მიმართავს:

— ღამით გაფრინდებით? ცოლი გყავთ? წამიყვანეთ მასთან. აჰ, უცოლო ხართ!

ამ დროს ოთახში ლუზა შედის, ბეწვიან ქუდს იხდის და ამბობს:

— ჩემთან წავიდეთ, მოწინავე ხაზზე, საზღვარზე. წარგადგენ კომისარ შერშავინთან. იგი ყველაფერს ჰკურნავს, ყოველგვარ სევდას. შემდეგ მიდიან სასადილოში, საიდანაც მოისმის სიცილი, ხუმრობა და ბავშვების ჟრიაშული.

4

ტარასუკს აცნობეს, რომ ღამე ჩვენს საზღვარზე ვილაც უცნობი აპირებს გადმოსვლასო: მან განკარგულება გასცა, ხელში ჩაეგდოთ იგი ძაღლების საშუალებით. შუალამე გადასული იყო, როდესაც მზვერავმა ძაღლებმა ცნობა მოიტანეს: ვილაც კაცი მშვიდად მოდის გეორგიევკისკენ, მას მალულად კვალდაკვალ მოდარაჯე ძაღლები მოსდევნო.

ტარასუკს ეს კაცი სხვადასხვა მოსაზრების გამო მნიშვნელოვან ფიგურად მიაჩნდა. კარგი იქნება მისი ცოცხლად ხელში ჩაგდება. ბრძანება გასცა, ჯერ შეემოწმებინათ მგზავრის ხასიათი, რათა გამოერკვიათ, თუ როგორ უნდა ჩაეგდოთ იგი ხელში.

ამასობაში უცნობი გასცილდა „25 ოქტომბრის“ მინდვრებს, დაისვენა ლუზას ქოხში და კომპასით გეზი აიღო გეორგიევკისკენ. ჯერ არ გათენებულყო. უცნობის შესახვედრად გაგზავნეს ლუზა რევოლვერით ჯიბეში. თუ საზღვარზე გადმომსვლელი ჩაწვება და შეიცვლის გეზს, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ იგი საშიში არ არის, რომ ის სუსტი კაცია. მაშინ უნდა მიუშვან ძაღლები და ისინი ცოცხლად შეიპყრობენ, ის თავს არ მოიკლავს. ხოლო თუ იგი გეზს არ

შეიცვლის და დამხვდურს მოკვლასაც მოუნდომებს, მაშინ ეს ადამიანი მტკიცე კაცია და მისი ხელში ჩაგდება უფრო ძნელია, მაშინ საჭიროა საგანგებოდ მოფიქრება, თუ როგორ მოეპყრან.

ლუზამ გზა გადაუჭრა, და უცნობი ჩაწვა.

როდესაც ადგა, მარცხნივ გადაუხვია. ლუზამ კვლავ გადაუჭრა გზა, უცნობი კვლავ ჩაწვა და დიდხანს იწვა გაუნძრევლად.

— მიუხედავად ძაღლები, — გასცა განკარგულება ტარასუკმა. — დავლეთ ბანზაის, ის ჩინებულად შეასრულებს დავალებას.

აუშვეს ძაღლები. ისინი სწრაფად უვლიდნენ უცნობს გარს. ბანზაი წინიდან შესახვედრად მიფოფხავდა. ჯერ კიდევ არ გაათენებულყო. ბანზაი ეცა კაცს, თათი დაჰკრა მკერდზე, წააქცია და კბილი ჩაავლო კისერში, მაგრამ ღრღნა არ დაუწყო, მხოლოდ ზემოდან აწვებოდა. მივარდნენ დარაჯები.

მიიყვანეს ეტლი, გაახვიეს კაცი წამოსასხამში და წაიყვანეს კომენდატურაში.

შლეგელი ჰადრაკს ეთამაშებოდა ტარასუკს სადარაჯოს ლენინისკუთხეში. შლეგელს ცუდად ჰქონდა საქმე, თითქმის აგებდა, როდესაც დაქერილი შეიყვანეს. იგი ძალიან ახალგაზრდა გამოიყურებოდა, ღელავდა, ხშირად ისვამდა ხან ერთ, ხან მეორე ხელს თმაზე. სახე გაყვითლებული ჰქონდა იმ განსაკუთრებული მღელვარების გამო, რომელიც თან სდევს სახიფათო მარცხს, უბედურებას და წაგებას.

— დაჯექით, — უთხრა შლეგელმა. — დიდხანს გელოდებით. ვფიქრობდით, ღამის სამი საათისათვის ჩაგიგდებდით ხელში.

ღამის დარაჯის უფროსმა მოახსენა, რომ უცნობს ჩამოართვეს. მაუზერი, ორი ყუმბარა, ფოტოკამერა, რუკები, დურბინი და ჯვარი. ნიშნით БРП — „ბრატსტვო რუსკოი პრავდი“.

— ვფიქრობ, საუბარი მოკლე იქნება? — ჰკითხა თეთრგვარდიელმა.

— დიალ, საერთოდ, მოკლე.

— მე მოვდიოდი სადივერსიოდ, ჩემი სახელია ლეე, ოცდარვა წლისა ვარ. ვფიქრობ, საკმარისია.

— საიდან მოხვედით?

— მეე?.. კორეიდან.

- უშუალოდ?
- არა აქვს მნიშვნელობა.

შლეგელმა თავი დახარა, ჭადრაკის დაფას დააქკერდა და დაიწყო ფიქრი მის წინ მჯდომ ადამიანზე თავისი ქკუის მთელი ძალით, მთელი ლოგიკით, აღმაფრენის მთელი მგზნებარებით, რადგან უნდა გამოერკვია, გამოეცნო ეს ადამიანი.

— თქვენი დივერსიის გეგმა?.. — ჰკითხა შლეგელმა და თვალი თვალში გაუყარა.

მან თავი გააქნია უარყოფის ნიშნად.

— მაგას მნიშვნელობა ექნება სასჯელის არჩევის დროს. რა განზრახვა გქონდათ? ხიდების აფეთქება, საწყობებისათვის ცეცხლის წაქიდება, მკვლელობა?

უცნობმა უარყოფის ნიშნად კვლავ თავი გააქნია.

შლეგელმა უთხრა:

— თუ თქვენ გსურთ თავი მოგვაჩვენოთ პოლიტიკურ და არა სისხლის სამართლის დამნაშავედ, ტყუილ-უბრალოდ დროს ნუ დაჰკარგავთ. საზღვარზე მომქმედი წვრილფეხა ბრაკონერიც¹⁾ რომ იყოთ, დუმილი თქვენის მხრით უაზრობაა.

— თუ სასიამოვნოდ დაგრჩებათ, გეტყვით: მე სოციალური შურისძიების აქტების შესასრულებლად მოვდიოდი.

— სახელდობრ ვის მიმართ?

— ბევრის მიმართ.

— პირადი შურისძიებაა?

— სოციალური დაცვის აქტია. თუმცა ნაწილობრივ შურისძიებაც.

— ვისი გულისათვის?

— იმათ გულისათვის, ვინც თქვენ სიცოცხლეს გამოასალმეთ.

— სახელდობრ?

— ყველას დასახელებას დიდი დრო დასჭირდება.

— ნუ გერიდებათ, საკმაო დრო გაქვთ. გთხოვთ, უფრო ზუსტად — შურისძიება ვისი გულისათვის?

¹ ბ რ ა კონერი — მონადირე, რომელიც ნადირობის კანონებს არღვევს.

— მე მინდა, რომ ჩემი პასუხი უკანასკნელი და ამომწურავი იყოს—რუსეთის გულისათვის.

— თქვენ მოქმედებდით მისი წარმომადგენლების რწმუნებით?

— დიალ, რაღა თქმა უნდა.

— სახელდობრ ვისი?

— „ბრკ“, თქვენ იცით.

— ეგ ასოციაცია სახელმწიფოს წარმომადგენელია? გთხოვთ, უფრო ზუსტად.

— იგი სახელმწიფოს საუკეთესო ადამიანების წარმომადგენელია.

— რომელი სახელმწიფოს? რამდენნი არიან ისინი, ეს წარმომადგენლები?

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს.

— პირიქით... როდესაც მოდიხართ მრავალი ათასი მშრომელის მანდატით მომუშავე ადამიანების მოსაკლავად, უნდა ვიცოდეთ, რამდენი მილიონის დელეგატი ხართ.

— მე პოლიტკოლნის გაკვეთილზე როდი მოვსულვარ.

— დაიხსომეთ, კი არ მოსულხართ, მოგიყვანესთ.

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს.

— ნუთუ?

პაუზა. შლეგელი იღებს მაგიდიდან რუკას, რომელიც უცნობს ჩამოართვის, და ყურადღებით ათვალიერებს.

— ამრიგად, „ბრკ“-ს, — ამბობს იგი, — რომელსაც ხელმძღვანელობენ ბალტიის მხრის ბარონი ტორნაუ, იაპონიის მზეერავი იაკუიამა და ლიტველი შულერი შპილმანი, თქვენ უწოდებთ თქვენი სახელმწიფოს საუკეთესო ადამიანთა ასოციაციას?

— თქვენ, როგორც ვხედავ, კარგად იცნობთ მათ.

— დიალ. თქვენ პირველი როდი ხართ ამ მაგიდასთან. ამრიგად, ისინი არიან თქვენი სახელმწიფოს საუკეთესო ადამიანები?

— ისინი ჩემი რწმენის ადამიანები არიან. საკმარისია.

პაუზა. შლეგელი კვლავ ათვალიერებს რუკას.

— ეს რა არის თქვენს რუკაზე? ხიდი? — ეკითხება შლეგელი და თითოთ უჩვენებს ადგილს რუკაზე.

— დიალ, — უპასუხებს თვალმოკუტვით უცნობი, — საკმაოდ ზუსტადაა ხომ, როგორ ფიქრობთ?

— დიად, საკმაოდ ზუსტადაა. ამრიგად, თქვენი რწმენის საუკეთესო ადამიანებმა პასუხსაგები დავალებისათვის ავირჩიეს თქვენ, მოქალაქე ლევ, ოცდარვაწლის კაცი. რითი ხსნით ასეთ ნდობას ხელმძღვანელობის მხრივ?

— მე პატრიოტი ვარ და არ ვკითხულობ, რატომ მგზავნიან სასიკვდილოდ მე და არა სხვას.

— თქვენს პატრიოტიზმს საფუძვლად უდევს სურვილი—არ იცოდეთ თქვენი როლი?

— მე ეგ არ მითქვამს. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ჯარისკაცი ვარ და ჩემთვის სულ ერთია, რატომ მე მენდობიან უურო მეტად და სხვას ნაკლებად.

— განა ისეთ ორგანიზაციაში, როგორც თქვენია, ყველას ერთნაირად არ ენდობიან?

— არ ვიცი.

— არ გაინტერესებდათ?

— არა.

— მაგრამ თქვენ ხომ მოითხოვეთ თქვენი ღირსების ახსნა?

— დიად.

— და მიიღეთ მითითება სახელდობრ ვინ მოგეკლათ და რისთვის?

— დიად.

— მაგალითად?

უცნობმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია, და შლეგელი კვლავ ჩაუკვირდა რუკას, როგორც ადამიანი, რომელსაც მაგრე რიგად არ აინტერესებს საუბარი და რომელიც არა ჩქარობს დასკვნის გამოტანას. გამოცდილება უკარანახებდა, რომ ეს ადამიანი გამოაშკარავებული იქნება, მაგრამ როგორ—ეს შლეგელმა ჯერ თვითონაც არ იცოდა. ზოგჯერ იგი უცნობის პასუხებსაც არ იხსომებდა და ჯერჯერობით მთელ თავის ყურადღებას აქცევდა პასუხის ტონს და თავს აჩვენებდა დამნაშავეის სიტყვის ბუნებრივ რიტმსა და წყობას. შლეგელს თავისი ყურთასმენა უნდა მიეჩვია უცნობის ლაპარაკის მანერისათვის, რათა არ გამოჰპარეოდა ყოყმანი, გადახრა, დაყოვნება, რაც მოხდებოდა შემდეგ, როცა საქმე დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხებამდე მივა.

— შეგიძლიათ თუ არა მითხრათ, როგორია „ბრპ“-ს თვალსაზრისი აგრარულ საკითხზე საბჭოთა კავშირში?

— მე ეგ საკითხი არ მაინტერესებდა.

— რა არის თქვენი სპეციალობა?

— მე მებრძოლი ვარ.

— უფრო ზუსტად.

— მე მებრძოლი ვარ. ეს გასაგები უნდა იყოს. თქვენს პარტიას ჰყავდა მებრძოლები და ჩინებულად იცით, თუ რა არის ეგ.

— ჩვენს პარტიას ჰყავდა მებრძოლი ორგანიზაცია, მაგრამ არასოდეს არა ჰყოლია დაქირავებული მკვლელები. ჩვენი მებრძოლების ყოველი მოქმედება პოლიტიკური აქტია, ყოველმხრივად გასაგები. ჩვენი პარტიის მებრძოლებმა იცოდნენ—სად, რატომ და რისთვის მიდიოდნენ სასიკვდილოდ.

— მეც ვიცი.

— ეპვი მეპარება.

— ჩვენ სიკვდილით დავსაჯეთ თქვენი შლეგელი. ხომ გახსოვთ?

— როგორ არა.

— ჩვენ იგი სიკვდილით დავსაჯეთ როგორც ხალხის თავისუფლების ჩამხშობი, როგორც ჩვენი ამხანაგების ჯალათი. ვინც მის ადგილზე მოვიდა, ამას გაითვალისწინებს.

— უეჭველად.

— დამოკლეს მახვილი¹⁾, რომელიც ყოველ საათს, ყოველ წუთს თავს დასტრიალებს მას, სასარგებლო იქნება მისთვის. ზოგჯერ მაინც შეაერთოლებს, ზოგჯერ მაინც ჩაუფიქრდება თავის სისხლის-მღვრელ საქმიანობას: ხომ არა კმარა, ხომ არ დამდგარა დრო შეეწყვიტო იგიო.

— თქვენ ჩეკისტის ტიპი თქვენივე გამოსახულებად და მსგავსად შეგიქმნიათ. იგი სწორი არ არის.

— საქმე ჩეკისტის ტიპში როდია, საქმე იმ ადამიანის მდგომარეობაშია, რომელსაც მისჯილი აქვს სიკვდილი ვადის აღუნიშნავად-წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა.

¹⁾ დამოკლეს მახვილი—სხვა მნიშვნელობით ნახშირი გაღოთქმის, იგი აღებული ია ძველი ბერძნული ლეგენდიდან დამოკლეს შესახებ. ნიშნის გარემოებათა დამსჯევას, რადესაც დაღუპვა ახცილენქლია სულ მცირე მიზეზის გარე.

— ვცილილობ. ძნელი წარმოსადგენია.

— თქვენ პასუხს არ იძლევიტ ჩემს კითხვაზე?

— არ ვიძლევი, იმიტომ რომ ისეთ მდგომარეობაში, როგორ-
შიაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, კითხვებს ვიძლევი მე, ხოლო მათზე
პასუხი უნდა გასცეთ თქვენ. გარდა ამისა, შლეგელი სწორედ მე
გახლავართ, ეს ჩემი გვარია.

— ცოცხალი ხართ?

— როგორც ხედავთ.

პაუზა. შლეგელი რუკას ათვალიერებს.

— როგორია „ბრპ“-ის თვალსაზრისი მუშათა საკითხზე საბჭოთა
კავშირში?

— არ ვიცი.

— პროფესიულ მოძრაობაზე?

— წარმოდგენა არა მაქვს.

— თქვენ მოსაკლავად წამოხვედით?

— დასასჯელად.

— და სრულიად არ გიფიქრიათ, რატომ უნდა ჩაგედინათ ეგ?

— დიალ. ესე იგი, არა, ვიცოდი.

— და თანახმა გახდით?

— დიალ.

— გასამრჯელოს ნარდად ლებულობთ?

— დიალ, მაგრამ მაგას მნიშვნელობა არა აქვს.

— რა თქმა უნდა. ყოველივე იმას, რაც კარგად არის ანაზ-
ლაურებული, დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

— ეგ თანაბრად შეიძლება ითქვას თქვენზედაც.

— არა მგონია. მე სულობრივად არ ვიღებ სასყიდელს. თქვენ
სთქვით, პატრიოტი ვარო. რისი პატრიოტი ხართ?

— ჩემი სამშობლოსი, დიდი და თავისუფალი რუსეთის პატ-
რიოტი.

— რევოლუციის დროს თქვენ ცამეტი წლისა იყავით, რისი გა-
კეთება მოასწარით სამშობლოსათვის და რას წარმოადგენს იგი თქვენ-
თვის?

— მე აზნაური ვარ.

— უფრო ზუსტად.

- მეფის მოხელის შვილი ვარ.
- გთხოვთ, უფრო ზუსტად.
- მე დიდი სახელმწიფო მოღვაწის შვილი ვარ.
- უფრო ზუსტად.
- არა მაქვს სურვილი გვიამბოთ ჩემი ბიოგრაფია.
- თქვენი მამა რევოლუციამ დასაჯა სიკვდილით?
- არა.
- თქვენი მშობლებიდან და მახლობლებიდან ვინმე ხომ არ დასჯილა სიკვდილით რევოლუციის მიერ?
- არავენ.
- როგორ პარტიას ეკუთვნოდა მამა თქვენი?
- არ მახსოვს.
- დედა?
- არ მახსოვს.
- ცოცხალია?
- არა აქვს მნიშვნელობა.

პაუზა.

— როდესაც ისეთ ახალგაზრდა ადამიანს, როგორც თქვენა ხართ, რომელმაც არაფერი ხერიანად არ იცის, ჰგზავნიან პასუხსაგებ საქმეზე, მას, ალბათ, გულუბრყვილობისა და უფიცობის გარდა, აქვს რაიმე განსაკუთრებული ღირსება, როგორ ფიქრობთ?

— დიად, ალბათ, მაგრამ.

— სახელდობრ რა ღირსება. თქვენის აზრით?

— მე ხომ არ ვილაპარაკებ ჩემს თავზე.

— ეგ მეც შემიძლია, არა?

შლეგელმა უკანასკნელად გადახედა მის წინ გადაშლილ რუკას.

— მეტად უხეში ნამუშევარია, — ამბობს იგი. — კაცი, რომელიც არასოდეს არ ყოფილა ამ ადგილებში, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაბედავდა ამით წამოსვლას. არც ეს ხიდი არსებობს, არც მარა გზა მიემართება იქით. ზეპირად შეუდგენიათ.

უცნობი სდუმს.

— რატომ აღარ სწერთ ლექსებს? — ეკითხება შლეგელი.

პაუზა. პაუზა. ძალიან დიდი პაუზა.

— მე არასოდეს არ მიწერია ლექსები.

— ნუთუ? გთხოვთ, უფრო ზუსტად...

წარმოდგენელი სისწრაფით ამოქმედებულმა მეხსიერებამ მყისვე გადაშალა შლეგელის წინ პატარა მოგონება. ორი თვის წინათ შლეგელმა ყურადღება მიაქცია შენიშენას კორეიდან ხარბინის თეთრგვარდიელთა ჟურნალში. კაცს ერთბაშად ეცემოდა თვალში, რომ ეს შენიშენა ეკუთვნოდა უიღბლო პოეტს, რომელიც ფლობდა მაღალფარდოვანი პროზის ენას. უიღბლო პოეტები მუდამ ცდილობენ პროზაც ლექსისებურად სწერონ. შლეგელი ოდესღაც თვითონაც სწერდა ლექსებს, და იგი ცხადად ხედავდა, რომ პოეტი, რომელსაც ყურადღებით უკითხავს მაიაკოვსკი, აშკარად განიცდის მის გავლენას თავის ენაზე. შლეგელმა მაშინ გაიფიქრა, რომ ეს კორეელი ლექტორი ახლო წარსულში საბჭოთა ქვეშევრდომი უნდა ყოფილიყო. ასეთი უცნაური დასკვნა თავისთავად გაიფიქრებს ხოლმე შეგნებაში, რომელიც ჩვეულია სრულიად საწინააღმდეგო ასოციაციების დაკავშირება-დაახლოებას. ამ კორეელი ლექტორის ენაში იყო რაღაც ისეთი, რაც არ ყოფილა ძველ თეთრგვარდიელთა ენაში, — იყო რაღაც ბუნდოვანი კეთილშობილების ნაშთები, ფრაზის მეტ თავისუფლებასა და დინამიურობასთან ერთად. მაიაკოვსკი არასოდეს არ ახდენდა გავლენას ძველ თეთრგვარდიელთა ენაზე.

ასე წარმოიშვა რამდენიმე გამოსავალი წერტილი: ყოფილი პოეტი, სტატიები ჟურნალში, საბჭოთა ზოქალაქობა.

შეკითხვამ ლექსებზე წარმოშვა პაუზა, რომელიც პასუხად გადაიქცა.

— რატომ მიატოვეთ სტატიების წერა კორეიდან? — შეეკითხა შემდეგ შლეგელი.

კვლავ პაუზა.

— მე არასოდეს არ მიწერია სტატიები.

— ჩვეულებრივად დამნაშავეთა საქმეების გამო ჩვენ არ მივმართავთ მათ მშობლებს, მაგრამ თქვენს შემთხვევაში...

შლეგელმა შეხედა უცნობს. იგი ისევე ფერწასული იყო როგორც შეპყრობის პირველ წუთებში. ორჯერ-სამჯერ თითები აათამაშა მაგიდაზე, მაგრამ მყისვე გონს მოვიდა, ასწია ხელი და თმაზე გადაისვა.

„მასში ორი სურვილი იბრძვის — გამოტყდეს თუ განაგრძოს ბრძოლა. მაგრამ არ იცის, როგორ განაგრძოს“.

— მგონი, გსურთ რაღაც მკითხოთ? — ამბობს შლეგელი.

— რაო? არა, არა.

— მაშ მისასუხეთ კითხვაზე: როგორ უყურებთ თქვენს საქმეში მშობლებისა და მახლობლების ჩაბმას? თუ ეს საჭირო არ არის? უცნობმა თავი ასწია.

— ნიკოდიმი შეიპყარით?

— დიად.

— მაშასადამე, თქვენ თავიდანვე იცოდით ყველაფერი?

— დიად.

— რაღა საჭირო იყო ეს თამაში?

— უამისოდ თქვენთვის ძნელი შესაგნები იქნებოდა თქვენი მართლაც სულიერი მდგომარეობა. როდესაც დამნაშავე შეპყრობილია, მას სჩხრეკენ. თქვენ გაჩხრეკილი ხართ. ჩამოიხსენით გმირის ნილაბი. თქვენ მხოლოდ დამნაშავე ხართ — ფაშისტი.

და შლეგელი ლაპარაკობს სწრაფად, თითქოს ყოველივე ეს მისთვის მართლაც დიდიხნის წინათ ყოფილიყოს ცნობილი და მხოლოდ აუცილებლობის გამო მალავდა იმას, რაც ახლა ჩამოყალიბდა მის შეგნებაში.

— პატრიოტი ვლადივოსტოკიდან კორეაში გაიქცა, საქმელი შემოაკლდა. და პატრიოტმა დაიწყო უნიჭო ლექსების წერა—საქმელს არ იძლევიან. სწერს სტატიებს—მანც არ იძლევიან საქმელს. პატრიოტი დივერსანტი გახდა—მან მოიპოვა სახელიც და საშოვარიც. ბავშვობიდან ნაცნობი ადგილები. რატომ არ უნდა გაისეირნოს?

— მე მოვდიოდი იმის მოსაკლავად, ვინც შლეგელი შესცვალა, — ამბობს უცნობი.

— ვერ მოკლული შლეგელის შემცვლელი თვითონ მე ვარ. მე ჯერ ცოცხალი ვარ. მოპყვეით ნიკოდიმის შესახებ. შეგიძლიათ ხელები მაგიდაზე დააწყოთ, სულ ერთია, ვხედავ, როგორ კანკალებენ ისინი.

შუადღისას შლეგელი წავიდა და თან დეპეშას დეპეშაზე გზავნიდა, ხოლო როდესაც დაბინდდა, ლევ ვერესოვიც ჩასვეს ეტლში.

ნიკოდიმი შეიპყრეს იმავე ღამეს, როდესაც ვერესოვი ძალზე

გახურებული ვაგონის ორადგილიან კუპეში იჯდა. ვერესოვი ხშირად გადიოდა საპირფარეშოში, ქვეშ-ქვეშ ათვალეირებდა დერეფანს და იქ მდგომ ხმამაღლა მოსაუბრე ხალხს. ისინი ფეხიზლად ადევნებდნენ თვალყურს და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ჰეი, გაატარეთ ერთი ეს კაცი, აბა, ჩქარა“. ტარასუკი ფეხდაფეხ მისდევდა, ხოლო როდესაც კუპეში შეიყვანდა, უსიტყვოდ ჩამოჯდებოდა მის პირდაპირ, თან ხელი ჯიბეში ელო.

— სთქვი რამე! — ეუბნებოდა ვერესოვი. — მე მხოლოდ ოცდარვა წლისა ვარ, მეგობარო. სისულელე გამოვიდა. კოლმეურნე ხარ? ვინა ხარ?

ტარასუკი სდუმდა.

— სთქვი, ვინა ხარ? კომუნისტი, ჩეკისტი? მერე, როცა დრო მოვა, დამხვრეტავ, მაგრამ ახლა ხომ შეგიძლია მელაპარაკო? გასწიფ აგიტაცია, — არ ეშვებოდა ვერესოვი ტარასუკს.

— მე არავეითარი პატივისცემა არა მაქვს შენი, რაზე უნდა გელაპარაკო? — უთხრა ჩუმად ტარასუკმა.

და ბოლომდე ხმა აღარ ამოუღიათ.

არა ღირს ამქამად ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ იპოვეს ნიკოლდმი.

საყურადღებოა მხოლოდ ის, რომ ნიკოლდმის ხალხი მოკალათებული იყო ზარეცკის ირგვლივ.

შლეგელმა კვლავ მიაშურა ჩრდილოეთს.

ი ვ ლ ი ს ი

175 თვითმფრინავი მიპქრთვა შიხაიჯიდან აღმოსავლეთისკენ.

წელს მოწინავე ხაზზე, საზღვართან, ყველაფერი ლანძღვით იწყებოდა. ლუზას არ ახსოვდა, რომ ერთ დღეს მაინც უსკანდალოდ და უმარცხოდ ჩაევლოს. მაგრამ როდესაც ხანძრები დაიწყო, ისე ეჩვენებოდა, თითქოს არც ერთ დღეს არ ჩაუვლია ცეცხლის წაუქიდებლად.

იწვოდა სოფელი, იწვოდა ხიდები გზებზე, იწვოდა ფარდულე-
ბი მანქანებით.

დაცარიელდა, მიუყრდა სოფლები და ამ მიუყრების გამო ისინი
თითქოს უფრო ღარიბად გამოიყურებოდნენ. გეორგიევკასთან შეიპ-
ყრეს მოხუცი, რომელიც „შკრებს“ უწოდებდა თავის თავს. ასეთი-
სიტყვა დიდხანია აღარავის გაეგონა, და იგი საბჭოში წაათრიეს.
მოხუცი აღმოჩნდა გვარდიის ყოფილი ოფიცერი, თეთრგვარდიელი.
იგი ულაპარაკოდ დახვრიტეს. მოწინავე ხაზზე ლუზამ დასჭრა კუ-
ლაკი ვორონკოვი, რომელიც ზამთარში თეთრებთან გადავიდა, და
დააფრთხო ვილაც იაპონელი მოხუცი, კინალამ შეიპყრო იგი. მიტო-
ვებულ სუტორებში ნახეს ერთი ბიღონი ნაეთი და ერთი იაპონური
გეტრი.

ხოლო უსურის ნიკოლსკში დღე და ღამ აშენებდნენ ორ ქარ-
ხანას—ერბო-ცხიმსინდიკატის და შაქრისას, სპასკში ამთავრებდნენ
ცემენტის გიგანტს.

რაიონი კოლმეურნეობებისაგან ქარხალსა და სოიას მოითხოვდა.

რაიონი არ ამცირებდა მარცვლეული კულტურების ფართობს
და ამავე დროს მოითხოვდა კოლმეურნეობებისაგან ქარხალსა და
სოიას, თუმცა მარცვლეულ კულტურებს დაკავებული ჰქონდათ უფრო
მეტი ფართობი, ვიდრე ომამდე.

საზღერის გასწვრივ მჭიდროდ მოიკალათეს ახალმა კოლმეურ-
ნეობებმა, მხიარულმა ხალხმა, რომელიც ამ მხარის დასასახლებლად
ჩამოვიდა.

კოლმეურნეობის „ავანგარდის“ თავმჯდომარე ბოგდანოვი ხე-
ლებს ისრესდა სიამოვნებისა და აზარტისაგან.

— აბა, მეზობელო, — ეუბნებოდა ის ლუზას, — შევეუტიოთ ქარ-
ხალს. დაგვეხმარე მხოლოდ რჩევით, ჰქენი სიკეთე, ჩვენ ახალგაზრდა
მეურნეები ვართ.

ხოლო მეორე მეზობელი მარცხენა მხრივ—მაღალი, ჯმუხი კა-
ცი, კავალერისტის გარეგნობით, თვითონ ეწვია ლუზას თითქოს სა-
ვიზიტოდ და შესთავაზა ორასი მანეთი ყოველთვიურად მუდმივი
კონსულტაციისათვის.

— ვასილ პიმენოვიჩ, — მელანქოლიურად წარმოსთქვა მან, — არ
შემიძლია მოგწყვიტოთ თქვენს კოლმეურნეობას, ამიტომ კონსულ-

ტაცია გაგვიწიეთ, ასე ვთქვათ, თავისუფალ საათებში, ოცდამათხი საათის შემდეგ.

დილის ხუთ საათამდე იჯდა იგი ლუზასთან, სული ამოართვა მეტისმეტად წვრილმანი კითხვებით.

ეკითხებოდა, მაგალითად:

— რამდენ წამში ჰკრავს ძნას თქვენი დამკვერელი ქალი?— და თავს აქნევდა:— უნდა ვიცოდეთ, უნდა ვიცოდეთ, ვასილ პიმენოვიჩ. ხვალ გამოარკვეით ეს საკითხი.

თავის მხრივ ვასილ პიმენოვიჩი ორჯერ იყო იმასთან.

კოლმეურნეობის მორიგე ორჯერვე პატაკით წარუდგა.

წითელ კუთხეში ვილაც გაიძახოდა: „სმენა“.

ვასილ პიმენოვიჩი ხელებს იქნევდა და ფეხაკრეფით გარბოდა დერეფნისკენ.

— კარგი კოლმეურნეობა გაქვთ, — ეუბნებოდა ის მორიგეს და ოფლს იწმენდდა სახეზე.

— მართებული კოლმეურნეობაა, — უპასუხებდა მორიგე, მყისვე სწყვეტდა ლირიკულ საუბარს და საქმიანად ეკითხებოდა: — ამხანაგო. კონსულტანტო, ხომ არ გვიბრძანებთ შევკრიბოთ ხალხი. ალბათ, ოხსენების გაკეთება გასურთ...

— არა, არა, ორი სიტყვა მაქვს გადასაცემი თავმჯდომარისათვის, — და ლუზა სწრაფად შორდებოდა.

თავმჯდომარესთან კი იმ დროს მიმდინარეობდა მინდვრის რგოლების ბრიგადირთა სემინარი.

— დაჰყავით თიბვის პროცესი შემადგენელ ოპერაციებად...

ლუზა ცხენზე ჯდებოდა და სახლისკენ მიეშურებოდა.

ერთი დეკადის შემდეგ ლუზამ მიიღო ცნობა, რომ იგი დანიშნულია ხანძართან ბრძოლის საქმის რაიონის რწმუნებულად მოწინავე ხაზზე. მას სხდომაზე იწვევდნენ კოლმეურნეობა „ავანგარდში“ ხანძართან ბრძოლის კონკრეტულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

ეს ცნობა ლუზას გოლუბევამ მოუტანა. გოლუბევა ახლა ინსტრუქტორად მუშაობდა რაიადმასკომში.

გადასწყვიტეს შუალამისას წასულიყვნენ, რათა დილით უკვე „ავანგარდში“ ყოფილიყვნენ. ლუზამ წინაღუდესვე შეუკვეთა ეტლი და თანამგზავრად მეჯინიბე პანტელეევი აირჩია.

დღესასწაულივით ხალისიანი და გულის სიღრმემდე ჩამწვდომი მტრედისფერი ღამე იყო. ასეთ წარმტაც ღამეში არ ეძინათ და არც შეეძლოთ დაეძინათ ფრინველებსა და მწერებს. მინდვრები ყრუდ გუგუნებდნენ მათი ხმაურობისაგან. ბალახი ვერცხლისებრ ბრწყინავდა მთვარის შუქზე. გინდოდა გემლერა.

მაგრამ ისინი ჩუმად და ფრთხილად მიდიოდნენ.

გათენებისას „25 ოქტომბრის“ მეჯინიბე პანტელეევი აფორიაქებული შევარდა კოლმეურნეობა „ავანგარდში“.

— ჩვენები საზღვარს იქით გაიტაცეს!—დაიყვირა მან.

გამაგრებული რაიონის პოლიტგანყოფილების უფროსი შერშავინი დილით ადრე ადგა. ცხენები უკვე ფრუტუნებენ ფანჯარასთან. შერშავინი ჩვეულებრივად საუზნობს არა სახლში, არამედ შეიდ-ას-ორმოცდა ოთხ ბატარეის სასადილოში, სადაც ყოველდღე მიდის დილის რვა საათზე. სადილობს ავიაობრივადაში, ვახშმობს კი შინ. საღამოობით მასთან იკრიბებიან ნაწილების სამხედრო კომისრები და პოლიტბელმძღვანელები.

დილით ადრე შერშავინი ათვალეირებს საზღვრის მოწინავე ხაზს. გეორგიევკაში იგი დიდხანს ვერ აღწევს თავს მის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს, რომელთა ბოლოშიც დახვავებულია აგური და ხეტყე. ძველი სახლები ახლებს შობენ. ასე, მაგალითად, სამი ძველი ქოხიდან ააგეს რადიოკვანძი, მას მოჰყვა აბანო, კინო. ცარიელ ადგილზე იზრდება ელექტროსადგური, პოლიტგანყოფილების მეორე მხარეს—ლაბარატორია, ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ბაგები. ცარიელი ადგილები, როგორც ანკეტის შეუესებელი გრაფები, აღიზიანებენ რაიალმასკომს, და ასეთ ადგილებს ღობეს ავლებენ, თუნდაც იქ არაფერი შენდებოდეს.

რაიონის კომენდანტი გუბერი, ეტყობა, უკვე მშენებლობაზეა, გორაკებში,—მარია ანდრეევნა რაც ძალი და ღონე აქვს უბრაახუნებს პიანინოზე, რასაც ვერასოდეს ვერ ბედავს, როდესაც გუბერი შინ არის.

— დაიწყებს თუ არა ბრაახუნს კლავიშებზე, თავში ციფრები მერევაო,—ამბობს გუბერი.

მაგრამ გუბერი არასოდეს არ არის შინ. მთელ დღეებს გორა-

კებზე ატარებს, ცემენტში ამოსვრილი, ჩაქუჩისაგან ხელებ-დასის-ხლიანებული, ყურს უკან ღურგალივით ფანქარ-გაჩრილი.

ზოგჯერ იგი რომელიმე სადარაჯოდან ურეკავს შერშავინს:

— ვაბეტონებთ, კომისარო, ოცდახუთი გრადუსი ყინვაა, მაგრამ მაინც ვაბეტონებთ. გაზაფხულზე წყალი გვექნება, ფოლადივით შესალტული.

გამაგრებულ რაიონში ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ რკინაბეტონზე, ცემენტზე, ფოტოელემენტებზე, გზებზე. გუბერს მარტო ის აინტერესებს, რაც მას აქვს, ხოლო რაც არა აქვს, მასზე სრულიადაც არ დარდობს. მაგალითად, გემი ან ცხვარი მას სრულებით არ აინტერესებს, მაგრამ ქარხალზე უკვე ჰქონდა ლაპარაკი ლუხასთან. საერთოდ მას არც ხელოვნება აინტერესებს, მაგრამ გამაგრებულ რაიონში გულმოდგინედ და ერთგულად ადევნებს თვალყურს ხელოვნებასა და მეცნიერებას.

— ვასილ ლუზა ტაიგაში იყო, მფრინავებთან, — ეუბნება იგი კომისარს, — მფრინავეებს ორას მეთოთხმეტე მშენებლობიდან გაუგზავნეს გერმანული ენის მასწავლებელი ქალი. როგორ მოგწონს?

კომისარი გუბერზე ფიქრობს და ილიმება. მას მოსწონს არტილერიის ეს მეფისდროინდელი კაპიტანი. გუშინ გუბერმა შუალამისას დაურეკა, ეუბნება:

— უბნის უფროსთან ვიყავი მოხსენებით. სახლის წინ ყვავილნარი, ბუჩქნარი. მეკითხება, რა უნდა დასთესოთ ახლა სასაზღვრო სადარაჯოებზეო, გირჩევთ გეორგინსო. ვეუბნები: მესმის, გეორგინს დავეთსავთ-მეთქი. ჰო-და, კომისარო, აუცილებლად შეუდექი ამ საქმეს. გეორგინი თუ არა, მზესუმზირა მაინც დასთესე ფანჯრების ქვეშ.

კომისარმა ლაგამი მიუშვა, ცხენმა კარგად იცის დილის მარშ-რუტი, უელის სასწავლო მოედანს, ამბულატორიას და მიდის რაიონის ქოხისაკენ.

მდინარის ნაპირიდან, სადაც ახლადმოსულებს სწვრთნიან, მოისმის ათეულის მეთაურის წკრიალა ხმა. კომისარი გორაზე აღის თხემზე ყოველთვის შეჩერდება ხოლმე, რათა ბატონ-პატრონის თვალით გადახედოს სოფლის იქით. მდებარე ველს. ნაწილი ცხრამეტე-ცხრამეტი გამწკრივდა მდინარის ნაპირზე. როდესაც სასადილოდ წა-

ვა, იქ უნდა შეიაროს. მშენებელ ათასეულთა ბანაკში სიწყნარეა. მესანგრეები ფონთან ფუსფუსებენ. ისინი სწავლობენ ხელოვნური ყინულშემადგენლობისა და ხელოვნური ყინულთსვლის გამზადებას. ტრაქტორები თავიანთ შავ კვამლში ახვევენ გამომგონებელთა მხიარულ ფუსფუსს.

ცხენმა მხედრის დაუკითხავად რაიკომისაკენ გადაუხვია. შენობაში თამბაქოს და ნივრის შმორიანი სუნი ღვას. რაიკომის მდივანი ტელეფონთან ზის.

— საძაგელ გუნებაზე ვარ,—ამბობს იგი მისალმების ნაცვლად. — მხარემ ცული საქმე გვიყო, ძმაო. ძალიან საძაგელ გუნებაზე ვარ.

რაიკომის მდივანად ვალეშია, უნგრელი, ყოფილი ტყვე, კოკლი, ცალხელა. იგი სულ რამდენიმე დღეა გამოგზავნეს ოლქიდან. შერშავინი ოდესღაც შეხვედრია მას, მაგრამ ნაკლებ იცნობდა.

სხდებიან დივანზე. ირგვლივ გაბნეულია საქმეები, კოლმეურნეობათა მოხსენებები, „ლამურა“ ფარნები, ღამით ჩატარებული სხდომის ნაშთები. ეს სხდომა, როგორც ამას ამტკიცებდა ჰაერში ჯერ კიდევ გაფანტული თამბაქოს კვამლი, ორი საათის წინ დამთავრდა. ვალეში ეძებს ჭიქა ჩაის და ძეხვის ნაჭერს. წუხელ ჩაი და ძეხვის ნაჭერი დარჩენია მეორე ოთახში, ტელეფონის აპარატთან. როდესაც ადამიანს ყველაფერი ცულად აქვს, ყველაზე მეტად სულ მცირე უსიამოვნება აბრაზებს.

— აუკვიატებია, ძაღლების ფერმა უნდა მოვაწყო სკოლასთანო,— ეუბნება ის შერშავინს. შერშავინი მიხვდა, რომ ლაპარაკი გოლუბევაზეა, რადგან ეს ერთად-ერთი ადამიანია რაიონში, რომელსაც ვალეში ედავება და თან არცა აქვს იმედი, რომ ოდესმე დაამარცხებს.

— მერე, რა არის აქ ცული?

— გაიგე, რომ საქმე ბავშვებს ეხება. ბავშვები ძაღლებს მოაშენებენო და სხვა... ჩემის აზრით, სისულელეა. არც დახმარება შემიძლია: ბავშვები თქვენია, არმიისა, ძაღლები თქვენია, გოლუბევა თქვენია, მე კი ფული უნდა ვაძლიო. რაღაც სისულელე გამოდის.

ეტყობა, ვალეში ფულს გაიღებს, მაგრამ უნდა ამას საჩუქრის სახე მისცეს.

— კარგი,— ეუბნება შერშავინი და ღვება. თითქმის რვა სა-

ათია, ახლა არ მოხერხდება საუბარი ვალეშთან. ჯერ უნდა გამოიძინოს და გონს მოვიდეს.

—გოლუბევა უნდა გავათხოვოთ,—ეუბნება ვალეში შერშავინს.—
 ძალღებს ლუზამ მოუაროს. გუშინ ოლგინსკიდან ებრუნდებოდი, გზაზე ვკითხულობ პლაკატს: „ყოველ კოლმეურნეს უნდა ჰყავდეს სადარაჯო ძაღლი“. სასაცილოა. შევიარე ბოგდანოვთან, ვერ წარმოიგენ, რა მითხრა: ყოველ აგრეგატზე თითო ძაღლიო. მე მხრები ავიჩეჩე. გოლუბევა უნდა გავათხოვოთ და შენ უნდა შეირთო იგი,—იმეორებს ვალეში.—თუ გინდა მოველაპარაკებო.

— ხომ არ გაგიყდი! ხომ არ გაგიყდი!—ყვირის კომისარი და ისეთ სახეს იღებს, თითქოს ძალიან მხიარულია.—გოლუბევას საქმეს ვერ ჩამოვაცილებთ, არაფითარ შემთხვევაში. ყვავილები, აი რა უნდა დავაკისროთ. ყვავილები სადარაჯოებზე, ყაზარმების წინ, თავდაცვის წერტილების წინ, საყარაულო შენობებში. საერთოდ, იგი გაუძღვება ბინების კულტურულად მოწყობის საქმეს. დილ-დილაობით სხდომის შემდეგ შემოივლის შენთან და ჰაერს შემოუშვებს შენს ოთახში, წყალს დაასხამს ყვავილებს ფანჯრებთან...

კომისარის სიტყვას სწყვეტს ტელეფონის წკრიალი. შეშფოთებული ვალეში ყურით მიეკრობა ტელეფონის მიღს.

—სად?—დაიყვირა მან.—კატკას ეზოსთან?.. კატკას ეზოსთან რალაც მომხდარა. თავდასხმა? გეკითხები, ბანდის თავდასხმა? რას ამბობ? შეუძლებელია! ბოგდანოვი წავიდა? ძალიან კარგი.

— ლუზა და გოლუბევა მოუკლავთ მოწინავე ხაზზე,—ეუბნება იგი კომისარს.—საღამოთი მოიყვანენ.

ისინი დიდხანს შესცქერიან ერთმანეთს და დიდხანს მღუმარედ დგანან.

— წავალ შესახვედრად,—ამბობს კომისარი და გადის.

შერშავინმა ისაუბრა ბატარეაში, მოილაპარაკა საცხოვრებელი სახლების აგებაზე მეთაურთა შემადგენლობისათვის, მომავალ ბოსტნებზე და ყვავილებზე და შევიდა ბატარიის მეთაურის ბინაში.

სახლში მარტო ცოლია. შერშავინს ბევრი რამე აქვს მასთან მოსალაპარაკებელი, მაგრამ იშვიათად თუ ახერხებს მოლაპარაკებას. ქალი ჰკერავს. შერშავინი ეუბნება:

— მოდით შევთანხმდეთ, რომ თქვენ ქალთა განყოფილების გამგედ იმუშავეთ ჩემთან. რა ისმის?

ქალი ყურადღებით ათვალეერებს ნაკერს და უპასუხებს:

— საჭიროა კოოპერატივის მომარაგება რაიმე მხიარული ნივთებით, ნიკიტა სემიონოვიჩი.

— მაგალითად?

— მაგალითად, პულრით, ოდეკალონით, აბრეშუმით და სხვა რამეებით.

— კარგი.

— კარგი იქნებოდა, მოგვენახა მკერავი-ქალი... მალე გაზაფხული დადგება.

— მოვიფიქრებ. უცოლოებს რაღა ეშველებათ?

ქალი იღიმება.

— მამაკაცებისაგან მოსვენება არ არის. პირდაპირ ველარსად დამალულხარ კაცი. კარგი კი იქნებოდა, ცოლები შეგვეერთო მათთვის. ცოდვას ავიცილებდით.

— მოიფიქრეთ, როგორ მოვაგვაროთ ეგ საქმე.

— ჩვენებს იღბალი არა აქვთ,— იცინის ბატარეის მეთაურის ცოლი.— თქვენთან, სამედიცინო ნაწილში, გაჩნდა ვიღაც კბილის ექიმო-ქალი. ახალგაზრდაა, არა უშავს რა. ამბობენ, იგი უკვე გაუცვნია შჩუპაკს ავიობრიგადიდან და, მგონი, არც თუ უნაყოფოდ. ჩვენები საშინლად ჯავრობენ, ყოველთვის ვიგვიანებთო.

— რატომ იგვიანებთ? თქვენ ხომ რაღაც ორი კილომეტრითა ხართ უფრო შორს.

— ორი კილომეტრია, მაგრამ მაინც ვიგვიანებთ. სიყვარულს კილომეტრობით არ ზომავენ.

ბატარეიდან შერშავინი მოწინავე ხაზზე მიდის. გამზადებულ წერტებში, როგორც უბრალოდ უწოდებენ ხანგრძლივი დროით თავდასაცავ გამაგრებულ ადგილებს, ხალხი უკვე განაწილებულია. დღეს სტალინის სახელობის წერტში კინოსეანსია, ვოროშილოვის წერტში — ლექცია² პარტიის ისტორიიდან. მაგრამ სანამ ცხენიდან ჩამოხტებოდეს და ბილიკით გაოლიანში¹) გაივლიდეს, შერშავინი შედის ძალ-

¹) გაოლიანი—ერთწლიანი მცენარე. გავრცელებულია ჩინეთში.

ლების ბაზაში. სახედრისოდენა ბანჯგვლიანი კავჭისიური ძაღლები მრისხანედ გაწოლილან თავიანთ ბინებთან და გალიზიანებულნი იყნოსავენ უცხო სტუმრების სუნს. ძაღლებს ყბები დაძაბული აქვთ, ხოლო თათები გადასახტომად გამზადებული. ცხენები ასი მეტრის მანძილზე გრძნობენ ამ ძაღლებს, ფრუტუნებენ და შფოთავენ, რადგან ეს ძაღლები, ალბათ, შორიდანვე აგრძნობინებენ ყველას თავიანთ წარმოუდგენელ ძალასა და მრისხანებას. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ ისინი არასოდეს არ იყეფებიან. ასეთ ძაღლს შეუძლიან თვალის დახამხამებაზე დაანარცხოს კაცი მიწაზე და დაგლიჯოს სრულიად მოულოდნელად და, ალბათ, უმტკივნეულოდაც.

სტალინის სახელობის წერტში ყველაფერი კარგადაა. წითელ კუთხეში ბრწყინავენ კედლებზე დაკიდებული საკრავები, თაროებზე აწყვია ახალი წიგნები. ყვაილებიანი ქოთნები ჩამწკრივებულია ფანჯრის რაფებზე, სათოფურების წინ. ნივთებს ისეთი იერი აქვთ, თითქოს ახლად მოტანილია მალაზიიდანო, რადგან ყველაზე იარლიყი ბრწყინავს. იარლიყებზე წარწერილია:

- „ყვაილი. მორწყვა დაკისრებული აქვს მეომარ პოდკუიკოს“.
 - „წიგნის თარო. წმენდა დაკისრებული აქვს მეომარ იანსონს“.
 - „ლუმელი. მეთვალყურეობა დაკისრებული აქვს მეომარ ჩაენკოს“.
- მორიგე ჩაენკო სქელტანიან წიგნს კითხულობს.

შერშავინი პირველად არის აქ. წერტზე და დაწვრილებით და გულმოდგინეთ ეცნობა ხალხს.

- რას კითხულობთ? — ჰკითხა მან.
- ბელინსკის სტატიას შექსპირზე.
- მოგწონთ?
- მოწონებით კი მომწონს, მაგრამ რალაც გაუგებარია, ამხანაგო კომისარო.

შერშავინი ოღნავი კოქლობით და იდაყვებ-გაშვერილი, თითქოს სურს ვინმეს კისერში სწვდესო, დაიარება თავდასაცავ კამერაში. მეტად ჰკვიანური სახე აქვს და ყველას, ვინც მას პირველად ხედავს, აგონებს ვილაც ძალიან მახლობელ ამხანაგს. შემდეგში ეს შთაბეჭდილება ჰქრება, მაგრამ შერშავინი უფრო მახლობელი ხდება, ვიდრე ის აღამიანი, ვისაც იგი შეხვედრის პირველ წუთებში აგონებდა.

— ბოლომდე წაიკითხეთ ბელინსკი, შემდეგ გამოგიგზავნით შექსპირის „ჰამლეტს“. კიდევ რა გაქვთ წაკითხული?

— ქსოვილთა გალამაზების ისტორია.

— კიდევ?

— მე ხომ ეს-ეს არის. ვისწავლე წერა-კითხვა. მე ნამწყემსარი ვარ, ამხანაგო კომისარო.

— მეც.—დაუქნევს თავს შერშავინი.—1920 წელს გავათავე წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა სარატოვის საავადმყოფოში.

შერშავინი მიუჯდება მაგიდას და სწერს წიგნების მეტად გრძელ სარეკომენდაციო სიას.

აღნიშნავს პირველი, მეორე და მესამე რიგის წიგნებს და ფრჩხილებში სწერს: „ძნელია“, „ადვილია“, „უბრალოდ იკითხება“

— ვიცი, რა შეუძლია კაცს და რა არა,—ეუბნება ის გამო. თხოვებისას.—შეუდექით თავგამოდებულ მუშაობას და ადამიანი გამოხვალთ. საიდან ხართ?

— ქალაქს ვაშენებდი ციმბირში.

— რაკი მაგრეა, საუბარი მოკლე გვექნება. მე ჩაყინება ვიცი. თხუთმეტი წელიწადი ორ წელიწადში უნდა გაიაროთ. მოსვენებას არ მოგცემთ.

შერშავინმა წერა-კითხვა 1920 წელს ისწავლა და გაგზავნილ იქნა პოლიტბელმძღვანელად პოლკში. მის პირველ ბიბლიოთეკაში ორი წიგნი იყო: „კომუნიზმის ანბანი“ და „რობინზონ კრუზო“. წითელარმიელები პოლიტბელმძღვანელ შერშავინს „პოლიტურას“ ეძახდნენ. იგი ამ ოჭი წიგნით მოქმედებდა. პოლკმა ზეპირად იცოდა „რობინზონი“. საერთო სიყვარულით სარგებლობდა ნაცუმცი-რესობის წარმომადგენელი პიატნიცა, დამკვრელი მომუშავე. კარგ მეომარზე ამბობდნენ: ის ჩვენი პიატნიცააო. რობინზონს კი სთვლიდნენ წვრილ მეურნედ, კულაკად, და ვერავის გაეგო, რატომ იცჯერ მაინც არ ჩაამტვრია კბილები მას პიატნიცამ ექსპლოატაციისა და უხამსობისათვის.

იმ დროიდან, რაც შერშავინმა წერა-კითხვა ისწავლა, შემოიღო დღიური. ახლა მისი დღიურები ორმოცდაათ კილოგრამს იწონიდნენ.

ვინმეს რომ გადაეთვალაიერებინა ეს გულახდილი ჩანაწერები,

გაოცდებოდა და არ დაიჯერებდა, რომ ადამიანის სული ამდენ რამეს იტევს, რომ ეს მხოლოდ ერთი სულაა და არა ათი, როგორც გზვენება კაცს, როდესაც ამ ადამიანის დღიურს გადაათვალიერებს, ადამიანის, რომელიც იყო მწყემსად, პოლიტხელმძღვანელად, პოლკის მეთაურად და აკადემიის მსმენელად. ეს იყო ერთი ადამიანი—ის, ვინაც ძლივს გამოჰყავდა ასოები, ის, ვინც თავისი დღიურის ფურცლებზე პოლონურად სწერდა (ენაში რომ გაწაფულიყო) და ის, ვინც გაკრული ხელით გადმოსცემდა თავის შთაბეჭდილებას ლონდონის სამეფო მუზეუმების შესახებ.

მაგრამ დღიურში შერშავინს აქვს იმის სიაც, რაც მან არ იცის. აქ ისეთ სიტყვებს შორის, როგორიცაა „სიმბოლიზმი“¹⁾, „ნიცშეანობა“²⁾, გვხვდება იმ ადამიანის გულბრყვილო შენიშვნებიც, რომელსაც სწრაფად და ცალმხრივად უსწავლია.

მას უყვარს დაწერილებით ლაპარაკი. სიამოვნებით დაგროვებულ ცოდნას იგი სიამოვნებითვე ხარჯავს. უყვარს აფორიზმები, აგროვებს მათ და სთხზავს ახალ აფორიზმებს.

ამჟამად იგი წყნარი, უადამიანო ბილიკით მიდის სტალინის სახელობის წერტიდან მოლოტოვის სახელობის წერტილში. არავინ არ ახლავს. მარტოდ-მარტოა. თითქმის შეუგნებლად ემზადება დღიურზე სამუშაოდ საღამოთი.

იგი ქალებზე ფიქრობს. სურს დასწეროს „პრავდაში“ სტატია, გაბედული, მგზნებარე რამ სიყვარულის შესახებ. ასეთი რამ: „არსად ისე არ უყვართ, როგორც შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ქალები ცოტანი არიან...“ ან ასე: „თუ გსურთ უყვარდეთ, გიფრთხილდებოდნენ, ყოველ თქვენ სურვილს ასრულებდნენ,—წადით აღმოსავლეთში. რაინდული ზნე-ჩვეულება წარმოიშვა განუწყვეტელი

1) ს ი მ ბ ო ლ ო ზ მ ი — მიმართულება ხელოვნებაში, რომელიც ჩამოყალიბდა საფრანგეთში XIX საუკუნის 80-იან წლებში. რუსეთში იგი განვითარდა გასული საუკუნის 90-იან წლებში.

2) ნიცშეანობა — რეაქციული მიმდინარეობა ფილოსოფიაში, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა გერმანელმა ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ნიცშემ. იგი ქადაგებს ზეადამიანის კულტს, ხალხისადმი მძაფრ უარყოფითს დამოკიდებულებასთან ერთად. იდეურად ნიცშეანობა ფაშიზმის წინამორბედია.

ომების გამო უცოლშვილოდ დარჩენილ უხემ ჯარისკაცებს შორის...“ ან-და სხვა რამ ამის მსგავსი.

როგორ დასწეროს ამაზე? იგი ჯდება ქვაზე ზედ საზღვართან. პოლარული ტუნდრებიდან კორეამდე აქ ყველა ქალზე ოცნებობს. არსად ისე სწრაფად არ ქორწინდებიან და ისე კარგად არ ცხოვრობენ, როგორც აქ. შორეულ აღმოსავლეთში ქვრივები არ არიან. მარტონი რჩებიან მხოლოდ მიღრწნილი ბებრები, რომელთაც არ შეუძლიათ გადალახონ თავიანთი სიძაბუნე. ყველას, ვისაც სიყვარული შეუძლია, უყვარს და ნაყოფიც მოაქვს.

სიკვდილი გოლუბევისა, რომელიც უყვარდა შერშავინს და რომელზედაც ფიქრობდა, როგორც თავის მომავალ ცოლზე, სამძიმო იყო მისთვის, მაგრამ მისი გონება ახლა თითქოს სხვა ფიქრებით იყო გატაცებული. ზის და სახე-მოკმუხნული ატკაცუნებს თითებს, იქერს რალაც დაკარგულ აზრს.

— კო, რა მინდოდა მომეფიქრებინა?—ბოლმიანად ჩურჩულებს იგი, და ნათელი ხდება მისთვის, რომ ახლა არაფერზე არ შეუძლია ფიქრი.

მასთან მივიდა მოხსენებით კოლმეურნეობა „ავანგარდის“ თავმჯდომარე ბოგდანოვი.

— ამხანაგო გამაგრებული რაიონის კომისარო...

— არ არის საჭირო, არკადი პავლოვიჩ.

შერშავინი ცხენიდან ჩამოხტა, ქუდი მოიხადა და მიუახლოვდა ორთველა ეტლს, რომელზედაც იდო რალაც მოკლე, ბრეზენტით დაფარული.

მეჯინიბე პანტელეევმა ფრთხილად ასწია ბრეზენტი.

გოლუბევა იწვა მოკაკული, ფეხებ მოკეცილი, დატანჯული სახით, ღია ტუჩებით, ფართოდ გაშლილი თითებით.

— ორი ქრილობა აქვს ნაწლავების არეში,—ჩუმად სთქვა ბოგდანოვმა. — გაიტანჯა.

— სად არის ვასილ პიმენოვიჩი?

— ვერ იპოვნეს,—სთქვა მეჯინიბემ და გადაათარა ბრეზენტი გოლუბევას. — სანამ კოლმეურნეობამდე მივირბენდი და უკან დავბრუნდებოდი, ვასილი სადღაც გაქრა.

— როგორ მოხდა?

მომხდარა ეს ამბავი სულ უბრალოდ. როდესაც სამმა მგზავრმა ამ ორთვალა ეტლით კატკას ეზოს ჩაუარა, რომელიც მანჯურის მხარეს, მდინარის იქით მდებარეობს, ლელიანიდან თოფის ხმა მოისმა. მეგინიბე პანტელეევი მაშინვე გადახტა ორთვალადან, ლუზამ კი ცხენი გააჩერა, საჯდომის ქვეშ ამოდებული შაშხანა ამოიღო და ბანზაის დაუსტვინა. გოლუბევა ორთვალაში დარჩა.

ლელიანიდან ერთხელ კიდევ გაისროლეს, გოლუბევამ შეჰკივლა და კრუნჩხვა დაიწყო, ცხენი დატოხა და გაქანდა. მერე ერთბაშად აგრიალდა სამი შაშხანა. მაშინ ვასილმა, როგორც ახლა მეგინიბე ამბობს, დაუყვირა მას, გაქცეულიყო კოლმეურნეობაში ბოგდანოვთან, თვითონ კი ამოეფარა ქვას და ასტეხა სროლა. ვასილი უკვე დაჭრილი იყო, რადგან ძალზე ახველებდა და სული ეხუთებოდა. პანტელეევი კოლმეურნეობაში გაიქცა და როდესაც ბოგდანოვთან ერთად დაბრუნდა, უკვე თენდებოდა. კატკას ეზოში სიწყნარე იყო, არავინ სჩანდა.

ლელიანიდან მდინარისაკენ სისხლის კვალი მიდიოდა, გზაზე ეყარა გასროლილი გილზები და ეგდო ვასილის წითელი კუბანკა. არსად სჩანდნენ არც ლუზა და არც ბანზაი. მხოლოდ შუადღისას ას მეთექვსმეტე საგუშაგოს დარაჯმა დაიჭირა ეტლში გაბმული ცხენი. ეტლს უკან კოჭლობით მისდევდა ვასისხლიანებული ძაღლი.

— წაიღეთ გვამი რაიკომის მდივანთან.

ერთხანს კომისარი და ბოგდანოვი ჩუმად მისდევდნენ ეტლს.

— აქედან ორგანიზაციული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, — ამბობს ბოლოს შერშავინი. — მალე ხალხი დღე და ღამე მინდვრად გავა. თესვა დაიწყება. შემდეგ მოსავლის აღება.

— უთოფოდ საჭირო ადგილშიც კი აღარავის გავუშვებ, — ამბობს ბოგდანოვი.

შერშავინი თავს უქნევს:

— ყოველ კოლმეურნეს უნდა ჰყავდეს თავისი სადარაჯო ძაღლი. თქვენ წადით. გეორგიევკაში, უამბეთ ყოველივე, რაც მოხდა, ვალეშს. მე რამდენიმე ადგილას კიდევ უნდა შევიარო.

მაგრამ იგი კიდევ დიდხანს მისდევს ორთვალას და ნაღვლიანად ფიქრობს ქალის სიკვდილზე.

არ არის ისეთი სიმღერა, რომ მოკლულის გვამს უმღერო. საჭირო კია.

მოლოტოვის სახელობის წერტში იგი საუბარს გააბამს იაპონიაზე, შესანიშნავ შრომისმოყვარე და დამშეულ ხალხზე, რომელიც გახრწნა რელიგიამ და რეჟიმმა.

შემდეგ სასადილოდ მიდის ავიოშენაერთში. შტაბში მალე პოულობს იმ შჩუპაკს, რომელზედაც ბატარეის მეთაურის ცოლი ელაპარაკებოდა.

— მახსოვს მარტობას უჩიოდით, ოჯახზე ფიქრობდით,— ეუბნება მას შერშავინი. — ხეალ რვაზე მოდით ჩემთან ნოლ-ნოლში, გზად გამოიარეთ ამბულატორიაში, მოელაპარაკეთ იქ კბილის ექიმქალს ამაზე, იმაზე. ამბობენ, საუცხოო ქალიშვილიაო. თუ საჭირო იქნება, ორგდასკენებისათვის ათი დღის შვებულებას მოგცემთ.

შჩუპაკი ერთბაშად ოფლში გაიწურა.

„ბრავიცია,— ფიქრობს სასადილოსაკენ მიმავალი შერშავინი. — ტყუილ-უბრალოდ, დაჰკარგავს ათ დღეს. სავსებით ცხადია“.

თავში შერშავინს იმდენი რამე უტრიალებს, რომ არაფრის დავიწყება არ შეუძლია, და აზრები განხორციელებამდე გაშმაგებული კოლოებივით დაჰქრიან მის თავში... დამშვიდების საუკეთესო საშუალებაა ყველაფრის გაკეთება. მაგრამ ასე არასოდეს არ ხდება. ყოველ დღეს ახალი სადარდებელი მოაქვს, რასაც მოსდევს დამატებითი ქალარა ბალანი და ნაოქი. ამჟამად შერშავინი ფიქრობს წიგნების ცენტრზე, ფოსტაზე, სათამაშოებზე, ცეკვის მასწავლებელზე, ესე იგი, უფრო სწორად, საყვედურზე, რომელიც მიიღო მან „მეტის-მეტად ლამაზი ცხოვრებით“ გატაცებისათვის. ფიქრობს პოლიტხელმძღვანელთა შეკრებაზე, ბინების აშენებაზე, კბილის ჯაგრულებზე, წაკითხულ წიგნებზე, მაგრამ ფიქრობს ყოველივე ამაზე არა ცალ-ცალკე, არამედ ერთბაშად, ერთის აღტყინებით, გიმნასტისა თუ მკურავის მსგავსად, რომელიც მხოლოდ წიგნებიდან იგებს თავისი ფეხების პოზიციისა და სუნთქვის რეჟიმის ამბავს, ხოლო წყალში ხტება და იყვინთება ერთბაშად, მთლიანად შეიგრძნობს რა მთელ თავის არსებას, როგორც ერთ წერტილს, უწვრილმანებოდ, წერტილს, რაშიაც მოცემულია ის ერთი მოძრაობა, რო-

მელსაც იგი აკეთებს. მაგრამ როდესაც ამ მოძრაობას ნაწილებად ჰყოფს, იმდენი საზრუნავი გამოდის, რომ არც კი იცის, რითი დაიწყოს.

ავიობრივადიდან ბრუნდება შტაბში. გზად მიმავალმა გვერდზე ჩაუარა საამშენებლო ათასეულს. ფართო პლაცზე სამხედრო ნაბიჯით დადის ცოლების მწყობრი. ერთად შეჯგუფული ბავშვები შორიახლო სხედან და თავიანთი დედების ვარჯიშზე მსჯელობენ.

შერშავინი ცხენიდან ხტება და ბავშვებთან მიდის.

— დედებზე მსჯელობის ნაცვლად უმჯობესია თვითონ გააკეთოთ რამე. წამოდით ჩემთან მებაღეებად. დროა დაეიწყოთ მზადება გაზაფხულისათვის.

სოფლამდის ფეხით მიდის, ხოლო ცხენზე, უზანგობებთან და ცხენის კუდს უკან ჟივილ-ხივილი გააქვთ მომავალ მებაღეებს. ყველა რიგრიგობით ჯდება ცხენზე.

შტაბში შერშავინი გვიან ღამემდე რჩება.

შემდეგ გამოდის, რომ გაისეირნოს, როგორც ამბობენ, ფიქრებისაგან თავისუფალმა, ესე იგი ნებას აძლევს თავს იფიქროს ისეთ რამეზე, რაც დაკავშირებული არ არის მუშაობასთან. მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებს. მისი ინტერესების მთელი სამყარო მუშაობასთან არის დაკავშირებული. აუჩქარებლად მიდის მდინარესაკენ და მიიმდერის. სიმღერა სრულებით არ ეხერხება, მაგრამ უყვარს მომღერლად თავის წარმოდგენა, და რაღაცას ღიღინებს, იგონებს ჩიტყვებს ოპერებიდან. რაკი მარტოა ამჟამად, კარგად გრძნობს თავს, რადგან არასოდეს არ იცის მოწყენა. მიჰყვება ქუჩას, უხვევს მდინარისაკენ, სდგას ნაპირზე. ჩუმად მღერის, ღიღინება, მთელი მკერდით სუნთქავს, როგორც ნათქვამია რომელიღაც წიგნში ჯანსაღ რეჟიმზე, და ეჩვენება, თითქოს არაფერზე არ ფიქრობს, თითქოს ცხადლივ სძინავს. მაგრამ ამ დროს მის გონებაში სიზმარივით ისახება რაღაც, არა აზრი, არამედ აირის დიდი სურათი.

შარშან მოსკოვიდან მომღერლები ჩამოვიდნენ. მან დაურეკა ათასეულს, სადაც განზრახული იყო კონცერტის მოწყობა, და გან-

კარგულება გასცა, გულთბილად შეხვედროდნენ მომღერლებს. ათასეულის მეთაური მოემზადა შტაბში წასასვლელად, რათა მომღერლები ჩამოეყვანა, და უბრძანა ასეულის მეთაურს მოეწყო შეხვედრა. ასეულის მეთაურმა თავის მხრივ დაურეკა ათეულის მეთაურს წერტში:

— ამჟამად თქვენთან მოვა არტისტების ბრიგადა, მათ შორის არის უპარტიო ქალი, შეხვდით საკმაო ყვავილებით.

ათეულის მეთაურმა ორი მეომარი გაგზავნა გორაკზე ყვავილებისათვის. მაგრამ ვის შეუძლია სთქვას, რამდენი ყვავილია საჭირო უპარტიო ქალისათვის, თუ იგი ამასთანავე მოსკოველი მომღერალიცაა? ერთი თუ ორი თაიგული? შეჰკერეს თითო თაიგული. თითქოს საკმაო არ უნდა იყოს. შეჰკერეს ორ-ორი—მაინც ღარიბად გამოიყურება.

— მოიტანე ცელი,—უთხრა ერთმა მეომარმა მეორეს,—მოცელოთ ერთი ეტლი ყვავილი და სწორედ იმდენი გამოვა, რამდენიც საჭიროა.

მოცელეს ერთი ეტლი მთის შროშანა და მით მოფინეს მთელი გზა გზატკეცილიდან სადარაჯო შენობამდე.

— ასე მხოლოდ ბერძნები ხედებოდნენ თავიანთ გმირებს,—წამოიძახა აცრემლებულმა მომღერალმა ქალმა.

მაგრამ მეომარი, რომელმაც ყვავილები მოცელა, ნაწყენი დარჩა:

— ბერძნები ასეთ რამეს ვერ მოახერხებდნენ,—მტკიცედ სთქვა მან. — ვინ მისცა მათ ასეთი ყვავილები? იმათ მარტო თევზი აქვთ და ისიც უხეირო.

როდესაც შერშავინმა ეს სურათი დაინახა, ადგა და შტაბში წავიდა. „აი ამათ ავიყვან მებაღეებად“,—ფიქრობდა იგი და დაავიწყდა ყოველგვარი სიმღერა...

რ ე კ ე მ ბ ე რ ი

ორასი თვითმფრინვა:ი მიჰქრის
მოსკოვიდან აღმოსავლეთისკენ.

დეკემბერში შერშავინი ვლადივოსტოკს წაეიდა. მასთან ერთად მიდიოდა ოთხი პიონერი და ორი მეომარი. ბავშვები მეცნიერებათა აკადემიის ფილიალში უნდა შექრილიყვნენ, თითონ ის იერიშს მიიტანდა საოლქო კომიტეტზე, ხოლო მეომრები თავს დაესხმოდნენ სახპოლიტსამმართველოს ყვავილების მეურნეობას.

მტერიანი ყინვები იღგა. შერშავინი მოიქანცა ამ ყინვისა და მტერისაგან.

ქალაქში ჩინელთა დასის კონცერტზე შერშავინი შესვლა ოლგა ხლებნიკოვას. იგი ხელებგაშლილი, კოჭლობით გაექანა მისკენ.

— ოლგა ვარვაროვნა, აქ რას აკეთებთ?—წამოიძახა მან მეგობრული ხუმრობით, როგორც იქცეოდნენ ხოლმე ვარვარა ილინინიშნა ხლებნიკოვას ძველი მეგობრები, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ ქალიშვილის დაბადების მოწმობაში აღნიშნულიაო: „ბავშვის მამა და დედა—ვ. ი. ხლებნიკოვა“.

ანტრაქტი იყო და ისინი ფოიეს კედელს მიეყრდნენ. დაიწყონაკლებად ნაცნობი ადამიანების საუბარი.

— როგორა ხართ?

— ექსპედიციაში ვიყავი, ახლა ქარხანას ვაშენებ პოსიეტში.

— რატომ ბალერინა არა ხართ, ოლგა ვარვაროვნა? ბალერინა რომ ყოფილიყავით... ოქროთი აგავსებდით.

— მაგისტანა პროფესიას სამარცხვინოდ მივიჩნევდი,—სთქვა ოლგამ და გაწითლდა.

— ბალეტს? ინტელიგენტური კულაბზიკობაა. ეგ იმიტომ, რომ ფიქრობთ, თითქოს მულამ განათლებული იყავით. დედამ ხომ პრინცესასავით გაგზარდათ, თუმცა თითონ მრეცხავი იყო... შეიძლება ისიც სთქვან, ჩვენ ვხნავთ და ვთესავთ, ტრაქტორებს ვაკეთებთ, ის კი ფეხებს იქნევსო. ასეა არა?

— თითქმის მაგრეა.

— აბა გესინჯათ ამ კულტურის შექმნა ისეთივე კაპანწყვეტით, როგორც ჩვენ შევიძინეთ... თქვენ კი... მაგრამ თქვენ არც კი

გახსოვთ, იყავით თუ არა როდისმე უცოდინარი, უკულტურო, სასაცილო. ყველაფერი ეს დედამ შეგძინათ. მე კი... როდესაც ჩემს თავზე ვფიქრობ... ეჰ, რა ბევრი ვილაპარაკო...

მან საველე ჩანთიდან ამოიღო გაცვეთილ მუშამბოვან ყდაშუ ჩასმული რვეული წარწერით „მუსიკა“.

— აი ამ რვეულში 1922 წლიდან ვწერ. სპეციალურად მუსიკისათვის მაქვს.

შერშავინმა გადაშალა რამდენიმე ძველი, თითქმის უკვე წაშლილი ფურცელი.

— რა არის ეგ?— იკითხა ოლგამ.

— შთაბეჭდილებანი მუსიკაზე. ოდესღაც ვცდილობდი სისტემაში მომეყვანა ყველაფერი, რაც გამეგონა. მინდოდა გამეგლ მუსიკის ლოგიკა უფრო ადრე, ვიდრე თვით მუსიკა. მომეწონა ერთი მოხუცი, როიალის დამკვრელი კინოში, გვარდიის ყოფილი პოლკოვნიკი. რაზე მეტყველებენ საკრავები-მეთქი, ვკითხე. სიმამაცეზეო,— მომიგო მოხუცმა. — რატომ სიმამაცეზე?— შევეკითხე. მან მხრები აიჩიქა. — დო-მაჟორ, ლა-ბემოლ მაჟორ, ფა-ბემოლ მაჟორ, — ყველა ეს მტკიცე, გაბედული, კეთილშობლური ტონიაო, — მიხსნიდა ის. დავდიოდი მოხუცთან სენანსებამდე, ვთავაზობდი ულუფის წესით მიღებულ პაპიროსებს— პირადად მე არ ვეწევი— და ვეკითხებოდი, — როგორ შეიძლება მუსიკის გაგება-მეთქი. „გინახავთ ვრუბელის¹⁾ სურათი „ზღვის მეფის ასული“?— მკითხა მოხუცმა. „არა“. „დემონის თავი?“ „არც ვგინახავს“. „ჰო-და, ამ სურათების მუსიკალურ გამოხატულებას გიჩვენებდით სკრიბინის „ექსტაზის პოემის“ შესრულებისას. „იცნობთ ამ ნაწარმოებს?“ „არ ვიცნობ“. „იქნებ გინახავთ „ბაღშვი“ ვან-გოგისა?“²⁾ „არ მინახავს“. „არც ბორისოვ-მუსატოვის³⁾ ნაწარმოები გინახავთ?“ — „არა“. „სომოვის „ზაფხული“, „შემოდგომა“, „ზამთარი“⁴⁾ ეს იგივეა, რაც „შუბერტის⁵⁾ „მენუეტი“. „გაიგეთ,

¹⁾ ვ რ უ ბ ე ლ ი (1856—1910)—რუსი მხატვარი.

²⁾ ვ ა ნ - გ ო გ ი (1853—1890)—ფერმწერი, დაიბადა ჰოლანდიაში, მუშაობდა საფრანგეთში.

³⁾ ბ ო რ ი ს ო ვ - მ უ ს ა ტ ო ვ ი (1870—1905) — რუსი მხატვარი.

⁴⁾ ს ო მ ო ვ ი (დაიბ. 1869 წ.)—რუსი ფერმწერი

⁵⁾ შ უ ბ ე რ ტ ი (1797—1828)—უდიდესი გერმანელი კომპოზიტორი.

რომ არ მინახავს, არაფერი არ მინახავს“. „მაშინ,—მითხრა მოხუც-
მა,—წადით და იმდერეთ პოლკის გუნდში, საღამოობით კი დაუკა-
რით ბალალაიკა“. მაგრამ მე მაინც განვაგრძობდი მასთან სიარულს-
კინოში და იგი კონფეტის ქალაღზე მიწერდა თავის მიერ შესრუ-
ლებულ ნაწარმოებთა სახელებს და მათ ემოციურ დაბასიათუბას-
გადაშაღეთ რვეული, ერთად დავაყაროთ სიცილი ღორების მწყემს-
სის მუსიკალურ ვარჯიშობას დასვენების წუთებში. გთხოვო...

ოღამ წაიკითხა:

„დავდივართ ჩვენ ანკარა არაგვზე“, ქალიშვილების სიმღერა
რუბინშტეინის „დემონიდან“—სევდა.

შუმანი Op. 12 № 2—აღფრთოვანება. |

ოფენბახი ბარკაროლა „ჰოფმანის ზღაპრებიდან“—სიყვა-
რული.

ჩაიკოვსკი „პიკის ქალის უვერტიურა“—ავადმყოფობა.

ოღამ რვეული დაკეცა.

—მეტი აღარ შემიძლია,—სთქვა მან. —მრცხენია თქვენს მა-
გივრად.

შერშავინი გაწითლდა, მაგრამ არ დანებდა:

—ჰო-და, გაიგეთ, ვწერდი, ვუსმენდი და ვწერდი, ვადარებდი,
ვამოწმებდი. ერთხელ მოხუცი რაღაც დიადს, აღმგზნებს, სიხარულ-
ლით აღსავსეს, გამამხნევებელს უკრავდა—და შეცრად მივხვდა,
რომ ის ნიშნავდა: ალტაცებას. მან გაათავა და გადმომიგდო
ბარათი. ის იყო თურმე სენ-სანსის!) „დანს მაკაბრა“—შიშისა (და
ზარის თემა. და სამი რამ გავიგე: პირველი, რომ ჩემ პოლკოვნიკს
არაფერი არ ესმოდა მუსიკისა, მეორე, რომ ის საერთოდ სულელზე
სულელი იყო, და მესამე, რომ ადამიანი შეიძლება მქედელი ვახდეს.
მხოლოდ ქედვის მეოხებით. მე წვერ-ულვაშიანმა დავიწყე მუსიკის
შესწავლა, როგორც თქვენ სწავლა დაიწყეთ ათი წლისამ. და ახლა
არა თუ შესმის მუსიკა, არამედ ვხედავ კადეც მას. ნიჭიერი კაცი
რომ ვახდე, ამისათვის მხოლოდ ერთად-ერთი საშუალება არსე-
ბობს—იმუშაო ათი კაცის მაგივრად. „ხელოვნება თავდაუზოგავ:
შრომის მოითხოვს“,—სთქვა მხატვარმა ვან-გოგმა, რომელსაც ახ-

1) სენ-სანსი (1835—1921)—ფრანგი კომპოზიტორი, პიანინოსა და ორ-
ღანზე დამკვრელი.

ლა კარგად ვიცნობ. წამოდით ჩემთან საზღვარზე და გიჩვენებთ, როგორ მუშაობს თავის თავზე არმია. იქ ადამიანები ამყობენ იმით, რომ ისინი მსროლელები, მოცეკვავეები, მომღერლები არიან.

— არ შემძლია.

ოლგასთვის მძიმეც იყო და იმავე დროს მომხიბლავიც ეს მოულოდნელი საუბარი ხალხის ღრიანცელსა და აურზაურში.

— არ შემძლია, — გაიმეორა მან. — საქმეებში ვარ აქ ჩამმული.

— გათხოვილი ხართ?

— არა. დედას ძალიან უნდა გამათხოვოს, მე კი მოსკოვში მიერბივარ მისგან.

საუბარი ერთი წუთით შესწყდა. შერშავინმა მკლავში ხელი მოჰკიდა ოლგას.

— მოდით, თხუტმეტი წუთით ვეწვიოთ ივერცოვას. საინტერესო ადამიანია. შემდეგ კიდევ გვექნება სალაპარაკო.

— ვის ვეწვიოთ?

— ნახავთ, — და მან წაიყვანა ოლგა ზედა ტანისამოსის გასახდელ ოთახში, თან უამბობდა, რომ ივერცოვა ძველი ბალერინაა და მინდა წაიყვანო იგი გამაგრებულ რაიონში.

მანქანაში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. შერშავინი ერთხელ კიდევ შეეხო ოლგას ხელს, რათა კვლავ დაებრუნებინა ლაპარაკის უნარი.

— მაშ, მოსკოვისკენ? — ჰკითხა მან აბნეულად, ღრმად ამოისუნთქა და სწრაფად, გაშმაგებით დაიწყო ლაპარაკი იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს ოლგამ იქ საკუთარი თავისთვის, მისთვის, მხარისთვის, დედისთვის, ამხანაგებისთვის.

— მაგას ათ წელიწადშიც ვერ გავაკეთებ, — სიცილით შეაწყვეტინა სიტყვა ოლგამ.

— მე გამომყევით ცოლად, ერთად ჩვენ სწრაფად მოვაგვარებთ ყველაფერს.

— რაო?

— ხომ გაიგონეთ, რა საჭიროა გამეორება? როდესაც ივერცოვასაგან გამოვალთ, მაშინ მომეცით პასუხი.

ოლგამ განზე გაახედა და დაიწყო თავის კანტური, თან სახეს ქურქის ბეწვიან საყელოში იმაღადა.

— თანახმა ხართ?—ხელმეორედ შეეკითხა შერშავინი.

ოლგამ სახემიუბრუნებლად გადაუსვა ხელი მისი ფარაჯის სახელოს, სადღაც ხელის მახლობლად.

შერშავინმა არ იცოდა, როგორ გაეგო ეს.

შერცხვა, თან შიშმა აიტანა.

— როგორც კი ივერცოვასაგან გამოვალთ, მითხარით რამე ან გაჩუმდით. თანახმა ხართ?

მოცეკვავე ქალი მდინარის მახლობლად სცხოვროდა, ქალაქის ბოლოში თუ ქალაქ-გარეთ, ტალოვან თუთიისაგან აგებულ სახლში, რომელიც საკონსერვო ქილას ჰგავდა.

ბნელი და ქარიანი ღამე იყო. მათ კარი გაუღო ორმოცდაათი წლის განხდარმა, ფრინველისებური გამომეტყველების მოხუცმა ქალმა, რომლის სახეც ცხვირისა და მაშის მსგავს ნიკაპისაგან შესდგებოდა. ტანთ ეცვა ტყავება, ფეხზე—თექის ჩექმები. ეს იყო ივერცოვა. მაგიდაზე ქშინავდა სამოვარი. იქვე ეწყო ფრანგული მარკის კარგი ხარისხის გამობურცული ფინჯნები. მოხუცი ის-ის იყო გაკვეთილებიდან დაბრუნებულიყო და ცეცხლთან თბებოდა.

— აბა, წავიდეთ!—მოკლედ უთხრა მას შერშავინმა, თითქოს დიდი ხნის წინათ დაწყებულ ლაპარაკს განაგრძობსო, და მაგიდას მიუჯდა.

— არ შემძლია. რას ჩამაცივდა! ეს რა კომუნისტი ყოფილა, რა დაუდგარი...

მოხუცი ოლგას მიუბრუნდა:

— თავქარიანია, მეტად ფუქსავატი სისხლის პატრონი, ჩემო კარგო...

— დიდი ხანია იცნობთ?—ჰკითხა ოლგამ.

— სამი დღეც არ გასულა, რაც გავიცანი და უკვე გამაწამა. ვერ ავიხსნით, რა მოუსვენარი ადამიანია.

— წავიდეთ!—გაუმეორა შერშავინმა. — ვლებულობ თქვენს პირობებს.

— აი, ხომ ხედავთ, ჩემო მეგობარო, მთელი ხუთდღიური გამიმწარეთ. არა, უარს ვამბობ, გადაჭრილ უარს ვამბობ. თქვენ, მეგობარო, ჩემთვის მეტად ტემპერამენტიანი ადამიანი ბრძანდებით, მე უკვე აღარა ვარ იმ ასაკში.

— მე ხომ თქვენთან ცხოვრებას არ ვაპირებ, რისი გეშინიათ?

— თუნდაც იცხოვროთ კიდევ. წინდაწინ არაფრის ცოდნა არ შეიძლება. მერე რაო, რომ არ იცხოვრებთ? მე ჩემს ფეხებს მუდამ უფრო მეტად ვაფასებდი, მათ ლინილისი არ გააჩნიათ, ჩემო მეგობარო. ისინი გვიან ბერდებიან.

მოხუცმა ფანჯრიდან სათვალეები და ბიუჯარი აიღო და დაიწყო რაღაც წერილების ყურადღებით კითხვა.

— პირდაპირ არ ვიცი, რა გიპასუხოთ,— წარმოსთქვა მან, როცა რამდენიმე წერილი გადაიკითხა.— აი მიწვევენ ნიკოლაევსკშიც, საბადოებზედაც და კიდევ საღდაც. მერე, რა პირობებია, რომ იცოდეთ. არც კი დაიჯერებთ. მე ხომ პირდაპირ ტაიგიდან ვარ მოსული,— უთხრა მან ოლგას,— ერთ კაცს აზრად მოუვიდა, ცეკვა ეს წავლებინა თავისი ხალხისთვის. იყო სულ იქ, სამ სახლში, სამოცი კაცი, ოქროს მაძიებელი, ცოლებითა და ბავშვებით. ამ კაცს მე დიდი ხანია ვიცნობდი, ჩვენი ინჟინერია, აქაური, შოტმანი, სოლომონ ოსკაროვიჩი. გასაოცარი ადამიანი იყო. იქნებ გაგიგონიათ კიდევ— ამასწინათ გარდაიცვალა. ბავშობიდან ვიცნობდი. წამოდიო, მითხრა, ოქროთი აგავსებო. მეც წავედი. მივყავდი ეტლით, ავტომობილით— საერთოდ შესანიშნავად მივყავდი, მილონერიც კი ვერ მოისაზრებდა, ისე მოპყრობოდა ქალს, როგორც ის მეპყრობოდა. ათიოდე დღეში ყველამ ცეკვა დაიწყო. ისეთ უნგრულს უვლიდნენ— დედა-ქალაქშიაც ვერ ნახავთ. აღარ არის ის სკოლა, აღარც ისეთი სისხლი აქვთ...

მოხუცი ჩაფიქრდა, ტუჩებზე გალურჯებული ნაოჭიანი ენა მოისვა და კვლავ გაშალა ქალღლები.

— რა უდროო-დროს მოკვდა სოლომონი, რა უდროო-დროს! აი ვინ დამეხმარებოდა: საცეკვაო სკოლას გახსნაში,— სთქვა და გაჩუმდა. — რომელიღაც „ფეზეუ“ მაძლევდა წინადადებას, მაგრამ უარი ვუთხარი, ჩემო მეგობარო, რაღაც ძალიან უავტორიტეტო

უნდა იყოს ეს „ფეზეუ“, თან საშიშიც არის მასთან საქმის დაქერა, „უ“-ნით ბოლოვდება. არ მინდა ეს „ფეზეუა“ თუ რაღაც. ნეტა ცოცხალი იყოს შოტმანი, ის ყველაფერს მოიფიქრებდა. იე ხომ უბრალო მოცეკვავე არა ვარ,—სთქვა მან და ქალღლები გვერდზე გადასდო,—ან ფეხშიშველა მროკავი, როგორც ახლა ამბობენ... მე ცენზიანი ვარ, ჩემო მეგობარო. კარგადაც ვცეკვაობდი და რიგონადაც ვმღეროდი.

ოლგა აღელვებული უსმენდა საუბარს. მან უეცრად იგრძნო, რომ მოსწონს შერშავინი. ოლგას ხიბლავდა მისი მჩქეთარე ენერგია, რომელიც იტაცებდა და საშუალებას არ აძლევდა მშვიდად მოეფიქრებინა ყოველივე, რაც მოხდა. ის გიჟივით ჩქარობდა ლაპარაკში, მსჯელობდა ყოფა-ცხოვრებაზე, ცოლებზე, ყვავილებზე. მასში ყველაფერი თრთოდა, ყველაფერი დაძაბული იყო.

— წავიდეთ!—უცბად მიაძახა ოლგამ მოხუც ქალს და სული შეეგუბა. — წავიდეთ!—გაიმეორა მან უფრო მტკიცედ და დაუმატა:—ჩვენთან წავიდეთ! ოლგას განძრევის ან შერშავინისათვის შეხედვისაც კი ეშინოდა.

— აი ეგ ჩინებულია,—სთქვა შერშავინმა და მიაჩერდა ივერცოვას. — წავიდეთ ჩვენთან! მშვენიერია, პატიოსან სიტყვას გაძლევთ. ისეთ ცხოვრებას შევქმნით...

ოლგამ იცოდა, რომ ეს სიტყვები მას ეხებოდა და არა მოხუც ქალს.

— ვფიქრობ, არ ინანებთ,—სთქვა ოლგამ ჩურჩულით.

— მაგაზე ლაპარაკი სასაცილოა...

— მეგობარო, თქვენ ტიპიური გიჟი ხართ!—მიმართა შერშავინს ივერცოვამ.

— წავიდეთ!—შერშავინმა ხელი დაჭრა მაგიდას. — ცალკე ოთახი, კვება მეთაურთა შემადგენლობის სასადილოში, ჩაცმადახურვა.

— მეგობარო, ნუ ტყუით სიჩქარის გამო, ჩაცმადახურვაო. მე უკვე ვიცი, რომ აკრძალულია ტანისამოსის მოცემა ჩვენთვის, აქტიორებისათვის.

— პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, რომ მეთაურის ტანისამოსს მოგცემთ.

— ესე იგი საპალტოე დრავს და არა ასეთ უხამს მატერიას?

— დრავს, წმინდა დრავს. ოთახში პიანინოს დაგიდგამთ.

— დიდი საქმე კია! პლასტმასის კლავიშებიანს, არა? გმადლობთ, მაგისტანა რამ თვითონვე მოიხმარეთ. ნულარ სტყუით, მეყოფა, არ მიყვარან მატყუარები. ამბობენ, მატყუარობა მთელ სიცოცხლეში გაჰყვება კაცსაო, და რაც მეტი დრო გადის, მით უფრო არაპასიამოვნოა... მოვდივარ, მოვდივარ, სხვა რა გზა მაქვს...

შერშავინმა გაახვია იგი თბილ საბანში და წაიყვანა.

და ახალწლის შეხვედრის დროს გეორგიევკაში ივერცოვას ხელმძღვანელობით ცეკვაობდნენ.

მუხლებამდე ბამბეულში გახვეულ ივერცოვას წინ გაეშვირა თავისი გამხმარი, მოკაკული ფეხი და ხრინწიანი არისტოკრატიული ხმით სინკოპებს და პაუზებს¹⁾ ითვლიდა.

შემდეგ ნახეს სამოქალაქო ომის ფილმი, და კომისარმა, რომელიც ბენდიერი ადამიანის თვალთ შესცქეროდა ოლგას, სიცილით მიაძახა მოხუც ქალს:

— ვივიანა ვალენტინოვნა, მეორე აქტის ფინალი „ჰუგენოტებიდან“!²⁾

— საუცხოვოა! ჩინებული მუსიკალური გემოვნება გაქვთ, — კეკლუცად წარმოსთქვა ივერცოვამ, მხრები შეარხია და პლასტმასის კლავიშებიან პიანინოს მიუჯდა.

ხოლო მეორე დღეს მოსკოვში მიმავალი ოლგა გააცილეს.

— წავიდე თუ არა? — ჰკითხა ოლგამ შერშავინს, სანამ ვაგონში ჩაჯდებოდა.

— წადი! — მტკიცედ უთხრა შერშავინმა. — ხუთი წელია შევბულღებაში არ ვყოფილვარ, ჩემს მაგიერ დაათვალიერებ ყველაფერს!

1) სინკოპი — მუსიკალური ტერმინი. ნიშნავს მახვილის გადატანას ტაქტის ძლიერი ადგილიდან სუსტ ადგილზე.

2) „ჰუგენოტები“ — გერმანელი კომპოზიტორის მეიერბერის (1791—1864) ოპერა.

ბიზნისის დაწესებულების მისი წლის შემდეგ.

ს ა ვ ი ლ ი მ ე ს ა მ მ

(1934)

ს ე ქ ვ ე მ ბ ე რ ი

დაიგაზე თჳიანესჳენ თრას თრმოვედათი
თჳითმფრინაჳი მაჰღროდა.

ლუზა სრულად მოულოდნელად დაბრუნდა.

დაჭრილი, მთლად ჩაღეწილი და ჩაჭეჭყილი სახით შოათრიეს ზგი კორეელმა პარტიზანებმა ჩვენს საზღვართან, მდინარე ტიუმენ-ულას ზემოთ, და დასტოვეს ტყის პირას, ბალახში.

ჭიანჭველის ბუდეში ლოყაჩაფლული ლუზა ლეკვივით კანკა-ლებდა მწვავე ლიტინის გამო. გასისხლიანებული სახე ეწვოდა და ეკრუნჩხებოდა. ცდილობდა სახე მოექმუნხნა და კბილები აეკაწკა-წებინა, მაგრამ დაუეყილი კუნთები არ ემორჩილებოდნენ, ამასთან თითქმის ყველა კბილი ჩაღეწილი ჰქონდა.

ლუზა ღრმად სუნთქავდა, ცდილობდა ტუჩებიდან მოეშორე-ბინა გაშმაგებული მწერები, რომელნიც პირში მიძვრებოდნენ. მაგ-რამ ისინი გვერდს უვლიდნენ ტუჩებს და მიძვრებოდნენ ცხვირის ნესტოებში, ლოყების ღრუებში, დარბოდნენ ტყავამძვკრალა სახის ძვლებზე. ლუზას ეშინოდა, რომ ჭიანჭველები ფილტვებში შეუძვ-რებოდნენ და სასუნთქავ მილს დაუზზობდნენ, უკანასკნელ ძალ-ლონეს გამოაცლიდნენ.

იგი იპოვა და აიყვანა კორეელმა კოლმეურნემ. ლუზა თავ-დაღმა ეგდო და მიწაში სუნთქავდა თავისი ფილტვების მთელი ქა-ლით. კორეელი შიშით შეებო მის მხარს.

— აბრუნე, — წაილულლულა ლუზამ.

კორეელმა ჭიანჭველებით დაფარული თავი აუწია. სახეზე კანი ნაფლეთებივით ეკიდა. კორეელმა ჯერ გვერდზე გადააბრუნა, შემ-დეგ პირაღმა დააწვინა, თან თვალს არიდებდა.

— ოგოი არ?—ჰკითხა ლუზამ. იგი ცდილობდა ეკითხნა, როგორ გამოვიყურებო, და უსიტყვოდ, ხელით ანიშნა კორეელს, წასულიყო დახმარების გამოსაწვევად.

კორეელი გაიქცა ვარეარა ილინიშნასთან, რომელიც ცხენით გაეშურა საზღვრისაკენ.

სამხედრო საავადმყოფოში, სადაც ლუზა ერთი საათის შემდეგ მიიყვანეს, მაღალი ქირურგი ასისტენტებს მიუბრუნდა:

— აქ საჭიროა საათის ოსტატი და არა ქირურგი. უამრავი წვრილი სამუშაოა.

ქრილობა უნარკოზოდ გაუწმინდეს, უნარკოზოდვე ჩამოსჭრეს ხორცის ნაფლეთები, მავთულით მიამაგრეს ქვედა ყბა. შემდეგ რენტგენით აშუქებდნენ კეფის ქვედა ნაწილს და კვლავ სჭრიდნენ, ხერხავდნენ, კერავდნენ, აძრობდნენ კბილების ნარჩენებს ღრძილების ნარჩენებიდან. და როდესაც ძალღონე გამოაცალეს, თავი მაგრა შეუხვიეს და არტახებში გარეთ გამოყოფილი სადრენაჟო მილაკები დაატანეს, ლუზა დამესგავსა თეთრ სკაფანდრში!) გამოწყობალ მყვინთავს მომინანქრებულ ფინჯნებში ჩაშვებული კაუჩუკის მავთულებიანი ულვაშებით.

იგი უძრავად იწვა, მაგრამ ტანში აჟრჟოლებდა. ტკივილს გრძნობდა არა ერთ ადგილას, არამედ მთელს სხეულში.

თუმცა თვალები დაზიანებული არა ჰქონდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა, და შეხვეულმა ძლივს მოჯღაბნა: „ეიცოცხლებ თუ არა?.. ნუ დამიბალავთ“. მაღალმა ქირურგმა ყურში ჩასჩურჩულა ღიმილით: მორჩები, თუ რაიმე გართულება არ იქნებაო, თან დაჰპირდა —სახეს ხელახლა გაგიკეთებ რომელი მოდელის მინედვითაც ვსურსო.

მაგრამ არავის არა სჯეროდა, რომ იგი გადარჩებოდა — არც ექიმებს და არც თვითონ ლუზას. ახლა თვითონ ლუზასაც არ უნდოდა სიცოცხლე.

1) სკაფანდრი — მყვინთავის ტანისამოსი, რომელიც შესდგება რეზინის ტანსაცმელისა და რუხარადისგან.

„როდნდ ხვირიანად გადავცე, რაც ვნახე, და მერე აუნდა მოვეკვდე“-ო,—ფიქრობდა იგი და გონების თვალით მანჯურის ტყეებსა და გორაკებში დახეტიალებდა.

...როდესაც ლუზა ორთვალადან გადმოხტა და ლელიანზე შევარდა, მდინარიდან მოესმა ვორონკოვის ხმადაბალი შეძახილი: „შეიპყართ?“ „შევიპყართ“,—უპასუხა მეორე, ასევე ნაცნობმა და საძულველმა ხმამ. ეს იყო კოზულია. მესამე, არა რუსის ხმამ უბრძანა, მალე მოეთავებინათ საქმე. ორმა ტყვიამ ლოყაში გაუარა ლუზას; მან ჩაახველა და უბრძანა პანტელეევს, გაქცეულიყო დახმარების გამოსაწვევად. ამასობაში სამი კაცი მდინარეს გადმოვიდა. ტყვია ერთხელ კიდევ შეეხო ვასილს და ძირს დააგდო მისი ყუბანკა. ლუზა წამოხტა, მოიხარა და ლელიანიდან მდინარისკენ გაეჭანა, გადახტა წყალში და გაეშურა ნავისაკენ. ბანზაი კვალდაკვალ მისდევდა ცურვით. ამ დროს ნავი უკან დაიძრა. ლუზამ გაისროლა, შავი სილუეტი ნავზე ორად მოიკაკვა და, თითქოს შუაზე გაიპოო, სხვადასხვა მხარეს გადაეარდა. ორმა დარჩენილმა ნავი მიატოვა. ისინი წყალში გადახტნენ და ცურვით წავიდნენ ნაპირისაკენ, ჩქარობდნენ ნაპირის ჩრდილში მოხვედრას. ლუზა კი ჯერ ისევ მთეარის შუქზე იყო და მანჯურის მხრიდან დაურიდებლად უშენდნენ ტყვიას.

— ტროხიმი!—დაიყვირა ლუზამ. — შესდექ, ნუ გარბიხარ, სულერთია ვერ გამექცევი.

ამ დროს ბანზაიმ დაიწკმუელა, ერთი შეხტა ტკივილისაგან და გაშმაგებული დაედევნა ორ მცურავს წყალში. თათი ჩაარჭო ერთ მათგანს და ლოყა გამოაგლიჯა. კაცი ახროტინდა და წყალში ჩაიმალა, ძაღლმა კი ნაპირისაკენ გასცურა.

მდინარეს გადასული ლუზა ჯერ ქვიშაზე გაწვა, მაგრამ სიბრაზემ სძლია სიფრთხილეს, და იგი წინ წავიდა შემზარავი, ნელი ნაბიჯით და თან თოფს ისროდა. აი წინ ერთი კაცი კიდევ წაიქცა და საშინელი ბლავილი მორთო. საბჭოთა მხარეზე დაჰყეფეს საღარაჯო ძაღლებმა.

— სადა ხარ, ტროხიმი?—დაიღრიალა ლუზამ. — დამანახვე შენი იაპონელები. სადა ხარ?

ლუზას აღარაფერი აღარ ესმოდა და სულ წინ მიიწევდა. უეცრად რაღაც ბნელი და რბილი მოხვდა თავში, ტკაცანი მოადინა ძვლებმა კეფის ქვემოთ, სისხლში სისუსტემ დაურბინა. ლუზა დაეცა.

ლუზას არ ახსოვდა, როგორ მიიყვანეს იგი კატკას ეზოში თავში დარტყმისაგან გაბრუებული და ლოყასა და თქოში დაჭრილი. გონს მოვიდა კენესისაგან, რომელიც გვერდიდან მოესმოდა: ქრილობას უხვევდნენ ვატანაბებს. სველი გალურჯებული ვორონკოვი იატაკზე ეგდო. ლოყა ამოგლეჯილი ჰქონდა და იქიდან თეთრად ელავდა კბილები, სქელი კისერი გალურჯებულ-გაწითლებული ჰქონდა. კოზულია ტანტზე ჩამომჯდარიყო თავშეხვეული და ფრთხილად თამბაქოს ეწეოდა.

— როგორაა საქმე, ვასილ, სიცოცხლე გინდა? — შეეკითხა გუბინი. — ჯერ იწექ, მოემზადე. ახლავე მოვა იაკუიამა, მაშინ შევეუდგებით, — მან გაიცინა და თვალი ჩაუკრა კატკას.

კატკამ ამოიოხრა, ჩურჩულით წარმოსთქვა: „უფალო იოსე ქრისტევ“ და შეუდგა ცნობისმოყვარე ჩინელთა გარეთ გაყრას ფანზიდან. თავიდა ჩინელი ბავშვი კუთხეში მიიკრუნჩხა.

ლუზა წამებისათვის ემზადებოდა და ცუდად გრძნობდა თავს.

შემოვიდა ხუცესი ინოკენტი, ჩუმად მიესალმა ყველას და ქვეშ-ქვეშ შეხედა კატკას. მას ახალი კაბა ეცვა.

— ბედმა კვლავ შეგვახვედრა, ვასილ, — სთქვა მან და მაგიდაზე ჯვარი, კურთხევანი და დაკეცილი ოლარი დასდო — ზაგრაჟ ღმერთი მოწყალეა, თუ მოინანიებ, გააბატებს.

ლუზა აღმუილდა, ლაპარაკი უძნელდებოდა, და ხელით უჩვენა ხუცესს ადგილი მუცელს ქვემოთ.

— შეხედეთ ამ ძაღლიშვილს, რას უჩვენებს! — გუბინმა ფეხი წაჰკრა ლუზას ფერდში, — დახეთ, რას უჩვენებს ეკლესიის მსახურს ეს არამზადა!

კატკა ტანტზე იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო.

— მოიცა, ჯერ ნუ სცემ, — სთქვა მან ხრინწიანი ხმით. — დაუცადე იაკუიამას, უფრო ნალდი იქნება...

მანჯურელი პოლკოვნიკი და რუსი ბარონი ტორნაუ მოშორებოთ ისხდნენ, ამთქნარებდნენ. კარები ჭახანით გაიღო, შემოვიდა იაკუიამა ნელი ნაბიჯით, თითქოს მოსეთირობსო.

— რატომ გადმოხველ საზღვარს? — ჰკითხა მან ლუზას. — გულახდილად სთქვი.

ლუზა სდუმდა. მაშინ ვატანაბემ ჩაახველა და დაიწყო საქმის ვითარების გადაცემა. ისინი სამნი იყვნენ. მისი სიტყვით, თევზაობდნენ. უეცრად საბჭოთა მხრიდან თოფის ხმა მოისმა. დაინახეს, რომ ლელიანიდან ლუზა გამოვარდა. მათ უკან დაიხიეს. ლუზა მდინარეს გადმოვიდა და ცოცხალ ადამიანებს ძალი მიუსია, თვითონ კი ვატანაბეს დაედევნა და ორჯერ ესროლა. შემდეგ წააქცია ბატონი კოზულაია, მოადგა ქალბატონ კატკას სახლს, უშვერად ილანძღებოდა და თოფს ისროდა. ბატონი ხუცესი ინოკენტი ქვედა საცვლების ამარა გამოვარდა, კეტი დაარტყა თავში და წააქცია. ქალბატონმა კატკამ დაუძახა მუშებს, ბანდიტი შეჭკრეს და ფანჯარაში შემოაგდეს. ბატონი ვორონკოვი კი წყალში დაიხრჩო.

— დივერსიაა, — სთქვა იაკუიამამ, — საზღვრის თავებდური გადმოლახვა. დაჰკითხეთ!

კატკა მეორე ოთახში გავარდა და შემოიტანა რეზინის გრძელწელიანი ტოლჩა ოყნისათვის და ერთი ვედრო წყალი.

კატკა მარჯვედ აკეთებდა საქმეს. ტოლჩა კედელზე მიამაგრა, შიგ წყალი ჩაასხა და წელას ბოლო პირში ჩასჩარა ვასილს.

— მზად არის! — სთქვა მან და ხუჭუჭა თმები შეათამაშა.

და ლუზამ სწრაფად იწყო წყლით ავსება.

— თხუთმეტი ლიტრა ეყოფა? — შეეკატხა გუბინი იაკუიამას.

— თხუთმეტ ნახევარი ჩაუშვით, — შენიშნა ბარონ ტორნაუმ. — შეიძლებოდა მეტიც, მაგრამ დაჭრილია.

როდესაც შვიდი თუ რვა ლიტრა წყალი ჩაუშვეს, გუბინმა მუცელზე განიერი ფიცარი დაადო. კატკამ ფიცარზე წყალი ფეხი შესდგა და კაბა აიწია.

— ნუ სულელობ! — ჩურჩულით უთხრა გუბინმა.

კატკა ორივე ფეხით დადგა ფიცარზე და შეხტა.

— კიდევე, კიდევე! — დაუყვირა იაკუიამამ. კატკამ დაიწყო ფიცარზე ფეხების ბაკუნნი.

წყალი ყელში მოებჯინა ლუზას, გაებერა ყურები, თვალებო, ცხვირი. წყალი სჭრიდა წელებს და სულს უხუთავდა. გული უპატარავდებოდა და უყუჩდებოდა. თითქოს წყალი გულსაც ედებოდა, მასშიაც ჟონავდა. ცხარე, ცხელი წვეთები ცხვირიდან გადადიოდა წარბებზე, შუბლზე, ცხვირიდან და ყურებიდან სისხლი წასკდა. ლუზამ გრძნობა დაჰკარგა. როდესაც გონს მოვიდა, ხუცესის ხმა მოესმა:

— წყალობას ნუ მოაკლებ, უფალო!

კატკამ მანქვა-გრეხით წარმოსთქვა:

— რა მშვენიერია, რა კარგია! — და ლუზას გასისხლიანებულ და ოფლიან სახეზე სველი პირსახოცი გადაუსვა. — ყოჩაღ, ყოჩაღ! — ამბობდა იგი. — უკვე გათავდა ყველაფერი. ახლა შენი საქმე კარგად წავა.

ლუზა იდაყვებზე წამოდგა და გვერდზე გადაისროლა კატკა.

— რა მიყავით? რა ჰქენით? რა მოხდა?

— არაფერიც არ გვიქნია. რაც საჭირო იყო, თვითონვე სთქვე. გამოტყდი ყველაფერში და ოქმსაც ხელი მოაწერე, — უპასუხა გუზინმა. იგი ფანჯრიდან გაჰყურებდა იაკუიამას, რომელიც მანჯუჩელ პოლკოვნიკთან და ბარონ ტორნაუსთან ერთად მიდიოდა.

— არამზადებო! რა მაყავით?

წამოდგომისა და ფეხზე დადგომის ძალა აღარ ჰქონდა. ლუზა დაეცა.

შემდეგ იგი ხარბინში გაგზავნეს, მურუსიძისთან. მურუსიძე ცხოვრობდა პატარა სასტუმროში, რკინისგზის სადგურთან. მოსამსახურეები ყველანი იაპონელები იყვნენ. კარებთან მდგომმა შეიცარმა შესაშვები ბარათი მოითხოვა. მურუსიძე კიბეზე დახვდა ლუზას, მხარზე ხელი დაჰკრა და თავის ნომერში შეიყვანა.

— ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი კარგადაა, — სთქვა მან, — მხოლოდ აღწევ უნდა გაგებათ კავშირი ჩვენთან და მაშინ თქვენც ყოფილი. მეზობლები უსიამოვნებას აღარ მოგაყენებდნენ... ეჰ, პოლიტიკავ, პოლიტიკავ!

მურიისმა მიეშველა ლუზას, ქურთუკი გაჰხადა. მერე საეარ-
ძელში ჩასვა.

— პოლიტიკა რთული რამაა.

— რა მიყვებს?—ჭკითხა ლუზამ.

— თქვენ უხრწნელი ხართ,—აღფრთოვანებით წარმოსთქვა
მურუსიმამ,—სრულიად უხრწნელი, როგორც პატარძალი. ყველაფე-
რი თქვენზეა დამოკიდებული, საყვარელო ვასილ პიმენოვიჩ...

უბრძანა მოეტანათ ჩაი, ღვინო, საუზმე.

— ჩინებულად მოიმოქმედეთ, რომ გამოიქცეთ. დიდიხანი
შოგელით. საზღვარზე თქვენ ყველაზე დიდი კაცი ხართ.

და ხელი მოჰკიდა ლუზას.

— ჩვენი უფროსები ისე კარგად არ იცნობენ რუსებს, როგორც
შე ვიცნობ. თქვენ მოიქცეთ, როგორც ქეშმარიტი რუსი; და მე
ყველაფერს აეუხსნი მათ. მაგრამ მე რომ აქ არ ვყოფილიყავი, პირ-
დაპირ არ ვიცი, რა დაგემართებოდათ.

ბოლოს მურუსიმამ აუხსნა ლუზას, რომ მისი გადასვლა მან-
ჯოუ-გოში სადივერსიო რეიდად მიაჩნიათ. ამას კი დახვერტა მოს-
დექს. თვითონ მურუსიმა დარწმუნებულია, რომ საქმე სხენაირად
იყო. იგი ლუზას გადასვლას... პოლიტიკურ მგზავრობად სთვლის.
მაგრამ ყველაფერი რომ კარგად დაბოლოვდეს, ლუზამ უნდა დას-
წეროს წერილი გაზეთში და გაიმეოროს იქ ყველაფერი ის, რაც
დაკითხვის დროს სთქვა, სახელდობრ, რომ ის გამოიქცა, რადგან
ვერ აიტანა ტანჯვა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

— მაშინ,—დაუმატა მურუსიმამ,—მოგეცემათ ცოტაოდენი ფუ-
ლი და თავს მოარიდებთ, წახვალთ სადმე ქვეყნის შიგნით.

ლუზამ კონსულის გამოძახება მოითხოვა.

— მოსვლა რომ მდომოდა, ასე როდი მოვადროდი,—სთქვა მან
გადაკვრით, რითაც ძლიერ აწყენინა მურუსიმას და საგონებელში
ჩააგდო იგი.

— გამოუძახეთ კონსულს!

ლუზა იმავე ღამეს საღვურზე წაიყვანეს და სასამსახურო ვი-
ჯონის ცალკე კუბეში მოათავსეს. მას მიუჩინეს მღუმარე ჟანდარმი,
რომელიც ყოველ მის მოძრაობას ყურადღებით ადევნებდა თვალს.

გათენებისას ვაგონი მატარებელს მიუბეს. ლუზას მოეჩვენა, თითქოს ესმის მურუსიძის ტკბილი ხმა.

— მოვიტხოვ ჩვენს კონსულს!—დაიყვირა მან. უნდარმმა რეზინის ჯოხი გადაჰკრა. ლუზა წაიქცა. მატარებელი დაიძრა. — მოვიტხოვ კონსულს!

უნდარმმა სახეში შემოჰკრა. ლუზას გრძნობა დაეკარგა.

გონს მოვიდა თოფის სროლის გრილის გამო, რომელიც ფანჯრიდან მოისმოდა. ვაგონში ბნელოდა. უნდარმმა ოდნავ გააღო კარი და დერეფანში გაიხედა, ვიღაცას გამოეღაპარაკა.

ლუზას ბევრი არ უფიქრია, ფეხი ჰკრა უკანიდან უნდარმს, კუბეს კარები ჩაკეტა, მერე ფანჯარა გააღო და ლიანდაგზე გადაეშვა. უკანიდან ისმოდა ყვირილი და თოფის სროლა.

ლუზა ხშირ ბალახში ჩაგორდა, განზე გაფოფხდა, და ათი წუთის შემდეგ რკინისგზის სადარაჯოში იჯდა პარტიზანელთა მამასახლისთან ერთად, თან კენესოდა და იფურთხებოდა.

მამასახლისს ტაი-პინი ერქვა.

— სრულიადაც არ მინდოდა ამ მატარებელზე თავდასხმა, — ამბობდა ის. — სიტყვა მივეცი თავს, არ მივეკარო ასეთ მატარებელს. მაგრამ იუ-შანმა მთხოვა, გესმის? მითხრეს—ჩვენი დიდი კაცია და უნდა დაიხსნაო. აი როგორ იყო საქმე. მე კი მატარებლებს არ ვეკარები, ბევრი სისხლი იღვრება, შედეგი კი მცირეა. მაგრამ მთხოვეს. მეც დავეთანხმე. ახლა ძალიან ნასიამოვნებია ვარ.

თოფის სროლა გრძელდებოდა. მალე მამასახლისს მოახსენეს, რომ მოდის დრეზინი იაპონელთა მცველებითო. მოიყვანეს ძალზე შეშინებული მურუსიძე.

ტაი-პინი იცინოდა, თავის გამხდარ ხელს მუხლზე სცემდა. ლუზას და იმეორებდა, ძალიან, ძალიან მიხარია შენი გადარჩენაო. სადარაჯოში გაისმა:

— საფრთხეა! ახლოვდებიან!

მამასახლისი გარეთ გავიდა და ისეთი ხმით, როგორითაც ჩვეულებრივად ჩინელთა სამიკიტნოების მზარეულები გაჰყვირიან—კერძი მზად არისო, უბრძანა თავისიანებს უკან დაეხიათ.

როდესაც ბრძანება გასცა, აუჩქარებლად გაჰყვა ლიანდაგის ხაზს იაპონელთა თვალწინ.

ცის მტრედისფერ ფონზე მოსჩანდა მატარებლის შავი სილუეტი.

— სანგრები უნდა გათხარო? — ჰკითხა ლუზამ.

— არაფერი არ არის საჭირო, — უპასუხა მეთაურმა და უდარღელად ხელი ჩააქნია. — ისინი ძარცვას შეუდგებიან.

მართლაც, მალე ყველაფერი მიწყნარდა, ვაგონები გაანათეს.

მამასახლისის ნაბრძანები ჰქონდა, წაეყვანა ლუზა მთებში, პარტიზანთა რაზმების მთავარ შტაბში, და იგი სიამოვნებით ეციქობდა და მხიარულ და წყნარ მგზავრობაზე. მას სიხარულს ჰკვირიდა აგრეთვე წარჩინებული კაცის, მურუსიმას დატყვევება.

შტაბში მისვლას სამ დღე-ღამეს მოუწოდნენ. მიდიოდნენ ხან ცხენებით, ხან ნაგებით. ზოგჯერ სახიფათო ადგილების გავლა ქვეითად უხდებოდათ და, როგორც მგლები, ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთმანეთს. ღამეებს ათევენდნენ არა სოფლებში, არამედ მთის ხეობებში; სიფრთხილისათვის დარაჯებს აყენებდნენ და ცეცხლს თითქმის სრულებით არ ანთებდნენ. ცუდად იკვებებოდნენ, რადგან ქურქელი არავის არ გააჩნდა, ხარშავდნენ ცერცეს, ნაყავდნენ და ცომივით აზელილს ურიგებდნენ პარტიზანებს — უყრდნენ ქუდებში, კალთებში ან პირდაპირ პეშევებში.

ლუზას ყველაფერი ეს — ხალხიც, ვითარებაც და სახიფათო მგზავრობაც — მეცხრამეტე და მეოცე წლების ბედნიერ დროს აგონებდა. იგი გამოცოცხლდა, ხასიათზე მოვიდა და ყველას გაეცნობევრ მათგანს ქურთუკის სახელოზე წარწერილი ჰქონდა: „მაღაზიებს არ ეძარცვავთ“. ლუზამ გაიგო, რომ ეს წესი ჯერ კიდევ გენერალ მას დროიდან მომდინარეობს. პარტიზანთა მეტ ნაწილს ამ გენერლის ხელში გაევილო. სხვები წითელ ბანტებს ატარებდნენ. როდესაც ლუზა შეეკითხა, რას ნიშნავს ეს ბანტებიო, უპასუხეს: ასეთი ფორმა შემოღებული იყო „მიდიართა გამყვლეფელ“ რაზმში და მას არ იშორებენ, როგორც ხანგრძლივი საბრძოლო სტაჟის საბუთსო.

4

ნაწილს პარტიზანელობა დაეწყო ორი-სამი თვის წინათ. ესე-

ნი მხოლოდ თავიანთ სოფლებზე და გადასახადებზე ლაპარაკობდნენ.

ლუზა არ ათვალისწინებდა, არ უკვირდებოდა ბუნებას, მაგრამ მაინც ამჩნევდა, რომ აქ უფრო რბილი ჰავა იყო და უფრო მდიდარი ბუნება, ვიდრე უსურისა და ზღვის ნაპირისაკენ. მაგრამ სოფლები იშვიათი და ლარიბი იყო. ხოლო ფანზები—სანაგვე ორმოებივით ბინძური და მყარალი.

იაპონელებს იშვიათად ხედებოდნენ და სადაც ხედებოდნენ, ახლო არ ეკარებოდნენ.

— როგორაა მათი საქმე?—ეკითხებოდა ლუზა.

პარტიზანები მხრების აჩეჩებით უპასუხებდნენ.

— გარეკავთ?—ეკითხებოდა ლუზა.

— გავრეკავთ,—ეუბნებოდნენ პარტიზანები.

— იუ-შანი განდევნის. თუ ის არ განდევნის, სხვას მოგვცემენ. ჩვენ კი საკმაონი ვართ.

ბევრი რუსულად ლაპარაკობდა, ყოფილან სპასკსა და ვლადივოსტოკში, უმუშავნიათ სარეწაოებზე, ზოგი კონტრაბანდით გადასულა საბჭოთა საზღვარს, ზოგი ტყვედაც ყოფილა 1929 წლის ამბების დროს. ლუზამ ბევრი რამ ისეთი გააგო პარტიზანთა ცხოვრებაზე, რაზედაც მანამდე წარმოდგენა არა ჰქონდა.

პირველ ხანს გააკვირვა იმან, რომ ყველა პარტიზანი არ იყო შეიარაღებული, მაგრამ აუხსნეს—რანში ახალგაზრდაა და ვერ მოასწრო კარგად შეიარაღება, რადგან იარაღს ბრძოლაში ვშოულაობთ. ბრძოლაში ბევრი მიდის და იარაღს რიგ-რიგობით იღებენო, უთხრა მას მზიარულმა მამასახლისმა. თვითონ მან შაშხანა მიიღო ძმისაგან, რომელიც ოცდაცხრა წელს მოუკლავთ. ძმას კი იგი უნდებოდა მოხუცმა ხუნხუშმა, ხოლო ამ უკანასკნელმა იაპონელებს წაართვა ბრძოლაში. ახლა, თუ მამასახლისი მოჰკლეს, ამ შაშხანას მიიღებს აი ეს,—და მან მიუთითა ახალგაზრდა ძვალმაგარ ყმაწვილზე, რომელიც ქალაქის მცხოვრებს ჰგავდა. იგი მოწიწებით და მოკრძალებით ემსახურებოდა მამასახლისს.

წართმეულ იარაღს ანაწილებს მამასახლისი—მან იცის, ვინ დაიშახურა იგი და ვის შეუძლია ზოიციადოს. მაგრამ რაკი შაშხანა გაცემულა, მისი ჩამორთმევა შეუძლებელია, შაშხანის ჩამორთმე-

ვა მხოლოდ სიკვდილს შეუძლია. მამასახლისს არ უყვარს საკუთარი შაშხანის მქონე პარტიზანი. საკუთარი იარაღი მას ძალიან და მოუკიდებელს ხდისო,—ამბობდა იგი.

შემდეგ მამასახლისმა უამბო, რომ საერთოდ მრავალი სხვადასხვა რაზმი არსებობს. იყვნენ „მდიდრების გამყვლეფელნიც“, „მხერხაენიც“. „გამყვლეფელნი“ ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და იერიში მიჰქონდათ შეძლებულთა სახლებსა და ღუქნებზე, სადაც პატრონის თვალწინ შეექცეოდნენ ყველაფერს, რისა შექმაც შეიძლებოდა. „მხერხაეები“ აქცევდნენ ტელეგრაფის სვეტებს. ჰგლეჯდნენ მათულებს, ხერხაედნენ ხის ხიდების საყრდენებს, ინაწილებდნენ ჩამორჩენილ საბარგულებს. ერთხელ მათ შუაზე გადახერხეს ავტომობილი, რადგან არ იცოდნენ, როგორ გაენაწილებინათ იგი.

იყვნენ „მონადირეებიც“. ისინი ხაფანგებითა და მახეებით მოჭმედებდნენ. იყვნენ მოწამლული ტყვილეულის ვაჭრები. ბოლოს, იყვნენ იარაღის ქურდები და ცეცხლწამკიდებლები. ერთის სიტყვით, არ დარჩენილა პროფესია, რომელსაც თავისი წვლილი არ შეეტანოს შემოსეულებთან ბრძოლის საქმეში. იაპონელებისადმი მტრული დამოკიდებულებით იყო გამსჭვალული ყველაფერი—ყურადღებაც და სიძულილიც, აშკარა წინააღმდეგობაცა და სიმშვიდეც.

—წინათ ჩვენში ასე იყო,—ამბობდა ტაი-პინი:—მეთაური მუდამ წარჩინებული ადამიანი, მოხელე ან ვაჭარი უნდა ყოფილიყო. ის ქალაქში იჯდა, თვალყურს ადევნებდა ყველაფერს, ხალხს კი მამასახლისი განაგებდა, მამასახლისივე მიდიოდა ბრძოლაში. მხოლოდ ის იცნობდა მეთაურს. ასე ჰქონდათ თაობითვე შემოღებული ხუნხუნებს. ეს წესი გადმოვიღეთ ჩვენც. მეთაურს არავინ არ იცნობს, ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ მამასახლისს, მამასახლისი იცნობს დამიკოს, დამიკო იცნობს მეთაურს. ხუნხუნები ოთხი ჯურისანი იყვნენ: ტაიგის, ბარის, საბადოების და სოფლის. მეთაური დაუძახებს დამიკოს და ეტყვის: ხვალ ხელში უნდა ჩავიგდოთ საბარგულები ამა და ამ ადგილას. დამიკო დაუძახებს თავის მამასახლისებს,—თითოს სამი-ოთხი მამასახლისი ჰყავს,—გადასცემს ბრძანებას, გაანაწილებს, ვინ რა უნდა გააკეთოს, და მაშინ მამასახლისები იწყებენ

ბრძოლას. ვაზნებს, საქმელს, ტანისამოსს ყიდულობდნენ დამიკოსაგან, იარაღს თვითონ შოულობდნენ. დამიკომ მუდამ იცოდა, სად არის სახიფათო მდგომარეობა, სად არის სიწყნარე, საით წავიდნენ და სად დაიმალონ. მისთვის ყველაფერი ცნობილი იყო. რაზმებად დადიოდნენ ზამთრამდე, ზამთარში კი იშლებოდნენ თბილ დღეებამდე, რადგან თოვლზე მუშაობა სახიფათოა და ძნელია საქმლის შოვნა. ახალგაზრდებს შინ უშვებდნენ გაზაფხულამდე, გაზაფხულზე ნიშნავდნენ შეხვედრას კარგად ნაცნობ კაცთან, დამიკოსთან. მოხუცები კი მამასახლისთან ერთად, ხუთი-ექვსი კაცი, ტაიგაში მიდიოდნენ. იქ მათ ფანჯები და საზამთრო მარაგი ჰქონდათ: ტაიგაში რჩებოდნენ გაზაფხულამდე, როგორც დათვები. ღუმელებს ღამ-ღამობით ანთებდნენ.

პარტიზანთა უმრავლესობა ექვსიოდე წელიწადს იბრძოდა. მაგრამ არიან მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ბავშვობიდანვე ხუნხუზობდნენ.

— ხუნხუზი მთვრალი კაცივით არის, — განმარტა მამასახლისმა, — ერთ საქმეს კარგად აკეთებს. მეორეს ცუდად. მოსაზრება აკლია. ხუნხუზები უვიცი, ბნელი ხალხიაო, — ამბობდა იგი. — ყველაფერში თავიანთ მამასახლისისაგან არიან დამოკიდებული, მამასახლისი დამიკოსაგან, დამიკო მეთაურისაგან. ასევე იყო პარტიზანთა შორის, სანამ გონს არ მოვიდნენ.

— ახლა გაჩნდნენ პოლიტბელმძღვანელები და კომისრები, პარტიზანები არა მარტო ომობენ, არამედ აგიტაციასაც ეწევიან. ისინი იცნობენ თავიანთ მეთაურებს, თუმცა კონსპირაცია წინანდებურად ძლიერია. ზამთრობით ხალხს აღარ ითხოვენ. ახლა დამიკო პარტიელი კაცია და არა ხუნხუზი. იგი განაგებს დაწვევრებს და კავშირგაბმულობას, მისი მეშვეობით ამზადებს მამასახლისი სურსათს და ასაღებს ტროფეებს. დამიკოზევეა ყველაფერი დამოკიდებული, მაგრამ ახლა დამიკო ჩვენი კაცია.

— იაპონელები არ გადმოდიან თქვენს მხარეზე? — ჰკითხა ლუზამ.

ტაი-პინმა მიუგო:

— თუ ჩვენს მხარეზეა, საჭირო არ არის პარტიზანი გახდეს,

მას თავის პოლკშიაც ბევრი აქვს გასაკეთებელი, ხოლო თუ უცხო ვინმე გადმოვიდა—მოვკლავთ.

ტაი-პინი ძალზე კმაყოფილი იყო, რომ მურუსიმა ტყვედ ჩაიგდო.

—გადაეცვლი,—უთხრა მან ლუზას.—ასეთ მოხუცში სამ ტყვიამფრქვევს და ასი ათას ვაზნას მომცემენ.

ლუზა არწმუნებდა—მურუსიმა შტაბში უნდა მიიყვანო, მისი გადაცვლა უაზრობაა, დანაშაული იქნებაო.

—ჰე-ჰე-ჰე,—მხიარულად ხითხითებდა ტაი-პინი.—პატარა შემოსავალი ხომ მაინც უნდა გექონდეს. სამ ტყვიამფრქვევს ავიღებ.

—ჩემში ხუთ ტყვიამფრქვევსაც მოგცემენ,—არწმუნებდა მურუსიმა.—რა თქმა უნდა, გადამცვალე. ითხოვე ხუთი ტყვიამფრქვევი და ორასი ათასი ვაზნა. მოგცემენ. რაკი ტყვედ წამომიყვანე—ისარგებლე კიდევ. შტაბში 'კი ვერაფერს ვერ მიიღებ. სიტყვას გაძღვევ: თუ გადამცვლით, საჩუქრად თქვენს რაზმს ორმოცდაათი ათას გობის მივეცემ, გეფიცები. შემდეგ კი შინ წავალ, აღარა მაქვს თქვენი თავი.

ლუზა არწმუნებდა ტაი-პინს, არ გადაეცვალა, მაგრამ ის ჯიუტაკაცი იყო, ეშმაკობდა და ერთხელ გამოტყდა, რომ მოლაპარაკება დაეიწყე, ხუთი ტყვიამფრქვევი ვითხოვეო.

ღამ-ღამობით მურუსიმა აღვიძებდა ლუზას და ჩასჩურჩულებდა:

—ვასილ პიმენოვიჩ, დამეხმარე როგორც თანამემამულე, ნუ შეუშლი ხელს გადაცვლას. გამიშვით მე, მოხუცი, შინ.

—შენი დაღრჩობაც კი ცოტაა. ძაღლო! ჩარჩი ხარ! გიცნობ, რაცა ხარ. შენი შარაპოვი ქარს გავატანე. Lx

—ახია იმაზე!—მშვიდად მიუგო იაპონელმა განცვიფრებულ ლუზას.—მე იმ ძაღლს უთვალავი ფული შევაქამე.

—ერთხელ კინალამ შენც არ გავათავე... ჰე, ბნელი ღამე იყო და ვერ მოგახვედრე,—უთხრა ლუზამ.

—ქრისტე ღმერთმა მიხსნა,—ჩაიხითხითა მოხუცმა და ლუზას მიელამუნა:—გაიგე, რომ არა ვარ თქვენი მტერი, არა ვარ. ხედავ, პირჯვარს ვიწერ. გამიგონე, რა გითხრა: როდესაც უკან დაბრუნ-

დები, წადი ტერნის უბეში, ნახე ათისთავი ზუია—ის შარაპოვის ძმა, და თუნდაც ჯიგარი გამოაცალე. არაფერს არ გიმაღავ.”

ერთ ღამეს ლუზას გამოეღვიძა—გარეთ ცხენებს ტვირთს ხსნიდნენ. ტყვიამფრქვეველი ხანი გრძელი დანით ფიცრებს აძრობდა ყუთებს. „ტყვიამფრქვევებია“,—გაიფიქრა ლუზამ. უეცრად ხანმასეთი ლულული გააბა, რომ ლუზამ ვერაფერი ვერ გაიგო. ხანმა ჩაასო დანა მიწაში და ხელები წაიშინა სახეში. მიცვივდნენ პარტიზანები ბარებით და არც კი გაუხსნიათ, ისე ჩაფლეს ყუთები მიწაში. დილით ტაი-პინი ძალიან დარცხვენილი იყო, და როდესაც ლუზა შეეკითხა—სად არის მოხუცი მურუსიამაო, მან ჩაიცინა, ხელი გაიქნია და არაფერი არ უპასუხა. ხანმა საიდუმლოდ უთხრა ლუზას—ტყვიამფრქვევები უვარგისიაო.

შესვენების დროს პარტიზანები, როგორც შეეძლოთ, ართობდნენ რუს სტუმარს. ერთი მათგანი, ნაყვავილარი, რომელიც სიომკას უწოდებდა თავის თავს, მღეროდა რუსულ სიმღერებს. ეს სიმღერები ესწავლა ვლადივოსტოკში მუშაობისას. იგი ცეკვავდა ყაზახურს და თან ენას ატკაცუნებდა. მამასახლისი ტაი-პინი სიამოვნებისაგან წკმუტუნებდა.

Ехала ялышка, ухала купеза,
Ухала купеза, шибко молодеза...

ჩინელებს მაღლა აეჭაჩათ წარბები და იღიმებოდნენ.
— კარგი სიმღერაა,—ამბობდნენ ისინი.

Плихали делена, коня искупай,
Коня искупай, сама напевай.
Кыласва лубашика, сяня иштанай,
Вьшла на улица, сама выпивай,
Сама выпивай, длугси не давай.

შემდეგ მღეროდნენ საზღვრის მცველ ჩინელთა საყვარელ სიმღერას: „მზე ამოდის და ჩადის“.

Соньца юла и мя юла
Чего фавза пушанго
Колаула юля-юля
Мью фавгуля в окно.

ერთ-ერთი დასვენების დროს მამასახლისმა არაყზე გაგზავნა კაცი და დიდი სტუმართმოყვარეობით და ალერსით ეპატიეებოდა ლუზას, სთავაზობდა მყრალ სპირტს.

სიომკას შემდეგ ამღერდა მოხუცი ხუნხუზი. მან ქსუტუნით შეასრულა ძველი ნაღვლიანი სიმღერა:

Ланше мне купеза била...

სხაპა-სხუპით მღეროდა:

Діеньги мне много била.

Моя война ходила, тятика, мамика пулпадила...

ყველა გიჟივით ხარხარებდა, რადგან სიომკა უთარგმნიდა მათ სიტყვებს და, როგორც გამოირკვა, ხუნხუზი მართლაც ვაჭარი ყოფილა ახალგაზრდობისას.

Дьесять сутика мўника била,

Тятика, мамыка тоже била...

სხვებთან ერთად თვითონაც იცინოდა, თავს იფხანდა და ბოლოხ სიმღერის უკანასკნელი ნაწილი დაავიწყდა.

— *Сама хунхуза пасыла,* — დაათვა მან პროზით და ხელი ჩაიქნია.

მეოთხე დღეს, დილით, შტაბში მივიდნენ. ეს იყო პაწაწა სოფელი ლიაოლინის მთებში.

პარტიზანები გამოცოცხლდნენ. მამასახლისის გარდა, არც ერთი მათგანი არ ყოფილა ამ საიდუმლო ადგილას, საიდანაც მთავარი შტაბის მრისხანე ხელი მართავდა მათ ბედს.

მამასახლისმა მკაცრად უთხრა ლუზას:

— იცოდე, შენს თავს ძვირად დავაფასებ.

— განა მე ტყვე ვარ?

— ტყვე არა ხარ, მაგრამ ხარჯებში კი შეგვიყვანე. თუ შეგეჭითხონ, დაადასტურე, რომ დიდი შრომა გავწიეთ შენს საპოვნელად და გადასარჩენად.

სოფელი გაქედილი იყო ხალხით, როგორც დღესასწაულის დროს. ფიხებმრთლი, მხარბიქიანი მონღოლები ქეჩებში წამოწოლ-

ლიყენენ, ფეხებგაკრული ცხენების გვერდით. სამხრეთ პროვინციების მაღალი პირთეთრი ჩინელები ახალ ფანზებს აშენებდნენ. პატარა სამკედლოს ზანზარი გაჰქონდა უროს დარტყმისაგან, ხოლო ნახევრად შიშველი ჩინელი ენამოქცეულად მღეროდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიმღერას, რომელიც წყევლას წააგავდა.

შტაბი მოთავსებული იყო კერპთასალოცავში. კარებთან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ჩასუქებული, სუფთად გამოწყობილი ოფიცრები. ერთმა მათგანმა იკითხა:

— ეს რუსი ამხანაგია? — და უთხრა ლუხას შიგნით შესულიყო.

მამასახლისმა დაიყვირა, რომ მას ნაბრძანები აქვს ვადასცეს რუსი პირადად მეთაურს იუ-შანს.

— არაფერია,—მიუგო სამხედრო პირმა,—მე მისი ძაპიკო ვარ, მისი შტაბის უფროსი.

— დიდი ხარჯი გავწიეთ,—უთხრა მამასახლისმა და პასუხის დაულოდებლად გაბრუნდა; იგი არ მიბრუნებულა სამხედრო პირის დაძახებაზე, მხოლოდ იფურთხებოდა და ხელებს იქნევდა.

ნ ო ე მ ბ ე რ ი

ჭაიგაჭი თუჯანისაჟინ სამასო
თჳითმჳარინაჟი შიბქრთღა.

ლუზამ სწრაფად იწყო მოკეთება. ორ ნოემბერს ის სასიერნოდ ჯაუშევს ეზოში, სამი დღის შემდეგ კი ვლადივოსტოკში გადაიყვანეს. ლუზამ დასწერა, შეიღს მინდა პარადს დაეესწროო. მაგრამ ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა: ჯერ სუსტად იყო.

ქალაქი ოქტომბრის ჩვიდმეტი წლისთავისათვის ემზადებოდა, და მას სასწრაფოდ ასუფთავებდნენ. ნავსადგურში გემები იკრიბებოდნენ: უკვე ბოლავდა დიდი ვეშაპთსანადირო გემი „ალეუტი“, ზოლოტოი როგის შუაგულში იდგა „კრასინი“, უბის ყველა კუთხეში ფრიალებდა უცხოეთის გემების დროშები.

ოთხმოცი წლის წინათ ზოლოტოი როგში, რომელსაც მაშინ მაისის უბე ეწოდებოდა, პირველი გემები შევიდნენ. მათ ლუზა ჩაუშევს იმ ადგილას, სადაც ამას წინათ ჩელუსკინელებს ეგებებოდნენ. ასწლოვანი ფიჭვები და კედარები უბის ნაპირებამდე აღწევდნენ და გასვლა უბის ბოლოში, ახლანდელ „დამპალ კუთხეში“. შეუძლებელი იყო. ხუთი წლის შემდეგ დაარსდა სამხედრო საგუშაგო „ვლადივოსტოკი“. იქ სულ ორმოცდაერთი კაცი ცხოვრობდა.

რევოლუციამდე ქალაქი უდარდელად ცხოვრობდა. სასმელი წყალი იაპონიიდან შემოჰქონდათ, იატაკის დასაგველი ცოცხები—ჩიფუდანი, საინები—გამბურგიდან, ხორცი—ტიანძინიდან, კვერცხი—მანჯურიიდან, სადგურ მაოერკანიდან,—ასე უამბობდა ლუზას მასთან ერთად ქალაქში ჩასული ვარვარა ილინიშნა.

— ულეღეა, — წაიბუტბუტა მან. — ულეღეა, ულეღეა.

შემდეგ ქალაღდზე დასწერა: „სისულელეა“.

ვარვარა ილინიშნას ეწყინა და დაჩუმდა.

ლუზა ფიქრობდა: „ჩიფუღან ცოცხის შემოტანა არაფერს არ ნიშნავს, სამაგიეროდ იყო ციხე-სიმაგრე, გარნიზონი ასი ათასი კაცი, არტილერია, ფორტები!). ახლა კი ირგვლივ ინსტიტუტებია, მაგრამ ცხოვრება საშიშია...“

მეორე დღეს ვარვარა ილინიშნამ სტუმრად მიუყვანა ზვერიჩევი. ინყენერი სახალინში მიდიოდა და მხიარულ გუნებაზე იყო.

— ვასკა, ცოცხალი ხარ?—დაიყვია მან ჯერ კიდევ დერეფნიდან. — იცოდე, არ მოკვდე; სანამ დრო არ დაგიდგება. მიაწექი შენს ჰორმონებს²⁾, მალე შეივსე სისხლი, უნდა წავიდეთ საზღვრის დასათვალიერებლად.

— აა..ნეთ?—სთქვა და მერე დასწერა: „ააშენეთო“.

— როგორ არა. როცა წავალთ, გაჩვენებ. ახლა ომი ხელში გვიქირავს, როგორც გვინდა, ისე წავმართავთ. შენ, ძმაო, არაფერი არ გინახავს. არც ჩვენი ფლოტი გინახავს, არც მრეწველობა. ყველაფერი ავაშენეთ. წყალი ვიპოვნეთ, ვასკა, წყალი, აი რა არის სასიამოვნო! მუდმივი ყინვის ზოლში. მოწინავე სასაზღვრო ხაზს ველარც კი იცნობ. ელექტრონი გაგიყვანეთ, მეცნიერი ხალხი დავასახლეთ, ისეთი რამეების გამოგონებას შეუდგნენ, რომ თავბრუ დაგებევან. შენი მეჯინიბე პანტელეევი ახლა პარაშუტის საქმის ინსტრუქტორია. დიად! სამოცი საპარაშუტო კოშიკი აავო გეორგიევკის რაიონში... ტულიაკოვი, თქვენი დარაჯი, გახსოვს? პირველი კლასის სნაიპერია. საზღვარზე თავი მოუყარა ყველა ძველ პარტიზანს. მე-საზღვრეებზე აღარას ვამბობ. ახლა მზად ვართ. შეგვიძლია თავი დავიცვათ თვით შანხაიმდე.—წარმოსთქვა მან მნიშვნელობით და გადინახარა. ახარებდა საკუთარი ენამახვილობა.

შემდეგ, როდესც დაწყნარდა, დაწვრილებით უამბო, როგორ მიმდინარეობდა ცხოვრება საზღვრის ზოლში და თუმცა ცდილობ-

1) ფორტი—სამხედრო ციხე-სიმაგრე.

2) ჰორმონები—შინაგანი სეკრეტის ჯირყვლების მიერ გამოყოფილი სპეციფიკური ნივთიერება. მას ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციის აღზნებისა ან ზღაღუნების უნარი აქვს.

და გასაგებად ელაპარაკა, თავისდა შეუმჩნეველად ბევრ ისეთ რამეს ამბობდა, რაც სრულიად უცნობი იყო ლუზასთვის.

ვასილი უსმენდა, ზოგჯერ სიტყვას აწყვეტილებდა ინჟენერს, შემდეგ კი ხელი ჩაიქნია—სულ ერთია ყველაფერს ვერ გამოგკითხავო. მაგრამ იგი გაოცებული დარჩა და გულში ყველაფერს როდი უჯერებდა ზვერიჩევს. მას ვერ გაეგო, რატომ დასჭირდათ საზღვარზე პროფესორები, ელექტრომექანიკოსები და სწავლული ფიზიკოსები, რა უნდა გააკეთონ ინსტიტუტებმა და ლაბორატორიებმა და როგორ დაეტივენენ ისინი საზღვრის მახლობლად მდებარე კოლმეურნეობათა ვიწრო ზოლში.

ლუზა იწვა და მძიმედ სუნთქავდა.

— კუროპატკინს რომ ეს წყალი ჰქონოდა, შეეძლო ომი მოეგო,—სთქვა ზვერიჩევმა.

— ეგ რომელი ინჟენერია?—ჰკითხა ვარვარა ილინიშნამ.

— სწორედ ის, ხვერდის უღელტეხილი რომ ააფეთქა,—მიუგო ზვერიჩევმა. — არ იცი?—ჰკითხა მან ლუზას. — ძმაო, ათი წლით ჩამორჩი. მართალი გითხრა, მოსაწყენიც კია შენთან ამ ამბებზე ლაპარაკი.

შვიდ ნოემბერს ლუზა ფანჯარასთან დააწვინეს. ხედავდა მღვრიე თოვლიანი ცის ნაჭერს და გორაკების თხემებს. ლენინის ქუჩიდან მოისმოდა მუსიკა და ტანკების გრიალი.

ლუზა იგონებდა, რაც მას თავს გადახდა მანჯურიაში.

შტაბში, სადაც იგი მოათავსეს ჩრდილოეთის რაზმების უფროსის იუ-შანის ბრძანებით, თავს იყრიდნენ მეთაურები მთელი მანჯურიიდან. კორეის საზღვარზე მდებარე ანდუნიდან ჩამოვიდა ჩუ შან-ხაო. მას ჰყავდა ოთხი ქვეითი ბრიგადა და ცხენოსანთა ორი პოლკი. მის შტაბთან კორეის საზღვარზე იდგა ხუთი თვითმფრინავი უსაწვავოდ. ხაილარიდან ჩამოვიდა ნახევრად-მონღოლი, ნახევრად-ჩინელი სიაო დაოვანი, ბერკინში იაპონელებთან შეტაკების გმირი; ჩამოვიდა ბეი-ლაი, უსურის მხარის ტაიგის მეომართა ატამანი, ცინ-ლინი, რომელიც კრაგებში გამოწყობილი და ჯოხით ხელში უცხოელსა ჰგავდა, უხელო ვან სიუნ-ტინი, რომელიც ახლა მთიელთა დიდ რაზმს მეთაურობდა. თათბირზე მიიწვიეს აგრეთვე

პატარა მამასახლისი ტაი-პინი იმ მზრუნველობისათვის, რომელიც მან ლუზას მიმართ გამოიჩინა. ჩამოვიდნენ ახალგაზრდა მეთაურები სამხრეთის წითელი არმიებიდან და მოხალისე სტუდენტები მანილიდან, ჰავაიდან, გონგ-კონგიდან და ინდოეთიდან. ლაპარაკობდნენ მხოლოდ ინგლისურად, „პიჯინურზე“, რადგან დედაენაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო უამრავი კილოების გამო. იუ-შანსა და ლუზას არ ესმოდათ ინგლისური, მათ მიუჩინეს მთარგმნელი, ბეი-პინელი სტუდენტი.

მოელოდნენ ტანს რევოლუციური პარტიის მანჯურიის კომიტეტიდან. მოსაგვარებელი ჰქონდათ სერიოზული საქმე—უნდა აერჩიათ არმიის სარდალი მთელი მანჯურიისათვის.

— გაქვს შანსები?—ჰკითხა ლუზამ იუ-შანს.

— ალბათ, არა მაქვს,—მიუგო იუ-შანმა. — არ ვიცი, რას ფიქრობენ აქ. მე კარგი სარდალი ვიქნებოდი. ახალგაზრდა ვარ. ცოდვა ცოტა მაქვს.

ტანის მოლოდინში მეთაურები იხილავდნენ თავიანთ ძველ ოპერაციებს და ერთმანეთს აკვირდებოდნენ. ყველა ცნობილი იყო და ყველა კარგად სარდლობდა. იუ-შანი ეუბნებოდა ლუზას:

— ალბათ, მე არავითარი შანსი არა მაქვს. მაგრამ მინდა ერთი. რამ მივიღო—არმია, რომელიც ჯერ არ არსებობს. მე შეეკმინი მას ყველას თვალწინ, იგი გაიმარჯვებს.

— საზღვარზე აღარ გინდა დაბრუნება?

— იქ ხალხი არის,—უპასუხა იუმ. — მე იქ მინდა, სადაც არავინ არ არის. ახლა საჭირო არ არის დაყოფა—ტაივა, დაბლობი. მდინარეები, ჩრდილოეთი, სამხრეთი... უნდა არსებობდეს შემდეგ დაყოფა—მრეწველობა, სოფელი, ტრანსპორტი,—დაბეჯითებით ამბობდა იგი. და თუმცა ლუზა პარტიზანთა საქმეებში არ ერეოდა, მას არ შეეძლო არ მოსწონებოდა იუ-შანის საქმიანი გეგმები.

ჩინეთის სახალხო პარტიის მანჯურიის კომიტეტის წარმომადგენლები გირინიდან მიეშურებოდნენ თათბირზე. ისინი ტყე-ტყე მიდიოდნენ, მიცურავდნენ ნავებით სოფლის პატარა მდინარეებზე და ჩქარობდნენ, თუმცა ისევე ფრთხილად იქცეოდნენ, როგორც ყოველთვის.

ერთ-ერთი მათგანი ტანი იყო, ცნობილი პარტიული კონსპირა-

ტორი, სახალხო-რევოლუციური პარტიის მანჯურის კომიტეტის უცვლელი ხელმძღვანელი. ის იყო პატარა ტანის ბრგე მოხუცი ძუნწის სახით. მასთან ერთად მიდიოდა საბჭოთა ჩინეთიდან ჩასული მე-4 წითელი არმიის ახალგაზრდა მეთაური, მოხერხებული კანტონელი. მას ლამაზი ნაზი სახე ჰქონდა და აკრობატივით მოქნილი ტანი. მათ ერთმანეთი გაიცნეს სამი დღის წინათ, ღამე, ერთი საათით ადრე გამგზავრებამდე, და გზაში რამდენჯერმე გამოელაპარაკნენ ერთმანეთს.

ჯერ ერთმანეთს ეკითხებოდნენ სხვადასხვა ამბებზე და დაწვრილებით უპასუხებდნენ. კითხვა-პასუხის მიხედვით აფასებდნენ ერთმანეთს. ასახელებდნენ საერთო ნაცნობებს, ცნობილ თარიღებს, დეკრეტებს. ცდილობდნენ გამოერკვიათ, რა იცოდა თვითუღმა მათგანმა, რამდენად ჰქვიათნა მოსაუბრე და რამდენად ჩახედული იყო პოლიტიკაში. გათენებისას ისინი გაჩუმდნენ, რადგან თითქმის დამეგობრდნენ. როდესაც მოათავეს ლაპარაკი ბრძოლებზე, მიწის რეფორმაზე, შინაპარტიულ ახალ ამბებზე და არმიის განწყობილებაზე, მათ უკვე ზუსტად ჰქონდათ გამორკვეული ურთიერთის ბიოგრაფიის ზოგადი კონტურები, თუმცა პირად ცხოვრებაზე ერთი სიტყვაც არ უთქვამთ. დილისათვის მათ საუბარს უკვე ერთგვარი გულგრილობა და აზრის დაუშთავრებლობა დაეტყო, რაც დამახასიათებელია ძალიან მახლობელი ადამიანებისათვის, რომელთაც უსიტყვოდ ესმით ერთმანეთი.

ტანის თანამგზავრი ჩუმად ისმენდა მოგონებებს პარტიზანულ ბრძოლებზე, ეკითხებოდა ტანს ამინდზე, ზამთრის ხანგრძლივობაზე, მანჯურის წვიმებზე და მდინარეებზე. ტანი მოკლედ უპასუხებდა:

— დიად, ზამთარში ქარი იცის, თოვლი ნაკლებადაა. წვიმები ხანგრძლივია, მაისიდან აგვისტომდე. მდინარეები ცვალებადია, საშიში. დიდი წყალდიდობა იცის. ზაფხულში ტალახის გამო გზები შეკრულია. აქ მიღებულია მაღალ-ბორბლიანი ურმები. ზაფხულში ომი ძნელია, თუმცა პარტიზანები ზაფხულს რჩეობენ.

მაშინ ჩენმა სთქვა:

— თქვენ არ მეკითხებით, როგორ გავატარე დრო კრას არხზე, და მივხვდი, რომ ვერ მიცანით.

ტანმა თვალი შეაღლო.

— ველოდი, რამდენხანს შესძლებდით დუმილის შენარჩუნებას. ძალზე გამოცვლილხართ. ალბათ, კრა სიკვდილს უდრიდა.

— ის, ვინც კრას გადაურჩა, ჩემის აზრით, უკვდავია. ჩვენ სა-
ში თვით ჩაგვიყვანეს და ვადის დამთავრებისას ხუთასიდან ცოცხა-
ლი დარჩა ოცდარვა. მე როგორღაც მოვახერხე კანტონში გაქ-
ცევა, მშობლიურ ქალაქში, და სიამოვნებით დავყავი ერთ თვეს
საპყრობილეში. ეს დასვენება იყო, თუმცა იცით, რას წარმოადგენს
კანტონის საპყრობილე. დანარჩენი უბრალო ამბავია. როდესაც
თავი დავაღწიე საპყრობილეს, ვთხოვე ცენტრალურ კომიტეტს,
კვლავ თქვენთან გამოვეგზავნე.

— როდესაც ტანჯვაზე მელაპარაკებიან, მე ერთ რამეს ვეკით-
ხები: შეიძლება თუ არა მისი ატანა?

— არ შეიძლება.

— ჩვენი კაცები იქ დარჩნენ?

— დიალ.

— რამდენი კაცის სიცოცხლეს შეიწირავს არხი?

— ორმოცდაათათასი, სამოცი ათასი კაცისას.

— შიმშილობამ მარტო გუანდუნის პროვინციაში ბევრად მეტ-
იმსხვერპლა. ჩან კაი-შის მეხუთე ლაშქრობამაც. მაგრამ, მითხარით,
რა არის სიამი?

— არარაობა. იგი ინდოეთზე ცუდია. ნახევარკუნძულზე მხო-
ლოდ ერთი განძია—სინგაპური, ესე იგი კაუჩუკი.

— კრას შემდეგ მაშინვე კანტონის საპყრობილეში მოხვდით?

— ვიმალებოდი პანამაში, ფრანგთა კონცესიაზე. შემდეგ
ცეცხლფარეშად შევედი ბერძნულ გემზე. ეს რამდენადმე უმჯობე-
სია, ვიდრე პოლონური დროშის ქვეშ ცურვა.

მან შენიშნა, რომ ტანმა ვერ გაიგო მისი სიტყვები და განუ-
მარტა:

— არ არის უფრო საზარელი დროშა, ვიდრე პოლონური.
რადგან ეს ხმელეთის ქვეყანა ძალიან შორსაა ჩვენგან და მას არა
აქვს თავისი ფლოტი, ზღვის ყველა ნაძირალი ამ დროშისკენ
მიილტვის.

უკანასკნელ ღამეს მათ გზის გაკვლევა მოუხდათ ლიაოლინის

მთების ტაიგის ტევრებში. ახალგაზრდა მეთაური ირგვლივ იყუ-
რებოდა და ადარებდა.

ყველაფერი უნახავი, გამოუცდელი, შეუსწავლელი იყო.

კანტონში, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა, და იმ პროვინ-
ციებში—დიდი მდინარის იანძის გასწვრივ, სადაც ის იბრძოდა, ხში-
რი ტყეები არ არის, მდინარეები მკიდროდაა დასახლებული და
გარშემორტყმული სარწყავი არხებით, სოფლები ხშირია, მინდვრე-
ბი კულტურულად მოვლილი და ფართოდ გაშლილი. აქაური იშ-
ვიათი მინდვრები კი კაცს ბუჩქნარს აგონებდა, გაოლიანით დაფე-
რულს. ველურია მდინარეები, იშვიათია ადამიანი, ტყეები დაბურ-
დულია. ამდენი ტყე მას არასოდეს არ ენახა.

ნეკერჩხლის ყვითელ-წითელი დაკონკილი პერანგებით, კნავის
ღიაფერი თავსაფრებით, ბალახფიქვას მსუბუქი, თითქმის მოელვა-
რე, მბრწყინავი სიმწვანით და მუხის მიხაკისფერი ძონძებით მორ-
თულ-მოკაშმული ბორცვიანი ტყეები სადღესასწაულოდ გამოჰქიმუ-
ლიყვნენ და მთვლემარედ ელოდნენ ზამთარს.

ისინი ვიწრო ბილიკით მიდიოდნენ. მზე ჩავიდა, მაგრამ მისი
სხივები ჯერ კიდევ ბრწყინავდნენ ცის კიდეებზე და უერთდე-
ბოდნენ ტყეში მოდულუნე მდინარეს. მდინარე წითლად გავარვა-
რებულ სინათლის ზოლად მიიკლაკენებოდა და, თითქოს თანდათან
ცივდებო, ორთქლად ადიოდა. ეს იყო სინათლე, რომლის გაქრო-
ბაც შეუძლებელი იყო. მას თან მოჰქონდა ტყეებისა და ნაპირების
ანარეკლი, ფერადი ხრალივით ასახული თავის მტრედისფერ-ლურჯ
სარკეში. ყველაფერი ღამის მოლოდინში იყო.

— იაპონელებმა უკუაგდეს გერმანული სამწყობრო წრთობა, —
ამბობდა ხმადაბლა ტანი. — ოფიცერი ყაზარმაში სადილობს. ჯა-
რისკაცის სამსახური ძილის დრომდე გრძელდება. უფროსები კით-
ხულობენ ჯარისკაცების ყველა წერილს. ჯარისკაცს უფლება არა
აქვს იქონიოს საკუთარი ნივთები. სამუშაო დღეებში სადმე წასვლა
დაუშვებელია. წელიწადში შევებულებას იძლევიან ხუთჯერ სალა-
მოს ცხრა საათამდე. მათი ოფიცრები ხშირად იმეორებენ: „ჯარის-
კაცის სახლი მთაზე მძიმეა, სიკვდილი კი ბუმბულზე მსუბუქი“—ო.

ჰაერში მოჭიკჭიკე ფრინველები სწრაფად ავლებდნენ თვალს
ცის უფერულ სიცარიელეს და ფრთებით ფარავდნენ ჯერ კიდევ

აქა-იქ მოკიადე მტრედისფერი ბუნდოვანი სინათლის უკანასკნელ ნაშთებს.

მინდვრების კიდურებზე გაბნეული იყო ცათაზიდული საღამოს კვამლი ფანჯებისა.

ტანმა ცხენი შეაჩერა და აღლევებულმა თვალი მიმოავლო ოქტომბრის ტყის მწუხრის ყრუ მდუმარებას, თითქოს შორიდან ვილაცის ძახილი მოესმაო.

შემდეგ თანამგზავრს მიუბრუნდა:

— მათ ცუდად აქეთ საქმე ავიაციის დარგში, ძალიან ცუდად. ახლა ისინი გერმანელ მფრინავებს იწვევენ. ვხედავ, თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობთ იაპონელებს,—დასძინა მან. — დიალ, დიალ, ვიცო. შეხვედროხართ, გინახავთ, მაგრამ,—მე მინდა ვთქვა—ჯერ კიდევ არ დაგიცხიათ მათთვის.

— არა.—უპასუხა მეთაურმა და დაუმატა:—ვიცი, რომ მოწინააღმდეგე ძლიერია, საშიში, ჭკვიანი.

მას მოეჩვენა, თითქოს ტანი ზედმეტად დარწმუნებულია თავის თავში.

ისინი თითქმის შეუღმნეველად შევიდნენ სოფელში. სოფლის შესავალში მათ ქილყუავების ყურთასმენის წამლები ჭყვივით შეეგებნენ ფრინველთა ბუდეების ლაქებით აჭრელებული ალვის ხეები. სოფლის მეორე ბოლოდან ალვის ხეებს გამოეხმაურა რქიანი კერპთსალოცავი, რომელიც მოხუცი მანდარინის¹⁾ ქუდს წააგავდა. ბანჯგვლიანი მოკლეფეხა ცხენები თავგამოდებით ეხახუნებოდნენ კერპთსალოცავის ქისკარს.

მოსულლებთან მიიღბინა გრძელწვერიანმა დარაჯმა.

— ყველაფერი რიგზეა,—სთქვა მან. — ყველანი შეიკრიბნენ.

დელეგატები ეზოში შეჯგუფებულ იყვნენ. ისინი ერთად გაფურნენ ტანის შესახვედრად. გარს შემოეხვივნენ და კერპთსალოცავში წაიყვანეს.

ცა სწრაფად იფარებოდა ნაადრევი შემოდგომის ლურჯი ნის-

1) მანდარინი—ასე უწოდებენ ვეროპელები უმაღლეს ჩინელ მოხელეებს.

ლით. პაერი გაელენთილი იყო ძილის მომგერელი სინესტის სუნით და სიმშვიდით.

ტანი ხელს ართმევდა დამხედურებს.

— პატივი სუნგარელ მემამოხეებს, — ამბობდა ის, ათვალე-რებდა ირგვლივ მდგომთ, იგონებდა და სალამს აძლევდა ნაცნობებს. — პატივი მონღოლეთის დიქტატორს. სალამი ტაიგის მგლებს. პატივი და სალამი კორეელ ძმებს.

კერპოსალოცავში ისინი დასხდნენ დახეულ კილობებზე. დარაჯმა ჩაი შეიტანა.

— არის ახალი ამბები, რომლებიც ყურად უნდა ვილოთ. აირატომ შევიკრიბებით, — სთქვა ტანმა.

— კეთილად იმგზავრეთ? — ნელა ჰკითხა ტანს ჩასკენილმა სიოლოდან-ვაიმ, რომელიც ფინელს წააგავდა.

— დიად, კარგად ვიმგზავრეთ. ყველას სიფრთხილე გემართებს დიდი ამბების წინ, — სთქვა ტანმა და მოსევა ჩაი პატარა ფინჯნიდან ისეთი სახით, თითქოს ჯერ კრინტიც არ დაუძრავსო. — დღეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა შეეხება იაპონიას, — განაგრძო ტანმა. — ცნობა მივიღეთ, რომ ჩვენმა ძვირფასმა „უფროსმა ძმებმა“ იაპონელებმა გადასწყვიტეს დაიწყონ ომი საბჭოებთან. ეს სამწუხარო ამბავი, ალბათ, ძალიან მალე დაიწყება.

— კეთილი, — სთქვა იუ-შანმა და ჩაახველა. — ძალიან ძნელია ლოდინი, პატივცემულო ამხანაგო ტან.

— იაპონელთა განზრახვებთან არის დაკავშირებული ჩვენი საქმეც.

ტანმა პირი მიიბრუნა და ერთი ფინჯანი ჩაი კიდევ სთხოვა დარაჯს, რათა დადლილობა მოეკლა.

— როგორი მოსჩანს თქვენი მუშაობა მუკდენიდან? ვლაპარაკობ ზეპირად, ამიტომ მაპატიეთ შესაძლებელი პატარა შეცდომები. რას ვხედავთ? ერთიანი ფრონტი ჯერ კიდევ სუსტია. ქვედა ფენები დაბნეულნი არიან. ეს დიდი უბედურებაა. პარტიზანთა მეთაურები ჯერ კიდევ უკავშირდებიან ოფიცრებს და მემამულეებს. ქვედა ფენებმა უნდა იცოდნენ, რაშია პარტიზანთა პოლიტიკა. პარტიზანები მოწყვეტილნი არიან ჩვენს კომიტეტებს. ეს უბედურებაა. ჯერ კიდევ პატარ-პატარა რაზმები გვყავს. ომის

ტექნიკა სუსტია. ჩვენ ბევრი რაზმი გვეყავს, მაგრამ ახალი ცხოვრების შესაქმნელი ადგილს მათ არ მოეპოვებათ.

— ჩვენ სუსტნი ვართ, რადგან ძალიან ბევრნი ვართ, — სთქვა ციციკარელმა სამხედრო ხელმძღვანელმა.

— თითოეული იქ იბრძვის, სადაც მისთვის ხელსაყრელია. თუ აქედან გაგვადევს — იქით მივდივართ. იქიდან თუ გაგვადევს — მესამე ადგილს ვეძებთ. საკუთარი მიწა-წყალი არ მოგვეპოვება.

— ჩვენს მეთაურებს არა სურთ გაერთიანება, — სთქვა კერპთსალოცავის დარაჯმა. თვითონ იგი დიდი რაზმის მეთაური იყო, სანამ ფენს დაჰკარგავდა. — ისინი ამბობენ: მაშინ ისე გვაძმასურებენ, როგორც ჯარისკაცებს, და ძალაუფლება აღარ გვექნებაო, გვაიძულებენ ბრძანების მიხედვით ვიომოთ, მაგრამ იყავით სულგრძელნი და გაიგეთ, რომ ომი ბრძანების მეხედვით არ შეგვიძლიანო ასე ამბობენ ისინი.

— ყველაფერი ეგ ვიცი, — სთქვა ტანმა, — მაგრამ წინ გაიხედოთ. იაპონელები კვერს უკრავენ მეთაურთა ამ აზრს, რადგან მათ სუსტები უყვართ.

— კორეაში, — სთქვა ძინდაოელმა დელეგატმა, ლამაზმა, კობტად გამოწყობილმა, ძვლის სათვალეებიანმა კაცმა, — ჩვენ ძალზე ვანვითარებთ „მინდვრებისათვის ცეცხლწამკიდებელთა“ რაზმებს. ასინი სტოვებენ თავიანთ სოფლებს, სწვავენ მემამულეთა მინდვრებს და მიდიან მთებში. მთებში იმალებიან, არ იხდიან გადასახადებს, მოსავლის აღებისას კი ბრუნდებიან მთებიდან და ცეცხლს უკიდებენ მოსავალს.

— ასეთ მუშაობაში არის გეგმა. მაგრამ აი ახალი ამბავი, რომელიც მე მინდოდა გადმომეცა ყველაზე უწინარეს, ამასთან პირადად... მალე გაჩნდება რაზმი „სიმამაცის მოყვარული საზოგადოება“. გადაეცით ყველა ჩვენს მეგობარს, რომ ეს ჩვენი რაზმია... „სიმამაცის მოყვარულთა საზოგადოების“ უფროსმა იცის თქვენი სახელები.

ქილობზე მსხდომნი აჩოჩქოლდნენ, მაგრამ ხმა არავის არ ამოუღია.

— წაგიკითხავთ ნაწყვეტს პარტიისა და საბჭოთა ჩინეთის შთაერობის მოწოდებიდან და გაიგებთ, რატომ მოვედი თქვენთან.

მან მღელვარე ხმით დაიწყო კითხვა:

„ღიადი ხალხის შვილებო, ვაჟებო და ქალებო, რომელთაც არ გსურთ კოლონიური მონები იყოთ; მეთაურებო და ჯვარისკაცებო, რომელთაც გაქვთ ეროვნული თვითშეგნება; პარტიებო, ჯგუფებო და ორგანიზაციებო, რომელთაც გსურთ მონაწილეობა მიიღოთ სახალხო ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში; პატიოსანო ახალგაზრდობავ გომინდანის¹⁾ წევრებიდან და ლურჯხალათიანების წრიდან; ჩინელო ემიგრანტებო, რომელთაც გსურთ იხსნათ სამშობლო,—ტანი ხმას უმაღლებდა, თითქოს მოუწოდებდა ხალხს აქ, კერპთსალოცავეში, მოეყარათ თავი:—ძმებო ჩაგრულ ნაცუმცირეხობათა წრიდან, მონღოლებო, მუსლიმანებო, კორეელებო, ტიბეტელებო, მიაოებო, იაოებო, ლიებო, ფანებო და სხვებო,—მიუხედავად იაპონიის იმპერიალიზმისა და ჩანკაიშისტური ნანკინის მთავრობის ტერორისა და რეპრესიებისა, აღსდექით საბრძოლველად, როგორც ერთი კაცი, ყველა, როგორც ერთი კაცი“.

ტანმა წინ გაიშვირა ხელები.

— ამიერიდან ჩვენ ვქმნით ერთიან რევოლუციურ არმიას. ვინც ყველას წინააღმდეგია და კაცმა არ იცის, ვის ემბრობა—ის ჩვენს წინააღმდეგაა. თავის სახელოვან არსებობას იწყებს მანჯურუის წითელი არმია. სარდლის სახელია ამხანაგი ჩენი. აი, თვითონ ის.

როგორც კი წარმოთქმულ იქნა ეს სახელი, ძლიერმა, დინჯმა ხმამ მალლა და მხიარულად წარმოსთქვა:

— უფროსო ტან, ჩვენ შევექმნით კარგ არმიას.

ბევრი წამოდგა და შეხედა მას,—ეს ხმა ეკუთნოდა ტანის ახალგაზრდა თანამგზავს.

ჩენი, ნავთსადგურის მუშის შვილი და შვილისშვილი, კანტონში დაიბადა. კანტონის კომუნის დროს იგი ცხრამეტი წლისა იყო, და შურდულით შეიარაღებულს იერიში მიჰქონდა გომინდანის შტაბზე.

¹⁾ გომინდანი—ჩინეთის ნაციონალური ბურჟუაზიული პარტია, წარსულში რევოლუციური პარტია.

— ჩენს შეუძლია გასროლილ ტყვიას მოახვედროს ქვაო,— ამბობდნენ მასზე.

და მართლაც, მან არა ერთი ოფიცრის თვალი განგმირა.

კომუნის განადგურების შემდეგ ჩენი გაიქცა გუანდურის მიყრუებულ რაიონში და მალე შევიდა ჯუ-დეს, ამჟამად მთავარსარდლის, რაზმში.

ჯუ-დეს მეთაურობით იგი იბრძოდა უბრალო ჯარისკაცად, ათეულის მეთაურად და, ბოლოს, პოლიტხელმძღვანელად, რის შემდეგაც გაგზავნეს აგიტატორად ჯერ კიდევ დაუკავებელ მაზრებში, რათა წითელ არმიასი ჩაება ახალგაზრდები. მან შეისწავლა სიმღერა, ცეკვა, ფოკუსების ჩვენება და უკვე საკმაოდ ერკვეოდა პოლიტიკის საკითხებში სოფლად. ის დადიოდა სოფლიდან სოფელში, აჩვენებდა ფოკუსებს და მღეროდა აგრარული რევოლუციის სიმღერას:

ძირს მემაწულეები,

ძირს ტუხაო და ჯენტრი ¹⁾

მოვახდინოთ აგრარული რევოლუცია—

ასე მზიარულად ვმღერით ჩვენ,

ასე მზიარულად ვმღერით ყველანი.

ერთი თვის შემდეგ, როდესაც ჩენმა ორასი მოხალისე მიიყვანა, ის გაგზავნეს მეთაურთა შემადგენლობის სკოლაში, სადაც უცხოელი მასწავლებლები იყვნენ. სკოლა საბარგო ნაწილს მიჰყვებოდა, მსმენელები ჯორებს უვლიდნენ, მასწავლებლები ლექციებს კითხულობდნენ დასვენების დროს. როცა მთელი დღით ისვენებდნენ, აწყობდნენ ტაქტიკურ მეცადინეობას, რუკასთან არჩევდნენ არმიების ბრძოლებს და შემდეგ ამ ბრძოლებს იხილავდნენ მინდორში უფროს მეთაურთა თანადასწრებით.

ჩანშასთან, სადაც იგი ასეულს მეთაურობდა, ჩენი ხელში დასჭრეს. იგი წავიდა საველე საავადმყოფოში ამერიკელ ექიმთან, რომელმაც სრულიად არ იცოდა ჩინური ენა. ჩენი იძულებული გახდა ესწავლა მისი ენა.

¹⁾ ტუხაო და ჯენტრი—წარჩინებული წოდება ჩინეთში, რომელიც დიდძალ მიწას ფლობს.

როდესაც ჩენი პოლკში დაბრუნდა, იქ უკვე გამოდიოდა დიდი კედლის გაზეთი. „პირადი სურვილების განყოფილებაში“ ჩენმა დასწერა, თუ რა სურდა ყველაზე მეტად დღეს-ღღეობით—მას სურდა ცოლის შერთვა.

ერთი თვის განმავლობაში ჩენი მასხარად აგდებული ჰყავდაო. ყოველნაირად დასცინოდნენ სასადილოებში და იწვევდნენ დისპუტებზე ყოფა-ცხოვრების საკითხების შესახებ. სთხოვდნენ უფრო დაწვრილებით გამოეთქვა თავისი აზრი. ერთხელ გამოვიდა კიდეც, მისი სიტყვა მოკლე იყო:

— მსურს ცოლი შევიერთო. ვიმეორებ ამას. მაგრამ ისე ვარ მუშაობით გართული, რომ არა მყავს ნაცნობი ქალები. ამაში ვერაფერ ცუდს ვერ ვხედავ.

ამ გამოსვლამ ნაწილობრივ გავლენა იქონია იმაზე, რომ ივი პოლკის მეთაურად აღარ დანიშნეს, როგორც განზრახული იყო.

დისპუტის შემდეგ მასთან მივიდა ქალიშვილი არმიის პოლიტსამმართველოდან და ჰკითხა—როგორ ფიქრობთ ცოლის შერთვასო.

— ვფიქრობ, რომ ეგ დამოკიდებულია სიყვარულზე.—უპასუხა მან.

ქალიშვილმა სთხოვა, შესულიყო მასთან საღამოთი.

ჩენმა შეირბინა მასთან. ფიქრობდა, ერთ საათზე მეტს არ დავყოფო, მაგრამ გათენებამდე დარჩა. შემდეგ წავიდნენ სოფლის საბჭოში რეგისტრაციისათვის, სადაც ისინი დავთარში ჩასწერეს. სამჯერ დახარეს თავი მარქსის პორტრეტის წინაშე და დაქორწინებულნი გამოვიდნენ.

ჩენმა ცოლი არმიის პოლიტსამმართველომდე მიაცილა და თავის ნაწილს მიაშურა. დაავიწყდა ადგილის დათქმა, სადაც ისინი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ. ჩენი ეძებდა ცოლს კლუბში, თეატრში, საავადმყოფოში, მაგრამ ვერსად ვერ ნახა. დიდხანს იჯდა ჩენი ცოლის სახლის კედელთან. ბრაზი მოსდიოდა თავისი სულელური მდგომარეობის გამო.

თავის მხრით ხა-ჩუანიც ეძებდა ჩენს და მასავით ბრაზობდა ცოლქმრული ცხოვრების სიძნელეთა გამო.

იმ დღეს ისინი წაიჩხუბნენ და გადასწყვიტეს, ცალცალკე ეცხოვრათ.

შემდეგ ჩენი პარტიზანული ჯგუფის მეთაურად გაგზავნეს ხუბეის პროვინციის სოფლებში. იქ მან პირველად ნახა იანძი, ჩინეთის დიდი მდინარე. ჩენმა წერილი გაუგზავნა ხა-ჩუანს, და ეს უკანასკნელი ორი კვირით ესტუმრა. იქ ჩენმა პირველად სთხოვა აეხსნა, სადაურია და ვინ არის იგი, რა უსწავლია და როგორია მისი შეხედულება ცხოვრებაზე. მორჩილებას ჩვეული ანამიტური სისხლის შერევამ იაპონურ სისხლთან განსაცვიფრებელი შეუპოვრობის ნიმუში შექმნა—ხა-ჩუანს თვითონ უკვირდა თავისი სიმამაცე და შეუპოვრობა. იგი დაიბადა მაკაოში, მდიდარ ოჯახში, დაამთავრა ამერიკული კოლეჯი¹⁾, ლაპარაკობდა ესპანურად და რალაცას აკეთებდა ჩინურ არალეგალურ ორგანიზაციაში. მას ხშირად უხედებოდა თავის მოჩვენება ხან მდიდარ ქალად, ხან მოსამსახურედ ან სახიფათო პროფესიის ქალიშვილად. მან იცოდა სხვადასხვა ხმით ლაპარაკი და სხვადასხვა მიხრა-მოხრით სიარული, რასაც სპეციალურად ასწავლიდნენ ორი წლის განმავლობაში. ძალიან უყვარდა თავისი მუშაობა და ყოველთვის, როდესაც დელავდა, ჰბაძავდა ხმითა და ჟესტებით რომელიმე თავის ძველ როლს. მთელი დღეების განმავლობაში უამბობდა იგი ჩენს ჯაშუშებზე, და ჩენი დანაღვლიანდა: ცხოვრება მას ბევრად უფრო მარტივი ეჩვენებოდა.

ხუბეის პროვინციიდან ჩენი ცოლთან ერთად აპყვა მდინარე იანძის, ხა-ჩუანი როგორც მდიდარი ქალი, თვითონ კი როგორც მსახური. ახლა მან იცოდა ჭილობების წვნა და ქალაღლის დრაკონების კეთება.

— ენახოთ, რას წარმოადგენს ჯაშუშობა,—ამბობდა ის. — თუ აზრიანი საქმეა, მაშინ ხელს მოვკიდებ.

მალე ის ოცდაათი ჯონკით²⁾ ხანკოუსაკენ გაემართა და თან წაიყვანა ხა-ჩუანი, რომელმაც მდიდარი ტანისამოსი შესცვალა. ლურჯი კერესით და რაზმის სხვა ქალებივით თევზის ხარშვან შეუდგა.

¹⁾ კოლეჯი—საშუალო სკოლა ინგლისში.

²⁾ ჯონკა— ჩინური სამანძიანი იალქნიანი ნავი.

ოცი თუ ოცდაათი ლი) ხანკოუს ტერიტორიისა ისე განვლეს, რომ ჯერ არც კი დაენახათ თვითონ ხანკოუ: ეს იყო არა ქალაქი, არამედ პატარა ნაგებობის, იალქნების, მოტორებისა და გემების ქვეყანა, ქვეყანა ისეთი გაუგებარი კილოებისა, რომ როდესაც ადამიანები ერთმანეთს ხვდებოდნენ, ან სდუმდნენ, ან ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ ცუდი ინგლისური ენით, ან-და იშველიებდნენ თარჯიმანს, რომელიც ყველაფერს ამახინჯებდა და იმავე დროს შედარებით დიდ გასამრჯელოს იღებდა.

ჩენი დაუყოვნებლივ თარჯიმნობას შეუდგა და ხუთ დოლარს აკეთებდა დღეში.

— მე ვფიქრობ, აქაურების ნახევარი ჯამუშები არიან,— ეუბნებოდა ის ცოლს.

— უფრო მეტი, ბევრად მეტი,— უპასუხებდა ხა-ჩუანი.

ხანკოუ მდიდარი სავაჭრო ქალაქია უცხოელებითა და დიდი გომინდანური გარნიზონით. როდესაც მიმოიხედა, ჩენმა გადასწყვიტა შესდგომოდა მოქმედებას. მალე მან ჩაძირა ორი ბარჯა სამხედრო ტვირთით, რომელიც მომზადებული იყო ხანიანისათვის, ჩაძირა აგრეთვე მდინარის პოლიციის მოხელის პატარა მოტორიანი ნავი და ოფიცრების მოტურავე საჩაიე სახლი.

ხა-ჩუანი დასახლდა ნაპირზე და გახსნა დუქანი მთავარი ნავსადგურის მახლობლად. ჩენი დროგამოშვებით დაიარებოდა მასთან და ერთხელ ერთად ინახულეს ფერწერის გამოფენა.

— ჩვენი და იაპონური ფერწერა აზრებისათვის არ არის შექმნილი;— შენიშნა ჩენმა ღამით, როდესაც ხა-ჩუანი მის ჯონკაში იწვა და ბავშვური, არაჩვეულებრივად ალერსიანი ხმით მღეროდა.

მდინარეზე ფრიალებდნენ იალქნები, რომელნიც პეპელებივით ეწაფებოდნენ წყალს. ზღვის გემებს წყალში ჩაეშვათ ღუზის ბაგირების რკინის უღვაშები და ვეებერთელა ფუტკრებივით ირხეოდნენ. წყლის ზედაპირზე ბრწყინავდნენ ლურჯი, წითელი, მტრედისფერი და თეთრი ლაქებოვანი მდინარე ნთქავდა ყოველივე იმის ფერს, რაც მასზე ცნოვრობდა.

1) ლი—სიგრძის საზომი ჩინეთში, უდრის 274 სანტის.

— ჩენ, გავიგონე, რომ შენ დაგეძებენ, — უთხრა ხა-ჩუანმა, — უფრო ფრთხილად უნდა იყო.

— სიმამაცეზე საიმედო არაფერია, — უპასუხა მან.

მაგრამ ხა-ჩუანმა ერთხელ კიდევ გაუმეორა, რომ საჭიროა სიფრთხილე, და კარგა ხნის შემდეგ, როდესაც ისინი კვლავ ერთად ატარებდნენ ღამეს, ისევ დაუბრუნდა ამ საკითხს.

— ერთი კვირის შემდეგ თავს მოგკვეთენ, — უთხრა მან.

— რაკი მაგრეა, უნდა დავაჩქაროთ საქმე, — უპასუხა ჩენმა, ქალაქში გაისტუმრა ხა-ჩუანი და იმავე ღამეს ჩაძირა რკინის ბარეა ქვემეხებით და ცეცხლი წაუკიდა ორ საინტენდანტო პაკაულს. პოლიციის მიერ დევნილი, იგი თავის ჯონკებით დაჰყვა მდინარეს თვით გუანძიმდე. გზა და გზა წყალში ჰყრიდა და სწვავდა სამხედრო ტვირთებს და ოცნებობდა ხანკოუში დაბრუნებაზე, რათა კვლავ ენახა თავისი საყვარელი ხა-ჩუანი.

მაგრამ შემოდგომა უკვე ეპარებოდა მდინარეს, განთიადს სიცივე ჰბოჭავდა და მდინარის სინესტე აზრს ადუნებდა.

როდესაც მან მტკიცედ გადასწყვიტა მარტო წასულიყო ხანკოუში, ხა-ჩუანი თვითონ მიადგა კარს. მან სამწუხარო ცნობები მიუტანა. ჩენს უნდა დაეშალა მდინარის პარტიზანთა რაზმი და არალეგალურ მუშაობაზე გადასულიყო. მათ რამდენიმე დღე იმსჯელეს ამ საკითხზე და ასეთი გეგმა მიიღეს: ხა-ჩუანი ხანკოუში დაბრუნდება და იქიდან ჩუმად გადავა თავის არმიაში, ჩენი კი დაითხოვს თავის პარტიზანებს და წავა ჩრდილოეთში, ნანკინისაკენ, იქ დაუკავშირდება პარტიას და ზამთარსაც იქ გაატარებს.

ერთმანეთს გამოეთხოვნენ. და ჩენმა ცოლი ქალაქში წაიყვანა მენავე ბიჭის თანხლებით.

ხანკოუს რომ მიუახლოვდნენ, უკვე ღამე იყო, სილუეტების ღამე. მხოლოდ ძალიან გამჭირახ თვალს შეეძლო გზა გაეკვლია მრავალ ათას ნაგებს შორის. ისინი ნაცნობ ნაპირს მიაღწენენ, ბრინჯის საწყობების მახლობლად.

— წადი, — უთხრა ჩენმა. — გაზაფხულზე შევხვდებით.

ხა-ჩუანი ნავიდან ნავეზე ხტუნვით ნაპირისაკენ გაიქცა.

— წავიდეთ, უფროსო? — ჰკითხა მენავე ბიჭმა.

— მოიცა, დაგვიძახებს.

და უეცრად, თითქოს ფიქრს მიუხვდნენო, მოისმა კივილი.

კივილში დახმარებას ითხოვდნენ. ჩენმა გაარჩია ხმის ნაცნობი ტემბრი.

— აქა ვარ, ხა-ჩუან!—დაიყვირა მან და წამოდგა, რომ მეზობელ ნავზე გადამხტარიყო, მაგრამ მენავე ბიჭმა ფეხში ხელი სტაცა, წააქცია და ნავე ნაპირს მოაშორა.

— როდესაც ქალი ასეთი ხმით კივის, შენი ნაპირზე გადასვლა არ შეიძლება,—ჩასჩურჩულა მან.

— ბრიყვო, იგი მოკვლეს!—უთხრა მან.

— ასეთ ქალს უბრალოდ ვერ მოკვლავენ,—უპასუხა ბიჭმა ტუჩების ცმაცუნით და შუამდინარეში გასცურა.

ისინი რაზმში დაბრუნდნენ. ჩენმა ხალხი დაითხოვა და ბიჭთან ერთად ნანკინში წავიდა.

იქ ნავსადგურში მუშაობდა, რუსულ ენას სწავლობდა და მარტოდ-მარტო იტანჯებოდა იმის გამო, რომ ხა-ჩუანის ბედისა არაფერი იცოდა.

ჩენს აშინებდა აზრი, ვაი თუ ხა-ჩუანი ისე არ მოიქცეს, როგორც კომუნისტს შეეფერებაო. შემდეგ ბრძანება მიიღო წასულიყო ჩრდილოეთისაკენ, მუკდენში, პარტიის მანჯურის კომიტეტის განკარგულებაში, მაგრამ შანხაიდან კრას არხზე წავიდა. უკვე სამმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც ის არმიაში შევიდა. როდესაც იგონებდა ჯუ-დესთან მუშაობის პირველ დღეებს, რცხვენოდა, რომ ამდენი დრო ტყუილ-უბრალოდ დაჰკარგა.

ტანს უნდოდა, ორი დღე კიდევ დარჩენილიყო პარტიზანთა შტაბში. რადგან კორეელ ამხანაგებს მოელოდნენ.

ტანი ათვალეირებდა იმ ფანჯებს, სადაც ცხოვრობდნენ რაზმების წარმომადგენლები, დასასვენებლად ჩამოსული მზვერავები, პოლიტიკური ორგანიზაციების მუშაკები და ახალგაზრდობა, რომელმაც მიატოვა ქალაქები და ჩამოვიდა ანტიიპონურ არმიაში ჩასარიცხავად. ჩვეულებრივად ტანს თან ახლდა რომელიმე დიდი მეთაური და უეჭველად ლუზა. ტანი დაუღალავად ეკითხებოდა ლუზას საბჭოთა საქმეებზე შორეულ აღმოსავლეთში.

ფანჯებში ფუსფუსებდნენ გაზეთის ასოთამწყობები, ხის პლა-

კატების გამოძქვრელები, აგიტატორები. შტაბის მენაღმეები რალა-ტას სჩიჩქნიდნენ მდინარის ნაპირზე, თან ნავითიანი ბილონები ჰქონდათ.

ამერიკელი მფრინავი ლოუ, რომელიც თავის ლურჯ კომბინე-ზონში შელამაზებულ ჩინელს ჰგავდა, პატარა პლანერს აკოწიწებ-და ტყის პირას.

კერპოსალოცავიდან გამოსულ ტანს მაშინვე გარს ეხვეოდა ახალგაზრდების ჯგუფი, მათ უერთდებოდნენ შორიდან ჩამოსულე-ბი. ესენი იყვნენ კუსტარული სადღვებელი სარეწაოებისა და სამე-თუნეო ქარხნების მუშები. შიმშილითა და ცხოვრების აძიძულილით გაშმაგებულნი. ისინი თავიანთ ძალღონეს სთავაზობდნენ ტანს საი-ღუმლო შურისძიებისათვის.

ტანმა ლუზას ყურადღება მიაქცია მათთან ბაჯბაჯით მისულ ჯგუფს.

— აბა ჩაინადე შარვალი, — უთხრა ტანმა ერთ მათგანს. — ესე-ნი სახარატო დაზგებზე მუშაობენ, — განუმარტა მან ლუზას. — ხე-დავთ, თიაქარი აქვს, ყურადღება მიაქციეთ ფეხებს. ფეხების მოძ-რაობისაგან დაზგის პედალზე დაქერის დროს და ხის სკამის კი-დურზე ხევისაგან მათ დასისხლიანებული კოყრები უჩნდებათ. ერ-თი წლის შემდეგ ეს სიარულს ველარ შესძლებს, როგორც ყველა მისი ამხანაგი. ეს პროფესიული სენია.

— ნუ მიიღებთ არმიაში, — უთხრა ლუზამ.

— არ შეიძლება, — უპასუხა ტანმა. — არ შეიძლება. ისეთებს, როგორიც ვე არის, ვერაფერზე უარს ვერ ვეტყვით.

მან შეხედა ძვალმაგარ, ჩასკენილ, თითქმის სქელ, ბურიატის ფართო სახის მქონე შუახნის გლეხს, რომელსაც ხელები უყან დაე-დოდა იდგა.

— მიჩვენე ხელი!

გლენმა გაიღიმა და ენის წლაკუნით განზე გადგა.

— თუ შაგრე შეუღებები არჩევას, უფროსო ტან, ვერავის მო-ნანავე.

— მეთუნე ხარ? — ჰკითხა ტანმა.

— თვითონ ხედავ, — და შებრუნებული ხელი მიუშვირა. ხელის

გული სისხლნაჟღერებით ჰქონდა დასერილი. ტყავი იდაყვამდე დახეთქილი და სველი სირსველით დაფარული.

— ფეხებიც მაგრე გაქვს? — ჰკითხა ტანმა.

— დიად, — უპასუხა გლეხმა.

— ყველას მიგიღებთ, — უთხრა ტანმა, — ოღონდ შოვიფიქრებ, სად გაგზავნათ. უარს ვერ ვეტყვით, — მიუბრუნდა ლუზას, — რადგან ასეთებს სხვა გზა არა აქვთ. გარდა ამისა, ესენი უფრო მეტ გმირობას იჩენენ, ვიდრე სხვები.

იმავე დღეს ტანს სამი მოლაპარაკება ჰქონდა: ლუზასთან, იუ-შანთან და ამერიკელ მფრინავ ლოუსთან.

ლუზასთან საუბარი შეეხებოდა საზღვარსა და საზღვრის ზოლში მომქმედ, პარტიზანებს. ტანი იცინოდა, როდესაც ლუზა უამბობდა ვან სიუნ-ტინზე, რადგან ამ ტიპის ხალხს იგი დიდი ხანია იცნობს. თვითონ ვან სიუნ-ტინს კი სწყინდა ხუმრობა.

— ათ შაშხანას მოგცემ, — დაჰპირდა მას ტანი, — ტაი-პინს კი, რომელმაც ლუზა მოიყვანა, მაუზერს ვაჩუქებ, თუმცა იგი სულელია, მურუსიმა გაუშვავ.

იმავე საღამოს ტანმა ორი საათი გაატარა ვან სიუნ-ტინთან. მიორე ოთახიდან მოისმოდა მათი ხარხარი.

მაგრამ უფრო დიდხანს ტანი ლუზას ელაპარაკებოდა. ლაპარაკობდნენ მურუსიმაზე.

— გინახავთ დაკუიამა? — ჰკითხა ტანმა და როდესაც გაიგო, რომ დაკუიამამ დაჰკითხა ლუზა უთხრა: — ეს ყაპიტანი უფრო საშიშია, ვიდრე მოხუცი მურუსიმა. ყოველ შემთხვევაში ვან სიუნ-ტინის ამოცანაა მოსპოს ორივე, — სთქვა მან და ჰკითხა: — შეიძლება თუ არა ამის შესრულება?

ლუზამ გადაუწყვალა ამ განზრახვის ყველაზე ადვილად შესრულების დაწვრილებიერ გეგმა.

ოცი ჩენი მსიმაძევის მოყვარულთა: „საზოგადოების“ რაზმის შეთქმული ცოველთგის ყურადღებით უსმენდა მათ ლაპარაკს. იგი როდესაც მათ ტყვეობაში მყოფ ლაპარაკებს გამოუძახის, იუ-შანსა

— თქვენ გასურდათ გადმოგვცათ ესენი მოქმედების გეგმა? — უთხრა ტანმა.

— დიად, უფროსო.

იუ-შანის გეგმა იყო ახალი სახის პარტიზანთა რაზმების ორგანიზაცია—ქალაქის პარტიზანების, პარტიზანებისა მრეწველობაში და პარტიზანებისა ტრანსპორტზე. თვითონ მას სურდა ტრანსპორტის პარტიზანების ორგანიზაცია. იგი აღელვებული უხაზავდა სარკინიგზო ომის გეგმებს.

ადიუტანტმა მოიტანა და მათ წინ დასდო მანჯურის რელიეფური რუკა. იუ-შანი ხელით ეხებოდა მთებს, თითოთ უჩვენებდა მდინარეებს და ისე ლაპარაკობდა მომავალ ომზე, თითქოს იგი უკვე მომხდარი და მის მიერ განცდილი ყოფილიყოს.

როდესაც დაქრილი იუ-შანი რუსებთან მკურნალობდა, მან იქ პირველად დაინახა გეოგრაფიული რუკა და დიდხანს თვალი ვერ მოაშორა. პატარა მიწა ისე გადაშლილიყო მის წინ, როგორც საიდუმლო მანქანის თვალნათლივ გამომჟღავნებული მექანიზმი. იგი გონების თვალთ ხედავდა, როგორ მუშაობდნენ ამ მანქანის ცალკეული ნაწილები—გზები, ბილიკები, ბაქები, ქალაქები და ფაბრიკები, ხედავდა ტვირთისა და ადამიანთა ნაკადის მიმდინარეობას და უსაზღვროდ აღფრთოვანებული და თან შეშინებული იყო, რადგან ამ რუკის მეოხებით იგი ადამიანთა ბედსა ხედავდა.

რუსებისაგან დაბრუნების შემდეგ იუ რაზმში ჩასარიცხავად გაეშურა. მას ბევრი აძლევდა წინადადებებს, მაგრამ იუ სთხოვდა მეთაურებს—რუკა მაჩვენეთო, და რადგან რუკა არავის აღმოაჩნდა, ყველას უარს ეუბნებოდა. რუკიანი მეთაურის ძებნაში იუ ხარბინამდე მივიდა და უყურო ხუნხუს მიადგა. უყურო იმ დროს სახელს იხვეჭდა ხარბინის მიდამოებში.

უყურომ იუს რელიეფური რუკა უჩვენა და უთხრა, შეგიძლია ხელით მოსინჯო და თითი ჩაჰყო ხეობებშიო. მან გადაუშალა იუს სხვადასხვა ხელობის, წვიმების, ნიადაგის, მცენარეებისა და გზების რუკები. ამ გზებზე აქა-იქ წრეების სახით აღნიშნული იყო ბაქები, ჰები, ხუტორები, სასაფლაოები, სოფლები და ქალაქები. დახაზული ქალაქის ნაჭერზე ყველაფერი პატარა იყო, თვით დიდი ქალაქებიც და ღრმა მდინარეებიც კი, მაგრამ გზები მკვეთრად და ხელშესახებად იყო გამოხატული, ქვეყანა მათ ქსელში იყო გახვეული, როგორც ხაფანგში. საკმარისი იყო გაგეხსნათ კვანძი,

რომ მთელი ქსელი მყისვე დაიშლებოდა, მიწა კი ისე გამოვარდებოდა ქსელიდან, როგორც მოკლული ნადირი დახეული ჩანთიდან.

— გიციობ, იუ-შანი ხარ,—უთხრა უყურომ. — წაიღე რუკა და იმსახურე ჩემთან. ბევრ ისეთ რამეს გასწავლი, რაც ჯერ არ იცი.

ხუნხუზი უყურო სწორედ მაშინ მოდაში შედიოდა. ის შევიდა რევოლუციურ მემბოხეთა ორგანიზაციაში. შტაბი მას ხარბინში ჰყავდა. გატაცებული იყო „საქალაქო ომით“ და თავისი გონებით სწვდებოდა ქუჩაში ბრძოლის კანონებს, რადგან არასოდეს არ გაეგონა პარიზისა და მოსკოვის ბრძოლის ამბები. უყურო სახლებზე ბლაჯნიდა ლოზუნგებსა და პლაკატებს, ავრცელებდა ფურცლებს, სიმღერებს და მდიდართა სახლის კედლებზე აწებებდა აფიშებს მათი შემოსავლის ციფრებით, რაც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა მუშათა მასებზე.

იუ მცირე მცოდნე კაცი იყო და უყუროს საქმე მაგრე რიგად არ ხიბლავდა. მან ოთხ თვეს იბრძოლა მის რაზმში, შემდეგ კი დაბრუნდა ნინგუტუში, სადაც შექმნა თავისი პირველი სარკინისგზო რაზმი ყოფილ მეისრეებისაგან. პირველ ხანებში იგი ლიანდაგიდან აგდებდა საქონლის მატარებლებს და ჰქმნიდა არევე-დარევას საკვანძო სადგურებზე. თითქოს პრაქტიკულად ამოწმებს თავისი გეგმის ზოგად იდეასო. მაგრამ ამ დროს ტანმა ახალგაზრდა ოფიცერი გაუგზავნა ფუჯოუდან, და იუმ გადასწყვიტა დაეჩქარებინა საქმე. ოფიცერი ჯარისკაცივით გამოეჭიმებოდა ხოლმე იუს და არასოდეს არა ჯდებოდა, როცა იუ მასთან იყო. ერთხელ იუმ, ერთი ჭიქა ხანშინის დალევის შემდეგ, გაუმხილა ოფიცერს თავისი გეგმები. ოფიცერს შეაჯრყოლა მღელვარებისაგან.

— მეთაურო, გაუმარჯოს ხალხის ჭკუას!—წაილულლულა მან და დაჰპირდა იუს, რომ მის აზრს ზუსტად ჩამოაყალიბებდა როგორც სამხედრო დოკუმენტს. მას აფიქრებდა მხოლოდ არსენალის უქონლობა და კარგად არ ესმოდა, საიდან შეიძენდა იუ ფეთქად ნივთიერებას რკინისგზების ასაფეთქებლად.

— იაპონელებს წაეართმევთ, —უთხრა იუმ.

— მეთაურო, ეგ ცოტა იქნება და მაგას ყოველთვის ვერც მოვახერხებთ.

— საიღუმლოდ ვიყიდი ქალაქებში.

— მეთაურო... —

— კარგი, კარგი, თვითონ მოვამზადებთ, ლაპარაკი ზედმეტია. იუ ხარბინში ჩავიდა და იქიდან მოიყვანა რუმინელი პროვიზორი ანგელოვიჩი და თან მოიტანა ორი ყუთი ქიმიური ქურქელი-ანგელოვიჩი პირქუში: წვერიანი მოხუცი იყო ცხვირზე მრუდდღ ჩამოცმული პენსნეთი. ის ძველი დროგისტი¹⁾ იყო. ყველამ იცის, რომ ასეთი კაცი მეტია; ვიდრე ექიმი. თავის სიცოცხლეში მას ორმოცდაათ თუ ას ფუთზე მეტი წამალი დაუმზადებია: მან იკისრა ხელყუმბარების დამზადება...

— ჩვენში. რუმინეთში, — ქედმაღლურად ამბობდა ანგელოვიჩი, — აფეთიაქში ყველაფერი შეიძლება დამზადდეს, ხელოვნური ბავშვიც კი.

მან მოითხოვა სამასი საკონსერვო კოლოფი და ორი თვის შემდეგ ჩააბარა იუს სანიმუშო ეგზემპლიარები.

„სარდინის“ კოლოფი აფეთქებდა რკინისგზის ლიანდაგს. თხუთმეტი მეტრის მანძილზე, მაგრამ ხიდებისათვის მან დაამზადა „ნანანასები“. ნახევარ-ნახევარი კილო თითოეულში და „მეავე კიტრი“ ხუთ-ხუთი კილო თითო კოლოფში. ყუმბარების მიღებისათანავე იუმ დაამუშავა პატარა ბრძოლის გეგმა ნინგუტთან და როდესაც იუმ ხელთ ჩაიგდო ექვსი მატარებელი ცერცვი, ორი ვაგონი ხორბალი და ას ორმოცდაათი ათასი შაშხანის ვაზნა, დაპუნელებმა იგი საგანგებო სიაში შეიტანეს. ვინც მას დაიჭერდა, საჩუქრად მიიღებდა: ათი ათასი იენს.²⁾

ახლა იუ-შანმა წარუდგინა ტანს სარკინისგზო. ომის გეგმა ხიზვანიდან ზღვამდე.

— იაპონიის არმიას მოვწყვეტ ნავსადგურებს, — ამბობდა იუ. — ამისათვის დავანგრევე კორეის გზის ხიდებსა და გვირაბებს, დავანგრევე ფუშუნ-დაიენის ხაზს — ქვანახშირის გზას. და ამით ფულად ზარალს მივაყენებ იაპონიას: მოვწყვეტ იაპონელებს ზღვისაგან და მოვსპობ ქალაქების დამაკავშირებელ გზებს. ვაიძულებ იაპონელებს

1) დროგისტი — დამიანი, რომელიც სააფთიაქო და ქიმიური მსაქონლით აკრობს.

2) იენი — იაპონური ფული, უდრის 97,8 კაპიკს.

ფეხით გაიარონ ჩენი ქვეყანა, და მაშინ ყველა გზა სიკვდილის გზად გადაიქცევა მათთვის.

— ტანმა გაიღიმა, უთხრა:

— ძვირფასო იუ, არსებობს ავიაცია...

— ფრინველიც კი, რომელიც ჰაერში მფრინავი მწერებით იკვებება, მიწას საჭიროებს. საჰაერო მანქანებს არწივებზე როდი მიუტანენ ფრთებით საკვებს.

— კარგი, — უთხრა ტანმა, — დამიტოვეთ თქვენი პროექტი.

მე მინდა რაპონელების მიერ ჩვენში მოტანილი მთელი ავლა-დიდება ჩვენვე დაგვრჩეს. მიკადოს დაეუბრუნებთ მხოლოდ თავისი ჯარისკაცების ქულებს, — სთქვა იუმ პროექტის გადაცემისას, სამხედრო სალაშქრო მისცა ტანს, როგორც დისციპლინებულ ჯარისკაცს შეშვენის, და გავიდა.

შემდეგ ტანმა ამერიკელ ლოუს სთხოვა შესულიყო.

ლოუს იჯდა ფანჯარასთან, რომელსაც გაზეთილი ქალადრი ჰქონდა აკრული გარეთ. ქარი დააქროლებდა ქვიშაში არეულ თოვლს. გამხმარ ბაღებს და სინათლის ბლუჯებს, რომელიც მზის სინათლეს ჰგავდა, მაგრამ შეიძლება მტვერი იყო. ფერადი მინის ნამტვრევების მსგავსი მჩხვლეტავი კიდურებიანი ღრუბლები კიდით კიდემდე ფხეკდნენ ცას.

ფანჯის კედლებზე ეკიდა ულები, დამტვრეული სარკე, იაფფასიანი ლამპა, რუსული წარმოების ვედლის საათი, წალი, ყველაფერი ყუთები, კარები, ვედლები აქრელებული იყო საახალწლო წითელი ქალაღებით, რომლებზედაც წარწერილი იყო იეროგლიფი: ფუჩი ბედნიერება.

ლაპარაკი ჩამოვარდა ჩინეთზე და საზოგადოდ აზიანზე.

— ჩინეთი არის ამტანობა. მორჩილების სახით, — სთქვა ტანმა. — ისტორიამ ჩვენს ხასიათს ზამბარა ჩალიჩად დაგრიზა, მაგრამ აბა სცადეთ და გახსენით ეს ზამბარა. ამბობენ არაბული ხმლის პირს რამდენჯერმე მოლუნულს და ბაწარ შემოხვეულს ინახავენო, მაგრამ გახსენით ბაწარი და ფოლადი მყისვე ჰაერში აფარდება და ვაჰკვეთს დაბრკოლებას. ჩვენ ასე დახვეულები ვეგდეთ.

— ჰაერში ავარდნილი ხმლის პირი რომ ცივილიზაციას მოხედეს?— ცნობისმოყვარეობით ჰკითხა ლოუმ.

ლოუს უხეირო კინორეჟისორივით აცვია: „კოეზოიკა“, ინდიური ფოჩით შემოვლებული ტყავის შარვალი, კრელი სეიტრი, ხოლო თავზე პანამის მსგავსი ქუდი ჰხურავს, გეგონებათ, ეს-ეს არის კინოგადაღებიდან დაბრუნდაო.

— არ ვიცი, რა გაქვთ მხედველობაში, — ფრთხილად მიუგო ტანმა.

არც ლოუმ იცოდა, რისი თქმა უნდოდა, მაგრამ მაინც განაგრძო:

— ავიღოთ თუნდაც თქვენი ღმერთები. გთხოვთ, საწყენად არ მიიღოთ, მაგრამ ეშმაკმა იცის, რასა ჰგვანან, ჩემის თვალსაზრისით. ამ ღმერთების პატრონს სოციალიზმზე ფიქრი არ შეუძლია. თქვენც და იაპონელებსაც მახინჯი ღმერთები გყავთ, დამნაშავეები, იდიოტები. სხედან, დაუქუცეთათ უაზრო თვალები და არხევენ ჩასუქებულ ავზორც მუცლებს. თუ ღმერთი იდეალური ადამიანის ნიმუშია, მაშინ ქრისტე, ჩემის თვალსაზრისით, არც თუ ცუდი მამაკაცია, ამასთან ორატორი, უანგარო, სპეტაკი და ოცდაცამეტი წლის მამაკაცისათვის სავსებით მართებული გარეგნობის პატრონი. აქ კი ნადირის აპოლოგიაა¹⁾ — დაკრეჭილი კბილები, ბრჭყალებიანი ხელები.

— საქმე ის არის, როგორ ეპყრობა კაცი ღმერთს, — შეაწყვეტიანა სიტყვა ტანმა. — თქვენებს ღმერთები ხალხის შესატყუებლად ჰყავთ, ჩვენებს დასაშინებლად. მე ჩვენი ბონზების²⁾ ტაქტიკა უფრო მომწონს, იგი გულახდილია. ჩვენი ღმერთები — თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით — რვაფეხას ჰგვანან. იქნებ ეს იმის მაჩვენებელია, რომ მაძლარი ცხოვრებისათვის ორი ნორმალური ხელი საკმარისი არ არის.

ტანმა უკანასკნელი ფრაზა ერთბაშად გადმოისროლა და უთხრა მფრინავს:

¹⁾ აპოლოგია — უბოშო ქება-დიდება.

²⁾ ბონზა — ასე ეძახიან ევროპელები ბუდის ქურუმს.

— თავი დავანებოთ ღმერთებს და მოვილაპარაკოთ ჩვენს თავზე. მოხარული ვარ, რომ ჩვენთან მოხვედით და გსურთ ჩვენთან მუშაობა. არ ვიცი, რამ მოგიყვანათ აქ. თუ ეგზოტიურობის ინტერესმა, მოლოდინი გაგიცრუვდებათ. უკვე ოცი წელიწადია ჩინელებს ველარ ვხედავ, ისინი აღარ არსებობენ, მისტერ. მარტო ძველ კერპოსალოცავთა ღმერთებილა დარჩნენ ჩინელებად. ჩვენ კი, ცოცხალი ადამიანები, დავნაწილდით მედუქნეებად და მუშეებად, გლახებად და ბანკირებად. თუ ჩვენი კულტურის განსაკუთრებულ თვისებებზე ვილაპარაკებთ, აქაც უფრო მეტი ამერიკული და იაპონიურია, ვიდრე წმინდა ჩინური. ხაილარში ყველაფერი მონღოლებს გაგონებთ, ხარბინში—რუსებს, შანხაიში ამერიკელებსა და ინგლისელებს ბაძავენ. ამრიგად, არავითარი ეგზოტიკა არა გვაქვს. მინდა გკითხოთ, როგორ მოგეპყრობათ ამერიკული საზოგადოება თქვენ, რევოლუციონერებთან სამუშაოდ მოსულ ადამიანს?

— მე იაპონელთა წინააღმდეგ სამუშაოდ მოვედი. იმედი მაქვს, ჩემი გამოცდილება ინტერესს მოკლებული არ იქნება ჩემი სამშობლოსათვისაც.

— აკადემიურად, მისტერ,—გაიცინა ტანმა,—მხოლოდ აკადემიურად. მე არა მჯერა, რომ შეერთებული შტატები ოდესმე იომებენ იაპონიასთან. ევროპის ომში, მისტერ, თქვენმა ქვეყანამ გაიმარჯვა არა იარაღის ძალით, არამედ ექსპორტის ძალით. თქვენ მეტი ნავთი და დამარილებული ხორცი გქონდათ, ვიდრე მოწინააღმდეგეს. დღეს სხვა მდგომარეობაა. იაპონია გაძევებთ თქვენ ყველა ბაზრიდან და გაგაძევებთ კიდევ, თუ ჩვენ არ დავამარცხეთ იგი. შეერთებულ შტატებს სურთ, რომ იაპონიას სხვა ვინმე ეომოს. იმ დრომდე, სანამ ისინი ძველ ბაზრებს დაიბრუნებდნენ და ხელში ჩაიგდებდნენ ახალ ბაზრებს.

— მე პრეზიდენტის პიროვნებას არ წარმოვადგენ და ეშმაკმა იცის, რას ფიქრობს ვაშინგტონი,—ამბობს ლოუ.— მე ოფიცერი ვარ და ვაპირებ პრაქტიკულ მუშაობას. თქვენი საქმე დიდი საქმეა, თუმცა თეთრკანიანი ადამიანისათვის ძნელია ყველაფერში დაგეთანხმოთ თქვენ. ჩემშიაც კი ერთგვარი არაკეთილგანწყობილები გრძნობაა თქვენდამი, ხოლო მე ყველაზე ცუდი კაცი არა ვარ.

— რას ფიქრობთ ჩვენს ძალებზე?

— ბურები ოდესღაც ინგლისელებზე მამაცები იყვნენ, ხოლო სერბიელები—ავსტრიელებზე. მაგრამ ბურები და მარცხდნენ; სერბიელებს კი გოჭებივით ელეტდნენ. სიმამაცე საუცხოო რამად სი მამაცე. ზოგჯერ ვფიქრობ—ეს არის შეიარაღების ნაწილი, არა მელსაც ჯარისკაცებს სამშობლო აწვდის. ეაზნებთან და კონსერვებთან ერთად. ეს თქვენ გაქვთ. სიმამაცის წარმოება თქვენში ჩინებულად არის მოგვარებული.

— მე ვიწრო და შეზღუდული ადამიანი ვარ, ამბობს, სიტყვით ტანი.— პირდაპირ სიტყვით როგორია თქვენი გეგმები?

ამერიკელი დიდხანს შეჰყურებს ტანს და ამბობს:

— გეტყვით, როგორც მქადაგებელი ამბობს: „მომეცით ბენზინი და სასუფეველში შეხვალთ“.

— ხომ არ შეგიძლიანთ რაიმე წინადადების წამოყენება?

ამაზე ამერიკელმა მხრების აჩეჩით უპასუხა:

ტანი მივა იუ-შანთან, რომელიც მთელმხარე შესცქერის მოხაუბრეებს, რადგან ინგლისური არ ესმის, და ეტყვის:

— თქვენი პროექტი უფრო და უფრო მომწონს.

შემდეგ ყველანი დგებიან და მიდიან სასადილოდ კერპოსალოცავში.

ტანის წასვლის წინაღობს მეთაურები ერთხელ მივიღვე. შეიკრიბნენ. ტანმა იკისრა ყველა ანტიკომუნური რევოლუციური ძალის სარდლობა.

ჩენმა მიიღო არმიამ ამ არმიას ეწოდებოდა „სიმამაცის მოყვანის რეულთა საზოგადოება“ იუ-შანი დაინიშნა ზურგის არმიის სარდლად: ჩუ-შან-ხო—კორეის არმიის სარდლად, ცინ-ლინი—პარტიის სამხედრო განყოფილების წარმომადგენლად ხეილარის რაიონში, ვან სიუნ-ტინი სათავეში ჩაუდგა საზღვრის ზოლში, მოემქმედ პარტიზანებს, რომელთაც წინათ იუ მეთაურობდა.

ლუხამ გადასწყვიტა წაჰყოლოდა იუს მუკდენში და დახმარებოდა ზურგის არმიის შექმნაში.

ტანთან თათბირის დამთავრებისაშინავე ფორმალურიდან დაშინილიდან ჩამოსული ვოლონტერები¹⁾ შემოვიხივენი და ჩარდ-

1) ვოლონტერი— მოხალისე მებრძოლი.

ლებს. ისინი მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გაგზავნას ადგილებზე და აღნიშნულ ადგილებზე. ზურგის არმიის საზღვარს, იუს, რომელიც არ იღებდა არც ერთ ჩამონსულს.

საქართველოში ისინი ფრთხილად სასარგებლონი იქნებიან, მე არ ადგილობრივი თხუნულები მიკრძავენ, — ამბობდა იუს.

21 ოქტომბერს იუს არძიამ დაიწყო სამხედრო მოქმედება. პირველი პარტიის სეზონური, მუშების სახით გაემართა. ძინდუნის რეინისგზისაკენ, ყურეთისაკენ. მას დავალებული მოქონდა გვირაბის აფეთქება გირინ-დუნსუას და დუნსუა-ხაირენის ხაზზე, რათა ამით შეეფერხებინა რაპინის ჯარის გადაგზავნა ზღვის ნაპირიდან მანჯურიის შიგნით.

თვითონ იუს ამ დროს ძველ ქვისატებში იჯდა, მეთათავე ან-გელოვიჩთან.

იმავს დროს რსულა ფუშუხის მალაროებში წავიდა, ხოლო იუს გამოეთხოვა მეთათაქენ და შტაბის უფროსის თანხლებით თავის პარტიას დაედევნა.

შტაბის უფროსი მცოდნე კაცი იყო და ძველი გზა ჩურჩულით უხსნიდა თავის მეთაურს სამხედრო მეცნიერებას.

— 1917 წლის მარტს, როდესაც გერმანელები საფრანგეთს სტოვებდნენ, — ამბობდა ის, — ისე ანგრევდნენ გზებს, რომ ყოველ სამ კილომეტრზე ნალმის აფეთქებისაგან გათხრილი თითო ორმო მოდიოდა. ორმოს დიამეტრი 40 მეტრს უდრიდა. გერმანელებმა გაანადგურეს ათასი კილომეტრი სარკლავო გზა. ორი ათასი ისარი, ათასი სასადგურო შენობა ათას ზუთასი ხილი, თერამეტი ათასი საქარხნო ნაგებობა, დანგრევისაგან აღმოსავლეთმა და ჩრდილოეთმა საფრანგეთმა დაჰკარგა სამსხმელო წარმოების ოთხმოცი პროცენტი, სამოცი პროცენტი სპილენძი და ოცდახუთი პროცენტი ტყვია. გერმანელები აწყობდნენ ნელი ტემპით მოქმედ შენიღბულ ნაღმებს, იმ ანგარიშით, რომ აფეთქება სამი თვის შემდეგ მომხდარიყო, ასე რომ საფრანგეთში აფეთქებები გრძელდებოდა 1919 წლის გაზაფხულამდე. ეს არ არის რთული საქმე. ჯერ გათხრი რვა მეტრის სიღრმის ხეჩელოს, ხოლო შემდეგ გააფართოვებ რამდენიმე ვაზნის აფეთქებით. ხეჩელის ბოლოში გააქვებ ნალმის.

კამერას. გაავსებ მას ყუმბარებით, ერთ-ერთ ყუმბარას გაუკეთებ მჟავურ ამფეთქებელს. ნაღმს სდებენ რელსებს ქვეშ, სახლებში, ქუჩებ ქვეშ, ყველგან. ფრანგი გლეხები მშობლიურ სოფლებში დაბრუნების შემდეგ ვერ ბედავდნენ სახლებში შესვლას, ეწინააღმდეგებოდნენ კედლებს, ხეებს... აი, როგორი ომი გვესაქიროება ჩვენ. თქვენთან ერთად მე ვკადაგებ ომს ყუმბარებისა და ნავთით გაქლენთილი ძენძის საშუალებით.

იუ პირველ პარტიას დაეწია მატარებლის მაგარსა და ბინძურს ვაგონში. მატარებელი გადადიოდა ქედებს გირინის აღმოსავლეთით. ლიუდოხესა და ლიაოელინის ქვის გვირაბები ერთაინ მწყრივად გააჯაჭვულიყვნენ. შემდეგ მატარებელი შეიჭრა მდინარე ლაფახეს ველში და გვირაბებით კვლავ აჰყვა ცინლინისა და ვეიხუელინის მალლობებს. იუ სტკებობდა ბუნებით. მოეწონა რკინისგზის ხიდი სუნგარზე, გირინთან. ეს ხიდი გადებული იყო ცხრა საყრდენზე და მისი სიგრძე თითქმის ნახევარ კილომეტრს უდრიდა. ხიდ ქვეშ თავისუფლად მიდი-მოდოდნენ გემები.

— რა მშვენიერი ხილია, — სთქვა მან და თვალი მოხუკა. — მისი დანგრევის სურათი შემზარავი იქნება.

იუ ყურადღებით აკვირდებოდა აგრეთვე გვირაბის დასაწყისს ლიუდოხესა და ლიაოელინის სადგურებს შორის. ეს სადგურები მეტად წყნარ და სასიამოვნო ადგილებად მოეჩვენა. ათას რეას მეტრიანი გვირაბი თითქოს ფოლადიდან ჩამოსხმული იყო, ისე წკრიალით ეხმაურებოდნენ მისი კედლები მატარებლის გუგუნს. იუ მატარებლის ბაქანზე გადიოდა და სიბნელეს შესცქეროდა. ზოგჯერ ცეცხლოვანი წერტილები ანათებდნენ ლიანდაგის ნაპირებს, — ეს შემკეთებელი მუშები ფუსფუსებდნენ. იუ აკვირდებოდა ხიდებს, ტელეგრაფის ბოძებს და სადგურებს და მესხიერებაში იმარხავდა განმარტოებულ სურათებს, როგორც ბუნების ქეშმარიტი მოყვარული.

იუ თავისი ხალხით ნანიანის სადგურზე ჩამოვიდა და ფეხით დაბრუნდა უკან, დასავლეთისაკენ, გირინის მხრისაკენ.

დღიური მუშები ყველგან სჭირდებოდათ. ისინი არტელურად მუშაობდნენ ქვის სატეხებზე, აწყობდნენ განძელებს, გადმოჰქანდათ

ტვირთი ვაგონებიდან, და ასე მიაღწიეს სადგურ ხაერბალინამდე, სადაც დიდი ხნით მოიკალათეს.

ხაერბალინში იუმ სამ ნაწილად გაჰყო პარტია და ორი ჯგუფი გაგზავნა ხაერბალინის გვირაბის ასაფეთქებლად, თვითონ კი მესამე ჯგუფთან ერთად დიდი და ლამაზი ლიუდოხეს გვირაბის აფეთქება იკისრა.

პირველ ღამესვე პირველი ორი ჯგუფი ჩუმად შეძვრა გვირაბში. პირველი მიფოფხავდა პარტიის სინძინის კომიტეტის მიერ გამოგზავნილი კაცი, მისი სახელი უცნობია. გუშაგის ტყვიას მან ხელყუმბარის გასროლით უპასუხა და სიბნელეში გაქრა.

გვირაბს უახლოვდებოდა სამგზავრო მატარებელი სეისინიდან. სროლის ხმის გაგონებისას მემანქანემ ორთქლმავალი დაამუხრუჭა. ვაგონები ბორბლების ჭრიალით შეჩერდნენ გვირაბის შესავალთან. სამი კაცი მატარებელს მივარდა, ისინი ვაგონებს ქვეშ შეძვრნენ და ფოფხვით მიაღწიეს ორქლმავალამდე, შემდეგ გაეშურნენ გვირაბის შუაგულისაკენ, რათა შესავლიდან რაც შეიძლება შორს ჩაეწყოთ ყუმბარები.

ამ დროს გვირაბში გაისმა მჭექარე ქუხილი. ისინი მიხვდნენ, რომ პირველმა რაზმელმა ნაღმი ააფეთქა.

როგორც ეტყობა, არც ერთ მათგანს არ უგრძენია ტკივილი. ისე დაიხოცნენ, რომ მოსაზრებაც კი ვერ მოასწრეს. მაგრამ საშინელი იყო ყუმბარების აფეთქება მათ მომაკვდავ ხელში. გვირაბიდან ერთბაშად გამოვარდნილმა მწვავე ლურჯმა კვამლმა და ქვის ნამტვრევებმა ორთქლმავალი ააყირავეს, ვაგონები უკან გააქანეს, ხოლო გუშაგის სადარაჯო და ტელეგრაფის მავთულები ჰაერში ასტყორცნეს. მავთულები სტვენით ხტოდნენ ჰაერში, როგორც დამფრთხალი წეროები, ან საზარელი შოლტებივით იკლაკნებოდნენ და მიწას ასკდებოდნენ.

ამ დროს იუ ორი ამხანაგით ლიუდოხეს გვირაბის წინ იდგა. დილით მან უკვე იცოდა, რაც მოხდა. გვირაბი დაზიანდა. მაგრამ არ განადგურებულა.

როდესაც ხაერბალინის უბედურება დავიწყებას მიეცა, იუმ ლიუდოხეს გვირაბის თაღებში ჩამალა ნელი ტემპით მოქმედი რვა ნაღმი, ორი ნაღმი ჩასდო გვირაბის თავსა და ბოლოში, ხოლო სა-

მაჰანანასი“ — ღრმა ორმოში გვირახის ქვეშ. გირინში რომ ჩავი-
და, გაზეთში წაიკითხა საზარელი კატასტროფის ამბავი — გვირახის
აფეთქებამ გამოიწვია მიწის დატურება, მეწყერი, გზა მთლად გაჰქ-
რონიჭ; სადღაც გუშინ მატარებლები დაიარებოდნენ, ახალი მთა იდ-
გარეს, ოქტომბრის დამღვებს მოხდა, როდესაც ფუშინის მალაროებ-
ში გაფიცვა დაიწყო.

დაირენისკენ, ზღვის მიმართულებით, მატარებლების მოძრაო-
ბა შეწყდა. გაფიცვის პირველ დღეს დაირენში მოხდა ორი მოუ-
ლოდნელი აფეთქება — ქვანახშირის საწყობში და სამხედრო ნავ-
სადგურში: ამას არაფერ არ მოელოდა დაიწყო აჯანყება, თითქოს
ჰაერში გაშვებული ჩიტიაო. მოვლენები ერთი. მეორეს უსწრებდ-
ნენ და ყოველივეს ხდებოდა ჯერეთ გაუგებარი და გაუთვალის-
წინებელი წესრიგით.

ყველაფერი მოქმედებდა და ყველაფერი გაყინული იყო.

ბირტა მოქმედებდა, მაგრამ გარიგებები წერილმანი, მოჩვენ-
ებითი, არარეალური იყო. გემები განრიგების მიხედვით გადიოდ-
ნენ იაპონიაში და თითქოს ცარიელები იყვნენ, მაგრამ კაიუტები
და ტრუმები გაქედილი იყო დაირენიდან გაქცეული ხალხით. რო-
გორც ყოველთვის, ქურდულად დასრიალებდნენ. ნავსადგურში
ჯონკები გაშლილ მარაგს მსგავსი იალქნების წრაპინით ისინი
დამწვოდნენ რეიდში და რალაცას ეძებდნენ, მაგრამ ვერ პოუ-
ლობდნენ.

ოსუდა ფუშუნში ჩავიდა, როგორც უმუშევარი მონტიორი.
მან წარადგინა სასუცხოო რეკომენდაციები და მიიღო ვაგონების
მზრთავის ადგილი რკინისგზის სადგურზე. თავი ეჭირა როგორც
მშვიდობიან მემარჯვენე შეხედულების ადამიანს, ოღონაც ვაბორო-
ტებულს პირადი უკულმართობით. ორი დღის შემდეგ მან ენახუ-
ლა ფუშუნის არალეგალური ორგანიზაცია და გამოარკვია, რომ
მზადების დროც აღარ იყო ადგილობრივმა პარტკომმა მოახდინა
შობილიზაცია ყველასი და ყველაფრის, რისი მოხდენაც შეიძლე-
ბოდა, მაგრამ ცხადი გახდა, რომ არაფერი არ იყო მზად.

შუალღისა და აფეთქება მოხდა თოფის წამლის ქარხანაში. ოსუ-
და ამ დროს ისინი დგურზე მყოფი გემებდა.

თი რა ვაიფენ შემდეგ ამ ამბების შესახებ.

ბაქანზე ჩამოაყენეს სასწრაფო მატარებელი დაირენიდან. უეცრად ავუგუნდნენ სადგურის მახლობლად სახერხი ქარხნის საყვირები, ავუგუნდნენ ორთქლმავლები. ჯერ კიდევ ჩამოუყენებელი მატარებლის მომლოდინე ხალხი ერთბაშად ბაქანს მიაწყდა, მიყარმოყრა მოსამსახურეები და იერიში მიიტანა სასწრაფო მატარებლის ჩაკეტილ ვაგონებზე. აფეთქების კვამლი თოფის წამლის ქარხანაში ცას სწვდებოდა და აბნელებდა მას. ოსუდა ვერ მიმხვდარიყო, რაში იყო საქმე. სადგურის მორიგე გაიქცა მეთორმეტე ლიანდაგისაკენ. რომ იქ ხალხისაგან მოშორებით თავი მოეყარა სამი საგანგებო დანიშნულების ვაგონისათვის დაირენისაკენ გასაგზავნად. საევაგონო პარკის წინ გაიარა სამოქალქო ტანისამოსში გამოწყობილი მღვდარე მგზავრების ჯგუფმა. მათ ირგვლივ ფუსფუსებდნენ მცველები, იქვე ეყარა მძიმე ფოლადის ყუთები. ეს ყუთები სალონ-ვაგონში შეჰქონდათ.

სქელი იაპონელი მიხაკისფერ ცილინდრში, რომელიც არავის ყურს არ უგდებდა და არავის არ მიმართავდა. გამუდმებით ჰკითხულობდა სივრცეში:

— გამოირკვა თუ არა, რაშია საქმე?

როდესაც ყუთები ვაგონში შეიტანეს, სირბილით გაატარეს პატიმარნი. ოსუდამ იცნო ერთ-ერთი მათგანი—პარტკომის მუშაკი, რომელიც გუშინ გაიცნო. პატიმრებს შემდეგ, თითქოს საბავშვო ეტლებიანო, გაატარეს ორი ტყვიამფრქვევი.

მიხაკისფერ ცილინდრიანმა კაცმა სიგარა გადააგდო და ხელი აიქნია. მორიგემ მემანქანეს ანიშნა წასულიყო.

ოსუდამ, იმის შიშით, რომ ხელიდან არ გაეშვა უკანასკნელი წუთები, უყოყმანოდ ამოიღო საცხები ზეთის ვედროდან ყუმბარა, სწრაფად მომართა მისი მექანიზმი და ვაგონის ლერძში ჩასდო. მექანიზმი, მგონი, ერთი საათის დროისათვის მომართა. შემდეგ ოსუდა დინჯად გადავიდა მეორე ლიანდაგზე და ახალი ყუმბარა მოურიდებლად, თავხედურად შესდო დიდი სამხედრო მატარებლის უკანასკნელი ვაგონის ქვეშ. გაფიცვა ყველგან აჯანყებულ გადადიოდა:

იწვოდა და გიზგიზებდა თოფის წამლის ქარხანა. საყოქსო

ქარხნის მუშები შლიდნენ მანქანებს და სადღაც მიჰქონდათ ნაწილები. ტელეგრაფი, რადიო, ფოსტა მუშების ხელში იყო.

გაფიცვა არავის არ უნდოდა. ყველა აჯანყებას მოითხოვდა. აჯანყება ნაკლებად საშიშ საქმედ ეჩვენებოდათ. მათ არ გააჩნდათ ის მკაცრი სიმტკიცე და ლოდინის უნარი, რაც ყოველ გაფიცვას წარმატებით აგვირგვინებს. „აჯანყება! აჯანყება!“—გაპყვიროდნენ ქუჩებში. ჯგუფ-ჯგუფად მიჰქროდნენ და მღეროდნენ ახალგაზრდები. ქალები რაღაც საქმელს ამზადებდნენ და წვრილი ხმით მღეროდნენ ძილის ნომგვრელ ლირიკულ მოტივებს.

ლაჩრები მთებში გარბოდნენ.

როდესაც ოსუდა შტაბში მივიდა, იქ გაცხარებული დისკუსია იყო—დაეწყოთ თუ არა აჯანყება.

მიამიტები ფიქრობდნენ: კიდევ გვაქვს დრო დაუბრუნდეთ მშვიდ, კარგად მოწყობილ გაფიცვას, საკმაოა მხოლოდ შტაბმა გარკვევით გამოსთქვას თავისი დამოკიდებულება მანევრისადმიო.

ჯერ კიდევ დილით ღრმა იატაკქვეშ მყოფ შტაბს ახლა მრავალი ათასი მუშა აწყდებოდა. ბევრი შეიარაღებული გამოცხადდა. იძულებულნი გახდნენ გამოექვეყნებინათ შტაბის წევრთა სიები, და ეს გამოქვეყნება არჩევნებად გადაიქცა, რადგან შეკრებილებმა ხელები ასწიეს და არაფრის გულისათვის აღარ უნდოდათ ძირს დაშვება. ასე იდგნენ მაღლა აწეული მუშტებით.

— დაუშვით ხელები!—ჰყვიროდნენ პარტკომის მდივნები.

შაგრამ შეკრებილთ მტკიცედ გადაეწყვიტათ, ძირს არ დაეშვათ თავიანთი დალურჯებულ-ჩაშავებული მუშტები. ისინი მოითხოვდნენ მოქმედებას, რადგან 1931 წლის მიხედვით იცოდნენ. თუ რას წარმოადგენს აჯანყება.

მაშინ პარტკომის მდივანმა დაიძახა:

-- ომი! მოემზადეთ ბრძოლისათვის!

შეკრებილებმა კმაყოფილებით შეჰყვირეს. ადამიანები მოვიდნენ, რომ რევოლუციისათვის შეეწირათ სიცოცხლეზე უფრო მეტი, და ეშინოდათ, ვაი თუ სიცოცხლის გარდა ვერაფრის მიცემა ვერ მოვახერხოთო.

სასწრაფოდ შეიმუშავეს საბრძოლო მოქმედების გეგმა.

ოსუდამ მოითხოვა, დაუყოვნებლივ დაძრულიყვნენ დაირენი-საქენ, სადაც ელოდებოდნენ ნავსადგურის მუშები და სადაც იაპონიის გარნიზონის საქმე შერყეული იყო. მან წინადადება შეიტანა: დაუყოვნებლივ აეყარათ დაირენისკენ მიმავალი რკინისგზის ლიანდაგი და დაეყენებინათ სამხედრო რაზმები ყოველი მიმართულებით ფუშუნიდან ოცი კილომეტრის მანძილზე.

— ჯერ კიდევ მოვასწრებთ ჩვენსა და დაირენს შორის კარგი ბარიკადების აგებას ბანკირთა სალონ-ვაგონებისაგან. მათ მატარებელში მე ყუმბარა ჩავდევი.

— თუ აგრეა, წადით ორთქლმავალთა პარკში და იქ მოუცადეთ ამხანაგ ოძუს, — სთქვა პარტკომის მდივანმა. — გზის მთელ შემადგენლობაში იაპონელები ირიცხებიან და თქვენთვის, ორი კაცი საათის ძნელი არ იქნება ყველა ამხანაგთან შეთანხმება. ოძუ თვითონ მემანქანეა და ამასთან ყოფილი ოფიცერი. მას ახლავე გამოგიგზავნით. ამრიგად, თქვენ იქნებით აღმოსავლეთის საბრძოლო უბნის სარდალი. ორი საათის შემდეგ გამოგიგზავნით ხალხს დაირენის მხრიდან თავის დასაცავად.

ოსულა ნადგურისაკენ გაეშურა. იგი ჯერ კიდევ მზეთავის ქუჩყიან ტანისამოსში იყო და ყველა გიბე ძენძით ჰქონდა გამოტენილი. ის შეეარდა მემანქანეთა დასასვენებელ ოთახში.

— ოძუ ხომ არ მოსულა?

მემანქანეებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მორიგეობდა, როდესაც მოვიდნენ და წაიყვანეს. განა თქვენ აქ არ ყოფილხართ?

— არა.

— სად იყავით?

— ქალაქში წავედი.

— ოჯახი გყავთ? — ჰკითხა ოსულას ერთმა გრძელულვაშებიანმა მოხუცმა მემანქანემ.

— არა, უცოლო ვარ.

— ასეთ დროს ამხანაგების გვერდით უნდა იყოთ. — შენიშნა მოხუცმა.

— მე შტაბის წევრი ვარ, — გაბეღულად განაცხადა ოსულამ. — პარტკომში მითხრეს, რომ ამ საათში ოძუ მოვა აქ და გაგაცნობთ

ჩემს თავს. დაუყოვნებლივ უნდა შეეწყვიტოთ მოძრაობა დაირენის მიმართულებით და შევეკრათ გზა.

— ოძუ არ მოვა, — მიუგო მოხუცმა მემანქანემ, — იგი დილითვე დაირენში წაიყვანეს, მატარებელი კი გზაში აფეთქდა. ასე რომ გზა ისედაც შეკრულია, ჩემო მეგობარო. იქნებ წამოჰყვეთ საავარიო შემადგენლობას: რაკი იქითკენ გინდათ წასვლა? — ჰკითხა მან, თან ამხანაგებს გადახედა და თვალი ჩაუკრა.

— კარგი. შტაბი იქ რაზმს გამოგზავნის.

— ძალიან კარგი. დაბრძანდით, ახლავე ჩავსხდებით ორთქლ-მაველში.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

— როგორ უყურებთ, ამხანაგებო; მოვლენებს? — ჰკითხა ოსუ-დამ. იგი ჩქარობდა გასცნობოდა მდგომარეობას.

მემანქანეები სდუმდნენ.

— ჩვენ ჯერ-ჯერობით ცოტა რამ ვიცით, — მკაცრად წარმოსთქვა მოხუცმა, — ვმოქმედობთ, როგორც სინდისი გვიკარნახებს. წავეიდეთ, — უთხრა მან ოსუდას.

სავარაო მატარებელი მაშინვე დაიძრა. ოსუდამ მხოლოდ ახლა მოისაზრა, რომ ტყუილ-უბრალოდ მიდის, რადგან აშკარა იყო, რომ მას ნაკლებად ენდობოდნენ და საჭირო იყო დაბრუნება. გასასვლელ ისართან გადახტომა გადასწყვიტა.

— შორს არის ის ადგილი, სადაც მატარებელი დაიმსხვრა? — ჰკითხა მან მემანქანეს.

— სადგურიდან საათნახევრის სავალ: მანძილზე, — მიუგო მან.

ოსუდა ძირს გადაეშვა. ყველაფერი ერთ წუთში მოხდა. იგი მოაჯირს მოექიდა და მოსზტდა, მაგრამ უეცრად იგრძნო ზურგიდან მკერდამდე გამსჭვალავი ცხელი ორთქლის ნაკადი და წვა ყელსა და მუცელში. მემანქანემ ხელი სტაცა ქეჩოში...

— ვიცოდი, — სთქვა მან, — კარგად ვიცოდი, რომ არამზა-და ხარ!

მან სწრაფად გაუსინჯა ოსუდას შარვალი და ქურთუკი, ამოუღო ჯიბიდან რევოლვერი და ორთქლმავლის კუთხეში დახვავებულ ქვანახშირზე მიაგლო.

— შენი ხსნა არ არის,—სთქვა მან. — მოვილაპარაკოთ, როგორც ადამიანებს შეშენის.

მატარებელი მარტო ცეცხლფარეშს მიჰყავდა.

— ვინა ხარ?—ჰკითხა მემანქანემ.

— ჩემი სახელი ოსუდაა, შენთვის იგი უცნობია. ჩამოვედი ჩრდილოეთიდან, თქვენი შტაბის წევრი ვარ.

— გეყოფა ყბედობა!

— თავი დავანებოთ დავას. ერთი რამ ჰქენი: აცნობე კომიტეტს, რაც მოხდა. ამაში დამნაშავე არავინაა. ჩემი სახელი ოსუდაა. დაიხსომე. ოსუდა. ოსუდა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. არ აურიო სახელი. კონსპირაცია გულახდილობას ვერ ითმენს, მაგრამ ჩემ სახელს ნუ დაივიწყებ. ამას მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. გაიმეორე.

— ოსუდა,—მორჩილად მიუგო მოხუცმა, წელში გასწორდა და დაუმატა:—ვეფიქრობ, კრილობა საშიში არ არის. ვაზნები ეს არის ახლა მოგვეს, ბავშვებივით სუფთა ვაზნები. გამაგრდი.

— მკერდზე ძენძი დამადევი,—უთხრა ოსუდამ,—ამოიღე ჩემი ჯიბეებიდან... აგრე. მაგრა მოუჭირე. უფრო მაგრა... მოუჭირე. მოუჭირე. კარგია, მაშ, მატარებელი აფეთქდა. აფეთქება უკანასკნელი ვაგონის ქვეშ მოხდა?

— ვინ გითხრა?

— ჩემი ნახელავია. ახლა რიგი სამხედრო მატარებელზეა, მეორე ლიანდაგზე რომ დგას.

უეცრად წამოიყვირა:

— შტაბმა რომ მაშველი რაზმი ამ მატარებლით გაგზავნოს?! ჰა? მათ შეუძლიანთ რაზმები ამ მატარებლით გადაგზავნონ. ბოლოდან მეოთხე ვაგონში ჩადებულა ნაღმი.

მოხუცი მთელი ძალ-ღონით ჩაეკიდა რეგულიატორს.

— ახლა მჯერა თქვენი, ამხანაგო ოსუდა,—სთქვა მან ფერწასულმა..

— ასე უნდა მოვიქცეთ,—სთქვა ოსუდამ და ოდნავ წამოიწია ცეცხლფარეშის დახმარებით:—ალბათ, გაივლის რომელიმე მატარებელი ფუშუნისაკენ. გადაეცი რომელიმე ნაცნობის პირით: პირველი—ოსუდა დაჰრილია, დეე სხვა გაგზავნონ, მეორე—გასინჯონ

მეორე ლიანდაგზე მდგომი მატარებელი, ის საშიშია, მესამე—გამოგიგზავნონ სამოქმედო დირექტივები...

— მესამეს შენ შეასრულებ, შენ მოგვცემ დირექტივებს, — უთხრა მემანქანემ. — ყველაფერს გადავცემ ჩვენებს, რასაც მიბრძანებ, მე აქ პარტორგი ვარ.

— სამქედლო შენი მატარებლით მოდის? საჭიროა ორი რელსის ბოლოების შემოქლონვა ჩანგლისებურად.

— გავაკეთებთ.

ისინი გაჩუმდნენ.

— ახლავე კრილობას შეგიხვევს ჩვენი ფერშალი. ნუ ლაპარაკობ. ნუ უპასუხებ კითხვებზე, — უთხრა შემდეგ მემანქანემ.

მატარებლის დამსხვრევის ადგილას გაცხოველებული გუფუნო იდგა. რკინიგზის ასეული ფუსფუსებდა დამსხვრეული ვაგონების ნაშთებში. ორთქლმავალი ყირამალა ეგდო მიწაზე და დროგამოშვებით ხენეშოდა თავისი დამტვრეული მილებით.

სანიტარებს დაქირილები აპყავდათ ღია ვაგონებზე და სისხლის შესაშრობად ქვიშიან საგებზე აწვენდნენ.

მისელისთანავე მემანქანემ ნაცნობ ფერშალს დაუძახა, და ოსუდას ფრთხილად შეუხვიეს კრილობა. მისი სიცოცხლე, ფერშალის დასკვნით, საფრთხეში იყო, ცნობიერება დიდი ხნით ეკარგებოდა. როდესაც ოსუდა გონს მოვიდა, მემანქანემ უთხრა:

— რელსები ჩანგლისებურად შემოქლონილია, ახლა რა გავაკეთოთ? მითხარი ყველაფერი, რაც გასაკეთებელია, რომ ვიცოდეთ.

სალამო მიიწურა, კიდევ რამდენიმე წუთი და ცის ბუნდოვანი შუქი ღამის წყვილიაღში შთაინთქება.

— სცადე იმის გაკეთება, რასაც გეტყვი, — ეუბნება ოსუდა და თან შესჩერებია ცას, უკანასკნელ სახილველს, რისი დანახვაც მას უწერია. — ჩანგლის ორივე თავისუფალი ბოლო ვაგონის ღერძზე მიამაგრე. ასეთი ღერძი აქ ბევრი ჰყრია. ღერძი ოდნავ გაათართოვე და ჩაარქვე ბორბლებით რელსებს შორის. გაიგე? მომეცი ფანქარი, გიჩვენებ.

მან აკანკალებული ხელით მოხაზა, თუ როგორ უნდა გაეკეთებინა.

— ეს ღერძი მიამაგრე დაირენიდან დაბრუნებული მატარებ-

ლის უკანა ვაგონს. იარაღი არის? როგორც კი ასეული მატარებელში მოთავსდება და დაიძვრის, სროლა ასტეხებ.

— რა გამოვა?

— ისინი მთელ გზას გადახნავენ. რელსები ამოვარდება ოღონდ საჭიროა მოსვენება არ მისცეთ, რათა არ შეჩერდნენ.

— გავაკეთებთ,—უთხრა მემანქანემ. — შენ იწევი. — და მოხუცი წავიდა განკარგულების გასაცემად.

ოსუდამ თვალი დახუჭა და სხეულის ბუნდოვან სიცხეში გაეხვია. ვინც სიკვდილის კარზე მდგარა, მან იცის, რა საწყენია მოგონებანი უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ. ადამიანს მთელი სიცოცხლე გაუტარებია როგორც პატარა, მოკრძალებულ არსებას,—და უეცრად სიკვდილის ჟამს იგებს, რომ ის არის ძლიერი გონება, უდიდესი ნებისყოფა, რომ მას ჰქონდა ათი კაცის ძალა, გიჟური მგზნებარება, გამირის სიმამაცე, და ყველაფერი, რითაც იგი ამაცობდა, მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ ნამდვილი სიცოცხლისა. რომელიც მას ჰქონდა მინიჭებული,—და მაშინ დიადი და მწუხარე აზრები იღვიძებენ მასში. იგი ცხადად ხედავს, სად გადაუხვია გამირულ გზიდან, სად დასუსტდა, სად შეშინდა, იგი ხედავს თავის თავს ისეთად, როგორიც იყო და როგორიც შეეძლო ყოფილიყო. ბედნიერია ის, ვინც ამ განცდის შემდეგ დასძლევს სიკვდილს. მას ველარაფერი ველარ შეაშინებს, ველარაფერი ველარ ააცდენს გზას.

— დავიგვიანეთ,—უფრში ჩასძახა მოხუცმა.

— რა? ვინ?

— დაიწყო ომი რუსებთან!—წამოიყვირა მოხუცმა და ყელში ხელი იტაცა:—ყველაფერმა დაიგვიანა!

მოხუცი ოსუდას მიუჯდა და ატირდა, თვალებიდან წვრილი და იშვიათი ბებრული ცრემლები სცვივოდა.

— მოხუცო, შენ ისეთი ამბავი მოიტანე,—სთქვა მუხლებზე წამომდგარმა ოსუდამ,—რომ ახლა სიკვდილიც შეიძლება. ეს ყველაზე დიდი ახალი ამბავია ჩემს სიცოცხლეში... ნუ სტირი—ახლა გავიმარჯვებთ. მატარებელი წავიდა? მიდის?.. მიაბი ლერძი, მიაბი. ასტეხეთ სროლა... ადექი და დაუყვირე ჯარისკაცებს: ომია—თქო. ადექ, დაუყვირე ყველას: ომია, ომია—თქო.

— დაუჩრდი ჩუმად! უკვე ვუამბე, ყველამ იცის,—არწმუნებ—

და მემანქანე ოსუდას, მაგრამ ოსუდა ძლიერი და მეტად ჯიუტი კაცი იყო, მას ადვილად ვერ დაიყოლიებდი.

მოხუცი ორთქლმავლიდან გადახტა და სიბნელეში გაიქცა. მის კვალდაკვალ ძირს ჩამოცოცდა ოსუდაც. ტკივილისაგან იგი ძენძს ლექავდა, ხან გადმოაფურთხებდა, ხან ისევ პირში იღებდა. თვალები ვერაფერს ვერ არჩევდნენ, რადგან სისუსტისაგან უბნელდებოდა. მიდიოდა სასიკვდილოდ და ყველაფერი ხელს უშლიდა ამ მძიმე გზაზე. ძირს ეყარა გვამები—იგი ფეხით ჰქელავდა. ტკაცუნნი გაჰქონდა ნაფოტს—იგი შორს ისროდა ფეხით.

გადიტანე აჯანყება, იწამე ამზანაგები, თვალი გაუსწორე მომავალს—და გაიგებ. რომ ქვეყნად არაფერია ბრძოლაზე უფრო სასიხარულო.

გადიტანე აჯანყება და ახლადშობილივით მაგარი გახდები; და თუ გაიმარჯვებ—არასოდეს არ გაექცე ბედნიერებას; თუ დამარცხდები—ისწავლი სიძულილს; ხოლო თუ დაილუპები—უკვდავყოფ შენს სახელს.

მაგრამ ოსუდას სიკვდილი არ უნდოდა. ის მიწას ღრღნიდა და ძენძით სწმენდა ხელში მოხვედრილ რკინის განძელს, რადგან ველარ გაეგო, სად სტკიოდა—აქ, მკერდში, თუ იქ, მბრწყინავ ქანჩში, აგერ ახლოს რომ ეგდო.

ხოლო ფუშუნიდან მოჰქროდა მატარებელი მუშათა რაზმით.

მატარებლის დამსხვრევის ადგილას გაისმოდა ტყვიის მწვევე ზუზუნი.

ფუშუნი ხელს ჰკიდებდა თავდაცვას.

სწორედ იმ დროს, როდესაც ცოცხალ-მკვდარი ოსუდა რკინის გზის ყრილზე ეგდო, ჩენი „სიმამაცის მოყვარულთა საზოგადოების“ რაზმით აჯანყებას აჯანყებაზე აწყობდა გირინის შორეულ მაზრებში.

ცნობა, რომ იაპონიამ ომი დაიწყო საბჭოების წინააღმდეგ. უკანასკნელი ახალი ამბავი, გაგონილი სულთმობრძავ ოსუდას მიერ, ტყუილი გამოდგა: იაპონელები დღითი-დღე სდებდნენ სამხარი მოქმედების დაწყებას. მინამი შეუპოვრად ჰკრებდა ახალ ძალებს. იაპონიის ზღვის ნაპირიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისა და

ჩრდილოეთისაკენ თითქმის განუწყვეტლივ მიეშურებოდნენ სამხედრო მატარებლები. ისინი გზაზე აწყდებოდნენ აჯანყებებს, ზურგში მათ მოსვენებას არ აძლევდნენ ამბოხებები და დივერსიები, იწვოდა ფუშუნი, მისი ქარხნები დაუტყრებელი იყო. გაფიცული იყო სანავსადგურო ქალაქი დაირენი, სუნგარზე იძირებოდნენ გემები, აფეთქებდნენ გვირაბებს, — და დეკემბერში იაპონიის დივიზიებმა ზურგი იბრუნეს ჩრდილოეთისაკენ და მთელი ძალ-ღონით შეუტიეს მანჯურიის მეამბოხეებს. სოფლები ჰქრებოდნენ მიწის პირიდან, ქალაქები გარბოდნენ. ასეთი სიმკაცრე, ძველ რომსაც არ გამოუჩენია, და თქმულება პალესტინის მოსრა-განადგურების შესახებ ცოცხლდებოდა ხარბინისა და ბირინის სისხლიან ამბებში.

მინამიმ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ჩინელებს აეკრძალათ რკინისგზით მგზავრობა, — და მოსახლეობამ თავი მიანება მატარებლებს და იწყო ქვეითად ჭიარული. მეორე ბრძანებით მინამიმ აკრძალა მაზრიდან მაზრაში გადასვლა, და მაზრებში ჩასულებს სჯიდნენ როგორც მაწანწალებს, ჯაშუშებს და სამშობლოს მოღალატეებს. მაშინ მანჯურია ჩაიკეტა თავის ფანზებში და დევნილი ნადირივით მოემზადა სასიკვდილო ნახტომისათვის. ეს იყო ხსნის უკანასკნელი საშუალება.

იაპონიის არმიები იდგნენ მანჯურიის შუაგულისაკენ პირშებრუნებულნი. მანჯურია გაიბრინდა მათი ხიშტების წინაშე. დეკემბერში პოლკებმა ნელ-ნელა განაახლეს გზა ჩრდილოეთისაკენ, საბჭოთა კავშირის საზღვრებისაკენ. მყისვე მათ უკან პარტიზანები გაჩნდნენ. დივიზიებმა კვლავ იბრუნეს პირი.

ტანი ფიქრობდა, რომ ახლა მინამი შემოდგომამდე აღარ დაიწყებდა გადამწყვეტ მოქმედებას, მაგრამ ჩენი არ დაეთანხმა და ადვილად დაარწმუნა იგი წინააღმდეგში.

— ანტიიაპონიის ფრონტი დიდად დაზიანდა, — ეუბნებოდა იგი ტანს. — ქვეყანა ტერორიზებულია, იაპონელები უეჭველად გამოიყენებენ შესვენებას წითლებზე შესატყეად. ორი-სამი ახალი გამარჯვება ფრონტზე გამოასწორებს მათ მდგომარეობას. — ამიტომ ჩენი საჭიროდ სთვლიდა არ მიეცათ მოსვენება იაპონიის არმიისათვის, კვალდაკვალ დასდევნებოდნენ მას ჩრდილოეთისაკენ, და იგი სწერდა ამხანაგ ჩუ შან-ხაოს, კორეელთა არმიის სარდალს, მოსვენებას

ნუ მისცემ იაპონელებს საბჭოთა პრიმორიეს საზღვრებზეო. ჩუ შან-ხაო პასუხს აგვიანებდა, და ახლა ჩრდილოეთისაკენ ტანის მტკიცე დირექტივებით ლუზა მიდიოდა. მისი წასვლის დღეს მე-ლერისაგან ცნობა მოვიდა შანხაიდან: ოსულდა ცოცხალია და შინ. იაპონიაში, გავგზავნეთ, როგორც რკინისგზელი, ნოვალეობის შესრულების დროს დაშავებულიო. ეს კარგი ამბავი იყო მელერი. კიდევ იწერებოდა, რომ შანხაიში ყველაზე მეტად შეშფოთებულნი არიან იუ-შანის რაზმის მოქმედებით, დამზღვევი საზოგადოებები პანიკამ მოიცვაო.

„ომი ფრიად რთულ ამოცანებს გვისახავს,—იწერებოდა მელერი. — არმიის სარდლის შტაბი საგეგმო ეკონომიურ განყოფილებას უნდა წარმოადგენდეს. თუ შექმნილია სადივერსიო არმია, მან უნდა მოიცვას მოწინააღმდეგის ყველა ეკონომიური ბაზა, და რაც უფრო შორს იქნება ეს ბაზები ფრონტიდან, მით უფრო ახლოს იქნებიან ისინი ფრონტთან. სადივერსიო არმიამ უნდა იმოქმედოს ყველა საკვანძო პუნქტში, ზუსტად უნდა აირჩიოს თავისი მოქმედების ობიექტები. დეე იუ-შანმა უმეთაუროს შანხაის სადივერსიო კვანძსაც, და, დღეს თუ არა, ხვალ იგი ხელში ჩაიგდებს სადივერსიო კვანძებს თვით იაპონიაში, მალაის არქიპელაგზე და სიამში“.

ტანმა წაიკითხა წერილი და ამოიოხრა.

— როგორც სჩანს, მოხუცი მელერი მართალია, მაგრამ ჩვენ ახლა არ ძალგვიძს ხელში ჩავიგდოთ ის, რაც ხვალ თავის-თავად ჩაგვივარდება ხელში.

ლუზა-და ჩუ შან-ხაო ერთმანეთს შეხედნენ ხოირენს იქით მდებარე ტყეში. კორეელთა არმიის სარდალი ზანტად ეთანხმებოდა ლუზას საბუთებს. მან უხალისოდ მიიღო იაპონელთა სასაზღვრო კორდონებზე შეტევის გეგმა.

— ჯერ უნდა აგიტაცია გავწიოთ,—ჩაფიქრებით სთქვა მან. — უმჯობესია აგიტაცია გავუწიოთ იაპონელებს, ვიდრე შევეუტოოთ. მათ ჰყავთ ხალხი, რომელიც ჩვენ მოგვემხრობა. თუ მოვუწოდებთ. ხოლო თუ შევეუტევთ, დავაფრთხოთ.

— ვინა გყავს?—ჰკითხა ლუზამ.

— მყავს ერთი ოფიცერი. დიდი კაცია. აი, ნახავ, თუ ის ჩემთან გადმოვიყვანე, ყველა ჯარისკაცი წამოჰყვება.

— გამაცანი, — სთხოვა ლუზამ. იგი შეშფოთებული უგდებდა ყურს კორეელთა არმიის სარდლის ნაამბობს.

— შეიძლება. ვუბრძანე, გათენებისას აქ იყოს.

— მან იცის თავდასხმის გეგმა?

— იცის. მას თავისი დამატება აქვს.

შუალამისას ლუზას გამოელვიდა სევდისა და მოუსვენრობისაგან. ქალაღის თხელი კედლის მეორე მხრიდან, არმიის სარდლის ოთახიდან, მოისმოდა დაბალი ხმით ლაპარაკი. ეტყობოდა, იაპონელი უკვე მოსულიყო და მოხსენებას უკეთებდა. ლუზამ ყური დაუგდო.

ძალიან ნაცნობი ხმა იყო.

— კომინტერნმა არ მოიწონა იაპონელთა 1926 წლის აჯანყება, — ამბობდა იაპონელი. — ენგელსი გაგიგონია? ენგელსი ამბობდა: აჯანყებასთან ხუმრობა არ შეიძლებაო, ლენინმა კი... ხომ გაგიგონია, ვინ არის ლენინი?.. დაადასტურა და განავითარა ეს აზრი.

ლუზა თვალთ მიეკრა ნახვრეტს ქალაღის კედელში და დაინახა: კაპიტანი იაკუიამა ზის ჩუ შან-ხაოს წინ, ეს უკანასკნელი კი ჩაფიქრებული უგდებს ყურს მის არეულ ლაპარაკს და მოწონების ნიშნად თავს უქნევს.

— უფროსი ამხანაგის ტანის ბრძანებაა, — ლულულულებდა იგი ხანდახან.

— კორეისათვის პასუხს აგებს არა უფროსი ამხანაგი ტანი, არამედ ჩვენ, — სწრაფად და მგზნებარედ ეუბნებოდა იაპონელი. — შეიძლება სავალალო ამბავი მოხდეს, დაგვამარცხონ, გაგვფანტონ. მაშინ მოვა მხიარული ამხანაგი ჩენი, უცხო კაცი, კანტონელი... რუსს სძინავს? — ჰკითხა გაკვრით მან.

ჩუ შან-ხაომ თავი დაუქნია.

— ამ უფროს ამხანაგებს სიჩქარე სჩვევიათ, — სთქვა იაპონელმა, — მაგრამ ჩვენ...

ლუზამ ხელი ჰკრა ქალაღის ტიხრს.

კაპიტანი იაკუიამა კილოზიდან წამოხტა.

-- ვიცი!—ლიმილით წამოიძახა მან და სწრაფად რევოლვერი ამოიღო. — ვიცი!

ორივემ ერთდროულად გაისროლა. მაშინვე გაისმა ხმაური კარებთან და ხუთი თუ ექვსი კაცი ფანჯაში შეეარდა. მათ დაიწყეს სროლა მარჯვნივ და მარცხნივ.

ლუზას ეჩვენა, თითქოს ყველა ტყვია მას ხედებოდა. თვალს უბნელებდა მწვავე კვამლი. იგი ფანჯარას მიეარდა, ეზოში გადახტა და სროლით მდინარისაკენ გაიქცა. ეს იყო სულ, რაც მან გაიხსენა საავადმყოფოში წოლის დროს. მისი მეხსიერება შემდეგში ვერაფრით ვერ ახერხებდა მომხდარი ამბის აღდგენას და იმის ახსნას, თუ როგორ მოხვდა იგი, სულთმობრძაძე, საბჭოთა საზღვარზე.

იმ ამბავი, რომ მან მოჰკლა კორეელთა არმიის სარდალი, ლუზამ პირველად გაიგონა შუან-შენისაგან ვლადივოსტოკში. ასეთ ხმას აერცვლებდნენ კორეელ პარტიზანთა შორის, მაგრამ ლუზა გრძნობდა, რომ ეს არ მომხდარა. მან იცოდა, რომ მოჰკლა მხოლოდ იაკუიამა.

რ ე კ ე მ ბ ე რ ი

50-გრაფიისაიანი ყინვში იდგა, მაგრამ თხხასი თვითმფრინავი აღმოსავლეთისაკენ მიჰქნოდა.

მფრინავი სევასტიანოვი უკანასკნელ რეისს აკეთებდა ჩრდილოეთისაკენ. ამ ხაზზე მუშაობას იწყებდა ყენია ტარასენკოვა. სევასტიანოვი შევიდა მასთან გამოსათხოვებლად. იგი ფანჯარასთან იდგა და გაჰყურებდა ქალაქს—ყოფილ 214-ე მშენებლობას.

— აი აქ იყო ტყე, — ამბობდა ის, — იქ ჭაობები. როგორ და საიდან გაჩნდა ის მოედანი, არ ვიცი. სასაცილოა, როცა ქუჩები ჩნდება. ასეთ რამეს ჯერ კიდევ ნახავ 221-ე მშენებლობაზე. იქ

ქალაქი ახლახან წარმოიშვა. ძუძუმწოვარ ბავშვსა ჰგავს, ხელის გულივით მოსჩანს. აი აქ, სადაც ახლა უნივერსალია, განსვენებული შოტმანი ცხოვრობდა. აქვე გარდაიცვალა. ძეგლი დაუდგეს. შემდეგ ეს ძეგლი შუაქუჩაში აღმოჩნდა. იქ, სადაც რკინისგზის სადგურია, ჭაობი იყო. საშინელი ჭაობი. ერთხელ, მახსოვს, იქ დათვი იხრჩობოდა, ორ დღე-ღამეს ღრიალებდა, ძილს გვიფრთხობდა... დიად, ახლა ფრენა სასიამოვნოა,—დაუმატა მან.— ირგვლივ სიცოცხლე სჩქეფს. ტბაზე ნამდვილი სოჩა გააშენეს. კურორტია. უდიდესი ტბაა, საუცხოვო.

ყენიას ჩითის ხალათი ეცვა. იგი საფრენოსნო კომბინეზონის სარტყელს ჰკერავდა.

სევასტიანოვმა ჩექმები დააბაკუნა იატაკზე.

—სკოლაშიაც ხალათი გეცვა?—ჰკითხა მან და თვალი მოქუტა.

— არა, განა არ გახსოვს? რატომ მეკითხები?

— აღარ მახსოვს. სხვანაირი შეხედულება გაქვს. ვილაცის ცოლს ჰგეხბარ.

— არ გესიამოვნება?

— უნდა გამოგიტყდე, რომ არა. რამდენი წლისა ხარ?

— ოცდასამისა. რატომ მეკითხები?

— შთაბეჭდილება იკარგება, როდესაც ხალათში ხარ.

— სისულელეა. მერე რა?

— ფრენკელი შენი ქმარია?

— არა. რატომ მეკითხები?

— სხვა დროს იყოს. ჰო-და, იფრინე. ბავშვური ტრასაა. სულ ოთხი საათის სავალია. თუ ნახო ვინმე ოლიმპიადა—ახლა ის რადისტ ჟორკას ცოლია—დიდი მოკითხვა გადაეცი. პოლუხრუსტოვი, ყოფილი პროკურორი. იგი ახლა ოქროს ეძებს შოტმანის მაგივრად, სახეში იქონიე, კარგი კაცია. კამჩატკაზე დაუკავშირდი ფეოდოროვიჩს. თუ რამე მოგიხდეს, მას მიმართე. ოქრო კაცია. ამურის ნიკოლაევსკში შენი შეფი ზუევი იქნება, პარტიზანი. თუ გაგიჭირდეს, ძებნას ნურავის დაუწყებ, პირდაპირ მასთან მიდი.

ყენიამ თავი ასწია.

— ჟორკასთან დიდი ხანია არ გილაპარაკენია? — ჰკითხა მან. — არ იცი, როგორია შესახედავად.

— ჟორკას არავინ არ იცნობს. ცხოვრობს ტაიგაში უჩინრად. ერთი კვირის წინათ ველაპარაკე. რატომ ჰკითხულობ?

— უთხარი, ეენია ტარასენკოვა ტაიგაში დაბრუნდა-თქო.

— შენზე ბევრია გაჯავრებული. ტაიგის ყველა უცოლო გემუჭრება. ჰო, — გაასხენდა: — როდესაც ორას ოცდა მეთე მშენებლობისკენ გაფრინდები, არ შესცდე: მის გვერდით, სამოცდაათი კილომეტრის მანძილზე, არის მეორე მსგავსი მშენებლობა — ორას სამოცდა მეთექვსმეტე. ორივე ქალაქია. დაიხსომე, ორას ოცდამეთე მშენებლობის ირგვლივ გორაკებია, რომელთაც ჩაღრმავებული თავები აქვთ. ამ ჩაღრმავებულებში ყვითელი წყალია, ორას სამოცდამეთექვსმეტე მშენებლობის ირგვლივ კი გორაკების ჩაღრმავებულებში ზღვასავით ლურჯი წყალია.

— ვითომ რაო, ჩემს გარდა ქალიშვილები არ არიან? — სთქვა ეენიამ და გაწითლდა.

— ქალიშვილი სხვადასხვა ტიპისაა, — გაურკვეველად და ხვნე-შით წარმოსთქვა სევასტიანოვმა.

— გამიგონე, სევასტიანოვ, უკვე ორი წელიწადია, რაც წასული ვარ. ნუ თუ ტაიგას ვახსოვარ, არ დავეციწყებოვარ?

— მოხუცები ამბობენ — მტკიცე სიყვარული მხოლოდ მესამე წელიწადს იფურჩქნებაო. შენ კი, ეენია, კიდევ ხუთი წელიწადი დაგკირდება პატიების მისაღებად. როდესაც მოხუცდებიან, მხოლოდ მაშინ გაპატიებენ.

— ოო, როგორ მინდა ტაიგაში ვიყო, სევასტიანოვ, რა გულით მინდა, — სთქვა ეენიამ თვალების ხამხამით.

სევასტიანოვი წამოდგა.

— სამწუხაროა, რომ სხვადასხვა ტრასა გვაქვს. შე შენთან, ეენია... ეჰ, აღარას ვიტყვი.

კარებიდან ხელი დაუქნია და საჩქაროდ გავიდა.

ეენიამ ფანჯარასთან მიიჩინა. სევასტიანოვი ქუჩაში იდგა და თავის ფეხებს დასჩერებოდა. ქუჩაში დაქროდნენ ტაიგის სუნით გაჟღერებული ავტომობილები, მიხონავდნენ მოძრავი ელექტროსადგურები, მირახრახებდნენ ეტლები, მიდიოდნენ ერთად შეჯგუ-

ვული მუშები. ქალაქ გარეთ, ლურჯ ცაზე გამოჩნდა შავი წერტილები: მალა მიჰქროდნენ ესკადრილები.

— სევასტიანოვ!— დაიყვირა ეენიამ და ფანჯარაზე გადაიხარა. — სევასტიანოვ, ალიოშა!— მისი ხმა მყისვე შთაინთქა ქუჩის ხმაურში. — ალიოშა, ჩემო ძვირფასო!— დაიყვირა მან ერთხელ კიდევ. — ხელი წაჰკარით მაგ მფრინავს, მალალს, მოახედეთ!— უყვიროდა იგი ძირს მგზავრებს, მაგრამ მისი ხმა არავის ესმოდა.

მხოლოდ მილიციონერმა, რომელიც ქუჩას გაჰყურებდა, შეხედა და თავი გააქნია.

ენია ფანჯარას მოშორდა. ხალათი გახსნოდა. მოყვითალო დაკერებული პერანგი მხრებიდან ჩასცურებოდა.

— საჭირო არ არის აღელვება, — უთხრა მან თავის თავს. — კიდევ შევხვდებით. ჩემი აღელვება არ შეიძლება, არავითარ შემთხვევაში. — პერანგი გაისწორა და თვალი შეავლო თავის მაგარ, მკვრივ სხეულს. — ჩვენ ფორმა არ უნდა დავკარგოთ, თორემ მყისვე გაგვაძევენ ავიაციიდან.

დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ლუზა გამოეწერა ვლადივოსტოკის კლინიკიდან და წავიდა შინ, საზღვარზე. თავი ჯერ კიდევ შეხვეული ჰქონდა და სიარულის დროს ცოლის მხარს ეყრდნობოდა. გადასწყვიტა მანქანით წასულიყო ვოროშილოვამდე, გზატკეცილით. ეს გზატკეცილი ახალი გაყვანილი იყო უსურჩის გორაკებს შორის. მაგრამ სწორედ წასვლის წინ პოლუხრუსტოვმა დაიქირა და სამ დღეს ქალაქში და ქარხნებში დაატარებდა. ერთი დღე-ღამე დასჭირდა რუსული კუნძულის დათვალიერებას. სროლა მიმდინარეობდა და ბატარეებთან შტაბის დიდძალი ხალხი ტრიალებდა.

ლუზას თავგადასავალი აწერილი იყო გაზეთებში. მისი ტანჯვა-წამების ამბავს წრეებში კითხულობდნენ. მისი სურათები მოთავსებული იყო კედლის გაზეთებში. „გამარჯობა, ამხანაგო ლუზა!“ — უყვიროდნენ უცნობი პირები. „გილოცავთ კეთილად დაბრუნებას, ვასილ პიმენოვიჩ!“ — ეუბნებოდნენ ნაცნობები.

შემდეგ ლუზა წაიყვანეს „ხუტორებში“, როგორც აქ უბრალოდ უწოდებდნენ ბატარეებს, და ვოროშილოვის ხუტორში მუ-

რაბიანი ჩაი დააღვინეს, ხოლო ჩაის შემდეგ გააძვრინეს ვიწრო ხვრელში, რომელიც ფოლადის ფარებით იბურებოდა, ჩაარბენინეს ოთხი თუ ხუთი სართული მიწის ქვეშ და ჩაიყვანეს ფოლადის და ელექტრონის მეურნეობაში. ამ მეურნეობას შეეძლო ორი კვირა ეცხოვრა და ეფხიზონა ჰაერზე ამოუსვლელად.

თეთრხალათიანმა მზარეულმა სადილი მიუტანა გასასინჯად, ხოლო რადისტმა სწრაფად მოსძებნა ეთერში შანხაის რუმბა.

აქ ჰქონდათ საკუთარი ელექტროსადგური, საკუთარი რადიო, საკუთარი ქიმდევანტორი¹⁾, საავადმყოფო, წითელი კუთხე და საწოლი ოთახები.

— ერთბაშად ყველაფერს ვერ დაათვალიერებ, სხვა დროს მოვალ.

— მოდი, როდესაც მოისურვებ. აქ გვენახავ ყოველთვის, ცოცხლებს ან მკვდრებს.

ვოროშილოვში იმ დამესვე შეიძლებოდა წასვლა, მაგრამ ლუზამ გათენებას დაუცადა. ქალაქი გზატკეცილს მისდევდა და ამურის ყურის სიღრმეში იჭრებოდა. გზატკეცილს იქით გაშლილ ტაიგიდან გამოიყურებოდნენ მუშათა ბარაკები, შორეულ გორაკებს იქით ხრიალებდნენ სახერხი ქარხნები: რაზდოლონოეში მანქანას შეეგება დივიზიის მეთაური გოლიკოვი. ლუზას ერთი დღე მასთან სტუმრად დარჩენა მოუხდა. როდესაც შევიდნენ ქალაქ ვოროშილოვში, როგორც ახლა უსურიის ნიკოლსკს უწოდებდნენ, ახალგაზრდა, მხიარული წითელარმიელი მანქანის საფეხურზე შეხტა და შოფერს უბრძანა, გარნიზონის უფროსის სახლისაკენ წასულიყო. გზაჯვარედინებზე იდგნენ კავშირგაბმულობის წითელარმიელები წითელი და ლურჯი ალმებით.

— ის არ არის, ის, რაც საჭიროა! მაგრამ როდის მოასწრეს... ბუზღუნებდა ლუზა.

ვინოკუროვთან ერთი დღე-ღამე დაჰყო. დილის შვიდ საათზე შინამოსამსახურემ პატეფონი მომართა და სამხედრო მარში დაუკრა.

¹⁾ ქიმდევანტორი—ადგილი, სადაც უვნებელყოფენ მომწამლავ გახეხს, როდესაც იგი სწამლავს წყალს, ჰაერს და სხვას.

— გაიღვიძეთ!—მრისხანე ხმით დაიყვირა მან.

ერთი წუთის შემდეგ დასაძინებელ ოთახიდან უზარმაზარი ნახტომით გამოვარდა თვითონ ვინოკუროვი. უპერანგო იყო, მარტო რეიტუზებში. შიშველი ფეხები ჩუსტებში გაეყო. ეზოში ელოდებოდნენ ამგვარადვე საცვლებს ამარა მდივანი და შტაბის უფროსი.

სამივენი იდაყვმოხრილნი სირბილს შეუდგნენ—გარს უვლიდნენ სახლს და სიცივისაგან უსტვენდნენ.

შინამოსამსახურემ სუფრა გააწყო. ნადეჟდასთან ერთად ლუზამ ექვსი ფინჯანი ჩაის დალევა მოასწრო, სანამ ვინოკუროვი შევიდოდა. ვინოკუროვმა უსიტყვოდ ოთხი ნახტომით აირბინა მეორე სართულში მიმავალი კიბე, შევარდა საწოლ ოთახში და ცირკის პრესტიდიჟიტატორივით¹⁾ მყისვე დაბრუნდა ფორმაში გამოწყობილი.

— სკამეთ, სვით,—სტქვა მან,—მე კი ცხენს უნდა მოვახტე.

დაბრუნდა შინ გვიან ღამე. თან ახლდა კომისარი შერშაინი.

— აბა, ფენიმორ კუპერ²⁾, მოჰყევი შენს თავგადასავალს, — დაიყვირა მან კარებში.

ამბის გადაცემის შემდეგ ლუზას კითხვები მიაყარეს.

— რას აკეთებდი იქ, მეგობარო?—ეკითხებოდა ვინოკუროვი, როდესაც ლუზა ველარ უპასუხებდა და მხრებს იჩეჩებდა.

— ასეთი მივლინება ჰქონდა...

— რის მივლინება, მომიტაცეს...

— რა განსხვავებაა? დღიურებს მოგცემ და მივლინება გამოვა. როგორ არის ნაკამურა?—ჰკითხა მან იაპონიის იმ არმიის სარდალზე, რომელიც გაღმა, საზღვარზე იყო დაბანაკებული. — გამოკეთდა თუ არა? რას ამბობენ? ღვიძლი სტკივა, — განუმარტა მან ლუზას. — ალბათ, გადადგება. დროა. სამოცი წლის მოხუცია.

— გეცოდება?—ჰკითხა ლუზამ.

— რა შესაცოდებელია—მხარებს. ფრთხილი გენერალია, გა-

1) პრესტიდიჟიტატორი — ფრუჟიულის ოსტრი, რომელიც თავის ნაზრებს ასრულებს სწრაფი მოძრაობისა და სიმჩვენი სწრაფობით.

2) ფენიმორ კუპერი (1789—1851) ჩრდილოეთ-ამერიკელი მწერალი.

მოცდილი, მასთან ძნელი იქნება ბრძოლა. თუ ის წავიდა, ალბათ, ხასეგავას დანიშნავენ. კარგად ვიცნობ—დაუდევარია. ბრძოლაში ისეთია, როგორც როქო გაზაფხულზე, ყრულა, არაფერი არ ესმის. მეორე ხარისხის არაკია.

ვინოკუროვი დიდხანს იგონებდა გენერლებსა და პოლკოვნიკებს, ეკითხებოდა ლუზას იაპონელ ჯარისკაცებზე, ხოლო ოსუდას სახელი წიგნაკში ჩაიწერა.

— დაილუპა?—ჰკითხა.

— ცოცხალია. ფუშუნმა სამი კვირა გასძლო. ოსუდა წაიყვანეს, მაგრამ სად არის, არ ვიცი.

— გვიამბე პარტიზანებზე. ვინ გამოიჩინა?—ჰკითხა შერშავინმა.

ლუზამ უამბო პატარა იუს თავგადასავალი, იმ იუსი, რომელიც ოდესღაც ხელიდან გაუშვეს იაპონელებმა მდინარეზე, მის კოლმეურნეობასთან. უამბო ჩენის, უყუროს და კიდევ მრავალი სხვა პირის შესახებ, რომელთა სახელები აღარ ახსოვდა.

— თუ ყველაფერი ისეა, როგორც შენ ამბობ, მაშინ უკვე დაწყებულა, — სთქვა შერშავინმა. — ზოგი ომში იხოცება, ზოგს ომი ადამიანებად ხდის. როდესაც თავს დაატყდებათ მთელი ჩინეთი და კორეია—დეე ნახონ, რა დაემართებათ. არის ანდაზა, — დაუმატა მან, — რომ ჩინეთი ქვიშის მთააო. ქვიშის ყოველი მარცვალე მაგარია, მაგრამ ყველანი ერთად არარაობას წარმოადგენენ. იაპონია კი, ამბობენ, თიხაა, უპიროვნო, მაგრამ მაგარი. ჰო—და ჩვენც ჩინეთს თიხად გადავაქცევთ, ვასილ პიმენოვიჩ.

ორი დღის შემდეგ ლუზა თავის კოლმეურნეობისაკენ გაემართა.

კოლმეურნეობები იწყებოდნენ ქალაქის ბოლოშივე და ჯაჭვის მსგავსად გაჭიმულიყვნენ გეორგიევკამდე.

ლუზასთან ერთად მიმავალი შერშავინი განმარტებას იძლეოდა:

— აი იქ ახლა უკვე ორი კოლმეურნეობაა, — ამბობდა ის. — აქ კიდევ ერთი, იქ კი, მთის გადაღმა, ვგეგმავთ რაღაც საბჭოთა მეურნეობის მსგავსს.

კოლმეურნეობები სწრაფად და კარგად მოწყობილიყვნენ

საზღვარზე. ჰორიზონტზე, გზატკეცილის მარჯვნივ და მარცხნივ, განუწყვეტლივ ბრწყინავდნენ მაგრად ნაგები სასილოსე კოშკები. მინდვრებში, ფარდულებქვეშ, ეწყო საწვავის რკინის კასრები, ბეტონსარეველები და მძაფრი, თითქოს თბილი სუნით გაჟღენთილი, რალაც ნახარშით სავსე უზარმაზარი ქვებები. თივის ზეინები შორიდან ანგარებს ჰვეანდნენ, ისე ფართოდ და გრძლად გაჭიმულიყვნენ ისინი.

„რაც საჭიროა, ის მაინც არ არის, მაინც არ არის“,—ფიქრობდა ლუზა, რომელიც გაკვირვებით და ეჭვით იცქირებოდა ირგვლივ. რა პატარად ეჩვენებოდა ახლა დაბლობები და რა სივიწროვე იყო ახლა წინა ხაზზე, სადაც ძველად უდაბური და ველური მყუდროება ბატონობდა.

დიდხანს აკვირდებოდა ლუზა მიდამოებს, მაგრამ ვერსად ველარ ხედავდა ობლად მიტოვებულ მინდვრებს. ყველგან, ხან აქ, ხან იქ, დაბლობის კიდურებზე, როგორც ფხიზელი მწყემსი, ჰაერში აწვდილიყო ელექტროსადგურის, წისქვილისა თუ მექანიკური სახელოსნოს კვამლი. თოვლიან მინდვრებში ხმამაღლა გაჰკიოდნენ საველე ბანაკებთან შემოდგომიდან მივიწყებული რადიო-საყვირები. შემზარავი იყო ვიოლინოს წერილი ხმის ან ქალის სიმღერის გაგონება მიყრუებულ ქარიან ღამეში, როდესაც მშვიერი მგლები ღმუიან.

ლუზამ გადასწყვიტა არ შესულიყო გიორგიევკაში, მაგრამ კომისარმა დაიყოლია.

— ას მანეთს ვდებ სანაძლეოს,—სთქვა მან,—თუ წინა ხაზს მიაღწევ. ჩვენ აქ, ძმაო, გავამრავლეთ ძაღლები, გავაბით ეკლიანი მავთულები, დავდგით ფოტო-რელები¹⁾.

— ადრეა ჩემი მკვდრად ჩათვლა,—უპასუხა ლუზამ.

— მკვდარი უფრო ადვილად გავა, ვიდრე შენ.

ღამე იყო, როდესაც გუშაგების მიერ განაწამებმა „25 ოქტომბრის“ მინდვრებს მიაღწიეს.

— არ გინდა წერტი დაათვალიერო?—ჰკითხა შერშაეინმა.— შენ ხომ ვერ მოუსწარი მშენებლობის დამთავრებას?

1) ფოტო-რელე—მომობ-გაზამიში სადკური; რადიოკადანეცემი სადგურების გამაჩლიერებლის როლს ასრულებს.

— წამიყვანე.

კოლმეურნეობა სადღაც იქვე გვერდით იყო. მათ ნათლად, თითქმის გარკვევით ესმოდათ ხმები.

ბუჩქნარებში გაყვანილი ბილიკით ისინი გადასცდნენ გზატკეცილს, ჩავიდნენ ვიწრო ჩუვში და ჩუმად აცოცდნენ გორაკზე.

— შესდექ! დაწექ!—ჩუმად ჩასძახა მათ ლამემ.

ისინი გაწვენენ.

გუშაგი ნელა და ფრთხილად მოფოფხავდა მათთან. გუშაგის უკან ჩუმად მოფოფხავდა აღზნებული ძაღლი.

— საშვები...

— ეე, ეს ხომ ჩემი ბანზაია, ძაღლიშვილი!—სთქვა ლუზამ.— უყურეთ ერთი ამ არამზადას!

ბანზაი, რომელიც მთქნარებით იკლავდა ყუფის სურვილს, ფეხზე მიეკრა ლუზას და გაირინდა. თათები უკანკალებდა, კბილები დაეკრიჭა, მაგრამ კრინტიც კი არ დაუძრავს და ჩუმად გაქრა გუშაგთან ერთად, ისე რომ ლუზა გონს ვერც კი მოვიდა.

ვიწრო, უჩინარი გზით ისინი გორაკის შიგნით შევიდნენ...

უკან ჩუმად ბრუნდებოდნენ და ჩუმადვე ჩასხდნენ მანქანაში.

როდესაც გამოჩნდა გამგეობის სახლი, სახანძრე-ფარდული, ელექტრონით განათებული მოედანი და იგრიალა სამი მეზობელი კოლმეურნეობის ორკესტრმა, ლუზა შერშავინის მიუბრუნდა და ღრმა მნიშვნელობით ყურში ჩასჩურჩულა:

— ეტვას!)

— რაო?—ვერ გაიგო შერშავინმა.

— მე სულ ვეკითხებოდი ზვერიჩევს—რის აშენებას აპირებთ მეთქი. ეტვასს ავაშენებთო, მეუბნებოდა. ჰო-და, მართლაც ეტვასია, ძალიან სპეციალური რამეა.

— დიალ, ეს, ძმაო, ეტვასია, —გაიცინა შერშავინმა.

— სავსებით, ძმაო, სავსებით, —ახლა უკვე კმაყოფილებით და მხიარულად უპასუხა ლუზამ და წამოდგა, რომ მისალმებოდა თავის კოლმეურნეობას, თან ბებრულად შერშავინის გამზდარ მხარს დაეყრდნო.

1) ეტვას—რაღაც.

ნაწილი მეორე

მ ა რ ტ ი 183

როდესაც ხრდიეშ-მ, ურლო ჯარსკაცთა წრი-
დან განოსულმა დიდა სხელმწიფო თლვაქმ, ფილი-
პე III-სა და რეგლ-ს ს დედოღლ ს გლისაბიძრს თა-
ნანედოოვიმ, იე ურტტბისაჲან გაიგო ვეროპს განზრან-
ვა და; ბყო ახია, შიშა აიტ ცა იაპონიის ჯამო.

„ზლოს ვადალაივ. ჩინეთს კილოზივთ ილიაში
აზოუდებ და წავრლ ზო“- სთქვა იაზ.

გ მეუა მარერიკზე გ დასხის მისი აჩოია. კორეა
დაპოობილ იენა. ბიდევეში პეკინზე ალაშქროდ მსა-
დებოდა, მ გრად ქარიზხალმა გაანადგურა მთელი მისი
ფლოტი.

„(ივარივით ვეცამი,
ცვაოვიით ვქოებო,
თვით ოსაკას ცხე-სიმაგრეტ კი
სიხმარია მოუს ენარ ძალში“, -
ნაღვლიანად სფერდა ის შექდეგ.

დიადი ისტორიული ამბები, ისევე, როგორც პირადი ცხოვრე-
ბის ტრაგედიები, მუდამ მოულოდნელად გვევლინებიან, თუნდაც
მათ დიდი ხნით ადრე გრძნობდნენ. კი არ გვევლინებიან,—თავს
გვატყდებიან.

1914—1918 წლების ომი არ დასრულებულა, როგორც ეს
ვერსალში გამოაცხადეს. იძულებით მიყვანილი ზავამდე, ომი შეუ-
ჩერებლივ გრძელდებოდა სასაზღვრო და საბაჟო დავისა და ერთა
შორის შუღლის სახით. ამას მოსდევდა სხვა განხეთქილებანიც. მა-
სების ნება-სურვილით ყოველი ომი შეიძლება გადაქცეულ იქნას
სამოქალაქო ომად, და 1914—1918 წლების ომიც ასეთ ომად იქ-
ცეოდა ჯერ კიდევ სანგრებში, ხოლო ზავამდე მიყვანილი იგი
ქვენიადგაში მიიმალა და თავს იჩენდა აჯანყებების სახით დედა-
მიწის მეტად შორეულ კუთხეებში. 1917 წლის ოქტომბერი რუ-
სეთში, 1918 წლის ნოემბრის რევოლუცია გერმანიაში, რევოლუ-
ცია ფინეთში, ამბოხებანი ბრინჯის ნიადაგზე იაპონიაში, ჯარის-
კაცთა ამბოხებანი ბულგარეთში, აჯანყებანი პოლონეთსა, ლიტვა-

სა და არგენტინაში—და ყოველივე ეს ერთი წლის განმავლობაში, ოფიციალური ომის უკანასკნელი წლის განმავლობაში.

მშვიდობიანი 1919 წელი, როდესაც მოხდა ანტანტის გამოლაშქრება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, აჯანყებები ლატვიაში, გერმანიაში, კორეაში, უნგრეთში, სამხრეთ სლავიაში, ფრანგ სამხედრო მზღვართა აჯანყება შავ ზღვაზე, უნგრეთის გამოცხადება საბჭოთა რესპუბლიკად და საბჭოების წარმოშობა შუა და სამხრეთ იტალიაში,—ყოველივე ეს მოხდა მხოლოდ 1919 წელს, პირველ წელს კაცობრიობის მიერ განცილდ ომებიდან ყველაზე დიდი ომის შემდეგ.

ამ წელს მისდევენ ეგრეთწოდებული ნაყოფიერი მშვიდობიანობის წლები, როდესაც მოხდა აჯანყება ირლანდიაში, რევოლუციური აფეთქებანი იტალიაში, პოლონეთში, სპარსეთში, კვლავ იტალიაში, კვლავ გერმანიაში, ერთხელ კიდევ გერმანიასა და იტალიაში, კვლავ პოლონეთში. ომი წლითი წლობით ერთსა და იმავე კარს აკაკუნებს.

1923 წელს მოხდა აჯანყება ბულგარეთში, კვლავ გერმანიაში, კვლავ პოლონეთში, ერთი წლის შემდეგ რუმინეთსა და ესტონეთში, მაროკოში, ჩინეთსა და სირიაში, და კვლავ გერმანიაში, კვლავ პოლონეთში; ერთი წლის შემდეგ—ინდონეზიასა და ჩინეთში, ერთხელ კიდევ ჩინეთში, კვლავ ჩინეთში, ერთი წლის შემდეგ ავსტრიაში და ერთხელ კიდევ ჩინეთში, ორი წლის შემდეგ „სისხლიანი მაისი“ ბერლინში, შეიარაღებული აფეთქებები რუმინეთში, პალესტინაში. ინდოეთში, ხოლო ნახევარი წლის შემდეგ კიდევ და კიდევ გერმანიაში. ომი ერთსა და იმავე კარს აკაკუნებს.

დგება 1930 წელი—დიდება მშვიდობიანობას ხანგრძლივი და, როგორც დემოკრატი მატყუარები ამბობენ, კაცობრიობის უკანასკნელი ომის შემდეგ! დიდება, დიდება მშვიდობიან და ნაყოფიერ ცხოვრებას!

ჩინეთის სამოქალაქო ბრძოლებში დაიჭრა 160.000 კაცი, მოკლულ იქნა 300.000 კაცი, სიკვდილი მიესაჯა 90.000 კაცს.

ინდოეთში საპყრობილებებში ჩაამწყვდიეს 30.000, დასჭრეს 8.600, მოჰკლეს 6.000 კაცი.

ინდო-ჩინეთში დააპატიმრეს 2.000, დასჯრეს 1.000, სიკვდილით დასაჯეს 1.000 კაცი.

იტალიაში საპყრობილეში ჩაკეტეს 63.000, სცემეს და დასჯრეს 6.000, მოჰკლეს და სიკვდილით დასაჯეს 40.000 კაცი.

გერმანიაში საპყრობილეებში გამოამწყვდიეს 20.000, დასჯრეს და ცემით აწამეს 110.000 კაცი.

საფრანგეთში 4.000 კაცი საპატიმროებშია გამომწყვდეული, 2.000 კაცი ქუჩის ბრძოლებში დასჯრეს.

დიდება მშვიდობიან და ნაყოფიერ ცხოვრებას!

რევოლუცია ჩინეთში, ჯარისკაცების აჯანყება ინდოეთში და ინდო-ჩინეთში, გლეხთა აჯანყება დასავლეთ უკრაინაში, იტალიაში და კვლავ მელითონეთა გამოსვლა ბერლინში, სამხედრო ამბოხებანი ესპანეთში, კვლავ აჯანყება ინდოეთში, ჩილიში, ერთხელ კიდევ ესპანეთში, ერთხელ კიდევ ჩინეთში, ერთხელ კიდევ ჩილიში, გაფიცვა ინგლისის ფლოტში, ერთხელ კიდევ ესპანეთში, შვერთებულ შტატებში, კიდევ ესპანეთში, პოლონეთში, ჩეხო-სლოვაკიაში, ბელგიაში, კვლავ ინგლისში, შვეიცარიაშიც კი, ევროპის ამ დერეფანში, და კვლავ—ვინ დაითელის მერამდენეჯერ!—გერმანიაში. და ყოველივე ეს მარტოდ-მარტო 1932 წელს...

სამხედრო სტატისტიკოსებს რომ აღერიცხათ კლასობრივი ბრძოლების მსხვერპლნი ვერსალის ხელშეკრულების დადების დღიდან, მაშინ დასრულებული ომი არ იქნებოდა არც უდიდესი და არც უკანასკნელი. ოცდაათი მილიონი უმუშევარი, რომლებიც ჯარისკაცებზე უფრო ნელა კვდებიან და მათზე უკეთ იბრძვიან, უკვე ასპარეზზე გამოსული სარდლის დიად არმიად ჩამწყკრივებულყო.

იწყებოდა კაცობრიობის მთელი წარსული ისტორიისათვის უჩვეულო ომი. იგი უნდა გადაქცეულიყო ცხოვრების სკოლად იმ კლასებისათვის, რომლებმაც ისტორიულად მოამზადეს თავიანთი თავი გამარჯვებულის როლისათვის.

თვალწინ კვდებოდნენ მთელი სახელმწიფოები. იმსხვრეოდნენ და მტვრად იქცეოდნენ საუკუნეებით შექმნილი რეჟიმები. სულთმობრძავევით იკრუნჩხებოდა ინგლისი, ხოლო ახალგაზრდა ქვეყნები, მისი ბოგანოები, იქვე იდგნენ ბედნიერებისა და სიხარული-

საგან პირდაღებულნი. ინგლისთან ერთად კვდებოდა ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში. რომ შეიძლებოდეს რეჟიმების გასულდგმულება, დაეინახავდით დაჩაჩანაკებულ ჯენტლმენს, რომელსაც თავი დიპლომატად და განმანათლებლად მოჰქონდა, სიკვდილის შემდეგ კი მეძველმანე და ზარაფი აღმოჩნდა. და, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ადამიანთა ცხოვრებაში, ჯერ კიდევ არ მომკვდარიყო ეს მარჯვე კომერსანტი, რომ უკვე გაჩნდა ფეხსაცმელის დამშეული მწმენდავი, რომელიც ბიოგრაფიის ერთგვარი მსგავსების ძალით თავს გარდაცვლილის ისტორიულ მემკვიდრედ აცხადებს.

ასე გაჩნდა საიმპერატორო იაპონია. მსოფლიო ისტორია არ წარმოადგენდა საწარმოს, სადაც მას შენახული ჰქონოდაც საკუთარი პაიები. მას იმედი ჰქონდა შეეძინა ისინი მხოლოდ ახლა, შინ დამზადებული პილზენის ლუდზე ან ლანკაშირის ჩითზე გადაცვლის გზით.

ეს იყო კუნძულებრივი წარმოშობის ფეხსაცმელის მწმენდავი, ძველი ინგლისის მსგავსად გერმანია ცულთმობრძავის მდგომარებაზე, ოცნებობდა ისე, როგორც ეს ძველ რომანებშია აწერილი.

ძველი ინგლისის მსგავსად გერმანია ცულთმობრძავის მდგომარეობაში იყო. მისი ხალხის რისხვა ლენოსავით იწმინდებოდა კომედიური რეჟიმის სარდაფებში.

ინგლისს სურდა დაესუსტებინა საფრანგეთი გერმანიის საშუალებით, ხოლო ჩრდილოეთი ამერიკა—იაპონიის საშუალებით, იაპონია კი შეევიწროებინა ჩრდილოეთი ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მეშვეობით. ინგლისს მოკავშირედ ჰყავდა იაპონია, სწორედ ისევე, როგორც ბებერ დედაკაცს საყვარლად ჰყავს ახალგაზრდა და თავხედი მეეტლე, რომელიც ცემა-ტყეპით უმასპინძლებს სიყვარულის წუთებში,—და ეხმარებოდა მას იარაღით დაფულით აზიის ჩრდილოეთ-დასავლეთში სამოქმედოდ. ამერიკას დაახლოებით იგივე სურდა, ოღონდ ინგლისის წინააღმდეგ.

ყველანი ერთად კი საქმეს აქაზრაკებდნენ ისე, რომ ყველა მათი უწესობა-ურჩივობის ამნაზღაურებელი ყოფილიყო საბჭოთა კავშირი.

ევროპაში საომრად ილტვოდა გერმანია და მშვიდობიანობის გამოცდილი მცველები მასაც (როგორც აღმოსავლეთში იაპონიას).

წარმართავდნენ სკიფთა დაბლობებისაკენ¹⁾, საიდანაც სალ-სალამათი ჯერ არავინ არ დაბრუნებულა,—არც ის, ვინც დასავლეთიდან მოძვრებოდა, არც ის, ვინც აღმოსავლეთიდან მოძუნძულებდა.

ყველგან მოელოდნენ ომს.

იაპონიამ, რომელიც მოქმედებდა იამატო დამასიისებურად, რაც ნიშნავს „გარეული ალუბლის დილით კეთილსურნელოვან ყვავილს“, დაანგრია შანხაის მუშათა უბნები, ხელთ იგდო მანჯურია, ჩანხარი და ჩრდილოეთ ჩინეთის ოლქები. სადღაც შორს მას მორჩილი ევროპა ელანდებოდა.

მაგრამ დაჩაჩანაკებული ევროპისა და მსოფლიოს წიაღში იზრდებოდა ახალი ევროპა და სხვა სამყარო. დიადი საქმე იქედებოდა ვენის ბაროკადებზე, ესპანეთის სოფლებსა და ქალაქებში, აზიის უსახელო ამბოხებებში.

იაპონია ყველგან საომრად ემზადებოდა. იგი ჰქმნიდა საიდუმლო ავიობაზებს პანამის არხის ირგვლივ, თავისი აგენტებით აესებდა მექსიკას, რათა როცა მოესურვებოდა წაეშალა შეერთებული შტატების რუკაზე პანამის მაგისტრალი. იგი აგებდა საიდუმლო ავიობაზებს ბორნეოში, რათა დამუქრებოდა ეგვიპტეს და არაბეთს, საიდუმლო ავიობაზებს ირანში, რათა დამუქრებოდა კასპიის ზღვას, თურქმენეთსა და ავღანისტანს.

მას მუქარის შიშქვეშ ჰყავდა მსოფლიო გზების უმნიშვნელოვანესი საკვანძო პუნქტები და ელოდა. მისი პატარა მარშლები დიდი ფანტაზიის ხალხი იყო. მსგავსად ნაპოლეონ მესამის რიხიანი ალჟირელი გენერლებისა, რომელნიც თავიანთ ნამსახურობის ნუსხაში ხედავდნენ აფრიკას, მათ ელანდებოდათ ტიბეტის, სიამის, ინდოეთის დამორჩილება, ერთიანი აზიის დროშა პამირზე.

მაგრამ ყველგან საომრად ემზადებოდა წითელი ჩინეთიც. იგი ფარდას ხდიდა მომავალი ომების კონტურებს, რადგან მან შექმნა მეომარი სახელმწიფოს ტიპი. ომი ხდებოდა მოსახლეობის ძირითად პროფესიად.

1934 წლის ზამთარში ძიანსის პროვინცია, ნანკინის ჯარისაგან შევიწროებული, აიყარა და წავიდა ჩრდილოეთ-დასავლეთისა-

¹⁾ სკიფთა დაბლობი—დ. ალბორ დნეპრსა და დონ შორის, სადაც ძველად მომთაბარეობდნენ ველის ხალხები—სკიფები.

კენ, სიჩუანის ქვეყანაში, რომელიც ევროპას დაიტევს. ასი ათასობით ადამიანებმა ცოლებით, ბავშვებით და მამაკაცათა კუბოებით მიატოვეს ერთი ქვეყანა და ბრძოლით გაემართნენ მეორეში.

მათი გადასახლების ისტორიას გაიზეპირებენ საუკუნეების შემდეგაც, როგორც მსოფლიოს ახალი ისტორიის პირველი დღეების ყველაზე უფრო დიად ეპოსს. მათ წინაშე არ იხსნებოდნენ ზღვები, ნაპრალებიდან არ სჩქედდნენ წყაროები და არც მზეს შეუჩერებია თავისი სელა ბრძოლის ეპოსს. ადამიანები მიათრევდნენ ბავშვებს, დაშლილ ქარხნებს, საავადმყოფოებს და დაქრილ ამხანაგებს. ისინი მიდიოდნენ, იბრძოდნენ, კანონებს სცემდნენ, და მათი გზა ორი ათას ხუთას კილომეტრს უდრიდა. მათ გადალახეს გუანდუნის, გუჯოუს და იუნანის მთაგრებილები, გაიარეს ხუნან-გუიჯოსს ქაობები და ულრანი ტყეები, გადასერეს სიკანის უდაბური ოლქები და დაიკავეს სიჩუანი.

მაგრამ ჩინეთში ყველგან ომობდნენ. ჩან კაი-შის პოლიტიკა, რომელიც ჩინეთს იაპონელ მედუქნეებსა და მეფაბრიკეებს უთმობდა და ინგლისელ და გერმანელ მედუქნეებს ჰპირდებოდა, მეტად რთული და ეშმაკური იყო უბრალო ხალხისათვის. ხალხს ჭამა უნდოდა, უნდოდა პატივცემული ყოფილიყო, იგი ყველგან იბრძოდა—წითელ არმიასა და პარტიზანულ რაზმებში, ფაბრიკებსა და სოფლებში. თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული ყოველი ჩინელი თავს არმიის ჯარისკაცად გრძნობდა.

ახლებურად იბრძოდნენ მანჯურელი პარტიზანებიც. კავკასიის ომის დროიდან,—ომის, რომელიც თითქმის ორმოცდაათ წელიწადს გრძელდებოდა, მსოფლიოს არ ენახა ხალხის ძალების მეორე ისეთი ორგანიზაცია, როგორმაც უეცრად იჩინა თავი მანჯურიის ველებზე. აბისინიის სახელოვანი ბრძოლა ჩრდილოელ ჩინელთა გმირობის მხოლოდ მკრთალი მსგავსება იყო.

ხალხის დიდი გმირები ჯერ კიდევ დაფლეთილ ბამბეულში დაიარებოდნენ და ტანთაუხდელნი იძინებდნენ თივის ზვინებში, მაგრამ მათი პაწაწა არმიები წინასწარ იყვნენ გამსჭვალული სიძულილით. ბელადებს აკლდათ მხოლოდ საკუთარი ისტორიული როლის შეგნება. ისინი ჯერ კიდევ ვერა გრძნობდნენ, რომ დახეულ, ტყვიით დაცხრილულ საბნებთან ერთად თავიანთი მხრებით

მიათრევენ ჩინეთისა და აზიის ბრწყინვალე მომავალს.

მაგრამ ახლოვდებოდა დრო, რომელიც აგონებდა კაცს იმ ხანას ევროპის ცხოვრებაში, როდესაც საფრანგეთის მოხალისეთა რაზმებში გაჩნდნენ ოფიცერი პიშეგრიუ, არქიტექტორი კლებერი, ფარიკაობის მასწავლებელი ოქერო, მხატვარი სენ-სირი და მეჯინების შვილი ლანი.

ახალ ბონაპარტეს ახლა აღარ შეეძლო მათი წართმევა რევოლუციისათვის. პატივმოყვარეთა საგულისხმოდ ისტორიამ იზრუნა და შექმნა რამდენიმე ნაპოლეონ მოკლე. ერთი ამ ნაპოლეონ მოკლეთაგანი იაპონელთა ფეხქვეშ გართხმულიყო, ხოლო მეორე აქეთიქით ჰფანტავდა გარსშემოხვეულ ჰომოსექსუალისტებს და ჰოგენ-კოლერნთა¹⁾ ტახტისაკენ მიფოფხავდა.

ბოლშევიკების დიადი მოძრაობა წყნარ ოკეანესკენ 1932 წელს დაიწყო. ოდესმე შრომისმოყვარე ისტორიკოსი მონახავს საიდუმლო ბრძანებათა გამტკვრიანებულ საქმეებს და იქ იპოვის ქვეყნისათვის უცნობი გმირების უცნობ სახელებს, რომელნიც პირველად ეწვივნენ ტაიგასა და მთებს და თან მიიტანეს პირველი ცულეები და წერაქვები.

იმ დროს საბჭოთა აღმოსავლეთმა თვითონაც არ იცოდა, რას იწყებდა. დიადი საქმე წვრილმანებით იწყებოდა და სათანადო შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. ადამიანთა გონებას ჯერ კიდევ არ აღელვებდა სიამაყის ეპოსი. გმირები მთებს ბურღავდნენ, ეძებდნენ წყალსა და ნავთს, გაჰყავდათ გზები მიყრუებულ ტაიგაში და აშენებდნენ ქალაქებს. ფიცრულ თეატრებში ქვაბულების გვერდით თამაშობდნენ დედა-ქალაქის თეატრის მსახიობნი, საამშენებლო ათასეულების მეომრები წრეებში კამათობდნენ ბლოკის²⁾ ლექსებზე. მაგრამ ასე იყო ყველგან, კავშირის ყოველ კუთხეში, და შორეული აღმოსავლეთი არ ოცნებობდა დასწეოდა და გაესწრო თავისი სამშობლოს ზრდისათვის, როგორც ეს რამდენიმე წლის შემდეგ მოხდა.

1) ბ-გენკოლერნები—პრუსიის ყოფილი მეფეებისა და გერმანიის ყოფილი იმპერატორების გვარი.

2) ბლოკი (1880—1921) რუსი პოეტი.

ბერი რამ შეიცვალა მხარეში მას შემდეგ, რაც პირველი ექვსასი კომკავშირელი ტაივას ეწვია. გაჩნდნენ ახალი ადამიანები, ახალ ქალაქებში გაიყვანეს ასფალტის ქუჩები, და ის, ვისაც შეეძლო იმის გადაცემა, თუ როგორ დაიწყო ამ ქალაქების მშენებლობა, ყველას მოხუცად ეჩვენებოდა, რადგან ეგონათ, რომ ყოველივე ეს დიდი ხანია მოხდა, დიდი ხანია ყველაფერი გადაილახა, აშენდა, მოეწყო. მაგრამ ვისაც ახსოვდა მხარის ადრინდელი წლები, ვერასოდეს ვერ დაივიწყებდა მათ. მათთვის ყველაზე უფრო სასიხარულო იყო თითქოს უძლეველ დაბრკოლებათა მოგონება, ამხანაგების სახელების გახსენება და არა მზა საგნების სამყაროს ხილვა, არამედ მათი შექმნის მძიმე და მგზნებარე ისტორიის აღდგენა.

სიძნელეთა გადალახვისას იზრდებოდა საბჭოთა ადამიანის სული. იგი ბრძნული ხდებოდა ოცი წლის ასაკში, ჯბოლო ნაადრევი სიბრძნე მაგრა იდგამდა ფესვებს მასში მთელი შემდგომი სიცოცხლის მანძილზე. ოდნავ მოხუცებული ოცი წლის ასაკში საბჭოთა ადამიანი ახალგაზრდა რჩებოდა ორმოცდაათ წლამდე, და უფრო მეტ ხანსაც.

წლითი-წლობით იგი უფრო ჰკვიანი ხდებოდა. ძველი გრძობების ნაშთები ჰკნებოდა და იფურჩქნებოდა სულის ახალი გრძობები.

მთელი ჩენი სახელმწიფო ისე იყო მოწყობილი, რომ გამოეზარდა მამაცი, სწორუბოვარი და ბოლომდე პატიოსანი ადამიანები. ყოველივე ყალბი აუცილებლად იღუპებოდა. სილაჩრეს დასცილდნენ, როგორც საზოგადოებრივ უბედურებას.

უფრო და უფრო მოსჩანდა ადამიანი. ბედნიერების ძიებაში იგი უბრალო, ნათელი და მამაცი უნდა გამხდარიყო. ცხოვრება აიძულებდა, ასეთი გამხდარიყო ან მოურიდებლად უკუაგდებდა.

მას შემდეგ, რაც ლუზა თავის მოულოდნელ მოგზაურობიდან დაბრუნდა, ირგვლივ ბერი რამ შეიცვალა. უწინარეს ყოვლისა, ჰორიზონტიდან გაჰქარა ზარეცკი, ოდესღაც ასეთ თვალსაჩინო როლს რომ თამაშობდა. ახლა ლუზასაც ისე ეჩვენებოდა, რომ ზარეცკი უფრო დიდხანს თამაშობდა თავის როლს, ვიდრე ეს საჭირო იყო, და ომ სწორედ ლუზამ პირველმა უწინასწარმეტყველა მას

უსახელო და სამარცხვინო ბოლო. შორეულ ჩრდილოეთში გადავიდა იანკოვი და როგორღაც ჩარჩა იქ, მიყუჩდა, თუმცა ახლაც არაფრის ცუდის თქმა არ შეიძლებოდა ამ გასაოცარ მოხუცზე, უსაზღვროდ. კეთილსა და მორიდებულ ადამიანზე. მაგრამ იგი კეთილიც იყო, მოკრძალებულიც, პატიოსანიც და მაინც ვერ ახერხებდა ამოძრომას. სულ რაღაც უშლიდა ხელს ან და მან რაღაც ვერ მოიპოვა, მიუხედავად თავისი ორმოცდაჩვიდმეტი წლისა, რასაც შეეძლო სამი თუ ოთხი სავსებით შინაარსიანი ცხოვრების ავსება, თუ წინანდელი წესების ადამიანის ცხოვრებას ვიგულისხმებთ.

სამაგიეროდ ყველას გასაოცრად იზრდებოდა და მაგრდებოდა მიხაილ სემიონოვიჩი. ლუზას ხომ კარგად ახსოვს, რომ ჯერ კიდევ 1920 წელს პოლუხრუსტოვი მოწინავეთა რიგებში იდგა, ხოლო იანკოვი მიხაილ სემიონოვიჩზე ნაკლები სახელით და პატივით არ სარგებლობდა, თუმცა ისინი თითქმის ტოლები იყვნენ და არც განათლებით და განვითარებით განსხვავდებოდნენ დიდად ერთმანეთისაგან.

ან ავიღოთ შლეგელი. ბავშვი იყო სამოქალაქო ომის დროს, გვარიანი ბავშვი, მაგრამ არა არწივი. მას შემდეგ კი გაიზარდა, გონებამახვილი, მკაცრი მუშაკი გახდა. ცხოვრობდა როგორც გმირი და მშვიდად ასწავლიდა ჰკუას უფროს ამხანაგებს, თითქოს მათზე უფრო ადრე და უფრო გაბედულად დაეწყო ცხოვრება.

როდესაც ლუზა ამხანაგებზე, მათ ბედზე ფიქრობდა, ესმოდა, რომ იგი თავის თავსაც ადარებს, და უკუაგდებდა ხოლმე ამ აზრს.

მაინც რაღაც უნდა გაეკეთებინა და გაეკეთებინა დაუყოვნებლივ.

პარტიზანებისაგან დაბრუნების შემდეგ ლუზა კვლავ „25 ოქტომბრის“ კოლმეურნეობაში დასახლდა. ძველი პარტიზანისა და მონადირის სახელი მას ახლაც თან სდევდა ყველგან, მაგრამ ეს საკმარისი აღარ იყო მისთვის. ძველი იყო ეს სახელი და გულუბრყვილო. მას სურდა ახალი სახელი და ახალი აღგზნება. „არ ვიცი, რას შევეუდგე, ისევ ძაღლებს ხომ არ მოვკიდო ხელი?“—ფიქრობდა ზოგჯერ. მაგრამ გულის მესაიდუმლე არავინ იყო. ტარასუკმა უფროსი ლეიტენანტობა მიიღო და ფიზიკას სწავლობდა. მას დრო აღარა ჰქონდა სჯა-ბაასისა და საუბრისათვის. არ შეიძლებოდა აგ-

რეთვე თავი მოებეზრებინა საუბრით სატანკო ნაწილის მეთაურის ბოგდანოვისათვის.

ერთხელ როგორღაც დაურეკა მას ვასილმა, გადაკვრით გააგებინა, გულითადი ლაპარაკი მინდა შენთანო. მან კი უპასუხა:

— ჩემი სული, ვასილ პიმენოვიჩ, მეხუთე დღეა კარბიურატორშია¹⁾—მესიზმრება გასაოცარი კარბიურატორი, მეხუთე დღეა ვერ გამიხსენებია.

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ბოგდანოვთან აღარ მისულა.

„ხომ არ ვეწვივო მიხაილ სემიანოვიჩს? — ფიქრობდა იგი. — არა, სულს ამომართმევს, წამათრევს სადმე ჭარხლის ან თევზის სამუშაოზე, სიტყვის თქმასაც ვერ მოვასწრებ“.

და ერთხელ შლეგელი გაიხსენა, იმედი აღეძრა.

„მან იცის“,—გაიფიქრა ლუზამ სიამოვნებით შლეგელის ლამაზ მოქანცულ თვალებზე, მის მშვიდ ხმაზე და თავის დაქერის მის მანერაზე, თითქოს არავითარ საქმეში არ არის ჩაბმული, თითქოს მუდამ თავისუფალია.

დაურეკა შლეგელს. ის ქვემო ამურზე წასასვლელად ემზადებოდა და მზად იყო წაეყვანა ვასილიც.

— მოემზადე, შემოვივლი,—უბრალოდ სთქვა მან.—შენს ახლოს რომ გზატკეცილია, იმასაც დავათვალიერებ.

ისინი როლს-როისში ჩასხდნენ და ამურის გასწვრივ ფართო, ხელის გულივით გაშლილი გზატკეცილით გაემართნენ იმ ახლა უკვე ჩვეულებრივ ქალაქისაკენ, რომელსაც მცირე ხნის წინათ 214-ე მშენებლობა ეწოდებოდა და რომელიც მანამდე სატყეო დაწესებულებებში აღნიშნული იყო, როგორც ტაიგის ყველასათვის უცნობი პატარა ნაქერი. როგორც მუდამ, შლეგელი ახლაც მარჩენკოსთან გაჩერდა, მის ხალვათ ბინაში, რომელიც მეხუთე სართულის სიმაღლიდან გადაჰყურებდა მდინარეს. ქარბუჭი ფანჯრების სიმაღლეზე მიჰქროდა და კაცს ეგონებოდა, ქალაქი ჯერაც არ არის აშენებულყო.

მარჩენკოსთან სტუმრად იყო იანკოვი. იგი მშობლიური მხარის სანახავად ჩამოსულიყო.

¹⁾ კარბიურატორი—ხელსაწყო საწვავის ნარევის დასამზადებლად შიდაწვირებისათვის.

— გახსოვს, კოცონებს შორის რომ დაფოფხავდით?—მოაგონა შლეგელმა. — გახსოვს, როგორ იყინებოდით? განა გჯერა, რომ ეს ოდესმე იყო?

— მე, სიომა, ისიც მახსოვს, როგორ იხრჩობოდნენ დათევები აქ, ძველ სამლოცველოს გვერდით. ერთი მათგანი მთელ ღამეს რეკდა ზარს, ღრიალებდა, დახმარებას ითხოვდა, ჩვენ კი მიწურებაში ვიწვექით, შიშისაგან ვკანკალებდით... საშინელება იყო!

— ოლგა, ოლგა გახსოვს?—იცინოდა გავრილა ეფიმოვიჩი იანკოვი. — როგორ სწერდა მოხსენებას, რომ ჩვენი ქალაქის ნიადაგი ნახერხისაგან შესდგებაო.

— მახსოვს,—იღიმებოდა შლეგელი და უნებლიე მწუხარებით ფიქრობდა იმ ქალიშვილზე, რომელიც, მგონი, მაშინ უყვარდა. — მართალიცაა, ნახერხი იყო. თვითონ ვნახე, შენი ქოხის წინ მთელი ნაპირი ნახერხისაგან შესდგებოდა, ხოლო ამურზე ზღვამდე სამი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მიცურავდა ნახერხი... ოლგა წერილებს გწერს?—ჰკითხა მან ხმადაბლა.

— არ მანებიერებს. არა მცალიანო, ამბობს. თვითონაც მესმის—ღრო არა აქვს: ბავშვი ჰყავს. თან მოსკოვიც... თითონ იცო, მოსკოვი ტაიგა არ არის. ქმარი ხომ ნამდვილი ქირი ჰყავს. ჯერ გაგზავნა ქალი მოსკოვში. შეებულებაში დაბრუნდა—ისევ უკან გაისტუმრა—დავალებით! კვლავ სახლში ბრუნდება—ქმარი კვლავ ჰგზავნის. რილაცის შესასწავლად.

— დიად, დიად...—ამბობს შლეგელი და ღრმად ისუნთქავს თამბაქოს კვამლს, რათა მასთან ერთად შეისუნთქოს ათასგვარი მტკვანება ახლო წარსულიდან, როდესაც ოლგას ცხოვრება მის მახლობლად მიმდინარეობდა.

დიად, მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ის ოლგასთან ერთად დასეირნობდა ზღვის პირას. იქნებ ეს არასოდეს არც მომხდარა...

— რა, განა ცუდად ცხოვრობენ?—ეკითხება ის შუბლშექმუნხული.

— საკვირველიც ეგ არის, რომ კარგად ცხოვრობენ. უყვარს მის ქმარს ადამიანის აფორიაქება.

— აფორიაქება! — ამბობს ლუზა. — შენ კიდეც არ იცნობ იმას — ეს აფორიაქება კი არა, გამოკვლევაა! ექიმივით არის. თუ ჩაგაცივდა, ვერ დაუძვრები, ყველაფერი უნდა გადმოუღლაგო.

და უეცრად გაუელვა აზრმა: მასთან, შერშავინთან, უნდა წაეციდეს. აი ვინ მოეპყრობა თანაგრძნობით, მოუსმენს, გალანძღავს, ზალაც გამოსავალს მოუნახავს და ისე დაინტერესდება მისი ბედით, როგორც საკუთარით.

— დიდი კაცია, საქმის კაცია შერშავინი, — ამბობს შლეგელი. — ვნახე, თუ რა ხალხი გამოჰყავს მას თავისი მეომრებიდან, რა ხალხს ზრდის. მე და შენ ვერ მოვისაზრეთ მასთან შევლა, ვასილ პიმენოვიჩი. დიდი ხანია არ გინახავს?

— კარგა ხანია, — უპასუხებს ლუზა.

— ტყუილ-უბრალოდ გაუბრახარ. ქვეიანი თავია, — თითქოს გაკვრით შენიშნავს შლეგელი, მაგრამ ლუზას ეჩვენება, რომ იგი ამას საიდუმლო მნიშვნელობით ამბობს. — ოღნავ ვივიწყებთ შერშავინს, — იმეორებს შლეგელი. — თვითონ ყველაზე ფიქრობს, მასზე კი არაფერს.

— ზოგჯერ ვერ გამოიგია, — ამბობს გავრილა ეფიმოვიჩი: — მხარე იგივეა, არ გაზრდილა, გზები მეტია, თვითმფრინავები მეტი, ავტომობილები მეტი, მაგრამ წინათ უფრო ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. თვეც არ გაივლიდა ისე, რომ ვასილ პიმენოვიჩ ლუზა სტუმრად არ გწვევოდა. ზუვევი ფეხით გადმოდიოდა ტაიგიდან. შოტმანი ქადრაკის სათამაშოდ მოფრინავდა. ახლა კი წყნარად ვცხოვრობთ, ერთ ადგილას.

— დიალ, ბევრი ვირბინეთ, ვიტრიალეთ, — ეთანხმება შლეგელი. — ერთი ყუთი საპნისათვის შოტმანი ზოგჯერ ათას ხუთას კილომეტრს გადიოდა. ხელთ არაფერი არა გვქონდა. ხომ გახსოვს, როცა პოლუხნუსტოვი სარევიზიოდ წავიდოდა, ერთი წლით. იკარგებოდა. მხოლოდ რადიო თუ გეაცნობებდა მის ადგილსამყოფელს.

ხუთსართულიანი სახლი ქარისაგან ზანზარებს. ქარიშხლის ჭიულისაგან თავს მყუდროდ და თბილად გრძნობ. ქარიშხალი გაგონებს ბრძოლას, ავრალებს, იერიშებს, და დეე იღმუოს და იყეფოს, — ახლა იგი „წმინდა პეიზაჟია“, როგორც გავრილა ეფიმოვიჩი ამბობს, „წმინდა პეიზაჟი და სიამოვნება“.

მალალ სახლს ქარი გარს უტრიალებს და შესავალ კარებთან და ქიშკართან რალაც გამაყრუებლად უსტვენს და ღმუის.

მაგრამ ეს არვის არ აწუხებს. განა ცოტა მოუსმენიათ ასეთი სიმღერა! ყოველი ბგერა მათში აღვიძებს განცდილს, შემთხვევებს, ანგდოტებს, შეხვედრებს.

— მე, ამხანაგებო,—ამბობს იანკოვი,—მინდა წავიდე უფრო შორს ჩრდილოეთში, თვით არქტიკაში. დასაზამთრებლად.

— მოესწრები,—ბუტბუტებს შლეგელი. — უნდა დაისვენო.

— არა, მომწყინდა, ვერ დავისვენებ,—ამბობს იანკოვი. — ქალაქი მაყრუებს. ხომ იცი, სიმონ, ბუნება მიყვარს.

— თავი დაანებე ტყუილს,—ციინის შლეგელი,—ხეირიანად მაინც ისწავლე ტყუილის გამოგონება! როდის იყო, რომ ბუნება გიყვარდა? საიდან?

— დილით, როცა ვიღვიძებ და ჯერ კიდევ საწოლში ვწევარ, ბუნება ჩემს წინაშე ისახება. შიგ გულში მწვდება. მესმის ხერხის ხმა. ჰე, ჩემო კეთილო, მუსიკოსი რომ ვყოფილიყავ, ჩავიწვრდი ყველაფერს. აი, მუშაობას იწყებენ ორთქლის ხერხები. სწრაფად ღელავს მბრუნავი ფოლადი და ნაირნაირად მღერის. ერთბაშად მიხვდება, რა ჯიშის ხეს ხერხავს იგი. კედარი არ იძლევა ისეთ ბგერას, როგორც მუხა, მაგრამ არყისხე, ჩემო ძმაო, არყისხე, თუ კარგი მორი ჩაგივარდა ხელში, ბულბულივით სტვენს... ორთქლის ხერხებს მოსდევენ ელექტრონის ხერხები—აკორდებით, ხენეშით. მათ შემდეგ - იწყებენ უბრალო ხერხები—ოდნაე უხეშად ძი-ძის გაიძახიან, თითქოს აკომპანიმენტილო, და მერე ეს ხმები ერთმანეთში ირევიან და ისეთი გალობა იწყება, რომ გინდა ხმა ააყოლო... მე ზოგჯერ მთელ მშენებლობას ყურით ვუსმენ. უხილავადაც ვხვდები, თუ სად რა ხდება.

— მაგისტანა რამეს ყველგან ნახავ, ეგ რა ბუნებაა!—ამბობს შლეგელი და ფეხზე დგება. — ეგ, გავრილა ეფიმოვიჩი, მშენებლობაა და არა ბუნება. და შემდეგ არქტიკაში, ძმაო, არავითარი ტყე არ არის, ტყუილებს ნუ იგონებ.

— აი აქ, მახსოვს, მშვენიერი არყისხის ქალა იყო,—ამბობს ის და ფანჯარასთან მიდის. — როდესაც მე და სევასტიანოვი აქ პირ-

ველად დავეწვით, ვუთხარი—დაიხსომე ჩემი სიტყვა, სამ თვეში ამ ქალას გასჩეხენ-მეთქი.

—სამ თვეში არა და ერთ წელიწადში კი გაჩეხეს,—სთქვა მარჩენკომ. — ახლა ახლად ვამწანებთ ქალაქს.

—სულ კი იანკოვმა გადახერხა, ხეების მუსიკას ისმენდა,— იცინის შლეგელი. — როგორ არიან შენი აგრონომები?—ეკითხება იგი მარჩენკოს.

— ცდები გვარიანია. ბოსტნეული ჩინებულად იზრდება, პურეული კი ვერ გავახერხეთ, ლპება.

— იცოდე, შემოდგომაზე მოგხსნით პურის მომარაგებიდან,— ამბობს შლეგელი. — შეუფუცხუნე აგრონომებს. ჩემი სიტყვა მტკიცეა.

— მაშინ მეც მომხსენით, სამართალში მიმეციო... ყველანი გაგიჟებულხართ იქ, მხარეში. — მარჩენკოს ხელები ისე უკანკალებს, რომ თამბაქოს მოწვევასაც კი ვერ ახერხებს. — იქნებ ფორთოხალიც გნებაეს?

— არ გაგიგონია, რა ხდება მანჯურიაში?—ეკითხება შლეგელი. — შემოუტევენ თუ არა ჩვენს საზღვრებს, საკუთარი პურით უნდა იკვებო. ერთ გრამსაც ვერ მიიღებ, გესმის?

— იმათ რა! ისინი თუნდ ხვალვე შემოუტევენ.

— ჰო-და, ხვალიდანვე ჰამე ის, რაც დაგითვისია.

— რა მდგომარეობაში მაგდებთ?—ჩურჩულებს მარჩენკო. — ყველაფერი უნდა შეეაჩერო, ერთი რამ მექნება მხოლოდ საფიქრებელი—პური. განა ქალაქი პურისათვის ავაშენე? პური უნდა მომწოდონ—დავიმსახურო.

იანკოვმა ჩაახველა და სთქვა:

— ჩემი მდგომარეობა უარესია, გენკა. შენ დასახლებულ ადგილზე მაინცა ხარ, მე კი...—და თავი გააქნია. — რას არ მოესწრები კაცი? ახლა ყინულისაგან ხიდები და კუნძულები უნდა ვაკეთო.

— შენა?

— მე. ზვერიჩევმა გამოიგონა ყინულისაგან რალაც ჯანდაბის აგება.

მარჩენკომ მიბნედილი თვალთ შეხედა და ნალვლიანად ჰკიოხა:

— რა ჯანდაბაა ეგ?

იანკოვმა ჯერ მორცხვად დაიწყო განმარტება, შემდეგ გახალისდა:

— ზვერიჩევმა გადასწყვიტა განახორციელოს გერმანელი ინჟინრის გერკეს პროექტი. გერკე წინადადებას იძლეოდა, მძლავრი საცივარი მანქანების საშუალებით აეგოთ მცურავი კუნძულები ყინულისაგან. სქემატიურად ყინულოვანი კუნძულის აგება ასე შეიძლება: მძლავრი გემი-რეფრეიერატორი¹⁾ ოკეანეში გადის. მას თან მიაქვს საკმაო რაოდენობის თხელკედლებიანი ფოლადის ან ალუმინის მილები, რომლებსაც დაკლაკნილი ქოქონაქების ფორმა აქვთ. რამდენიმე ასეთ ქოქონაქს ტივტივებით ჩაუშვებენ წყალში და მათში გაატარებენ სამაცივრო სითხეს. მილები ყინულით შეიშოსება, და ეს იქნება მომავალი ყინულოვანი კუნძულის საძირკველი. როგორც კი ყინულოვანი ქოქონაქი საკმაო მცურაობას მოიპოებს, მიუმატებენ მილების ახალ რგოლებს, და ამრიგად განაგრძობენ კუნძულის ზრდას სასურველ ზომამდე. ზემოდან ყინულოვან კუნძულს ფარავენ გამათბილებელი იზოლიაციით და აბეტონებენ. დაბეტონებულ ზედაპირზე შეიძლება დაიყაროს მიწის ფენა და გაშენდეს მცენარეული. პირველ რიგში აგებენ საცივარ სადგურს, მერე კი ყველაფერს, რაც გნებავთ. ზვერიჩევის გამოანგარიშებით, კუნძულის გაყინულ მდგომარეობაში შენარჩუნებას სულ მცირე ენერჯია დასჭირდება, რადგან, ყინულის ნაკლები თბოგამტარიანობის გამო, საკმაოა გაცივდეს კუნძულის ზედაპირის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც წყალს ეხება. საცივარი მანქანების ენერჯიის წყაროდ ჩვეულებრივი სათბობი გამოდგება. უფრო მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას ტემპერატურების განსხვავება ოკეანის ზედაპირზე და დიდ სიღრმეზე—კლოდისა და ბუშეროს მეთოდით.

— ორივენი ცულ მდგომარეობაში ვართ,—სთქვა მარჩენკომ, როდესაც იანკოვის ნაამბობი მოისმინა.

მაგრამ იანკოვი უკვე ნეტარებას განიცდიდა, რაც დამახასიათებელია ყველასათვის, ვინც იწყებს ახალ, ჯერ კიდევ არაყველა სათვის გასაგებ საქმეს.

¹⁾ რეფრეიერატორი—მაცივარი.

— როგორ თუ ცუდ მდგომარეობაში?— დაიყვირა მან და ჰალარა თმა შეარხია. იანკოვს ვერ გაეგო, რომ მარჩენკოს თავისი დარდი აწუხებდა.— ტვინი გაანძრიე, ტვინი!

იგი ყურადღებას არ აქცევდა მარჩენკოს დაბნეულ გამომეტყველებას და თავმომწეარი ასანთით ხაზავდა სუფრაზე კვადრატებსა და რომბებს. საქმე კუნძულები კი არ იყო, არამედ ყინულოვანი კაშხალები ელექტრო-სადგურებისათვის. ზვერიჩევს განზრახული ჰქონდა ამგვარადვე აეგო ელექტრო-სადგურები.

ის გარემოება, რომ კაშხალის აგებისას შესაძლებელი ხდება საცივარი მილების ჩაშვება არა მარტო მდინარის თუ სრუტის ფსკერამდე, არამედ თვით ფსკერში, უზრუნველყოფს კაშხალის მყარი და მტკიცე საძირკვლის მიღებას. საჭირო აღარ იქნება ხარჯების გაწევა ძვირფასიან და ხანგრძლივ წყალქვეშა სამუშაოებზე, მრავალ მილიონ კუბომეტრ ბეტონზე, მიწის გათხრაზე და კლდის აფეთქებაზე. ზვერიჩევის გამოანგარიშებით, კაშხალის მუდმივ გაყინვას იმდენად მცირე ენერგია დასჭირდება, რომ მისი მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას არა თუ შორეულ აღმოსავლეთში, არამედ შუა აზიაშიაც კი.

ზვერიჩევმა თავისი გეგმები შეამოწმა რამდენიმე საცდელ ნაგებობაზე თათართა სრუტეში და შემდეგ გაბედულად გამოიყენა იგი კუნძულების—სანადირო და სათევზაო ბაზების ასაგებად. მან გადასჭრა მკვდარ ლუზებზე კუნძულების დაყრდნობის პრობლემა.

— შეჩერდი!— მარჩენკომ მეორე ასანთი აიღო და იანკოვის მიერ დასახული კვადრატები წაშალა. — მომეცი კაშხლების ძირითადი ციფრები. არ გახსოვს? კარგი. პროექტის შედგენას იკისრებთ?

მან შლეგელს შეხედა. შლეგელი იანკოვის ზურგს უკან იდგა და ღიმილით მისჩერებოდა.

— აქ რალაც არის, — თვალი ჩაუკრა მარჩენკომ: — მე რომ... — და მან სუფრაზე რამდენიმე ციფრი დასწერა, — მე რომ ორი ასეთი კაშხალი მომცა, პურის საკითხს მოვაგვარებ. სულ იოლად.

მარჩენკომ რალაც გამოიანგარიშა, ჩაფიქრდა, შემდეგ ფრთხილად სუფრა აიღო, ოთხად დაკეცა და საწერი მაგიდის ყუთში ჩაკეტა.

— მაგრამ თუ შენ ამაოდ გამალიზიანე, გავრილა ეფიმოვიჩი,—
 მორცხვად მიმართა მან იანკოვს,—მაშინ შენთან ნაცნობობაზე
 ხელს ავიღებ.

სტუმრები გამოეთხოვნენ მასპინძელს.

შლეგელი და ლუზა თბილ როლს-როისში სხდებიან. ქარბუჭი,
 ქარბუჭი! ყველაფერი თოვლის მტვერშია გახვეული. სამყარო
 გაჰქრა. მაგრამ გზატკეცილი გაშუქებულია ელექტრონით. ლამპე-
 ბის მქრალი შუქი ძლივს მოსჩანს, მაგრამ მაინც მოსჩანს, და შლე-
 გელი მიჰქრის ქარბუქსა და წყვილიდში. აი, ასეთივე გზატკეცილი
 გაჰყავთ ახლა შორეულ ჩრდილოეთში და ერთი წელიც არ გაიე-
 ლის, რომ როლს-როისი თავს ამოჰყოფს ჩუკოტკაში, ბანაკებს შო-
 რის, რომლებიც თანდათან სოფლებისა და ქალაქების სახეს ღებუ-
 ლობენ.

შლეგელს გული უცემს, როდესაც გაიხსენებს, თუ კიდევ რამ-
 დენი რამე უნდა ააშენოს და შექმნას. ეს არის მოუთმენელი ადა-
 მიანის გულისცემა. ის მისჩერებია ტაიგას, გზას, მშენებელთა საც-
 ხოვრებელ ადგილებს, ტყიდან დიდ და მხიარულ გზაზე გამოსულ
 მონადირეთა პირველ ქოხებს და ხედავს იმას, რისი ხსენებაც ჯერ
 არ არის,—არა ტაიგას, არა სოფლების ჩანასახს, არამედ ქალაქს
 გზაჯვარედინზე, აი აქ, ხოლო მარცხნივ, მდინარის გაღმა—ავტოსა-
 რემონტო ბაზას, შესანიშნავ ბაქს და სასტუმროს ფართო ველზე.
 ყოველივე ეს ჯერ არ არის, მაგრამ ცხოვრებამ ასწავლა ისე ხე-
 დავდეს და გრძნობდეს ფიქრით დასახულს, როგორც უკვე არსე-
 ბულ რეალობას.

ასე ისახებოდა სკოლები და საავადმყოფოები ტაიგის ჯერ კი-
 დევ დაუხახლებელ ადგილებში. ამ სკოლებისა და საავადმყოფოე-
 ბისათვის აგროვებდნენ ხალხს, ხალხისათვის გეგმავდნენ ყოფა-
 ცხოვრებას, არქიტექტორები დაობდნენ ქალაქის სტილზე, სამეურ-
 ნეო მუშაკები კი იმაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ იშრომებს მომა-
 ვალი ქალაქი. მაგრამ იქ, სადაც ქალაქი უნდა იყოს, ჯერ კიდევ
 ტაიგა გუგუნებდა: ხოლო როდესაც პირველი ნაჯახი ერქობოდა
 ხეში, ყველაფერი უეცრად ჩნდებოდა და ველურ (ასე ეჩვენებოდა
 გარეშე პირს) ქაოსში მშენებლობას აწყდებოდა. პარიკმახერი მზა-
 რეულზე აღრე მოდიოდა, ხოლო შემნახველი სალარო სასადილო-

ზე, კლუბზე თუ სააადმყოფოებზე აღრე იხსნებოდა. ბეტონსარევე-
ლასთან ერთად მოჰქონდათ როიალი. მაგრამ ქალაქი უკვე დიდი
ხანია ნათლად მოხაზული იყო. მისიკენ მიისწრაფოდნენ დაწესებუ-
ლებები, ისინი ერთი მეორეს ასწრებდნენ, როგორც მოუთმენელი მა-
ყურებლები სათეატრო და რბაზის წინ, სადაც ისინი ერთი წუთით
აურზაურს ჰქმნიან კარებთან...

რვა საათის შემდეგ შლეგელი შედის თავის კაბინეტში, ოდნავ
მოქანცული, მაგრამ მხნე. სანამ საქმეს შეუდგებოდეს, ურეკავს
მარჩენკოს, ეუბნება:

— როდესაც მოვდიოდი, შოტმანი გამახსენდა. გახსოვს, გმი-
რობად ითვლებოდა ამ დროს ტაიგაში გავლა, ახლა კი,—ჩუმად
იცინის,—რა უნდა ჩავიდინოთ, რომ გმირებად ჩაგვთვალონ? ჰა?

და ესმის მარჩენკოს ამოხვნეშა და ხმა:

— შეიარაღების კვალობაზე გავაკეთებთ რამეს, სიმონ. რამეს
გავაკეთებთ. მოხუცები ხომ არა ვართ?

ირგვლივ კი ზუზუნებს ქარბუქი, ქარიშხალი, შფოთავს მიმა-
ვალი ზამთარი, იმტვრევა და იმსხვრევა ყინვა მდინარეზე. სულით
და ხორციით მონადირე ლუზა გრძნობს გაზაფხულის მოახლოებას.
ზუევემა ამურის ნიკოლაევსკში, ალბათ, განკარგულება გასცა,
მომეზადებინათ ფლიგელი სტუმრებისათვის და შუალამემდე ზის
რადიოკვანძში, ახალ ამბებს დარაჯობს, ანგარიშობს, ვინ როდის
ჩავა. უეკველია უკვე დაფაცურდა ზეიაგინი ვლადივოსტოკში და
დეპეშას დეპეშაზე ჰგზავნის, ჩქარობს დაიწყოს თავისი მეცნიერუ-
ლი, მხიარული გაზაფხული ექსპედიციით.

ამ ზამთარში გაზაფხულს შემოდგომიდანვე მოელოდნენ. გაც-
ხოველებული, უმაგალითო გაზაფხულისათვის ემზადებოდნენ.
ნალხი მთელ ზამთარს ჩადიოდა, და გზების მეოხებით გამოცოცხ-
ლება იანვრიდან დაიწყო, ხოლო აქა-იქ ოქტომბრიდანაც არ შეწყ-
ვეტილა. ახლა ზამთარი ხელს არ უშლიდა ტემპებს. მას გარს შე-
მოარტყეს გზები, დასერეს ავიოხაზებით, მაგრამ რა რიგ გაცხოვე-
ლებულიც არ უნდა ყოფილიყო იგი, და შეიძლება სწორედ ამ გაც-
ხოველების გამო, მოელოდნენ საუცხოვო, ჯერ კიდევ უნახავ გა-
ზაფხულს.

ყველაზე მეტ სიძნელეს განიცდიდა შერშავინი საზღვარზე. სიმაგრის მშენებლობის დრომ დიდხანია განვლო. წავიდნენ ინჟინრები, და დაიწყო მიწაში ღრმად ჩაფლული ცისხე-სიმაგრის ზუსტად განწესრიგებული ცხოვრება.

ერთი მეორეს მოჰყვა პროვოკაციები საზღვარზე. თეთრგვარდიელები კოლმეურნეებს ტყვიას უშენდნენ, იაპონელები მუდამდღე „ასწორებდნენ“ სასაზღვრო ხაზს და საბუთად ძველის-ძველ ხელშეკრულებებს იმოწმებდნენ. არ იყო ისეთი ღამე, რომ სროლა არ ამტყდარიყო. მესაზღვრეები ისე მუშაობდნენ, როგორც ომის დროს, უძილოდ, შეუსვენებლად. ხან განაწამები ჩინელი მიიბრუნს ალიონზე და შველას ითხოვს, ხან სასოწარკვეთილებამდღე მიყვანილი იაპონელი ჯარისკაცი გადმორბის და პოლიტიკურ თავშესაფარს მოითხოვს, ხან საზღვარზე გადმოდის მანჯურელთა ნაწილი, რომელსაც გაუუღელტია თავისი მეთაურები, მას უკან მოსდევს იაპონიის რაზმი, და მოწინავე სასაზღვრო ხაზზე იწყება ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი ბრძოლა.

მარტო უკანასკნელი ზამთრის განმავლობაში ტარასუკს ოთხჯერ მოუხდა ხელჩართული შეტაკება საზღვარზე გადმოსულ იაპონელებთან. იგი დასჭრეს, მაგრამ არაფრისათვის არ მიდიოდა დასაელეთისაკენ, ეშინოდა, არ გამოჰპაროდა ომის ის საპასუხისმგებლო დღე, რომელიც ყველას კარზე მომდგარი ეგონა. სასაზღვრო მღელვარებანი შერშავინზედაც მოქმედებდნენ. საქმე გამრავლდა, მაგრამ დრო წინანდელზე ნაკლები რჩებოდა.

გამაგრებული რაიონის კომენდანტი გუბეროი კი განუწყვეტილად აშენებდა. როდესაც თავდაცვის ზოლი მოათავა, ხელი მიჰყო ბინებს, ელექტრო-სადგურებს, ელექტრო-ბატარეებს, საპარაშუტო კოშკებს.

შერშავინი ხალხს დასტრიალებდა თავს. იგი შეუსვენებლივ მუშაობდა მათთან. ოჯახებს უქმნიდა მეთაურებს, მიწაზე სამუშაოდ გადაჰყავდა სამხედრო სამსახურიდან ვადის გასვლის გამო განთავისუფლებული მეომრები, იწერდა საჯიშე გოჭებს, რგავდა ყვავილებს, ამკვიდრებდა ყოფა-ცხოვრებაში მუსიკას, აწყობდა საქადრაკო ტურნირებს და ლექციებს აგრონომიაზე,—და ყოველივე

ეს ცოტა იყო, სულ ცოტა. ადამიანები მიეჩვივნენ უფრო სწრაფად და ღრმად ზრდას.

ოლგა მესამედ წავიდა მოსკოვში და უკვე ნახევარი წელიწადია პრიმორიეში არ დაბრუნებულა.

შერშავინი ათ დღეში ერთხელ სწერდა წერილებს. მოხსენებასავე დაწერილებით აღნიშნავდა ყველაფერს. ეკითხებოდა ათას რამეზე: წიგნებზე და თესლზე, რეპროდუქტორებზე, სახელმძღვანელოებზე და ლექსიკონებზე, მსახიობების ჩამოსვლაზე. უკანასკნელ ზამთარს მოიქანცა გაზაფხულისა და ყოველივე იმ ახალის მოლოდინში, რის ჩამოტანასაც ოლგა შეჰპირდა.

„თუ ჩამოვიდა და ჩამოიტანა, მაშინ ცხოვრებაც მოგვარდება“, ფიქრობდა შერშავინი, მაგრამ არა სჯეროდა, რომ ეს მოსახერხებელი იყო, იმდენ რამეს სთხოვდა ოლგას.

კარები დააკაკუნეს. კომისარმა საათს დახედა—თითქმის შუალამე იყო.

— მობრძანდით!—სთქვა მან, თან წერას განაგრძობდა.

— მგონი რაღაცას სთხზავ, — მოისმა კარებიდან ვასილ ლუზას მოკრძალებული ხმა. — ხელი შეგიშალე.

— წერილს ვწერ ცოლს, — სთქვა შერშავინმა. ის ჩასჩერებოდა მაგიდაზე გაშლილ ორ თუ სამ საქმეს და რაღაცას იწერდა იქიდან. — უფრო ადვილია არმიის პოლიტსამმართველოსათვის მოხსენების შედგენა... დაჯექ... ახლავე გავათავებ.

მან ამოიწერა საქმეებიდან ადგილები, გადაათვალიერა რამდენიმე წიგნი თაროზე და მართლაც დასასრულს მიუთახლოვდა.

— წერილი, — პატივისცემით წარმოსთქვა ლუზამ. — მაგისთანა წერილს სამ დღეს ვერ წაიკითხავს კაცი...

— ასე ვწერ. ვინ იცის, იქნებ უკანასკნელია. ყველაფრის თქმა გინდა, ეს ყველაფერი კი ერთი ნაბეჭდი ფურცელი მაინც გამოვა, თუნდაც მარტო თეზისებად გამოსთქვა.

— მაგდენ შრომას არა სჯობია დეპეშა გაუგზავნო, ჩამოვა და სიტყვიერად მოელაპარაკები.

— ვინ იცის, შეიძლება ველარც მოესწროს.

კომისარმა კალმის ტარი გვერდზე გადასდო და ლუზას გაუღიმა:

— რამდენი წელიწადია ომს მოელი, მაგრამ საკმაოა შემოგხედოს კაცმა, რომ სთქვას: შენ ომისათვის, ვასილ, სრულებით არა ხარ მზად. სრულებით არა ხარ მზად.

შერშავინმა აუჩქარებლად დაბეჭდა წერილი, დარეკა შტაბში, შემდეგ მიუჯდა ვასილს და ხელი მოჰხვია.

— შენი სულიერი მდგომარეობა კარგად ვიცი, — სთქვა მან. — მაგრამ ახლა ლაპარაკის დრო არ არის. დღეს თუ კარგად გამოვიძინეთ, საუბარს ხვალაც მოვასწრებთ.

— მეთამაშები? — მკაცრად წარმოთქვა ლუზამ და უხელოვანად შეხედა კომისარს, რომელმაც ფარაჯა ჩაიცვა და სამხარაილიე გაიკეთა. — თუ მართალს ამბობ, მაშინ შენს გულს სწორად უგრძენია, — დასძინა ლუზამ. — ოჰ, რა არ განვიცადე ამ დღეებში! როცა ხელს მაგიდაზე ვდებ, მაგიდა ძაგძაგებს, ქიქები ზანზარებენ, დავიტანჯე.

— ფაქტია, რომ დავიტანჯე. ვიცი. სულ კი უსაქმურობისაგან ვასილ. სიზარმაცემ გაგაწამა.

— ხომ არ გაგიჟდი...

— მოითმინე. ვასაკეთებელი არაფერი მაქვსო, ამბობ. სასროლო წრე ვინ დაარსა? — შენ. ორასი ვოროშილოველი მსროლელი ქალი ვინ მისცა ჩვენს ქვეყანას? — შენ.

— მე კი არა, შენმა უშაკოვმა, ეშმაკმა დასწყევლოს მისი თავი! ხელიდან მაცლის ყველაფერს. წამომცდება თუ არა რამე, თვალის დახამხამებაზე აკეთებს. პირდაპირ არამზადაა. სულ იმას ფიქრობს, ყველაფერი თვითონ გააკეთოს. ვეუბნები, მოიცა, მე თვითონ გავაკეთებ-მეთქი. გაგონილა, გამოვიგონებ თუ არა რამეს, პირდაპირ თავიდან მაცლის. სულ თვალეებში შემომტყეპს.

— სიკვდილი? — მკაცრად და დინჯად შეეკითხა კომისარი.

— რა სიკვდილი?

— შენს მაგივრადაც ის მოკვდება?

ლუზა ფეხზე წამოდგა.

— უკაცრავად! სიკვდილში, — მაპატიე უხეში სიტყვისათვის, — ყველანი მე მომბაძავთ.

— თუ მაგრეა, ულევი საქმე გქონია, — უთხრა კომისარმა. — აბა წავიდეთ წინა ხაზზე. ტარასუკთან შევიაროთ. გიცნობ, როგორც კი საზღვარს დაინახავ, ერთბაშად წყნარდები და ლამაზდები.

ლუზამ კმაყოფილებით გაიცინა.

— მე ჩემი რისკი მიყვარს, — ნართაულად წარმოსთქვა მან უკვე კმაყოფილმა და ნათელი ხმით. მის ხმაში აღარ ისმოდა ოდნავი შფოთვაც კი, დილიდან რომ სტანჯავდა.

193. . . წლის ხუთ მარტს მშობლიურ მხარეში დასასვენებლად ჩამოსულმა პარტიზანთა მეთაურმა ვან სიუნ-ტინმა გაიგო, რომ იაპონელთა დივიზიები ხანკის ტბისაკენ დაიძრნენ. ეანდარმების ოფიცრები არკვევდნენ კაპიტან იაკუიამას დალუპვის მიზეზებს. შეუდგნენ გამოძიებას, თუმცა იცოდნენ, რომ იაკუიამა საზღვარზე მოჰკლეს. აპატიმრებდნენ ყველას ჩვიდმეტი წლის ასაკიდან ორმოცდაათი წლის ასაკამდე. ექვს მარტს ვან სიუნ-ტინმა ახალი ცნობები მიიღო: იაპონელები ორი არმიით მიემართებოდნენ. შვიდ მარტს მან დილიდანვე სავსებით ზუსტად იცოდა, რომ დაიწყო ომი, თუმცა ეს სიტყვა არავის არ წარმოუთქვამს.

ვან სიუნ-ტინი დაიბნა. ომის დაწყება მას სხეანაირად ჰქონდა წარმოდგენილი, მას ეგონა, ომი უფრო ნელა დაიწყებოდა, უფრო გასაგები და ცხადი იქნებოდა.

ომი ტაიფუნით¹⁾ დაატყდა თავს. თავის რაზმებს მოშორებულიმა, პარტიზანთა შტაბს მოწყვეტილმა, მან ერთი წუთით თავი ვითარების ტყვედ იგრძნო. მაგრამ შვიდ მარტს საღამოთი მან რამდენიმე სიტყვა მიიღო იუ-შანისაგან: „იქ დარჩი, სადაც მოგისწროს. იქ დაიწყე, სადაც მოგიხდეს. ფრონტთან ახლოს იყავი“

• მაშასადამე, მართალი იყო — ომი დაიწყო.

პრესა უკვე დიდიხანია იუწყებოდა: იაპონიის ჩრდილოეთ პროვინციებში შიმშილიაო, მსოფლიო ბირჟაზე იენის კურსი დაეცაო. შიმშილს განიცდიდნენ აომოტოსა და ივატაში, იხოცებოდნენ აკიტსა და მიაგაში, გამორბოდნენ ფუკუსიმიდან. რალაც უნდა მომხდარიყო. დიდ უბედურებას გამოსავალი სჭირდება. და იაპონელთა გონებაში უფრო და უფრო ხშირად ელავდა აზრი ომზე, როგორც უბედურებისაგან თავდასაძვრენ საშუალებაზე. შორეულ აღმოსავ-

¹⁾ ტაიფუნია — ჩარიზხალი. ჰკის წყნარ ოკეანეს დასავლეთ ნაწილში, იპონიის აღმოსავლეთ ნაპირებიდან.

ლეთში ომს დიდი ხანია მოელოდნენ და მზად იყვნენ. იმი აღმოსავლეთის ყოველი მცხოვრებისათვის სავალდებულო ჭირვარამის განრიგებაში შედიოდა.

აღამიანები შორეულ აღმოსავლეთში მრავალ წელს ომობდნენ და მათი შეშფოთება არაფერს არ შეეძლო. მათ ააშენეს ქალაქები, გაიყვანეს გზები ტაიგაში, ამოაშრეს ჭაობები, დათესეს ტუნდრა; დაამარცხეს ზამთარი ჩრდილოეთ ოკეანეში და კარვად იცოდნენ; რას ნიშნავს შრომა, ტანჯვა და განსაცდელი. გაიზარდნენ ისინი, ვინც ომზე უარესი უბედურება გადაიტანა.

იაპონიის ინგლისელი კრედიტორები შეშფოთებულნი იყვნენ მდგომარეობით. შექსპირის ჰამლეტის მსგავსად ისინი მკოთხაობდნენ იაპონიის იმპერიის ყოფნა-არყოფნის შესახებ. თავს გაართმევს თუ არა შიმშილს დაძაბუნებული რეჟიმი და ეს შიმშილი სწორედ ის ომი ხომ არ იქნება, რომელმაც ხანგრძლივი დროით უნდა დაასუსტოს იაპონიის იმპერიალიზმი გარედან ჩაურევლად?

ინგლისში არ იცოდნენ—მხარი დაეჭირათ იაპონიისათვის თუ დაელუპათ იგი, და გაზეთებმა მაშინვე გაგზავნეს თავიანთი კორესპონდენტები, რათა საზოგადოებისა და ქვეყნიერებისათვის ეცნობებინათ საქმის ვითარება.

მონღოლეთის საქმეებისაგან თავისუფალი მურუსიმა მანხაიში შეეგება კორესპონდენტებს და დაარწმუნა, იაპონიის კომძლების დათვალეირებამდე სამიოდე კვირით მანჯოუ-გოში წასულიყვნენ. ადრე თუ გვიან მაინც უნდა ენახათ საბჭოთა საზღვარი, ამიტომ დათანხმდნენ. სულ სამნი იყვნენ. ცივად ეჭირათ თავი. ბევრ შეკითხვას იძლეოდნენ სრულიად მოურიდებლად და, როგორც მოკავშირეები, ნებას აძლევდნენ თავს ზოგიერთი რამ საეჭვოდ მიეჩნიათ. მათის აზრით, არაფერი ისე არ უკარგავს კაცს ფასს, როგორც გაუმართლებელი ოპტიმიზმი. მურუსიმა სერიოზული საუბრით ართობდა სტუმრებს.

— რათა წარმოდგენა ვიქონიოთ იაპონიის სინამდვილის ცვლილების ტემპებზე,—ეუბნებოდა მურუსიმა სტუმრებს, —საკმაოა გავიხსენოთ, კოლეგებო, რომ პორტ-არტურის ამღებმა გენერალმა ნოვიმ თავისი სამხედრო კარიერა დაიწყო სამურაების აჯანყების დროს, დაიწყო იგი აბჯარასხმულმა და მშვილდისრით შეიარაღე-

ბულმა. მარშალმა იამაგატომ ახალგაზრდობისას ზღვაში შესცურა, რათა მახვილით ჩაეძირა უცხოელთა გემი იაკოგამასთან. რუსებთან ომის დროს კი იგი თავდაცვის საბჭოს პრეზიდენტი იყო.

— მეტად საგულისხმო ცნობაა, — შენიშნა ერთ-ერთმა ინგლისელმა, ლოკსმა.

— მარტოოდენ თავისი სიცოცხლის განმავლობაში გენერალმა ნოგიმ გადაფურცლა სამხედრო ხელოვნების ის ევოლუცია, რასაც ევროპის ისტორიაში ხუთ საუკუნეზე მეტი დასჭირდა. გენერალ ნოგის შემდეგ ბევრმა დრომ განვლო. წარსულ წლებში ჩვენ სამი ათასი მილიონერი გვყავდა. ახლა ჩვენ ევროპას ვაწვდით ველოსიპედებს, სამ ამერიკულ დოლარად თითოას.

— რამდენი წლით გადაისროლა უკან იაპონია 1920 წლის კრიზისმა? — ჰკითხა ჩარლზმა.

— ათას ცხრაას ოცდაცხრა წელს ჩვენ ეგ კრიზისი უკვე გადავლახეთ, — უპასუხა მურუსიმამ. — გაიხსენეთ, რომ ჩვენ მხოლოდ ათას ცხრაას წელს ვისწავლეთ საველე და ჰამთო ზარბაზნების გამოჩარხვა შემოტანილ დაზგებზე ოსაკას არსენალში. ათას ცხრაას წლამდე ჩვენ არ ვიცოდით არც ერთი ფოლადის საქვემეზე ყალიბის, არც ერთი სათოფე ლულის დამზადება. ყველაფერს ვყიდულობდით ან თვითონვე ვიკონებდით.

— ვიცი, ვიცი, თქვენ ინგლისური ლიდტიც კი გამოიგონეთ და შიმოზა უწოდეთ, გამოიგონეთ გერმანული შაშხანა-ჰაუხერი და ორისაკას თოფად გაასაღეთ, — სთქვა ჩარლზმა. — ამბობენ, რომ იაპონიაში გამოიგონეს ცხენის ჭიხვინიც კი, რომელიც ინგლისელ მტვირთავს მოუპარავს მეთვრამეტე საუკუნეში.

მურუსიმამ მხიარულად გადინხარხარა.

— ჩვენს მეზობლებს, რუსებს, მშვენიერი ანდაზა აქვთ: „მუცელი გტკივა, როდესაც ირგვლივ არაფერი ჰყრიაო“, — სთქვა მან, დაამახინჯა რა ანდაზის აზრი.

— სახიფათო ანდაზაა ჯანმრთელობისათვის, თუ მას იაპონურად გამოიყენებ, — შენიშნა ნელსონმა.

— ჩვენს დამოკიდებულებას უცხო სახელმწიფოებისაგან დანდებითი მხარეებიც ჰქონდა, — განაგრძობდა მურუსიმა. — ჩვენ სავაჭრო კავშირი ვავაბით. ათას ცხრაას პირველ წელს შევუღებით

მშენებლობას და თერთმეტი წლის შემდეგ უკვე ვაწვდილით საკუთარ შაშხანებს მექსიკას, ხოლო თხუთმეტი წლის შემდეგ — რუსეთს.

— ავტომობილების საქმე კი დღემდე ცუდად გაქვო, — შენიშნა ნელსონმა. — რას აპირებთ ამ მხრივ?

— ცუდად გვაქვს? მოტორები ტანკებისა და თვითმფრინავებისათვის საკუთარი გვაქვს.

— მართალია, თქვენ ამ მოტორების აწყობას აწარმოებთ, მაგრამ ეს მოტორები ხომ გერმანულია?

— მსოფლიო ომის დასასრულისათვის თქვენ სამხედრო მხრით ექვსი-რვა წლით ჩამორჩით, — შენიშნა ლოკსმა და ღაუნატა: — რაკი საერთო საქმეზე ვმსჯელობთ, ნება მომეციოთ ბოლომდე გულწრფელი ვიყო.

— შემდეგ, კოლეგა, ამაოდ იმოსებით მეძველმანისაგან ნაყილი საქონლით, — სთქვა ნელსონმა. — ამაოდ შეიძინეთ ანტანტისაგან ომის შემდეგ დარჩენილი ავლა-დიდება, რენოს ტანკები და მარტინის ჯავშნოსნები. მაღალ წრეში შესული ადამიანი ტანისამოსს ძვირ მკერავს უნდა უკვეთავდეს.

— გაიხსენეთ აკრეთვე, — დაუმატა ჩარლზმა, — ის ჟილიარდი, რომელიც თქვენ გადაიხადეთ საბჭოთა პრიმორიეში გასღიწნებისათვის. თუ არა ეცდები, ინტერვენცია სწორედ მილიარდად დაგიჯდათ.

— ძვირი სიამოვნებაა ასალგაზრდა ქვეყნისათვის, — სთქვა ლოკსმა.

— და არც თუ მაგდენად მდიდარი ქვეყნისათვის, — დაუმატა ნელსონმა. — დაურთეთ ამას ათას ცხრაას ოცდასამი წლის მიწისძვრისაგან მოყენებული ზარალი.

— ეჰ, მეგობრებო, ყველაფერი ეგ ნიპონის ძველთა ძველი ისტორიაა, — სთქვა მურუსიმამ. — ათას ცხრაას ოცდარვა წელს ჩვენ დიდი ნახტომი გავაკეთეთ და შევქმენით ავტომრეწველობა, გადავიარაღეთ ავიაცია, გვაქვს რამდენიმე ასი საკუთარი ტანკი...

— მაგრამ სანამ არ იგემეთ მარცხი შანხაისთან, თქვენს დივიზიებში სრულიად არ იყო გაუბიცები, — პირქუშად შენიშნა ნელსონმა.

— არმიაში გაწვეული ახალგაზრდობის დამუშავების საფუძვლები?—ჰკითხა ლოკსმა. — კელავ ძველი კატენიზმო, რომელიც განმარტავს იმპერატორის 1882 წლის რესკრიპტს.

— არა, კოლეგებო, არა!—პროტესტს აცხადებდა მურუსიმა. — მე თითქმის არა მჯერა თქვენი ექვები. არ შემიძლია დაუშვა ინგლისელთა შეხედულების ასეთი გულუბრყვილობა... 1908 წლის სამხედრო სამსახურის წესდებამ, ახალი გამოსავალი ხაზი მოგვცა.. წესდების ძირითად გეზს შეადგენს ეროვნული ტრადიციების აღდგენა რევოლუციურ სულისკვეთებასთან ბრძოლაში.

— ფილოსოფიური სარჩული, ალბათ, მაინც კონფუციისაგან¹⁾ არის ნასესხებნი,—სთქვა ჩარლზმა.

— იაპონია წარმოუდგენელია დაუსესხებლად,—წასჩურჩულა ნელსონმა ლოკსს.

— არსებობს პიროვნების დაძლევის ორი გზა,—სთქვა მურუსიმამ:—პატივისცემის ჩანერგვა ტრადიციებისადმი, რომელთა უმადლესი ფორმა წინაპართა კულტია, და ჩვეულებანი. ინდივიდმა თავი უნდა შეიკავოს თავის გრძნობათა გამოვლინებისაგან, თუ ეს გრძნობები სახიფათოა საზოგადოებრივი ჰარმონიისათვის, და ვალდებულია მიმართოს გარკვეულ მანერებს, გარკვეული ფორმა მისცეს თავის მოქმედებას.

— მაშასადამე, სახელმწიფო ამზადებს საყოველთაოდ სავალდებულო კალაპოტს პიროვნებისათვის.

— მამის უფლება! მამის უფლება!—დაიწყო ლულლული მურუსიმამ. — მამის უფლება და პატივისცემა შევილთაგან შეადგენენ ძალა-უფლებისა და მორჩილების ტიპს.

— ყველაფერი ეგ ჩინებულია,—სთქვა ლოკსმა,—მაგრამ დავაიწყდათ გეპასუხნათ გაუბიციებზე. თქვენ ხომ მართლაც არ გქონიათ გაუბიციები შენახისთან. ან ავიღოთ, მაგალითად, ზურგი. თქვენი ზურგის მოუწესრიგებლობაზე ყველა ლაპარაკობს, ვისაც არ ეზარება. თქვენი ზურგი არარად აქცევდა ჯარის სამანევრო

¹⁾ კონფუცი—(551—478 წლების წინათ ჩენს ერამდე)—ჩინეთის ფილოსოფოსი, წინაპართა ანდრძისა და ჩინეთის ძველი ტრადიციების კულტზე დაუფძნებელი რელიგიის შემქნელი.

ღირსებას. როდესაც მესამე და მეთერთმეტე დღეიწიები ჩინეთის დიდ კედელს მიაღწენ ათას ცხრაას ოცდაცამეტ წელს, თქვენი მდგომარეობა ყოველად უნუგეშო იყო: დაჭრილთა და დაზრულთა ევაკუაცია არ ხდებოდა, ჯარს საომარი საქურველი არ გააჩნდა, გზები...

— წმინდა წყლის უძველესი ისტორიაა!—იცინოდა მურუსიმა და კითხვებს უპასუხოდ სტოვებდა.

მუკდენში სტუმრებმა დაათვალიერეს ბოლდიხანთა სასაფლაო და ძველი ქალაქი.

— აქ, როგორც ეტყობა, სუნის გარდა, ყველაფერი დაბეგრლია, — სთქვა ლოკსმა და უარი განაცხადა ეგზოტიკურ გასიერნებაზე.

თუმცა მუკდენი ყველაზე გეომეტრიულ ქალაქად ითვლება დედამიწაზე და იგი მართლაც ზუსტად გამოზომილ ოთხკუთხედს წარმოადგენს, მაგრამ მოძრაობა იქ ქაოტიურია და აუტანელი ევროპელისათვის. მის მტვრიან და ნაცრისფერ, თითქმის გაუმწვანებელ ქუჩებში დაჭკროდნენ ლურჯი, ოქროსფრად შეფერადებული, ჯორებ-შებმული ეტლები, მძიმე ჩინური ურმები „და-ჩე“, რომლის თვლებიც ღერძთან ერთად ტრიალებენ, მსუბუქი დაურული ორთეალები, გარდასული ფორმების მოტოციკლები და ავტომანქანები.

ჩარლზმა ყურადღება მიაქცია ავტომობილებს:

— კაცს ეგონება, თითქოს მუკდენელებმა ეს არის ეხლა გაძარცვეს ვაშინგტონის საავტომობილო მუზეუმიო.

ინგლისელებმა ორი დღე დაჰყვეს ქალაქში და სამოცდა ოთხი საფაბრიკო მარკა დაითვაღეს. მალე მათ ავტომობილების მარკის გამოცნობა მხიარულ სპორტად გადააქციეს. ისინი ყოველ კუთხეში გადმოდიოდნენ მანქანიდან, როდესაც კი შემთხვევა ეძლეოდათ გამოეცნოთ ძველი დეიოანდებისა, ბრეკვებისა და სტუარდებისაგან შეკოწიწებული რომელიმე ექვსთვლიანი საოცრება.

მურუსიმა ზრდილობიანი ღიმილით მიბაჯბაჯებდა ინგლისელების უკან.

— ჩინელები ყიდულობენ ყველაფერს, რასაც მათ მიაჩნებენ, — მხიარულად ამბობდა ის.

მართლაც, იქ იყო ყველაფერი, რაც კი უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მთელი მსოფლიოს ავტოქარხნებიდან გამოსულა.

ინგლისელებმა დაათვალიერეს ლამაელთა ტაძრები მუკდენის მახლობლად და ფუშუნში წასვლა დააპირეს, მაგრამ მურუსიმამ ისინი გირინში წაიყვანა: ფუშუნში შავი ქირიაო,—განუცხადა მათ მურუსიმამ.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ფუშუნი თითქმის მკვდარი იყო. ფარალალა და დანგრეულ სახლებში თავი შეეფარებინათ ძალებს, ეზოები მკვდართა გვამებით იყო მოფენილი. კვამლი ასდიოდა ქარხნების ნანგრევებს. იაპონელთა საინჟინრო ბატალიონები დღე და ღამე მუშაობდნენ გზების შეკეთებაზე.

ფუშუნი მკვდარი იყო, მაგრამ მურუსიმა არ სტყუოდა—გამდებები სენი მისგან მთელ ქვეყანას ედებოდა. იგი შავ ქირზე საზარელი იყო, რადგან მისი საწინააღმდეგო წამალი არ არსებობდა, მისგან ხსნა შეუძლებელი იყო. ეძებდნენ დამსჯელი ექსპედიციებიდან გაქცეულ ჯარისკაცებს, დეზერტირებს, და ქალაქის წესრიგში მოყვანის დროს სდუმდნენ იმაზე, რომ გააფთრებული ბრძოლის ადგილებზე ვერსად ვერ ნახეს ვერც ერთი შაშხანა, ვერც ერთი მთელი ვაზნა. ისინი აკრიფა და თან გაიტაცა ფუშუნიდან გაქცეულმა ხალხმა. ყოველი სიტყვა ფუშუნზე ქირი იყო: შახტებმა შესწყვიტეს მუშაობა, ქარხნები დაცალიერდა და ხანძარი დაირენის სანაესადგურო დეპოებში მხოლოდ ამ დღეებში ჩაქრა.

გირინში სტუმრებმა დაათვალიერეს ახალი სამხედრო ქარხანა და მიიღეს ნებართვა სამხედრო სატუსალოს კამერაში ესაუბრათ კორეის საზღვარზე მოქმედ პარტიზანთა მეთაურთან, ცნობილ ტიან პინ-ვეისთან. იგი უხეში კაცი იყო, დაახლოვებით ორმოცდახუთი წლისა. მას აბრალებდნენ გვირაბებისა და რკინისგზის ხიდების აფეთქებას.

სინძინში, მანჯოუ-გოს დედა-ქალაქში, ისინი მიიღო მთავარსარდალმა მინამიმ. როდესაც შტაბში მიდიოდნენ, მურუსიმამ უთხრა ინგლისელებს, მინამის „ხვალინდელ ვარსკვლავს“ უწოდებენო.

— მე ჩემს სახელწოდებაში რაიმე გუშინდელს, კონკრეტულს ვამჯობინებდი,—იხუმრა ნელსონმა.

მინამი, რომელსაც ჭკვიანი გენერლისა და შორსმჭვრეტი პოლიტიკოსის სახელი ჰქონდა დავარდნილი, ჟურნალისტებს უსიტყვოდ და ეჭვიანი თავდაკერით შეხვდა.

მურუსიამ აცნობა გენერალს სამი ინგლისელის სურვილი—დაეწერათ წიგნი იაპონიის როლზე აზიაში.

— თუ რამდენად მზადაა იაპონია ამ როლისათვის, — გაუსწორა ჩარლზმა.

გენერალმა პატივისცემით შეხვდა ჟურნალისტებს...

— კარგი წიგნი უფრო იშვიათია, ვიდრე კარგი კაცი. მე ასე ვფიქრობ, — წარმოსთქვა მინამიმ ჩაფიქრებულმა.

— გენერალო, ჩვენი მეგობრები კარგი ადამიანები არიან, უფრო მეტიც: საქმიანი ხალხია, — მურუსიამ ამაყად გადახედა ინგლისელებს.

— ვიცი, ინგლისელები მუდამ საქმიანობით განირჩეოდნენ, — ოდნავი ირონიით წარმოსთქვა მინამიმ.

მურუსიამ დაუყოვნებლივ გააცნო გენერალს მანჯურიაში ინგლისელების მოქმედების პროგრამა, თითქოს გენერლის თვალელებში ამოიკითხა მისი სურვილი. გენერალი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დარჩა, რომ მისი სურვილი ასე კარგად გაიგეს, უსიტყვოდ.

მინამი თავს იქნევდა და ჩუმად ამბობდა:

— მშვიდობიანობა, მშვიდობიანობა, მშვიდობიანი მუშაობა, დიად, დიად.

— ინგლისის საზოგადოებრივი აზრი იაპონიისაგან მოელის გადამწყვეტ შეხედულებას ჩრდილოეთზე, — სთქვა ნელსონმა. — იაპონიის დღევანდელი პოზიცია, რომელიც ასე გვაევიწროებს ჩვენ აზიის სამხრეთით, მაშინ, როდესაც მას ჯერაც არ აუთვისებია ჩრდილოეთ-დასავლეთი... On s'engage partout et puis on voit — ყველაფერში ჩავერევით და მერე ვნახოთ, — უხეშად წარმოსთქვა ნელსონმა ფრაზა, რომელსაც ნაპოლეონს აწერდნენ.

— მშვიდობიანობა, მშვიდობიანობა, ბატონებო, — ჩუმად, მონუსტის კილოთი იმეორებდა მინამი. — ჩვენს დროში საუკეთესო მარდალი ის არის, ვინც კამპანიას უბრძოლველად მოიგებს.

— მოსალოდნელია თუ არა, — ჰკითხა ჩარლზმა, — რომ წელს პარტიზანული ომი დამთავრდება და ანტი-იაპონური მოძრაობა ქალაქებში შესწყდება?

— ომი? — ჰკითხა მთავარსარდალმა. — მანჯურიის დამშვიდება, ბატონებო, დავიწყეთ ვერძის¹⁾ წელს. ამ წელს ომი არასოდეს არ არის.

მინამიმ გაკვირვებით შეხედა მურუსიმას და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია, თითქოს ეუბნება, არ მესმის, რომელ ომზე ლაპარაკობენ სტუმრებიო.

— იქნებ ნება დაგვრთოთ, გენერალო, დავათვალიეროთ საბჭოთა საზღვრის ზოგიერთი უბანი? — ჰკითხა ლოკსმა.

— ოჰ, საშინელი მოწყენილობაა იქ, საშინელი ტალახი! — სწრაფად მიუგო მურუსიმაძე.

— გენერალო, რა გადავცეთ თქვენის სახელით ინგლისის საზოგადოებას?

— ბატონებო, მე არ მიმიღია იმპერატორისაგან დავალება რაიმე გადავცე ინგლისის საზოგადოებას.

— იქნებ გვითხრათ რაიმე სახელმძღვანელო აზრი, სურვილი.

— არა, არა! თქვენს გულკეთილობას საზღვარი არა აქვს.

გენერალმა ხელები მუხლებზე დაიდო, ზრდილობიანად გაიღიმა და დაიხარა, თითქოს წამოდგომას აპირებსო.

როდესაც მანქანაში სხდებოდნენ, ნელსონმა სთქვა:

— არის ერთი ჩინური ზღაპარი. მდიდარ ტუესთან ლარიზი მივიდა და დახმარება სთხოვა. თავიდან მოსაშორებლად მდიდარმა უთხრა: დაგეხმარები, თუ ჩემს კითხვაზე სწორად მიპასუხებო. ლარიზი დათანხმდა. მაშინ მდიდარმა ჰკითხა: რომელი მაქვს შუშის თვალიო. ლარიზმა მიუგო — მარჯვენაო. მდიდარს გაუკვირდა და ჰკითხა, საიდან იციო. ლარიზი ეუბნება: უცბად გამოვიცანი შუშის თვალი, რადგან სიბრალულით შემომხედიაო. საჭიროა კომენტარიები?

¹⁾ ვერძის წელი (ვერძი მშვიდობ-ანობისა და სიწყნარის სიმბოლოა) — თაბონისა და ჩინეთის წელთაღრიცხვით ერთხელ მეორდება თორმეტ წელიწადში.

— ეფიქრობ, რომ გენერალს ორივე თვალი შუშისა აქვს,— ჩაუთოთო ლოკსმა. — უსაზღვროდ კეთილი და გულუბრყვილო კაცია.

— იაპონელი რომ არ იყოს, ვიტყვოდი, რომ იგი დიკენსის ქმნილებათაა.

გირინიდან ისინი კორეაში წაიყვანეს.

ექსპრესის ვაგონები ამერიკულად კომფორტაბელური იყოფრაქში გამოწყობილი მეტროტელი მათ დაკვეთას იღებდა მატარებლის მყუდრო და ძვირ რესტორანში. მაგიდებთან ბევრი იაპონელი ვაჭარი იჯდა.

— შეხედეთ, როგორ სკამენ მანდარინს,—სთქვა ნელსონმა. — კანს აცლიან, რბილელს წუწნიან და აგდებენ. ასეთია იაპონელი—იგი ყველაფერს მხოლოდ სწუწნის.

მურუსიმამ გაიღიმა, ჰაერი ჩაისუნთქა და ზრდილობიანად წარმოსთქვა:

— მაგასაც ცოდნა უნდა, ბატონებო!

უეცრად რადიოსაყვირმა მზიარული სიმღერა შესწყვიტა და შეშფოთებულმა ხმამ დაიყვირა: „რუსებმა მოკლეს მამაცი კაპიტანი იაკუიამა. სირცხვილი ჩვენ!“

მურუსიმამ თავზე ხელი იტაცა. სახე ყვითლად აეტიკრცა.

— იგი წმინდანი იყო!—დაიყვირა მან. — წმინდანი და საუცხოო ადამიანი, ჩემი მოწაფე, მზიარული, გულმართალი ადამიანი, მეცნიერი...

ხრინწიანად ყმუოდა, ხელები უკანკალდა.

— ერის იმედო!—ყვიროდა იგი. — უმამაცესო და უწმინდესო საყვარელო, გულუბრყვილო, იაკუიამა!

ინგლისელებმა ხელი მოკიდეს და კუბეში შეიყვანეს.

მურუსიმამ ცოტა რომი მოსვა და მაშინვე დაწვა ჭანცმილელთი. როდესაც ინგლისელები წაიღინენ, უბის წიგნაკი გადაშალა და წესრიგში მოიყვანა თავისი ანგარიშები. „ახლა ყური მახვილად უნდა მეჭიროს,—სთქვა თავისთვის. — როგორც ეტყობა, ჩვენებმა გადასწყვიტეს დაიწყონ საქმე ჩრდილოეთში“.

— ოჰ, უფალო იოსე ქრისტე!—წარმოსთქვა ჩურჩულით და პირჯვარი გადაიწერა, როგორც ქეშმარიტმა მართლმადიდებელმა.

მარტის დამდეგს იაპონიის მთავარმა ბანაკმა მიიღო დიდი ხნის წინათ განზრახული გადაწყვეტილება: დაეძრა არმიები საბჭოების საზღვრებისაკენ.

დაყოვნება უკვე შეუძლებელი იყო.

მას შემდეგ, რაც მსოფლიოს საბჭოთა კონსტიტუციამ დასკვნა, ომისთვის მზადების ვადა სამჯერ შემცირდა იაპონიისათვის-ანტი-იაპონური მოძრაობა სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით, ასუსტებდა რა კანტონსაც და ნანკინსაც, აძლიერებდა წითლებს სიჩუანში და ჰბადებდა ყველგან იაპონელთა წინააღმდეგ ბრძოლის ენერჯიას. ქალაქი ქალაქის წინააღმდეგ, სოფელი სოფლის წინააღმდეგ, ქუჩა ქუჩის წინააღმდეგ, ოჯახი ოჯახის წინააღმდეგ,— და ჩინეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობის დაშლისა და დაქსაქსულობის ეს ხანა ყველაზე ხელსაყრელი იყო ოპერაციებისათვის ჩრდილოეთში. ჩინეთი საკუთარი საქმეებით იყო გართული, და არაფერს არ შეეძლო მისი ძალების განთავისუფლება ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის საზღვრებზე მომხდარ ამბებში ჩასარევად.

ბრძოლა ჩინეთის შიგნით რთული და დახლართული იყო. მასში ერთბაშად ჩაბმულ იქნა მრავალი კლასობრივი ძალა და გამოყენებულ იქნა უამრავი უცხოური გავლენა.

მურუსიმა, მოწაფე დოიხარასი, „საიდუმლო სამხედრო წრეების“ წარმომადგენლისა, ჯაშუშისა, რომელიც სამინისტროებს ამზობდა, და მსოფლიო ბირჟაზე მომუშავე პოლიტიკოსისა,—აღამიანთა იმ მცირე რიცხვს ეკუთვნოდა, რომელსაც დაწყებულ ქაოსში ესმოდა მიზნის ღრმა აზრი და უაღრესი სიცხადე.

საკირო იყო ხელ-ფეხის შებოკვა ჩინეთისათვის. მას იაპონელების გაძევება სურდა?—გავადვივოთ მასში ეს გრძნობები. იგი ინგლისისაგან დახმარების მიღებას ფიქრობდა?—დავპირდეთ ამას. დემოკრატიაზე ოცნებობდა?—აღვიაროთ იგი. დიქტატურაზე?—გზა გავუხსნათ მას.

მურუსიმა დიდი ხანია გაიმსქვალა ინგლისელ მზვერავთა და ამერიკელ ვაჭართა სიყვარულით.

— იმოქმედეთ, იმოქმედეთ!—ეუბნებოდა მათ მურუსიმა ალგუნებით,—ჩინეთი ყველასია.

ის ოცნებობდა ჩაება ამ თამაშში ჰოლანდიელი რეზინდეტებიც, ტიბეტელი ნაციონალებიც, გუანსელი ფედერალისტებიც.

როდესაც იაპონური საქონლის ბოიკოტი მთელ ჩინეთს მოედო, მურუსიმა შეეცადა, რომ ყველაფერი, რითაც ჩინეთი არსებობდა, იაპონური წარმოშობის საქონლად მიეჩნიათ: ჩაი, ბრინჯი, აბრეშუმი, მატყლი, ცერცვი,—ყოველივე ეს ახლა საექვოდ იყო მიჩნეული.

ან შიმშილით უნდა მომკვდარიყავი, ან ბოიკოტისათვის უნდა მიგეფურთხებინა: ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მთელი ჩინეთი იაპონიაში გაუკეთებიათ და გასასყიდად მოუტანიათო.

მურუსიმა მხარს უჭერდა ანტი-იაპონურ მოძრაობას და აფინანსებდა იაპონური საქონლის ბოიკოტს, ეხმარებოდა ტერორისტებს და ბევრს მუშაობდა პანაზიური ჯგუფების ბელადებთან, არ იშურებდა მათთვის არც ფულს, არც დროს.

და ყველაფერი ჯარასავით დატრიალდა გაშმაგებულ ქარიშხალში.

შვიდ მარტს ღამით გენერალმა მინამიმ იაპონია-მანჯურიის შეიარაღებული ძალები სსრ კავშირის საზღვრებისაკენ დაძრა.

განზრახული იყო, რომ გენერალ ნაკამურას მეორე არმიის ძალებით მთავარი მახვილი ჩაეკათ ხანკის ტბის მიდამოებში გეორგიევკისთვის.

ამ არმიის ამოცანას შეადგენდა—გაერღვია საბჭოთა სიმაგრეების რკალი საზღვარზე, გასულიყო, რკინიგზასთან და მოეწყვიტა პრიმორიე მხარისათვის.

ამავე დროს გენერალ კუროსაკის პირველ არმიას, ფლოტისა და საზღვაო ავიაციის დახმარებით, კორეის მხრიდან უნდა დაეჭირა მდინარე ტიუმინგანის შესართავი და ზღვის ნაპირით მისულიყო პოსიეტის ყურემდე.

გენერალ ნისკოს მესამე არმიას, რომლის წინაც ბლაგოვეჩენსკი მდებარეობდა; სუნგარის სამდინარეო ფლოტილიის დახმარებით, უნდა შეებოჭა წითლების რაც შეიძლება მეტი ძალები.

იოშიდის მეოთხე, მარცხენა ფრთის არმია, რომელშიაც შედიოდნენ აგრეთვე თეთრმონღოლთა და რუს თეთრგვარდიელთა ცხენოსანი დივიზიები, მზად იყო გამანადგურებელი მახვილი ჩაე-

ცა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისათვის, გადაელახა იგი და გამაგრებულყო ბაიკალთან.

მონღოლეთის მიმართულება ომის ძირითადი გზა იყო, მაგრამ მისი უდიდესი ეფექტის გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკამურა მიალწევდა ხანკის ტბას, გაჰკვეთდა რკინისგზის მაგისტრალს და ამით ვლადივოსტოკსა და პრიმორიეს საჯიჯგნად მიუგდებდა კორეიდან გადასულ კუროსაკის არმიას.

მაიძურუდან გამოვიდა ორი ესკადრა ვლადივოსტოკში გადასახმელ სადესანტო ნაწილებით. სამი სხვა ესკადრა იცავდა მრავალი ასი გემისაგან შემდგარ ტრანსპორტს. ამ გემებით იაპონია ჩინეთისა და კორეის ნაპირებისაკენ ჰგზავნიდა სამასიათას ჯანსაღ ახალგაზრდას, ტანკებს, თვითმფრინავებს, საჭურველს, საწვავს, სურსათს,—საუკეთესო დოვლათს, ყოველივე იმას, რაც დაგროვილ იქნა იაპონელთა მილიონების დამშევისა და გაჟლეტის ფასად.

შვიდ მარტს ღამით, იმ დროს, როდესაც იაპონელ მსროლელთა პირველი ეშელონები საბჭოთა საზღვრებისაკენ მიდიოდნენ, ხოლო პირველი ტრანსპორტები ხალხითა და იარაღით იაპონიის ნავსადგურებიდან ჩრდილოეთისაკენ მიისწრაფოდნენ, იაპონიის ყველა ქალაქში და ჩინეთის იმ ქალაქებში, სადაც იაპონელები ბატონობდნენ, დატრიალდა დაპატიმრებათა სტიქია. იპყრობდნენ საექვო, სახიფათო აზრებით გატაცებულ მშფოთვარე პირებს, ურჩობასა თუ ზედმეტ დამოუკიდებლობაში შემჩნეულ უმუშევრებს, იჭერდნენ ექვის აღმძვრელ ნასწავლ ხალხს და სამწყობრო სამსახურისათვის უვარგისებს, აპატიმრებდნენ გზის სპეციალისტ-მუშაკებს და ჩინელ მტვირთავეებს, ფორმოზის მკვიდრ მცხოვრებლებს და კორეელ მათხოვრებს, და ერთმანეთისათვის უცხო აღამიანთა მთელ ამ ჭრელ ურდოს ჰგზავნიდნენ მანჯურიის ფრონტის ზურგში—გზების გასაყვანად და ტვირთის საზიდად.

მანჯურიის მრავალ სოფელში აღარ დარჩენილან მამაკაცები, მოზარდები და ჯანსაღი ქალები, თითქოს ქვეყანას ჟამი მოედო და სიცოცხლეს მხოლოდ სიძაბუნე, მანკი და სისახიჩრე დაუტოვაო.

ჩრდილოეთს, ომის რაიონებს მიაშურეს ვაჭრებმაც. მოხეტიალე ცირკებს თან დაჰყავდათ ქალები. პროსტიტუცია და ვაჭრობა

ომს დაედევნა თავისი ჩაიხანებით, ცირკებით, სამიკიტნოებით და თილისმის დუქნებით.

ვაჭრებთან და პროსტიტუტებთან ერთად დაფაქურდნენ პირველ ხანებში შედარებით ნაკლები ინიციატივით აღქურვილი ბონზები მოძრავი ტაძრებით, სამლოცველოებით და ამ დიდი საბაზრო დღეებისათვის დიდი ხნის წინათ დამზადებული „წმინდა“ ნივთებით.

იჩივი პადროსოვოჲ

პირველ გაზაფხულზე ზღვის ნაპირას, გორაკიან ადგილებში სხვადასხვა ჰავაა. დაკლავნილი ხეობები პატარა მთებს შორის შესახვევებსა და ჩიხებს წააგავან. იქ, სადაც ხეობა გორაკებს ეკერის, ჰაერი შეკრულია და თბილი, ირგვლივ გამხმარი ბალახის სუნი დგას. იქ, სადაც ხეობა თავდება და გაშლილი ველი იწყება, ქარს ჰქრის, ყინავს და მიწა სურნელებას ჰკარგავს. გაზაფხული იწყებოდა თბილ ხეობებში, გაუბოდა ცივ ადგილებს და ერთი თბილი კუთხიდან მეორეში გადადიოდა. იმ კუთხეებში, სადაც იგი ფათურობდა, უკვე ფრთხილებდნენ რალაც ბუზები, ბიბინებდა დაბალი ბალახი და ქრიაშული გაჰქონდათ ფრინველებს. ხოლო ველები გაჟღენთილი იყო ნავთის სუნით, ადრეული ნათესის საუცხოვო სურნელებით. გზებზე დანთხეული იყო მანქანის ზეთი.

მიხაილ სემიონოვიჩი უკვე მეორე კვირას უსურის კოლმეურნეობებში დაეხეტება. იგი შარშანდელი ფოთლის, ფრინვლის, ნავთისა და ნივრის სუნით გაიჟღენთა. უნდა დაეთვალე რებინა კოდევ სანიმუშო მეურნეობები ორმოცი კილომეტრის მანძილზე, ზღვისაკენ, შეველო ინვალიდთა მინის ქარხანაში, მერე კი სწევოდა ვლადივოსტოკს, სადაც დაიწყებოდა სხდომები, უძილო დამგები. გემებისა და ხალხის გზავნა შორეულ ჩრდილოეთში, დასაზამთრებელ ადგილებში და ექსპედიციებში. თუმცა საქმეებს წინ უსწრებდა დღესასწაული—8 მარტი, ქალთა დღე.

გზა გორაკებს შორის მიიკლავებოდა, ხან ხშირ ახალგაზრდა ფიჭვნარში მიძვრებოდა, ხან შიშველ გორაკებზე მიფოფხავდა. მზე ზამთრისებურად ბრწყინავდა და ქანცავდა თვალს. საღამოთი მიხაილ სემიონოვიჩმა, როგორც იყო, მიაღწია ჩინელთა კოლმეურ-

ნეობას „რევოლუციის ტალღას“ და, გამოელაპარაკა თუ არა თავმჯდომარეს, სკამზე ჩაეძინა. იგი აღარ შეუწუხებიათ. გამოელვინა გვიან ღამე. აწუხებდა ის აზრი, რომ ქალაქში არ დაურეკია და არ შეუტყობინებია, თუ სად იმყოფებოდა. არ იცოდა, სად იყო იქ ტელეფონი, და გარეთ გავიდა.

ღამე ქარში იყო გახვეული. ქარი ვარსკვლავებთან და მთვარესთან ერთად დანაწარდობდა. წელში მოხრილი დაბალი კაცი კედელთან იჯდა ხის მორზე.

— სადა გაქვთ აქ ტელეფონი? — ჰკითხა მას მიხაილ სემიონოვიჩმა.

— მე აქაური არა ვარ, მიხაილ სემიონოვიჩი, — სთქვა კაცმა და ხელი ჩაიქნია. — თქვენსავით გუშინ სალამოთი ჩამოვედი.

— საიდან? — ჰკითხა მიხაილ სემიონოვიჩმა და გვერდით მიუჯდა.

— ბირობიჯანსიდან.

ახალგაზრდა ფერმკრთალი კაცი იყო. გაუგებარი იყო, რატომ მოეშვა მოკლე და გამხდარ სახეზე სასაცილოდ დაგრძელებული დიდი შავი წვერი.

— მე ოქრომჭედელი ვარ, — სთქვა მან. — შეგიძლიათ მერწმუნოთ, რომ ოქრომჭედელს ბირობიჯანში საკეთებელი არაფერი არა აქვს. ჩვენი თავმჯდომარე შარშან მეუბნებოდა: ოქრომჭედლები გადაგვარებული მელითონეები არიან, როგორც ხელიკი გადაგვარებული ნიანგიაო. მას ესმის საქმის ვითარება.

მიხაილ სემიონოვიჩმა გაიცინა.

— დიდი ხანია ამ მხარეში ხარ? — ჰკითხა მან.

— არც თუ დიდი ხანია, — მიუგო წვერიანმა ქაბუკმა. — ხუთი თუ ოთხი წელიწადია. მაგრამ საქმე ამაში არ არის. გთხოვთ, დღეს ჩამოსულად ჩამთვალოთ.

მან მხრები აიჩეჩა, მიბნედილი დიდი თვალებით შეხედა მიხაილ სემიონოვიჩს და ჩუმად და ნალვლიანად დასცინა თავის თავს, როგორც ბავშვს.

— მე ოქრომჭედელი ვარ, — სთქვა მან. — მამა ვიტებსკელი მეავეჯეა, ხოლო დედა ხაშხაშ-მოყრილ ნამცხვრებს ამზადებდა თაფლზე. და აი, წარმოიდგინეთ, ჩამოვდივართ ბირობიჯანში. მუსიკით

გეხვდებიან. მაგრამ ვინ ფიქრობს ებრაელზე? პირდაპირ ორმოცდაათი ცხენის-ძალიანი ზამთარი იყო, და არც ვიცი, როგორ გადავურჩით ყინვას: ვიდექით ქუდმონდილები ბაქანზე და მისალმებებს ვისმენდით. სიტყვა ავიღე და პირდაპირ, ხუმრობის სახით, ვუთხარი დამხვდურებს: „ებრაელები,—ეს ხომ სასაცილოა!—შეხვედრის დროს გაიყინებიან. კიდევ ხუთი წუთი და მამაჩემი ვალუტას გადმოგცემთ. მას ხომ დათვის ტყავის ქურჭი აცვია, იგი ციმბირელი ვაქარია“,—ვუთხარი მათ და მიუუთითე მამის პიჯაკზე. მათ ეგონათ, რომ ჩვენ ვიცით, რა არის ყინვები, ვიცით პურის თესვა და ქვანახშირის ამოღება. ჩვენ კი ისიც არ ვიცოდით, თუ პურს როგორ სჭამუნ. ჩვენ არც ის ვიცოდით, თუ როგორ იწყება ცხოვრება. დავდიოდით, როგორც დიდი წარლენის შემდეგ, და ვაკეთებდით ვენის სკამებს, ეხარშავდით ხაშხაშს, ხოლო მიწა ჩვენ წინ ცარიელი რჩებოდა. შემდეგ ვენის სკამებით ღუმელებს ვახურებდით. მერე ხელი მივყავით მიწის დამუშავებას. ბოლოს დედა მეუბნება: „მოსე, მთელი მსოფლიოს ებრაელები ჩვენ შემოგვეყურებენ, ჩვენ კი არ შევდგომივართ ჩვენი ნაშთების აღმოფხვრას“, და იგი ფერმაში წავიდა გოკების მოსაველეად. დედა დამკვრელია, თქვენ თვითონ დააჯილდოვეთ.

მისი სახე გამხდარი და ფერმკრთალი მოსჩანს, რადგან წვერი ჩასკიდებია მის ვიწრო ლოყებს და ძირს ეწევა.

— ბევრი წამიკითხავს და ბევრი ვიცი,—განაგრძო მან. — და აი რას მოგახსენებთ: ებრაელს ბუნება არ უყვარდა. ებრაელებს არასოდეს არ შეიძლებოდა ტურგენევი ჰყოლოდათ. რატომ? „რა კარგი, რა სურნელოვანი იყო ვარდები?“ განთიადი? ყვავილები? რომელი ვარდები? რომელი ყვავილები? ებრაელს არა ჰქონდა უფლება მათზე. ახლა კი მამაჩემი გარეულ ღორებზე ნადირობს, იგი ნადირობის მოყვარულია, დედა ღორს ამზადებს, მე კი, მგონი, მებაღე გავხდები. მინდა შევისწავლო რომელიმე ლამაზი რუსული პროფესია.

სანამ ებრაელი ლაპარაკობდა, განთიადის სიომ დაჰბერა დავარსკვლავები მიიქუტნენ. შორს თუ სადღაც მალლა მოახლოებული დილის პირველი ქღერა გაისმა.

— ეს ფრინველები არიან? — იკითხა ებრაელმა. — მე მხოლოდ ქალაქის ფრინველებს ვიცნობ, — და მან ნეტარებით და მხიარულად ამოისუნთქა, როგორც მუდამ სუნთქავს ადამიანი გათენებისას.

შორეული ხმა უფრო და უფრო გარკვევით ისმოდა, ძლიერდებოდა, და მალე უკვე შეიძლებოდა გარჩევა, რომ მოტორები გუგუნებდნენ. შემდეგ გზაზე რაღაც აწკარუნდა, ხოლო საკოლმეურნეო ფანჯებს იქით ძაღლები აყეფდნენ.

და ერთხელ კიდევ, ამასთან უფრო ძლიერად, აგუგუნდნენ მოტორები ცაში. მერე მათი ხმაური ყრუდ მისწყდა სადღაც პორიზონტზე, ზღვასთან. ებრაელი წამოდგა და მიმოიხედა.

— ეს ომია, — სთქვა მან. — ამხანაგო მიხაილ სემიონოვიჩი, გარწმუნებთ, რომ ეს ტიპიური ომია.

ცას მტრედისფერი გადაეკრა, და კარგად მოსჩანდა, როგორ აქროლდნენ შურდულივით ცაში გორაკებიდან თვითმფრინავთა რუხი ისრები. მათ თითქოს ეძინათ ტყიან და უდაბურ გორაკების მყუდრო ბუდეებში — და აი შორიდან მოესმათ ძახილი, გაიღვიძეს და ცაში ავარდნენ.

ორიოდე წუთის შემდეგ მიხაილ სემიონოვიჩი მანქანაში იჯდა. წვერიანი კაციც თან ჩაისვა.

გზა ჯერ კიდევ ცარიელი იყო, მაგრამ ლითონის წკრიალი უკვე მოისმოდა შესახვევიდან. მოდიოდა არტილერია. მის წინ გამაყრუებელი რახრახით მოგოგავდნენ ტანკები.

— მარჯვნივ გაუხვიე და ზაიცეჟრს მიმართულებით გასწი რკინისგზისაკენ! — უბრძანა მიხაილ სემიონოვიჩმა შოფერს. თვალები დახუჭა, ცდილობდა არაფერზე არ ეფიქრნა, სანამ თავის ვაგონამდე არ მიაღწევდა.

როდესაც რკინისგზის იმ პატარა სადგურს მიუახლოვდა, სადაც მისი ვაგონი იდგა, გამოჩნდნენ ქალაქიდან მომავალი ლტოლვილთა პირველი ურმები.

— საით? — დაუყვირა მიხაილ სემიონოვიჩმა, მაგრამ მათ პასუხი არ გასცეს.

ჩერნიაევი ვაგონის კიბეზე იდგა და მთქნარებით ცას შეჰყურებდა:

— ნუთუ იაპონელები არიან? — ჰკითხა მიხაილ სემიონოვიჩმა.

— ინებეთ,—უპასუხა ჩერნიაევმა და თან უკმაყოფილო, გაჯავრებული სახით ხელი ცისკენ გაიშვირა. — ალიონზე დაიწყეს. ხელში ფრანგული ენის თვითმასწავლებელი ეჭირა.

— მუდამ რომანსებს მღერი, საზიზღარო!—სთქვა მიხაილ სემიონოვიჩმა და ზღაზვნით ავიდა ვაგონში. — ის კი ვერ მოისაზრე, რომ ტელეფონი სადმე მყუდრო აგდილას გაგეტანა.

— მიხაილ სემიონოვიჩ, აბა რა ვიცოდინ... ერთ წუთში მოვაგვარებ.

მაგრამ მიხაილ სემიონოვიჩმა ხელი ჩაიჭნია და მაგიდას მიუჯდა.

— დაუკავშირდი რაიონებს!—უთხრა მან ჩერნიაევს და თან პირველი დეპეშის ტექსტის შედგენას შეუდგა.

„რაიალმასკომების თავმჯდომარეებს.

დაუყოვნებლივ დააყენეთ დარაჯები გზებზე ქალაქებიდან. შეაჩერეთ ლტოლვილთა ნაკადი გაანაწილეთ ისინი კოლმეურნეობებში დაირაზმენით.

მიხაილ“.

წვერიანი ებრაელი ვაგონში შევიდა.

— ჩვენთან, ვიტებსკში,—სთქვა მან,—ცხოვრობდა ზეინკალო აბრაშჩიკი. ათას ცხრაას ხუთ წელს მოძრაობას მიემხრო. სამოცდაათი წლის კაცი იყო. ეუბნებიან—წადი სახლში და ფანჯრების დარაბები მიიხურე, უშენოდაც მოვაგვარებთ საქმესო. მან კი, კომიკმა, სახლში მისელოსას განცხადება გამოაკრა: „ყუმბარების რჩილვას უფასოდ ვაწარმოებო“.

— დაჯექი აქ, დეპეშები ჩააკერე!—უთხრა ჩერნიაევმა. — აი საქმე, ძაფი. შეუდექ!—თვითონ კი თავზე პიჯაკი წამოიფარა და ტელეფონის მილს ყურით მიეკრა.

ხანდახან ფეხაკრეფით შემოვროდა ვაგონის გამყოლი და მაგიდაზე დასტობით ჰყრიდა დეპეშებს. კუბეში განუწყვეტლივ რაზრაზებდა რადიო, ვილატის მხრებამდე გაშიშვლებული ხელი სასადილოში ისროდა მიღებულ და გაშიფრულ ცნობებს.

„ვლადივოსტოკიდან.

განსაკუთრებული დანიშნულების ვაგონი № 2.

2.30 იაპონელებმა მოახდინეს პირველი თავდასხმა ღამის ორ-მოცდაათი ყუმბარმტყორცნით და გამანადგურებლით ამავე დროს დაიწყეს შეტევა ოლღას ყურეში ზღვიდან გადმოსხმული დესანტით მძ თან მათმა ორმა დივიზიამ დაიწყო ოპერაციები პოსიეტის რაიონში წრტ მოსახლეობა მწყობრად გამყავს გორაკებში.

პოლუხრუსტოვი“.

„სუჩანიდან.

განსაკუთრებული დანიშნულების ვაგონი—ადგილსამყოფელის მიხედვით.

დაუყოვნებლივ დასძარიტ სუჩანისაკენ გზაში ჩარჩენილი ორი ვაგონი საწვავი აგრეთვე ყველა თავისუფალი ორთქლმავალი.

მე-11 დივმეთაური ნეიმანი“.

„214-ე მშენებლობიდან.

გ/დ ვაგონი № 2.

ტაიგის თავზე მთელი დამე ბრძოლა მიმდინარეობდა წრტ დანგრეულია მრავალი სოფელი მძ სარეწაოები წრტ მონადირეები და მეთევზეები ყოველი მხრიდან იკრიბებიან ომში წასასვლელად.

„მარჩენკა“.

„სუნ იატ-სენის სახელობის კოლმეურნეობიდან.

გ/დ ვაგონი № 2.

გავიგეთ რა ჩვენს საზღვრებზე თავდასხმის ამბავი მოვითხოვთ სრულ (გაურკვეველია) პურის მარაგის (გაურკვეველია) ცეცხლს წავუკიდებთ მტერს არაფერს დავუტოვებთ.

საერთო კრება“.

„ვლადივოსტოკიდან.

გ/დ ვაგონი № 2.

ოლღას ყურეს რაიონის სანაპირო სოფლების მოსახლეობა სარეწაოების მუშები მოსამსახურეები ერთიანად მოხალისეთა რაზმებში ეწერებიან მძ პოსიეტის რაიონის სათევზაო ფლოტილიამ დაიწყო პარტიზანული ბრძოლები ხლებნიკოვას მეთაურობით წრტ ვცდილობ ხალხის მშვიდობიან სამუშაოზე დაბრუნებას

პოლუხრუსტოვი“.

„პოსიეტიდან.

მიხაილს—ადგილსამყოფელის მიხედვით.

იაპონელებმა ხელთ იგდეს ექვსი სარეწაო რეა სამოტორო კარაპით. სამი იალქნიანი გემით ვიწყებ პარტიზანულ მოქმედებას გავდივარ ზღვაში საღამო

ვარვარა“.

„214-ე მშენებლობა—მარჩენკოს, ასლი რაიალმასკომებს. დარჩით ადგილობრივ იმუშავეთ მთელი ძალ-ღონით ყველაფერი კარგადაა

მიხაილ“.

„ვლადივოსტოკი—პოლუხრუსტოვს.

საწარმოების ევაკუაცია გეგმის მიხედვით ჩაატარეთ მძ ქალაქის რაიონები ეშელონებით დროებით გაიყვანეთ კოლმეურნეობებში და დაუყოვნებლივ გამოიყენეთ მინდვრის საშუალებისათვის ეს საუკეთესო საშუალებაა დასამშვიდებლად წრტ არც ერთი ლტოლვილი რკინისგზაზე წრტ მთელი ჯანსაღი მოსახლეობა თავდაცვაზე

მიხაილ“.

„ვლადივოსტოკიდან.

გ/დ ვაგონი № 2.

უღებეშეთ პოლუხრუსტოვს დაიცვას სიწყნარე პანიკა დაუშვებელია დანაშაულია მით უმეტეს რომ თავდასხმა აღარ განმეორდება

ფლოტის სარდალი“.

„214-ე მშენებლობიდან.

გ/დ ვაგონი № 2.

ხვალ ავამუშავებ მეშვიდე და მერვე საამქროებს ყველანი მხნედ არიან მობილიზებულთ დღეს ღამით ვგზავნი მძ თუ საჭირო იქნება შეგვიძლია მივიღოთ ორმოცდაათი ათასი კაცი.

შლეგელი“.

„ვლადივოსტოკი—პოლუხრუსტოვს.

როგორც კი მოათავებ პანიკიორობას გადაეცი საქმეები ფეოდოროვიჩს

მიხაილ“.

„ვლადივოსტოკი—ფეოდოროვიჩს.

ქალაქის დაცვის დამთავრებამდე გასწიე პოლუხრუსტოვის მავიერობა მძ მატარებლები მთლიანად დასაველეთისაკენ გადაისრო-

ლე გაანთავისუფლე მისასვლელი გზები მძ შიაწოდე ნეიმანს ორი მოძრავი შემადგენლობა საწვავით

მიხაილ“.

„214-ე მშენებლობა—შლეგელს, მარჩენკოს.

შლეგელს ვნიშნავ ამურის სამდინარეო მაგისტრალის უფროსად მთელი ძალა მოახმარეთ საწვავის მიწოდებას წრტ იანკოვს. ვნიშნავ ზურგის ზოლში საბინაო მშენებლობის უფროსად საჭიროა კარეები სამასი ათასი კაცისათვის რათა შემდეგში გამოვიყენოთ ტყეების დასაბინავებლად

მიხაილ“.

„ელადივოსტოკი—პოლუხრუსტოვს.

წადი პოსიეტში გამოარკვეე ვითარება სად რატომ მიდის. ვარვარა მიზანშეწონილია თუ არა წრტ დიდ იმედს ვამყარებ კამჩატკის თევზზე გააორკეცეთ გეგმა წრტ სანაპიროზე თევზის ჭერის კაპმანია არ შეკვეცოთ ომი ომია თევზის ჭერა კი წინანდებური ტემპით უნდა აწარმოოთ ეს არის სწორედ ომი მთელი ქვეყნისა მთლიანად თითოეულისა თავის უბანში

მიხაილ“.

„სუნ იატ-სენის კოლმეურნეობას.

გიკრძალავთ პანიკას მძ კოლმეურნეობა თავის ადგილზე დარჩეს მძ ყოველნაირად გამოიყენეთ ამინდი ნაადრევი თესვისათვის მძ მიიღეთ ხუთი ათასი ბავშვი და ქალი ჩააბით სამუშაოში მძ სათანადოდ გაადიდეთ წლიური გეგმა

მიხაილ“.

„გ/დ ვაგონი № 2.

მესამე თავდასხმა მოგერიებულ იქნა მძ გამოირკვა რომ მოსახლეობას აირიან ყუმბარებს უშენენ

ფეოდოროვიჩი“.

„214-ე მშენებლობა—მარჩენკოს.

გამოგზავნეთ აეროპლანებით ორასი ხურო

მიხაილ“.

„ელადივოსტოკი—შუან-შინს.

მოემზადეთ ჩრდილოეთ-მანჯურიის მრეწველობაში სამუშაოდ იმ გეგმის მიხედვით, რომელზედაც მე და თქვენ ერთხელ მოვილა-

პარაკეთ წრტ ჩემის ვარაუდით შესძლებთ ორი დეკადის შემდეგ წახვიდეთ ხარბინში წელს ყველა ექსპედიცია სამხრეთში იქნება მიხაილ“.

„ლავრენტიევის ყურე—ზვერიჩევს.
მარტო გაუძეხი საქმეებს

მიხაილ“.

„გ/დ ვაგონი № 2.

ქალაქი თანდათან წყნარდება მძ დაზიანებული ქარხნები შეიძლება შეკეთდეს წრტ პოლუხრუსტოვი პოსიეტში არ წასულა ნერვები აქვს აშლილი წრტ ეს-ეს არის გაუგზავნეთ ჩემიანს საწვავი ას ორმოცდაათი ზეინკალი მონტიორი

ფეოდოროვიჩი“.

„ვლადივოსტოკი—პოლუხრუსტოვს.

დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ თვითმფრინავით ორი საათის შემდეგ რადიოთი მაცნობეთ პოსიეტის მდგომარეობა მიხაილ“.

„ვლადივოსტოკი—ფრატკინს.

არც ერთი გრადუსით არ უნდა შესუსტდეს ქალაქის კულტურულნი ცხოვრება მძ მუსიკა თეატრები რადიო ქუჩებში წრტ არც ერთი კულტმუშაკი არ იქნება ევაკუირებული გვირგვინით სიმამაცის სიდინჯის თაოსნობის ნიმუშები

მიხაილ“.

„ვლადივოსტოკი—პროფესორ ზეიაგინს.

თქვენი საზაფხულო ექსპედიციების გეგმა უცვლელად რჩება მოემზადეთ სალაშქროდ მზად იყოლიეთ კადრები ხელს გართმევთ მიხაილ“.

„ლავრენტიევის ყურე—ზვერიჩევს.

გაათყევე ენერგია გამოიყენე ყველა მეზამთრე სპეციალობის მიუხედავად წრტ ალბათ წელს არ მოხერხდება ექსპედიციების გაგზავნა ჩრდილოეთისაკენ მძ ყველაფერში საკუთარი თავის იმედი იქონიე ნუ მოვლი ჩვენგან ნურაფერს უახლოესი დროის განმავლობაში

მიხაილ“.

„ვლადივოსტოკი—პროფესორ ბარსოვს.

სასწრაფოდ მაცნობეთ თქვენი მოსაზრება ჩრდილოეთ მანჯურიაში ოქროს მოპოვების გაძლიერების შესახებ მდ მოემზადეთ წასასვლელად სამხრეთში და არა ჩრდილოეთში დაელოდეთ ჩემს გამოძახებას სავსებით მზად იყავით ექსპედიციისათვის

მიხაილ“.

„გ/დ ვაგონი—ადგილსამყოფელის მიხედვით.

იწვის მეთერთმეტე საკოლმეურნეო სატყეო მეურნეობა წრტ ხე-ტყის საჩეხ უბნებში მდ თევზის საჭერ ბანაკებში მდ ოქროს საკვლევ ბაზებზე აღმოჩნდა მრავალი დაჭრილი საჭაერო ყუმბარებით დემიდოვი“.

„ვლადივოსტოკი—ფეოდოროვიჩს.
როგორ არის საქმეები

მიხაილ“.

„პოსიეტიდან—გ/დ ვაგონი № 2.

ხლებნიკოვამ ზღვაში გაიყვანა ქალები ბავშვები გადასწყვიტა პარტიზანობა სარეწაოები განადგურებულია ებრუნდები პოლუხრუსტოვი“.

„პოსიეტი—პოლუხრუსტოვს.

სარეწაოები განადგურეს იმიტომ რომ ომია როგორ ფიქრობ სხვა რა უნდა დამართოდა მათ მდ მაცნობე აღდგენის ვადები წრტ ვარვარამ რომ პარტიზანობა დაიწყო დიდი ხანია ვიცი მაცნობე აუცილებელი და მიზანშეწონილია თუ არა ეს წრტ. შეიძლება დახმარებას საჭიროებს ჩაუკვირდი საქმეს ნუ ჩქარობ მდ არსად არ შეიძლება შენი წასვლა

მიხაილ“.

„შორეული ჩრდილოეთი—ზუევს.

ასლი ყველა დაზამთრების ადგილს; ნაპირთან მდგომ ყველა გემს.

ყველა თავისუფალი ექიმი გაუგზავნეთ დემიდოვს ტაიგაში მდ დაჭრილები ჰყრიან კარვებში მდ მონადირეთა ფანჯებში წრტ არც ერთი კაცი არ უნდა დაილუპოს ტაიგაში

მიხაილ“.

უეცრად ვაგონში დაბნელდა. მაგრამ იგი მოიცვა არა წყვილიდმა, არამედ შავ-მწვანე ალმა, აფეთქების მძიმე ცეცხლოვანმა მასამ,—მან გრიალით განვლო ვაგონის კედლები და წინ გადისროლა ხალხი და ნივთები.

წვერიანი ებრაელის სახე აენთო, დაპატარავდა და ჩამოქცა. მან ხელი იტაცა სახეზე და დიდხანს იშენდა ლოყებზე და წვერზე ხელს, ყვიროდა და იფურთხებოდა, სანამ არ ჩააქრო დახუჭუქებულ წვერს მოდებული ცეცხლი. შემდეგ ფრთხილად გაახილა თვალი და დაინახა უთანაბროდ ჩარჩო-შემოვლებული მედალიონი—სოფლის გზის ნაკვეთი, ქარისაგან მოკუზული ორი დაბალი ხე და მტრედისფერი გამტვერიანებული ცის ქვემო ნაწილი. ყოველივე ეს მოსჩანდა ვაგონის კედლის ჩარჩოში და წარმოადგენდა ნახვრეტს სივრცეში.

ჩერნიაევი მაგიდას დაყრდნობილი იდგა. მაგიდაზე კი, აკინძულ საჭმელებზე, ეგდო მიხაილ სემიონოვიჩის თაფი, რომელიც ყუმბარას მოეგლიჯა.

ამ დროს ჭრიალით გაიღო რადისტის კუპე და შიშველმა ხელმა უსიტყვოდ გაუწოდა ჩერნიაევს ფურცლების დასტა. ჩერნიაევმა ფრთხილად გადააბიჯა იატაკზე მოკრუნჩხულ მიხაილ სემიონოვიჩის გვამს, გამოართვა დეპეშები და გაუბედავად დასდო მაგიდაზე.

— როგორ მოვიქცეთ?—წარმოსთქვა შეტრუსულმა კაცმა.— ვაი, ვაი, ვაი,— ჩუმად და სწრაფად დაიწყო მან ჩურჩული, თან თვალებს ხუჭავდა. უეცრად მივარდა გამონგრეულ კედელს და მორთო გააფთრებული ყვირილი:— ჰეი! ჰეი! აქეთ! ჰეი.

— ხომ არ გაგიყებულხარ!

ჩერნიაევმა ხელი სტაცა და მაგიდას დაუბრუნა. მერე დივნიდან პლედი აიღო და გვამს გადაათარა, ხოლო გამონგრეულ ადგილს სკამები მიადგა და გამყოლს დაუყვირა:

— ამხანაგო, ჩამოაფარეთ ფარდა გამონგრეულ კედელს. ვაგონში შემოსვლა აკრძალულია. გაივით? ასეთია თვითონ მიხი სურვილი,— განსაკუთრებული კილოთი და ხაზგასმით წარმოსთქვა მან:— წვერიანო! ტელეფონთან დადექ... ეს რა ჩავიდინე, რა ჩავიდინე!..

ჩერნიაევმა დასტიდან რადიოგრამის ზემო ფურცელი აილო-
„ვოროშილოვიდან.

გ/დ ვაგონი № 2.

ოთხი კოლმეურნეობის—რუსთა ჩინელთა ებრაელთა ნანაელთა
კოლმეურნეობების მონადირეებმა თავიანთ რაზმს შენი სახელი
უწოდეს მძ მეთაური მე ვარ

ლუზა“.

—დიაღ, დიაღ, დასწერეთ!—დაიყვირა შეტრუსულმა კაც-
მა. —ვინ არის ეს ლუზა?

და ჩერნიაევმა, მიხაილ სემიონოვიჩის გასისხლიანებული, თვა-
ლებგაშეშებული, წამობურცული სახის ელვისებური ნებისყოფით
აღტყინებულმა, მგზნებარე ენერჯიის, ძალისა და აზარტის გრძნო-
ბით გატაცებულმა, რაც ჩერნიაევს ამ წუთში გმირად ხდიდა, აილო
ფანქარი და განსვენებულის გაკრული ხელით სწრაფად, არც კი
უფიქრია, ისე დასწერა:

„ქალაქი ვოროშილოვი—ლუზას.

ცოცხალი თუ მკვდარი—მუდამ თქვენთანა ვარ

მიხაილ“.

■ თვი ისეთი მთავალია, რთვილიც
 შეიძლება ხან უფრო მეტიც, ხან
 უფრო ნაკლებად წარმოადგინოს თქმ*.
 კ ლ ა უ ხ ვ ე ი ც ი

საპაერო ბრძოლა საზღვარზე

საპაერო არმიას წინამძღოლობდა გენერალი სანო. თავდას-
 ხმის მრავალი ვარიანტიდან მან აირჩია დიდხინის წინათ იაპონიის
 შტაბის მიერ შემუშავებული ვარიანტი: ელვისებური, უეცარი თავ-
 დასხმა ივანოვსკის ავიობაზაზე. იაპონიის შტაბმა იცოდა, რომ
 მისი ავიაცია საბჭოთა ავიაციაზე სუსტია, და სანამ ეს მძლავრი გა-
 ერთიანება არსებობდა, იაპონიაში არავინ არა გრძნობდა თავს დამ-
 შვილებულად.

გენერალ სანოს განზრახული ჰქონდა მოულოდნელად დასხმო-
 და თავს ივანოვსკის ჰაეროდრომს, მფეთქადი ყუმბარებით დაენგ-
 რია მინდორი, გადაებუვა შენობები, დაემსხვრია მიწაზე მყოფი
 საბჭოთა თვითმფრინავები და სასწრაფოდ დაბრუნებულყო საზ-
 ლვარზე ნაკამურას არმიის დასახმარებლად.

ჯერ კიდევ წარსულმა ომმა გვიჩვენა, რომ მოწინააღმდეგის
 თავდასხმისათვის ხელის შესაშლელად საუკეთესო საშუალებაა მი-
 სი გამოფრენის შეფერხება. ამასთან იაპონიის ავიაცია არასოდეს
 არა გრძნობდა თავს ძლიერად საპაერო ბრძოლის წარმოებაში, იგი
 ამჯობინებდა მიწაზე ბრძოლას, რადგან ახსოვდა, რომ გადამწყვე-
 ტი საპაერო ბრძოლა ხელსაყრელია მხოლოდ ძლიერი ავიაციისათ-
 ვის. საპაერო ბრძოლა ნაკლებად არის შესწავლილი და საშიშია თა-
 ვისი შესაძლებელი შედეგებით. ჰაერში არც ერთ მხარეს არ შეუძ-
 ლია აიძულოს მეორე მხარე მიიღოს ბრძოლა.

და გენერალმა სანომ აირჩია ივანოვსკის ავიობაზის განადგუ-
 რების გეგმა. თავდაპირველად ფიქრობდა, გაეგზავნა რამდენიმე

სუსტი რაზმი თვალის ასახვევად, ცრუ დემონსტრაციისათვის. ეს ძალები უნდა შეხვედროდნენ წითლების სასაზღვრო ავიაციას. ამ შემთხვევაში ივანოვსკის ბრიგადა, ალბათ, დარჩებოდა აეროდრომზე ბრძოლის შემდგომი პერიპეტეიის მოლოდინში. მაგრამ სანო იმასაც ვარაუდობდა, რომ ამ ბაზას შეუძლია დაასწროს სანოს განზრახვას და მასზე უფრო ადრე აუშვას ჰაერში თავისი თვითმფრინავები. ეს სანოს არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა, რადგან წითლებისათვის ეს გარემოება ყოველმხრივად ხელსაყრელი იქნებოდა.

არსებობდა კიდევ მესამე გამოსავალი—თვითონ დალოდებოდა მოწინააღმდეგის მთავარი ავიოძალების იერიშს, გასხლტოდა მას ხელიდან და დასდევნებოდა მხოლოდ მაშინ, როცა თავდამსხმელი თავის საწვავს დახარჯავდა და უკან გაბრუნდებოდა. ამ შემთხვევაში სანოს უნდა დაეჭირა აეროდრომებზე უკვე დაუძღურებულნი და თავდაცვისათვის მოუმზადებელი მოწინააღმდეგე და გაენადგურებინა იგი. მაგრამ ეს ვარიანტი საზიფათო იყო და არ შეეფერებოდა მოულოდნელობის იმ მანერას, რამაც იპაონიის ჯარს სწელი გაუთქვა, თუმცა ყოველთვის როდი ნიშნავდა მის გამბედაობას.

გენერალ სანოს ხიბლავდა აგრეთვე თავდასხმა ქვედა ამურის ტაიგის ქალაქზე—იქ იყო ბოლშევიკების სული და გული, მთელი მათი მომავალი. და მან გადასწყვიტა—იერიში მიეტანა ახალ ქალაქზე მძიმე ყუმბარმტყორცნებით, ხოლო საშუალო და მსუბუქი ძალებით ემოქმედნა ივანოვსკის წინააღმდეგ.

ჩრდილოეთისათვის მან ფლაგმანი საკურაი გამოჰყო, ხოლო თვითონ ივანოვსკი აირჩია.

მაგრამ რა წამს სანომ ჰაერში თავისი ესკადრილია აუშვა, იმ წამსვე მოწინავე სასაზღვრო ხაზიდან იელვა მოკლე სიგნალმა, რომლითაც წითელმა საჰაერო მესაზღვრემ აღმოსავლეთს, ჩრდილოეთს, დასავლეთს, მოსკოვს აცნობა:

„გამოვიდნენ ჰაერით ჩვენს წინააღმდეგ“.

მას მოჰყვა მეორე სიგნალი ტარასუქისაგან:

„თავზე გადაგვიარეს“.

გეორგიევკიდან:

„მიჰქრიან ჩრდილოეთისაკენ“.

ამ ღამეს ერთბაშად იღვიძებდა შორეული აღმოსავლეთი—

იაპონიის ზღვიდან დაწყებული არქტიკის ოკეანემდე. აღვიძებდნენ შოკლე ცნობები. და ფეხზე დგებოდნენ ქალაქები, ფაქტორიები, ილვიძებდნენ ტაიგაში გაბნეული ქონადირეები, ილვიძებდნენ თევზის საჭერი პუნქტები შორეული ჩრდილოეთის მდინარეებზე.

იმ საშინელ ღამეს რადისტი უორკა ყველგან იყო.

„ადექით, ჩვენს წინააღმდეგ გამოვიღინე“—ჩასძახოდა ის ტელეფონებსა და რადიოაპყვირებს და მისი ძახილი ტაიგის ეთერში დაჰქროდა.

უკვე გარბოდნენ აეროდრომისაკენ, მისრიალებდნენ მოყინულ თოვლზე იანკოვი და ზვერიჩევი—შორეულ აღმოსავლეთში. ხოლო სამხრეთში, ნესტიანი მარტის ღამის ბნელ ქაოსში, ბორძიკით მიეშურებოდა ზღვისაკენ შაშხანით შეიარაღებული ვარვარა ილინიშნა. კამჩატკის მეთევზეები თავიანთ კარაპებთან იკრიბებოდნენ. ტაიგაში ნანაელები ძაღლებს აბამდნენ მარხილებში. ექიმი ყინულებში მოზამთრე არქტიკული გემიდან ეთერში გასძახოდა: „თვითმფრინავი, მე და მედიცინის და მზადა ვართ გაეფრინდეთ ყოველი მიმართულებით“

მფრინავები ჰაერში სცვლიდნენ თავიანთ მარშრუტებს. ილვიძებდნენ დედები. ერთმანეთს ეხმაურებოდნენ ქალაქები:

— ადექით, ჩვენ წინააღმდეგ მოდიან!

და—ყველა აღსდგა.

გენერალ სანოს შტაბს წარმოადგენდა ორმოტორიანი „მიღუბისი“ ტბა-91, ხუთი ტყვიამფრქვევით და ქვემეხით შეიარაღებული. მისი ესკადრა შესდგებოდა ყუმბარმტყორცნი: თვითმზრინავებისა და დამცველი კრეისერებისაგან.

ზურგის ქარი არა ჰქროდა, ღამე კი ძალზე ბნელი სჩანდა, რაც ასე ხშირია მარტში, როდესაც ამინდი ცვალებადია. რეა მარტს სწორედ ოცდაერთ საათზე სანოს საჰაერო არმიამ გადალაზა მიწის უხილავი ხაზი, რომელიც საბჭოთა კავშირის საზღვარს აღნიშნავდა.

დაახლოვებით ღამის ორ საათზე სანოს საჰაერო ფლოტმა მიადწია ივანოვსკის ავიობრიგადის სამყოფელ ადგილს. დიდ სიმაღლეზე მფრინავი მზვერავები ამორთული ნოტორებით ჯაბლა და-

ეშენენ და გამაშუქებელი ყუმბარები გადმოიხროლეს—ფლოტი ივანოვსკის თავზე დაჰქროდა. ესკადრის ხაზის მარცხნით გამოჩნდა აეროდრომი ირგვლივ შემომწკრივებული დაბალი სახლებით. მზეერავებმა კვლავ გადმოიხროლეს გამაშუქებელი ყუმბარები, ჩაურთვეს მოტორები, ააკაენეს ტყვიამფრქვევები და დატრიალდნენ აეროდრომის შენობის თავზე. აფეთქებული ყუმბარების შუქზე გამოჩნდა ბრეზენტ-გადაფარებული თვითმფრინავების მოხაზულობა. გენერალ სანოს ფლოტი თავს დაატყდა ივანოვსკის აეროდრომს.

საფლაგმანო თვითმფრინავის რადიოსადგურს სრულიად არ ესმოდა რუს გადამცემთა ხმა. მიწა სდუმდა. გენერალ სანოსათვის ცხადი ხდებოდა, რომ ივანოვსკის აეროდრომი ცარიელი იყო. ლენინური ავიოშენაერთი საიდუმლო აეროდრომზე იმალებოდა ან წინასწარ აფრენილიყო ჰაერში და იქ ელოდებოდა სანოს.

ტაიგაზე ფრენა იმთავითვე უძნელდებოდათ თვით გამოცდილ მფრინავებსაც. ტაიგის ჰაერს განაგებდა მიწა, რომელზედაც ცხოვრობდნენ მიხაილ სემიონოვიჩი, შლეგელი, შერშავინი და ზერიჩევი. ისინი უფრთხილდებოდნენ სამშობლოს ცას და მიწიდან ჰკეტავდნენ მის გზებს. ფლაგმან საკურაის ჯერ არა სჯეროდა ეს, მაგრამ როდესაც იგი ჰაერში აფრენის ოცი წუთის შემდეგ წითელ აეროდრომს წამოედო, მიხვდა, რომ გაუქირდებოდა. რათა ჩუმად მიაღწიო დანიშნულ ადგილს, შორიდან უნდა გამოფრინდე ფარულად და მოწინააღმდეგისაგან მოშორებით ავარდე ზევით, ესე იგი სხვა მდგომარეობაში უნდა იყო, ვიდრე გენერალ სანოს საჰაერო ძალები იყვნენ.

ოცდაათი წუთის შემდეგ წითელმა მზეერავებმა აღმოაჩინეს ფლაგმან საკურაის ჯგუფი. გამანადგურებლებმა მის ფლანგებს შეუტყეს. დაიწყო საჰაერო ბრძოლა, რაც იაპონელთა რეიდის გეგმაში არ შედიოდა.

სანომ დაუყოვნებლივ უბრძანა საკურაის შეერთებოდა მთავარ ძალებს.

ახლა მან განიზრახა—მთელი თავისი ძალებით თავს დასტეხოდა ქალაქ გეორგიევას. მანჯურების სასაზღვრო ზოლიდან გამოიძახა მოიერიშეთა რაზმები საჰაერო თავდაცვის წინააღმდეგ სა-

მოქმედოდ. ბრძანება გასცა მანჯურიაში: გამანადგურებელთა რაზმები მზად ყოფილიყვნენ მის შესახვედრად გამოფრენისათვის, თუ საკირო იქნებოდა, და საზღვრისკენ გაეშურა.

სამ საათსა და ორმოც წუთზე გაისმა გრიალი გეორგიევკაში. ფანჯრის ჩარჩოების ლაწა-ლუწმა და მინის წკრთალმა ფეხზე დააჯენა აირწინალებში მთელემარე მოსახლეობა. არაეინ არ მოელოდა, რომ მოწინააღმდეგე გეორგიევკიდან დაიწყებდა, ამიტომ საჰაერო თავდაცვის შტაბის სიგნალებს უნდობლად შეხედნენ. განაკოტა რამ განუცდიათ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში და—სიმართლე რომ ითქვას—მიეჩვივნენ კიდევ მას. გრიალმა ერთბაშად გამოაფხიზლა ყველა. აყმუილდნენ ძალები, აკიხვიდნენ ცხენები საჯინიბოებში. რალაც საოცარი სიმძიმე დაეცა მოედანზე აღმასკომის წინ და ჰაერში მუქ-წითელი კვამლი აეარდა. მის გვერდით დაეცა მეორე. საშინელმა, წარმოუდგენელი ძალის გრიალმა შეაძრწუნა ადამიანთა გონება.

გასილ ლუზას სახელობის ქუჩაზე ცეცხლის ყვითელმა ალმა გაიელვა. განუწყვეტლივ ცვივოდა ძირს აგურის ნატეხები და ხის ნამსხვრევები. ზოგჯერ ნაგავთან და მტვერთან ერთად ძირს ეცემოდა ადამიანის დაფლეთილი სხეული. ადამიანები აქეთ-იქით აწყდებოდნენ და ცეცხლის ქარიშხლიდან გამოსავალს ვერ პოულობდნენ, ან გაშეშებულნი ისხდნენ საწოლებზე და თავს ხელებით იფარავდნენ. თავზე ენგრეოდათ ჭერი, მაგრამ დამუნჯებულნი, თვალებდაბნელებულნი, ნება-დაკარგულნი უსიტყვოდ და უძრავად ელოდნენ აღსასრულს. თიხით შელესილი, სოფლის მსგავსი გეორგიევკა უმწეოდ განართხულიყო თვითმფრინავების ქვეშ და მარჯვე ნიშანს წარმოადგენდა ყუმბარებისათვის.

რაიკომში საღამოთი დაწყებული სხდომა კვლავ გრძელდებოდა, და რაწამს საჰაერო თავდაცვის შტაბმა აცნობა—საფრთხე ახლოვდებაო, ვალეშმა გეორგიევკა რაიონებად დაჰყო და ყოველ რაიონს რწმუნებული მიამაგრა. ლუზა საღამოთივე წავიდა წინა ხაზზე ტარსუკთან და ახლა იგი რაიკომს ატყობინებდა მესაზღვრეთა მოსაზრებას—ყოველ საათს მოსალოდნელია ბრძოლის დაწყებაო. პარტიზანები, კოლმეურნეები და ქარხნების კომკავშირელები

ბი რაიკომს ურეკავდნენ რაზმების შექმნის შესახებ. უეცრად გრიალი მოისმა.

— მიაშურეთ რაიონებს!— წამოიძახა ვალეშმა. — ქალები და ბავშვები გორაკებისაკენ, მამაკაცები— ხანძრის ჩასაქრობად!

ქუჩებში წამლაუწუმ ყუმბარები სკდებოდა. კომინტერნის ქუჩაზე აღმოდებული იაპონური ყუმბარმტყორცნი დაეცა. რამდენიმე გაბედულმა კაცმა მანქანასთან მიიბრინა. უეცრად ჰაერი ისეთი საშინელი ძალით შეტორტმანდა, რომ ბევრ ახლოს მდგომს გონება დაეკარგა. ქუჩის ნაწილი დამაყრუებელი, შემზარავი ზრიალით და ზათქით გვერდზე გადაეშვა.

დაჭრილი და დაშავებული ხალხი ქალაქიდან მინდვრებში გარბოდა და მიფოფხავდა. ლაზოს პროსპექტზე მუშაობდა საზენიტო ბატარეა, მეორე ასეთივე ბატარეა იდგა ქალაქს გარეთ, მტრედისფერ გორაკზე, მესამე— პარტიზანთა სასაფლაოს იქით.

შახვერდიანის ქუჩაზე, მიწის ქვეშა საავადმყოფოს წინ, ფუს-ფუსებდნენ სანიტრები საკაცეებით. ისინი აფეთქებისაგან გაჩენილ ცეცხლის ალში ეხვეოდნენ, ძირს ეცემოდნენ. ხალხიდან ბევრი შეუერთდა სანიტარებს. დანარჩენებმა მიაშურეს ვოროშილოვის ბაღს, სადაც შედარებით სიწყნარე იყო.

ყოველი მხრიდან დაჭრილთა კენესა მოისმოდა. გარბოდნენ გონება-დაკარგული, გასისხლიანებული ბავშვები. მათ ხელში იყვანდნენ, ამშვიდებდნენ და თან მიჰყავდათ შემთხვევით გამვლულებს. ყოველ წუთს ცეცხლი ეკიდებოდა სახლებს, მაგრამ მუდამ იქვე, გვერდით, ჩნდებოდა ვინმე, რომელსაც დასამშვიდებლად საქმე სწყუროდა: ვიღაც პოულობდა ცულს, თავგამოდებით უშენდა ცეცხლ-წაკიდებულ სახლს, მეორეს წყალი მოჰქონდა და თუმცა გაურკვეველი იყო, ღირდა თუ არა. ხანძრის ჩაქრობა, რადგან ყოველ წუთს შეიძლებოდა შენობა ყუმბარას აფეთქებინა, ისინი შაინც აქრობდნენ.

შექუჩებული ბნელი ნაგავიდან და ცეცხლმოდებული ბაღებიდან თავს ჰყოფდნენ შეტრუსული, გაოგნებული დედები. ისინი ცეცხლში და კატასტროფის ქეჩა-ქუხილში თავიანთ ბავშვებს ეძებდნენ.

წითელარმიელმა უშაკოვმა, ლუზას თანაშემწემ თავდაცვა-აეიაქიმის ხაზით, ხელი დასტაცა ძველ საკლუბო დროშას და ქუჩაში გავარდა. ყველა, ვინც გონება-დაკარგული და შიშით შეპყრობილი უაზროდ აქეთ-იქით ეხეთქებოდა, უშაკოვს დაედევნა, რადგან დროშას ისინი სადღაც მიჰყავდა. მათ შეუერთდნენ პარტიზანები და მონადირეები თოფებით, მოსწავლეები პლაკატებით, გასისხლიანებული ჩინელი ცულით ხელში. უშაკოვს ხალხი ევროპული ბალისაკენ მიჰყავდა. ბალთან იდგა სატვირთო მანქანა, მასში მოსჩანდა ვალეშის ტყავიანი ფიგურა. წითელარმიელთა ჯგუფი დანგრეულ შენობას მისეოდა—სწრაფად და მდუმარედ თხრიდნენ. ნანგრევებიდან ყვირილი მოისმოდა. ჩუმად მომუშავე ხალხის დანახვა მოულოდნელი იყო. ბრბოს ოცდაათიოდე კაცი გამოეყო და მებრძოლებს შეუერთდა, დანარჩენები დროშასთან დარჩნენ.

ხანში შესული უსურგიელი კაზაკი ვალეშის სატვირთო მანქანაზე შეხტა. და გაშმაგებული ხმით დაიყვირა:

— სად არის შაშხანა, შენ იესო ქრისტეს კი რა უთხრა! მომეცი შაშხანა!

ვალეშმა ხელი ბალისაკენ გაიშვირა. მისი ხმა არ ისმოდა. ხალხი იქითკენ დაიძრა, საითკენაც ვალეშმა ხელი გაიშვირა.

პატარა ტრიბუნაზე, საიდანაც დილ-დილაობით ხალხის გამართობნი სიმღერებს მღეროდნენ, იდგა ნადეჟდა, ლუზას ცოლი, გეორგიევკელი კაზაკი-ქალი. ხელში წითელი პლაკატის ტარი ეჭირა. პლაკატზე ეწერა: „ყველა ჭარხლის სათოხნელად!“ პიონერი დოლს უბრაახუნებდა:

— ამხანაგო კაზაკებო!—დაიყვირა ნადეჟდამ. — ძმებო! ჩვენი კოლმეურნეობები წინა ხაზზეა...

— სთქვი, სთქვი, ლუზიხა!..

—... „სტალინმა“,—ყვიროდა ნადეჟდა,—და „ლენინმა“ გუშინ საღამოთი შაშხანებს მოჰკიდეს ხელი... „25 ოქტომბერი“ როგორც ერთი კაცი გამოვიდა, ლუზა წინა ხაზზეა, ჩეპურნიაკი წინა ხაზზეა, გონჩარენკოც მათთან არის...

— საზღვრისაკენ!—გაისმა ძახილი.

ყველა გამოეხმაურა:

— საზღვრისაკენ!..

ხალხი მწყკრივში დგებოდა, ეძახდნენ ნათესაეებს. ვილაც ქალი, რომელიც თავის ძროხით მოსულიყო, ავტომობილზე აბამდა მას და თან ყვიროდა. ქალს ურჩევდნენ, წაეყვანა ძროხა. ყოველი მხრიდან იკრიბებოდნენ მუსიკოსები.

თითოეულის მღელვარე სული საქმეს მოითხოვდა. ამ საქმეს უნდა ჩაეკლა ყველას პირადი დარდი და გულის ტკივილი. ეს საქმე ყოველივე იმაზე მაღალი, უკეთესი და ძვირფასი უნდა ყოფილიყო, რაც ამ ღამემ წაართვა მათ. ბაღში თავს იყრიდნენ ახალი ჯგუფები და კოლონები. იქვე მივიდა სატვირთო მანქანათ ვალეში.

— დაჭრილებო, ქალებო და ბავშვებო, მარცხნივ დადექით, საევაკუაციოდ!

კოლონებიდან გამოდიოდნენ დარბაისელი კაზაკი-ქალები. ისინი თავსაფრებს ისწორებდნენ და ნაღეჟდას გვერდით დგებოდნენ.

— ჩასწერე: საბრძოლველად,—მშრალად ამბობდნენ ისინი.

საპაერო ბრძოლა საზღვრისაკენ გადადიოდა. სანოს ყუმბარ-მტყორცნები, რომელთაც მოულოდნელად თავს დაატყდნენ წითელი კრეისერები და გარს შემოერთყნენ გამანადგურებლები, იმ ღამეს გეორგიევკისკენ ველარ მიეშურებოდნენ ისეთი კომპაქტური მასით, რომელსაც კატასტროფის გამოწვევა შეუძლიან. საპაერო ბარაჟები¹⁾ აძლიერებდნენ ესკადრილიების დეზორგანიზაციას.

გეორგიევკის თავზე, შვიდი და რვა ათასი მეტრის სიმაღლეზე გამართული საპაერო ღობურის აეროსტატთა ფოლადის ტროსებმა ორად გააპეს ამ ტროსებს დაჯახებული პირველი ტალღის მანქანები, ხოლო მეორე ტალღამ, ჰაერში დაკიდებული ამ მიუწვდომელი, უჩინარი საფრთხით დაბნეულმა, დანიშნულ ვადაზე ადრე ასტეხა სროლა.

მესამე ტალღა, რომელსაც ყველაზე უფრო მწყობრად და მაგრა შეუტიეს წითელმა გამანადგურებლებმა, გადაიქცა მანქანების უწყსრიგო გროვად. ისინი უთაებლოდ ჰყრიდნენ ყუმბარებს ხან აქ, ხან იქ და ღამობდნენ საჩქაროდ გასკლოდნენ ჯერ კიდევ სათანადოდ არ დაწყებულ, მაგრამ უკვე წაგებულ ბრძოლის ასპარეზს. მინდვრებს გეორგიევკის ირგვლივ ცეცხლა მოსდებოდა და

1) ბარაჟები - საღობურა ქსელი, საპაერო ზღვე.

კვამლი ასლიოდა. გენერალ სანოს მიერ მანჯურიიდან გამოძახებული მოიერიშეები უკვე გზაში იყვნენ და მათ ყოველ წუთს შეედლოთ თავს დასხმოდნენ გეორგიევკის ჰაერსაწინალო დაცვას და მის მოძრავ მიზნებს. იმე სჩანდა, თითქოს მოწინააღმდეგე სწორედ აქ ეძებდა სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტას.

მანჯურიის სასაზღვრო ზოლიდან მოისწრაფოდნენ აგრეთვე გენერალ სანოს მიერ გამოძახებული გამანადგურებლები. ისინი ემზადებოდნენ უკან გაბრუნებული ყუმბარმტყორცნი რაზმების შესახვედრად და წითლების რკალისაგან დასახსნელად.

საჰაერო ბრძოლა ისე წარიმართა, რომ მას არავითარი კავშირი აღარა ჰქონდა ნაკამურის არმიის შეტევასთან. წითლებმა შებოკეს იაპონიის გენერალი და ჩამოაშორეს იგი ჰაერში უკვე გაჩაღებულ ბრძოლას.

რვა მარტს დილის ექვს საათზე სანომ, დაინახა რა ჰაერში ბრძოლის მთელი უაზრობა და თავისი ყუმბარმტყორცნი ავიაციის უნაყოფობა, უბრძანა ესკადრას—დაბრუნებულიყო თავის აეროდრომებზე.

მაგრამ მეორე არმიის სარდალმა ნაკამურამ გამოითხოვა ავიაცია საქმეში ჩასაბმელად საზღვარზე, გეორგიევკის წინ.

ქალთა დღის წინა ღამე ტარასენკოვამ თვითმფრინავითურთ ნანაელთა ძველი ბანაკის მახლობლად გაატარა. ბენ-დი-ბუმ, ბანაკის დელეგატად წარგზავნილმა მოსკოვში და იქიდან აურობომბარდირად დაბრუნებულმა, საღამო მოაწყო ევგენია პრეზიდენტში დასვეს. ცალ მხარეს მოუსვენეს პიონერი გოგონა, რომელსაც უკვე ორი საპარაშუტო ნახტომი ჰქონდა გაკეთებული, მეორე მხარეს—მოხუცი ქალი, რომელმაც ბაგა გახსნა. ბენ-დი-ბუს მოხსენებამ შემდეგ დაიწყო სამხატვრო ნაწილი—საღამოს მონაწილეები პატეთონის უსმენდნენ, ათვლიერებდნენ მოსკოვის სურათებს და უყურებდნენ ბენ-დი-ბუს და ევგენიას ევროპულ ცეკვას.

მოხუცებმა ბევრი იცინეს და გულითადი მადლობა გადაუხადეს მოცეკვავეებს სიბეჯითისათვის. შემდეგ თვითონ გამოვიდნენ—დაიწყეს ზღაპრების მოყოლა. ზღაპრები ნოულოდნელი იყო ახლად გამოგონილი. ყველა მხიარულად უსმენდა და თვითაც უმა-

ტებდა. ზღაპრების დასრულებას უკანასკნელი აზრი-ღა აკლდა, რომ ევგენია რადიოტელეფონთან გამოიძახეს.

ლაპარაკობდა ჟორკა.

— ენია, ჩვენსკენ მოდიან! სასწრაფოდ გაფრინდით...— მან დაუსახელა მესამე ზონის ერთ-ერთი სამხედრო აეროდრომი.

— რა მოხდა?

— იაპონელები რალაცას იმუქრებიან.

— ომია?

— აგრე სჩანს. აბა!

— რა „აბა“?

— რამდენი წელიწადია გიცნობთ, ენია, მაგრამ არასოდეს კი არ მინახავხართ. ის მე ვიყავი, რომ გექმდით, როდესაც ფრენკელმა მოგიტაცათ.

— არც მე ვიცი, როგორი ხართ.

— ასეთი ვარ თუ ისეთი, ძალიან კი მიყვარხართ. მაგრამ რას იზამ ასეთია რადიოზედი. ვცხოვრობ, როგორც უჩინარი ეშმაკი. ველური ბედია!

— როდესაც დაბრუნდები, თქვენთან მოვფრინდები, ჟორკა, — უთხრა ენიამ. — მნახავთ, როგორი ვარ. იქნებ არც მოგეწონოთ.

— თუ დაბრუნდებით, ენია, დაბრუნდებით მხოლოდ როგორც გმირი. მფრინავები უდავიდარაბოდ იღუპებიან, ფრინველებივით. ხოლო როდესაც დაბრუნდებით, აბა მე საიდან გავახსენდებით. გისურვებთ ბედნიერ გზას.

— ჟორკა!..

— სატყეო მეურნეობაა?— წივანა ხმით დაიძახა ვილაცამ. — შეიღი-თხუთმეტი-რვა-ოთხი. სატყეო. მეურნეობაა? ალლო! სატყეო... მეურნეობაა?

— მე სატყეო მეურნეობა არა ვარ, — დაუყვირა ენიამ. — მფრინავი ვარ.

— ბოდიში, ბოდიში! — გულკეთილად დაიწვილა უცნობმა. — ბოდიში! სხვა ტალღა აღმოჩნდა.

ჟორკა უგზო-უქველად გაჰქრა ეთერში. ენიამ მილი ჩამოჰკიდა.

თეოდორინავო, წინა
წინ, კომკავშირელი

მხიარულად დამლერა მან, ნერვიული სიხარულით ატაცებულმა, დაუძახა დასახმარებლად ბენ-დი-ბუს და გაიქცა აეროდრომისაკენ. ბენ-დი-ბუმ გადასწყვეტა, გაჰყოლოდა ჟენიას, თუმცა შევებულებაში იყო.

ყუმბარმტყორცნთა მეხუთე ესკადრილია, სწორედ ის, რომელშიაც სევასტიანოვი ირიცხებოდა, რვა მარტის წინა დღეს ტაიგაში მეთორმეტე საკრეისერო ესკადრილიას შეუერთდა. ის იყო გაიგეს საზღვარზე შემოტევის ამბავი და ყველა გამანადგურებელი ვლადივოსტოკში გაიწვიეს. შუადღისას მეორე ზონის აეროდრომზე მოფრინდნენ ვლადივოსტოკთან დაზიანებული პირველი მანქანები, ხოლო ჩრდილოეთიდან მათ შესავსებად დაიძრნენ ახალი თვითმფრინავები. მოფრინდა მძიმე ყუმბარმტყორცნთა მეშვიდე ბრიგადა და განსაკუთრებული დანიშნულების ნაღმოსანთა ესკადრილია.

ჟენია ტარასენკოვა უკანასკნელ შევსებას მოჰყვა. მან უკვე გზაში იცოდა, რომ სევასტიანოვი და ფრენკელი მეხუთე ესკადრილიაში არიან.

„სწორედ ისტორია იქნება, თუ მათთან მოვხვდი“,—ფიქრობდა ჟენია ერთგვარი დარცხვენით, რადგან ომში სერიოზულად მიდიოდა, ყოველივე პირადი მან უკუაგდო.

მაგრამ ჟენია მათ არ შეხვედრია. იგი ერთბაშად გაგზავნეს მეორე პილოტად ყუმბარმტყორცნზე მეშვიდე ესკადრილიაში, მფრინავ შჩუპაკთან, ყოფილ მესაზღვრესთან. შჩუპაკი უღვაშებიანი, საკმაოდ ჩასუქებული და მელანქოლიური კაცი იყო.

—სკამეთ რამე? გეძინათ?—ჰკითხა მან. —არა? მაშ სკამეთ და გამოიძინეთ. ავიაცია მოძრაობის ყველაზე სწრაფი საშუალებაა, არასოდეს არაფრისათვის დრო არა გყოფნის.

ჟენიას გაახსენდა ფრენკელის საყვარელი ანდაზა: „ავიაცია მოძრაობის ყველაზე სწრაფი საშუალებაა, მაშასადამე, აჩქარებაც ზედმეტია“, და იკითხა, სად არის ფრენკელი.

—ვინ იცის, სად არის! აქ რვა ფრენკელია. რომელი გნებავთ? შეიარეთ წითელ კუთხეში, ალბათ, შაშს თამაშობენ.

მაგრამ ენიას აშინებდა ორივეს ერთად ნახვა. იგი წამოწვა ვიწრო ტახტზე კარავში და ჩუმად, უსიტყვოდ ღიღინებდა.

— მივიღებთ თუ არა დღეს დავალებას, როგორ ფიქრობთ?

— ვინ იცის, შეიძლება მივიღოთ კიდევ, — დინჯად და საესებით მშვიდად მიუგო შჩუპაკმა. იგი „იაპონიის გეოგრაფიას“ ფურცლავდა.

— იქ ხომ არ გაგვეზავნიან? — მიუთითა წიგნზე ენიამ.

— შეიძლება იქაც გაგვეზავნონ, — უპასუხა მეთაურმა, — შეიძლება სხვა ადგილას. ვინ ვაიგებს ვითარებას?

„უცნაური ხალხია ეს ყუმბარმტყორცნელები“, — გაიფიქრა ცოტა არ იყოს უკმაყოფილოდ ენიამ და გარეთ გავიდა.

ხალხი კვლავ მოდიოდა. ძუნწად და გაკვრიტ, ჩუმი ხმით გადმოცემული ცნობები შემამფოთებელი იყო. ვოროშილოვოს თავზე საპაერო ბრძოლა სწარმოებდა, საზღვარს ტანკები უტევდნენ. ყუმბარმტყორცნები ყუმბარებს უშენდნენ ვლადივოსტოკს, იწვოდა გეორგიევკა.

ოლღას ყურესთან დესანტის მოგერიებაში მონაწილე მფრინავი ფუნთუშა პურს ლექავდა და პირგამოტენილი გაურკვეველად, მაგრამ რიხიანად ასურათებდა, როგორ მიიტანეს იერიში იაპონელთა სადესანტო კარავებზე ამფიბია ტანკებმა. ამფიბიები კანჯოებით მომავალ დესანტს დაუხვდნენ ერთი კილომეტრის მანძილზე ნაპირიდან, ახალ ტალღაზე. ბნელოდა.

— უეცრად აზრიალდნენ ტანკები. დაუშინეს კანჯოებს. კანჯოებმა პირი იბრუნეს. პანიკა. საბადრაგო კატარლებმა სროლა აუტეხეს ტანკებს. საშინელი ამბავი დატრიალდა. ტრანსპორტებიდან პროექტორებიან გაანათეს არემარე, — ისეთი დომხალი იყო, რომ არათრის გარჩევა არ შეიძლებოდა. ამ დროს ჩვენც გამოვჩნდით ჰაერში...

იგი გაათრებულნი ლექავდა ფუნთუშას და უზომოდ გამოტენილი პირიდან გაურკვეველ, დამახინჯებულ სიტყვებს ისროდა. მიუხედავად ამისა, მისი ნაამბობი ყველასათვის გასაგები იყო და ყველა ცხადად და ცოცხლად ხედავდა ამ ღამის ბრძოლის სურათს. ნახევარი საათის წინათ ასეთი ბრძოლა თითქოს არარეალური და შეუძლებელი იყო, მაგრამ ახლა, როდესაც ბრძოლა უკვე მოხდა,

იგი აღარავის აღარ ეჩვენებოდა არც ორიგინალურად და არც ახლად, თუმცა ასეთი კი იყო.

სადესანტო რაზმის კარაბები და კანჯოები, როდესაც მათ ნაპირიდან ერთი კილომეტრის მანძილზე ამფიბიები დაუხვდნენ, შედრკნენ და უკან გაბრუნდნენ. იაპონელები წყალში ცვივოდნენ ან თავისიანებს ესროდნენ. ატყდა უწესრიგო სროლა და ეს უწესრიგობა უფრო გაძლიერდა, როდესაც ტრანსპორტებმა პროექტორებით გააშუქეს მოულოდნელი ბრძოლის ასპარეზი. ამ უწესრიგობით ისარგებლეს და ტრანსპორტებს შეუტყეს წიალებმა. გემებმა ზარბაზნები დაუშინეს მათ. ამ დროს გამოჩნდა ავიაცია. მან დაათვა ტანკების მიერ გაბედულად დაწყებული გამანადგურებელი შეტევა. როდესაც მოწინააღმდეგემ ერთი კრეისერი და ორი ტრანსპორტი დაჰკარგა, მან პირი იბრუნა ზღვისაკენ და მიიტოვა კანჯოებზე დარჩენილი დესანტი. ახლა სამასამდე დაჭრილი იაპონელი ზღვის მიყრუებულ ნაპირზე ჰყრია და განთიადს ელის.

თავსა და ხელში დაჭრილი სამოქალაქო მფრინავი უამბობდა გარშემო შეკრებილთ, რომ პოსიეტში, სადაც მოწინააღმდეგეს ბედმა გაუღიმა და ნაპირი დაიკავა, პარტიზანმა ვარვარა ხლებხიკოვამ მოასწრო მთელი ჰათევაზო ნავების ზღვაში გაყვანა და თან ას ორმოცდაათი კორეელი ქალისა და ბავშვის წაყვანა.

— მერე, თქვენ რაზე გააკეთეთ იქ?

მაგრამ ამბის მომყოლი პირველსავე წუთებში დასტურეს და მან ისლა მოასწრო, რომ ეცა თვითმფრინავს და გაიყვანა იგი ცეცხლის რკალიდან. მიუხედავად დაჭრისა და იმისა, რომ გარემოებამ ხელი შეუშალა გაეკეთებინა რაიმე უფრო დიდი, იგი, აშკარად გრძნობდა თავს დამნაშავედ და რაც უფრო გულთბილად უთანაგრძნობდნენ, მით უფრო ჯავრი მოსდიოდა ირგვლივ მყოფებზე.

ეგვენამ ამოიხენეშა და თვალები დახუჭა. დგებოდა მისი ცხოვრების ყველაზე პასუხსაგები ჟამი.

სამი წლის წინათ მის საბადოსთან მფრინავი ფრენკელი დაეშვა. ენია სახლის წინ იჯდა და მღეროდა. მასთან მივიდა ლურჯტანისამოსიანი კაცი და უთოხა: „კარგი სმენა გაქვთ, პირდაპირ მშურს“-ო. „რატომ“?—სიცილით ჰკითხა ენიამ. „კარგი მფრინავისათვის მუსიკალური სმენა აუცილებელია“. შემდეგ გვერდით

მიუჯდა და გამოელაპარაკა. წასვლისას უთხრა: „შესანიშნავი სმენა და ხმა გაქვთ, წამოდით ჩემთან ხაბაროვსკში, მფრინავად გაგხდით“, და წაიყვანა კიდევ. მაგრამ ენია ცოლად არ გაჰყოლია, თავისუფლება დაენანა. ამ დროს სევასტიანოვიც გამოჩნდა, მონერხებული ადამიანი, ცნობილი მომღერალი, და როგორღაც მოხდა ისე, რომ ენია ორივეს შეუყვარდა. ენიას კი ორივე ძმასავით ებრალებოდა, მაგრამ თავის ბედს მარტო მიუძღოდა და მიჰყავდა იგი სულ წინ და წინ.

ახლა ისინი ერთად იყვნენ და სამივეს წინ იშლებოდა—ვინ იცის, რამდენი ხნით?—სხვა ცხოვრება. ამ ცხოვრების წინაშე ყოველივე გუშინდელი ფასს ჰკარგავდა.

„მოვნახო თუ არა ისინი?—გაუელვა ენიას თავში. — არა, არ მოვნახავ. ჩემი თავისთვის მე თვითვე ვაგებ პასუხს“.

ენიას არავის დახმარება არ სურდა, მაგრამ მარტოდ-მარტო ყოფნაც ძნელი იყო. მას აკავებდა ის გაურკვეველი, ბუნდოვანი გრძნობა, რომ ახლა საჭიროა თავის გართმევა მეგობრების, მამაკაცების დაუხმარებლად. გულს კი სურდა ბოლომდე გამოეთქვა თავისი ზრახვები. მას უნდოდა ეთქვა თავის თავზე, ჯერეთ განუცდელ სიყვარულზე, ეთქვა ყველაფერი, უკლებლივ. სურდა ელაპარაკა—უმისზეზოდ, საჭიროების გარეშე—ქალიშვილობის ზღაპრებსა და ცრემლებზე, იმათზე, ვინც მას მოსწონდა და ვინც გვერდით ჩაუარა, მაგრამ ხვალინდელი გუშინდელზე ძლიერი იყო. მას უნდა მიეღო იგი მთლიანად, ყველაფრით, რაც მას თან სდევდა.

უეცრად ბნელი ღამის წყვედიადში აეროდრომზე ყველაფერი ამოძრავდა. ესკადრილიამ საბრძოლო დავალება მიიღო.

— ალბათ, ტოკიოზე თავდასასხმელად მივდივართ, — ამბობდნენ მექანიკოსები, ყველაზე დიდი პოლიტიკოსები პოლკში.

კომისარი იზმიროვი საჩქაროდ თავს უყრიდა პარტიულ ჯგუფს. სხდომა ფეხზე მდგომებმა ჩაატარეს. მექანიკოსები ნერვიულად იწმენდნენ სახეს გაზეთილი ჩვრებით. ყველა პაპიროს ეწეოდა. არავის არ სცალოდა. ყველა საათს დასჩერებოდა.

კომისარს თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარიყოს. პარტია ბრძოლაში აცილებდა ყმაწვილებს

და პარტია ეთხოვებოდა მათ შორეულ შეხვედრამდე. ყველაფერი გულთბილად და უბრალოდ უნდა მომხდარიყო.

მან აუჩქარებლად შეადგინა დღის წესრიგი (რეიდის პოლიტიკური ამოცანები—პირველი, პარტიაში მიღება—მეორე, ინფორმაცია—მესამე, მიმდინარე საკითხები—მეოთხე) და აუჩქარებლადვე გამოაცხადა იგი ძველი მეთევზის (ის ლენქორანელი თურქი იყო) ხრინწიანი ხმით. ყველა დაძაბული ყურადღებით უსმენდა.

როგორც ბევრი ფიქრობდა, რეიდის ამოცანას ტოკიოზე თავდასხმა შეადგენდა.

— კომუნისში ალგვის ყველა საზღვარს!—სთქვა იზმიროვმა. — ეს აზრი ღრმად უნდა შევიცნოთ, ძალიან ღრმად, ძალიან სერიოზულად. ალგვის! შეიძლება ვინმე ფიქრობს, როდის ალგვისო. ამჟამად ალგვის. როდესაც საჭირო იქნება, მაშინ ალგვის. მე ასე მესმის.

მაგრამ ყველა სხვასაც ესმოდა, რომ კავშირის საზღვარს წარმოადგენდა არა რუკებზე აღნიშნული პირობითი გეოგრაფიული ხაზი, არამედ სხვა უხილავი, მაგრამ ამის გამო უფრო რეალური ხაზი, სასახლეებსა და ქოხებს შორის გავლებული მთელს მსოფლიოში. სასახლეები მიჯნის იქით იდგნენ.

რეიდი ტოკიოზე განზრახული იყო იმ ანგარიშით, რომ მოწინააღმდეგის დედა-ქალაქი მოექციათ სასაზღვრო შეტაკების რკალში.

საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის პასუხი უნდა ეგოთ არა მანჯურელი გლეხების სოფლებს, არამედ ტოკიოს ვაჭრების სასახლეებსა და ბანკებს. ცეცხლის ალი მოედება არა მანჯურელი გლეხების ყანებს, არამედ ვილებს, სამხედრო ქარხნებს, საწყობებს და აეროდრომებს იმ ქვეყნის ცენტრში, რომელმაც ომი დაიწყო.

უნდა გადაელახათ იაპონიის ზღვა, გაეელოთ მთელი კუნძული და მის აღმოსავლეთ ნაპირზე, იაპონიის ალპებს იქით, ეპოვნათ ტოკიო, დედა-ქალაქი, ომის მთავარი ბანაკი და მთავარი შტაბი.

— ფრინველიც კი ვერ გაბედავს ერთბაშად ასეთ გადაფრენას,—სთქვა ესკადრილის მეთაურმა და დამსწრეთ გადახედა.

— ფრინველს ისეთი სიძულილი არა აქვს, როგორც ჩვენა გვაქვს,—შეაწყვეტინა სიტყვა კომისარმა და მაგიდაზე ხელი დაჰკრა. — ფრინველი არ გაფრინდება, ჩვენ კი გაფრინდებით!

შემდეგ მოხდა პარტიაში მიღება. ყველა ცუდი ორატორი იყო,

და პირზე მომდგარი სიტყვები წარმოუთქმელი რჩებოდა. ბრძოლის წინა დღეს; სიკვდილის წინ, პარტიაში მიიღეს ექვსი კაცი, მათ შორის კომკავშირელი ვეგენია ტარასენკოვა.

იმღერეს „ინტერნაციონალი“, დაუთქმელად, გაიმეორეს იგი, კიდევ გაიმეორეს, ხოლო შემდეგ ხელში აიტაცეს იზმიროვი და დაუწყეს ქანაობა. სიმღერა არ შეწყვეტილა.

— მადლობა პარტიას, მადლობა სარდლობას იმისათვის, რომ დიდ საქმეზე მგზავნის! — დაიყვირა ეენიამ. — მივდივარ კავშირის ყველა ქალიშვილის მაგივრად! ვიბრძოლებ ისე, როგორც იბრძოდნენ უფროსები ოქტომბერში, როგორც იბრძოდნენ ესპანელი ქალები, როგორც იბრძოდნენ ჩინელი ქალები ფუშუნში!

— ყოჩახ, ტარასენკა! გინდა მარტომ იბრძოლო მთელი ქვეყნის მაგივრად?.. — ჰკითხა მას მფრინავების ხელებზე მოქანავე იზმიროვმა.

სიბნელეშიც კი სჩანდა, რომ მისი სახე აღზნებული და გაოფლიანებული იყო.

— მარტომ!

მფრინავებმა ჩამოსვეს კომისარი და მივარდნენ ეენიას—და აი იგი უკვე ჰაერშია, ხალხის თავზე ქანაობს.

— ეს შენ, როგორც ესპანელ ქალს!.. ეს კი, როგორც ჩინელ ქალს!..

— აბა, ააგდეთ ერთი, როგორც რუსი ქალი!

და ისე მალლა ისროდნენ, რომ სული შეეგუბა, შეშინდა, ვაი თუ ვერ დამიპირონ და სიბნელეში ძირს დამაგდონო,—ფიქრობდა იგი. მაგრამ ეენია მსუბუქად დაეცა მაგარ მკლავებზე.

ეენია თავის რგოლისაყენ გაიქცა. სევასტიანოვმა და ფრენკელმა გზა გადაუღობეს.

— მოიცადე, პატარა გოგონავ!—აღერსით მიაძახა სევასტიანოვმა. — მოდი, გამოვეთხოვოთ ერთმანეთს.

ფრენკელი სდუმდა.

ეენიამ ხელის ცეცებით მონახა სევასტიანოვის სახე და ერთი წუთით ჩაეკონა. შემდეგ ფრენკელს მიუბრუნდა.

— ჩვენ კიდევ ვიცოცხლებთ, ბიჭებო!—ჩუმად წარმოსთქვა ეენიამ.

— ფაქტია. და სერიოზულადაც მოვილაპარაკებთ, — უპასუხა ფრენკელმა.

სევასტიანოვი სდუმდა.

ერთი წუთის შემდეგ მანქანაში მჯდომ ქენიას აღარ ახსოვდა, რაზე იყო ლაპარაკი. წინ იყო ახალი, მნიშვნელოვანი ცხოვრება, წინ იყო სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე.

შჩუპაკი მუზარადს იხურავდა და გულმოდგინეთ ჰყოფდა მასში თავის დიდ უღვაშებს.

— კიდევ კარგი, რომ თბილი ამინდია, ზამთარში კი პირდაპირ უბედურებაა, — ხუმრობით წარმოსთქვა მან, — მიეყინება მუზარადს და მერე უნდა ათბო.

— გაიპარსეთ.

— არ შეიძლება. ჩემი ხნის კაცს აუცილებლად რაიმე ფასონი უნდა ჰქონდეს.

... მეშვიდე ესკადრილია ყუმბარმტყორცნთა მეშვიდე ტალღას მიჰყვა.

წინ და ფლანგებზე მიფრინავდნენ არტილერიით შეიარაღებული საჰაერო კრეისერები. შორეული მზვერავები ერთხანს აცილებდნენ რაზმს, მაგრამ როდესაც ზღვაში ბრძოლის ნაპერწკლები და ცეცხლი შენიშნეს, უკან დაბრუნდნენ.

ამ ღამეს იაპონია ერთბაშად ჰგზავნიდა კუნძულებიდან მანჯურიასა და კორეაში სამასი ათას ჯარისკაცს, და წითელი ფლოტიც მათ ელოდებოდა.

წითელი ფლოტის წყალქვეშა ძალები დიდხანსა ზღვაში იყვნენ და ელოდნენ უამს, როდესაც ტრანსპორტების დიდი არმადა იაპონიის ნაპირს მიატოვებდა. სამი წყალქვეშა ფლოტილია ზღვის სიღრმეში სდარაჯობდა მათ. პირველ ხაზზე კი კრეისერები იდგნენ.

საზღვაო ბრძოლის ხმა ახლოდან ისმოდა — იქვე, თვითმფრინავების ქვეშიდან. ზოგჯერ ამჩნევდნენ აფეთქების ნაპერწკლებს და ცეცხლის ალს წყალზე.

„ხომ არ ჩავერიოთ ამ ბრძოლაში? — ფიქრობდა ქენია და შჩუპაკს შეჰყურებდა. — ყველაფერი, რაც წყალზეა, ჩვენია, უბრალო სამუშაოა“.

მაგრამ რეიდის სარდალს თვითმფრინავი სამხრეთისაკენ მიჰყავდა.

შუაგზაზე მანქანებმა ბრძანება მიიღეს:

„გასწით მიზნისაკენ თქვენ-თქვენი კურსით! გისურვებთ ბედნიერ გამარჯვებას!“

მძიმე ყუმბარმტყორცნთა ყველა ესკადრილიას ებრძანა, ასულიყო შვიდი ათასი მეტრის სიმაღლეზე, საბადრაგო კრეისერებსკი—შვიდი ათას ხუთას მეტრზე. ეს იყო მანევრის დასაწყისი—ასულიყვნენ მოწინააღმდეგის ყველაზე მაღლა მყოფ თვითმფრინავზე უფრო მაღლა.

დაიწყო გარღვევა. წარმატება უზრუნველყოფილი იქნებოდა, თუ ადამიანები და მოტორები შესძლებდნენ ასეთ სიმაღლეზე და ასე შორს ფრენას, თუ ისინი აიტანდნენ მომავალი ბრძოლის დიად სამკვდრო-სასიცოცხლო დაძაბულობას. მაგრამ ჩკალოვის გადაფრენის შემდეგ არავის ექვი არ ეპარებოდა, რომ შესძლებდნენ.

სიბნელეში ბრმა ფრენისაგან ნერვები განუწყვეტლივ დაძაბული იყო. შჩუპაკი არა ერთხელ ანდობდა ევგენიას თვითმფრინავის მართვას და ათი წამით თვალს ხუჭავდა. მას დილისთვის სჭირებოდა ძალა.

მეყუმბარე ბენ-დი-ბუ, იგივე შტურმანი, ევგენიასთან ერთად შჩუპაკის თვითმფრინავზე მოხვდა. ახლა ის რუკას დასჩერებოდა და ფრთხილად აღნიშნავდა მასზე გემის გზას. დანარჩენები უძრავად ისხდნენ, თითქოს მთვლემარენი, მაგრამ ამავე დროს ფხიზელნი და დაძაბულნი. თვითმფრინავი აღმოსავლეთისაკენ მიჰქროდა, ხოლო წინ მკრთალ-ნაცრისფერ წყვილიადიდან მსუბუქ მტრედისფერ ლაქად ახლოვდებოდა შორეული განთიადი. თვითმფრინავი განთიადისკენ მიჰქროდა, მაგრამ ჰაერის უსაზღვრო ზღვა მის გარშემო ჯერ ისევ რუხი, უფერული იყო, და მაცდური მტრედისფერი ლაქა წინ მიწად ეჩვენებოდათ. განთიადი მიწად ეჩვენებოდათ, მაგრამ იგი შორს იყო, ბუნდოვანი და გაურკვეველი.

შუქურებისა და გემების სინათლე დაბლა გაბნეულმა ნისლმა შთანთქა. არა სჩანდა არც ზღვა, არც ცა, არც მიწა. მოსჩანდა მხოლოდ სიცარიელის, სივრცის უფერული ოკეანე, მანძილის ოკეანე, რომლის შორეულ კიდეებზე ძლივს, ბუნდოვანად და ოდნავ მტრე-

დისფრად, კიაფობდა ის, რისკენაც მიისწრაფოდნენ თვითმფრინავე-ში მსხდომი ადამიანები.

ახლად დატოვებულ მიწასა და იმ მიწას შორის, სადაც ისინი ხვალ უნდა მისულეყენენ, არაფერი არ იყო, გარდა ამ სივრცისა, არაფერი, გარდა თვით ამ ადამიანებისა, არაფერი, გარდა მათი ნებისყოფისა.

როდესაც თვითმფრინავის მართვას ევეგენიას ანდობდა, შჩუპაკი თვალს ხუჭავდა, ისვენებდა, რამდენიმე ნაბიჯს ადგამდა წინ და უკან კაბინაში და შემდეგ რუკას დასჩერებოდა.

თვითმფრინავეს გეზი იოკოგამისკენ ჰქონდა აღებული. შუბლ-შეკუმუნული ბენ-დი-ბუ დაჰყურებდა საათს, სისწრაფის საზომს, ქარის მაჩვენებელს და ძალიან ფრთხილად სვამდა წერტილს რუკაზე.

დიდ სიმაღლეზე აპარატი მსუბუქად მიფრინავდა და მისი მართვა ბევრად უფრო ადვილი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ სიმაღლეზე, მაგრამ მოძრაობის სიადვილე თავის თავად ღლიდა კაცს, ხოლო სიმაღლე და სიცივე დაღლილობას ძალზე ანერვიულებდა. თითქოს ყველაფერი გამჭრალიყოს—თვით დროც კი. იგი არ იძროდა, აღარ იგრძნობოდა მოქმედებაში და რაღაც აბსტრაქტული ხდებოდა. ნამდვილად კი ამ ოპერაციაში ყველაფერი მხოლოდ დროს ეყრდნობოდა. საერთო სტრატეგიულ განზრახვას საფუძვლად ედო ცალკეული კოლონების მოძრაობის ურთულესი გამოანგარიშება და იგი განსაზღვრავდა ესკადრილების ტაქტიკას.

დრო სტრატეგიული ფაქტორი იყო. თითოეულ შენაერთს და თითოეულ თვითმფრინავეს შენაერთში მითითებული ჰქონდა საბრძოლო მოძრაობის ზუსტი ვადები და მათზე იყო დამოკიდებული მთელი ბრძოლის ხასიათი. მას სიზუსტე განსაზღვრავდა.

გმირობა თითქოს უმკაცრეს განრიგებაში იყო შეტანილი. უამისოდ იგი თავაშვებულებად გადაიქცეოდა. ეს იყო პრძოლა, რთული, როგორც ერთგვარი ქიმიური პროცესი, რომელშიაც A რეაქციები იწვევდნენ B რეაქციებს და ჰქმნიდნენ პირობებს ახალი მოვლენებისათვის. ამ მოვლენებს მხოლოდ და მხოლოდ A და B პროცესების თანმიმდევრობის გზით შეეძლოთ წარმოშობა.

ოპერაციის ყველა სტადია მოითხოვდა მაქსიმალურ გმირობას, გმირობას კი სიზუსტე განსაზღვრავდა. დრო, რომელიც უცნაურად არ იგრძნობოდა, გამარჯვების მთავარი მამოძრავებელი იყო.

შჩუპაკის მძიმე ოთხმოტორიანი ყუმბარმტყორცნი ოპერაციის ადგილისაკენ მანქანების უკანასკნელ ტალღაში მიჰქროდა. მის წინ კრთოდა რაზმის მიჯრილი წყობით მიმავალი აპარატების კონტურები.

შჩუპაკს ახლა ერთი აზრი ჰქონდა თავში და ეს აზრი ყოველივე დანარჩენს ჰფარავდა—მწყობრში ყოფილიყო, ესე იგი სიზუსტე დაეცვა.

ყუმბარმტყორცნებისათვის დაკისრებულ საქმეში ბრძოლას ერთი წუთი ჰქონდა დათმობილი. უნდა მისულიყვნენ იოკოგამასთან, შემოევლოთ მისთვის და მიახლოებოდნენ ტოკიოს. ტალღა ტალღას უნდა მიჰყოლოდა, გადაესროლათ ყუმბარები, გადაექროლათ ქალაქზე და გამობრუნებულიყვნენ უკან. ამის შემდეგ საბადრაგო კრეისერები გაუმკლავდებოდნენ მოწინააღმდეგის ძალებს, მაგრამ თვით ყუმბარმტყორცნები ამით დაასრულებდნენ თავიანთ ბრძოლას. შჩუპაკმა თვალი მიმოავლო თავის თანამგზავრებს. გაუძლებენ? ყოჩაღები არიან! შჩუპაკი თვითონ მიუჯდა საჭეს, ევგენიას კი ანიშნა, არ ჩაეთვლიმა, რადგან ცას განთიადი ეპარებოდა და მათი თვითმფრინავი უკვე უნდა მოსჩანდეს ქვემოდან.

მაგრამ მიწა ვერ ხედავდა მას. თვითონ მიწაც ძლივს ისახებოდა. მას უფრო ხვდებოდნენ, ვიდრე ხედავდნენ. იგი იგულისხმებოდა.

მაგრამ აი ბენ-დი-ბუმ ფრთხილად დასვა წერტილი რუკაზე და ჩაახველა.

— იაპონია,—სთქვა მან და გემის მეთაურისაკენ დაიხარა.

— რაო?

— იაპონიაზე მივფრინავთ,—სთქვა ბენ-დი-ბუმ, დაძაბულობისაგან მოქანცულმა, და კბილი კბილს დააჭირა.

იგი არწივევით მიჰქროდა ომში, ჰკვეთდა ზღვას, და აი მიწა, საითკენაც მიისწრაფოდა ის, უკვე ახლოვდებოდა, უხილავი და შორეული. მას ძალიან უნდოდა ჩაეხედა ქვემოთ, მაგრამ იგი ერთი წუთით აჩერდებოდა მხოლოდ აღმოსავლეთს, გარიჟრაჟს, რომელიც

შუქურასავით ელავდა ნისლში, და კვლავ ხუჭავდა თვალებს. დილა მოახლოვებული იყო.

მტრედისფერი ლაქა, რომელიც ერთი საათის წინათ ბუნდოვანად და ზანტად თრთოდა ნაცრისფერ ნისლში, ახლა გაფართოვდა, გაიშალა და გაბრწყინდა. თვითმფრინავი თითქოს ამ მტრედისფერი უფსკრულის კიდეზე იდგა, რათა ერთბაშად დასძგერებოდა მას, ჯერ კიდევ ღამის ჰაერის ნაცრისფერ ნისლში მიმალულს. ასე დგანან უფსკრულის პირას, ბუდის თბილ კლდეს მიყრდნობილი, მსხვერპლის მოთვალთვალე არწივები გაფრენის წინ. მაგრამ თვითმფრინავი არ იდგა, იგი უდიდესი სისწრაფით მიჰქროდა, დიდხანს რჩებოდა რუხისა და ნაცრის ფერების გამყოფ მიჯნაზე, თითქოს ღამეს ფრთებით მიათრევსო. დილა მოახლოვებული იყო, მაგრამ დილამდე კიდევ დიდი მანძილი რჩებოდა. ბენ-დი-ბუს არ უნდოდა განცდებზე დაეხარჯა ძალ-ღონე. მას უნდოდა ზღვაზე ამ გადახტომის დროს შეენარჩუნებინა სამშობლო მიწის სითბო, მშობელი ქვეყნის ტყეების სურნელება და მშობლიური ხმების ჟღერა.

შჩუპაკის თვითმფრინავი ახლოს იყო მიზანთან.

აი სწრაფად მიმოიბნა ცისკრის კიდეზე დაგროვილი ღრუბლები და კალკიდან გადაღებული სურათივით მკაფიოდ და ნათლად გამოჩნდა მიწის ნაკვეთები. იელვა ზღვამ. ლურჯისა და მწვანე-მიხაკისფრის მიჯნაზე სქლად აბოლდა ქალაქი.

მათ ეგებებოდა მიწა ფართო კვამლის საბურველიდან თავგამოყოფილი დაბლობებითა და მდინარეებით. ეს კვამლის საბურველი იოკოგამის თავზე იყო გადაფარებული და იგი ნაწილობრივ ზღვასაც ფარავდა. თანდათან იშლებოდა კანტოს ველი და მდინარე სუმიდოგაგის ბუნდოვანი ხეუელი. მის შესართავთან მდებარეობდა ტოკიო. შჩუპაკმა ველს შემოუარა. მექეჰის მსგავსი კუნძულებით მოფენილი ნავსადგურის მუქი-იისფერი წყალი უკან დარჩა. ერთი წუთით ყველაფერი შეიკუმშა, იგი მოჰქროდა, ხანკარძლივობას მოკლებული, სულთქმასავით უმოკლესი.

ტოკიო ახლოვდებოდა, იგი ფრთებქვეშ ექცეოდა. მისი ხსნა გაქცევას შეეძლო, მაგრამ ქალაქები ადგილობრივ კვდებიან.

— მივედით, — უხმოდ წარმოსთქვა შჩუპაკმა, თითი დაადო წრთელი ფანქრით გადახაზულ წერტილს და შეხედა ბენ-დი-ბუს.

მან თავი დაუქნია.

ქალაქი ჰგავდა ხანძარს ან ღამის ოაზისს ბრწყინვალე და ხალხათი დღის სივრცეში. კვამლის საბურველი დაფლეთილ ფარდად გადაფარებოდა მას, ქარი აჯრიალებდა ამ საბურველის კიდეებს და აჩენდა ქალაქის გარეუბნების უდაბური ქუჩების ბოლოებს.

ამ პირობებში ყუმბარების ზუსტად დაშენა შეუძლებელი იყო, მაგრამ ყუმბარმტყორცნები ისეთ სიმალლეზე იყვნენ, როდესაც ზუსტად სროლას მნიშვნელობა არა აქვს. ყუმბარების გაბნევის ელიპსი იმდენად დიდი იყო, რომ არც კვამლის საბურველს, არც ნილსს, ქალაქი რომ წისლით ყოფილიყო დაფარული, არ შეეძლო მისი დამალვა და ხსნა. ქალაქი არსებობდა, ქალაქი იქვე იყო, იგიცის ქვეშ გაწოლილიყო და ნავიგატორის მარტივი ანგარიში პოულობდა მას უჩინარს თუ ცხადს: მას ვერაფერი ვერ დაიცავდა ნგრევისა და დაზიანებისაგან.

პირველი ტალღის ერთბაში სროლა!

უენიამ შეჰკვივლა.

კვამლის საბურველი შეირხა, იგი ნაკუწ-ნაკუწად აქცია ქარმა და აფეთქებამ. მის ნაჩვრეტებში გამოჩნდა ქალაქის ცენტრი, სიმიდუს ხიდეები. კომადატას ხიდი გაქრა, აზუმა გვერდზე გადაწვა.

მეორე ტალღის ერთბაში სროლა!

გორგლებად ქცეული საბურველი შიშინით ჰაერში ავარდა და გაიბნა. მხედველობის არეში გამოჩნდა აღმოდებული არსენალი. აკაზაკა-პალასი ვულკანივით ჰბოლავდა. კიობაჩის უბანი დანგრეული შენობების ნაცრისფერ-წითურ მტვერში იყო გახვეული.

აი მარცხნით და ქვემოთ ჰაერში მძაფრად ავარდა იაპონელთა გამანადგურებელი. მისი მორტორის კაპოტის წინ ტყვიების ორი გორდოვან-ყვითელი ნაკადი გაიქიმა. მოიერიშე კოლონების მარჯვნივ გამოჩნდნენ და მალე გაჰქრნენ ათეული მანქანების შავი ლანდები.

გაგრძელდი, ომის წამო!

ქვემოთ უბანი ცეცხლის ალშია გახვეული. იწვიან ნავთსადგომები, დოკები, პაკაუზები. ცეცხლის ზოლებს შორის მოძრაობს რალაც შავი, მჭიდრო, — შეიძლება ბრბო, შვიდი ათასი მეტრის სიმაღლიდან ქალაქი პატარა მოსჩანს.

შესამე ტალღის ერთბაში სროლა!

ქვემოთ დულს და ბობოქრებს კვამლი, გიზგიზებს ცეცხლი. ქალაქის ცენტრში უდაბნოები ჩნდება. აქა-იქ მოსჩანს, როგორ ჰქრებიან და მიწის პირს უსწორდებიან შენობები.

მეოთხე ერთბაში სროლა!

მეხუთე.

გაგრძელდი, ომის წამო!

დეე ომი დაიწყო აქედან, ამ შორეული ქალაქიდან, რომელიც მშვიდობიანი ცხოვრების ნებას არ აძლევდა არც თავის ქვეყანას, არც მსოფლიოს. მიიღე სასურველი ომი, ტოკიოე! იომე, ვაქარო! ჩამოიცი აირწინალი და დადექ საკუთარი სამემკვიდრო დუქნის სადარაჯოზე, თავით ჩაეფლე მის აკვამლებულ ნანგრევებში, მაგრა ჩასკიდე ხელი შაშხანას,—ბრძოლამ მოგისწრო, ომი სახლში გეწვია.

იგი გავანთავისუფლებს მომქანცველ მანევრებისაგან მთებში, ღამის თვისაგან წვიმის ქვეშ და ზღვის უკულმართობისაგან.

იგი ჰუმანურად მოგეპყრობა.

დაანგრევს ბანკს, გადასწეავს სახლს, დაასახიჩრებს შენს შეილებს, თვითონ შენ კი, გონება-დაკარგულს, ტოკიოს ქუჩებში გამოგისვრის, ხალხის წინაშე დაგაყენებს, და უამბობ მას პატრიოტიზმზე, დიდებაზე, ომზე.

ასე ფიქრობდა თუ ხმამაღლა ბუტბუტებდა ევგენია, როდესაც ხედავდა იმ ქალაქის შეშფოთებას, რომელიც, მართალია, თავდაცვისათვის მოემზადა, მაგრამ მაინც ყუმბარმტყორცნთა უეცარი თავდასხმა მოულოდნელი აღმოჩნდა მისთვის.

მექვსე ერთბაში სროლა!

ახლოედებოდა უკანასკნელი ტალღა, რომლის მარჯვენა ფრთაზედაც შჩუპაქის გემი იყო. საბადრაგო კრეისერები ებრძოდნენ მოწინააღმდეგეს. და იცავდნენ ყუმბარმტყორცნებს, საშუალებას აძლევდნენ მათ გაბრუნებულიყვნენ ყუმბარების ჩამოყრის შემდეგ.

ქვემოთ ყველაფერი იწოდა და ბოლავდა. გემის ქვეშ მოსჩანდა ჰაერში ავარდნილი თეთრი და წითური ბოლი ქვემეხებისა.

ქალაქიდან გარბოდნენ მატარებლები. იწოდა სადგურები. ქუ-

ჩებში ცეცხლის ნაკადები დაჰქროდა. ცენტრში, უზარმაზარი ბა-
ლის იქით, რალაც დაუსრულებლად სკდებოდა და ინგრეოდა.
ერთბაში სროლა!

„ეს არის ჩვენი უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა“...

დამღერა ბენ-დი-ბუმ და ხელით მოიწმინდა გაოფლიანებული
და ფერმკრთალი სახე. მღეროდა რალაცას ევგენია, მღეროდა რა-
ლისტი, მღეროდნენ ყველანი. და ჩვეულებრივი ადამიანური სიკე-
დილი, რომელიც დასაწყისში ასე აშინებდათ, ახლა უკვე უცხო
იყო მათთვის. ისინი არ მიხობავდნენ ბილიკზე, არ იწვენენ სანგრებ-
ში, არამედ სარდლებივით თვითონვე ხედავდნენ თავიანთ ბრძო-
ლის ასპარეზს, და მათი გული სავსე იყო სიმამაცით, იმის თანა-
დარი სიმამაცით, რასაც ისინი ხედავდნენ და აკეთებდნენ.

და თუ ახლა მათ თავიანთ მანქანასთან ერთად მიწაზე დაცე-
მა უწყერიათ, მათი უკანასკნელი ამოკენესა იქნება გამანადგურებე-
ლი გრიალი, და სისხლის შხეფების ნაცვლად ჰაერში ავარდებთ მათ
სხეულებზე უფრო მძიმე აგურები და ქვები.

შჩუპაკმა ყუმბარები გადაყარა, ქალაქს შემოლუარა და რადგან
უკანასკნელი იყო ბრძოლის ველზე, გადასწყვიტა გადაეღო ყუმბა-
რების დაშენის შედეგი. საკმაო იყო სამი თუ ხუთი წუთის დაკარგ-
ვა გადაღებაზე, რომ ჩამორჩენოდა მწყობრს. თეთრი და წითური
ღრუბლები უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ გემს, უფრო და
უფრო მჭიდროვდებოდნენ ერთ დიდ ღრუბლად.

მათ ტყვიებს უშენდნენ. ვერც ევგენიამ, ვერც ბენ-დი-ბუმ,
რომელნიც ჯერ კიდევ მღეროდნენ ხმამაღლა და გატაცებით, ვერ
შენიშნეს, რომ შჩუპაკი დაჰრილი იყო.

უეცრად იწივლეს მოტორებმა. მანქანა შეარხია აფეთქების
კონველსიამ და იგი მსუბუქად გვერდზე გადაქანდა.

ევგენიამ მყისვე გაასწორა მანქანა, მაგრამ სიმალლე უკვე და-
კარგული იყო.

—ორი მარცხნივ!—მოთენთილი ხმით ჩასჩურჩულა შჩუპაკმა
ევგენიას, თან თავს იქნევდა, უნდოდა ძლიერი მოძრაობით გადაეგ-
ღო შუბლიდან მუზარადი. სახე წვრილი, ხშირი ოფლით ჰქონდა
დაფარული, თითქოს ნაყვავილარიაო.

ორი მარცხენა მოტორი დამტკრეული აღმოჩნდა.

ახლა ყოველ წუთს უფრო და უფრო ნათლად მოსჩანდა ბრძოლის ველი. ბრძოლის ერთი ველი, მიწაზე, ბოლაედა და იწოდა, მეორე, ჰაერში, გუგუნებდა ყოველი მიმართულებით მონაგარდე რამდენიმე ასი მანქანის მოძრაობისაგან. კაცს ეგონებოდა, ხუთასი იაპონური მანქანა მაინც არისო, და ეს, რა თქმა უნდა, ყველა როდი იყო. საჭირო იყო გამობრუნების საშუალების დასახება, მაგრამ ევგენია ფიქრობდა, რომ მის მდგომარეობაში გამობრუნებაც საერთოდ შეუძლებელია. აშკარა იყო, რომ მეორე და უკანასკნელი ბრძოლა კანტოს ველის თავზე უნდა მომხდარიყო.

„ველარ დავბრუნდებით“, — ფიქრობდა ევგენია და მექანიკურად მართავდა მანქანას.

იგი სწრაფად მოსწყდა ცას, სადაც თვითმფრინავები დანაგარდობნენ. ახლა ევგენია თავს დასტრიალებდა სახურავებსა და ქუჩებს და გზას იკვლევდა ქალაქიდან. გასასვლელად.

ევგენიას მარჯვნივ მიფრინავდა მისავით მწყობრს დაშორებული მისი ეკსადრილის დაზიანებული ყუმბარმტყორცნი. ევგენია გრძობდა, რომ პილოტი იცნობს და განგებ მისდევს გვერდით. ევგენიამ ფრთები შეარხია, პილოტმა პასუხი გასცა, მაგრამ უეცრად დაკარგა იგი მხედველობიდან კვამლისა და მტერის ბნელ ფონზე. სამაგიეროდ ის გრძობდა, რომ მარტო არ არის, ამხნეებდა და ამშვიდებდა ევგენიას. ევგენიამ სიმღერა გააბა. „გავიკვლევთ, გავიკვლევთ შინისაკენ გზას! დიალ, დიალ, გავიკვლევთ, დიალ, დავბრუნდებით!“ — მღეროდა იგი აღტაცებული და ბორცვებისაკენ და ბორცვების ჩრდილებებისაკენ მიმართავდა მანქანას. მარჯვნივ მიმავალმა მეზობელმა გაუსწრო, იგი მინდვრებს გაჰყვა. მალა აფრენილმა ყუმბარმტყორცნებმა შორს მოიტოვეს ევგენიას და ოთხი სხვა მფრინავის დაზიანებული და დაუძლურებული მანქანები. ზოგჯერ ზემოდან ძირს ვარდებოდა ცეცხლოვანი თვითმფრინავები — ცის სივრცეში საიღუმლო ბრძოლის მოწმე — და ეშვებოდა პარაშუტი.

წინ გამოჩნდა ავტომობილებით გაქედილი ხიდი.

— არის? — იკითხა ევგენიამ თავის მოძრაობით.

— არის! — უპასუხა ბენ-დი-ბუმ და ააკაკანა ტყვიამფრქვევი.

მარჯვნივ მიმავალი მეზობელი მიუახლოვდა ევგენიას და თან გაიყოლია. ევგენია ხედავდა, რა ოსტატურად ინიღბებოდა იგი მიწის ფერებში. ევგენიაც ასევე უნდა მოქცეულიყო. მაგრამ რა ძნელია ხელის აღება შეტევაზე, როდესაც ჯერ კიდევ გყოფნის ძალა!

„კარგი,—გაიფიქრა მან.—თავს შეეკავებთ“,—და ევგენია მიჰყვა მეზობელს. ევგენიას ახლა ერთი აზრი უტრიალებდა თავში: ოსტატურად ეფრინა დაბლა, მიწის მახლობლად. გადადიოდა ჩრდილიდან ჩრდილში, მთიდან მთაზე, ნახნავიდან ნახნავზე—და აი უკვე მთელი სამყარო, მთელი მღელვარება და ზრუნვა განზე დარჩა, მიუყრდა და გაქრა. ევგენია ახლა მხოლოდ სისწრაფესა და დროზე ფიქრობდა.

ერთად-ერთ გამოსავალს მის მდგომარეობაში შეადგენდა განცალკევებით და დაბალ სიმაღლეზე ფრენა. მაგრამ მთელი კუნძულის გადასერა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ თითქმის განუზორციელებელ სიძნელეს წარმოადგენდა. საბედნიეროდ, არაფერ არ სდევნიდა არც ევგენიას და არც მის მეზობელს. მოწინააღმდეგე გართული იყო მალა ბრძოლით. ახლა არაფერ არ აინტერესებდა დაზიანებული, ბრძოლისუნარს მოკლებული მანქანა. მისი ბედი ცხადი იყო.

ორი საათის შემდეგ, როდესაც ევგენიამ უძრავი ხვეული და მარყუჭი გააკეთა შემნიღბავი ფონის ძებნაში, გამოჩნდა დიდი ქალაქი.

—როგორ არის საქმე?—შეეკითხა იგი ბენ-დი-ბუს სალაპარაკო მილით.

—უკან არაფერ არ მოსჩანს,—მზიარულად უპასუხა მან.—მგონი, დავაღწევთ თავს.

მარჯვნივ მიმავალი მეზობელი ქალაქის შემოვლას აპირებდა და მასაც იქით წასვლას ანიშნებდა, მაგრამ ევგენიამ გადასწყვიტა შეჩერებულიყო.

„ჯანდაბას სიციოცხლე!—გაიფიქრა მან აუღელვებლად.—ერთი კარგად შეეუფუტხუნებ“.

და მაშინვე იგრძნო, რომ ქვემოდან ესროდნენ. ყუმბარები

მალლა სკდებოდა, მაგრამ ნატეხები ახლოს იბნეოდა და აშავებდა, მწვავედ სუსხავდა მის სახეს.

ევგენიას გზა გადაუჭრეს იაპონელთა გამანადგურებლებმა. იწყებოდა ბრძოლა, უმაგალითო თავისი სისასტიკით, ელვისებური სისწრაფით, დაძაბულობით. ასეთ ბრძოლაში დაჭრილი არ არის. თვითმფრინავი ვერ ასწრებს ვერც თავის დაძვრენას, ვერც დაშვებას. ძნელი წარმოსადგენია, თუ რამდენად შეზღუდულია მხედველობა ჰაერში. მანქანა თითქმის მოულოდნელად ჩნდება თვალწინ და უეცრადვე ჰქრება. იაპონელებმა გადასწყვიტეს, პირდაპირ დასტაკებოდნენ თვითმფრინავებს.

აი სამი მათი გამანადგურებელი მარჯენივ მიმავალ მეზობლისკენ გაეშურა. მას გამოსავალი აღარ ჰქონდა. მთელი ძალით დაეშვა იგი ქვემოთკენ და ყუმბარასავით დაეხეთქა უზარმაზარ ბენზინსაცავს, სადგურის პირდაპირ. ევგენიამ დაინახა, როგორ დაიმსხვრა თვითმფრინავი და როგორ ამოვარდა სამ სართულიანი სახლისოდენა ნავთის რეზერვუარიდან თეთრი და სქელი კვამლი. შემდეგ უეცრად დაბნელდა. თვითმფრინავი შექანდა და მარცხნივ გადაყირავდა, ლევდები დააწყდა და ევგენია კაბინიდან გადავარდა.

„ყოჩაღ, აი შესანიშნავი სიმამაცე!“—ეს იყო ერთად-ერთი აზრი, რამაც მას თავში გაუელვა იმ წუთს. ევგენია ფიქრობდა, რომ აფეთქებამ იგი მალლა აისროლა და რომ ეს მისი აღსასრულია.

ევგენიას არ გაუგია თავზე გახსნილი პარაშუტის შენჯღრევა, არ უგვრძნია დაცემა. მისი გაფართოებული, ღიად დარჩენილი თვალეები მოიცვა უეცრად დაბნელებული ცნობიერების წყველიაღმა. იგი ხედავდა ცას, რამდენიმე ვარსკვლავს, ესმოდა შორეული სიცოცხლის ხმაური და თავს გრძნობდა იმ ჰაერის ნაწილად, რომელიც ვარსკვლავების ელვარებას და ქალაქის ფარნების კაშკაშს ასახავდა. ევგენია ვარსკვლავებსა და მიწას შორის იყო და თავისი ეთეროვანი არსებობით ავსებდა ყველაფერს, რასაც ეხებოდა. იგი მსუბუქად ირხეოდა ჰაერთან ერთად. ასე ეჩვენებოდა ევგენიას. ნამდვილად კი იგი დიდი ხანია მიწაზე დაეცა.

ხვედითა ბრძოლა საზღვაოთა

მეორე არმიის დამკვრელი ჯგუფი დაიძრა პოგრანიჩნიას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. მას ქალაქ სანჩაგოუზე უნდა გაეგლო.

ჯგუფის სარდალი გენერალი ოძუ, ორმოცდაჩვიდმეტი წლის მოხუცი, მამაცი და ენერგიული ჯარისკაცი, პირადად ხელმძღვანელობდა საზღვრის გარღვევას ქალაქს უკან მდებარე გორაკზე გამართულ კაპონირიდან¹⁾.

ოძუს, რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილეს და გმირს, ორჯერ დაქრილს თავსა და მხარში, უნდოდა მომკვდარიყო რუსების რკინა-ბეტონის რკალს იქით. ეს ის გენერალი ოძუ იყო, რომელმაც ამასწინათ ითხოვა მოწყალეობა—მიეცათ მისთვის ნება პირადად დაეხვრიტა თავისი მემამოხე შვილი, ლეიტენანტი, რომელიც ჩინელებს ტყვედ ჩაუვარდათ და მათ მხარეზე გადავიდა. იგი ფუშუნში შეიპყრეს და დახვრიტეს, როგორც თავისი იმპერატორის მოლაღატე.

„ჩვენ გავარღვევთ მათი უბიწოების რკალს, როგორც მსოფლიოში ყველაზე ნაყოფიერი ხალხის მამაკაცები“,—ასე სწერდა გენერალი თავის ბრძანებაში. ეს ბრძანება ჯარისკაცებს გადასცეს მარშის დროს ყოველი ასეულის წინ ჩამწყრივებული, კავშირგაბმულობის მოტოციკლებზე დადგმული საეციალური რეპროდუქტორებით.

მისი არმია საბჭოთა საზღვრისაკენ მიდიოდა პატარა მუხლუხოვანი და ბორბლებიანი ფაბრიკებისა და ქარხნების ნაკადად. ქვეითი ჯარით, ქვემეხებითა და ქიმდანადგარებით დატვირთული საბარგო ავტომობილების კოლონებს მისდევდნენ საწყობებად გადაქცეული ავტომობილები, წყლის მზიდავები ავტომობილები, ბენზინცისტერნებიანი ავტომობილები, გაზით მოწამლული ნივთების მომსპობი ავტომობილი-ლუმელები, ავტომობილი-სამქედლოები; საავადმყოფოები, რადიოსადგურები. მათ მიჰყვებოდნენ მომარაგების მოძრავი ბაზები, ავტომობილი-სამრეცხაოები, სადაც რეცხავდნენ და დეზინფექციას უკეთებდნენ მოკლულთა ტანისამოსს

1) კაპონირი—ქვის კამაროვანი ნაგებობა ციხე სომაგრის მშრალ თხრილში თხრილისათვის ყუმბარების დასაშენად შეღვევის დროს.

გადასაკეთებლად და დასაკერებლად ზურგში გაგზავნის წინ. მიდიოდნენ იარაღის სახელოსნოები, საელექტრო-სამონტაჟო ბიუროები და კვლავ უთვალავი ცისტერნები და სავაზნო საწყობები.

ავტომობილების არმიას მისდევდა მტვირთავთა არმია. მას ვაზნები და წყალი უნდა მიეწოდებინა მსროლელთა მწკრივებისათვის და გაეზიდა მატერიალური ნამსხვრევები ბრძოლის ველიდან.

საზღვართან მდებარე სოფლებში იაპონელი შემკრებნი დაძრწოდნენ. ისინი მტვირთავთა რაზმებში რიცხავდნენ ყველა მამაკაცს. ვან სიუნ-ტინი დაიბნა, არ იცოდა რა გაეკეთებინა. მაგრამ დაყოვნება არ შეიძლებოდა და მან შეიღს ორი ბრძანება გასცა: მისი ხალხი უნდა ჩაირიგებულყო რაზმებში და შეჯგუფებულყო თავის მამასახლისების გარშემო, ქალებისა და ბავშვებისათვის კი უნდა გადაეცათ. რომ ხანძარი სასურველია ყველა შემთხვევაში ყველა ფერი, რის დაწვაც შესაძლებელია, მხიარულად უნდა იწოდესო.

მეორე არმიის დივიზიები ბრძოლისათვის ეწყობოდნენ. ავანგარდში მათ არტილერია და ტანკები ჰყავდათ.

კაპიტან იაკუიამას მიერ აღზრდილი „დამმახსოვრებლების“ რაზმები ბატალიონებსა და ბატარეებს შეუერთდნენ იერიშის წინა დღეს. ეს ძველი მესაზღვრე ჯაშუშები საკმაოდ კარგად იცნობდნენ რუსეთის საზღვარს. ისინი იტყობინებოდნენ, რომ წითლების წინა ხაზზე ჩვეულებრივი სიწყნარეა, შემჩნეულ იქნა მხოლოდ მექნაწილების უმნიშვნელო მოძრაობა შორეულ გზებზე, იქ, სადაც ვინოკუროვის დივიზიის ადგილ-სამყოფელოაო.

ახლოვდებოდა ღამე, როდესაც იერიში უნდა მიეტანათ. დამკვირველი ჯგუფის ნაწილებში იკეთებდნენ გამოსაცნობ ნიშნებს ღამის ოპერაციებისათვის: ჯარისკაცები—თეთრ სახვევს მარცხენა მკლავზე, უნტერ-ოფიცრები—თეთრ სახვევს ორივე მკლავზე, ოცეულის უფროსები—თეთრ ლენტებს მხრებზე და სახვევს მარჯვენა მკლავზე, ბატალიონის უფროსები—ორ ლენტს ჯვარედინად მხრებზე და პოლკის უფროსები—თეთრ ლენტებს მუზარადებზე.

საზღვრამდე სამი კილომეტრი იყო. ღამის ყრუ წყველიდან იშვიათად მოისმოდა სადარაჯო ძალების ყეფა.

ვან სიუნ-ტინმა იაპონური ჯარისკაცის ტანისამოსი ჩააცვა და საბჭოთა საზღვრის გადასვლის დროს უკან მიჰყვა პირველ მოიე-

რიშე რაზმებს. მიუჩვეველს სული ეხუთებოდა აირწინალის ჩაფხუტში.

იგი რამდენჯერმე დიდის ყურადღებით აათვალ-ჩაათვალიერეს. მაშინ მან გადასწყვიტა, ჯარისკაცის თეთრი სახვევი მარცხენა მკლავზე შეეცვალა თეთრი ლენტებით მხრებზე, როგორც ოცეულის მეთაურს. ყველგან არაჩვეულებრივი ფუსფუსი იყო. იერიშის მოლოდინში ასეულებსა და ოცეულებს უკითხავდნენ უკანასკნელ ბრძანებებს. ფლანგების მეთაურები წარამარა გასძახოდნენ მწკრივებს: კი ვოცუკე! სმენა! ჩუმად!

უფროსი ოფიცრები სიბნელეში იცქირებოდნენ და იგინებოდნენ.

ვილაც ოფიცრმა ხელი ჩაავლო ვან სიუნ-ტინს აირწინალის ხორთუმში და ფეხი ჩაჰკრა მუცელში.

— სიკეი სიმბაი!.. რა დროს სეირნობაა! ვინა ხარ? ჰოი, ცეტო კოი!— ოფიცერს მაგრა ჩაველო ხელი აირწინალისათვის და ვილაცს ეძახდა:— ჰეი, აქეთ! ჰოი, ცეტო კოი!

მაგრამ რადგან არავენ არ გამოჩნდა, ოფიცრმა კისერში ჩაარტყა ვან სიუნ-ტინს და უბრძანა წასულიყო თავის ნაწილში.

საბედნიეროდ, ბნელოდა და ვერავინ ვერ შენიშნა, რომ ვან სიუნ-ტინი ცალხელაა. იგი გასცილდა მსროლელთა კოლონებს, გვერდით აუარა ტანკებს და მიუახლოვდა ცხენოსანთა ჯგუფის მარცხენა ფრთას.

მდინარის გაღმა შავად მოსჩანდა საკოლმეურნეო ნაგებობანი. სადარაჯო კოშკი და ობელისკი ოთხი პარტიზანის საფლავზე. პაერში გაისმოდა მივიწყებული ძაღლების შემაშფოთებელი ყრუილი. ახლავე შეიძლებოდა პატარა მდინარეში გასვლა და ლუზას სახლს ნაცნობ ფანჯარაში დაკაკუნება, მაგრამ სახლი ცარიელი იყო, როგორც მთელი ბუნება წითლების წინა ხაზზე.

ვან სიუნ-ტინი სწრაფად მიიმალა ბნელ ვიწრო ხევში და მიწას გაეკრა.

„ეჰ, ვასკა! ახლა დიდხანს იგუგუნებს მიწა“.

მიწაზე გაწოლილმა ვან სიუნ-ტინმა თავი ფიქრებსა და მოგონებებს მისცა. ფიქრობდა თავის ცხოვრებაზე: ვინ იცის, რამდენჯერ დაიწყო ახლად მისი ცხოვრება, მაგრამ ბოლო მაინც არ

უჩანს. აი მებოსტნეა. განა იყო კი ოდესმე მებოსტნედ? იქნება მამა მისი სთესდა ბოლოკს და ჰყიდა მას რუს ხუცესზე? ვინ დადიოდა რუსებთან ოფიცრების წინააღმდეგ საბრძოლველად? ვან სიუნ-ტინი შემდეგ ისევ ბოლოკს სთესდა. მერე პარტიზანად წავიდა და ბოსტინისკენ გზა სამუდამოდ გაჰქრა. ახლა ომია და ვან სიუნ-ტინი მეთაურია. და როდესაც თავის თავს იგონებდა, ისე წარმოედგინა, თითქოს მებოსტნე ვან სიუნ-ტინი პარტიზან ვან სიუნ-ტინის მამა იყო, ხოლო პარტიზანი ვან სიუნ-ტინი—მეთაურ ვან სიუნ-ტინის მამა. იგი იღიმებოდა და სიამაყეს გრძნობდა, რომ ორი ახალი ადამიანი შობა და კიდევ ბევრს შობავს. ის მებოსტნე ვან სიუნ-ტინზე ფიქრობდა და აქებდა, რომ მეურნე და პატიოსანი მშრომელი იყო, მაგრამ კარგად იცოდა ისიც, რომ მებოსტნე მკაცრი იყო, ხელმოკერილი და ზოგჯერ უყვარდა მეზობლის მოტყუება.

პარტიზანი ვან სიუნ-ტინი სულ სხვანაირი იყო: გაბედული და ბოროტი, და იგი არაფრით არა ჰგავდა მებოსტნეს. გაბედული, ბოროტი, მეტად პატიოსანი სიტყვის ადამიანი, არა ეშმაკი. მას არავინ არ ებრალებოდა. მან ერთი სიტყვა იცოდა: მოჰკალა.

ხოლო მეთაური ვან სიუნ-ტინი ოდნავ დაემსგავსა მებოსტნეს, რომელიც ბაბუასავით გამოიყურებოდა. მეთაურს უყვარდა ფიქრი, მღერა, თვალს უსწორებდა ხალხს და ხედებოდა, როდის ამბობდნენ ისინი ციმარტლეს და როდის ლიცრუეს. მაგრამ ის არც ეშმაკი იყო, არც წყნარი, არც ბოროტი, მას არაფერი არ უნდოდა თავისთვის, არაფერს არ იშურებდა ხალხისათვის. ის ორივეზე ჰკვიანი იყო — მებოსტნეზედაც და პარტიზანზედაც. ასე გამოვიდა ერთი ადამიანიდან სამი.

ამ დროს დაიწყო იერიშის მიტანა საბჭოთა მიწა-წყალზე.

ვან სიუნ-ტინს მოესმა ქვემეხების შორეული გრიალი, მაგრამ ამას არ შეუშფოთებია მისი ფიქრები. იაპონელთა ესკადრონებმა მდინარე გადალახეს. მოისმა ჰაერის სწრაფი ზუზუნის რუსების მხრიდან. ვან სიუნ-ტინმა მდინარესთან ჩაირბინა. წინ მიფოფხავდნენ კავშირგამბმელები, მესანგრეები ხიდს აგებდნენ, ხიდთან ჩაცუტკებულნიყვნენ შოფერები, მზარეულები ამბობდნენ, რომ დღეს არავითარი სადილი არ იქნება.

ვან სიუნ-ტინმა წყალში შესტოპა. დაქროლი ცხენები პატარა მდინარეში ფართხალებდნენ. ლუზას ეზოში მიწაზე გორაობდა ბოძზე მიბმული ბანზაი. მან შორიდან დაინახა ვან სიუნ-ტინი და გაირინდა, ხოლო როდესაც მემოსტნემ ჯაჭვი მოხსნა, ძალი მკერდზე შეახტა, კისერში ჩააფრინდა და მიწაზე დააგდო. ასე იღვა დიდხანს, ჩასცქეროდა სიბნელეს, ყურს უგდებდა ტყვიების ზუალს და სწრაფად ყნოსავდა ჰაერს.

ლუზას ჩაბნელებული სახლი ცოფიანს დამსგავსებოდა. ფანჯრები ილეწებოდა, მინები პატარა-პატარა ნატეხებად იშახვრეოდა, ჩარჩოებს ტაკა-ტაკუცი გაჰქონდა, სახურავიდან რკინის ნატეხები ცვიოდა, ტყვიები კედლებს ჰკენკავდნენ. სახლი ზანზარებდა, ბოლავდა, კარები იღებოდა, თითქოს გაოეთ ერეკება დაუპატრიებელ სტუმრებს, დარაბები ქანაობდნენ. რადიოსაყვირი ხრინწიანი, ჩახლეჩილი ხმით გაჰკიოდა: „ვაშა, ვაშა, ბის!“ — და ვილაცის რიხიანი ხმა ხმამალა ჰიმლერას იწყებდა.

ბანზაიმ დაიწკმევლა და გაუშვა ვან სიუნ-ტინი.

როდესაც თავისთან დაბრუნდა, ვან სიუნ-ტინმა გააღვიძა სარდაფში ტებილად მძინარე შიკრიკი და შეუთვალა მამასახლისებს, რომ სამოქმედო გეგმა იგივე რჩება: ხელი შეუშალო და ავნეთ. სადაც და როგორადაც შეიძლება, დასწვით მანქანები, გააფუქეთ გზები და თან საიდუმლოება დაიცავითო.

და ჯერ დღე არ დამდგარიყო, რომ ცეცხლის ალი ჰორიზონტს მოედო.

დამკერელი გგუფის უფროსის საკომანდო წერტზე ყველაფერი მზად იყო ბრძოლისათვის. ბალახში იწვნენ და ხეებზე ისხდნენ გენერალური შტაბის ოფიცრები ტელეფონებით, ხმის დამკერებით და საველე წიგნაკებით, თითოეული—თავისი ხაზით. ოფიცერ-შიკრიკები დურბინდებში იყურებოდნენ, თითოეული—თავისი ხაზით. აქვე იწვნენ სავსებით გამზადებული ცხენოსანი და ქვეითი შიკრიკები, თითოეული—თავისი ხაზით.

სამ საათსა და თხუთმეტ წუთზე მოისმა ქვემეხების გრიალი. ქვემეხების გრიალში შიგა და შიგ გაისმოდა ტყვიამფრქვევების კაკანი.

გვარდიის დივიზიები საბჭოთა საზღვრისაკენ დაიძრნენ.

გენერალ ორისაკას გვარდიის დივიზიის მარცხნივ მიდიოდა უმცროსი ნოსიოს სატანკო დივიზია. 'ეს ნოსიო ძმა იყო მესამე არმიის სარდლისა, რომელსაც „ფრანგულ ბელურას“ ეძახდნენ. დიდი ომის დროს ის დასავლეთის ფრონტზე იყო და მონაწილეობას იღებდა სომთან ბრძოლაში, რისთვისაც, ყველას გასაოცრად, რატომღაც რუმინიის ორდენი მიიღო.

მარჯვნივ მიდიოდა გენერალ კაღოს ცხენოსანი დივიზია. ძალზე ბნელოდა. ჯგუფის უფროსის მაღალ გორაკიდან მაინც მოსჩანდა საზღვრის იქით მდებარე ბორცვებისა და დაბლობების ბუნდოვანი გამოხატულება. ქარი არ უბერავდა.

ოძქვ უბრძანა დაეშინათ წითლების წინა ხაზისთვის მოკლე საფრენოსნო მოქმედების ქიმყუმბარები და გარღვევის მოახდენად დასძრა სატანკო პოლკი და მუსუბუქი ყუმბარმტყორცნები.

— დროს ნუ დაეკარგავთ, მზის ამოსვლას რუსების მიწა-წყალზე შეეხვდეთ.

რუსების მიწა-წყალი გაელვარდა. მასზე გადაიბრინა სასიგნალო ყუმბარების ცეცხლმა და აფეთქების ალმა.

ქალაქ სანჩაგოლზე გაიბრინეს მენალმეებმა, მეყუმბარეებმა, ქიმიკოსებმა. მათ მიჰყვა ქვეითა ჯარის მეორე ტალღა.

გამაგრებულნი წერტების პირველი რკალი თითქმის საზღვრის გეოგრაფიულ ხაზზე აღმოჩნდა. ოძქვს მზვერავებს ჯერ კიდევ ესმოდათ სასაზღვრო ძალების ღმუილი და პატრულების დაბალი ხმა.

პირველ იერიშს მესაზღვრეებმა გასცეს პასუხი.

მათ სამი დღის წინათ იგრძნეს ომი და, მისთვის მუდამ მზად შყოფნი, ახლა შეუპოვრობის განსაკუთრებული გრძნობით გამსქვალულნი ჩასაფრდნენ ქვეყნის კიდურზე: გამყოლნი ძალებითურთ—ბილიკების ჯვარედინზე და პატარა ხეებში, ელექტრიკოსები—მავთულიან ეკლებში, სნაიპერები—ფონთან. ტარასუკმა დაღამებისას მიატოვა თავისი სადარაჯო. თავის მშობლიურ კუთხეში ჩამოსული ლუზაც მასთან იყო ისინი ხშირ ბუჩქნარში ყიწრო ბილიკზე გავიდნენ.

— შესდექ! დაწექ!—ჩუმი ხმით ჩასძახა მათ ლამემ და ისინიც გაწვნენ.

მალა აწვდილმა კომიტმა რალაც ჩასჩურჩულა ტარასუკს და აიქნია რა შტოები, გვერდზე გადგა და ბილიკის ირგვლივ შემოვლებული მცენარეულის ბნელ კვალს შეუერთდა. უბრალო, ჩვეულებრივი ღამე იყო. მათმა ნაცნობმა კომიტმა თავისი ახალგაზრდა სახე გამოაჩინა და ვასილ ლუზას ახლად გაფურქვნილი მინდვრის ყვავილების თაიგული გადაუგდო. ვასილმა სალამი მისცა ღამეს. ბუჩქებს, ხეებს.

— გმადლობთ ალერსისათვის, ამხანაგებო, — ჩუმად წარმოსთქვა მან და ხელით შეეხო ბილიკის ნაპირას მობიბინე მცენარეულს. არ იცოდა კარგად, რა იყო ეს — ხალხი თუ ხეები.

ისინი გასცილდნენ „25 ოქტომბრის“ კოლმეურნეობის უკვე დაცარიელებულ მინდორს და გაწვნენ იმ ადგილას, სადაც წინათ ლუზას კარავი იდგა.

ღამის ორ საათზე ძირს დახრილი ტყე უხმოდ მიუახლოვდა მდინარეს. მას ფრთხილი ბაჯბაჯით მიჰყვნენ დიდი ქეები, თივის ზვინები, ჯირკვები და ქიანქველის ბუდეები.

ტარასუკი თავზე ყურთსაცავ ჩამოფხატული იწვა.

— გადმოდიან, — წაიჩურჩულა მესამე საათის დასაწყისში, ამასთან მდინარესთან წკრიალით და მხიარულად გაინავარდა პირველი ტყვიის გამოძახილმა. ხოხბებმა მთვლემარე ფრთები შეარხიეს შარშანდელ გამხმარ ბალახში და მოშორდნენ იქაურობას. მარცხნივ წკმუტუნით აყეფდა ძაღლი.

— ასე მგონია, თითქოს შენს კარმიდამოში ვართ, — უკვე ხმა მალა და თავისუფლად წარმოსთქვა ტარასუკმა, ყურთსაცვამი მოიხსნა და გარინდული ყურები დაისრისა.

მდინარის გასწვრივ მოისმა ტყვიების ზუზუნნი, ცალკეული და ერთბაში სროლა. მესაზღვრე სნაიპერები ტყვიებს უშენდნენ იაპონელთა პირველ გადმოსულ ჯგუფებს, მაგრამ მიწა მათ უკან ჯერ კიდევ სდუმდა.

ყველაზე უფრო ძლიერი და მჭეპარე გრიალი მოისმოდა ვეფხვთა გორაკიდან, ლუზას ქოხს უკანიდან. იგი სუსტდებოდა „ტორ გსინის“ ყოფილ დუქანთან და კვლავ ძლიერდებოდა კორეელთა ხუტორებთან.

— რას ფიქრობ, როგორ უნდა იმოქმედო?—ჰკითხა ლუზამ.

— აი ორიოდეჯერ მივესალმები და შემდეგ წერტებს უკან დავიხევი,—სთქვა ტარასუკმა, გაისწორა ლეედი და ღურბინდა ბუდეში ჩასდო—ხოლო მათ კენჭებს დაუტოვებ.

— ისინი?—ჰკითხა ლუზამ და გაახსენა ის საგნები, რომლებმაც რამდენიმე წუთის წინათ გვერდით ჩაუარეს და მდინარისაკენ წავიდნენ.

მაგრამ მდინარესთან თავისთავად ჩაღდებოდა ხელჩართული ბრძოლა. ცნობა ცნობაზე მოდიოდა: მოწინააღმდეგე თავა იყრის ბოგდანოვის მექშენაერთისა და ტერიტორიული დივიზიისა უბნის წინ.

— რაკი ასეა საქმე, უმჯობესია ჩვენებს მივაკითხო, — გადასწყვიტა მაშინ ტარასუკმა. — მე ნაკლები ინტერესი მაქვს. ერთი ორჯერ შეუტევე ხიშტით და წერტების წინ დავტოვებ. ეს იქნება მთელი სამუშაო.

მან გამოუძახა კავშირგამბმელს და სწრაფად და მკაცრად უბრძანა, წაეყვანა ლუზა პოლკოვნიკ ბოგდანოვის შტაბში, თვითონ კი ფოფხვით გაეშურა ბნელი ნაპირის ხრამისაკენ, საიდანაც ტყვიების ზუზუნში უკვე მოიძმოდა ადამიანთა არეული და მრისხანე ხმები.

ორისაკას დივიზიის გვარდიელთა პირველი ჯგუფები, თავიდან ფეხებამდე გაწუწულნი, საბჭოთა ნაპირზე მიფოფხავდნენ. ერთნი სანგრებს თხრიდნენ და ტელეფონის მათულებს აბამდნენ, სხვები აქეთ-იქით მოქანავე პონტონს ამაგრებდნენ. ამ პონტონს ძრავლად ებლაუქებოდნენ მდინარეზე გადასვლის დროს დაჭრილები. ისინი თავშეკავებით კენესოდნენ.

მესაზღვრეები მათ მიუახლოვდნენ, თან წინ ტყვიამფრქვევს მიაგორებდნენ.

ტარასუკმა სასიგნალო შუშხუნა გადაისროლა,—და ყოველივე, რაც კი ცოცხალი იყო საბჭოთა ნაპირზე, ხიშტით ხელში უსიტყვოდ ეძგერა მდინარეს. პატარა მდინარის შუაგულში ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მაშინ იაპონური ყუმბარის აფეთქებამ შეაზანზარა საბჭოთა მიწა-წყალი,—იგი ჯერ კიდევ სდუმდა,—

და ამ პირველ ყუმბარას მოჰყვა გრიალი, რომელმაც შთანთქა ცალკეული ხმები.

ყველაფერი აზანზარდა და კვამლში გაეხვია. მძიმე და მშრალ სეტყეასავით ეფინებოდნენ მიწას ქვები, ცეცხლისაგან შეტრუსული შტოები, დამსკდარი და დაფლეთილი ხეები.

საბჭოთა მხარე კვლავ სდუმდა. მანჯურის ნაპირზე გამოჩნდნენ პატარა ტანკები, ამფიბიები, ისინი ფრთხილად მიუახლოვდნენ მდინარეს, თითქოს საარტილერიო მზადების დასასრულს ელოდებინათ.

ტარასუკმა თავი მიანება პონტონს, უკან წაიყვანა თავისი მესაზღვრეები და ჩამალა მიწისქვეშა სოროებში, ტანკების გზაზე.

ჰაერში იაპონელთა ყუმბარმტყორცნები აგუგუნდნენ. გეორგიევკასთან რალაცას ცეცხლი მოედო. მდუმარე მიწას აზანზარებდა ყუმბარების გაშმაგებული გრიალი, ხმების კატასტროფულ სიგიჟედ ქეუული. თითქმის განათდა, მაგრამ ეს სინათლე შემზარავი, დამაბრმავებელი იყო. თითქოს წყნარ და მთვლემარე გორაკებზე მრავალი ელვა ხტოდა, იჭრებოდა მთაში და უკან ვარდებოდა ცეცხლოვან წერტილებად დამსხვრეული და მოლაპლაპე მტერად გადაქეუული.

ეს იყო დაბლა, მიწაზე, მძვინვარე ქეჟა-ქუხილი,—და ყველაფერი, კვამლისა და მტერის ღრუბლებიც, ლაპლაპა ალიც, გუგუნიც, ბობოქრობდა არა ცაში, არამედ მიწაზე, სადაც იგი ნთქავდა ბალახს და ახურებდა ქვას.

საზარელ ქეჟა-ქუხილით გავარეარებულ ჰაერში მიჰქროდნენ თვითმფრინავების ლანდები. !

უეცრად ყველაფერი მიწყნარდა, თუმცა ამ მიწყნარებას კაცი გრძნობდა თვალით და არა ყურით. კვლავ დაბრუნდა ღამე. მაგრამ სმენა მკვდარი იყო. და—დაიძრნენ ტანკები. „25 ოქტომბრის“ მარცხნივ ათქარუნდნენ იაპონელთა კავალერიის ცხენები, მათ წინ მიუძლოდნენ პატარა ტანკები, ტანკებსა და ჯავშნოსანებს მისდევდნენ მსროლელები.

ტარასუკის სნაიპერები მიწისქვეშა სოროებში ჩაწვენენ, გამყოლებმა დაძაბვისაგან გაცოფებული ძაღლები აუშვეს.

ნაწილები ჯერ კიდევ გზატკეცილის იქით მოწყობილ აირსაფარში გროვდებოდნენ, და პოლკოვნიკი ბოგდანოვი დაჩოქილი რადიომიმღებთან იდგა, სარდლობის ვიწრო ქვაბულში, ამთქნარებდა და მხრებს იჩეჩდა, როდესაც წინა ხაზიდან მოიბრინეს ლუზამ და მისმა გამყოლმა.

საარტილერიო მზადება ჩაღებოდა.

— ჰა, ისევე მოუთმენლად მოელი?—ჰკითხა ბოგდანოვმა ლუზას და მიესალმა.

— ამდენ ხანს ველოდით, ახლა მალე დაიწყება.

— ტარასუკი ნახე?—ჰკითხა ბოგდანოვმა.

— იქიდან მოვდივარ. იქ უკვე გადმოდიან.

— შეხვედრა გაქვთ,—თანაგრძნობით უთხრა ბოგდანოვმა.— ბედად გიწერია ამხანაგების დასაფლავება,—და როდესაც დაინახა, რომ ლუზა ვერ მიუხედა, რადიო აამუშავა: ქვაბულში ჰაერი აღრიალდა და აქოთქოთდა.

— დულს,—სთქვა ბოგდანოვმა და თვალი ჩაუკრა.— ჩვენ კი არა, მიკრობიც კი ვერ მოითმენს. გესმის, რას სჩადიან? დიად, ნათქვამია: თუ უბედურებისა გეშინია, ბედნიერებას ვერ იხილავო.

გაშმაგებული ლითონის საშინელ მუსიკას ზოგჯერ ხალხის ყვირილი არღვევდა. „დასცხე, დასცხე!“—ყვიროდა ვიღაც წინა ხაზზე... გრიალებდა შორეული „ურა“. და ვიღაც მძიმე უროს ურახუნებდა მიწას. მიწა ღრმად და ყრულ ხვნეშოდა.

— მაშ, მშვიდობით, ანდრეი ტარასუკი!—ჩუმად წარმოსთქვა ლუზამ. მოწოლილმა გრძნობამ ყბები აუკანკალა.

— იქ, ჩემო ძმაო, აღარაფერი აღარ არის,—მწარედ წარმოსთქვა ბოგდანოვმა. შენი ქოხისაგან ნაფლეთებიც აღარ დაჩჩენილა. მან ამორთო წინა ხაზი.

ამ დროს სასიგნალო დაფაზე წითელი მაშუქი აელვარდა.

— იწყებს სტალინის სახელობის წერტი.

კვლავ იელვეს მაშუქებმა, აენთო ერთი რიგი, მეორე.

— მთელმა პირველმა ხაზმა დაიწყო,—სიხარულით წარმოსთქვა ბოგდანოვმა და წამოდგა.

აგრიალდნენ ირგვლივ გორაკები, გორაკებს შორის მდებარე

ხეები, შარშანდელი თივის ზეინები, ქვები, მინდვრის კვლები და ნადირთა სოროები.

ამ დროს აღიუტანტმა ბოგდანოვს გაშიფრული დეპეშა გადასცა.

— ვასილ პიმენოვიჩ, — მიმართა ბოგდანოვმა, როდესაც დეპეშა წაიკითხა: — ხალხი ლუზას მოითხოვს. პარტიზანებმა და მონადირეებმა მეთაურად აგირჩიეს. ახსრეხარ, — შურით დასძინა მან. — ასიამოვნე. ნუ დაიწყებ მოკრძალებას.

წითლების ბატარეების ცეცხლის მეოხებით პირველი ტალღის იაპონელთა ბატალიონები პატარ-პატარა რგოლებად ნაწილდებოდნენ, და მათი მეთაურები თვითონ ირჩევდნენ გზებს მოწინააღმდეგესთან შესახვედრად. ეს მოწინააღმდეგე ყველგან იყო და იმავე დროს არსად არა სჩანდა.

წერტების დაბალი ცეცხლისაგან აბოლდა გამხმარი ბალახი, აღმუილდა ჰაერი. მოფოფხავდნენ იაპონელ მენაღმეთა და სნაიპერთა მწკრივები. ყუმბარების აფეთქებისას ისინი განზე ხტებოდნენ. მათ მსროლელები მოსდევდნენ და თან ტყვიამფრქვევებს მოათრევდნენ. მსროლელებს აწვებოდნენ და წინ უსწრებდნენ სატანკო რაზმები.

მათ წინ ტყვიამფრქვევების ცეცხლის დაბალი საბურველით შემოსალტული უდაბური მიწა იყო გაშლილი.

ასეულები გამაგრებული წერტებისაკენ მიცოცავდნენ, გარსუვლიდნენ მათ და ცდილობდნენ ყუმბარებით დაენგრიათ ისინი, სხეულებით ამოევსოთ მათი საკმელები.

— ეს კვლავ ჩაპეია, — სთქვა ოძუმ, როდესაც საქმის ვითარება აცნობეს. — ჩაპეი, სადაც ყველა ტყვიამფრქვევით არის შეიარაღებული.

მან ბრძანება გასცა — მსროლელთა მწკრივებთან პოლკის არტილერია დაეყენებიათ, ხოლო პოლკებს ხელი აეღოთ ცალკეული წერტების წინააღმდეგ შეტევაზე.

— თუ მათ მიწაში ჯდომა უნდათ, ხელს ნუ ახლებთ, მთავარი წინსვლაა.

ამ დროს გენერალ კადას ცხენოსანი დივიზია, საჯავშნო რაზმებით ფლანგზე და არტილერიით ცენტრში, „25 ოქტომბრის“

კოლმეურნეობის მინდვრებზე გავიდა. წინ შავად მოსჩანდნენ გორაკები, ქოხების სილუეტები, შარშანდელი თივის ზვინები.

— რა მანძილია რკინისგზამდე? — ჰკითხა მან ადიუტანტს.

— პირდაპირი საპაერო ხაზით — ორმოცი, — უპასუხა მან.

— მახლობელ სოფლამდე?

— თორმეტი.

— თორმეტი კილომეტრის მანძილზე საკმარისია ერთი დღე-ღია, — სთქვა კადამ და ნიშანი მისცა დაეწყოთ შეტევა.

კადა ისე შეიჭრა გორაკებში, როგორც მდინარეში. მას იმედი ჰქონდა გადაეღახა, გადაეჭრა ეს ნახევარი საათის საფლელი თორმეტი კილომეტრი, ამასთან უნდოდა ისე გაეელო ეს მანძილი, რომ არაფრისათვის ყურადღება არ მიექცია, არაფრის გულისათვის არ შეჩერებულიყო. ბატარეები მაშინვე ჩამოჩნნენ, როგორც კი ესკადრონები მოსწყდნენ და გაქანდნენ. სატყვიამფრქვევო ოცეულები ხევში ჩარჩნენ, კოლმეურნეობასა და სასაზღვრო სადარაჯოს შუა, სადაც გადარჩენილი მესაზღვრეები ჩასაფრდნენ. მსუბუქი ავიაცია გზას უშუქებდა შეტევას, თავს ევლებოდა დაბლობებს.

ფართოდ გაშლილი და გაბნეული ესკადრონები შეეცადნენ გორაკებს შორის გასხლტომას. ისინი უპასუხოდ სტოვებდნენ წითელი სნაიპერების ცეცხლს, იჭრებოდნენ გაუვალ ხეევებში, მიცოცავდნენ ციცაბო ფერდობებზე ან ცხენებიდან ხტებოდნენ, რომ ტყვია დაეშინათ ამ ბორცვებიანი ველის მღუშარე ქვებისათვის.

თავში დაჭრილი უნტერ-ოფიცერი მიწას ფხეკდა ხელით და თავზე იყრიდა, თითქოს ცდილობდა თავი დაეცვა ტყვიებისაგან. მხედრების მიერ მიტოვებული აირწინალებიანი ცხენები მიწაზე გორაობდნენ.

ყველაფერმა ერთბაშად გაიქროლა და ერთბაშად მოატოვა უკან. შემდეგ გაჩნდა მავთულის ხლართები გზის გარდი-გარდმო, მავთული მუხნარში, მავთული ხეევებში.

— ეს ახლავე გათავდება, — სთქვა კადამ. — დიდი-დიდი კიდევი ორი ან სამი მწკრივილა თუ დარჩა.

მავთულს ხმლებს უშენდნენ, ზემოდან დაჭრილ ცხენებს დამოკლულთა გვამებს აყრიდნენ.

— რამდენი ხანია შეტევას ვაწარმოებთ?

— ერთი საათი და ოცდა რვა წუთი, — სთქვა ადიუტანტმა.

გენერალმა გაკვირვებით შეხედა. მას ეგონა, სულ ათმა წუთმა გაიარაო.

— ეს ახლავე გათავდება, — სთქვა მან და ცხენიდან ჩამოხტა, რომ გაეშვა ვიწრო გზაზე შეჯგუფებული ესკადრონები.

ამ დროს ბოგდანოვმა ბრძანება მიიღო გზა გადაეკრა კადას დივიზიისათვის.

დამკვერელი ჯგუფის სარდალი გენერალი ოძუ ფონით გავიდა მდინარეში პირველი კოლონის კვალდაკვალ, მივიდა ორისიკას დივიზიის მიერ ახლად დაკავებულ წერტთან, შეიხედა შიგნით და დაინახა ფოლადის ნამტვრევებისა და რკინაბეტონის ნამსხვრევების გროვა.

— ვერ გამიგია, რა ემართებათ, სიკვდილის დროს ჰაერს ხომ არ უერთდებიან? — სთქვა მან მხრების აჩეჩით.

რუსების ყუმბარები ხშირად ეცემოდნენ უღელტეხილზე. ტყე თხელდებოდა. ჰორიზონტზე ბრწყინავდნენ გეორგიევკის თუთიის სახურავები. ფართო მინდვრები სოფლის წინ და უკან დაცარიელებული იყო.

— რუსები მუდამ ჩინებულად იცავდნენ თავს, — უთხრა ოძუმ მეთორმეტე პოლკის დაჭრილ უფროსს. — მაინც ვერ გამიგია, რაშია მათი საიდუმლოება.

— ისინი მიწის ქვეშ სხედან, — მიუგო უფროსმა. — ეს არის და ეს. გავცილდებით თუ არა ერთ წერტს, იგი მეორე კოლონას იღებს მიზანში, ჩვენ კი მეზობელი წერტი გვიშენს ტყვიას. მთავარი ის არის, რომ არ ვიციტ, დაიხოცნენ ისინი იქ, თუ არა: არც ერთ ჩვენგანს არ უნახავს, რომ მათ თავი გამოეყოთ გარეთ, თითქოს არც კი არსებობენ. ჩვენ არც ერთი რუსი არ დაგვინახავს: სულ ყრუ მიწაზე მიგვაქვს იერიში, ის კი შებრალებას არ ითხოვს. არ ვიციტ, ცოცხალია, თუ უკვე მკვდარია ეს მიწა.

— მეტად გრძელი პატაკია პოლკის უფროსისათვის, — შენიშნა ოძუმ, მანქანაში ჩაჯდა და უბრძანა წასულიყო უკან, მდინარისაკენ.

მარჯვენა ხელში ექვსგან დაჭრილი პოლკის უფროსი ბარბაცით გაემართა თავის მწყრივისკენ.

— თანამედროვე საველე ნაწილებს უდიდესი წინააღმდეგობის გაწევის უნარი აქვთ. შანხაიში ასი ათასი კაცი გვეყავდა, ფლოტიც გვეხმარებოდა, მაინც, ხომ იცით...— მიმართა ოძუმ გერმანიის ატაშეს გრაფ შერინგერს, რომელმაც ჩუმი თავდახრით უპასუხა.

როდესაც ბოგდანოვმა ბრძანება მიიღო, გზა გადაექრა გენერალ კადას დივიზიისათვის, მან თავისი ნაწილებით მარცხენა ფრთის უბანი დაიჭირა. ერთის მხრით იგი ეყრდნობოდა ელექტრობატარეებს გეორგიევკის წინ, ხოლო მეორეს მხრით,— იმ ადგილის ცენტრში მოქცეული, სადაც იაპონელები გარღვევას აწარმოებდნენ,— უახლოვდებოდა ვინოკუროვის დამკვრელ ჯგუფებს. ულელტეხილის დაცვა გეორგიევკის წინ მან დააკისრა პარტიზანებს, რომელთაც ლუზა მეთაურობდა. ხოლო თვითონ მოტომექნაწილებით უკან დაიხია, რათა შეექმნა თავისთვის მანევრების პირობები.

დამთავრდა საარტილერიო და საჰაერო მზადება გარღვევისათვის. იაპონელებმა გამოიყვანეს ტანკები, შემდეგ გვარდიის მსროლელები. თავდაცვის წერტებმა სროლა აუტეხეს შეტევაზე გადმოსულთ. გვარდია ჩაწვა და დაიწყო სანგრების თხრა, მაგრამ ზოგან ტანკები უკვე გასცდნენ თავდაცვის პირველ ხაზს, ხოლო კავალერია მეტად გაბედულად ეძგერა მესაზღვრეებს, გაარღვია მათი საფრები და მარცხენა სექტორის თავდაცვის წერტების ცეცხლისაგან თავის გადასარჩენად შეეცადა გასულიყო ტყესთან, გეორგიევკის წინ, რომლის ხანძრის ალი ცას სწვდებოდა და აიმედებდა შეტევაზე გადმოსულთ.

ლუზა ხუთასი პარტიზანით სანგრებს თხრიდა ულელტეხილზე. მათთან ჯავშნოსნით მივიდა გაქონილი, საღებავებით გათხუპნული დივიზიის მეთაური გუბერი, გამაგრებული რაიონის უფროსი.

— ერთიანად გადასთხრით ახლა თქვენ საბრძოლო მიმართულებას,— მუქარით სთქვა მან და ლუზა მიიხმო.

ისინი ვიწრო, ცივ ჭაში ჩავიდნენ. გაიღო ფოლადის კარი. შევიდნენ.

— დაჯექ:— უთხრა გუბერმა ლუზას და შეუდგა ტელეფონით თავდაცვის წერტების გამოძახებას. იგი ძლივს სდებდა უზარმაზარ ნეკს ავტომატური ტელეფონის დისკოს ნახვრეტებში.

— როგორ არის საქმე, ჩაენკო?—ჰკითხა მან. — ელოდებით?..
ქა წესრიგშია? ჰოქონაქები? ხომ გეუბნებოდით. ბეტონის ჯავრი ნუ
გაქვს-მეთქი. თვითონ ვადვენებდი თვალებს. აი რა: როდესაც
იაპონიის კავალერია გამოჩნდება — გაუშვი.

შემდეგ მან რამდენჯერმე კიდევ დარეკა და გაიმეორა, რომ
კავალერია არ შეეკავებინათ და გაეშვათ უღელტეხილისაკენ. მე-
რე აუხსნა ლუზას მისი ამოცანა. გენერალი კადა უღელტეხილთან
უნდა მიეშვათ, იქ შეეჩერებინათ გათენებამდე, ხოლო შემდეგ
სწრაფად დაეხიათ უკან და დაეტოვებიათ დივიზია გეორგიევკის
წინ, ტყის მხარეს.

— ელექტრობატარებზე უნდა მიაგდო იგი, ჩემო ძვირფასო,
აი ამ ადგილებში.

— რას ამბობ, ეგორ ეგორიჩ, რაღად უნდა დავიხიოთ?—პირ-
ქუშად მიუგო ლუზამ.

— შენ აქ მამაცობის გამოჩენას თავი დაანებე, მიაგდე, სადაც
გეუბნებიან,—უთხრა გუბერმა და უღვაშებზე ხელი გადაისვა. —
მარტო, ძმაო, ყველაფერს ვერ აუხვალ. სხვებსაც დაუტოვე. აქ ფი-
ზიკა იმოქმედებს,—მოკლედ დასძინა მან.

დარეკეს უღელტეხილის წინ მდებარე წერტიდან. კავალერია
ქენებით მოდისო. !

— აბა შეუდექ, ვასილ პიმენოვიჩ!

გუბერი გარეთ გავიდა, ჯავშნოსანში ჩაჯდა და უღელტეხი-
ლიდან გეორგიევკაში წავიდა, თან უკან იხედებოდა და ხელს
უქნევდა პარტიზანებს.

ცაში მოტოროების გუგუნნი იდგა, ირგვლივ ბრძოლა იყო გაჩა-
ლებული: მდინარესთანაც, გეორგიევკასთანაც, უღელტეხილზედაც.
ოლგინსკის იქითაც, სადაც გოლიკოვის დივიზია იდგა.

„ეშმაკმა იცის მათი თავი, ხომ არსად გაარღვიეს?“—ფიქრობ-
და ბრძოლის სარდლის შტაბში მიმავალი გუბერი.

მანქანა ჩამქრალი მიდიოდა, შოფერი დაჩვეული იყო სიბნე-
ლეში სიარულს. ხევში, უღელტეხილს იქით, გუბერი ტელმანის სა-
ხელობის კოლმეურნეობას წააწყდა. მხედრები გაათრებთ სწუმენ-
დნენ ცხენებს და საფლანგო დარტყმისათვის ემზადებოდნენ. !

კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიწაზე იჯდა, ხეს მიყრდნობილი, და პაპიროსს აბოლებდა. ზემოთ, მის თავზე რადიო რახრახებდა: „ურა, ურა!“—გრილებდა იგი. „გაუმარჯოს სტალინს! ურა!..“

გეორგიევკის წინ, სამშენებლო ბატალიონის ყაზარმებთან, მებრძოლები რადიოსაყვირის გარშემო გაწოლილიყვნენ. მათ უკმაყოფილოდ გადახედეს გუბერის მანქანას და ხელი დაუქნიეს—გაჩერეო. ალბათ, სტალინი ლაპარაკობდა, მაგრამ გუბერს არ შეეძლო გაჩერება და სიტყვის მოსმენა.

იწყებოდა ბრძოლა ჰაერში. ნამდვილად ეს ბრძოლა მიწაზე გაჩაღებული ბრძოლის პირველ წუთიდანვე მიმდინარეობდა, მაგრამ ახლა იგი ფართო და დამოუკიდებელი ოპერაციის ხასიათს იღებდა.

ლამით წითელი გამანადგურებლები და მოიერიშეები დაუცხრომლად მუშაობდნენ. გენერალ ნაკამურას მიერ გაჩაღებულმა საარტილერიო მზადებამ გარღვევისათვის გამოიწვია პირველი შეტაკება ჰაერში. პირველად გამოჩნდნენ იაპონელთა გამანადგურებლები, ისინი იცავდნენ თავიანთ საარტილერიო თვითმფრინავებს და აეროსტატებს. მათ დასახვედრად გავიდნენ წითლების მზვერავები და გამანადგურებლები. როდესაც გენერალ ნოსიოს ტანკები, კადას ცხენოსნები, ოძუს ქვეითი ჯარი და ორისაკას გვარდია შეუტევაზე გადმოვიდნენ, ჰაერს ახალი ძალები შეემატა. ბრძოლაში ჩაებნენ სატანკო ეშელონების თვითმფრინავები. წითელი მეიერიშეების რაზმებმა და მსუბუქმა ყუმბარმტყორცნებმა შორიდან შემოუარეს ბრძოლის ველს და შეუტყეს იერიშზე გადმოსულ ნაწილებს.

ბრძოლა ჰაერში ახალი ძალით გაჩაღდა. წითელ გამანადგურებელთა რიცხვი უფრო და უფრო იზრდებოდა და საჰაერო მანქანების ბრძოლა უფრო და უფრო ჰკარგავდა კავშირს მიწასთან. წითლები სპობდნენ დაზვერვას, თვალთ უბნელებდნენ კოლონებს და უფრო და უფრო სცილდებოდნენ გარღვევის ზოლს, მანჯურიაში გადადიოდნენ. ბრძოლის ველზე გამოჩნდნენ მეიერიშე ესკადრილები, განთიადი ხელში უღდებდა მათ საბრალო მიწას და მასზე მებრძოლ მრავალ ათას ადამიანს.

წითელი მოიერიშეები არ ჩერდებოდნენ გარღვევის ყულში, ისინი სცილდებოდნენ წითელი ბატარეების ცეცხლის საზღვარს და თავს ესხმოდნენ იაპონელთა რეზერვებს და კომუნიკაციებს, აფერხებდნენ ტვირთის გადაზიდვას და სპობდნენ კავშირს.

მოიერიშეთა ტალღა ტალღას მისდევდა, და ცა ბრძოლის ველის თავზე უფრო და უფრო წყნარი და უმოქმედო ხდებოდა. და უეცრად ცის კიდურზე გამოჩნდა მანქანების ახალი კოლონა. მან მებრძოლთა თავზე გადაიქროლა, იგი ძნელი დასანახი იყო ბორცვებისა და მიწის ფონზე. უჩინარი ყუმბარმტყორცნები სადღაც მალღა გრიალებდნენ.

ირგვლივ მოსჩანდა ღამით წარმოებული საჰაერო ბრძოლის კვალი. დამტვრეული, აფეთქებული და დამწვარი მანქანები ობოლ კოცონებად ბოლავდნენ. დილის გრილი ქარი გზებზე დააქროლებდა პარაშუტების ნაფლეთებს. ხეებზე გაჩხირულიყვნენ იაპონელ და წითელ მფრინავთა გვამები.

ზოგჯერ ცას მოწყვეტილი უზარმაზარი ვარსკვლავივით გაიქროლებდა და დაგვიანებული რახრახით ვარდებოდა ძირს აღმოდებული თვითმფრინავი.

როდესაც გუბერი შტაბში მივიდა, მთლად გათენებული იყო. ექვსი მანქანისაგან შემდგარი შტაბი გეორგიევკის დასავლეთით იდგა, ტყიანი გორაკის ძირში. აქედან გარკვევით მოსჩანდა სოფელი, ველი მის წინ და ბორცვების ზოლი საზღვართან. ვინოკუროვი პერანგისა და შარვლის ამარა აუშფოთებლად ათავებდა დილის ტანვარჯიშობას. ცოტა მოშორებით შტაბის უფროსი და დაზვერვის უფროსი ნახევარტონიან მანქანაზე დადგმულ პატარა რადიოსადგურთან ფუსფუსებდნენ. ათი კავშირგამბმელი ტელეფონის სადგურის ირგვლივ გაწოლილიყო და ხმადაბლა ტელეფონით ვიღაცას ელაპარაკებოდა. შტაბის უფროსის თანაშემწე იქვე დადიოდა. გაწოლილნი აუდგომლად და უკან მიუხედავად რალაცას ეუბნებოდნენ, ის უსმენდა, შემდეგ ავტომობილის ძარზე ჩამოკიდებულ რუკასთან მიდიოდა და ადგილს უცვლიდა მიწაზე და ჰაერში ნაწილების მდგომარეობის მაჩვენებელ ისრებსა და ნიშნებს. რუკაზე არც ერთი ნიშანი არ იყო მშვიდ მდგომარეობაში. მასზე ყველაფერი სწრაფად იცვლიდა ადგილს და მხოლოდ თავდაცვის წერ-

ტების აღმნიშვნელი წითელი რომბები იდგნენ უძრავად და აუშფოთებლად, თუმცა იაპონელთა ნაწილების ლურჯი წრეები მათზე ბევრად წინ მოსჩანდნენ. ამ რუკის გვერდით ეკილა მოწინააღმდეგის ზურგის აღმნიშვნელი რუკა. ახალგაზრდა მეთაური, ყურებზე ჩამოცმული რადიოტელეფონის მიღებით, ჩაფიქრებული ავლებდა მასზე საბარგულების, ეშელონებისა და ლტოლვილების შეჯგუფებისა და სასურსათო ბაზების ფერად ხაზებს. იგი, თითქოს მომავალი ბრძოლის ადგილებს ეძებსო, ფრთხილად ღებავდა მათ, სცვლიდა ან სულ შლიდა საღებავებს. რადიოცნობა მას მუდმივ შემოქმედებითს დაძაბულობაში ამყოფებდა.

— როგორ არის იქ, თქვენთან, საქმე? — ჰკითხა ვინოკუროვმა გუბერს.

— ვიბრძვით!

— იბრძვით? რატომ გაუშვით წინ ლუზა თავისი პარტიზანებით? — უკმაყოფილოდ წარმოსთქვა ვინოკუროვმა. — მე სამანევრო ასპარეზი მჭირდება, ის კი მიწაში ჩამძვრალა და ფეხი ვერ მოვატყუებინე. რამდენჯერ გითხარით, რამდენჯერ გაგიმეორეთ, რომ მიწაზე ბელურაც კი არ დაგეტრევინათ. ხომ გითხარით?

— მესამედ გარეკა უღელტეხილიდან იაპონელები... — სთქვა შტაბის უფროსმა, მაგრამ ვინოკუროვმა სიტყვა შეაწყვეტინა:

— უღელტეხილი, უღელტეხილი!.. რა ჯანდაბად უნდა ის უღელტეხილი, როდესაც იაპონელები გეორგიევკაში უნდა შევიდნენ და რაც უფრო მალე შევლენ, მით უკეთესი იქნება! პარტიზანელობა! ყველაფერში თავისებურობაა.

— ეშმაკმა იცის მისი თავი! მე გაუაფრთხილე, — სთქვა გუბერმა და შტაბის უფროსს მიუბრუნდა: — მაინც სამჯერ დააფრთხო იაპონელები.

შტაბის უფროსმა გაუღიმა და თავი დაუქნია.

ვინოკუროვმა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა რუკის წინ. შტაბის მუშაკები გამუდმებით უცვლიდნენ ადგილს პატარა აღმებს და ხაზავდნენ ისრებს.

— აგრე, — სთქვა ვინოკუროვმა და ტუჩები მოკუმბა. — ძალიან კარგი... უკვე მთელი მათი არმია ჩაება საქმეში?

— დიალ, მთელი, — უპასუხა შტაბის უფროსმა. — გენერალ ნი-
სიოს სატანკო ნაწილებმა მეორე იერიშით კორეელთა ხუტორებამ-
დე მიაღწიეს. საქმეში ჩაება აგრეთვე კორპუსის მთელი არტილე-
რია. კავალერია გეორგიევკასთანაა. ალბათ, მეორე ეშელონსაც
ახლავე ჩააბამენ.

— ოჰ, ეს ლუზა! — ამოიხვნეშა ვინოკუროვმა, — შევახურებ ახ-
ლა მას, ოო, რა შევახურებ!

ვინოკუროვმა კვლავ გაიარ-გამოიარა, თან ფეხებზე იყუ-
რებოდა.

— მათ კიდევ ნახევარი ავზი საწვავი აქეთ ყოველ ტანკში.
დეე, გამოსცალონ. საჭირო არ არის აჩქარება, — სთქვა შტაბის უფ-
როსმა. იგი მიხვდა, რაზედ ფიქრობდა ვინოკუროვი.

ამ დროს მიიტანეს განშიფრული რადიოგრამა. ვინოკუროვმა
თვალეზი დააქყიტა.

— „პასიფიკ“-ის გეგმა შესრულებულია. ესკადრილიები დაბ-
რუნდნენ კუნძულებიდან. ტოკიო აფეთქებულია.

თანამშრომელმა ერთი ხელის მოსმით სქელი წითელი ისარი
გაავლო რუკაზე პრიმორიეს ნაპირებიდან იაპონიამდე.

— თქვენ კი ამბობთ, — დაიწყო ვინოკუროვმა და მონადირის
ფრთხილი ნაბიჯით რუკას მიუახლოვდა: — თქვენ კი ამბობთ —
ეჩქარობთო. — შემდეგ გაჯავრებული მიუბრუნდა დაზვერვის უფ-
როსს და ჰკითხა: — მართლა ჩაება საქმეში ნაკამურას მთელი არ-
მია? დარწმუნებული ხართ?

— მთლიანად ჩაება, ამხანაგო კორპუსის მეთაურო. წინ მოდის
ოძუს ჯგუფი, ცოტა მარჯვნივ — გვარდიის დივიზია, კავალერია:
გეორგიევკასთანაა, მოტომექდივიზია ხანკის ტბას უახლოვდება.
მეორე, მეჩვიდმეტე და ორმოცდამეორე დივიზიები პოსიეტს მიე-
სიენენ. ყველგან მაგრა უტევენ.

— ჰო, ჰო! — მოიწონა ცნობა ვინოკუროვმა, — მაგრა უტევენ,
უმაგისობა ჩვენს საქმეში შეუძლებელია. მაშ პრიმორიეს ავიაცია
განთავისუფლდა? კეთილი. აბა, მიუსიეთ მას (ვინოკუროვი ნაკა-
მურას გულისხმობდა) მარჯვნიდან ნეიმანის კავალერია, მოიერი-
შეთა მეცხრე პოლკი და ყუმბარმტყორცნთა ესკადრილია, — მხიარ-
ულად წარმოსთქვა მან და გუბერს მოუბრუნდა: — დაიცავით წინა

ხაზი შუადღემდე. შუადღისას გამოვუშვებ ტანკებს. გაუშვით ტანკები და გამოიყვანეთ ხალხი წერტებიდან. გაიგეთ? დღის თორმეტ საათიდან თქვენ იქნებით პირველი ავიოდესანტის მეთაური, ხოლო კომისარი შერშავინი—მეორე ავიოდესანტის მეთაური. ახვალთ პაერში და დესანტით დაიკავენთ ამას და ამას,—მან თითი წაჰკრა რუკას. — თუ იქ პარტიზანები ნახოთ, შეიერთეთ. უმჯობესი კი იქნება ურჩიოთ, მოიცადონ. რომ მოვათავებთ, უამრავი საქმე გაუჩნდებათ.

— არის, ამხანაგო კორპუსის უფროსო! მიღებულა შესასრულებლად.

ირგელივ აფეთქებათა ქარიშხალი იდგა. მიწა ზევით იწვოდა, როგორც ზღვა კლდოვან ნაპირთან. განუწყვეტლივ ეშვებოდა მიწის ღვართქაფი, მოგორავდნენ ქვის ნატეხები, ითხრებოდა ღრმა ორმოები რბილი ცხელი ფსკერით, ღვივოდა გამხმარი ბალახი. ზოგჯერ ყუმბარით გათხრილ ორმოში მიყრუებულ მიწისქვეშა სოროდან ვარდებოდა წითელი სნაიპერის გვამი ან მოგორავდა დიდიხნის წინათ მოკლული წითელი მესაზღვრის კვამლში გახვეული თავი. აგიზგიზებულ ბალახში უეცრად გაისმოდა მიწის სიღრმიდან ამოვარდნილი კივილი და ჩნდებოდა გასისხლიანებული ხელი. და პაერში ატყორცნილი მიწა თავისი მძიმე ღვართქაფით კვლავ ფარავდა წინ ყველაფერს.

იაპონელთა ქვეითი ჯარი ბარებით - და ხიშტებით მუშაობდა, გულმოდგინე მებოსტნესავით ჩიჩქნიდა თითოეულ სნაიპერს ბეტონის სოროებიდან, და ამ შრომას ბოლო არ უჩანდა. როდესაც ასეთ სოროს გათხრას ახერხებდნენ, შიგ პოულობდნენ სნაიპერს აირწინალში, ნახმარი გილზების გროვით გარშემორტყმულს. მაგრამ ყველას ამოთხრა, აშკარაა, შეუძლებელი იყო. ძალზე გაშმაგებული მიწა ცოცხლობდა და იბრძოდა. (ამ წუთს ევგენია ტარასენკოვას თვითმფრინავი ჩამოვარდა შორს, აღმოსავლეთში, იაპონიის მიწა-წყალზე).

შუადღისას მეორე არმიის სარდალი ნაკამურა საზღვარს მიაღწა. რაღაც მოახსენა, რომ სატანკო პოლკი გასცილდა ოთხ ხაზს, მაგრამ წინ იგივე წერტებია, სნაიპერთა ბუდეები, ქიმიური ლალმები და არ არის არც ერთი ცოცხალი ადამიანი. ორისაკას გვარ-

დიელები და კადას ცხენოსნები გარს შემოერტყნენ გეორგიევკას, მაგრამ მიწისქვეშა თავდაცვის ხაზი ჯერ კიდევ მოქმედებდა. იგი დაუცხრომელი ცეცხლით ანადგურებდა პოლკების საბარგულეებს, დივიზიების რეზერვებს და შტაბებს, რომლებიც უკან მისდევდნენ დამკვრელ კოლონებს.

ოსაკის მეთერთმეტე დივიზია გასცილდა სიმაგრეების რკალს და ოლგინსკოეში შევიდა. მეათე მსროლელთა დივიზია კავალერიას მისდევდა და თავისი იშვიათი მწყრივების ტალღებით გარს ერტყმოდა გეორგიევკას. მეშვიდე სარეზერვო დივიზია სწრაფად გადმოდიოდა მანქანებიდან სანჩაგოუსთან. მას ცეცხლს უშენდნენ მიწისქვეშა წერტები.

რვა მარტს თერთმეტ საათსა და ორმოცდა ხუთ წუთზე ყველაფერი მიუყრდა წინა ხაზზე. დაღუპდნენ წერტები. დაღუპდნენ ტყვიამტრქევეები ხეებში. სწრაფად ჩამოვარდნილ სიწყნარეში ყრუდ გაისმა სნაიპერთა ტყვიების ზუზუნი.

ნაკამურამ ღრმად ამოიხვნეშა, ჩაჯდა დახურულ ჯავშნიან როისში, უბრძანა შოფერს გეორგიევკისკენ წასულიყო და წარმოსთქვა:

— როგორც იქნა მიწყნარდნენ! ეს უაზრო ჯიუტობა იყო მათის მხრით.

დივიზია, რომელიც გორაკებს შორის ჩუმად მიფოფხავდა, ფეხზე წამოხტა. „ბანზაი! ბანზაი!“ — შეჰყვირა რამდენიმე ათასმა კაცმა. ჯარისკაცებმა გვერდით აუარეს წერტებს და სირბილით მიაშურეს გეორგიევკისკენ მიმავალ ორ გზატკეცილს.

გეორგიევკის დასავლეთით, სუიფუნის ნაპირას მდებარე ბორცვებზე ჰაერში მტერის წითური ბური დადგა. წითლების ტანკები აქეთ-იქით ჰყრიდნენ ბუნაგებზე გადაფარებულ მსუბუქ საფენს და შენიღბული ორმოებიდან მოძვრებოდნენ. მათ მძაფრად დახარეს თავიანთი ბრტყელი კორპუსები და დაეშენენ ქვემოთ, ნაკამურას ჯარის შესახვედრად. ხან აქ, ხან იქ მაღლა ხტოდა ბუჩქი ან ძირს ვარდებოდა ხე, იქიდან მოიზღაზნებოდა მბოლავი მანქანა და ძირს ეშვებოდა ზარბაზნების ყეფით.

ტანკები, — ახლა მათი რიცხვი ორასამდე აღწევდა, — მიგორავდნენ ველისკენ, სთელავდნენ იაპონელთა მწყრივებს და ზარბაზ-

ნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით სწმენდნენ მთელ შიდაშოს მდინარემდე.

მანქანები და ხალხი ერთმანეთში აირია. აქა-იქ ცეცხლი მოედო გამხმარ ბალახს. ჩუმი ქარი ჰაერში აბნევდა კვამლს. ყველაფერი აირია და ყველანი მდინარეს მიაწყდნენ.

ბოგდანოვის ნაწილი ტყეში იდგა, ამ პოზიციების აღმოსავლეთით. შორიდან ეს რაზმი წააგავდა ხეებში მრავლად გაჩნეულ ბორცვებზე წამოზრდილ ახალგაზრდა ბუჩქნარს. სწორედ შუადღისას გამაგრებული რაიონის კომენდანტი, დივიზიის მეთაური გუბერი ტელეფონით გამოელაპარაკა პოლკოვნიკ ბოგდანოვს.

— გასწი, ბოგდანოვ!—დაუყვირა მან ხრინწიანი, მოქანცული ხმით.

— არის!—და ბოგდანოვს ტელეფონის მილი ჯერ კიდევ ყურზე ჰქონდა მიდებული, რომ ხელი აიქნია.

შეირხა და აშრიალდა ტანკების ზურგზე პატარა ხეები, თითქოს მსუბუქმა ქარმა დაუბერაო. ბოგდანოვმა ფარაჯა გაიძრო და შეხტა მარცხენა ფრთის განაპირა მანქანაში. მანქანა ერთბაშად მოსხლტა ადგილს და პირველი გაუდგა გზას.

— დროა შენც აიბარგო, ვასილ პიმენოვიჩ!—დაუყვირა მან ლუზას. ლუზა ამ დროს წინ გაწოლილიყო თავისი მონადირეებით, რომელთაც გათენებისას უღელტეხილიდან დაიხიეს.—ისედაც ვაყვანებთ, ვასილ პიმენოვიჩ!

ქვეითი ჯარის გასვლის მოლოდინში ირგვლივ ფუსფუსებდნენ ტყვიამფრქვეველები ძალღებით და სანიტარები ბრეზენტის კომბინეზონებში. ამ უკანასკნელთ კომბინეზონის ჯიბეები გამოტყნული ჰქონდათ ქანჩის გასაღებებით და რაღაც დიდი და რთული ხელსაწყოებით.

ექიმი ლუზასთან მივიდა და უთხრა:

— დაკრილები ასე უნდა ვიჩქნოთ ტანკებიდან, როგორც კაკლის გული ნაჭუჭიდან მეტად სადავიდარაბო საქმეა!

იქვე ამზადდებდნენ ბალონებს ხელოვნური სისხლით.

ლუზა წამოდგა, ქურთუკი დაიბერტყა და თვალებზე ღურბინი მიიღო.

ფართოდ გაშლილი ტანკების ნაკადი ველისკენ მიექანებოდა.

ტანკებს უკან მისდევდნენ პოლკები: ოლგინსკის მარჯვენა მხრიდან—ორმოცდამეჩვიდმეტე პოლკი, გოლიკოვის დივიზიის მშვენება, სუიფუნის ნაპირებიდან—წინა ხაზის კოლმეურნეობათა ნაკრები რაზმები, პარტიზანები და მოხალისეები, გზატკეცილის მახლობლად—მსროლელთა მესამე და მეოთხე დივიზიები.

ლუზამ ჩექმები გაისწორა და მონადირის მსუბუქი ნაბიჯით გაეშურა ტყიდან.

მონადირეები უკან დაედევნენ.

— გისურვებთ ბედნიერ გამარჯვებას!—მიაძახა მათ ექიმმა და მივიარდა პატარა ორმოში ჩადგმულ ტელეფონს.

ლამის ბრძოლაში შელახული იაპონელთა მეთოთხმეტე დივიზია უკანასკნელ ძალონეს იკრებდა და სუიფუნის ნაპირთან მდებარე ბორცვებზე მიცოცავდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ მის მწკრივებს დაეტყა ბოგდანოვი თავისი სამოცდაათი ტანკით. მან გაჰკვეთა ამ დივიზიის სამმაგი ტალღა, მიანგრ-მოანგრია საველე არტილერიის ბუდეები და შეუჩერებლივ გაექანა მდინარეზე გადმომავალ მეშვიდე სარეზერვო დივიზიის შესაგებებლად.

ბოგდანოვის მანქანაში ცხარე და დახშული გუგუნის იდგა. მოტორის მყრალი ჭუნი, ქვემეხის ბოლში არეული, სულს უხუთავდა კაცს. ყურებს წივილი გაჰქონდა ჯავშნის გუგუნისა და მანქანის ჯოჯოხეთური ქანაობისაგან. ახლა აღარავითარ ძალას აღარ შეეძლო მისი შემზარავი სრბოლის შეჩერება. გეგონებოდა, ახლა იგი ნაკუწ-ნაკუწად დაიმსხვრევა და, უფორმო მასად ქცეული, უფსკრულში გადაეშვებაო.

უეცრად გულზე მოეშვათ. ყურის წივილიც შესწყდა. ტანკში გრილი ჰაერის ტალღა შეიჭრა: ყუმბარამ შეანგრია ჯავშნის კედელი. ტყვიამფრქვეველი ბოგდანოვის ფეხთით დაეცა. კოშკის გუმბათში გაიღვია გამონგრეულმა ნახვრეტმა, ტანკი არახრახნდა, აკრიალდა, საშინლად შექანდა და უფრო მეტის სისწრაფით დაეშვა ქვემოთკენ. სინათლე თანდათან მატულობდა და უფრო და უფრო გრილოდა. ლითონზე თითქოს მზის სხივები ათამაშდნენ. გეგონებოდათ, ტანკის კედლებს იქით თენდებო.

ბოგდანოვმა წინა ფარი ოდნავ ასწია. თითქმის აცივდა. მანქანის გამძლეოლი გასისხლიანებული ხელებით საკვს ჩასჭიდებოდა და

იციანოდა. ბოგდანოვმა ჩამოაშორა იგი საქეს. ახლა ტანკის ერთადერთი იარაღი სისწრაფე იყო და თვითონ ბოგდანოვს უნდოდა ემოქმედნა ამ სისწრაფით. ტანკი მიჰქროდა მკვედართა და დაქრილთა სხეულებზე. ადგილმდებარეობას ვერ იხსომებდა.

— სისწრაფე, სისწრაფე! — იმეორებდა ბოგდანოვი და გაზს უმატებდა. და უეცრად, თითქოს სიზმარშიაო, დაინახა მდინარე და ქალაქი სანჩაგოუ მდინარის გაღმა:

წინ მოსჩანდა დაქრილებით გაქედილი პონტონის მსუბუქი ხიდი, ხოლო მარცხნივ, ფანჯის ნანგრევებთან — გვაშების გროვით გარშემორტყმული სამორტირო ბატარეა. „ტარასუკის ნამუშევარია“ — ო, გაიფიქრა ბოგდანოვმა.

— საით? ბატარეისკენ თუ ხიდისკენ?

თვალმა უკარნახა — ხიდისკენო. ხიდი უფრო ახლო იყო.

და გაქანებული მანქანა სამმეტრიანი ნაპირიდან მთელი სიმძიმით გადაეშვა ძირს. მანქანამ ერთი ამოიხვენეშა, ყალბზე შედგა, მიღევ — მოღეწა ხიდის ლატნები, ზემონაფენი და იწყო წყალში ჩაძირვა. დამსხვრეული პონტონის ნარჩენები წყალმა მოიტივტივა.

აშიშინდა გავარვარებული ლითონი.

— არ დავიხრჩობით, აქ ღრმა არ არის, — სთქვა ბოგდანოვმა. გასისხლიანებულმა გამყოლმა თავი დაუქნია და ხელი უკან გაიშვირა.

ნახვრეტში მოსჩანდა იმ ველის ნაკვეთი, საიდანაც ისინი მოქანდნენ.

ტანკები მოისწრაფოდნენ ცეცხლისა და გრილის ნიაღვრად, მძლავრ ნაკადად. იაპონელები უწესრიგოდ უკან იხევდნენ.

— რა სისულელეს ჩავდივართ!

ბოგდანოვმა მოსწია ტყვიამფრქვევი, ლულის თავი ნახვრეტში გაჰყარ და. ტყვია დაუშინა საბარგულებს, ავტომობილებსა და ხალხს.

— დასცხე, დასცხე, ამხანაგო პოლკოვნიკო! — წვრილი ხმით წამოიყვირა გამოფხიზლებულმა ტყვიამფრქვეველმა და თან დაქრილ ხელს აფათურებდა.

იგი გამძლოლს მიუბრუნდა:

— ცოცხალი ხარ? მეც ცოცხალი ვარ, — და დასუსტებული თვალით გადახედა ტანკის აბურცულ და გასისხლიანებულ შიდა ნაწილს.

— ჩვენ ამით მოხენასაც მოვახერხებთ! — სთქვა მან. იგი თავს იწუგებდა, კიდევ ვიცოცხლებ და ვიმუშავებო.

ბოგდანოვი მოშორდა ნახვრეტს.

— კმარა! — სთქვა მან თვალების ფშვნიტით. — ქვეითი ჯარი გამოვიდა. შეხედეთ!..

ბორცვებზე, ტყის წინ, გამოჩნდნენ ლუზას მონადირეთა ცალკეული ჯგუფები, მათ უკან — ვინოკუროვის პოლკები.

ისინი მორბოდნენ და გზადაგზა მკვდართა გროვებსა და მიტოვებულ მანქანებს ეფარებოდნენ. ისინი ყოველი მხრიდან მოცოცავდნენ — შენიღბული კოდებიდან, წერტიბადან, ორმოებიდან, წამოიწეოდნენ და კვლავ მოცოცავდნენ ხმამაულებლივ. გამოვიდა მათ დასაცავად და უკვე ჰაერში მოჰქროდა წითელი ავიაცია.

ბოგდანოვმა დაჰკრილი ტყვიამფრქვეველი ნახვრეტს მიაყუდა და უთხრა: „შეხედე, ძმავე, რა ამბავია!“ ხოლო თვითონ დააპირა გარეთ, ცივ წყალში გადასვლა.

ვინოკუროვის პოლკები იაპონელთა გვარდიელებს უახლოვდებოდნენ. ხელჩართული ბრძოლისათვის ერთი ნახტომილა რჩებოდა.

დამხმარე არტილერიამ ცეცხლი მტრის შუაგულში გადაიტანა.

ახლოვდებოდა პირისპირი ბრძოლის სტიქია. ერთგან იაპონელთა ოცეულს ტანკის დახმარებით იერიში მიაქვს წითლების ცეცხლის წერტიზე, რომელსაც იცავს მსროლელთა ათეული ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნის საშუალებით. მეორე ადგილას ხელჩართული ბრძოლაა. მესამე ადგილას პარტიზანებს იერიში მიაქვთ იაპონელთა ტანკზე. დანავარდობს ტყვიამფრქვევის ცეცხლი, მოისმის ხელყუმბარების ერთბაში სროლა, ელავენ ხიშტები.

უფრო მოშორებით სანგრებს სთხრიან, მიცოცავენ, უკან იხევენ და კვლავ ბრძოლას აჩაღებენ. პატარ-პატარა ბრძოლა ჩნდება ხან აქ, ხან იქ და ედება მთელ ველს, რომელიც თვითმფრინავებისა და არტილერიის ცეცხლს ხნულად გადაუქცევია უზარმაზარი კვლებით და ორმოებით. ჯერ კიდევ მშრალი ბილიკებით საიდან-

დაც მოხუხჩუხებენ ნაკადულეები, ზემოდან განუწყვეტლივ მოშხუის მტერისა და მიწის ღვართქაფი.

ხოლო გორაკებიდან კვლავ მომდინარეობს ხალხის ნაკადი.

აი მდინარესთან ჩაირბინა მოხუცმა ვასილ ლუზამ. მან გაუსწრო უშაკოვს და რაღაც დაუყვირა.

აი სნაიპერთა სოროდან გამოჩნდა უმცროსი მეთაურის ცოის გასისხლიანებული თავი. მიხობავს და თან ისერის ჩაენკო. დაჭრილი ტარასუკი თავს მალლა ასწვენს და ხელს აიქნევს: „წინ, წინ!“ რაიკომის მდივანი — ვალეში, პიჯაკში, ფალასკა შემორტყმული, 57-ე პოლკის პირველ ჯგუფთან ერთად წინ გარბის. უფრო მოშორებით სახეები არა სჩანან, მაგრამ ხალხი ყველგანაა. ისინი მიცოცავდნენ მესაზღვრეთა და იაპონელთა გვამებზე, ხტოდნენ ყუმბარებისაგან გათხრილ ორმოებში, ან აღებდნენ მიწისქვეშა სასროლო სოროების სახურავებს და ლითონის ქუხილზე უფრო მკვექარე ყვირით იჭრებოდნენ უფრო და უფრო გაძლიერებული ბრძოლის ცეცხლში. მოხუცი ლუზა პირდაპირ წყლისკენ ეშვებოდა. იგი დამშვიდებულია. აუჩქარებლად უმიზნებს მტერს, არჩევანში შედის.

— აი მოხუცი! აი ოქრო! — დაიყვირა ბოგდანოვმა.

მოხუცს ასევე მშვიდად მისდევდა ფოფხვით უშაკოვი. პირველი კლასის სნაიპერი, და ასევე დინჯად უმიზნებდა. ირგვლივ სიკვდილი მძვინვარებდა, მაგრამ ისინი ვერ ხედავდნენ. მათ თვალში აღბეჭდილი იყო მხოლოდ იაპონელთა ფიგურები, ტანკების სათოფურების ვიწრო ქუქრუტანები. ისინი მხოლოდ მიზანს ხედავდნენ. ყოველივე დანარჩენი მათ მიღმა რჩებოდა.

— მოიდნობს ლუზას უშაკოვი, — სთქვა ბოგდანოვმა. — ახალგაზრდაა, უეჭველად მოიდნობს, — და სასწრაფოდ ამოძვრა ტანკის ნახვრეტიდან, რათა გვერდში ამოსდგომოდა ლუზას და მასავით ცეცხლი გაეჩაღებინა.

მოდირდა ბოლშევიკების დიადი ქვეითი ჯარი და შემზარავი სანახავი იყო მისი მღუმარე საქმე.

— სასაზღვრო ბრძოლა დამთავრდა, — სთქვა ბოგდანოვმა. — ახლა ომი იწყება.

მაგრამ გეორგიევკა ჯერ ისევ გენერალ კადას კავალერიის ეპირა.

კადა თივის მაღალ ზეინზე იდგა და აქეთ-იქით ირხეოდა. იშვიათად თვალს მოჰკარავდა ხოლმე ოძუს მსროლელთა მწკრივებს, რომელნიც მარცხნიდან მიცოცავდნენ. მის მარჯვნივ გაქიმულიყვნენ მღუმარე მინდვრები. საქმე იჩარხებოდა. უკანიდან მოდიოდნენ ჩამორჩენილი ნაწილები.

— სოფელი ჩენია, — უთხრა მას გუსართა პოლკის უფროსმა. მისმა პოლკმა ის იყო ჩაიქროლა ცეცხლმოდებულ ველზე, გორაკებს შორის. — შეხედეთ, სოფელში სროლა შენელდა. (ამ დროს ლუზა უკან იხევდა უღელტეხილიდან და კადას დივიზიას ელექტრობატარეების წინ სტოვებდა).

— მხარი დაუქირეთ ამ უკანასკნელ დარტყმას, — გასცა განკარგულება კადამ. — სჩანს, თქვენი პოლკი გადასწყვეტს ბრძოლის ბელს.

კადა მერყევ ზეინზე იდგა და ძლივს იმაგრებდა თავს. ჩამოქვეითებულ ცხენოსანთა ჯგუფები გარს ერტყმოდნენ სოფელს და ბრძოლა მზის ამოსვლასთან ერთად წყნარდებოდა.

გუსართა პოლკმა გვერდით ჩაიქროლა. კადა უსიტყვოდ მიესალმა. ხედავდა, როგორ ჩავიდა კოლონა ხევში, გადავიდა ფართო გადახნულ მიწაზე, ჩამოქვეითდა და ფოფხვით წავიდა წინ, შემდეგ გაწვა და გაირინდა, შესწყვიტა სროლა. კადამ თავი გააქნია, მიხვდა, რა რიგ მოიქანცა მისი ხალხი, რა რიგ გამოიფიტნენ უფროსები.

— რა დროს ძილია?! — უთხრა მან ადიუტანტს. — დაუყოვნებლივ გადაეცით გუსართა პოლკის უფროსს, ააყენოს ხალხი. უკანასკნელი შეტევაღა დარჩა.

ადიუტანტი მივარდა მღუმარე ტელეფონის მილს.

— ცხენი! — დაიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა კადამ.

ექვსიოდე ადიუტანტი ცხენებს მივარდა.

რა თქმა უნდა, სისულელე იყო ღონემიხდილი პოლკის პირადად წაყვანა იერაშის მისატანად, მაგრამ სხვა გზა არა ჰქონდა საკმარისი იყო პოლკის მოდუნება, რომ ბრძოლის მთელი წარმატება გაქარწყლებულიყო.

მან ადგილიდან მოსხლიტა ცხენი და წინ გაეშურა გაბორღებული და სიკვდილისათვის მომზადებული.

მეორე არმიის სარდალი ნაკამურა ნელა მიიკვლევდა გზას მანქანით მუხნარისაკენ, საიდანაც კარგად მოსჩანდა გარღვევის უბანი.

გერმანიის ატაშემ, გენერალმა შერინგერმა, რამდენჯერმე სთხოვა, შეეჩერებინა მანქანა: იგი სნაიპერთა ბუნაგების მბოლავ ნანგრევებს ათვალიერებდა და სურათებს იღებდა.

— ორიგინალური არაფერია, — იმეორებდა ის მალ-მალ თავდახრილი. — სასანგრო ტაქტიკის აპოთეოზი... აბსოლუტური სისულელეა... წინსვლის შიში, სისტემად გადაქცეული, რაც ძველთაგანვე ახასიათებდა რუსებს.

— დიალ, რუსებმა იციან თავდაცვა, — სთქვა ნაკამურამ და თავი დაუქნია გერმანელ გენერალს.

— რუსებმა იციან თავდაცვა, — კვერი დაუქრა ნაკამურას შტაბის უფროსმა.

მარცხნიდან, გვარდიის დივიზიის უბნიდან, უეცრად მოისმა სუსტი ბრძოლის ხმა.

— ორისაკა ხომ არ არის? — შენიშნა ხმამაღლა ნაკამურამ და ყური დაუგდო.

მაგრამ, თითქოს მეხმა დასკექაო, მარჯვნიდან მოისმა ლითონის ხმაური და გრიალი. ეს ხმა სწრაფად ანლოვდებოდა მუხის ტყის ნაპირიდან და მთელს პორიზონტს ედებოდა. ასე გრგვინავს მიწისძვრა — შორიდან მოისმის თავბედიითი გრგვინვა, მიუხედავად სიახლოვისა.

ნაკამურამ უბრძანა შოფერს, გაეჩერებინა მანქანა გადარჩენილ ხესთან და სთხოვა ადიუტანტს, ასულიყო ქვემო ტოტზე და ეცნობებინა, რასაც დაინახავდა.

— ეს, ალბათ, ნოსიოს მოტომექვაგუფია. — თავის დასამშვიდებლად წარმოსთქვა ნაკამურამ.

ადიუტანტი ტოტზე ავიდა, მაგრამ მაშინვე ჩამოხტა და დაიყვირა:

— უამრავი ხალხი მორბის აქეთ!

დიად, ახლა უკვე შეიძლებოდა საერთო გრიალში ცალკეული ხმების გარჩევა და გამოცნობა-განაწილება სხვადასხვა ხმაურის: ბორბლების ტკაცუნისა, სატანკო მოტორების გუგუნისა, მუხლუხების ჩხარუნისა და ხალხის განუწყვეტელი კივილისა.

— რა უნდა იყოს? — იკითხა ნაკამურამ.

ადიუტანტი ჩახტა საბადრაგო მოტოციკლში და გაეშურა მარცხნით და ქვემოთ, გზისკენ, სადაც უკვე გამოჩნდნენ პირველი ლტოლვილი ჯგუფები. ამ დროს ხევიდან თავი ამოჰყო საბარგო მანქანამ დამწვარი ძარით. ადიუტანტმა მისკენ მიაშურა და ხელით ანიშნა შოფერს გაჩერებულიყო.

შოფერის კაბინიდან ახალგაზრდა ოფიცერი გადმოხტა და ძარას ბრეზენტი ახადა.

— რა არის? — ჰკითხა ადიუტანტმა.

— გენერალი კადა, — უპასუხა ოფიცერმა.

ადიუტანტმა ძარაში ჩაიხედა და დაინახა შეტრუსული და ქონისაგან ალაპლაპებული კავალერიის გენერლის ვეებერთელა ფიგურა. დამწვარი ჩექმის ყელიდან გადმოკიდებულიყო ჩაშავებული ხორცი, ხოლო გენერლის სახე, არაჩვეულებრივად დიდი, გასივებული, წამობურცული იყო, რაღაც ნახვრეტებით თვალებისა და ცხვირის ნაცვლად.

— უცნობი სიკვდილია, ჩვენ წავაწყდით უცნობ სიკვდილს, — სთქვა ოფიცერმა. — ეს ელექტრონის იარაღია, როგორც ინჟინერებმა ამიხსნეს. იგი მოქმედებდა მიწისქვეშა ნაგებობებიდან, რაც ჩვენ მიწისქვეშა საავადმყოფოები გვეგონა.

ამ დროს გამოჩნდა გენერალ ოძუს მანქანა. მანქანამ გარდი-გარდმო გადასჭრა ბრძოლის ველი. მისი ბალონები გასისხლიანებული იყო, მათ ადამიანის თმა მისწებებოდა. ჯგუფის სარდალი მანქანიდან გადმოხტა და ბებრული ბაჯბაჯით, ბორძიკით, გულზე ხელდადებული, ნაკამურასაკენ გაიქცა.

— გენერალო, ჩემი ჯგუფი უკან იხევს! — დაიყვირა მან. — გთხოვთ, მომაშველოთ მანჯურისის სანიმუშო ბრიგადის ძალები, რომ უკან დახევაში დამეხმარონ.

— ბრბო გვიახლოვდება, — უთხრა გერმანელმა არმიის სარდალს, რომელიც აყოვნებდა შოფერისათვის განკარგულების მიცემას შტაბში დაბრუნების შესახებ.

ნაკამურამ თავი დაიქნია. მანქანა სწრაფად დაიძრა.

ფეხზე წამოდგარმა გერმანიის ატაშემ უკან გაიხედა. მანქანა ადვილად უსწრებდა ბრბოს, თუმცა ბრბო რაკეტის სისწრაფით მორბოდა.

— Mein gott!) ეს ხომ ჩინელი მებარგულები არიან!

— სად დაინახეთ ჩინელები? — გერმანულად ჰკითხა ნაკამურამ.

— Mein gott! აი თურმე რა ყოფილა უკნობი სიკვდილი! ჩინელები არიან.

ჩინელი მებარგულები გეორგიევკიდან საზღვრისაკენ მიჰქროდნენ. ზოგიერთები ცხენებზე ისხდნენ და მანქანიდან შეიძლება მათი სახეების გარჩევა.

მანქანამ მძაფრად გადაუხვია მდინარისაკენ ყამირგზით. იმავე წუთს ჩინელთა ბრბომ გზატკეცილი გადასჭრა და გვერდიდან შეუტია ოძუს უკანდახეულ ნაწილებს, გადათელა ისინი, წააქცია ცხენები, გადააბრუნა ავტომობილები, თან ტყვიას უშენდა შიგ მყოფთ. ზოგიერთი მათგანი თავხედურ სიმამაცეს იჩენდა. ისინი ახლად წართმეულ ტყვიამფრქვევებს ეფარებოდნენ და ოც ნაბიჯზე ტყვიას უშენდნენ ჯარისკაცების ბრბოს, რომელიც გვამებზე ხტებოდა, ძირს ეცემოდა, მაგრამ მაინც პირდაპირ გარბოდა კალიასავით, რომელაღ არასოდეს გზას არ გადაუხვევს.

სხვა ჩინელები, იაპონურ ფარაჯებში გამოწყობილნი, იაპონელთა ცხენებზე ისხდნენ, ნაბიჯით მიდიოდნენ წინ ლტოლვილთა შორის, უშიშრად არჩევდნენ ოფიცრებს და ტყვიას უშენდნენ. ზოგიერთები ბრძოლის ველზე დადიოდნენ, ყველას თვალწინ დინჯად ათვალისებრდნენ იერიშის დროს გადაყრილ იარაღს და მშვიდად შესტკეპროდნენ ფაციფუსს და აურზაურს გზატკეცილზე. პატარა ოფიცერს, რომელიც გენერალ კადას გვამს აცილებდა, ჩინელები შემოერტყნენ.

1) ღმერთო ჩემო!

ყოველი მხრიდან მოისმოდა ლტოლვილი კორპუსის ყვირილი და ნმაური.

— ტასუკე! ტასუკე! ტასუკე!

ყოველივე მომხდართი ზარდაცემულ ნაკამურას კბილები დაეკრიჭა და სდუმდა.

არასოდეს ბრძოლის ველი არ წარმოადგენდა ასეთ საშინელ სურათს. გადათხრილი, ღრმად მოხნული, თითქოს დიდი მშენებლობისათვის მომზადებული მიწა. ქვაბულები, მიწაყრილები, სანგრები, ორმოები, კვლავ ქვაბულები, გზის ნაკვალევით ფერდობზე, კაპონირებისა და წერტების ნანგრევები, გზები, რომელთა კვალის გამოცნობაც გამწკრივებული, ტანკებისაგან გასრესილი გვამებით შეიძლებოდა მხოლოდ.

ნაკამურამ სწრაფად გაჰქოლა სანჩაგოუ და სარდლობის გორაკისაკენ გაეშურა. იქ ელოდნენ გენერალი ორისაკა, ორჯერ დაჭრილი ხელში, უმცროსი ნისიო, ჭუჭყიან, ზეთით გათხუპნულ ტყავში, და მთავარსარდლის ადიუტანტი. არმიის სარდალი პატარა, უხეშად გათლილ მაგიდას მიუჯდა და თავი ხელებზე დააყრდნო. ვერავინ ბედავდა სიჩუმის დარღვევას. მალე დამკვრელი ჯგუფის მეთაური ოძუც მოვიდა.

— შეჩერება ყოვლად შეუძლებელია! გთხოვთ მიუთითოთ ჯგუფს გზა,—სთქვა მან.

— ჩემს ჯარს უკანდახევის გამბედაობაც კი აღარა აქვს,— შენიშნა უმცროსმა ნისიომ და ყველას სასოწარკვეთილებით გადახედა.

— უკანდახევის... თქვენ საბარგო ცხენებზე უფრო ნელა მოძრაობდით,—სთქვა ნაკამურამ.

— გენერალო, მე დასახული მქონდა ამოცანა—გამერდვია ფრონტი და სულ სამი-ოთხი საათი მომენდომებია ამაზე... საწვავის ჩასხმა საბრძოლო პირობებში... არც ერთ ჩვენგანს არა ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რას ნიშნავდა ეს და რა ფასად დაგვიჯდებოდა.

— საწვავის ჩასხმა... ჩვენ ვართ არა გარაჟში, არამედ ბრძოლის ველზე,—ჩუმად წარმოსთქვა არმიის სარდალმა.

— ბოლოს, გეოგოგიეკასთან ჩვენ წავაწყდით ამ უცნობ სიკვდილს.

— მოტორები შეჩერდნენ?

— დიალ, გენერალო. ამ საშინელმა უბედურებამ ჩვენ წავართვა...

— მოტორების ისტორიას თქვენ მოუთხრობთ სასამართლოს... რატომ შესწყვიტა მუშაობა მოტორების მხოლოდ ერთმა ნაწილმა და მეორემ კი არა?

— გენერალო, მე როდი ვხელმძღვანელობდი ამ ცეცხლს, მე თვითონ თავს დამატყდა იგი. როდესაც ყოველი ჭრილობა სასიკვდილოა, როგორც ამ ელექტრონის მოქმედების დროს, მაშინ არავის არ უნდა გამარჯვებული იყოს. დაჭრილი გამარჯვებული სულერთია დამარცხებულის ხელში დალევეს სულს.

ნაკამურამ თავი ასწია და მთავარსარდლის ადიუტანტს უთხრა:

— აცნობეთ მთავარ ბანაკს, რომ გარღვევა მარცხით დამთავრდა.

იაპონელთა ავიაცია, საშინლად დაბნეული, აქეთ-იქით ეხეთქებოდა, რომ დაეფარა ნაწილების დახვევა სანჩაგოუსკენ, სადაც ბრძანების დაულოდებლად უკვე სანგრებს თხრიდა ორი თუ სამი პოლკი.

გენერალ ოძუს დამკვრელი ჯგუფის ნაწილები ჯერ ისევ მოძრაობაში იყვნენ. წითელი ტანკების შეტევით შემუსვრილნი, ჩინელ მტვირთავთა ამბოხებით დამფრთხალნი, თავიანთ სატრანსპორტო ბაზებს მოწყვეტილნი. ისინი უკან იხევდნენ სრულიად უგეგმოდ ან იწვნენ თხრილებში დილით დაკავებულ პოზიციებზე. წითელი ავიაცია განუწყვეტლივ თავზე აყრიდა მათ ყუმბარებს. უფრო მწყობრად დაიხიეს გენერალ ორისაკას გვარდიელებმა. უმცროს ნისიოს სატანკო ნაწილებმა, საწვავის გამოლევის შემდეგ, სანგრები გათხარეს და თავიანთი ხაზი დაჯავშნილ ბუდეებად გადააქციეს, ხოლო საზღვრიდან გეოგოგიეკის მიდამოებამდე მოფენილ კადას ცხენოსანთა დივიზიის მეომართა გვამებს უწყალოდ სთელავდნენ ერთიან ნაკადად მომდინარე წითელი ტანკები, რომელთაც ზურგს ავიაცია უმაგრებდა.

რვა მარტს დღის ხუთ საათზე ცნობა მოვიდა, რომ წითლების ავიაცია იაპონელთა არმიის ზურგსა და კომუნიკაციებს ანადგურებსო.

მანჯურის სანიმუშო ბრიგადამ ხელთ იგდო სანიტარული მატარებლები და თვითნებურად დაიხია ხარბინისაკენ.

ნაკამურას არმიის ფრონტი ზურგში გადადიოდა. მის არმიას ყოველ მხრივ პირი უნდა ებრუნა. ფრონტი ყოველი მხრიდან იზღუდებოდა.

„გაუმარჯოს სიპრაფიქ“
გოციოძე

მ ო ს კ ო ვ ი ო მ შ ი ე ბ მ ე ბ ა

ოლგა მოსკოვში ცხოვრობდა. იგი ყოველდღე ემზადებოდა შინ დასაბრუნებლად, მაგრამ მთელი თვეობით აყოვნებდა წასვლას. როდესაც ვლადიმერტოკას შემდეგ შერშეინთან ერთად დედას ეწვია, ვარვარამ ისინი ძალიან მშვეადად მიიღო.

—ნუ გაჯავრდებით, რომ არათფერი არ მითქვამს თქვენთვის, ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა...—უთხრა ოლგამ დედას.

—კარგად მოქცეულხარ. აქ ლაპარაკი საქმეს ვერ უშველის, —მიუგო დედამ.

მაგრამ გაცილების დროს, საზღვარზე წასვლისას, უთხრა:

—გმადლობ, შეილო, რომ სამხედრო კაცა აირჩიე. მთელი ჩვენი ოჯახი მებრძოლი ოჯახია. ასეთ გეზს შემდეგშიაც ნუ ავიტყვებთ.

პოსიეტვიდან ოლგა შერშეინთან წავიდა, საზღვარზე, და ორი თუ სამი დღის შემდეგ მოსკოვს გაეშურა.

საზღვარზე, ისევე, როგორც პოსიეტვიში, ისინი ერთმანეთს მორიდებულად ეპყრობოდნენ, თუმცა ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. ნივთებს სხვადასხვა ჩემოდანში ინახავდნენ, საცვალს ცალ-ცალკე აძლევდნენ გასარეცხად, თითოეულა მათგანი—თავიანთ. თავიანთ უეცარ შეუღლებაზე თითქმის არ ლაპარაკობდნენ, ხოლო თუ გაიხსენებდნენ, ისე მიიჩნევდნენ, როგორც მხიარულ ამბავს.

კომისარმა უამრავი დავალებით დატვირთა ოლგა. ოლგას უნდა შეეველო „ტამირიაზეცაში“, „ესეკოხულოენიკში“, „ქნიგოცენტრში“, მწერალთა კავშირში. კონსერვატორიაში. შეეტანა იქ ათაგვარი წინადადება და დაეწყო მოლაპარაკება შორეულ აღმოსავლეთში ბრიგადების გაგზავნაზე.

ქმრისა და მიხაილ ლემიონოვიჩის დავალებებთან ერთად ოლგას ოთხი თვის სამუშაო დაუგროვდა. მოსკოვში ჩასვლისას ოლგამ შერშავინის მეგობართან იშოვა პატარა ოთახი და დაიწყო სირბილი სხვადასხვა მისამართის მიხედვით. თავდაპირველად იგი ბეჯითად უპასუხებდა შერშავინის გრძელ შეკითხვებზე და დედის შემფოთებულ წერილებზე. ამ საქმეებში გართულმა უეცრად იგრძნო, რომ ფეხმძიმედ არის და როგორღაც ერთბაშად მოეშვა, ოდნავ დაიბნა კიდევ. იგი არ ფიქრობდა, რომ ასე მალე ეყოლებოდა ბავშვი, ეშინოდა, ბავშვი ოჯახზე მიაკრავდა და მეცნიერებას მიატოვებინებდა. პირველ ხანებში ასეც მოხდა. მთელ დროს ჯერ არ დაბადებულ ბავშვზე ზრუნვას ანდომებდა. ხოლო როდესაც ბავშვი დააბადა, მთელი სამყარო ნებაყოფლობით მას ანაცვალა. მაგრამ შორეული აღმოსავლეთის დავიწყება და მისი არსებითი საქმეების მატოვება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ფიქრობდა. მას მიერ დაწყებული საქმეები მოძრაობაში მოდიოდა. „ესეკოხულოჟნიკი“ ბრიგადას ჰგზავნიდა, აკადემია—თესლს, მწერალთა კავშირი—წიგნებს. საზღვრიდან ჩამოდიოდნენ შევებულებაში მყოფნი და სალამთან ერთად, რა თქმა უნდა, ჩამოჰქონდათ კომისრის დიდი პაკეტები, — კვლავ იწყებოდა სიარული მთავარ სამმართველოებსა და ინსტიტუტებში.

შერშავინი დეკადაში ერთხელ თუ ორჯერ უგზავნიდა წერილს. ამ წერილებში ბევრი რამ იყო ისეთი, რაც დიდად აღელვებდა ოლგას—პეიზაჟები, ნადირობა, ქარი, ტიგის მიყრუებული ბილიკები, თვალუწვდენი ზღვა და მძიმე, გაბედული ცხროვება. მაგრამ უფრო დაწვრალებით და უკეთ სწერდა შერშავინი ადამიანებზე.

„ვეწუხვარ, რომ არ იცნობთ უშაკოვს,—იწერებოდნენ იგი.— ჩემს თვალწინ იზრდება განსაცვიფრებელი ადამიანი. ყოველდღე უფრო და უფრო პატიარად და უგუნურად ვგრძნობ თავს მასთან შედარებით. უშაკოვს კი ჯერ კიდევ სამი წლის წინათ თვალით არ ენახა წიგნი. წიგნება, წიგნები! გამოგვიგზავნეთ წიგნები. უშაკოვმა ხარივით უნდა იმუშაოს თავის თავზე, მაგრამ—ხომ იცით—აქ ხელთ არაფერი არა გვაქვს“.

სწერდა მეომრებზე, წიგნებზე და, თითქოს მისსა და ოლგას შორის ათი ათასი კილომეტრი მანძილი არ ყოფილიყოს, დაწერი-

ლებით აკრიტიკებდა წაკითხულ წიგნებს და ეკამათებოდა ხელოვნების საკითხებზე. ოლგა იშვიათად უპასუხებდა. ორჯერ დაბრუნდა მოსკოვიდან საზღვარზე და ორივეჯერ აგრძნო, რომ დიდხანს ვერ დარჩებოდა ქმართან.

შერშავინს ესმოდა ოლგას მდგომარეობა. სამ-ოთხ დღეს და ასვენებდა და შემდეგ ურჩევდა წასულიყო დედასთან პოსიეტში ან ლუზასთან, მერე კი ადვილად არწმუნებდა, რომ ერთხელ კიდევ წასულიყო მოსკოვში, და ისტუმრებდა კიდევ, თან ძალზე ღელავდა, თითქმის ტიროდა.

ოლგა თითქმის მოხარული იყო, რომ ასეთი შედეგი მოსდევდა ქმართან ყოფნას, თუმცა ვერ მიმხედარიყო მის განზრახვებს. ოლგას სწყინდა, რომ ქმარი ასე სწრაფად იშორებდა თავიდან, თუმცა მეტხანს დარჩენა მისთვის მძიმე და მოსაწყენი იქნებოდა. შეურაცყოფილად გრძნობდა თავს, როდესაც ხედავდა, რომ ქმარი მშვენივრად ცხოვრობდა უიმისოდ და არასოდეს არა გრძნობდა მარტოობას. ახელებდა მისი დავალებები დედაქალაქში, რაც ოლგას ჩვეულებრივ მდივნად აქცევდა. მაგრამ შერშავინი მასთან უბრალო, გულწრფელი და გულდია იყო, ძალიან უყვარდა შვილი და ზრუნვას არ აკლებდა, რომ ოლგას კარგად ეგრძნო თავი მოსკოვში. მაინც მომბეზრებელი იყო მისი ათასნაირი დაყინებული მოთხოვნა. ეკითხებოდა წაკითხულ წიგნებზე, ნახულ პიესებზე და ისე გამოდიოდა, თითქოს ყველაფერი იცოდა, ამასთან იცოდა უკეთ, ვიდრე ოლგამ. «ჯერ კიდევ ცოტა რამ გინახავს—ო»,—მოკლედ ეუბნებოდა ასეთ შემთხვევებში და სხვა საგანზე იწყებდა საუბარს. შემდეგ კვლავ მოსკოვში წასვლაზე ჩამოუგდებდა სიტყვას. მესამედ რომ წავიდა, ოლგამ გადასწყვეტა აღარ დაბრუნებულიყო. და როდესაც ერთხელ შეეცადა საბოლოოდ გამოერკვია თავისი დამოკიდებულება იმ კაცისადმი, რომელიც ასე მოულოდნელად მისი ქმარი გახდა, ერთაშად მიხვდა, რომ ძალზე ღრმად შეეზარდა მის ცხოვრებას, და თუ ისინი ერთმანეთს დაშორდებიან, მაშინ უნდა გაინაწილონ უშაკოვიც, პოსიეტას ქარხანაც, ტიმირაიზევის აკადემიის თეატრიც, მთელი ეს ყოველდღიურად, ყოველთვიურად, ყოველწლიურად დაგროვილი მდიდარი და რთული მეთურნეობა.

უკანასკნელი ზამთრის განმავლობაში ოლგამ რამდენჯერმე: მისწერა შერაშეინს, ვაპირებ დაბრუნებასო, მაგრამ ის მაშინვე უგზავნიდა გადაუდებელ დავალებათა სიას და შემდეგ დეპეშით უმართებდა ახალ საქმეებს. ყოველივე ეს აფერხებდა მის დაბრუნებას. ბოლოს ამან გააბრაზა ოლგა.

მან ასეთი დეპეშა გაუგზავნა შერაშეინს:

„დავბრუნდე თუ არა გიყვარვართ თუ არა“.

შერაშეინმა უპასუხა:

„დაბრუნდით“.

დეპეშის ტონი შეურაცხყოფელი იყო. რას ნიშნავს ეს? მფარველობას უწევს იგი ოლგას, თუ დაბრუნებას სთხოვს? ეპ, იქნებ სჯობდეს, მიატოვოს ყველაფერი და წავიდეს შუა აზიაში.

მაგრამ შერაშეინმა ოლგა ათასნაირი საქმით დაუკავშირა საზღვარს. ამ საქმეების მიტოვება უპატიოსნო საქციელი იქნებოდა. ათასგვარი საქმე, წამოწყება, პროექტი ჰქონდა მინდობილი, ყველა ეს უკვე შეუყვარდა და დიდის გატაცებით იცავდა მოსკოვში შეუძლებელი იყო ამ საქმეებს ჩამოშორებოდა, უცხოდ მიეჩნია ისინი.

— მაშასადამე, უნდა წავიდე.

და ოლგა. მოემზადა ადრე გაზაფხულზე აღმოსავლეთში წასასვლელად.

თებერვალი მოსკოვში სუსხიანი და ქარიანი იყო. მარტი ქარბუქით დაიწყო.

ქალთა დღეს ოცი გრადუსი ყინვა იყო, მაგრამ ოლგამ მაინც გადასწყვიტა ქუჩაში გასვლა. დიდ თეატრში უნდა შეკრებილიყვნენ მოსკოვის წარჩინებული ქალები. ამ შეკრებაზე მოელოდნენ პოლიტიურს წევრებს.

თერთმეტ საათზე კონცერტი უკვე გაჩაღებული იყო. ყველა მთავრობის ლოჟას შესცქეროდა, ყოველ წუთს მოელოდნენ სტალინის გამოჩენას. მაგრამ ოლგა სირბილმა და აურზაურმა მთელი დღის განმავლობაში ისე მოქანცა, რომ იძულებული გახდა შეიჭოვებინა კრება, მით უფრო, რომ ბავშვი მარტო იყო სახლში.

გამოსვლისას, სვეტებთან, მოულოდნელად ბრანიცკის შეხვდა. იგი უქედოდ ბალის წბრიდან მორბოდა. ბრანიცკი ოლგას მამის ამხანაგი იყო, მასთან ერთად სწავლობდა.

— ეს-ეს არის ააწყყეს მთავრობის ცნობა იაპონელთა თავდასხმის შესახებ ჩვენს საზღვარზე.

— ხო? არ გაგიყებულხართ!—წამოიყვირა ოლგამ და ერთად შევარდნენ თეატრში, ავიდნენ ზემო ფოიეში და დადგნენ ფანჯარასთან, მოედინის ძხარეზე.

— იქ ამჟამად დილაა,—სთქვა ბრანიცკიმ. — ისინი უკვე ექვს საათი იბრძვიან. თქვენ იცნობთ იმ ადგილებს?

— რომელ ადგილებს? სად? მე არაფერი არ ვიცი.

— აი რა არის უხალგაზრდობა! ჰო, მართლა, თქვენ ხომ სამოქალაქო ომი არ გამოგივლიათ... ბედნიერება იყო ეს, ოლგა ოვანესოვნა, ბედნიერება. ყველა ჩვენს გრძნობას, ყოველგვარ მოქმედებას იმას ვუფუტებდით, რაც ფრონტზე ხდებოდა. გადადგამდი ნაბიჯს და სულ იმაზე ფიქრობდი, რა ამბავია იქ, როგორ არის საქმე იქ.

— სთქვით ხეირიანად, რაშია საქმე?—ეხვეწებოდა ოლგა.

მაგრამ ბრანიცკის არაფერი არ ესმოდა.

— მხოლოდ უდიდესი საფრთხის დროს იწყებს კაცი იმის სათანადოდ შეგნებას, თუ რა არის საბჭოთა წყობილება. ჩვენ ომში დავიბადენით და გავიზარდენით. ჩვენი ყოფა-ცხოვრება მუდამ ომი იყო, დაუცხრომელი, სასტიკი ომი. ჩვენში იციან მატარებელში ჩაჯდომა და ათასი კილომეტრის სიშორეზე წასვლა შინ შეუხვევლად. ჩვენ შეგვიძლია ოცი წელიწადი ვიომოთ, ჩვენ მეომრებად ვართ ისტორიული ბედით და ცხოვრების გამოცდილებით.

— გთხოვთ, გამაგებინოთ ხეირიანად, რაშია საქმე?

მაგრამ ბრანიცკის ეგონა, რომ იგი ხეირიანად და გასაგებად ლაპარაკობდა.

— ჩვენთვის გამარჯვება ამას ნიშნავს,—არწმუნებდა იგი ოლგას ისეთ რამეში, რაც თითონ მისთვის სავსებით ნათელი იყო,—რომ ალგვილ აქნას მიწისაგან პირისა ჩვენს წინააღმდეგ გამოსული რეჟიმი.

— იტყვი თუ არა, რა მოხდა?

— როგორ თუ რა მოხდა? იაპონია არღევს ჩვენს საზღვარს ხანკის ტბასთან და ყუმბარებს უშენს ვლადივოსტოკს.

ოლგას თვალთ დაუბნელდა.

— თათქმის ჩემი სამშობლოა...

— სისულელეა! სისულელე! — ბუტბუტებდა თავისთვის ბრანცი. — ჩინეთი მძლავრი საბჭოთა ქვეყანა გახდება. იაპონია ბედნიერი იქნება. ინდოეთი თავისუფლებას მიიღებს... წავიდეთ! — წამოიყვირა მან. — უკვე ერთი თუ ორი საათია არაფერი არ ვიცი, რა მოხდა შემდეგ. დღეს ხალხში უნდა ვიყოთ, — ამბობდა ის. — თქვენ ხომ ახალი ჩამოსული ხართ აღმოსავლეთიდან. ქმარი იქ არის? უეჭველია, მედიცინის დათ წახვალთ.

— აჰ, ბრანცი, რა სისულელე ჩავიღინე, რომ ჩამოვედი! — მიუგო მან დარცხვენით. — რომ იცოდეთ, რა ცოტაა იქ ხალხი.

— არაფერია, არაფერო... ჩვენ რომ დაგვამარცხონ, ამისათვის საჭიროა მთელი კაცობრიობის გაყლეთა, — დინჯად წარმოსთქვა მან. ოლგა გააჟმდა.

პეტროვკა ხალხით იყო გაქედილი, როგორც ყოველთვის დიდი რევოლუციური დღესასწაულის წინ. უკვე ყველამ იცოდა, რაც მოხდა. თეატრის მოედანი ბაზრობას მოაგონებდა კაცს. რეპროდუქტორები ხალხს აცნობებდნენ მთავრობის განცხადებას.

პუშკინის ქუჩით ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრისკენ გაემართნენ. ხალხი მაყურებელთა დარბაზიდან გამოდიოდა, მაგრამ შემდეგ ახევ უკან დაბრუნდა, რადგან გამოჩნდა სამი ჩინელი ორატორი. ისინი ხელში აიტაცეს და ისე ეჭირათ როგორც დროშები. ასე შეიყვანეს დარბაზში. ლაპარაკი შეუძლებელი აყო. ყველა მღეროდა.

ბრანცი და ოლგა შესახვევებით გორკის ქუჩაზე გავიდნენ და რედაქციაში შევიდნენ. რუკასთან ვალაც ბულგარელი ემიგრანტები, პოლონელი ლტოლვილები და ინდოელი სტუდენტები დაობდნენ.

გონებადაბნეული მდივანი ქალი ტელეფონის მილში ჩასძახოდა:

— ათზე?.. არ მესმის! ცხრაზე? არ მესმის. „ბურთულასაკისარში“? ცხრა საათზე „ბურთულასაკისარში“? სვეტებიან დარბაზში პირველ საათზე?.. არაფერი არ მესმის. რუსულად მითხარით. ნოხვინ მალ! აა, ჯე ნე პარლ პა ფრანსე, მალერეზმან, ჟე სეკრეტარ დე

რედაქციონ, დიად. ეე ნე პა უცხოეთის განყოფილება, განყოფი-
ლება დეზენტრანე, ნო, ოტრ ტელეფონ, დიად, დიად, დაურეკეთ
საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატა, პარდონ!—მხნედ ყვიროდა
იგი და თან სიტყვებს ურევდა.

რედაქციაში არაფერი არა ჰქონდათ მიღებული საკავშირო დე-
პეშათა სააგენტოდან, გარდა მთავრობის ცნობისა, და ბრანიცკი და
ოლგა ოხოტნი რიადისკენ გაეშურნენ. აქა-იქ ხალხში უკვე მოსჩან-
და ქარხნის დროშების ტარები. ყველგან გაისმოდა სტრატეგთა ყა-
ყანი. ტყაპუკიანი მოხუცი გატაცებით არჩევდა აღმოსავლეთში მიმ-
დინარე ომის შესაძლებელ ხასიათს და ცერის დრჩხილით გამოჰყავდა
ხაზები სახლას კედელზე. სამხედრო პირებს ოვატიით ეგებებოდნენ.
შორს გაისმოდა „ურას“ გრიალი, უკრავდა ორკესტრი.

უცრად ვიდაცის ძლიერმა ხმამ დაიყვირა: „ჩუმად!“ და ერთ-
ბაშად სიჩუმე ჩამოვარდა ერთი ვერსას მანძილზე. რადიო დინჯი
ხმით კვლავ და კვლავ აცნობებდა ქვეყანას პარტიისა და მთავრო-
ბის განცხადების უკვე ყველას მიერ გაზეპირებულ სიტყვებს.

გაიარეს ვენელმა მოაერიშებმა დროშებით. მღეროდნენ „წო-
თელ ვედინგს“ და ოცი თუ ოცდაათი ათასი კაცი მათთან ერთად
მღეროდა:

Links, links! Der rote Wedding y marschier! 1)

ოთხი ფრანგი, ხელიხელ ჩაკიდებული, „მოსკოვის“ სასტუმ-
როდან გამოვიდა. მათ მაღალი, წვრილი ხმით წამოიწყეს სამღე-
რა ეყენ პოტიეს სიტყვებზე:

C'est elle! C'est elle! C'est elle!

La Belle! La Ribeille! La vie a plein mamelle! Elle arpete! 2)

კაფე „მეტროპოლში“ ლაპარაკობდნენ გერმანელები და ინგ-
ლისელები. წარმოდგენის შემდეგ მცირე თეატრიდან გამოსული
ხალხი ქუჩაში იდგა და არ იშლებოდა.

1) „მარტენა, მარტენა! წითელი ვედინგი მოდის!“

2) ეს ის აოის! ეს ის აოის! ეს ის აოის!

ტურ გა- უღრგა! სიცოცხლე, ჯანით და დონით აღსაყს! იგი მოგვიწოდებს!

ასეთი დღეები არ მეორდება. ასეთი დღეები მთელ სიცოცხლედ ღირს. რალაც ერთ თუ ორ საათში ადამიანი იმდენს განიცდის, რასაც ზოგჯერ მთელი წლები სჭირდება.

ღიდი თეატრის სვეტებს შორის მსახიობი ქალი მღეროდა. მისი ხმა არ ესმოდათ, მაგრამ ტაშს უკრავდნენ, ყვიროდნენ „ბის!“ „გაიმეორეთ!“—და მსახიობი კვლავ და კვლავ იმეორებდა თავის მუხჯურ სიმღერას, გულის ამრუყებელ სიმღერას.

უეცრად, თითქოს რალაც უბედურება მოხდაო ცენტრალური საბავშვო თეატრის მხარეზე, ადამიანთა კედელი შეირხა და მარცხნივ გადაიხარა.

—საჭიროა თარჯიმანი! თარჯიმანი გერმანულიდან!—დაიყვირეს თეატრიდან.

ახალგაზრდა, უბრალოდ ჩაცმულმა ქალმა ხელები აიშვირა და ჭაფიჭაფულმა დაიძახა:

—მე! მე! გამიშვით ჩქარა!—ხალხი მიასწი-მოსწია და სასწრაფო დახმარების ექიმის შეუპოვრობით გაექანა იქითკენ, საიდანაც იძახოდნენ.

—აქეთ! აქეთ!—ეძახდნენ თეატრის შესასვლელიდან, სადაც ქერა ბავარელი იდგა და სიტყვას ამბობდა.

—მეტის ატანა აღარ შემიძლია!—სთქვა ოლგამ. —სთქვით რამე, ბრანიცი! სთქვით ყველას მაგიერ...

მაგრამ ხალხი ახლა უძლიერეს ხმასაც ვეღარ გაიგონებდა: რამდენიმე ათი ათასი კაცი რალაცას გაჰყვიროდა, ლაპარაკობდა, მღეროდა და დაობდა.

ჩასუქებული წვერიანი კაცი უამბობდა გარსშემოხვეულთ, თუ როგორ აგროვებდა იგი ათას ცხრაას ოც წელს წიგნებს წითელი არმიისათვის. ლურჯ კომბინეზონში გამოწყობილმა მუშა-ქალმა ბლფრთოვანებით ხელი დაჰკრა მხარეზე და წამოიძახა: „პართალია, პატიოსან სიტყვას გაძლევთ მართალია!“—და შეაწყვეტინა რა სიტყვა, თვითონ დაიწყო ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ ართმევდნენ ბურეუაზიას ზედმეტ სანოვაგეს, როდესაც ის ზღშვი იყო.

—შინიშნეთ თუ რა, რომ იაპონიაზე არაფერს არ ლაპარაკობს?—სთქვა ბრანიციმ. —ვინ არის იაპონია? ყველამ იცის,

რომ საქმე იაპონია არ არის. დღეს ჩვენ თავსემოხვეული ომის პირველ დღეს არ ვეგებებით, დღეს ჩვენ რალაცას ვაცხადებთ მთელი სამყაროს საყურადღებოდ. საქმე ეხება შეტაკებას ყველგან. მაზსოვს, როგორ ველოდით ცნობებს ბერლინიდან ათას ცხრაას ოცდასამ წელს. რა რიგ გვიანდოდა თავი დაგვედო გერმანელებისათვის, რამდენს ვფიქრობდით მათზე. როდესაც იქ ყველაფერი ჩაიფუშა... ეჰ!.. ეს პირადი უბედურება იყო.

— ენა?

— ესპანეთი?—სთქვა ახალგაზრდა მეზღვაურმა, რომელიც ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს.—ჩენი გემი ზღვაში იყო, საფრანგეთსა და ესპანეთს შუა. პარტორგმა გვიბრძანა დაგვეძინა პარტიული წესით, ძილი კი არავის არ უნდოდა. ვახტიდან პირდაპირ წითელ კუთხეში გავბოდიით, ახალ ამბებს ველოდით რადისტიკაგან. სამანქანო ვახტა ყოველ ნახევარ საათში ჰგზავნიდა ზემოთ კაცს ამბის გასაგებად. კაპიტანი ღრიალებს: სამართალში მიგცემთო. პარტორგი ღრიალებს: სამართალში მიგცემთო. ჩვენ კი მაღლა ავიტაცეთ ისინი და ვაქანავებდით, ვაქანავებდით და ვმღეროდით. სამ დღე-ღამეს არავის არ დაუძინია, პარში არაფერი არ ჩაუდვია. და უცბათ გავიგეთ—გული მოგვეწვა. ნაპარზე რომ ვყოფილიყავით, დავითვრებოდით. ასეთი დარდი გაწეება გულზე, როდესაც მარჯვე შემთხვევას ხელიდან გაუშვებ.

— ისინი უკვე რვა საათია იბრძვიან,—წამოიძახა ბრანიციმ და მოულოდნელი სისწრაფით, თითქოს ფეხი დაუხსლტაო, მუჯღლუგუნე ჰკრა ვილაცას თავის წინ, გაწვი-გამოაწია ხალხი და გაიქცა ზღუდისკენ, ცენტრალური საბავშვო თეატრის ზემოთკენ.— ჩვენ რომ დაგვამარცხონ, მთელი კაცობრიობა უნდა გაქლიტონ!— დაიყვირა მან. ხალხმა მასკენ მიიხედა.— ჩვენ მუდამ ვიცოდით და ერთი წუთითაც არ ვიფიწყებდით, რომ ომი იქნება და სამუდამოდ მას ვერავინ აგვაცილებს. ჩვენ ვცდლობდით გადაგვედვა, დაგვევიანებინა მისი უცილობელი დადგომის საათი, რათა აღგვეზარდა მეომრები ჩაგრულ ხალხთა შორის, გამოგვეწროთო კლასები, გამოგვექედა პარტიები. რამდენჯერ სცემდა ბედნიერებით აღსავსე ჩენნი გული, როდესაც მსოფლიოს რევოლუციური ხანძარი ედებოდა! ჩვენ ვიცოდით, რომ ეს საათი დაღვებოდა. აღსდექ, მაწავ! ჩენნი

დრო დადგა! აღსდექით, ხალხნო! შორს ხელები წითელი ქვეყნისაგან!

ოლგა ხმამაღლა ტირიდა. ბრანიცკის არეული სიტყვა ნერვებს უწეწავდა. საყოველთაო აზრი იყო, რომ საბჭოთა კავშირისათვის თავზე მოხვეული ომი იქნება ბრძოლა მსოფლიო ოქტომბრისათვის.

ბრანიცკი კიდევ რაღაცას ყვიროდა ხრინწიანი ხმით მორალზე, მაგრამ სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო. მის გარშემო შეკრებილ ხუთი თუ ექვსი ათას კაცს არ ესმოდა მასი სიტყვები, მაგრამ იცოდნენ, რას იტყოდა ეს გამხდარი, მტკიცე და მრისხანე გამოშეტყველების კაცი და წინასწარ ადასტურებდნენ ყველაფერს, რასაც ის ამბობდა.

— გვეყოფა, რაც დავისვენეთ!—იმეორებდა მოხუცი მუშა. — ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მოვუღოთ ბოლო ამ უწესრიგობას!

როდესაც „უწესრიგობაზე“ ლაპარაკობდა, მას მხედველობაში ჰყავდა კაცობრიობის ხუთი მეექვსედი.

— დიად, ახლა ისეთი ამბავი დატრიალდა, როგორც აზრადაც არავის არ მოსვლია,—დაუდასტურა მას ხანში შესულმა პროფესორმა.

ოლგა თანდათან ჩამოაშორეს ბრანიცკის. გადასწყვიტა აღარ დალოდებოდა მას და სახლში დაბრუნებულაყო. დამის ორი საათი იქნებოდა. მუშის ოჯახს—მამას, დედას და კომკავშირული შეხედულების სამ ბავშვს—პლაკატი მიჰქონდა: „მივცეთ 200%/ო სიმამაცე, 300% სიმტკიცე, 500%/ო სიმშვიდე“. დიდი თეატრის ორკესტრი განუწყვეტლივ უკრავდა „ინტერნაციონალს“ ფრაკში გამოწყობილი თავდაუხუარავი დირიჟორი დირიჟორობდა, იგი მაღლად და აღღზნებით იშვერდა თავის გალურჯებულ, გაყინულ ხელებს.

როდესაც ოლგა ოთახში შევიდა და ფანჯარა გააღო, ქუჩიდან მოისმა ყვირილი: „სტალინი!“.

ხალხი ყვიროდა და იძახოდა: „სტალინი! სტალინი! სტალინი!“—და ეს იყო ძალისა და დიდების ძახილი. იგი გაისმოდა, როგორც „წინ“. სახალხო მძვინვარების ჟამს ხალხი ეძახდა თავის ბელადს და დამის ორ საათზე ის კრემლიდან დიდ თეატრში მივიდა, რომ მოსკოვთან ერთად ყოფილიყო.

ოლგამ აიტაცა ბავშვი და თეატრისკენ გაიქცა. იგი, როგორც ტრამვაიშია მიღებული, წინ გაუშვეს.

— სად არის? სად? — კითხულობდა ოლგა.

— ახლავე, ახლავე! — ეუბნებოდნენ ყოველი მხრიდან. — აი აგერ!

ოლგამ დაინახა სტალინი, როდესაც ის სულ ახლოს მივიდა.

ძალზე უბრალო იყო მისი მშვიდი ფიგურა, მჭიდროდ შებნეული უბრალო ფარაჯით და რბილი წინაფრიალი ქუდით. მასში არაფერი არ იყო ზედმეტი და შემთხვევითი. სტალინს მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა. იგი აჩქარებით მიდიოდა, ხშირად იბრუნებდა პირს გარსშემოხვეულ პოლიტიურთა და მთავრობის წევრებისაკენ, რაღაცას ეუბნებოდა მათ და ხელით უჩვენებდა ხალხზე.

ოლგა ძალიან შეეცადა თეატრთან მისვლას, მაგრამ ვერ მოახერხა და შინ დაბრუნდა.

ჩაუბრუნდა რადიო და საწოლზე წამოწვა. სტანჯავდა ის აზრი, რომ მოსკოვშია და არა პოსიეტში, და შერშავინთან გატარებული სამი დღე მის მეხსიერებაში იახებოდა როგორც უბრწყინვალესი და სრული ბედნიერება.

— სულელურად, წვრილმანურად მოვაქეცი. არ უნდა წამოვსულიყავი, — იმეორებდა იგი.

ის რომ ახლა ოთახში შესულიყო, ჰო რა სიხარულით მოეხვეოდა. ოლგა, რა რაგ ჩაიკრავდა გულში.

და ამ დროს დაილაპარაკა სტალინმა. მისი სიტყვები შეიჭრა საზღვართან გაჩაღებულ ბრძოლაში, შეუერთდა ყუმბარების ცეცხლსა და გრგვინვას, გამოაღვიძა ჩრდილოეთის ჯერ კიდევ მთვლემარე კოლმეურნეობები, სიხარულისა და სიმამაცის ცრემლები მოჰგვარა თვალზე ამუ-დარის ოაზისების დეხკანებს.

სტალინის ხმა თვით ბრძოლის ორომტრიალში სქექდა. ტყვიებით დახვრეტილი რადიოსაყვირი დიდხანს იბრძოდა ვასილ ლუზას დახვრეულ ქოხთან. სტალინი ელაპარაკებოდა მეომრებს მიწისქვეშა კაზემატებში და მფრინავებს ცის სივრცეში. ამ დაბალ და გულთბილ ხმაზე გონს მოდიოდნენ ცნობიერებადაკარგული დაქრილები. სახვევ-პუნქტებში. ეს იყო ჩვენი სამშობლოს ხმა, უბ-

რალო და ნათელი, უზომოდ პატიოსანი, უსაზღვროდ კეთილი, მამობრივად დინჯი სტალინური ხმა.

ბ რ ძ მ ლ ე ზ ლ ვ ე ზ ე

სამი ინგლისელი მურუსიმიასთან ერთად იოკოგამას მიმავალ გემში ჩაჯდა. სეისინი ჯარათ იყო გაქედილი და ნავსადგურში ერთი აურ-ზაური იდგა. ზღვაში რომ გავიდნენ, იუკიდან რაღაო მიიღეს: წითელი თვათმფრინავეები ტყეიას უშენენ ნავსადგურს, ნაღმოსანი კატარლები გემებს აფეთქებენ რეიდზე, ჰორიზონტზე წითლების წყალქვეშა ნავი მოსჩანსო.

კაპიტანმა სამხრეთისაკენ გაუხვია და სისწრაფეს მოუმატა. შუალამისას ისინი სადარაჯო ნაღმოსანმა გააჩერა, უბრძანა—რეისო შეეწყვიტა და გენზანში შესულიყო.

—განა ზღვაზე ბრძოლაა?—იკითხა ლოკსმა.

მურუსიმამ განცვიფრებით მხრები აიჩეჩა:

--სამხედრო ტვირთი გადააქვთ სერ. ეს არის და ეს.

—ზღვაზე მრავალი გზაა.

—დამარცხება მხილებულ საიდუმლოებათა ჯაჭვია, ისევე, როგორც გამარჯვება დაცულ საიდუმლოებათა ჯაჭვი,—ნართაულად უპასუხა მურუსიმამ და განშორდა ინგლისელებს.

გენზანის ნავსადგური ფეხზე იდგა. სამხედრო გემები აქეთიქით დადიოდნენ ნავსადგურის წინ, ლუზებს არ უშვებდნენ წყალში. პროექტორების სხივები ცასა და ზღვას ანათებდნენ. ქუჩებში ბნელოდა, მაგრამ ხალხი მრავლად ირეოდა. ხალხის გუგუნნი ნაპირიდან გემამდე აღწევდა.

ნელსონი დიდხანს დადიოდა გემის ბაქანზე, უკვირდებოდა სიგნალებს და ყურს უგდებდა ზღვის ხმაურს.

—ეს ომია!—სთქვა მან, როდესაც კაიუტ-კომპანიისი დაბრუნდა.

იმევე წუთს კაპიტნის კაიუტიდან სახეგაბრწყინებული მურუსიმა გამოვარდა.

—წითლებმა ყუმბარები დაუშინეს კორეის ნავსადგურს იუკის, —სთქვა მან სიხარულით აღელვებულმა.—მათ გადალახეს კორეის საზღვარი და ყუმბარები დაუშინეს ნავსადგურს.

— გიხარიათ? — ჰითხა ჩარლზმა.

— ძალიან. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ჩვენს მხარეზეა. გერმანია, პოლონეთი აღშფოთებულნი არიან. — მურუსიამ გული ხელზე დაიდო: — ბატონებო, სამხედრო ინსტანციას განკარგულე-ბით, ჩვენ შანხაიში მივდივართ.

— უცნაური აგეოგრაფია! — ნელსონმა მხრები ააჩეჩა. — ჩვენ აპონიაში მივდივართ, ბატონო მურუსიმა.

— ბატონებო, სამხედრო მდგომარეობაა...

— თუ იაპონიაში შესვლა აკრძალულია, ჩან-ჩუნში დავბრუნდებით.

— არა, არა, ამჟამად ეგ შეუძლებელია.

ზღვა საშიში იყო. გემი მიხვეულ-მოხვეული გზით მიდიოდა. ანდაზე შტურმანის თანაშემწე მორიგეობდა. სალამოს შვიდ საათზე გემს ნაღმოსანი მიუახლოვდა და რადიოთი გამოელაპარაკა, რის შემდეგაც მურუსიამ ინგლისელები კაიუტ-კომპანიაში მიიწვია.

— ოფენზივა! — ყვიროდა ის გაჯავრებული. — საზიზღარო ოფენზივა! ისინი თავხედურად სტყუოდნენ, როდესაც ამბობდნენ, რომ მხოლოდ თავს დაეცავთ. რომ იცოდეთ, რა ჩაიდინეს! როგორ იცავდნენ თავს, ის წყეულები! რომ აცოდეთ!

— ისეთი მდგომარეობაა, — შეაწყვეტინა ლაპარაკი კაპიტანმა, — რომ იძულებულნი ვართ გადაგსხათ ნეიტრალურ გემზე. ეს ახლავე მოხდება.

ინგლისელები გადასხეს გემ „ტრომზე“, რომელიც ნორვეგიის დროშით კამჩატკიდან სამხრეთისკენ მიდიოდა. მურუსიმა არც კი გამოეთხოვა მათ. ზღვას ჰორიზონტის აღმოსავლეთით დიდი გაცხოველება ეტყობოდა. გემის რადიო წამდაუწყებლად ცნობებს მრავალი გემიდან და „მფრინავი ნაგების“ საგნალებს.

ამ დროს იაპონიის არმია ზღვას გადადიოდა. ერთი საათის შემდეგ შორეული ჰორიზონტიდან პირველი აფეთქებას ხმა მოისმამს მოჰყვა ხუთი თუ ექვსი სხვა აფეთქება. აფეთქებასთან ერთად პროექტორების სხივები ცას მოედო, მაგრამ, ეტყობა, იაპონიის კოლონის ხარდლის ბრძანებით, პროექტორები მაშინვე ჩააქრეს.

ნახეყარი საათის შემდეგ „ტრომსედან“ ხუთი მილის მანძილზე სამი აფეთქება გაისმა და ხანძრის შუქზე გამოჩნდა გვერდზე გადაწოლილი ორი უზარმაზარი გემის კორპუსი.

„ტრომსე“ მთელი სისწრაფით მიჰქროდა სამბრეთისკენ. დილით კაპიტანი ფიქრობდა, რომ იგი გასცილდა საბრძოლო ოპერაციების არეს. უეცრად პორიზონტზე ჰაერში ავარდა კვამლი, მოისმა შორეულ აფეთქებათა ხმა. მარცხნივ, პორიზონტზე, სწრაფად გასცურა ოთხმა გემმა. მათ თავზე თვითმფრინავები დაჰფრენდნენ. ჰაერში ავარდნილი კვამლი რომელიღაც დიდი ძველი გემის ხანძარი გამოდგა. გემი ნელა და შემზარავად იწოდა. გემიდან ყოველი მიმართულებით მისრიალებდნენ ხალხით სავსე ნაგები. ისინი მიეშურებოდნენ პატარა მკვირცხლ ნაღმოსნისაკენ, რომელიც მახლობლად აღმოჩნდა.

ნორვეგიელს გემი ისე მიჰყავდა, რომ საწინააღმდეგო ევოლუციებს არ აკეთებდა. მის მარცხნივ, ორი საზღვაო მილის მანძილზე, ააპონელთა ოთხი გემი მისცურავდა. ზღვა სრულიად დაწყნარებული იყო, დილა მზიანი, ააპონელთა თვითმფრინავები მშვიდად ათვალიერებდნენ სივრცეს, ხოლო ნავსაწინააღმდეგო თავდაცვის კატარლებს ანძებზე დამამშვიდებელი სიგნალები გამოეკიდათ. უეცრად მოისმა აფეთქების ხმა კოლონის კუდში მომავალ მეოთხე გემის ქვეშიდან, შემდეგ მესამე გემის ქვეშიდან, იმავე წუთს—მეორე გემის ქვეშიდან და, ბოლოს, წინ მიმავალ ტრანსპორტის ქვეშიდან. ნაღმოსნებმა ქვემეხები და ტყვიამფრქვევები ააგრიალეს, დატრიალდნენ კოლონების გარშემო და ნაგები ჩაუშვეს წყალში ხალხის გადასარჩენად. ზღვაში აღმოჩნდა ათას ხუთასამდე კაცი. ყველას გადაარჩინა შეუძლებელი იყო.

ნორვეგიელმა სისწრაფეს მოუმატა, რათა „ბინძურ საქმეში არ გარეულყო“, მით უმეტეს, რომ გემს სასმელი წყლის მცირე მარაგი ჰქონდა და არ გააჩნდა თავდასუფალი ადგილი დაქრილებთანთვის.

რუსებმა ტაქტიკა ნორვეგიელისათვის სრულიად გაუგებარი რჩებოდა. თუმცა ისე გახარებული იყო უბედურების თავიდან აცილებით, რომ მაგრე რიგად არ ჩაჰკვირვებია გემების ჩაძირვის ბოლშევიკურ ტექნიკას.

კორეის ყურეში ააპონელმა ნაღმოსნებმა წინადადება მისცეს

„ტრომსეს“ ნავთსადგურში შესულიყო, ამასთან დაჭრილებით დატვირთეს იგი. ნორვეგიელმა წითელი ჯვრის დროშა ააფრიალა და ფუზუნისაყენ გასწია. იქ უკვე რაღაც სრულიად გაუგებარი ამბავი ხდებოდა. ზღვაში ხანძრები გიზგიზებდნენ, როგორც ტრამალებში, როდესაც გამხმარი ბალახი იწვის. ალი მოსდებოდა ზღვაში დაქცეულ ნავთს, იწოდა გემების კორპუსები, უამრავი ნავი გაქედილი იყო სველი და გასისხლიანებული სხეულებით.

რამდენიმე უცხოურ გემი ანძებზე გამოკიდებული წითელი ჯვრის დროშებით წყალში ჩაცვივრულებს შველიდნენ.

„ტრომსე“ უკვე ფუზანს უახლოვდებოდა, როდესაც მის წინაშე ერთი წუთით გადაიშალა სასტიკი ბრძოლის სურათი.

პარიზონტზე აღმოაჩინეს წითლების პერისკოპები, და იაპონიის ავიაცია, ნაღმოსნები, დიდ სიღრმეზე ფეთქადი ყუმბარების კატარღები იქითკენ გაეშურნენ. პერისკოპები სრულიად მშვიდად ჩამწყკრივებულებიყვნენ და არც ერთი მათგანი არ ჩამალულა წყალში პიდრო-ყუმბარმტყორცნების დანახვანზე დაიწყო ზემოდან ყუმბარების დაშენა. დიდ სიღრმეზე ფეთქადი ყუმბარების გრილი ერთოდა ქვემეხების ყუმბარებას გრგვინვას, და ყოვლად შეუძლებელი იყო ბრძოლის მსვლელობის გამორკვევა, ვიდრე იაპონელთა ორი ნაღმოსანი პერისკოპებს არ დაეტაკა და არ აფეთქდა. მაშინვე მოსცეს სიგნალი შეეწყვიტათ იერიში, რადგან პერისკოპები ცრუ გამოდგა. მოწინააღმდეგეს ზღვაში ჩაეშვა ორმოცდაათი ღრმა ნაღმი ცრუ პერისკოპებით და სანამ იაპონელები ამ პერისკოპებს ებრძოდნენ, მან ზაზღვაო ავიაციის ძალებით იერიში მიიტანა ტრანსპორტებზე.

ეტყობოდა, რუსებს მიზნად დაესახათ არ გაეშვათ ფუზანში არც ერთი გემი და აკეთებდნენ ყველაფერს, რაც კი შეეძლოთ, იაპონელთა სრული განადგურებისათვის.

იმ დროს, როდესაც იაპონელებს ცრუ პერისკოპებზე მიჰქონდათ იერიში, ათმა წითელმა ქვენავმა ისარგებლა იაპონელთა ავიოძალების გაცდენით, ერთი წუთით ზღვის ზედაპირზე ამოვიდა და თითო „წიალა“ გადმოტვირთა. „წიალებმა“ მიზანში ამოიღეს საბადრაგო გემები, ხოლო ნავები წყალში ჩაეშენენ და ნაღმები დაუშინეს სატრანსპორტო გემებს.

ფუზანიდან და ცუსიშის კუნძულიდან იაპონელთა ძალები მოდიოდნენ. ნორვეგიელმა ისარგებლა ახალი აურ-ზაურით, გადასქრა საბადრაგო გემების მწყობრის წრე და გადასწყვიტა სამხრეთისაკენ წასვლა. ნორვეგიელი ფიცულობდა—საკუთარი თვალით დავინახე, რომ წითლების ერთმა ქვენავმა, რომელიც ზღვის ზედაპირზე იყო და, როგორც ეტყობოდა, მონაწილეობას არ იღებდა ბრძოლაში, ერთმობროიანი ავიოგამანადგურებელი გადმოტვირთა, მაგრა? შემდეგ მხედველობიდან დამეკარგა და არ ვიცი, რა დაემართაო.

„ტრომსემ“ უვნებლად ჩაუარა ცუსიშას და მშვიდობიანად შევიდა კორეის უბეში. განზრახული ჰქონდა, დაეცა და დაირენში, მაგრამ უბეში ისეთი პანიკა იყო, რომ შეეშინდა და გადასწყვიტა ინგლისის ორ გემთან ერთად ჩემულპოში წასულიყო. იაპონელებმა გემებზე გუშაგები დააყენეს და აუკრძალეს ზღვაში გასვლა. ნავსადგურში ისეთი 'კეცლტა იყო, როგორც ქუჩის ფარდულში წვიმის დროს. ზღვაზე უშიშრად გრძნობდნენ თავს მხოლოდ ჩინელთა იალქნიანი ნავეები, დარწმუნებულნი, რომ მათ სწორედ იქ არაფერი არ დაემართებოდათ. „ტრომსეს“ მიერ გადარჩენილები ხელებით ანიშნებდნენ ხალხს, დავინახეთ, როგორ დაილუპა ოცდაშვიდი ტრანსპორტიო. ინგლისურად მოლაპარაკე ერთმა იაპონელმა განაცხადა, ამ სამინელების მოწმე ჯარისკაცები უკვე ინვალიდები არიან და არა ჯარისკაცებიო.

ეტყობოდა, იაპონელებს მრავალი ნავსადგურიდან ჰგზავნიდნენ. ისინი ზღვაში ექვს ფალანგად გავიდნენ. ოცდაათი ტრანსპორტი ამორიდან და ომინატოდან საბადრაგო გემების თანხლებით პრიმორიეს ერთ-ერთ უბისაკენ დაიძრა. სამოცი ტრანსპორტი ათი კრეისერისა და სამოცდაათი ნაღმოსნის თანხლებით კორეის ნავსადგურის იუკისკენ გაეშურა. სამოცი სხვა ტრანსპორტი ხალხით გენზანისაკენ გაემართა. იქითკენვე თუ უფრო სამხრეთისაკენ მიდიოდა ოცი თუ ოცდაათი ნავთმზიდი გემი და ექვსი ავიამზიდი. წითელმა წყალქვეშა ფლოტმა, რომელსაც ავიაცია უჭერდა მხარს, ყველა მართულებით გზა გადაუჭრა იაპონიის ესკადრებს.

მაიძურუსთან მომხდარი ბრძოლის მოწმე ინგლისელი მეზღვაურები ადასტურებდნენ ნორვეგიელი კაპიტნის სიტყვებს წითლების გაუგებარი ტაქტიკის შესახებ, ხოლო თვითონ ნორვეგიელი

ლაპარაკის დასასრულს გამოტყდა, რომ ჯერ კიდევ გუშინ ღამით ოგი შეხვდა წითლების ქვენავს ჩემულპოს უბეში, მაგრამ არავის არ გაუმხილა ეს ამბავი, რადგან „ტრომსეს“ ბედისა მეშინოდაო. მან ვითომ ნავეზე მდგომ საბჭოთა ოფიცერს დაუყვირა კიდევ: „სად აპირებთ კიდევ ბრძოლას, თქვე წყეულებო“-ო. ოფიცერმა მხრების აჩეჩით უპასუხა თურმე: „ეს, სერ, სასაზღვრო ბრძოლაა. არ ვიცი, როგორ გაიშლება საქმე“-ო.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ მოვშორდით იმ წყეულ ადგილს,—უთხრა ნელსონმა თავის თანამგზავრებს, როდესაც „ტრომსემ“ ჩემულპო მიატოვა. — ვეზაშობ, რომ რუსები, რომელთაც ძალიან უყვართ ისტორია, მოისურვებენ იქ „ვარიავის“ გამო სამაგიერო გადაუხადონ იაპონიას. ამბობენ, ამ გემის დაღუპვის გამო გამოთქმულ სიმღერას დღემდე მღერის რუსი ხალხიო.

როდესაც დაირენში უნდა ყოფილიყვნენ, აღმოჩნდა, რომ „ტრომსე“ დაგს უახლოვდებოდა. ნავსადგური გაოცებული შეხვდა გემს. ადგილობრივ გაზეთებს კრინტიც არ დაუძრავთ საზღვაო შეტაკებაზე მოწინააღმდეგესთან. ინგლისელებმა პირველად უამბეს მათ, რაც ნამდვილად მოხდა.

ზღვაზე დამთავრებული ბრძოლა ახლა ტაიფუნავეით მძვინვარებდა კორეისა და ჩრდილოეთ ჩინეთის მთელ ნაპირზე და სამხრეთისაკენ მიემართებოდა. დაირენმა, ანტუნგმა, ცინამპომ მყის შესწყვიტეს სავაჭრო გემების მიღება. იაპონიის სანაოსნო საზოგადოებებისა და სამხრეთ მანჯურიის რკინისგზის აქციები დაეცა, დამზღვევმა საზოგადოებებმა შესწყვიტეს ტვირთის დაზღვევა იაპონიისა და ჩინეთის ზღვების არეში და საქონლის ფასი ორმაგად გადიდდა.

— თუ მომხდარ ბრძოლას სასაზღვრო ბრძოლად ჩავთვლით, როგორც უთქვამს რუს მეზღვაურს, რომელსაც „ტრომსეს“ კაპიტანი გამოელაპარაკა...—დაიწყა ლოკსმა, მაგრამ ნელსონმა შეაწყვიტინა:

— ლამაზი ფრაზაა, მეტი არაფერა.

— ხალხს, რომელმაც მოწინააღმდეგის დედაქალაქს ყუმბარები დაუშინა და შიშის ზარი დასცა ორ ზღვას, უფლება აქვს არა მარტო აფორიზმები წარმოსთქვას, არამედ სხვებს მიერ ნათქვამიც მითთვისოს,—უთხრა ლოკსმა.

ნორვეგიელი კაპიტნის მიერ. ნახსენები წყალქვეშა ნავი მართლაც არსებობდა და ფრაზა სასაზღვრო ბრძოლის შესახებ ნამდვილად წარმოსთქვა ნავის შტურმანმა ვალეშმა. ნავი იდგა პოსიეტის უბის ერთ-ერთ პატარა ყურეში, როდესაც გენერალ კუროსაკის არმიის მოწინავე ნაწილებმა მდინარე ტაუმენ-ულა გადალახეს და თავს დაესხნენ საბჭოთა თევზის სარეწაოებს პოსიეტის ირგვლივ.

როდესაც ნავი შორეულ სამხრეთში წასასვლელად ემზადებოდა, მან თბომავალ „პრავედიდან“ (ლენინგრადი—ვლადივოსტოკი, კაპიტანი ზუევი) მოხსნა შტურმანი ვალეში და სამონოსეკს მიაღწია ერთი საათით ადრე ბრძოლის გათავებამდე კორეის უბეში. ტრალერებისა და ნაღმოსნების ქარავნები შიდა ზღვის შესავალთან იდგნენ. მცურავი საავადმყოფოები და მაშველი გემები ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებოდნენ უბიდან. მათ ბუქსირით მიჰყავდათ დაზიანებული გემები ან დაკრილებით გაქედილი კარაპების მატარებლები.

ნავის მეთაურმა გერვასი გოცირიძემ გადასწყვიტა შიდა ზღვაში შესვლა და ამისათვის მიმართა, საბოლოოდ წყალქვეშა ლევის გარდა, ყველა დანარჩენისათვის უცნობ ხერხს — წყალში ჩაეშვა და იაპონიის გემს ქვეშ მოექცა, აირჩია რა იგი თავის გამყოლად და საფარად. ეს სწორედ ის ხერხი იყო, რომელმაც გუშინ სამი საზღვაო შეტაკების ბედი გადასწყვიტა, რადგან საშუალებას იძლევა ჩაძირო მოწინააღმდეგის გემები საბადრაგო რკალის შიგნით.

ვალეში პირველად აყო ქვენავზე და ბავშვივით ნერვიულობდა. როდესაც ილუმინატორები მტრედისფრად აციმციმებდნენ და ყველაფერი ირგვლივ ნაცრისფერ-მწვანედ შეიღება, მან ტუჩი მოიკვნია. ნავის კორპუსს მოსწყდნენ და ზემოთ აქროლდნენ პაერის პატარა ვერცხლის ფერი ბუშტები.

„ჩველაფერი მჭიდროდ კია დახურული?“ — უნებლიედ გაიფიქრა მან, მაგრამ მაშინვე დასძლია ეს მოუსვენებობა, რადგან ამისათვის დრო აღარ იყო. არაფერია ისე დაძაბული, როგორც წყალქვეშა გემზე მუშაობა, თვით ცურვის უაღრესად წყნარ საათებშიც კი. ჰორიზონტისათვის თვალყურის დევნება მეტად მომქანცველია. პერისკოპის საკვრეტიდან მსოფლიო თვალუწვდენელია, ზღვა ბორცვიანი, როგორც ძალზე დასერილი ადგილი, პატარა ტალღები მთის ქედებს აგონებენ კაცს, საფრთხეს მხოლოდ ცხვირწინ ამჩნევ.

მართალია, ქვენავის ელექტრო-ფოტოთვალის, ანძის ზემო ნაწილზე მიმაგრებული, შემხვედრი გემების მოახლოების სიგნალს იძლევა და ძალიან აადვილებს ორიენტირებას, მაგრამ ამჟამად ასეთი სიგნალი ძალიან ბევრია, ისინი ანერვიულებენ მეთაურს და აზმაგებენ ვალეშს. ის ვერც კი ასწრებს საფრთხის მიმართულების აღნიშვნას, და სწრაფად სვამს წერტილებს ქაღალდის პატარა ნაგლეჯზე თავისი ნავის ნახატის ირგვლივ.

გოცირიძეს მოქმედებაში მოჰყავს შეხების სისტემა. ზედა ქიმისა და კორპუსის კიდეებზე მინაშემოვლებულ უჯრედებში მოთავსებულია ფოტოელემენტების მეორე ჯგუფი. როდესაც წყალში ჩაშვებულ ნავს მოხვედრილი სინათლის შუქის ინტენსიობა გარკვეულ მინიმუმამდე დადის, ფოტოელემენტი სიგნალს იძლევა. ამრიგად, ნავს შეუძლია გამოარკვიოს, არის თუ არა მის ზევით, ზღვის ზედაპირზე, გემი და რა ზომისაა იგი.

შემდეგ, სმენის სისტემა. ბგერის დამკერი ხელსაწყოების საშუალებით არკვევენ ბოტორების მუშაობას წყალქვეშ, ხოლო როდესაც ამ ხელსაწყოებს ზევით აისვრიან, ისინი საკმაოდ ზუსტად გადმოსცემენ ორთქლის მანქანების სუნთქვას, ხრახნებისა და პროპელერების მუშაობას, სროლის, მუსიკისა და ლაპარაკის ხმას.

ნავის მეთაურს გოცირიძეს, ალტაცებული ხასიათის ადამიანს, უყვარდა სადღეგრძელოებით ლაპარაკი.

— გაუმარჯოს საბჭოთა მესაქეებს!—ჩუმად წარმოსთქვა მან, როდესაც ნავი შიდა ზღვაში შევიდა და ფსკერზე დაეშვა კურეს ნაპირებთან.

ამ მდგომარეობაში დარჩნენ დაბნელებამდე. „სმენისა“ და „მხედველობის“ აპარატები ანიშნებდნენ მათ გემების გაცხოველებულ მოძრაობას და ნავსადგურის ბუქსირების ფაციფუცს. შუალამისას ხმაურობა მიწყნარდა ანუ, უფრო სწორედ, იგი უფრო და უფრო შორიდან მოისმოდა. მაშინ გადასწყვიტეს ჩაეწვით განსაკუთრებულ, ჰერმეტიკულად დახურულ, ფოლადის გვარლზე დადგმულ ცილინდრში მეთვალყურე და უდიდესი სიფრთხილით აესროლათ იგი ზევით.

— აბა, გაუმარჯოს საბჭოთა შტურმანებს!—უთხრა მეთაურმა ვალეშს.—წადი, შეძვერი ცილინდრში და დახურე სარქველი შიგნიდან. ჩვენ გვარლით წყალში გადაგისვრით. როგორც კი წყლის ზე-

დაპირზე მოექცევი, ჯერ გაიხედე ილუმინატორში, ხომ არავინ არის ირგვლივ, შემდეგ ახადე სარქველი—და გაუმარჯოს ბოშურ თვალებს!—ხომ გაიგე? თუ საფრთხე შეამჩნიო—სამჯერ დააქირე თითი სასიგნალო ფოლაქს, დახურე სარქველი და დაელოდე—უკან წამოგათრევთ. თუ ირგვლივ სიწყნარეა, მაშინ ყოველი წუთის შემდეგ ერთხელ დააქერ თითს სასიგნალო ფოლაქს. ყველაფრისათვის ნახევარ საათს გაძლე. გაუმარჯოს სისწრაფეს!

იაპონიის შიდა ზღვა უდიდესი ნაჟაღდგურია მსოფლიოში. ამ ზღვისათვის არ არსებობს არც დღე, არც ღამე. ეს ზღვა მხოლოდ ნასლიან ამინდშია მოსვენებული. მაგრამ იგი ნისლშიაც გაჰკივის, ღმუის, განათებულია, რადგან ნასლის დროსაც ვერ ჩაკდება ცხოვრება სამი დიდი კუნძულისა, რომელთა ქარხნები, ფაბრიკები, დოკები და საწყობები მოფენილია ნაპირებზე.

ორად მოკრუნხული ვალეში ცილინდრში შეძვრა და სწრაფად დახურა სარქველი. „მოექიდე რიკულებს!“—გაიგონა მან გოცირიძის რჩევა, და დაიწყო ხელის ფათური კედლებზე ამ ხელჩასაჰკიდის მოსაძებნად. მაგრამ მისი ხელები მოულოდნელად დაკავებული აღმოჩნდა: იგი ხელებზე იდგა, ფეხები კი მალლა აეშვირა. ეტყობა, ცილინდრი ზევით ასვლისას გადაყირავდა. შემდეგ ვალეში რაღაცამ მძაფრად შეარხია და ნელ-ნელა ზევით წავიდა. თვალში ეცა ილუმინატორის შუქი. მაგრამ ვერაფრით ვერ გაიგო, სად იყო—ზედაპირზე თუ ისევ წყალში. ასე გავიდა ხუთიოდე წუთი. ვალეშმა ხელის ფათურით მოსძებნა სასიგნალო ფოლაქი და ერთხელ დარეკა. შემდეგ შეეცადა ცილინდრის ახდაჟა. მაშინვე ხელები დაუსველდა. ცივმა ოფლმა დაასხა. სწრაფად დაამაგრა გუმბათი. მოიცადა სამიოდე წუთს, ერთხელ კიდევ მისცა სიწყნარის სიგნალი და გადასწყვიტა, რომ ახლა სარქველს უშიშრად ახდიდა. წყალი კვლავ მოეწონავდა ცილინდრში, მაგრამ ვალეშმა სწრაფად ახადა სარქველი და წელში გასწორდა. ცილინდრი დიდხანია ზედაპირზე იყო, გროლი ტალღა აქეთ-აქით აქანავებდა, წყალი თავისუფლად გადადიოდა ზედ. ვალეში მუხლებით მიყურდნო კედლებს, ასწია ღურბინი და ღამას სიბნელეში თვალი მიმოავლო კურეს ნაპირებს. შორეული ნაოსნობის შტურმანის თვალი არა თუ ხედავს, სკვრეტს კიდევ. ვალეში არკვევს სილუეტებისა და ვეებერთელა ლანდების რაობას.

გემების ანძებისა და ბაქანზე ელვარე წერტილებას მნიშვნელობას.

დღეს ზღვა არაჩვეულებრივად გაცხოველებული იყო გუშინდელი ბრძოლის შემდეგ ცუსიმასთან. იგი გუგუნიბდა, ღრიალებდა, განათებული იყო. ყოველი მხრიდან მოისმოდა ზრიალი უროების დარტყმისა გემების ფოლადის გარსამოსზე, ამწების ქრიალი, ქვანახშირის მტვირთავთა სიმღერა. უეცრად მახლობლად გაისმა საგანგაშო სიგნალი—საყვიარების შემზარავი კივილი ელვასავით მიმოქროდა, ნავეადგური და ზღვა წყვდიადში ინთქებოდა. ჯერ კიდევ რახრახებდა ჯალამბარი, ჯერ კიდევ არ მოეთავებინა მტვირთავს თავისი სევედიანი სიმღერა, მაგრამ სიწყნარე აღუნებდა მოქმედების ამ უკანასკნელ ხმებსაც. ყველაფერი ყუჩდებოდა. მხოლოდ ცის სივრცეში, ვარსკვლავებ ქვეშ გუგუნიბდა მზვერავი თვითმფრინავი.

ერთი-ორი წუთის შემდეგ საყვიარის ტურისებური ყმული კვლავ აღვიძებდა ღამეს. და კვლავ იწყებოდა მტვირთავთა სიმღერა, კვლავ ზრიალებდნენ უროები გემების ფოლადზე.

როდესაც ვალეშმა სიბნელეს თვალი მოაჩვია, იგი ჰანაპირო ხაზს დააკვირდა, დაინახა ორი უზარმაზარი გემის სილუეტი მარჯვნივ და ნავთის რეზერვუარების ლითონის მოთეთრო თავები მათ უკან. შემდეგ დახურა სარკველი და ნელა დარეკა სამჯერ იმის ნიშნად, რომ საფრთხე არ არსებობდა. ცილინდრი შეიჩხა, შესწყურტა ქანაობა და ძირს დაეშვა.

— გაუმარჯოს შტურმანებს!—მოესმა ვალეშს ცილინდრის სარკველიდან მეთაურის მხიარული ხმა, და გარეთ გამოცოცდა.

ნავი დაუყოვნებლივ ატივტავდა ზედაპირზე.

— აქ დიდი სპეკულიაციაა საჭირო, — ჩაფიქრებით წარმოსთქვა გოცირიძემ, როდესაც ვითარება შეიცნო. — გინდა ყველაფერა ჩაძირო, მაგრამ რით, კაცო? ასეთი ზღვისათვის ათი ნავაც ცოტაა. აქ დიდი სპეკულიაციაა საჭირო — ერთხელ კიდევ გაიშეორა მან და თავი გააქნია.

მაგრამ დაყოვნება არ შეიძლებოდა.

— ქვემეხი!

გოცირიძემ გადასწყვიტა მიემართა უკიდურეს ზომებისათვის: დაეშინა არტილერიის ცეცხლი ნავთის რეზერვუარებისათვის,

წყლის ზედაპარზე ნაღმით იერიში მიეტანა ნავსადგურში მყოფ გემზე, დაეშინა ყუმბარები მეორე გემისთვის კედელთან და ნაღმით აფეთქებინა მესამე გემა, რომლის ჩრდილიც მარცხნავე მოსჩანდა, შემდეგ ჩაეყვინათ სიღრმეში, მოედებნა გამყოლი, მოქცეულიყო მის ქვეშ და წასულაყო კორეის უბისკენ.

მეორე გასროლით ცეცხლი წაეკიდა რეზერვუარს. შუქმა აელვა და დაღუბა ოპერაცია. ნაპირი მყისვე წყველიაღმა მოიცვა, პროექტორების ლურჯ-ოქროსფერმა სხივებმა უხმოდ გადაიარეს ცის კიდეზე. გემზე დაფაცურდნენ.

— ცეცხლა წინიდან!

ნაღმი გემის ქვეშ გასკდა და გვერდზე გადაზნიქა მსუბუქი ნავმისადგომი. გაისმა საგანგაშო საყვირის ხმა. ნავი შეუჩერებლივ მასრიალებდა დიდი დაბალი ჩრდილისაკენ,—ეს იყო ორთვალა ეტლებით დატვირთული საზღვაო კარკაპების ქარაევანი. ნავმა შემოუარა მას და გავიდა ზღვის განათებულ წრეში. ზღვა უკვე გაღვიძებულ იყო განგაშისაგან, მაგრამ არა დამფრთხალი, არამედ მხიარული და საქმიანი.

— ტყვიამფრქვევები! გაუმარჯოს პანიკას!—დაიყვირა გოცირიძემ.

ტყვიამფრქვევები თანდათან აქრობდნენ ცეცხლს, აყუჩებდნენ ხმაურობას, აჩერებდნენ მოძრაობას. ნავი სიბნელეში შედარდა და ჰქრებოდა შუა უბეში ერთად მთვლემარე ორანძა ნავების, სამპანების და პატარა კარაპების ჩრდილში.

— შენელებული მოქმედების ყუმბარება!

პატარა ყუმბარამსროლით ყრუ კენკსით, მაგრამ მხნედ უშენდა თავის მზაკვრულ ყუმბარებს კარკაპების, ნავთისა და ქვანახშირის გემების უკაცურ ბაქნებს.

ჩაბნელებულმა ნაპირმა თანდათან აწყო გამოცოცხლება. პროექტორები სხივებს სხივებზე ისროდნენ, და უკვე მთელი უბე ლურჯად იყო გაბრწყინებული. გარბოდნენ მოტორიანი ნავები, ძალქნიანი გემები აფრიალებდნენ თავიანთ მთვლემარე ააღქნებს, ყვიროდა ხალხი, გრიგალივით მაჰქროდნენ და წყლის კორიანტელს აყენებდნენ ნაღმოსანი კატარღები, რომელთაც მალა აეწიათ თავიანთი ბასრი, ზღვას ტალღებზე მთრთოლვარე ცხვირები.

მაშინ ნავი წყალში ჩაეშვა და ელექტრომოტორების ოდნავი ამუშავებით სიმონოსეკის უბისკენ გაემართა. იქ დაუცადა იაპონიის სამხედრო გემს და როდესაც ეს უკანასკნელი დაიძრა, ფრთხილად მოექცა ქვეშ და ცუსიმაძღე მივიდა, სადაც პერისკოპას სიპაღღემდე აიწია მდგომარეობის გამოსარკვევად.

გემი, რომლის ქვეშაც მან დანადგული ადგილები განვლო, სანაპირო თავდაცვის ძველი კრეისერი იყო. ნავის მეთაურმა გადასწყვეტა მისი ჩაძირვა. ზღვა არ იძვროდა, მთვარე მიმქრალიყო, ცა უკვე გრძნობდა მზის მოახლოებას, წყალი სარკესავით ბრწყინავდა და ჰორიზონტიც მოწმენდილი იყო.

— რაც იყოს იყოს!—სთქვა გოცირიძემ, ჩამოუშვა პერისკოპი და განკარგულება გასცა გაესროლათ ნაღმები ორი წინა აპარატიდან.

ორმოცი წამის შემდეგ მოისმა აფეთქების ყრუ ხმა.

— ვნახოთ, რა მოხდა იქ,—წარმოსთქვა გოცირიძემ, ასწია პერისკოპი და ანიშნა ვალეშს გაეხედა.—სთქვი, რასაც ხედავ!

იაპონელთა კრეისერი, ოდნავ გადახრილი, მაგრა იდგა. იგი ბრძოლისათვის ემზადებოდა.

ვალეშმა პირი დააღო, მაგრამ გოცირიძემ გვერდზე მიაგდო, ერთი წამით თვალი მიაღო პერისკოპს და დაიყვირა:

— სიღრმეში! მთელას ძალით!.. ყრუ ხომ არა ხარ?—დაუყვირა მან ვალეშს.—თვალეებს რომ ახელ, ყურებში ბამბას ხომ არ იდებ?! ვალეში მთლად დაბნეული იდგა. სიღრმის საზომი ძალზე ნელა უჩვენებდა დაშვებას.

— არ გესმის, რომ ნავსაწინააღმდეგო კატარღა მოდის?

— ოცი!—მოისმა ბოცმანის მშვიდი ხმა.—გავიმარჯვებთ!

უეცრად რაღაც ბლაგვის მსგავსმა გადაუარა კორპუსის ფოლადის გარსამოსს, ფოლადი აწკრაილადა, ნავი მძაფრად დასწია ძირს გოცირიძე ვალეშს დაეცა თავზე. წამოიყვირა:

— გაუმარჯოს სიწყნარეს!—თუმცა ნავში არავითარი ხმაური არ იყო.—სიღრმე! მთელის ძალით!

გაისმა მეორე აფეთქების ხმა, მაგრამ უფრო სუსტი, შემდეგ მესამე, საღრაც გვერდით. ზემოდან გაიგონეს ხრახნის ხმაური. მან ისე დააყრუა ყველა, რომ ვალეშს ლუზის ბაგირების ჩხარუნად მო-

ერვენა, მას ეგონა, კრეისერმა თავისი ღუზა ნავის ზემო ბაქანზე ჩამოუშვა.

მაგრამ ეს დიდ ლილრმეზე ფეთქადი ყუმბარები იყო.

ერთი საათის შემდეგ გოცირიძემ განკარგულება გასცა პერისკოპის სამალღეზე ასულიყვნენ. გემების ჯგუფი სწრაფად მიისწრაფოდა კორეის უბისაკენ. როგორც ეტყობოდა, ისინი პორტ-არტურისა თუ დაირენისაკენ მიეჩქარებოდნენ.

ნაგმა ჩასძირა კუდში მიმავალი გემი, ქვეშ მოექცა მეორე გემს, ჩასძირა ისიც, ჩაეშვა წყალში და თავი ამოჰყო ჩემკლბოსთან, სადაც გემ „ტრომსეს“ შეხვდა.

გემის კაპიტანმა, მალალმა, გამხდარმა ნორვეგიელმა, რომელსაც მოკლე და ვიწრო შარვალი ეცვა, დაუყვირა მათ— აგრე ომი არ შეიძლება, ერთი ადგილი უნდა ამოირჩიოთ, ყველგან სომ არ უნდა იბრძოლოთ, თუ მაგრე მოიქეცით, ნაოსნობა შეუძლებელი იქნებაო.

— ისეთი პასუხი გაეცი, რომ გული საბუდედან ამოუფარდეს, — უბრძანა გოცირიძემ, და ვალეშმა მშვიდად უთხრა ნორვეგიელს, — სასაზღვრო ბრძოლა გრძელდება და არავინ არ იცის, სად გაჩაღდება ომიო.

— სწორია! — მოუწონა გოცირიძემ.

დაჩუმდა და შემდეგ დაუმატა:

— ომი მძიმე იქნება. კარგი იქნებოდა, იაპონიის არმიამ მარტო ჩინეთის პირისპირ დაგვეტოვებინა. დეე გულითადად მოილაპარაკონ. ხომ, კაცო?

იქიდან გოცირიძე შინისკენ გაბრუნდა. იგი იაპონიის დასავლეთ ნაპირებს მისდევდა.

მაიძურუს ტრავერზე რადისტმა ყური მოჰკრა გაცხოველებულ ლაპარაკს იაპონიის გემებს შორის, მაგრამ სიტყვები ვერ გაარჩია. უფრო ფრთხილად გაემართნენ და მალე ჰორიზონტზე შენიშნეს ორი ტრანსპორტი ხუთი ნაღმოსნით. კოლონა ნელა მიდიოდა, იგი არ აკეთებდა ნავსაწინააღმდეგო ევოლუციებს. გემები ერთმანეთს ელაპარაკობდნენ რადიოთი და ბაირადებით. მოწინავე ნაღმოსანმა მალე პირი იბრუნა და სწრაფად გაეშურა მაიძურუსაკენ. მას მეორეც დაედევნა. დანარჩენებმა გაბრუნებულთ ყუმბარები დაუშინეს. პირველმა ნაღმოსანმა პასუხი არ გასცა, მეორე კი სწრაფად მიუახლოვ-

და ტრანსპორტებს, ერთხანს გვერდით მისდევდა მათ და ენერგიულად უპასუხებდა სროლით, შემდეგ იგი სწრაფად და ჩუმად ჩაეშვა წყალში. ეტყობა, ეკიპაჟმა თვათონვე ჩასძირა თავისი გემი.

გოცირიძე მაიძურუსაკენ გაემართა, იგი პირველ ნაღმოსანს დაედევნა. ნაღმოსანი მიჰქროდა და განუწყვეტლივ რალაცას გადასცემდა რადიოთი. მან რამდენჯერმე შეიცვალა გეზი, და როდესაც გზაჯვარედინზე ნაღმოსანი და ნავი ერთმანეთს დაუახლოვდნენ, იაპონიის გემმა ანძაზე წითელი დროშა ააფრიალა. ნავი ზედაპირზე ამოვიდა და ერთხანს ნაღმოსანს აცილებდა, ხოლო როდესაც მან კვამლის საბურველი აუშვა, წყალში ჩაეშვა და ისე გაჰყვა.

იაპონიის ხალხი ომში ეგვება

ბნელოდა, როდესაც ევგენია გონს მოვიდა. მას ახრჩობდა საკუთარი სისხლის გულისამრევი სუნი, ბენზინის ანაორთქლში არეული.

იგი ძლივს წამოდგა. ვერ გაეგო, სად იყო. ფეხები მიწაზე ედგა, ხელი რალაც შენობის კედელს მიაყრდნო, მის მხრებზე პარაშუტის დაფლეთილი აბრეშუმი ფრიალებდა.

„იქნებ სჯობდეს კვლავ დავწვი,—გაიფიქრა. — ეპ, არა, სულერთია, უკეთესია ავდგე“.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და წაიქცა, შემდეგ კვლავ წამოდგა, რათა თავის თვითმფრინავთან დაბრუნებულიყო, რომლის ნამსხვრევებს ქვეშაც ორი გვამი ეგდო.

„დავწვები და მოვკვდები, დავწვები და მოვკვდები“,—დაუინებით იმეორებდა, თან ფიქრობდა დაეთვალისწინებინა გვამები, გაეგო, ცოცხლები არიან თუ არა, მაგრამ მაშინვე იფიწყებდა ამას. გული ერეოდა, მთელი სხეული მოღუნებული ჰქონდა, სიკვდილის შოახლოებას გრძნობდა და უნდოდა თავდავიწყებას მისცემოდა.

იგი დაეცა.

ჰაერში კი ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. საზენიტო ბატარეები განუწყვეტლივ გრიალებდნენ, ქუჩებში კავალერია დაჰქროდა, სუხლები ჩაბნელებული იყო. აქა-იქ ხანძარი ელავდა.

გათენებისას ევგენია ადგილობრივმა ამხანაგებმა ნახეს და რკინისგზის მუშის სახლში მიიყვანეს. როდესაც გახადეს, განცვიფ-

რებულნი დარჩნენ. დაუყოვნებლივ აცნობეს ეს ამბავი ოსუდას, რომელიც გვარგამოცვლილი ამ პატარა ქალაქში ცხოვრობდა და ნათესავის სახლში იწვა. იგი ფუშუნში მომხდარი ჩინელთა ამბოხების დროს დაშავებულ მემანქანედ ირიცხებოდა და პატარა პენსიასაც კი იღებდა.

— ძალიან კარგია, რომ ქალია, — სთქვა ოსუდამ. — ეს უფრო გაგვიადვილებს საქმეს.

განკარგულება გასცა, გადაეცვათ მისთვის კიმონო, მოერთოთ იაპონურად და ფერუმარული წაესვათ. იგი ყველაფრით იაპონელ ქალს უნდა დამსგავსებოდა. ევგენიას საშიში ქრილობა არა ჰქონდა, მაგრამ ძალზე დასუსტებული იყო, არ შეეძლო არც ლაპარაკი, არც იმის მოსმენა, რასაც ეუბნებოდნენ.

ევგენიას მოვლა ქალებმა იკისრეს: ცხელ წყალში სდებდნენ, უხეში პირსახოცით სხეულს უზღვდნენ და წამლებს ასმევდნენ. როდესაც ტუჩები ააცმატუნა, მკერდი მაგრა გაუქაჩეს, რათა შეემცირობინათ მოკულობა და უფრო მეტი სიბრტყე მიეცათ. შემდეგ კვლავ კიმონო ჩააცვეს და თმა იაპონურად გაუკეთეს.

ამნაირად წარუდგინეს იგი მეორედ ოსუდას. მან მოიწონა ევგენიას გარეგნობა.

— სადა ვარ? — იკითხა მან. — ვინ არიან ჩემს ირგვლივ?

— თქვენ ქალაქ მანბასში ხართ, იაპონიაში, — მიუგო ოსუდამ. — რკინისგზელის ოჯახში. არავენ არ იცის, რომ რუსი ხართ. ეცადეთ, ჩვენს ქალებს დაემსგავსოთ და მომენდეთ მე. მე ცენტრალური კომიტეტის წევრი ვარ.

ოსუდამ უამბო იაპონიაში მომხდარი ამბები.

ტოკიოს მოსახლეობა არ მოელოდა საჰაერო თავდასხმას. მთავრობის პრესამ დაარწმუნა იგი თავდასხმის შეუძლებლობაში. ქალაქი სავსე იყო პროვინციებიდან ჩასულებით და ჯარით. როდესაც პირველმა ყუმბარებმა ბანკები და სავაჭრო შენობები ააფეთქეს, საშინელი ქაოსი დატრიალდა. ელექტროსადგურების მუშაობა შესწყდა, ტრამვაი გაჩერდა, საწარმოებში სინათლე ჩაქრა. ჰაერსაწინალო დაცვის ბატარეებმა მალალი სახლების სახურავებიდან სროლა ასტეხეს, მაგრამ ამან უფრო დააფრთხო მცხოვრებნი: გაუგებარი ვახდა — სად იყვნენ თავისიანები და სად უცხოელნი. აუშ-

ვეს კვამლის საბურველი, მაგრამ იგი ხანძრის კვამლად მიიღეს, და ყველა ქალაქის გარეუბნებსა და სადგურებს მიაწყდა, გზაზე ერთმანეთს სთელავდნენ. იაპონელთა მსუბუქი სახლები, ხისა და ქალღლის შენობები დიდ რყევას ვერ იტანენ. ცეცხლი მთელ უბნებს ანადგურებდა, იქაც კი, სადაც ყუმბარები ვერ სწვდებოდნენ. დაინგრა მიწისძვრის შემდეგ ახლად აგებული შეიდი თუ რვა ხიდი, და ქალაქი ორად გაიყო. გინზას ქუჩას, ქალაქის ყველაზე მდიდარ ქუჩას, ცეცხლი ერთბაშად ორივე მხრიდან მოედო, ხოლო აფეთქებული არსენალი მთელ ქალაქს აზანზარებდა.

შეჩერდა ქალაქის წყალსადენი. შესწყდა ტელეგრაფი და ტელეფონი. მათ ისლა მოასწრეს, ეცნობებინათ ქვეყნისათვის, რომ ტოკიო აღარ არსებობსო. |

ყუმბარმტყორცნთა უკანასკნელი ტალღა ჯერ კიდევ ერთბაში სროლისათვის ემზადებოდა, როდესაც ტოკიოს ირგვლივ მდებარე რკინისგზის პატარა სადგურების თავზარდაცემულმა ტელეგრაფისტებმა თავიანთ მეგობრებს კატასტროფის ამბები აცნობეს. სადგურების, ქარხნების, დაბების მოსახლეობა დედა-ქალაქის ირგვლივ გზა-კვალ აბნეული გარბოდა. პანიკა სწრაფად ვრცელდებოდა, და როდესაც დილის ათ საათზე ტოკიოს გავარგარებულ ქუჩებში სახანძრო და სასანიტარო რაზმები გამოჩნდნენ, პანიკამ უკვე კუნძულის ცენტრში მდებარე ქალაქებს მიაღწია და თვალის დახამხამებაზე გამოჰყავდა ისინი მწყობრიდან.

— ტოკიო აღარ არსებობს, — სთქვა ოსუდამ. — მის ნაცვლად კანტოს ველზე ლტოლვილთა ორი თუ სამი ბანაკი გაჩნდა. ადამიანთა ტალღა მთელ ქვეყანას მოედო. ხალხი მილიონობით აწყდება მატარებლებს და საბოლოოდ სწყვეტს რკინისგზელების მუშაობას. თუ ტოკიოს მილიონს მიემატა ოსაკიდან ლტოლვილი მეორე მილიონი, მაშინ ომს ერთი თვის განმავლობაში მოვათავებთ. ქარხნები და ფაბრიკები შეჩერდება, ქალაქების მომარაგება შესწყდება, ჯარის ნაწილების გადაყვანა ჩაიშლება. გაიხსენეთ ათას ცხრაას თოთხმეტი წლის აგვისტო, როდესაც რუსები თავს დაესხნენ აღმოსავლეთ პრუსიას, — განაგრძობდა ოსუდა. — რვაასი ათასი გერმანელი ლტოლვილი გაეშურა ქვეყნის შუაგულისაკენ. ოთხასი ათასმა კაცმა ეტლებითა და პირუტყვით გაქედა აღმოსავლეთ პრუ-

სიის გზები, მეორე ოთხასი ათასმა კაცმა გაავსო სადგურები ბერლინამდე. რუსებს რომ განეეითარებინათ შეტევა, თვითონ გერმანელები აღგვიდნენ საკუთარი სახელმწიფოს ორგანიზაციას.

ოსულამ უამბო ევგენიას, რომ, როგორც ამბობენ, ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე იაპონიის უდიდესი სამრეწველო ცენტრის ოსაკის სამხედრო საწარმოებს. ამბობენ, ნანგრევებზე იპოვნეს ფურცლები გაფრთხილებით: თავდასხმა განმეორდებაო. ამიტომ მოსასწეობას ურჩევდნენ არ შეჯგუფებულყო საქარხნო და საფაბრიკო შენობებში, ნავსადგურებში და თავდაცვითი მნიშვნელობის პაკაუზებში.

ოსულამ ლოგინზე მოასვენა ევგენია. გადასწყვიტეს, ეთქვათ ყველასათვის, რომ ევგენია თავდასხმის დროს დაშავებული დედაქალაქის მცხოვრებია. ევგენიას და ოსუდას ოთახებს ჰყოფდა თხელი, მრავალ ადგილას დაჩვრეტილი ქალაქის ტიხრი და ევგენია ყველაფერს ხედავდა, რაც ოსუდას ოთახში ხდებოდა. დროდადრო ოსუდა ხმამალა რუსულად აგებინებდა ევგენიას უფრო მნიშვნელოვან ამბებს.

— ჩვენებიდან ბევრი დაიღუპა?—ჰკითხა ევგენიამ.

— ბევრი. დიდად დავზიანდით.

ოსუდას ოთახში მალ-მალ შერბოდნენ სახალხო ფრონტის რაზმელები. მოიტანეს ოსუდას ძმის დაღუპვის ამბავი. ტოკიოზე თავდასხმის შემდეგ იგი პარტიამ გაგზავნა ლოზუნგების წასაწერად კედლებზე. ის სწერდა: „გაუმარჯოს წითელ არმიას!“ „საბჭოებს მშვიდობიანობა მოაქვთ“. დახვრიტეს მაშინ, როდესაც სწერდა: „იაპონიის მშრომელებო...“

მეგობრებმა მისი გვამი შინ მიიტანეს და გაიგეს, რომ განსვენებულის ცოლი და სამი ბავშვი ყუმბარების დაშენის დროს დაიხოცნენ.

ნაგატო საკურაიმ, ჯავშნიანი მატარებლის მემანქანემ, ხრამში გადაუშვა თავისი მატარებელი. ის ახლა სახალხო ფრონტის რაზმს მეთაურობს ტოკიოს მეოთხე სექტორში. ყველგან მიტინგები იმართება. მომარაგების რაზმებს სურსათ-სანოვაგე ქალაქ გარეთ გააქვთ წინასწარ შერჩეულ ადგილებში. კავშირგაბმულობის რაზმები აგროვებენ მიტოვებულ მანქანებს და ურიგებენ მათ საქარხნო რაზ-

მებს და რაიონულ ბიუროებს. ტოკიო უკვე ოთხი საათია, რაც სახალხო პარტიების, მშვიდობიანობის პარტიების ხელშია, თუმცა ძველი რეჟიმის მომხრეებს სადგურების, აეროპორტებისა და ტელეგრაფის ნანგრევები უჭირავთ. მათი უმრავლესობა იოკოგამაში გაიქცა. იოკოგამა ომის პარტიების ერთგული დარჩა. მაებასში, ოსუდას ქალაქში, სახალხო ფრონტის რადიოსადგური ქალაქების გამოძახებას აწარმოებდა. ამ გზით აიჩრჩიეს მშვიდობიანობის პარტიების მთავარი სამხედრო საბჭო. ამ პარტიების ცენტრალური კომიტეტები მაებასში იყრიდნენ თავს. მაებასი რევოლუციის ცენტრად ხდებოდა.

ქარხნების წარმომადგენლები იარაღს მოითხოვდნენ, ჯარისკაცთა კრებების წარმომადგენლები—ინსტრუქციებს, სოფლების წარმომადგენლები—მიწის უფლებას. უკვე ოთხი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც რევოლუცია ადამიანთა გულსა და სულს დაეუფლა. ისე ეგონათ, რომ ყველაფერი დღესვე უნდა დაეწყოთ და დაემთავრებინათ. ჭალარა იაპონელი იატაკზე იჯდა ოსუდას გვერდით და სწერდა მოწოდებას ჯარისკაცებისადმი. იგი მოითხოვდა მშვიდობიანობის იდეების მიმართ მტრულად განწყობილი ოფიცრების დაპატიმრებას და იმას, რომ ისინი საესკებით დამორჩილებოდნენ სახალხო ფრონტის შტაბს.

უეცრად ხმა გავარდა: იოკოგამაში ფლოტი ნავსადგურის მუშებს თავს დაესხაო. მაგრამ ის, რაც ტოკიოში და მის გარშემო ხდებოდა, ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა გაჩაღებულ რევოლუციას.

ჭალარა იაპონელი, რომელიც მოწოდებას სწერდა, სახალხო ფრონტის სახელით იოკოგამაში გაგზავნეს სარდლად. მის ნაცვლად არმიისადმი მიმართულ წერილის დამთავრებას შეუდგა ვილაც გამხდარი, მუდამ მტირალი ქალიშვილი.

რადგან ოსუდა იწვა, ესე იგი მუდამ ერთ ადგილას იყო, ის უნებლიედ შტაბის უფროსად გადაიქცა. მან დაუძახა ოთხ სხვა დაქრილ ამხანაგებს და მათ ჩააბარა თავისი საგანგებო მთავარსამმართველოს განყოფილებანი. ერთი სწერდა სახალხო ფრონტის ჰხარეზე გადასულ სამხედრო ნაწილების სახელებს, მეორე აწარმოებდა საბრძოლო მარაგის აღნუსხვას, მესამე რეგისტრაციაში ატარებდა სურსათის ბაზებს, ხოლო მეოთხე ბრძანებებს უწერდა.

გაათრებულ და აღელვებულ ადამიანებს, რომელნიც წამდაუწყებ შერბოდნენ მასთან და წინადადებას აძლევდნენ, დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ ფაშისტების წინააღმდეგ მოქმედებას, რათა...

იგი ბოლომდე აღარ უსმენდა და უწერდა მრისხანე რწმუნებებს სახალხო ფრონტის სახელით. დაიძახეს—შტაბის უფროსს რუკა არა აქვსო. მაშინვე მოიბრინა ადგილობრივი სკოლის მოწაფემ და მოიტანა ჩინეთის რუკა. ეს რუკა იმ დღის ფაქტიურად საჭირო აღარ იყო, მაგრამ მის მარცხენა მხარეზე შეიძლებოდა რაიმეს დაწერა. დგებოდა ათი მარტი.

—აცნობეთ ქალებს, რომ ომი დაიწყო რვა მარტის წინა დღეს,—კენესით წარმოსთქვა ევგენიამ.

—აი ქალადღი, აი კალამი, დასწერეთ,—მიუგო ოსუდამ, მოახია ბავშვის მიერ მოტანილ რუკას გუანსიის პროვინციის ნაწილი და მიაწოდა ევგენიას.

ევგენია ატირდა და უარი განაცხადა. რცხვენოდა გამოტეხილიყო, რომ ახლა ვერ შესძლებს გამოსთქვას ის უდიდესი გრძობა შეშფოთებისა იაპონიის საქმის გამო, რითაც იგი გამსჭვალული იყო, და რომ სიტყვები არა ჰყოფნის გამონახატოს თავისი დედობრივი სიყვარული იაპონიის მიმართ. იგი ბავშვი იყო, დიადი რევოლუციის მიერ შობილი, და ამჟამად იწვა როგორც ახლად მოლოგინებული დედა, როგორც ქალი, ახალი რევოლუციის—ბავშვის მშობელი,—ბავშვისა, რომელსაც ჯერ არ იცის, როგორ უნდა მოეპყრას.

—მე მგონია, არაფერი არ ვიცი,—სთქვა მან დარცხვენით.

—სისულელეს თავი ანებეთ,—მოესმა ტიხრის მეორე მხრიდან, და მტირალი შეუდგა წერას.

ათ მარტს დილით სახალხო ფრონტის აღმასრულებელი საბჭო სხდომაზე შეიკრიბა. დაამტკიცეს უმაღლესი სამხედრო საბჭო. არმიის სარდლად აირჩიეს ნაგატო საკურაი, ჯავშნიანი მატარებლის მემანქანე, რომელმაც ტოკიოს ხერელებიდან ფაშისტები გააძევა.

ოსუდა შტაბის უფროსად აირჩიეს გამოკეთებამდე; შემდეგ კი—სამხედრო საბჭოს რწმუნებულად მანჯურიისში. მან განაცხადა, ოთხი საათის ძილის შემდეგ გამოკეთდებიო, და შეუდგა შტაბის

საქმეების გადაცემას ტოკიოს გარნიზონის ახალგაზრდა ოფიცრისათვის, რომელიც სახალხო ფრონტს მიემხრო.

ოსაკა ომის პარტიების ხელში იყო. დაიწყო დოკერების გაფიცვა კურეში, კობეს სამხედრო ქარხნების მუშების გაფიცვა. სამმა სამხედრო გემმა ხმა მისცა ზავის ჩამოგდებას, მაგრამ იქ ჯერ კიდევ სამხედრო პარტია ბატონობდა.

მაიძურუ ომის პარტიების ხელში იყო. სხვა ქალაქების შესახებ არაფერი არ იცოდნენ. სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცო დაეხვრიტათ სახალხო ფრონტის ყველა მომხრე. ომი ყველგან დაიწყო.

როდესაც ოსუდამ საქმეები გადასცა, იგი ევგენიას ოთახში შეეცოცლა.

— ოთხი საათი მჭირდება, რომ კვლავ ადამიანად ვიქცე, — ჩურჩულით წარმოსთქვა მან და მიწვა.

მაგრამ მაშინვე გააღვიძეს. კუნძულ ხოკაიდოს სახალხო ფრონტის საოლქო კომიტეტი იტყობინებოდა, აქ საშიში მდგომარეობააო. მემარჯვენეები ძალ-ღონეს იკრებდნენ, მემარცხენეები უმწეონი იყვნენ. ოსუდას წინადადებას აძლევდნენ—ხოკაიდოში წასულიყო.

— შე უკვე ვნახე სიზმარში შანხაი, — დარცხვენით წარმოსთქვა მან და დათანხმდა ხოკაიდოში წასვლას, თუ სამ საათს მაინც გამოიძინებდა.

ძლივს ჩაეძინა, რომ შევიდა არმიის სარდალი ნაგატო საკურაი.

— კმარა ძილი! მოეშადე! გაუძებ მეღერს და მოაწყე ინფორმაცია ჩვენი საქმეების შესახებ ჩინეთისათვის და მანჯურიისაში მომქმედი ჩვენი არმიისათვის.

— ხოკაიდოდან? აღმასრულებელმა კომიტეტმა ჩრდილოეთში წასვლის წინადადება მომცა.

— იქ უკვე გავგზავნე კაცი. შენ შანხაიში უნდა წახვიდე. იქ მუშაობდი, იქაურობას იცნობ. შეკქმენი სახალხო ფრონტის არმია მანჯურიისათვის—აი ღირეჭტივა.

ათ მარტს ოსუდა ევგენიასთან ერთად (ტოკიოზე საპაერო თავდასხმის დროს დაშავებული ცოლ-ქმარი, რომელნიც შინ ბრუნდებოდნენ) მაიძურუში წავიდა.

მაიძურუში ომის რეჟიმი იყო გაბატონებული. ძალიან გაუჭირდათ. შეუძლებელი გახდა სათევზაო ნავის შოვნა, იაპონიის ზღვის გავლა ამ ნავით და ნანკინის მახლობლად ჩინეთის ნაპირზე გადასვლა. ქალაქში პარადებს აწყობდნენ და ხალხს აპატიმრებდნენ, გემებს სამხედრო ნაწილებით ტვირთავდნენ, ღამ-ღამობით გარეუბნებში სამხედრო პოლიცია და მუშები ტყვიებს უშენდნენ ერთმანეთს. გაზეთები იუწყებოდნენ, რომ გერმანია და პოლონეთი თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს. ავსტრიაში შეახალათიანებო გამოვიდნენ, რუმინეთში აჯანყებაა, დანციგი ფაშისტების ხელშია.

— ევროპაში ოცდაათი მილიონი ნაცუმცირესობაა, ისინი უკმაყოფილონი არიან ევროსალის ზავით,— ეუბნებოდა ოსუდა ევგენიას,— ომი ხანგრძლივი იქნება.

— ევროპაში თორმეტი მილიონი უმუშევარია, ომი სასტიკი იქნება.

— ევროპაში ერთი მილიონი კომუნისტია, ომი ბოლომდე იქნება მიყვანილი.

სალამოვი ზღვაზე, ნავსადგურის წინ, ორი აფეთქება მოხდა ახმაურდნენ თავდაცვა-ავიაქიმის საყვირები. ოსუდა და ევგენი ბარბაცით ჯებირთარ მივიდნენ. ჰაერში აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ შეშფოთებული თვითმფრინავები. გარე რეიდიდან ყუმბარების გრიალი მოისმოდა. უეცრად ზემოდან რალაც ჩამოვარდა და გასკდა— ტყვიელმა დაუარათ ტანში. ოსუდა დაეცა, ევგენიამ ძლივს შეიკავა თავი. კიდევ რალაც დაეცა ძირს. ხალხი მიმოიფანტა.

— კვლავ ყუმბარებს ისვრიან ზემოდან!— დაიყვირა ოსუდამ. — უდროო დროს დაიწყეს.

ძლივს წამოდგა ფეხზე.

— რაო?

— შეიძლება მოგვეკლან, უხერხული იქნება.

ნავსადგურის მცველები ტყვიამფრქვევივს მოათრევდნენ. გაპკიოდნენ საყვირები. სინათლე ჩაქრა. ქალაქი წყვდიადში გაეხვია.

— ნაპირს ნუ გავშორდებით.

ჯებირზე იდგნენ, ქვანახშირის გროვას ამოფარებულნი. ჩუმად გაიღვია პროექტორის ლურჯმა სხივმა. მოისმოდა გუგუნის წყალმა ჯებირს ტალღა მოახეთქა. კიდევ სხივი სწაღმო კატარ-

ღის ვიწრო კორპუსი ყურეში შესრიალდა, იგი თითქმის შეეხო ჯებირის ბოლოს, მას მოჰყვა მეორე, მესამე. ზღვიდან, ყრუ და ბნელი ღამის წყვილიდან ქალაქს ქვემეხები დაუშინეს.

— ეს ჩვენები არიან,—სთქვა ევგენიამ.— ჩავსხდეთ რამეში და როგორმე გავიღეთ ზღვაში.

იაპონიის ნაღმონები გაეშურნენ „წიაღებისთვის“ გზის გადასაქრელად. ჯებირზე ქვემეხს ბრძოლისათვის ამზადებდნენ.

ოსუდა და ევგენია ჯებირის გარე მხარეზე გადავიდნენ. იქ უფრო სიწყნარე იყო, მაგრამ წინ წასვლა შეუძლებელი იყო ეკლიანი მავთულის გამო.

— თუ ოცი წუთის შემდეგ ნავი ვერ მოენახეთ, დავილუპებით.

— მოიცადეთ. ყური დაუგდეთ...

— საზენიტო ბატარეების სროლაა.

— არა, ზღვაზეა. ყური დაუგდეთ...

— ტალღაა. ან გალუცინაცია.

— არა, გემია. გარწმუნებთ, ჩვენები არიან.

გემი არ მოსჩანდა, მაგრამ გარკვევით მოისმოდა ხრახნების ხმაური და ძრავების ქშენა. ზღვიდან მოიზღაზნებოდა ხშირი წყვილი, კვამლის საბურველის შავი მშრალი ნისლი. შემდეგ ყრუდ გაისმა ხრახნების ხმაური, და დაბალი გემის სილუეტი რბილად მიეყრდნო ჯებირის კედელს, ზედ უბის შესავალთან. ქვემეხებმა მაშინვე სროლა ასტეხეს. უამრავმა პროექტორმა კედელი გააშუქა. გემი ჯერ კიდევ არ შეჩერებულიყო. მოისმოდა, როგორ უშვებდნენ წყალში ლუზებს. ევგენია გემისკენ გაცოცდა. იგი გემის ბაქანიდან დაინახეს და გადაუგდეს თოკი ზედ მიმაგრებული საძირავით. თოკს ბოლოში ბაგირის მარყუჟი ჰქონდა. ვილაც ორმა კაცმა; ჯებირზე დამალულმა; ხელი დასტაცა თოკს და მარყუჟით თუჯის ბოძს ჩამოაცვა.

ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ოსუდამ ვერ მოასწრო ევგენიასთან მირბენა. გემიდან გასდეს კიბეები ჯებირზე. იაპონელთა რაზმი კიბეებით ჯებირისკენ გაეშურა. წინ მიჰქონდათ წითელი დროშა. გემი ტალღაზე ქანაობდა, კიბეები ცეკვავდნენ, კედელზე დაყრდნობილი მათი ბოლოები ყანყალებდნენ.

პირველ პარტიას მოჰყვა მეორე, ხელყუმბარებით.

ევგენიამ ხელი სტაცა ოსუდას და კიბისკენ წაათრია. ისანი დაუყოვნებლივ მიიყვანეს გემის მეთაურთან.

— ვინა ხართ?— ჰკითხა მეთაურმა, გამხდარმა, მხრებში მოხრილმა მეზღვაურმა მუნდიარში. რომელზედაც სამხედრო ნიშნები ნახევრად ჩამოგლეჯილი იყო.

— სახალხო ფრონტის რწმუნებული, დავალება მაქვს მანჯურიაში.

— ჩვენ დავინახეთ წითლების წყალქვეშა ნავი ექვსი კაბელტოვის მანძილზე აქედან, — მშვიდად წარმოსთქვა მეთაურმა და თან თვალს ადევნებდა იმას, რაც ჯებირზე ხდებოდა.

ყოველი მხრიდან ისროდნენ. გემი ზანზარებდა და ჯებირს ეხეთქებოდა.

— მე არა მაქვს კავშირი უზენაეს შტაბთან. მე ერთი საათის წინათ ავეჯანყდი, — დაუმატა მეთაურმა.

— თქვენ ახლა აღარ გექნებათ დრო კავშირის დასამყარებლად, — შენიშნა ოსუდამ.

— დიად. ახლა უკვე აღარ მექნება.

მეთაური განაგრძობდა საფარის ვიწრო კუჭრუტანაში ცქერას. თვალს ადევნებდა იმას, რაც ჯებირის კედელთან ხდებოდა.

— მოგცემთ ნავს და ორ დაჭრილს. თუ ცოცხლები დარჩებით, დაიხსომეთ ჩვენი გემის სახელი: ნალმოსანი ას თვრამეტი, მეთაური იაკუიამა მეოთხე.

მან ხელი ჩამოართვა ოსუდას, თავი დაუქნია ევგენიას და კვლავ ჯებირისკენ დაიწყო ცქერა.

ისინი სველი და სრიალა კიბით ნავში ჩაეშენენ, ზღვაში გავიდნენ, და ვერ გაიგეს, რამდენი საათის თუ წლის შემდეგ წააწყდნენ წყალქვეშა ნავს.

ევგენიამ დაიყვირა:

— ურა, ამხანაგებო! ურა! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

წყალქვეშა ნავიდან რამდენიმე შეკითხვა მისცეს და ბაქანზე აიყვანეს.

— გაუმარჯოს იატაკქვეშელებს!—მოკლედ მიესალმა მათ მეთაური და გამოუკითხავად ჩაიყვანა თავის პატარა კაიუტაში.

მაშინვე გაისმა ბრძანება, რომ ნავი წყალში ჩაეშვათ. ტალღა, რომელიც ხმაურით აწყდებოდა და აქანავებდა ნავს, ზევით დარჩა.

ევგენია მეთაურის საწოლზე წამოწვა. ოსუდა საწერ მაგიდას მიუჯდა და თავი ხელებზე დააყრდნო.

კაიუტის კედლებზე ფერადი იაპონური გრაფიურები და აკვარელები ეკიდა. მათზე გამოყვანილი იყო თვალწარმტაცი მდინარეები და მთები, სათევზაო ნაგები და პატარა კუნძულები ზღვაში.

იაპონია ლამაზად იყო მათზე დასურათებული. იგი ბედნიერებით გასხივოსნებულ, მხიარულ, მტრედისფერ ქვეყნად გამოიყურებოდა. ოსუდა გულწრფელი აღფრთოვანებით ათვალეირებდა მას.

— მართლაც და,—სთქვა მან,—ნუთუ იაპონელთა მთელმა თაობებმა იმიტომ შექმნეს ეს სამოთხე კუნძულებიდან, რომ ამ სამოთხეში დაილუპნენ? როდესაც ქვეყანაში ათი ბავშვიდან სამი რჩება ცოცხალი, შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყანას ჭირი განაგებს. ჩვენში ოთხი მილიონი ქალიშვილი პროსტიტუტია, ჩვენი ქალების ნახევარი მოკლებულია მშობიარობის უნარს. და მერე რა საუცხოვოა აქ ცხოვრება, რა ადვილად შეიძლებოდა აქ ცხოვრება!

კაიუტის კარი დააკაკუნეს. შევიდა მეთაური ორი წითელფლოტელით.

— ჩვენი ჩვეულების მიხედვით,—წარმოსთქვა მეთაურმა აუჩქარებლად, რათა იაპონელ სტუმრებისთვის გასაგები ყოფილიყო მისი სიტყვები,—ძვირფას სტუმრებს დელეგაციით ხვდებიან. მაგრამ. სამწუხაროდ, ჩვენ არც ყვავილები გვაქვს და არც ღვინო. ბოდიშს ვიხდით, ამ ლაშქრობაში არაფერი არ წამოგვიღია. სიცოცხლის მეტი.

ევგენია ხელში სწვდა. შემდეგ სწრაფად და მგზნებარედ აკოცა ტუჩებში.

— სად სწავლობდით, სად ისწავლეთ ასე კარგად ჩვენი ენა?—აღფრთოვანებით შეეკითხა მეთაური. იგი თითქმის დაიბნა, როდესაც დაინახა, რომ მისი სიტყვები ასე უბრალოდ, ასე ენერგიულად იქნა გაგებული.

— თქვენ ძმა არა ხართ ორას მეთოთხმეტე მშენებლობის პარტი-
ორგისა?—წყნარად ჰკითხა ევგენიამ მეთაურს.—არა? ჰგევხართ
კი... არ გახსოვარ, მე თქვენს ტრასაზე დავფრინავდი ანტ-ცხრათი,—
სთქვა მან, ერთბაშად გადავიდა რა „შენობით“ ლაპარაკზე. იგი
ხან ტიროდა, ხან იცინოდა, რიგრიგობით ყველას ეხვეოდა, მერე
დაიწყო თავისი ამბის მოყოლა და ყოველ წუთს კითხულობდა:—
მითხარით, ვინ გადარჩა ჩვენებიდან, არ იცით? ვინ დაიღუპა?

— რა ამბავია ქვეყნად?—ჰკითხა მეთაურს ოსუდამ.

გოცირიძემ ევროპის რუკასთან მიიყვანა.

რუკა აქრელებული იყო ფერადი ბაირალებით. აქ იწყებოდა
ხალხების, კლასების, რეჟიმებისა და პარტიების ბრძოლა. მრავალი
ქვეყანა ბრძოლის ველს წარმოადგენდა და ყველაზე სასტიკი ბრძო-
ლა სწარმოებდა პატარა, უმწეო და ლატაკი ქვეყნების გმიწა-
წყალზე.

ბრძოლის რკალი გარს ერტყმოდა გერმანიას. ეს იყო ხან არ-
მიების ბრძოლა, ხან მუშათა ცენტრების გაფიცვა, ხან ცალკეული
ქალაქების აჯანყება.

— მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ მოიგონ ხუთი-ათი ბრძოლა,
მაგრამ ომს მოვიგებთ ჩვენ,—სთქვა ოსუდამ, როდესაც აზიის
1935 წელს გამოცემულ რუკას მიაღწა:— ეს რუკა ამინდის ბიუ-
ლეტენივით დაძველებულია,—შენიშნა მან ღიმილით და თავით
ანიშნა ლურჯ და წითელ ხაზებზე, რომლებითაც გოცირიძე ყო-
ველდღე ასწორებდა ჩინეთის საბჭოთა ოლქების საზღვრებს.

სიჩუანის პროვინცია, საიდანაც 1935 წელს ჩინეთის წითელმა
არმიებმა დაიწყეს ჩინეთის სახელმწიფოს მეორედ თავმოყრა, დღეს
ომის შორეულ ზურგში იყო მოქცეული. ომი ახლა ეშვებოდა აღ-
მოსავლეთისაკენ, ოკეანისაკენ, მისდევდა მდინარეებს. ჩინეთის
მდინარეები პარტიზანების, აჯანყებულების, საბჭოების ხელში იყო.
პარტიზანებისა და საბჭოების ხელში გადადიოდნენ საქარაენო გზე-
ბი, ქალაქები და მაზრები ამ გზებზე. საბჭოების ხელში გადა-
დიოდნენ ნავსადგურები, ფაბრიკა-ქარხნები, და ამ ძველ რუკაზე-
დაც აშკარად მოსჩანდა, თუ როგორ იზრდებოდა წითელი ჩინეთის
სივრცე სამხრეთ-დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

— დიად, ომი ხანგრძლივი იქნება. მომავალ მშვიდობიანობაზე ისე უნდა ვიფიქროთ, როგორც ჯერ კიდევ ჩაუსახავ ბავშვზე, — სთქვა ოსუდამ.

გაჩაღებული იყო გლებთა ომი, სასტიკი და მრისხანე. სავესე აურ-ზაურით, ამათ ჯიუტობით და წვრილმანობათ, დამძიმებული დიდი მასშტაბების შიშით, დასუსტებული კუთხური პატრიოტიზმით. რომელიღაც პატარა ქალაქები, ომის მსვლელობაში მნიშვნელობას მოკლებულნი, ზეიმით აცხადებდნენ თავიანთ თავს სახალხო ქალაქებად და არსებობდნენ როგორც ასეთები, მნიშვნელოვანი პუნქტები კი ჯერ ისევ მანჯურია-იაპონიის ხელში იყო, და ჯერ არაეინ იყო ისეთა, ვისაც შეეძლო თავი მოეყარა შეიარაღებულ ხალხისთვის უმნიშვნელოვანესი ბრძოლების ადგილებში.

მაგრამ ჩენის სახელი უკვე გაისმოდა ხან აქ, ხან იქ. შანხაის რადიო აშინებდა ქვეყანას იუ-შანის სახელით. გირინის რადიო იუწყებოდა ვან სიუნ-ტინის დაღუპვას.

გამოცხადებული იყო დიდი ჯილდო ტაი-პინის შეპყრობისათვის, ჯილდოს ჰპირდებოდნენ იმას, ვინც შეიპყრობდა უყუროს სახელით ცნობილ ხუნჩუსს.

— რაკი პრემია გამოცხადებულია, სჩანს ცოცხლები არიან, — სთქვა ოსუდამ. — საუცხოოა! მე ყველას ვიცნობ და მათი იმედი მაქვს... რა ამბავია თქვენს საზღვარზე?

— კონდრატენკოს არმიამ იუკი აიღო, სანაპირო კორეაში შეიჭრა.

— ფიქრობთ მანჯოუ-გო და კორეა ზღვას მოსწყვიტოთ?

— შესაძლებელია.

— ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ?

— მანდოლებმა შეაჩერეს იაპონიის არმიის მოძრაობა თავიანთ საზღვრებზე.

— კეთილი. მაშასადამე, ჩვენი ნაპოლეონები ჯერჯერობით მარტონი რჩებიან ჩინეთის პირისპირ.

— ჯერ კიდევ სავესებით არა.

— კეთილი. ჩვენს ხალხს სიკვდილში ბედი აქვს, სიცოცხლეში კი არა. რა მდგომარეობაა შანხაიში?

— შანხაი ფრონტის განსაკუთრებულ უბნად ხდება.

ოსუდამ თავი გაიქნია, გაიღიმა, ხელი გადაისვა ჯავარა თმაზე.

— იცით, თქვენებმა საშინლად დაგვაყარეს ყუმბარები, — წარმოსთქვა მან ჩუმად. — ეს სამძიმოა და... ძნელი ასატანია, როდესაც მიჩვეული არა ხარ. დაღუპული საბჭოთა მფრინავების სიას ჩენს ბიჭებსაც მივუმატებთ.

ოსუდას განუწყვეტლივ უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ მეთაურმა ნება დართო ცოტა რამ ეკითხნა ვალეშისათვის შანხაის შესახებ და მერე დაწოლილიყო. ოსუდა ძალიან ცუდად იყო. ნერვიული ციებ-ციხელება ჰქონდა. ბოდავდა. იაპონია სასთუმალთან ეჯდა და ოსუდა ესაუბრებოდა მას ადამიანურ ღირსებაზე, ხტოდა, სიკვდილით ემუქრებოდა. ისეთი რამეები ესიზმრა, რაც არასოდეს არ შემთხვევია. სიყვარული. ბავშვები. ბედნიერება. იგი ნანას ეუბნებოდა ბავშვებს, ჩუმად უმღეროდა. უეცრად დასახვრეტად მიათრევდნენ, კედელთან აყენებდნენ. „გაუმარჯოს წითელ იაპონიას!“ — ყვიროდა და საწოლიდან ვარდებოდა.

ევგენია მიხვდა, რომ ოსუდას ოცნებაც კი არ შეეძლო მანჯურიში წასვლაზე. იგი დაღლილობისა და ძალღონის გამოფიტვისაგან სულს ღაფავდა.

ჩინეთის ხალხები ომში ეპაპიან

წინა დღეს ჩენმა იაპონელთა ზურგში ლაოელიანი დაიჭირა. გააფთრებული პარტიზანები ფარასავით მიერეკებოდნენ მოულოდნელობისაგან დამფრთხალ იაპონელთა გარნიზონებს. ჩრდილოეთ-დასავლეთიდან მიიწვედა ჩენი, აღმოსავლეთიდან უტევდა იუ-შანი. ერთი ღამის განმავლობაში აღებულ იქნა ოთხმოცდაათი კილომეტრი სივრცე. პირწმინდად სწვავენ ჩენს ყველაფერს.

იაპონელები გირინისაკენ იხევდნენ.

ორი მაზრის მოსახლეობა ცხენებსა და ურმებს ტვირთავდა ყველაფრით, რასაც სასურსათო ბაზები შეიცავდნენ. წინა ხაზიდან ჩენის შტაბამდე კონსერვებით ვაჭრობდნენ. გლეხები არა სტოვებდნენ ბრძოლის ველს არც დღისით, არც ღამით. ისინი ასხამდნენ ბენზინს მიტოვებულ ტანკებიდან, ქანჩებს აძრობდნენ მანქანებს და ანადგურებდნენ რკინისგზის სადგურებს.

მოდოდა არმია ტერმიტებისა, დამშეული და სიძულელით გააფთრებული. ტყვეები არა სჩანდნენ.

მეორე დღის დამლევს პარტიზანები გირინის გარეუბნებში შეიჭრნენ, მაგრამ ვერ გადალახეს მისი სიმაგრეები. პარტიზანებმა ქალაქის ირგვლივ ჩასაფრდნენ, რადგან სწრაფი და ადვილი გამარჯვების იმედი აღარა ჰქონდათ. მაგრამ ხალხი ირგვლივ მდებარე სოფლებიდან განუწყვეტლივ მოდიოდა, რადგან არ იცოდა მარცხის ამბავი. დამტვრეული მანქანების ძარებ-ქვეშ გაიხსნა გასაცვლელი პუნქტები. მეძველმანები ვირებს ტვირთავდნენ გასისხლიანებული ტანისამოსით, რაშიაც ისინი პაპიროსებს იძლეოდნენ. მოსჩანდნენ კმაყოფილი და მხიარული დაქრილები: მათ თან მიჰქონდათ სარკეები, ფეხებ-გაკრული ქათმები, ვაზნებით სავსე ყუთები.

მაგრამ გირინის აღება ძნელი იყო. იაპონელებს ყოველი მხრიდან მოჰყავდათ რეზერვები. ისინი ჩქარობდნენ ამბოხების დასაწყისშივე ჩახშობას.

ჩენმა ეს ბრძოლა ჩაიფიქრა, როგორც სახალხო ბრძოლა. „ქვეყანა ბრძოლის ველს არ უნდა დააშორო“, — სწერდა ის ტანს ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ და აიძულა, რომ პარტიზანთა ყველა ჯგუფს ერთად ჩაეცა მანვილი ზურგში მოწინააღმდეგისათვის, მიუხედავად იუ-შენის თავდაპირილი გულგრილობისა და ტაი-პინის პროტესტისა. ჩენის პარტიზანული არმიები ჯერ კიდევ არ იყვნენ მომზადებული დიდ ომში გამარჯვებისათვის. მათ იცოდნენ დამარცხების ატანა, იცოდნენ, რას ნიშნავს ორგანიზაცია. მაგრამ როგორც კი დაინახავდნენ გაღებულ საწყობებს და იგრძნობდნენ ხიშტების წვერზე შემწვარი ხორცის სუნს, მაშინვე ბრბოდ იქცეოდნენ და ბრძოლისათვის უვარგისნი ხდებოდნენ.

გირინთან დაყოვნება არ შეიძლებოდა. ჩენმა კაცები დაგზავნა რაზმების მეთაურების შესაკრებად.

იუმ შუალამისას მიიღო ცნობა და რადგან შტაბამდე ორი საათის გზა მაინც იყო, დაიძახა „ძილიო“ და წინა დღეს ხელში ჩაგდებულ მტრედისფერ როლს-როისში ჩაჯდა.

შოფერმა თავი დაუქნია. იუ საბანში გაეხვია და საჯდომის ქუთხეში მოიკრუნჩხა.

გზას ხანძრები აშუქებდნენ. სოფლები ცეცხლის ალში იყო გახვეული. ლამაზად ელვარებდნენ მალა აწვდილი სატელეგრაფო ბოძები. ბოძებისათვის ნაეთი შეესხათ და მკედრების ტანისამოსის ნაფლეთები შემოეხვიათ. ქალები დაჭრილებს ეძებდნენ და მიჰყავდათ. აქა-იქ უკვე დაიდგათ ბრეზენტის კარვები და ტყვიამფრქვევების მიტოვებული ბუდეები ჩალის ფარდულებით გადახურათ.

სოფლების მახლობლად ალიზის ბარიკადები მოსჩანდა. ღამის პაერი ღუნე იყო, ხმა მასში ქურდულად მოიპარებოდა. ზოგჯერ ძუძუძუწოვარა ბავშვის კივილი მოისმოდა და ამ უცნაური. გაუგებარი კივილისაგან ტანში ჟრუანტელი უვლიდა კაცს.

— შესდექ!

იუ მიწურში ჩავიდა. ეს მიწური ჯერ კიდევ დილით იაპონელ მსროლელთა თავშესაფარი იყო. რამდენიმე მამაკაცს კუთხეში ეძინა, ჩალაზე. დედები ბავშვებს ძუძუს აწოვებდნენ. პატარა ცეცხლზე რალაც დულდა რკინის ქვაბში. იუმ ქვაბში ჩაიხედა.

— ტყვიებია, — ჩურჩულით წარმოსთქვა იატაკზე მჯდომმა ქალმა.

ქვაბში ლითონს ადულებდნენ ტყვიების ჩამოსასხმელად.

შემდეგ იუ კვლავ საბანში გაეხვია. ავტომობილის რბილ ბალიშზე მიწოლილმა მანქანის რხევაზე ჩაიძინა. ეძინა, ვიდრე ყვირილმა საბოლოოდ არ გამოადვიდა. მანქანა სოფელში შევიდა. საღაც შტაბი იყო.

ბნელოდა, ნეტაინი ამინდი იყო, ქარი უბერავდა. მაგრამ ქუჩები სავსე იყო ხალხით. სასადილოებიდან საქმლის მყრალი სუნი გამოდიოდა. ბებერ უცხვირო პროსტიტუტ ქალებს დამპალ სახეებზე სიკეკლუცისათვის ქალაღდის ცხვირები გაეკეთებინათ და ქუჩაში მეომართა ხალათებსა და შარვლებს აკერებდნენ. მათ ირგვლივ კლიენტების დიდი რიგი დამდგარიყო. ისინი „ლიგალიანჩს“ თამაშობდნენ ან კოქაობდნენ. ფანზების კარებთან ადგილობრივ მოხუც ქალებს გრძელი გამკვარტლული ჩიბუხები ეჭირათ და ნათფაზით ეაქრობდნენ. ნათფაზის მოყვარულნი ვაზნებს ჰყრიდნენ ღრმა კალათებში, გამყიდველთა ფერხთით.

იუმ მანქანა მიატოვა და ფეხით გაუდგა გზას. იგი მუჯლუ-

გუნით იკვლევდა გზას ცნობისმოყვარეთა შორის. ყველა იცნობდა მეთაურს შავი სახვევით შუბლზე. ბავშვებიც კი ომობიას თამაშის დროს მხოლოდ ყველაზე მამაცს აძლევდნენ შავი ჩერით შუბლის შეხვევის უფლებას.

ცნობისმოყვარენი იუს წინ მირბოდნენ. აუ იძულებული იყო ხელები გაეშვირა და გაეწვა-გამოეწია ჯიუტი ყბედები.

შორეული სოფლებიდან ჩამოსული გლეხები, რომელთაც რამდენიმე დღე ბრძოლაში გაატარეს, ნადავლს უყრიდნენ თავს და ტვირთებად ჰკრავდნენ.

--- მეთომრები, რომლებიც თავიანთ თავზე ფიქრობენ. ყველაზე ადრე იღუპებიან, — სთქვა იუმ და გლეხებზე მიუთითა. — მათ არაფერი გაეგებათ სამხედრო საქმეში.

შტაბის ფანჯის წინ ყველაფერს ჯერ კიდევ იაპონელთა კვალი ემჩნეოდა. ბრბოს ხმაური მოედნის ბოლოში სწყდებოდა, თითქოს უძირო უფესკრულში იკარგებოდა. მოედანზე კი მაღალ ლატანზე თავდაყირა ეკიდა სოფლის აგიტატორი. ცოტა უფრო მოშორებით, ჩრდილიანი ხის ორივე მხარეს, შტოზე გადაგდებული თოკის ბოლოებზე ორი პარტიზანი ეკიდა. ერთი ძლივს ეხებოდა ფეხით მიწას; მეორე წინ-წახრილი იდგა გაქვავებული მორბენალის პოზაში. სასჯელის ეს წესი, „საქანელად“ წოდებული, პოპულარული იყო იაპონელ ჟანდარმებს შორის.

ტოტზე გადაგდებულ თოკს ბოლოებში მარყუჟებს უკეთებენ და შიგ ორ წითელს აყოფინებენ თავს, ისე, რომ ფეხები მიწას ვერა სწყდებიან. „აბა გასწიეთ! — უყვირის ოფიცერი. — ვინც გადასძლევს, ჯილდოს მიიღებს“ — ო.

მაგრამ გუშინ თამაში მოსალოდნელზე უფრო მხიარული გამოვიდა: თამაშობაში მონაწილეობა. მიაღებინეს ორ კაცს ერთსა და იმავე სოფლიდან, ორ ამხანაგს, ერთისა და იმავე რაზმის წევრებს. არც ერთმა არ მოისურვა მეორის მკვლელი გამხდარიყო. ისინი დიდხანს ხტოდნენ, სანამ ორივე არ დაიხრჩო. ოფიცერები უყურებდნენ და მხიარულად ხარხარებდნენ.

შტაბის ფანჯის წინ მეთაური ტაი-პინი შეგროვილ ხალხს უჩვენებდა სამ იაპონურ ტანკს „მედიუმს“ და ცამეტ სატვირთო მანქანას დამტვრეული მოტორებით.

— ჩვენში ამით მიწას მოხნავენ, — განმარტა მან, თან „მედიუმს“ დაარბენინებდა. — აი ასე, ხომ ხედავთ?

ტანკს უბამდა მსუბუქ გუთნებს და ქუჩას სჩიჩქნიდა, რითაც განცვიფრებაში მოჰყავდა გლეხები.

— როცა გირანს ავიღებთ, შაბათობას მოვაწყობთ. ერთ დღე-ში სამას ჰექტარს მოვხნავთ.

— აგრე, აგრე! ღრიალებდა ხალხი.

ვილაც ჩამომხმარი და ჭუჭყიანი მოხუცი, რომელიც სულ იმუქრებოდა — პირველი მე გავალ ბრძოლაშიო, ტანკის შიგნით მიფოფხავდა; აღფრთოვანებული წიოდა და ძლიევს სუნთქავდა.

ამერიკელმა ლოუმ ჯაჭვით გადააბა პატარა გუთნები და კავები და დაამწყრივა ისინი ტანკის უკან.

— აგრე, აგრე!

სალამოთი სანიმუშოდ მოხნეს გირინის გუბერნატორის მიწა და იქვე დიდხანს უნაწილებდნენ ახალ ხნულს ქვრივებსა და ობლებს.

სამხედრო საბჭოს სალამოს სხდომაზე ხმები გაიყო.

— ლოდინი შეუძლებელია, — ამბობდა ჩენი. — სანამ გირინში პატარა გარნიზონია, შეიძლება დავძლიოთ. გირინის აღება ბევრ რამეს გაგვიადვილებს. აქ იაპონელებს შემონახული აქვთ ორმოცდაათი ათასი ტონა საწვავი და საბრძოლო საქურველის ათი დღის მარაგი.

იუ-შანი მოითხოვდა, დაეშალათ რაზმები, პატარ-პატარა ჯგუფებად შეპარულიყვნენ ქალაქში და ემოქმედნათ შიგნიდან, სწორედ ისე, როგორც მოიქცა უყურო ხარბინის სარკინისგზო ბრძოლის დროს.

ხარბინის სარკინისგზო ბრძოლის სახელწოდებით ცნობილი იყო მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა ხარბინში. იგი დაიწყო ომის მეორე დღეს. უყურომ, ხარბინის ანტი-იაპონური ლიგის მეთაურმა, ასე განსაზღვრა გაფიცვის ამოცანები:

„ეს არის ხალხის პროტესტი საბჭოთა კავშირისათვის თავზე მოხვეული ომის წინააღმდეგ. ჩვენი მიზანია — ჩავშალოთ იაპონია-მანჯურიის სამხედრო ზურგის მუშაობა. უნდა ჩავაქროთ ცეცხლი ორთქლმავლებში, მოვხსნათ მუხრუჭები ვაგონებს. მოვსპოთ სიგნალები ჭზებზე, გავაფუჭოთ ისრები,

წევწევით კავშირი სადგურებს შორის და მოკამზადოთ ხიდების აფეთქება“.

ხარბინში—იაპონელთა ჩრდილოეთის ფრონტის ბაზაში—იმ დროსთვის იყო ას ექვსი ორთქლმავალი და ხუთი ათას ცხრაას ოცდა სამი საქონლის ვაგონი, ბაქანი და ცისტერნი. უყუროს ბრძანების გამოქვეყნების ორი საათის შემდეგ ქალაქის ხუთივე რკინისგზამ საშინელი უბედურება განიცადა. დისპეტჩერები ჩიხებში ამწყვედებდნენ სამხედრო მატარებლებს, მეისრეები მარშრუტს მარშრუტზე აჯახებდნენ, გზის ოსტატები ლიანდაგს ჰყრიდნენ. ბრძოლას ხელმძღვანელობდა უყუროს მიერ სპეციალურად მიწვეული იუ-შანი. პირველი მახვილი მან ხარბინის მისასვლელებს ჩასცა. ხუთივე რკინისგზის პატარა სადგურები სანგრებად გადააქცია.

დუიციწმანის სადგურზე აფეთქეს ხიდი და ლაღმები ჩააწყეს მისასვლელ გზებზე. აშიხეს სადგურზე (გზა ზღვის ნაპირისაკენ) კრამიტის ბარიკადები ამართეს და გზაში გაჩხირეს ოცი ვაგონი საარტილერიო ტვირთით. სიანბაიუნის სადგურზე (გზა კორეისაკენ) ჩასაფრდა იუ-შანი ორმოცდაათი მუშით და სამი ტყვიამფრქვევით. იქ ჯერ არ უნდოდათ რაიმეს დანგრევა, მაგრამ აფეთქებლები მხოლოდ სიგნალს ელოდნენ. დედაქალაქისკენ მიმავალ ხარბინ-სინძიანის გზაზე აფეთქეს მდინარეზე გადებული ხიდი და მასთან ერთად მატარებელი საბრძოლო საჭურველით.

როდესაც ხარბინი მთელ ქვეყანას მოსწყვიტეს, იუ-შანმა შეკრიბა ახლო-მახლო მცხოვრები გლეხები და ხუთი კოლონით დაიძრა ქალაქისაკენ. გზაზე ანგრევდა სადგურებს, ამსხვრევდა ორთქლმავლებს.

ამ დროსთვის უყურომ, რომელიც ხარბინის დებოში ებრძოდა იაპონელებს, გადმოისროლა ბრძოლის მეორე ეტაპის ლოზუნგი:

„თითოეული გაფუჭებული ორთქლმავალი უდრის პოლკის გამოყვანას. მწყობრიდან. სამი საბარგო ვაგონი და ორი ცისტერნი უდრის ორთქლმავალს.“

ვინც სამჯერ მეტს გააკეთებს, ბრძოლის გმირის სახელწოდებას დაიმსახურებს და ეს იქნება მისი კეთილშობლური სახელწოდება სამუდამოდ“.

ოცდაათი საათის ბრძოლის შემდეგ იუ-შანმა დათვალა მწყობრიდან გამოყვანილი სამოცდაორი ორთქლმავალი, სამასი ცისტერნი და ათასი შვიდასი საბარგო ვაგონი.

იაპონელებმა ხარბინში გადაისროლეს მცველი ჯარის სამი პოლკი, ჟანდარმერიის ბრიგადები, ორი საამშენებლო ბატალიონი. სადგურები წესრიგში მოჰყავდათ, მაგრამ კვლავ ანგრევდნენ სამსამჯერ და ოთხ-ოთხჯერ.

პარტიზანებს რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გადაჰქონდათ რელსები, ხნავდნენ ლიანდაგს ოსუდას ფუშუნური წესით, სკრიდნენ სატელეფონო სვეტებს. როდესაც ხარბინის რკინისგზის დეპოში დაყოვნება შეუძლებელი გახდა, უყურომ ბრძანება გასცა, აეფეთქებინათ საწვავის ხუთი ღლის მარაგი, ცისტერნებში შემონახული. და ტყეში გაეზიდათ იაპონელთა საინტენდანტოს ნახევარი თვის მარაგი. თვითონ კი თან წაიღო ცხრა სტამბა, წაიყვანა ამ სტამბების მუშათა მთელი შტატი და ჩრდილოეთისკენ წავიდა.

ანტი-იაპონური ლიგის რაზმებს მოუკლეს ორი ათასი ცხრაასი სამი კაცი. არც ერთი დაჭრილი არ აღმოჩნდა.

ხარბინის ჯარკინისგზო ბრძოლას სტრატეგიულ შედეგად მოჰყვა იაპონელთა ჩრდილოეთის ფრონტის ზურგის სრული დეზორგანიზაცია, რის გამოც მან თვენახევრის განმავლობაში დაჰკარგა მოქმედების უნარი.

იუ-შანი მოითხოვდა გაემეორებინათ სარკინისგზო ბრძოლა, მაგრამ ჩენმა თავისი გაიტანა და მისი ხმის უმეტესობით გადასწყდა იერიშის მიტანა გირინზე.

გარიჟრაჟზე რაზმები აჰყარეს. ტაი-პინი და ლოუ წინ გავიდნენ ორი ტანკით. იუ გვერდით მიჰყვებოდა მათ მოტოციკლით და როდესაც საჭირო ხდებოდა ბრძანების გაცემა, ჩაქუჩს სცემდა ჯავშანზე. ერთი დარტყმა ნიშნავდა: „ცეცხლი!“ ორი დარტყმა — შესწყვიტეთ სროლა!“ სამი დარტყმა — „შეჩერდით!“

ლოუ საფარის ქუჭრუტანიდან იყურებოდა.

— ეს ცირკია, სიგიჟეა!

— ცეცხლი! ცეცხლი! წინ! — აკაკუნებდა ჩაქუჩს იუ და ტანკები წინ მიიწევდნენ, ისროდნენ. ნახევარი ღლის განმავლობაში.

ყველაფერი სრული წესრიგით მიმდინარეობდა, სანამ ბორცვების უკანიდან თავი არ გამოჰყო გირინის ჯაგუნდიანმა მატარებელმა.

ჩენის განაპირა მწკრივებმა, ქალაქის გარეუბნის ბაღებში ჩასაფრებულებმა, უკან დაიხიეს.

— პირდაპირ მიდით!—დაუყვირა იუმ ამერიკელს და ხელით აჩვენა, რა უნდა გაეკეთებინა.

— შეიძლება! შეიძლება!—უპასუხა ლოუმ და ტანკი მატარებლისკენ გააქანა.

იუ ტაი-პინის მანქანაში შეძვრა, ქვემეხზე მიაგდო იგი და თითონ შეუდგა მართვას.

მანქანა ხევში ჩაცოცდა, მარჯვედ გაირბინა ციცაბო ფერდობი, გაძვრა რკინისგზის ხიდქვეშ, საკმაოდ მსუბუქად აფოფხდა ლიანდაგზე და რახრახით გაეშურა პირდაპირ ორთქლმავლისაკენ.

ტაი-პინი ტყვიას ჯაგუნოსნის კოშკებს უშენდა.

— სწრაფი, სწრაფი ცეცხლი! თავით იმუშავე!

ორთქლმავლის თავი შეირხა, იგი კვამლსა და ორთქლში გაეხვია.

— აბა, გვიხსენი, სისწრაფე!

იუმ ტანკი ორთქლმავლის მკერდს დააჯახა. გაისმა ზრიალი, ტანკი ჯერ გვერდზე გადაიხარა, მერე ხუთჯერ გადატრიალდა და თხრილში გადაეშვა.

— ტანკი კი არა, ნაგავია!—მოესმა ტანკის შიგნით მოკოტრიალე ტაი-პინს. — ცოცხალი ხარ?—ჰკითხა შემდეგ იუმ.

— ცოცხალი ვარ. შენ?

— თვითონაც არ ვიცი ჯერ.

დაჩუმდნენ.

— დიად, ეს მანქანა კი არა, ნაგავია!—დაბეჯითებით სთქვა შემდეგ იუმ. — გასვლა არ შეგიძლია?

— არ შემიძლია.

— არც მე შემიძლია. იწეკი, ამ ღლეებში შევხვდებით.

მათ ყურამდე მიღწეული ხმების მიხედვით გრძნობდნენ, რომ ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა და მათ უახლოვდებოდა.

— გინდა. გითხრა, რაც მოხდა?—სთქვა იუმ ხანგრძლივი დუმილის შემდეგ. — ჩვენები. ჯავშიან მატარებელს მიაწყდნენ და ქალაქი მთლად დაივიწყეს. დაიხსომე ჩემი სიტყვა.

ასეც მოხდა. საღამოთი პარტიზანებმა ტანკიდან გამოათრიეს იუ და ტაი-პინი. ორთვალაზე დააწვინეს და შტაბის ახალ ბინაზე წაიყვანეს, ორმოცი კილომეტრის მანძილზე. რაზმები უკან იხვედნენ.

მოწინააღმდეგემ სამხრეთიდან დახმარება მიიღო და ასლა გარს ერტყმოდა პარტიზანებს. მოიერიშეები უკვე დაჰქროდნენ იუ-შანისა და ჩენის პარტიზანების თავზე.

— თუ პარტიზანები ვართ, პარტიზანელობა უნდა გავწიოთ! — ყვიროდა იუ, ორთვალაზე გაწოლილი.

ის თავს ჰყოფდა ბრეზენტიდან, დიდხანს შეჰყურებდა ცას და დაბნეული თავს იქნევდა.

ლამე გაათიეს დანგრეულ კერპთსალოცავთან, უცეცხლოდ. განუწყვეტლივ მიდიოდნენ ურმები, გარბოდნენ ქვეითები. გათენებისას გაჩნდა ჩენი თავისი შტაბით. ქვაზე ჩამოჯდა. ფანჯასთან, ხელები თავზე დაიდო და დიდხანს გაჩუმებული იყო. გაქცეულები უკან მოვარდნენ და მდინარის ნაპირს გაჰყვნენ. თან ყვიროდნენ, წინ ბრძოლაა, ყველანი ხაფანგში ვართ მომწყვდეულიო.

— უხეიროდ გამოგვივიდა, — სთქვა იუმ, წამოდგა, ხელების ქნევა დაიწყო. რათა დაღლილობა გაედევნა.

ამასობაში ფანჯა ხალხით აივსო. შემოდრიოდნენ და ოთახში რჩებოდნენ დაჭრილები, გროვდებოდნენ გაბნეული ნაწილების მეთაურები.

კორპუსის მეთაურის შიკრიკებმა ცხენებს მოსართავები მოუჭირეს და გავაზე ხელი გადაუსვეს, თითქოს ანიშნებდნენ—ჩვენ დიდი ხანია მზადა ვართ წასასვლელად, მაგრამ სად უნდა წავიდეთო.

ასე უსაქმოდ, უფიქროდ გაიარა მთელმა დღემ. საღამოთი ჩენის აღიუტანტმა ურჩია ყველას სათითაოდ დაშლილიყვნენ.

— დიად, — უპასუხა ჩენმა, — წადით.

ზოგიერთი სწრაფად მიიმალა, მაგრამ ჩენი, იუ-შანი და ტაი-პინი კერპთსალოცავში დარჩნენ, მარტოდ-მარტონი წაგებულნი

ბრძოლის ამ სიბნელესა და წყვილიადში. ცა დამშვიდებული და მკვდარივით გარინდებული გამოიყურებოდა.

რიკრიგობით ეძინათ. როცა იღვიძებდნენ ჩუმად ისხდნენ, აბოლებდნენ, დიდხანს გასცქეროდნენ მდინარის იქით გზატყეცილს. გზა ცარიელი იყო. უკანასკნელმა ადამიანმა ღამის დასაწყისში გაიქროლა ცხენით. ქალაქის მხრიდან ისმოდა ორთქლმავლების ფრთხილი სტვენა, ბუფერების წკრიალი და უროს დარტყმა რელსების ფოლადზე—იაპონელები აჩქარებდნენ ლიანდაგის შეკეთებას. სროლა ქალაქთან არ სცხრებოდა.

ღილით ბარბაციტ მოირბინა დაქრილმა ბიჭმა ტაი-პინის რაზმიდან კისერში ღრმად ჩარჭობოდა ღვედის ნაგლეჯით.

— ისინი იქ ცოცხლებსაც ახრჩობენ და მკვდრებსაც, — დაიყვირა მან. — ტყვედ არავინ არ მიჰყავთ.

იგი გაიქცა და ირგვლივ მეტი სიწყნარე ჩამოეარდა. ეს სიწყნარე უფრო აძლიერებდა შეშფოთებას.

ზოგჯერ იუ კარებთან მიცოცდებოდა და ფრთხილად ყურს უგდებდა. არავინ არ ეკითხებოდა, რას ხედავდა და რა ესმოდა. უეტრად შეჰყვირა და ოთხით ქვევითკენ წავიდა. მდინარისკენ.

— ჩქარა მომყევით!

ღილის ნისლით დაბურულ მინდორზე სწრაფად და უხმოდ ეშვებოდნენ პარაშუტები. ბევრი იყო. მკვირცხლად და მოხერხებულად ეშვებოდნენ. დაშვებისასვე ადამიანები ახვევდნენ აბრეშუმს და აქეთ-იქით გარბოდნენ.

იუ უკვე მათთან იყო.

— ჰეი! — დაიყვირა ერთ-ერთმა პარაშუტისტმა, — *Anata dare tachi desu ka*, — და აუჩქარებლად ამოიღო ბუდიდან მაუზერი.

— თქვენიანი ვარ. თქვენიანი! — დაბალი ხმით მაძახა იუმ. — აი იქ, ფანზაში, სხვებიც არიან. სად არის დაზვერვის უფროსი?

ჩენი და ტაი-პინი მდინარეს გავიდნენ. მეპარაშუტე, რომელიც იუ-შანს გამოელააპრაკა, მაუზერით უჩვენებდა. საით უნდა წასულიყვნენ.

მინდორზე ავიოდესანტის უკვე ასორმოცდაათ მებრძოლამდე იყო. ზოგი ტილოს ნიშნებს აფენდა, ზოგი სხვადასხვა მხრით გარბოდა და თან ტყვიამფრქვევს მიათრევდა. იუ-შანი დაზვერვის მეთაურის გვერდით იდგა. ეს სწორედ ის ჩაენკო იყო, რომელიც ოდესღაც ძლივწვალებით კითხულობდა ბელინსკის და რომელმაც იუ-შანის პარტიზანების ინტერნირება მოახდინა „25 ოქტომბრის“ კოლმეურნეობასთან. ჩაენკო თავდაპირველი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა იუ-შანს, უნდოდა გამოლაპარაკება. მაგრამ საქმეში იყო გართული.

პარაშუტები კი განუწყვეტლივ ეშვებოდნენ, მაგრამ ახლა ისინი უფრო დიდი ზომისა იყო, ზოგჯერ ორკარავიანი, თან მოპქონდათ პატარა ტანკები, ჯავშნოსნები და ტყვიამფრქვევები. ძირს დაშვებულები ხელებს ამონაორთქლით ითბობდნენ, ცხვირებს იზელდნენ და დახტოდნენ, რომ გამთბარიყვნენ.

— დიდი სიმაღლიდან კი ხტებოდით, — პატივისცემით შენიშნა იუმ. — ალბათ, დიდი ნისლია, ვაი თუ ხელი შეუშალოს ძირს დაშვებას.

— ხელს არ შეუშლის, — მიუგო ჩაენკომ, თან უყურებდა, როგორ იქერდნენ ძირს ჩამოშვებულ პატარა ჯავშნოსნებს ჰაერშივე, მყისვე მართავდნენ მოტორს, გზაზე გადიოდნენ და ყურს უგდებდნენ ხმაურს ცაში.

და უეცრად ცა აგუგუნდა, თითქოს იგი დიდხანს ინახავდა კექა-ქუხილს და ელოდა მხოლოდ სანუკვარ საათს, რომ მიწაზე მეხი დაენარცხებინა: გამოჩნდნენ ყუმბარმტყორცნები. ისინი ერთიმეორეზე ეშვებოდნენ ძირს, სწრაფად ერეკებოდნენ კაბინებიდან ფარაჯებიან და მუზარადებიან ხალხს, ჰყრიდნენ ტანკებს და გაუბიცებს. ტვირთისაგან განთავისუფლებული აპარატები მყისვე ჰაერში აღიოდნენ.

ძირსდაშვებულთ მოხდენილი ჩექმები და მაზარები ეცვათ. შავმოიისფრო მუზარადებისაგან თითქოს მოშავო მათ სახეებს შტკიცე, საქმიანი გამომეტყველება ჰქონდა. მათ პურისა და ზუმბურხეთის სუნი ასდიოდათ. ეს იყო ბოლშევიკების დიადი ქვეითი ჯარი. ჩენი პირველად ხედავდა მას. იგი განცვიფრებას იწვევდა თავისი უბრალოებით და სიმძლავრით. ჩენი დაძაბული უყურებდა

ამ ხალხს, რადგან ვაჟკაცს არ შეშვენის ცრემლის ღვრა ბედნიერების გამო. იგი დიდხანს არ მიბრუნებულა შუამინდერისაკენ, თუმცა ესმოდა, რომ იქ რაღაც მოხდა.

ბოლოს მიბრუნდა. მას ღიმილით უახლოვდებოდა არც თუ მაღალი ტანის კაცი, ხელებ-გაშლილი, თითქოს უნდა დასწვდეს ჩენსო. ფარაჯის საყელოზე კორპუსის მეთაურის ნიშნები ჰქონდა.. როგორც ჩენს.

— გამარჯობათ! მე შერშავინი ვარ,—უთხრა მან ინგლისურად და მაგრა ჩამოართვა ხელი. — ამხანაგო, პარტიზანთა პირველი კორპუსის მეთაურო, თქვენ ცოტა ადრე დაგიწყიათ ოპერაცია გირინის წინააღმდეგ. ჩვენ ზღვის მახლობლად ვართ. ჩვენის აზრით, უფრო სწორი იქნებოდა მხარი დაგეჟირათ ჩვენთვის. ვიდრე პირიქით...— შერშავინმა ხელი მოჰკიდა ჩენს და დაიწყო აქეთ-იქით ტრიალი. — მაგრამ თავის დროზე თქვენ სავსებით სამართლიანად შენიშნეთ, რომ არ შეიძლება ქვეყნის დაშორება ბრძოლის ველსაო. რასაკვირველია!— და იგი კვლავ შეტრიალდა. — ჰო-და, დღევანდელ ოპერაციას, ახანაგო პარტიზანთა პირველი კორპუსის მეთაურო, მომავალი საბრძოლო პლაცდარმის პოლიტიკური მომზადებას ხასიათი ექნება... რუკა!— და მან მაშინვე თითი დაადო ლურჯ და წითელ ნახაზებს და სთხოვა ჩენს დაედასტურებინა, სწორად აღუნიშნა თუ არა რუკაზე ჩენის გუშინდელი ბრძოლა.

— აბსოლუტურად ზუსტად,— მიუგო ჩენმა.

— ჩემი გეგმა, გთხოვთ დამეხმაროთ რჩევით, საკმაოდ მარტივია,— დაიწყო კვლავ შერშავინმა:— ჯერ გირინის გარნიზონის ოდნავ შეფუცხუნება ყუმბარმტყორცნთა ორი ესკადრილით. შემოვლა მისთვის აი აქ და აქ,— მან საათს დახედა და განაგრძო:— სხვათა შორის, ისინი უკვე მიემართებიან. შემდეგ, არტილერიის საჰაერო ნახტომი აი ამ ადგილებში და ქვეითი ჯარის სწრაფი შეტევა იმ მიმართულებით, რომლითაც თქვენ გუშინ მოქმედებდით.

მათ ზურგს უკან საკერავი მანქანასავით რაკრაკი გაჰქონდა ავტომობილზე დადგმულ პატარა რადიოსადგურს.

— დიარ, მე ადრე დავიწყე,— სთქვა ჩენმა.— ჩენი ბიჭები ჯერ ვერ შეეჩვივნენ დიდ მასშტაბებს. ეს ვერ გავითვალისწინე.

— ვის დაუმთავრებია წარმატებით პირველი ბრძოლა?.. ფრანგები ამბობენ—მხოლოდ უროს ქნევაში იწრობა მკედელიო. სად უნდა იყვნენ ამჟამად თქვენი რაზმები?—ჰკითხა შერშავინმა.

— ვფიქრობ, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენები შეჩერდნენ სადმე ქალაქის სამხრეთით ან თვით ქალაქში. თქვენ იცნობთ პარტიზანების შეუმჩნეველად მიპარვის გასაოცარ მანერას.

— ოო!

... გლახთა რაზმების მონაწილენი მართლაც განაგრძობდნენ ბრძოლას. ჩენი ამას არ მოელოდა.

ღრმა ორმოებში ჩასაფრებულნი, ბუჩქებს ამოფარებულნი ისინი შაშხანებს ისროდნენ, იერიში მიჰქონდათ ცელებით და დანებით, თავს იმკვდარუნებდნენ და მერე უკანიდან ესხმოდნენ. ისინი გარშემორტყმულნი იყვნენ, მაგრამ არაფრისათვის არ უნდოდათ სიკვდილი. წინ უშვებდნენ ტანკებს, შემდეგ თავზე ახტებოდნენ მათ და ქუჭრუტანებში სჩრიდნენ ყუმბარებს. იაპონელთა მუნდირებს იცვამდნენ და უკანიდან თავს ესხმოდნენ იაპონელ ჯარისკაცებს. იმალებოდნენ ბალებში, თხრილებში, ხიდებქვეშ, იპარებოდნენ ქალაქის ქუჩებში, თავს აფარებდნენ ქალაქის გარეუბნებში მდებარე ფანჯებს.

და აი მათი გაათვრებული ბრძოლის უმწეო და უბადრუკ ველს თავზე გადაუქროლეს მეორე ავიოდესანტის ყუმბარმტყორცნებმა. ბევრმა პარტიზანმა ვერ გაიგო, რაში იყო საქმე, და უკან იბრუნა პირი. სხვები თავგზაბნეულები ქალაქისკენ გარბოდნენ ყვირილით, ტირილით და სროლით. მათი უწესრიგო ბრბო აწყდებოდა მოწინააღმდეგის მებრძოლ მწკრივებს, მკერდს უშვერდა მტრის ტყვიამფრქვევებს, დანებით იბრძოდა ქალაქის შესახვევებში. ავიოდესანტის სატანკო კოლონამ გაუსწრო მათ ცენტრსა და სადგურთან. იაპონიის გარნიზონი რკინისგზისაკენ მიეშურებოდა. ჩქარობდა ვაგონებში ჩაჯდომას. კვლავ გამოჩნდნენ ყუმბარმტყორცნები, ხოლო მათ გამაყრუებელ ტალღას უკან მიჰყვნიან და არეულ, გონებადაკარგულ ნაწილებში უსიტყვოდ შეიჭრნენ შერშავინის ბატალიონები.

ბატალიონები მხარდამხარ მიდიოდნენ და თან ისეთი ძალა მიჰქონდათ, რომელსაც შეეძლო მთების დაძვრა ადგილებიდან. მი-

ცოცავდნენ, მირბოდნენ და კვლავ მიდიოდნენ. მუზარადები გვერდზე მოეგდოთ, ფარაჯები წელამდე აეწიათ. იაპონელები, რომელთაც გასაქცევი გზა არა ჰქონდათ, სასტიკი ცეცხლით შეხვდნენ მათ.

ჯერ პატარ-პატარა ჯგუფებად გაბნეულნი, წითლები თანდათან და ფრთხილად მკიდროვდებოდნენ ცოცხალ კედლებად, ხოლო როდესაც მოწინააღმდეგემდე მიაღწიეს, გაათრებულ და სასტიკ ნიაღვრად მოედნენ მტრის რიგებს, დაბლა დახარეს ხიშტები და პირველად შესძახეს—„ურა“. ეს სიკვილზე უფრო საშინელი სანახაობა იყო.

ერთ-ერთ პირველ ტალღაში მყოფი ჩენი მიცოცავდა. მიწას მკიდროდ მიკრული, და ცდილობდა თავი მაღლა არ აეწია. წინსვლა მეტად ძნელი იყო და ნებისყოფას აღუწებდა. მაგრამ აი მის წინ ვიღაცამ ველარ მოითმინა და ათიოდე ნაბიჯი გაირბინა, მას მიჰყვა მეორე, მესამე. დაუცველი სივრცის შიში მიავიწყდათ: მათ უნდოდათ ყვირილით და სიმშაგით გაერბინათ ეს განიერი მინდორი. მაგრამ შერშავინმა კვლავ გააწვინა ისინი და კვლავ ნელი ცოცვით წაიყვანა, სანამ ხალხი კვლავ არ წამოხტა და არ გაქანდა, სიბრაზით აკანკალებული. ახლა მათი შეკავება აღარაფერს აღარ შეეძლო. გარბოდნენ არა სწრაფად, მაგრამ საზარლად, მათი სიბილი მკვეთრი, სასტიკი, დაუძლეველი იყო.

ყველაფერი, რასაც სიცოცხლე სწყუროდა, უნდა გამჭრალიყო მათი გზიდან.

შერშავინი, რომელიც ერთი საათის წინათ ხალხის აღტყინებას აკავებდა, ახლა უკიდურესამდე ძაბავდა მას. მან თავისი ბატალიონებით ქალაქს შემოუარა. აიძულა მოწინააღმდეგე ერთხელ კიდევ ჩაბმულიყო ხელჩართულ ბრძოლაში იქ, სადაც იგი რკინისგზაზე გადიოდა, მუსრი გაავლო ვაგონებთან თავმოყრილ ეშელონებს, გაფანტა კავალერია და მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როდესაც იგრძნო, რომ თვითონ მას არაფერი აღარ შერჩენოდა უკანასკნელი სუნთქვის მეტი. მაშინ ტორტმანით შეაჩერა ხალხი და უკანასკნელად გაუშვა ტანკები,

დღე იწურებოდა, მაგრამ გათენებისას დაწყებული ოპერაცია ჯერ კიდევ გრძელდებოდა. უკანასკნელად საქონლის სადგური

აიღეს. შერშავინი თვითონ წარუძღვა ბატალიონებს იერიშის მისატანად. დაჭრილებს ფარდულში აწვენდნენ, ბრინჯის ტომრებზე, მაგრამ ისინი კვილითა და კვნესით აქეთ-იქით მიფოფხავდნენ — ტომრებს მოხვედრილი სასკდომი ტყვიები ისეთი ძალით ჰფანტავდნენ მაგარ მარცვლებს, რომ დაჭრილებს კანი უსკდებოდათ. ყველას სახე დასისხლიანებული ჰქონდა.

სადგურზე ფქვილის მტვერი კვამლის საბურველივით იდგა.

ჩენი მხარში იყო დაჭრილი და ცდილობდა ისე შეეფუთნა იგი, რომ არ მოეწამლა. შემდეგ გასისხლიანებულ კრილობას ცომი დააკრა, როგორც ირგვლივ ყველა იქცეოდა. დიდხანს ეგდო ჩენი ტალახში, ვიდრე იუ-შანმა არ მოსძებნა.

კრილობა-შეუხვეველი ჩასვეს იგი მტრედისფერ, ახლა უკვე მრავალ ადგილას ჩამოფლეთილ როლს-როისში და საჰაერო ამბულატორიაში წაიყვანეს. გაიარეს ის ადგილები, სადაც ბრძოლა იყო. სახლებს ბოლი ასდიოდათ, სახურავებიდან გამვლელებს ესროდნენ, ხალხი ჩანთებით მოედნებზე იჯდა, მაგრამ ომი უფრო და უფრო ღრმად და გაათრებით იჭრებოდა ქალაქში, უფრო და უფრო მატულობდა ხმაურობა და გაცხოველება. ჩენმა ფანჯრიდან დაინახა:

ავიტატორები აფიშებს აკრავდნენ:

„ღღეს საღამოთი მშრომელები მიიღებენ 20.000 ტომარა ცერცეს. თან უნდა იქონიონ ტომრები“.

აგურის მაღალი სახლის კედელზე წარწერილი იყო: „ავიტატორები“, და ტყავის ქურთუკიანი ჩინელი ქალი როიალზე უკრავდა ქუჩაში, სახლის წინ.

„ხვალ უკლებლივ ყველას დაურიგდება ნავთი“.

ქუჩების გზაჯვარედინებზე მონტიორები რადიოსაყვირებს სდგამენ, და უკვე გაისმის ნაზი სიმღერის რაკრაკი, რომელსაც ტაში სწყვეტს.

ღიად, ღიად, ეს ღიადი, კეთილშობილი ომია. მისთვის ცოცხლობდა და ვაჟკაცდებოდა ჩენი.

... ახალგაზრდები ცარციით ნიშნებს ხაზავდნენ კედლებზე, პატრულებს ცენტრალურ მოედნისაკენ მიჰყავდათ მოლაღატეები და ჯაშუშები. ბაღში, სადაც ხუთი ათასი დაჭრილი იყო, მომღერლები

მღეროდნენ. ისინი საფრენოსნო კომბინეზონებში იყვნენ და ხელში ნოტებთან ერთად აირწინალები და მუზარადები ეპირათ.

აეროდრომზე, ქალაქ გარეთ, თვითმფრინავებთან ტყვეებსა და დაპირილებს აღრიცხავდნენ და გასტუმრების წინ ჰკვებავდნენ. როდესაც რიგი ჩენზე მიდგა, მან უარი სთქვა ზურგში გადაფრენაზე და დატოვებულ იქნა საევაკუაციო პუნქტის კარავში.

უფრო მოგვიანებით მიიყვანეს ფეხებში დაპირილი ტაი-პინი, შეუხვიეს ქრილობა და ჩენის გვერდით დააწვინეს. სალამოთი დაპირილები ინახულეს სტუმრებმა—სახალხო ფრონტის გირინის ლიგის თავმჯდომარემ. და სახალხო-რევოლუციური პარტიის ორმა წევრმა.

— დეე ჩენს შეხვედრას პლენუმი ეწოდოს,—სთქვა თავმჯდომარემ. — ხვალ ჩენს გაზეთში დავბეჭდავთ.

გირინი აიღეს, მაგრამ ბრძოლა სხვა მხრით წარიმართა. იგი მავთულებით მიჰქროდა ჩრდილოეთისაკენ, ეთერით მიისწრაფოდა სამხრეთისაკენ, რკინისგზით მიექანებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ. გირინის თავზე ჩინეთის დროშა ფრიალებდა. არმიები მიწვნენ დასასვენებლად, და ომი სოფლებსა და ფანზებს მოედო, იჭრებოდა. ყოფა-ცხოვრებაში და იბუდებდა სულსა და გულში.

გირინის ლიგის თავმჯდომარემ ითხოვა, არ გაეგზავნათ ჩენის დაპირილი პარტიზანები რუსების ზურგში, არამედ წაეყვანათ ისინი მახლობელ სოფლებში, რადგან მას სჭირდებოდა ავიატორები, მიწათმოქმედების რწმუნებულები, სასოფლო რაზმების მეთაურები და მდინარეების გადასასვლელების მამასახლისები.

ჩენს უნდოდა დაეცადა იუ-შანისათვის და მასთან ერთად გადაეწყვიტა სახალხო ფრონტის ლიგის თავმჯდომარის თხოვნა. იგი შეუდგა გირინის ამბების გამოკითხვას, მაგრამ სწორედ ამ დროს იუ-შანიც გაჩნდა. დიდმა გამარჯვებამ დააბნია იუ-შანი, მას აშკარად ეშინოდა ამ გამარჯვებისა. იუ-შანს ძალზე მოეწონა დაპირილთა სოფლებში მიმალვის წინადადება. მან განავითარა ეს წინადადება და მხარი დაუჭირა იმას, რომ მწყობრში დარჩენილი მთელი კადრი გაეყვანათ მდინარე უსურის ველში, ქალაქის აღმოსავლეთით.

— ის კი, თუ რა ვუყოთ იმათ, ვისაც იარაღის ხმარება შეუძლია, დესანტის მეთაურმა უნდა გადასწყვიტოს,—სთქვა ჩენმა და დაუმბატა, რომ თუნდაც შერშავინმა არ მოითხოვოს პარტიზანების გირინში დატოვება, მაშინაც უმჯობესი იქნება დაველოდოთ ტანის აზრს, ის არ დააყოვნებს პასუხს მუკდენიდანო.

— იაპონელები მუკდენიდან უნდა გავაძეოთ,—სთქვა იუ-შანმა,—ხოლო დაჭრილები სოფლებში გავგზავნოთ. ეს სწორია.

მოვიდნენ გლეხთა პარტიის „წითელი ნამგლების“ წარმომადგენლები. მათაც მოითხოვეს—მოგვეციოთ სამას-ოთხასამდე დაჭრილი. მოვიდა სამი ქარხნის დელეგაცია. ისინიც დაჭრილებს მოითხოვდნენ. ქარხნები მუშების ხელში იყო და ემზადებოდნენ ევაკუაციისათვის იმ შემთხვევაში, თუ იაპონელები კონტრშეტევას მოახდენდნენ. მათ სჭირდებოდათ გამოცდილი მებრძოლები.

არსებითად ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყებოდა მთელის ძალით, რასაც ხალხის საქმეში ჩარევა იძლევა.

ჩენმა გადასწყვიტა გირინში დარჩენილიყო და მარტო ტაიპინი წაეყვანათ, მაგრამ შერშავინმა დაჟინებით მოითხოვა ყველა მძიმე დაჭრილის ზურგში გადაყვანა. მაშინ გადასწყვიტეს ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის დაეტოვებინათ მხოლოდ მსუბუქად დაჭრილები, იუ-შანისთვის კა ნება დაერთოთ მოეხდინა რეიდი უსურის ველში, თუ ერთი დღე-ღამის განმავლობაში არ მიიღებდა ტანის დირექტივებს მუკდენიდან.

შერშავინმა სამი დღის შემდეგ, როდესაც მიწასთან გაასწორა გირინის სარკინისგზო კვანძი და ხუთასი ნაღმი ჩასდო უმნიშვნელოვანეს გზებზე, ზემოუსურისკენ გაგზავნა ჩენისა და იუს რაზმები.

გზაზე მათ ხვდებოდნენ დაჭრილი პარტიზანები და გლეხთა ლაშქრის გაჭიმული საბარგულებები. ჯორები მიათრევდნენ გაფუჭებულ ტანკებს და რკინის ნამტვრევებით დატვირთულ ურმებს. ქალებს ნავთი მიჰქონდათ. სოფელში, გირინიდან ასი კილომეტრის მანძილზე, მკედელი დაღეწილ სატვირთო მანქანის მოტორს აწყობდა და ტრაბახობდა, მე თვითონ გამოვიგონე, როგორ უნდა ავამუშაოთ მანქანა ერბოს სახდელ ქარხანაშიო.

ხალხი ომში ებმებოდა.

ის, ვინც დაჰკარგა ხელი და ფეხი ან ორივე ფეხი-
და ორივე ხელი, ისევე მესაჭიროება, როგორც ხელფე-
ხიანი. ვერ დავსვამ სასოფლო კომიტეტებში ისეთებს.
რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენიათ მწყობრში ბრძო-
ლის უნარი.

ო ს უ დ ა

ჩვენს ომში კუტები არ იქნებიან. ადამიანი მხო-
ლოდ მაშინ არის მკედარი, როდესაც თავი აქვს მოგლე-
ჯილი. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ის არაა ჰკარგავს
ღირებულებას. ბრძეები უფრო გამოცდილი რადისტები
არიან, ვიდრე თეალბილულნი. უფებონი არ ჰკარგავენ
მკერმეტყველობას ფეხებთან ერთად, უხელონი არ ხდე-
ბიან უფრო ცუდი ორგანიზატორები.

ვ ა ნ ს ი უ ნ - ტ ი ნ ი.

ჩემთვის ასპარეზი, სადაც მე ვიბრძვი, ორგანიზა-
ციის ასპარეზია.

ჩ ე ნ ი

ნ ა წ ი ლ ი მ ე ხ უ თ ე .

რომელიც შეიძლება ახალი წიგნის დახაწყისი იყოს

ქ ა ლ ა ქ ი ს ე ნ - კ ა ზ ა ი ა მ ა

I

ვლადივოსტოკი ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს იაპონელთა თავდასხმისაგან. მის ვიწრო ქუჩებში სახლების ნანგრევები ეყარა, ზღვის ყურე ნაღვლიანად გამოიყურებოდა.

ვლადივოსტოკს იქით, გორაკებში, ხშირად ხანძრები გიზგიზებდნენ, თითქოს მომთაბარეთა ძალოვანი თაობა კოცონებს აჩაღებსო უღრან ტყეებში. ქალაქს გარეთ. მაგრამ ტყეში არავინ იყო. იგი თავისით იწოდა.

ოსუდამ ძლივს მოასწრო თვალის გადავლება ვლადივოსტოკისათვის, რომ გაეშურა სუჩანის ველისკენ, პატარა ქალაქსენ-კატაიამაში, რომელიც ჯერ არ იყო რუკაზე აღნიშნული. შლეგელმა, რომელიც ახლა მიხაილ სემიონოვიჩის მაგიერობას ეწეოდა, დეპეშით აცნობა ოსუდას, რა უნდა გაეკეთებინა. იგი ახალი ქალაქის შენებას უნდა შესდგომოდა.

ნათელი, მოციმციმე დილა იყო, ყველაფერი კაშკაშებდა მზის სხივებზე. ნაზად და თითქოს სურნელოვანად ბრწყინავდნენ ხეები და სახურავები. გორაკები და ზღვა. ვარვარა ხლებნიკოვას იალქნიან გემებზე ტვირთავდნენ ამფიბიებს. მეორე მექბრივადის სახელოვან მანქანებს, რომელთაც ოლგას ყურეში იაპონელთა დესანტი მოიგერიეს.

ლენინის ქუჩაზე ნაღმები ეყარა, გავლებული იყო სანაღმო ქსელი. წითელფლოტელები იაპონელთა ყუმბარებით გადათხრილ ქვაფენილზე საქმიანად ფუსფუსებდნენ ამ ნაღმებთან.

ბევრ სახლს მინები აღარა აქვს. აქა-იქ კედლები გამონგრეულია. სასადილო მაგიდა თუ საწოლი უმწეოდ გამოიყურება ქუჩაში. ყველგან აირსაფრებიან—თავდაცვა-ავიაქიმის პუნქტები, სახვევი და

ქიმიური ბიუროები. სახლის კედლები აკრელებულია ინსტრუქციებით იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მოქალაქენი განგაშის დროს. გზაჯვარედინებზე დგანან მილიციონერები აირწინალებში.

ოსუდამ აეროდრომს მიაღწია. იგი ძლივს ამჩნევდა ქალაქს. ფიქრობდა იმ საქმეზე, რომელიც მას მოულოდნელად დააკისრეს. ჯერ კიდევ სუსტად გრძნობდა თავს და მანჯურიაში წასვლა, რასაც ცენტრალური კომიტეტის მოწერილობა ავალებდა, აშკარად არ შეეძლო, რადგან იქამდე ვერ მიაღწევდა.

მაგრამ არც შლეგელის წინადადება მიაჩნდა ადვილ საქმედ.

— აშენეთ, აშენეთ! — ეუბნებოდა სამი დღის წინათ ოსუდას ეს ლამაზი, ჭაღარა და ღაუღაჟა კაცი. — ომი არის მშენებლობა წარმოუდგენლად გაძლიერებული სიკვდილიანობის პირობებში და თან მეტად რთული მშენებლობა.

შლეგელი უბის წიგნაკს ფურცლავდა და თვალმოჭუტული თავეს იქნევდა:

— ძალიან რთული რამეა ეს წყეული...

— რა უნდა დამავალოთ?

ოსუდას უნდოდა განემარტა, რომ ის გამოუცდელი სამეურნეო მუშაკია და უმწეო მშენებელი.

— ქალაქი უნდა ააშენოთ. — მოკლედ უპასუხა შლეგელმა და თავისი მშვიდი და კეთილი თვალები მიაპყრო. — პირველ ხანებში შეიძლება გავითვალისწინოთ ორმოცდაათი ათასი მცხოვრები. ორმოცდაათი ათასი, სამოცდაათი ათასი.

— ქალაქი?

— ნუ შეშფოთდებით. ის ჯერ არავის არ აუშენებია, ასე რომ არავინ არ იცის, როგორ უნდა აშენდეს. თქვენ პირველი იქნებით. აი მე როგორი ქალაქი მაქვს მხედველობაში...

და მან უბრალოდ, სულ მოკლედ დაუსახა მშენებლობის გეგმა.

— ამჟამად მე, თხუთმეტი ათასი იაპონელი ტყვე მყავს — ეს ერთი, ექვსი ათასი ჩინელი ტყვე მანჯურიის არმიიდან — ეს ორი, ორი ათასი კორეელი ტყვე — ეს სამი. გასაგებია? ნუ დაჰკარგავთ ტყუილ-უბრალოდ დროს, ისინი შეგნებულ ადაშიანებად უნდა გადააქციოთ.

— მერე, როგორ, როგორ?

— ჩვენ იქ ცოტა რამ დავიწყეთ. აი მიხვალთ და ნახავთ. ახლა იქ საქმეს განაგებს ლეიტენანტი ცოი, მაგრამ ახალგაზრდაა, ჩქარობს, საჭიროა გამოცდილი კაცი.

გამოთხოვებისას შლეგელმა უთხრა:

— გადავწყვიტეთ ქალაქს სენ-კატაიამა დავარქვათ. რას ფიქრობთ?

— მაშასადამე, ქალაქი უკვე არსებობს?

— ჯერ რა ქალაქია!.. წადით, ჩაებით საქმეში და გვაცნობეთ. როდის მოვაწყობთ დღეობა. ქალაქს ზეიმით გავხსნით.

სენ-კატაიამაში ოსუდას დახვდნენ ჩერნიაევი და ლეიტენანტი ცოი.

— თქვენს განკარგულებაში ვართ გამოგზავნილი, — უთხრეს მათ.

ქალაქი უკვე ფუსფუსებდა ტაიგაში. ხის ბარაკები და ორსართულიანი კოტეჯები ექვსი ქუჩის აქეთ-იქით იყო ჩამწყობებული. ქალაქის ცენტრში მეტროპოლის სახლი იდგა, მაგრამ კინო და თეატრი ჯერ მხოლოდ ქალაქის იღვანე იყო აღნიშნული. მოსკოვიდან ჩამოსული იაპონიის მკოდნენი ემზადებოდნენ ლექციების წასაკითხად ქონებსა და კარავში.

გზატკეცილის მახლობლად, ქალაქს გარეთ, ამთავრებდნენ დიდი საავადმყოფოს კორპუსს და ანგარის მსგავს საინვალიდო სახელოსნოს შენობას.

ქუჩებში ტრაქტორები იდგა, გუთნები ეყარა. თავისუფალი მიწა მოხნული და დათესილი იყო. ფართო კარვებში შუამოედანზე გაზეთები იბეჭდებოდა. კორეელი, ჩინელი და იაპონელი დაჭრილები საბეჭდ დაზვებთან იდგნენ და ერთად იმეორებდნენ მეტრანაპაყებისა და კორექტორების შენიშვნებს.

ოთხი ქუჩა იაპონელებისა იყო, მეხუთე — კორეელებისა, მეექვსე — ჩინელებისა. ვან სიუნ-ტინის დაჭრილი პარტიზანები შუან-შენის პარტიზანებს უძმობილდებოდნენ, ისინი ყველანი ტყვე იაპონელებს ეცნობოდნენ.

— ძალზე საინტერესოა! — ამბობდა ჩერნიაევი, როდესაც ოსუდასთან ერთად ათვალიერებდა ამ უჩვეულო მოსახლეობას. რომე--

ლიც უკვე დაობდა სოიას ალების მეთოდებზე. — თქვენ, ამხანაგო ოსუდა, პირდაპირ მითხარით, რა არის საჭირო: მკედრებს წამოვაყენებ და გასაკეთებელს გავაკეთებ.

პირველ დღესვე გაეგზავნა რადიოგრამები მარჩენკოს, შლეგელს, ფრატკინს, ლუზას და დივიზიის მეთაურს ნეიმანს.

ქალაქ სან-კატიაიმასკენ დაიძრნენ ომში დაზარალებული ტანკები და ავტომობილები. ისინი, ვინც ეს მანქანები დაამტკრია, ენერგიულად შეუდგნენ მათ შეკეთებას. ზოგმა ღორების მოშენებას მიჰყო ხელი, ზოგიც თევზის ჭერის სეზონისთვის ემზადებოდა.

ქალაქის ქუჩების ბოლოში მოწყობილი იყო ყვავილნარები, ბოსტნები, საღორეები, სამჭედლოები, ბადის საქსოვი სახელოსნოები.

ვლადივოსტოკის პოლიტექნიკუმიდან მოათრევდნენ თევზის, ნიადაგისა და მადნეულის კოლექციებს. პროფესორი ზეიაგინი ბარაკებში უჩვენებდა ხალხს ელექტრობადით თევზის ჭერას. ჩამოიყვანეს შიშისაგან ფერდაკარგული ივერცოვა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — ლულულულებდა იგი და ფრთხილად უვლიდა გვერდს გამხდარ, დამფრთხალ და ყურებდაცქვეტილ იაპონელებს, რომელნიც გულდასმით ათვალიერებდნენ ყველაფერს.

ოსუდამ განკარგულება გასცა, აეგოთ სენ-კატიაიმას გარეუბანში საბჭოთა კვარტალი, და იგი ჯერ კიდევ მოთავებული არ იყო, რომ კარვებში, ბარაკებს შორის, ჩაასახლა ქვეითი ჯარის ბატალიონი, ცხენოსანთა ესკადრონი და სატანკო ოცეული. მათ მონაწილეობა მიიღეს ვლადივოსტოკისათვის ბრძოლაში და ახლა დასასვენებლად გამოგზავნეს. მათი ორკესტრები დილიდანვე აღვიძებდნენ ქალაქს, და ვან სიუნ-ტინის დაჭრილი პარტიზანები გენერალ ორისაკას გვარდიის დივიზიის იაპონელებთან ერთად დილა ადრიან გარბოდნენ კარვებისაკენ სამხედრო ყოფა-ცხოვრების სანახავად და განცვიფრებაში მოდიოდნენ ამ ყოფა-ცხოვრების უბრალო სასწაულების გამო, თითქოს მათ არასოდეს არ ენახათ არც ყაზარმები, არც ასეულის სამხედრო ვარჯიშობა, არც პატაკები. თუმცა ასეთი რამ არც ერთ მათგანს არასოდეს არ ენახა და ვერც ნახავდა: ბატალიონები მიწას ხნავდნენ, ქსოვდნენ თევზის საქერ

ბადეებს, დაობდნენ იმაზე, თუ რომელი ბოსტნეული უკეთ გაიხარებს ამ სუყ მიწაზე, და მკვირცხლად თამაშობდნენ ფეხბურთს ყველანი ერთად, მეომრებიც და მეთაურებიც.

ეს იყო ქალაქი-მიტინგი, ახალი ომის დიადი, არაჩვეულებრივი ქალაქი. ჯარისკაცები, რომელთაც ბრძოლაში განცდილი საშინელება ახლაც ჟრუანტელს ჰგვრიდა, აქ ადვილად იხსენებდნენ, რომ ისინი მუშები, შინამრეწველები ან გლეხები არიან. სალამობით უზარმაზარ კოცონებს აჩაღებდნენ პირდაპირ ქუჩებში, სახლების წინ, და იწყებდნენ ცხოვრებაზე მსჯელობას. კოცონებთან გროვდებოდნენ თვისტომობის ან ქარხნებსა და ფაბრიკებში ნაცნობობის მიხედვით. კოცონებთან თავს იყრიდნენ აგრეთვე ლექტორები თავიანთი მოძრავი სამკითხველო-ხელსაწყოებით.

ორივე ხელში დაქრილმა სამხედრო ინჟინერმა ზვერიჩევმა ერთ-ერთ კარავში გახსნა ქუჩაში ბრძოლისა და ქუჩებში საფორტიფიკაციო სამუშაოების კურსები.

ზვერიჩევმა ორი თემა აირჩია: „აჯანყებას იწყებენ იუბარინის ქვანახშირის მალაროები“ და „რისი გაკეთება შეუძლიათ იავატის სარკინიგზო ქარხნებს შეიარაღებული აჯანყების დროს“.

შორეული ჩრდილოეთიდან მოდიოდნენ ევენკები და ჩუქჩები გავრილა იანკოვის მეთაურობით, ნანაელები დემიდოვის მეთაურობით. შორეული ჩრდილოეთის ყველა ხალხმა გადასწყვიტა, მონაწილეობა მიეღო ომში, და საომრად გამოგზავნეს ყველაზე ჰკვიანი და პატივცემული პირები საუკეთესო ძალებით, ირმებით და ნაგებით.

სამხრეთიდან კი, ზღვის პირად მდებარე კორეიდან ვარვარა ხლებნიკოვას მოჰყავდა კორეელი გლეხები და კორეელი ქალები ბავშვებითურთ. ისინი იაპონელთა ჩაგვრას გამოეჭყენნ. ხოლო დასავლეთიდან, ბაიკალიდან, თვითმფრინავებთ ჩამოვიდნენ მონღოლები მახრჩობელა გაზებისაგან გაფითრებული სახეებით. სენ-კატაიამაში ჩავიდა აგრეთვე ოლგა ხლებნიკოვა დაქრილ მონღოლთა ქარავანით.

— ჩემო ძვირფასო, აქ ხომ ნამდვილი ჯოჯოხეთია! — მიაძახა მას შეშინებულმა და თან ალტაცებულმა ივერცოვამ. — Vous

savez, ma chérie,¹⁾ ისინი ცუცუაობენ. წარმოიდგინეთ, ყველა პირველი ჯილდო მათ მიიღეს!

მართლაც საცეკვაო სკოლაში ეკიდა სამი ჯილდოსნის სურათი: ორი ბრგე სახის იოკოგამელი მეთევზისა და ერთიც მელითონისა კორეიდან.

ოლგა ივერცოვასთან ჩამოხტა, და ჯერ კიდევ არ მოენახათ მისთვის ცალკე ოთახი, რომ ეწვია მეთაური ცოი, თევზის სარეწაობის მუშაკთა საერთო-საქალაქო სექციის თავმჯდომარე.

— თევზი უნდა მოვაშენოთ!—მოკლედ წარმოსთქვა მან მისალმების შემდეგ, როგორც ბედნიერების ერთგვარი პაროლი.

ეს იყო ოლგას პირველი ლექციის თემა.

წყალსატევები უკვე აგებული იყო. ლაბორატორია მოეთავსებინათ ორ პატარა ფარდულში, ზვერიჩივის კათედრის გვერდით.

ოლგამ პირველი შეხვედრა სტუდენტებთან მეორე დღის 9 საათისათვის დანიშნა.

— არ შეიძლება,—სთქვა ცოიმ. — ცხრაზე კლასობრივი ბრძოლის ისტორია გვაქვს.

— ათზე?

— ათზე—შეიარაღებული აჯანყების სტრატეგია და ტაქტიკა.

— მაშინ თქვენ დაასახელეთ დრო.

— ნოლი საათი ოცდაათი წუთი,—მიუგო ცოიმ. — სხვა დრო არა გვაქვს. ოთხი ჯგუფი იქნება, ორმოც-ორმოცი კაცი, ოთხი მთარგმნელი გვეყოლება.

სალამოთი, როდესაც ოლგა ლექციების საკითხავად გამოყოფილ კარავს უახლოვდებოდა, ცოიმ შესძახა: „სმენა!“ და ეს ბრძანება ოთხ ენაზე გაიმეორეს.

— ამხანაგო ლექტორო! მეთევზეობის ტექნიკუმის მსმენელები, რიცხვით ორას სამოცდა ერთი კაცი, მზად არიან მეცადინეობისათვის.

ოლგამ გადაშალა ცხრილები და დიაგრამები.

1) იცით, ჩემო ძვირფასო.

2

ქალაქი ადრე იღვიძებდა. ცისკრის მაგიერობას რადიო ეწეოდა. ყველა ჩქარობდა დროზე გამოღვიძებას, რომ მოესმინა ახალი ამბები ფრონტიდან. ვიდრე ოთხი კაცი ოთხ ენაზე არ გაათავებდა თავის მოხსენებას, დილას დილად არა სცნობდნენ. დილა იწყებოდა ომის ამბების გადმოცემის შემდეგ. და ეს იყო ქალაქის ამინდი. როდესაც უკანასკნელი ამბების გადმოცემა თავდებოდა, იწყებოდა დღე.

პედაგოგები კათედრებისაკენ მიისწრაფიან. გარს შემორტყმულნი მთარგმნელთა ამალით, რომელსაც თან მიაქვს ლექციების მასალა—პლაკატები, ნახაზები და ცხრილები. ტყის მჩენავთა პარტიები ქალაქ გარეთ მიდიან. მჭედლები ქურებს აჩაღებენ. მებოსტნეები სიმღერას იწყებენ. თეთრ-ჩაჩიანი მზარეულები ცენტრალურ სასურსათო ბიუროსთან ფუსფუსებენ.

გაღვიძების შემდეგ რვა საათის განმავლობაში ქალაქი მიწყნარებულია. დაცალიერებული. მზარეულები საველე სამზარეულოებით ქალაქ გარეთ მიდიან, ქალაქ გარეთ მიდიან აგრეთვე მუსიკოსები. პროპაგანდაისტები. მთხრობელები. თეატრის მხატვარი წყნარად ამზადებს დეკორაციებს. ეს დეკორაციები მოფენილია მთელს მოედანზე ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სათეატრო შენობის წინ. ფოტოგრაფს სძინავს. კინოს ასუფთავებენ. სავაქრო ფარდულები ქუჩების გზაჯვარედინებზე დაკეტილია.

მაგრამ აი დღის სამ საათზე სან-კატაიამას თავზე, ჰაერში. შუშხუნა აეარდა და ქუჩებმა იმ წამსვე იცვალეს ფერი. ფოტოგრაფი უვე ატელიეშია. ფარდულები გაღებულია. კინოს მამასახლისი ოთხ ენაზე გაჰკივის დღევანდელი ფილმის სახელწოდებას. ცოფებს ჰყრის რადიო. ქალაქში ყოველი მხრიდან ხალხი იჭრება.

სენ-კატაიამაში არ არსებობს ყოფა-ცხოვრება, მძიმე ოჯახური ყოფა-ცხოვრება, და ადამიანი, თუ იგი ფეხზეა, გვიან ღამემდე ქუჩაში რჩება. ოთხის ნახევარზე ათი წუთით ყველაფერი ყუჩდება: გადმოსცემენ დღის ცნობებს ფრონტიდან. ხალხი შუაქუჩაში ჩერდება. კინოში სწყდება ფილმის ჩვენება, ფოტოგრაფი კლიენტებს აპარატის წინ სტოვებს. თვითონ კი ყურადღებით ისმენს ახალ

ამბებს. ექვსი საათიდან იწყებენ მუშაობას თვითგანათლების წრეები, რვა საათზე კი რადიოცენტრიდან ოთხ ენაზე ისმენენ მოხსენებებს.

საეკლესიო ფორმადან ახლად გამოსულმა გენერალმა ორისაკამ წაიკითხა მოხსენება სანჩაგოუსთან გვარდიის დივიზიის მოქმედების შესახებ. კამათში მოხსენების ირგვლივ გამოვიდნენ გვარდიის მებრძოლნი. ჩამოვიდა ყოფილი მასწავლებელი შუან-შენი, კორეის რევკომის თავმჯდომარე, და წაიკითხა მოხსენება: „როგორ გამოცხადდა სახალხო ძალაუფლება ჩრდილოეთ კორეაში“. მან შეარჩია აგრეთვე ომის ინვალიდები სამუშაოებზე წასაყვანად. ამხანაგმა უყურომ, ხარბინის ანტი-იაპონური ლიგის მეთაურმა, წაიკითხა ექვსი ლექცია მდინარე ნონის პარტიზანებზე და შეუდგა წიგნის წერას: „პანიკის ორგანიზაცია“. თავის წიგნს იგი ჰქმნიდა სიტყვიერად, ესაუბრებოდა ჩინელ პარტიზანთა სათვისტომოებს, გამოჰკითხავდა ტყვე იაპონელთა საპოლკო გაერთიანებებს. რადიომ წიგნის შინაარსი სენ-კათაიამის მთელ მოსახლეობას გადასცა როგორც საერთო ცხოვრებისა და საერთო შემოქმედების დოკუმენტი. როდესაც უყურომ წაიკითხა თავისი წიგნის ერთი თავი—„პანიკა ომთან დაკავშირებულ საწარმოებში“, სიტყვა ორასმა კაცმა მოითხოვა. დისკუსიამ ათ დღეს გასტანა. წასვლისას უყურომ თან წაიყვანა ოთხასი კაცი ტაივის პარტიზანული ქარხნებისათვის.

ოსუდა ამ არაჩვეულებრივი ქალაქის ცხოვრებას განაგებდა იმ კომპოზიტორისა თუ მხატვრის გატაცებით, რომლისთვისაც არაფერი არ არსებობს ქვეყნად იმ დრომდე, სანამ გონებაში ჟღერს ახალი მელოდია ან სანამ თვალწინ გადაშლილია განუმეორებელი ფერები, რომელთა ასახვა და ტილოზე გადაღება მთელი მისი სიცოცხლის საქმეს შეადგენს.

იგი აგებდა სახლებს, ამტკიცებდა სასწავლო გეგმებს, არჩევდა ხალხს უყუროსა და შუან-შენისათვის, აწყობდა შინამრეწველურ სარეწიოებს და სერიოზულად ფიქრობდა საკუთარ სასოფლო მეურნეობაზე. მაგრამ ქალაქის ცხოვრებას მაინც ხელოვნება და არა ხელოსნობა შეადგენდა.

სენ-კათაიამა წარმოადგენდა უდიდეს სამოდულო სახელოსნოს, რომელიც დაბეჩავებისა და უვიცობის გულისშემზარავ ნარე-

ვიდან, როგორც იყვნენ იაპონელი ჯარისკაცები და კორეელი გლეხები, ჰქმნიდა კარგად განვითარებული თავების მქონე მტკიცე და გაბედულ ადამიანებს.

ყველაფერი, რაც სენ-კატაიამაში არსებობდა, არსებობდა არა თავისი თავისთვის, არამედ როგორც სასკოლო საშუალება ან სახელმძღვანელო. და ოსუდამ, რომელიც ხალხით დაემორჩილა თავისი ქალაქის ხასიათს, დასწერა და წაიკითხა „მალაროელთა ფუშუნის აჯანყების ისტორია“.

მაშინ ოსუდასთან მივიდა იაპონელი ტყვე, ტყვიამფრქვეველი ხაისი, ქალაქის საბჭოს წევრი, რომელიც მუშაობდა თემაზე: „შრომა და უმუშევრობა ტოკიოს პრეფექტურაში“, და წინადადება მისცა—მოეწყოთ მოგონებათა წრე იაპონელთა, ჩინელთა და კორეელთა ყველა ოთხმოცდაცამეტ სათვისტომოში.

— არაფერი ისე არა ზრდის ადამიანს, როგორც ხმამაღლა მოთხრობილი საკუთარი გამოცდილება.

ოსუდა სავსებით დაეთანხმა და როდესაც იგი მუშაობის ახალი ფორმების დამუშავებას შეუდგა, მოვიდა ცნობა: შერშავინის ავიოდესანტმა ხელში ჩაიგდო იაპონიის ჯაშუში მურუსიმა, რომელიც საჯარო სამართალში მისაცემად სენ-კატაიამაში იგზავნებოდა. აღარ რჩებოდა დრო წრეებზე ან თიბვაზე საფიქრებლად. შლოგელს ყოველდღე ეგზავნებოდა ერთი და იგივე დეპეშა:

„ქალაქი ორგანიზაციის პროცესშია დაწვრილებით ფოსტით“.

მურუსიმას პროცესზე ოსუდამ გამოუძახა ვასილ ლუხას და ვან სიუნ-ტინს. ორივე დაჭრილი იყო. ისინი ვორკოშლოვოში იწვნენ. ამის გამო მათ დაიგვიანეს.

მოწმედ უნდა გამოსულიყო აგრეთვე პარტიზანთა ყოფილი მამასახლისი ტაი-პინი. მან ორივე ფეხი დაჰკარგა გირინთან ბრძოლაში. ახლა იგი ოსუდას თანაშემწე იყო ადმინისტრაციული ხაზით. ტაი-პინი იხვერწებოდა, შვებულებაში გამიშვითო.

— არ შემიძლია სასამართლოში იმის თქმა, რომ მურუსიმა უვარგისს ტყვიამფრქვევებზე გადავცვალე.

— რატომ არ შეგიძლია? ხომ გადასცვალე?

— გეფიცები, მომკლავენ. იქვე, სასამართლოში, მომკლავენ პარტიზანები.

--- ხომ გადასცვალე?

--- გადავცვალე, მაგრამ როდის მოხდა ეგ ამბავი! მაშინ ცუდი კაცი ვიყავი.

ქალაქის ყველა სათვისტომოში, ყოველ კოცონთან სწავლობდნენ და არჩევდნენ პროცესს, რადგან ასამართლებდნენ არა მოხუც მურუსიმას, არამედ ძველ წყობილებას, რომელმაც იგი წარმოშვა, და მურუსიმას სახელს ბევრი ბინძური და საზიზღარი სახელი დაემატა. მათი სახით ყოველი დამსწრე ასამართლებდა თავისი სიცოცხლის გამცემელსა და ჯაშუშს. მურუსიმა თავს იკატუნებდა, უბედურ და ყველასაგან მოტყუებულ ადამიანად გამოჰყავდა თავისი თავი. მისი სიტყვა მონანიებდას, აღსარებას წარმოადგენდა. იგი გულუბრყვილოდ და თითქოს არც კი გაეგება, რას სჩადისო, ამხელდა თავის პროფესიულ ამხანაგებს, თავის ჯერ კიდევ გამოუმჯლადებელ „პარიკმანერებს“, „მეგაზეთეებს“ და დაწვრილებით უამბობდა სასამართლოს იაპონიის ჯაშუშობის მეთოდებს აზიასა და ევროპაში. შავ ქურთუკში გამოწყობილი, ოქროს სათვალეებით, გამხდარი ქალარა მურუსიმა აზარტით ჰქექავდა უბის წიგნაკებს და ზეპირად მოჰყავდა ციტატები ბრძანებებიდან, თითქოს მას კი არ ასამართლებენ, თითონ იგი ასამართლებს ვილაცასო.

მურუსიმა იმ პროფესორს ჰგავდა, რომელიც ლექციას კითხულობს არაჩვეულებრივ აღმოჩენებზე. მურუსიმას პროცესზე სენაკტაიმაში მრავალი უცხოელი კორესპონდენტი ჩავიდა.

მურუსიმა თავს უკრავდა და უღიმოდა კორესპონდენტებს და ამით მეტად უხერხულ მდგომარეობაში ავდებდა ყველას. იგი ყურადღებით ეკიდებოდა თავის მსმენელებსაც და როდესაც დარბაზში ხმაურობა იწყებოდა, შეშფოთებული ამბობდა:

— ჩუმაღ. ჩუმაღ, მეგობრებო, ჩვენ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს.

ქალაქის ცხოვრება ჩაკვდა, და ოღვა პირველად აღმოჩნდა თავისუფალი. მისი გააფთრებული სტუდენტები დილიდან საღამომდე რადიოს უსმენდნენ, მსჯელობდნენ მურუსიმას ნალაპარაკევის გამო და მოითხოვდნენ ამ გახრწნილი ცხოვრების დაუყოვნებლივ მოსპობას. დიად, განაჩენი უკვე გამოტანილი იყო და მურუსიმას

მრავალსიტყვაობას აღარ შეეძლო მოვლენათა მსვლელობის შეცვლა.

ოლგამ ქუჩაში გაიარა, შეიხედა დაცარიელებულ „ომის მუზეუმში“ და უსაქმობისაგან ერთბაშად მოიქანცა. მრავალი პატარა და ძალზე საჭირო საქმე წამოიჭრა ამჟამად ყოველგვარი ფიქრისაგან თავისუფალ მის მეხსიერებაში. სენ-კატიამაში ჩამოსვლის შემდეგ ოლგას ყოფა-ცხოვრება უბრალო იყო, უფრო სწორად, იგი არ არსებობდა. ოლგა ათი საათის განმავლობაში ლექციებს კითხულობდა, შემდეგ შეილთან ატარებდა დროს და სრულიად არ გამოდიოდა სახლიდან. ცხოვრობდა კარაფაში, რომელსაც „ოკეანო-გრაფიისა და თევზმცოდნეობის კათედრა“ ეწოდებოდა.

უეცრად მოესმა შლეგელის სახელი. ოლგამ პირი იბრუნა. მის გვერდით დინჯად ჩაიარა ჩერნიაევემა, ოსუდას თანაშემწემ, ოდესღაც განსვენებული მიხაილ სემიონოვიჩის მდივანმა. ჩერნიაევი ვილატას ელაპარაკებოდა შლეგელის ჩამოსვლის შესახებ.

— ჩერნიაევი! — ხმამაღლა დაუძახა ოლგამ.

— იმაჟინე ვუ!¹) მე და სიმონმა ეს პრის ეხლა მოგიგონეთ. პაროლ დონერ²), იგი სასამართლოში დაგეძებთ.

ჩერნიაევი გასუქებულა, დარბაისლურად გამოიყურება, ისე უჭირავს თავი, როგორც უფროს კაცს.

— როგორ მოუახერხო სასამართლოში შესვლა?

— წადით პირდაპირ „მეომრის სახლში“ და უთხარით. ჩერნიაევემა გამომგზავნა—თქო, — მან მაგრა. შეარჩია მისი ხელი ირონიული ღიმილით. — საჭირო კი იყო ჩამოსვლისას ჩემთვის დაგერეკათ. ჩვენ შეიძლება აქ ასი წელი გვეცხოვრა და ვერც კი შევხვედროდით ერთმანეთს. აბა, უსსკა! სუარ! საღამომდე! სიმონმა სურპრიზი მოგიმზადათ.

„შლეგელი აქ არის და დამეძებს“, — ფიქრობდა ოლგა, როდესაც „მეომრის სახლისაკენ“ მიდიოდა. ლელავდა და რაღაც შიში ეპარებოდა. — ერთბაშად უნდა გამოვარკვიო ყველაფერი: როგორც ომის საქმე, ისე ის, თუ სად არის შერშავინი. იქნებ მოჰკლეს და იმიტომ დამეძებს შლეგელი“.

¹) წარმოიდგინეთ.

²) პატროსან სიტყვას გეზუნებით.

ოლგა უკვე ბრაზობდა. როგორ მოისწრაფოდა ომში, როგორ ჩქარობდა, რამდენი საქმე მიატოვა მოსკოვში, რა ჯოჯოხეთურად მუშაობდა ახლა, მაგრამ ქალაქმა სენ-კატაიამამ ყველაფერი დაავიწყა, მთელ ძალღონეს აცლიდა, აუძღურებდა, ბოლომდე ეუფლებოდა.

როდესაც ოლგა მოედანს გადადიოდა, სადაც გასაშრობად გამოტანილი დეკორაციები გაეფინათ, იგი გააჩერეს. ჩინელი დარაჯი სასწრაფოდ ანთავისუფლებდა გზას ტილოებისა და ფანერისაგან სატვირთო მანქანებისათვის, რომლებითაც ვილაცები მოდიოდნენ ხმაურითა და ღრიანცელით. ოლგას მოესმა ნანაური ლაპარაკი, დაინახა სევდიანად მოლიმარი მეტად ნაცნობი სახეები.

— ვინ არიან ესენი? — ჰკითხა მან დარაჯს.

— სტუმრება, — დინჯად მიუგო დარაჯმა. — მოდიან ევენკები და ჩუქჩები. გათენებისას მოველით კამჩატკელებს.

ოლგამ სწრაფად მოაგვარა შესასვლელი ბარათის მიღების საქმე და გაჰყვილა დარბაზში შევიდა.

იგი ფეხის თითებზე დგებოდა და ამოდ ცდილობდა მიექცია რომელიმე ადგილობრივი განმკარგულებლის ყურადღება. ბოლოს, როგორც იყო, კორესპონდენტთა ადგილისკენ გაიკვლია გზა. მუჩუსივამ, რომელიც დიდის ინტერესით უგდებდა ყურს ოსუდის საბრალმდებლო სიტყვას, ზრდილობიანად დაუკრა თავი. დარბაზში სიცილი გაისმა. შლეგელმა დაინახა ოლგა და ხელი დაუქნია.

— რა დაგემართათ? — ჰკითხა მან და გვერდით მოისვა.

— როგორ, ძალიან გამოვიცვალე?

— არა, ძალიან არ გამოცვლილხარ, მაგრამ განა აგრე იქცევინა? სამშობლოში დაბრუნდით და არავისთვის ერთი სიტყვითაც კი არ გიცნობებიათ: არც დედისთვის, არც ქმრისთვის, არც მეგობრებისთვის. ჩვენ კი გიგონებდით.

შლეგელის ხმაში ალერსი მოისმოდა, როგორც ოდესღაც, და საერთოდ მთელი მისი არსებიდან ალერსი გამოსჰქვივოდა.

— მაგის გადმოცემას დიდი ღრო უნდა... ვიცი, დედა ომშია, კომისარიც. ამ ქალაქს თავი ველარ დავადწიე, რომ ისინი მომენახა. აქ რაღაც ზენორმალური სამუშაო დამაკისრეს, გავიტანჯე, დავაქანცე და არაფერი არ ვიცი არც ომისა, არც ჩემიანებისა.

— ვომობთ ნელ-ნელა. თქვენმა შერშავინმა, მგონი, ორდენი დაიმსახურა—სინგისიუ აიღო მდინარე იალუს შესართავთან. ჰაერ რიდან. ხედავთ როგორია!

— მომაწყეთ მასთან, შლეგელ.

— საომრად? აქ ვინლა დარჩება? ვარეარას არ მოუწერია. ხვალ აქ იქნება?

— არაფერი არ ვიცი.

— დიალ, მოდის. მოჰყავს ათას ხუთასი კაცი, ობლები, კორეელები. დიდი საქმე გააკეთა მოხუცმა, დიდი საქმე. ინება ჩამოსვლა დემიდოვმაც, თქვენმა მამინაცვალმა, ძია იანკოვმაც. დღეს მოვათავებთ მურუსიმას საქმეს, ხვალ ქალაქის დღეობას მოვაწყობთ.

შლეგელმა ხელი მოხვია ოლგას, მხრებზე მოუთათუნა.

— გამოდის თითქოს თქვენი პირადი დღესასწაულია. ყველა თქვენი ნათესავია მოწვეული მეჯლისზე...

შლეგელი ოლგას შესცქეროდა, იღიმებოდა, მხრებზე უთათუნებდა. ოლგა გრძნობდა, რომ შლეგელს ჯერ კიდევ უყვარს, მაგრამ უკვე ძველი, ნათესავის შორეული სიყვარულით.

• მას მიხაილ სემიონოვიჩის მრავალი თვისება დაეცყო, თუმცა არც წინათ და არც ახლა იგი არა ჰგავდა განსვენებულს. შლეგელში თავი იჩინა რალაც მამობრივმა. იგი ათი წლით უფროსი იყო ოლგაზე, მაგრამ ახლა თითქოს ბევრად გაუსწრო მას ასაკით, თუმცა არ მოხუცებულა.

— კარგ ხალხს ამზადებთ აქ, ოლგა,—მადლობის გრძნობით წარმოსთქვა მან გამოთხოვებისას.—საუცხოვო ყმაწვილები იზრდებიან. რა ჰქვია აი იმ ლამაზ ყმაწვილს, შუბლზე ქრილობა რომ აქვს... თქვენ უნდა იცნობდეთ ყველას,—შლეგელი ღიმილით მისჩერებოდა ოლგას.—აგერ ის ახალგაზრდა იაპონელი, ლექციებს რომ კითხულობს... ჰო, ხაიასი!—გაიხსენა თითონ.—შესანიშნავა კაცია. და ასეთები ასობით არიან. აი რა არის სასიამოვნო არა, საუცხოო ამბავია, საუცხოო!—წარმოსთქვა მან და მაგრა ჩამოართვა ხელი ოლგას.—საუცხოო და ჩინებულა, არც კი მოველოდით. შერშავინზე ნაკლებად არ ომობთ.

— ეჰ, რა ომია ეს, შლეგელ!

— როგორ თუ რა?

შლეგელმა მაგრა მოუჭირა ხელი.

— ომს ისინი დაამთავრებენ, ვისაც თქვენ აღზრდით. გამარჯვებულნი ისინი გამოვლენ. განა თქვენთვის ეს ღღემდე ცხადი არ არის? თუ კიდევ რომანტიულ საგმირო საქმეებზე ოცნებობთ, მაშინ გამოიჩინეთ მეტი თავდადება თქვენი ლექციების დროს.

3

პოლარული ზღვის შორეული კუნძულებიდან ჩამოვიდნენ ჩუქჩები. ჩამოვიდნენ ევენკები და კამჩატკელები, ნანაელები ბენდი-ბუს დიდი სურათით. ისინი ომში მიდიოდნენ და შლეგელმა მათი გზა ქალაქ სენ-კატაიამასკენ წარმართა.

ფართოსახიან აუჩქარებელ მონღოლებს ხელში აეყვანათ და ისე მოჰყავდათ კორეელი ბავშვები იაპონელთა მიერ გაპარტახებულ მაზრებიდან. თითონ იაპონელები კონდრატენკოს არმიის შეტევის შემდეგ უკან იხევდნენ.

ტყვედ წამოყვანილი და დაჭრილი იაპონელები—ორისაკას მსროლელები და კადას ცხენოსნები ჩინელ პარტიზანებთან და ვინოკუროვის მემორებთან ხელიხელჩაკიდებულნი მოდიოდნენ. მოსწავლეთა მრავალეროვან კოლონებს წინ მოუძლოდნენ მოსკოველი პროფესორები. დაჭრილები მოჰყავდათ საავადმყოფოს საფარდლებით, მოძრავი საწოლებით და სამგზავრო ავტომობილებით. ოღვა მოუძლოდა ოკეანოგრაფიის შემსწავლელ მეთევზეებს. მის კოლონაში იაპონურ-ჩინურ-კორეული ლაპარაკი გაისმოდა:

ვასილ ლუზას და ვან სიუნ-ტინს მოჰყავდათ ვეფხვზე მონადირე მესაზღვრეთა ჯგუფები. ამ ჯგუფებს მოსდევდა იუკის აღების მონაწილე ორასი კორეელი პარტიზანი ქალი. მათ მძიმე ხენეშით მოუძლოდა ვარვარა ილინიშნა ხლებნიკოვა. იგი მალ-მალ ტუჩს იწმენდა თავსაფრით. ქალებს მოჰქონდათ ათი გამრუდებული და ცუდად შეღებილი ფანერის მსგავსი დროშა. ნამდვილად კი ეს იყო ტილო. ადამიანთა თბილი სისხლით შეღებილი იუკზე იერიშის მიტანის დროს.

კორეელ ქალებს მოსდევდნენ ახალა ქალაქის სპორტსმენები, პლანერისტები და მეპარაშუტეები, ტარასენკოვას მოწაფეები.

ხალხის თავზე ფრიალებდნენ წითელი ბანტებით მორთული რაზმების დროშები, ომის საწინააღმდეგო და ანტიფაშისტური ლოზუნგებით აკრელებული ტილოები და ქალაქის სათვისტომოების უბრალო ბაირალები ქალაქის საბჭოსათვის წარდგენილი განაწესის ტრანსპორანტებით.

„ნაგატო საკურაი გველოდება!“

„სამუშაოზე!“

„რევოლუციამ არ იცის ინვალიდები, გარდა სინიდისის ინვალიდებისა!“

„ყველა ფრონტზე! ომი ომს!“

მალა ეჭირათ ტანის, ნაგატო საკურაის. იუ-შანის, ოსუდას სურათები და პლაკატები სახალხო საქმისათვის დალუპულთა სახელებით.

ქალაქის გახსნაზე ყოველი მხრიდან მოვიდნენ სტუმრები. ახალ 219-ე მშენებლობიდან ჩამოვიდა მარჩენკო, მას ჩამოჰყვა საუკეთესო სტახანოველთა დელეგაცია. მათ ქალაქს ჩამოუტანეს სამი დაშლილი სახლი. ყოფილ 214-ე მშენებლობიდან ჩამოვიდა პარტიკომის ახალგაზრდა მდივანი მარქარიანი და ტრიბუნასთან გაამწკრივა „მარჩენკოს ხარისხის“ ახალი კიტრები, ტაიგის ბოსტნების პირველი მოსავალი.

ხაბაროვსკიდან ჩამოვიდა დაქრილი ჩენი, ეოროშილოვოდან—ყავარჯენებზე დაყრდნობილი პოლკოვნიკი ბოგდანოვი, შერშავინის ავიოდესანტისაგან—ლეიტენანტი ჩაენკო, მანჯურელ პარტიზანთა შტაბისაგან—იუ-შანი. სარკინისგზო კორპუსის მეთაური, ჩრდილოეთ კორეიდან მოფრინდა შუან-შენი, რევკომის თავმჯდომარე, რომელმაც თან ჩამოიყვანა თეთრ იაპონელთა უწესოების მოწმე ხუთი მოხუცი.

სხვადასხვა ხალხის წარმომადგენელნი ტრიბუნის ირგვლივ დადგნენ. ოსუდამ ხელი ასწია. მთარგმნელები მიკროფონებისაკენ დაიხარნენ.

— დღეს ჩვენ ვხსნით მშვიდობიანობის ქალაქს, ხალხთა დიადი ძმობის ქალაქს,—დაიწყო ოსუდამ. — მაშინ, როდესაც ომი შეუბრალებლად ელეთს მშრომელთა მილიონებს, ჩვენ გადაჩინილები-საგან მშვიდობიანობის ვადრებს ვამზადებთ.

ოსულა ლაპარაკობდა ფაშიზმზე, პატარა ერების ჩავკრაზე, კაპიტალისტური მონობის მარწუხებზე. იგი ტრიბუნიდან იხრებოდა და ასახელებდა ცოცხალ, იქვე მდგომ ადამიანებს, რომელთა ცხოვრების გამოცდილება ადასტურებდა მის დასკვნებს.

— ჩვენ აქ ვზრდით მუშებს, რომელთაც იციან თავიანთი ქარხნების მართვა-გამგეობა, მიწათმოქმედებს, რომელთაც იციან, ვის ეკუთვნის მიწა, ჯარისკაცებს, რომელთაც აქვთ პოლკებისათვის მეთაურობის გაწევის უნარი. ჩვენ ვზრდით ცხოვრების მასწავლებლებს.

ოსულამ დიდხანს ილაპარაკა. მას წამ და უწუმ მოწონების წამოძახილებით, აღვზნებული ყვირილით აწყვეტინებდნენ სიტყვას. სიტყვის დამთავრების შემდეგ მან წინადადება მისცა ხალხს, ხელის ძმური აწევით აერჩია ქალაქ სენ-კათაიამას მულმივი საბჭო.

ხალხის რიგებიდან ტრიბუნისაკენ დაიძრნენ არჩეულები. მათ მუსიკით, სიმღერით, სიხარულის ცრემლებით ხვდებოდნენ. ისინი ოსულას გვერდით დგებოდნენ და ფიცს აძლევდნენ ხალხებს, თავიანთ ამომრჩევლებს, რომ მათთან ერთად იცხოვრებენ და დაიხოცებებიან.

აი ტრიბუნაზე ავიდა ვან სიუნ-ტინი დანაოკებულები სახით და დიდი სათვალეებით, რომლებიც მის თვალებს გაკვირვების, თითქოს დაბნეულ გამომეტყველებას აძლევდნენ. მის გვერდით მხნედიღა და ქალარა ულვაშებს იგრებდა ვასილ ლუზა.

მთარგმნელებს ჯერ კიდევ არ მოეთავებინათ ლუზას განსაცვიფრებელი ბიოგრაფიის გადაცემა, რომ მასწავლებელმა შუან-შენმა ხელი მოხვია ვარვარა ხლებნიკოვას, გადაჰკოცნა და უშველა ტრიბუნაზე ასვლა.

მსუბუქი ნაბიჯით გაეშურა ტრიბუნისაკენ იუ-შანი, მას მიჰყვნენ იაპონელი ჯარისკაცი ხაიასი, იაპონელი მალაროელი იოშინო, იაპონელი მეთევზე ოზაკი, შემდეგ—ტარასენკოვა მოლუშულ ცოლისთან ერთად.

ნანაელებმა თავიანთ წრიდან გამოჰყვეს ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი და ითხოვეს შეეყვანათ იგი არჩეულთა რიცხვში, რადგან ის ბენ-დი-ბუს, მეყუმბარის, ძმაა და სასარგებლო იქნება თავისი ლიმამაცითო.

პარადის შემდეგ დაიწყო გართობა და წარმოდგენები ღია ცის ქვეშ. ხან აქ, ხან იქ იმართებოდა პატარა მიტინგები, რომლებზედაც მრავალი ორატორი აღფრთოვანებული სიტყვით გამოდიოდა.

რადიო-საყვირები განუწყვეტლივ აცნობებდნენ ხალხს ქალაქის მიერ მიღებულ მისალმებათა შინაარსს, შანხაიში მომხდარი აჯანყების ამბებს. გააკვირდნენ, რომ ხარბინის რევოლუციურ მრეწველობას ესაჭიროება ორი ათასი მელითონე, ხუთასი ელექტრიკოსი და მონტიორი, ორასი მეფქვილე, რომ არჩეულ იქნა მანჯურიის სახალხო მთავრობა და ამ მთავრობაში სამხედრო კომისრობა დაეკისრა ჩენს, ხოლო მოხუც ვან სიუნ-ტინს, მებოსტნეს—საგანგებო კომისიის თავმჯდომარეობა.

სათვისტომოები ირჩევდნენ თავიანთი რაიონების მომავალ საბჭოებს, იგონებდნენ ძველ ამხანაგებს.

ხალხის არაჩვეულებრივი აღფრთოვანება საღამოსაც არ შენელებულა. ასეთ დღეებში საზღვარი არა აქვს ადამიანთა ძალ-ღონეს, ამტანობა მგზნებარე ხდება და ადამიანი მზად არის უდიდესი საგმირო საქმეებისათვის. დიადი სამოქალაქო ომის ვნებათა ცეცხლით ანთებული ათი ათასი კაცი უდრის რამდენიმე ასი ათას დამონებულ ჯარისკაცს. ხოლო ცალკეულად აღებულნი ისინი მეთაურები არიან, ბელადები არიან, ისინი მაშინაც ათასთა სახელით მოქმედებენ.

4

საღამოთი ოსუდასთან შეიკრიბნენ. ვარვარა ილინიშნამ ხელჩაკიდებული შეიყვანა ოლგა, თითქოს პირველად გამოჰყავს ხალხშიო. იგი ისეთივე ზორბა იყო და ისევე მოყვარული ლაპარაკისა, როგორც წინათ, ოლონდ ახლა ოდნავი დადინჯება შეჰპაროდა, და, როგორც წინათ, როგორც ყოველთვის. ყველას ჩინებულად იცნობდა პირადად, იცოდა მათი სახეწები. იგი არასოდეს უკან არ რჩებოდა ცხოვრებას, მას ყველაფრისთვის ჰყოფნიდა დრო.

სუფრა უკვე გაშლილი იყო. ლუზა და ვან სიუნ-ტინი, ყველაზე ადრე მისულნი, რთული სასმელების დამზადებაზე ფუსფუსებდნენ, აზაებდნენ სხედასხვა ღვინოს და შიგ მდოგესა და პილპილს ურევდნენ.

— ეს რევმატიზმის წინააღმდეგ, — ეუბნებოდნენ ისინი ერთმანეთს, — ეს თავის ტკივილის წინააღმდეგ, — და იცინოდნენ ნელი, ბებრული სიცილით.

მასპინძელი ჯერ არა სჩანდა. წარმოსადეგი ჩერნიავეი ჩასუქებული სახის კანკალით და მზრუნველი თვალით გარს უვლიდა მაგიდას, აწყობდა საინებს და რალაცას აზუსტებდა საერთო განწყობრივებაში.

ვარვარა ილინინიშნამ თავით ანიშნა, სკამი მომაწოდევო, და ლუზას მიუჯდა.

— ეს რა არის? ღვინოა? — დაუდევრად იკითხა.

— არა, ეს ისე, ცდას ვაწარმოებდით, — გაურკვეველად უპასუხა ლუზამ და შორს გადადგა ჭიქა.

— როგორ არის საქმე? ხომ მოესწარი? — ჩუმად ჰკითხა ვარვარამ ვასილს. — ხომ ხედავ, რა უამრავი ხალხი დაიძრა!.. შენები ცოცხლები არიან?

— რას ამბობ? მიწასაც ველარ იცნობს კაცი. სადაც სახლი იყო, იქ მდინარე მიჩუხჩუხებს.

— ჩემმა სიძემ... თავი ისახელა.

— როგორ არა, ვიცი. ომი მხარდამხარ დავიწყეთ.

მაგრამ საუბარი არ ეწყობოდა. ვარვარამ იმდენივე იცოდა ლუზას შესახებ, რამდენიც თვითონ ლუზამ. ლუზა კი ყოველ დღე იგონებდა ვარვარა ილინინიშნას და ისე ეჩვენებოდა, თითქოს დიდი ხანია მოათავა მასთან ლაპარაკი ყველა საჭირობოროტო საქმეზე. უხერხულობიდან ვან სიუნ-ტინმა გამოიყვანა:

— ერთი ფაბრიკა უნდა მოვაწყო, — საიდუმლოდ უთხრა მან ვარვარას.

საქმე შეეხებოდა სამხედრო სახელოსნოს. ვან სიუნ-ტინს უნდოდა მოეწყო ეს სახელოსნო სადაც მანჯურის უღრან ტყეებში, და გამოცდილი ხალხი სჭირდებოდა. ვარვარამ უთხრა, სენ-კატაიამაში გასაწვრთნელად გამოვგზავნი პარტიზანთა ცოლებსო. ვან სიუნ-ტინმა უპასუხა — ახლა ჩვენ აღარავითარი ცოლები და ბავშვები აღარა გვეყვანან. ყველა მეომარია, და შე ვფიქრობ აქედან წავიყვანო ოცდაათი ქალიო. და დაიწყო მღელვარე საუბარი, რაც უფრო და უფრო გაცხოველებულ ხასიათს ღებულობდა და ფარ-

თოვდებოდა. ვან სიუნ-ტინმა უამბო, თუ როგორ უხდებათ ახალი ცხოვრების მოწყობა ბრძოლის ველზე, როგორ ხნავენ მანჯურელი გლეხები გასისხლიანებულ და კვამლში გახვეულ მიწებს, როგორ იყენებენ მიტოვებულ სანგრებს, როგორ იყოფენ მემამულეთა მიწას. ვარვარა კი ხელებს ასავსავებდა, მზიარულად გაჰკიოდა, სიტყვას აწყვეტინებდა მებოსტნეს და უამბობდა კორეელებზე, რომელიც ასე ჰგვანდნენ ვან სიუნ-ტინის ჩინელებს, და ისინი თითქოს სრულიად შემთხვევით და თავისდა შეუმჩნეველად ერთსა და იმავე ადამიანებზე, ერთსა და იმავე ადგილებზე ლაპარაკობდნენ. მოთხრობილი ამბების მსგავსება ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, თითქოს ისინი მულამ ერთად იყვნენ და არასოდეს ერთმანეთს არ განშორებიათ.

ოღამ ცოტა ხანს ყური დაუგდო ვან სიუნ-ტინს და შემდეგ ჩაენკოს დაუწყო ძებნა. გამოჰკითხა შერშავინის ამბავი, მაგრამ ბევრი ვერაფერი გაიგო. გაიგო, რომ ცოცხალია და ჯანსაღად არის, კარგად იბრძვის, ძველებურად გატაცებით მოქმედებს, ძველებურად ძნელი ასატანია მუშაობაში, და თუ ახლა ჩაენკომ ვერ ჩაუტანა ათი მოძრავი რაცია, ვინ იცის, რა დღეს დააყრის შერშავინი.

ამ დროს ოსულა შემოვიდა და კარებიდან ხმამაღლა დაუყვირა იუ-შანს, რომელიც უკან მისდევდა:

— სიტყვას გაძლევ, მოგცემ.

— სამასს?

— სამასს...

ვან სიუნ-ტინმა შესწყვიტა ლაპარაკი ვარვარა ილინიშნასთან და ოსულას მივარდა:

— საით სამასი?

მან შეაჩერა ახლად შესული იუ-შანი, შლეგელი და ჩენი.

— ოცი სატანკო მოტორი ავამუშავე ერთს სახდელ სარეწაოებსა და წისქვილებზე. ათი მოტორი ავამუშავე ოქროს საბადოებზე. სანგრების მოხრელი მანქანები სარწყავ არხებს სთხრიან. სწორედ ასეთი იყო ჩენი შეთანხმება, ჩენ. განა არ გახსოვს? შენც ხომ გახსოვს, იუ-შან? ყველაფერი, რამაც ომიანობა მოათავა, ადა-

შინებიც და ნიეთებიც, მე უნდა გადმომეცეს. განა ასეთი არ იყო ჩვენი შეთანხმება?

შლეგელი თავს არიდებდა ვან სიუნ-ტინის გამაყრუებელ ხმას და ცდილობდა მაგიდასთან მისულას.

— სინდისიც კარგი საქონელია!— მიუგო იუ-შანმა. — განა შენ ისედაც არ მიგყავს ყველა დაკრილი, ვისაც მოძრაობის უნარი შერჩენია?

მან გვერდზე მისწია ვან სიუნ-ტინი და ხელი წაატანა მარჩენკოს, რომლისთვისაც უკვე ჩაველო ხელი შუან-შენს. მარჩენკო ოდნავ შექალაქავებულ ოქროსფერ ხუჭუჭა თმას არხევდა, ილიმებოდა და ამბობდა:

— ამ კვარტალში, პატიოსან სიტყვას ვიძლევი, ამ კვარტალში! ორივეს გამოგიგზავნით, პატიოსან სიტყვას გაძლევთ. გავსამკეცებთ, გავოთხკეცებთ გვემას და საშენი მასალა გექნებათ.

ოთახში ისეთი ხმაური იდგა, რომ ხმის აუმალღებლად ლაპარაკი შეუძლებელი იყო. ახლა უკვე ყველა ყვიროდა, როგორც ღია ცის ქვეშ გამართულ დიდ კრებაზე.

გავრილა იანკოვი ვარვარა ილინიშნას ეხვეოდა, ჰკოცნიდა და ხმამაღლა არწმუნებდა ჩენს, რომ ყინულოვანმა კაშხალმა სავსებით გაამართლა თავისი თავი და თუ შლეგელი საცივარ ქარხნას გაიმეტებს, ჰიდროსადგურის მოწყობა შეიძლებაო.

ოლგასთან მივიდა ზაიასი და მაგრა ჩამოართვა ხელი.

— მგონი, იაპონიაში ვბრუნდები, — სთქვა მან ინგლისურად, — არასოდეს არ დაგივიწყებთ. თქვენ ბევრი რამე გააკეთეთ ჩვენი ყმაწვილებისთვის.

ოლგამ ვერც კი მოასწრო პასუხის გაცემა, რომ მოისმა შლეგელის მქექქარე ხმა.

— მაგიდასთან! ვარვარა ილინიშნა, სიტყვა თქვენ გეკუთვნით! სტუმრებმა შესწყვიტეს საქმეებზე ლაპარაკი, ხმაურით მიუსხდნენ სუფრას და შეუდგნენ სმა-ჭამას, თან ვარვარას შეჰყურებდნენ. უსაქმოდ ჯდომა მათ არ შეეძლოთ.

ვარვარა ილინიშნა წამოდგა, სახელოები გადაიწია და მიუხრებულ სუფრას გადახედა.

აი სხედან ერთად უწვერულვაშონი და ქალარა-შერეულნი, მეთაურები და თავმჯდომარეები, არალეგალური მუშაკები და მეთევზეები. ყოველის მათგანის ზურგს უკან დგანან ადამიანები— ამხანაგები და მოწაფეები. ყოველ მათგანს ათი ადამიანის სამყოფი ცხოვრება გაუვლია. ყოველი მათგანის წინაშე გადაშლილია ისეთი მომავალი, როგორც არასოდეს არ უნახავს ადამიანს ძველ, გაეურანებულ მიწაზე. აი ლაპარაკობენ ისინი საქმეებზე, სვამენ ღვინოს, მსჯელობენ ადამიანებზე,—სრული ბედნიერებისათვის აკლიათ მათ რალაც ლურსმანი თუ რეველები. ხელებზე მეჭეპები აქვთ, ტანზე ჭრილობები, მთელი მათი სიცოცხლე სასიკვდილო პარადისათვის არის გამზადებული.

განა მიხედები, ვინ დარჩება, ვინ დაილუპება. მაგრამ არ მოსჩანს მათ თვალებში სეედა, არ ეტყობა მათ მოძრაობას დაღლილობა. ეს ბოლშევიკები სხედან, უფროსი ადამიანები ახალ მიწაზე, ძაღვანი ადამიანები, მათ სიკვდილიც კი არ გაეცარება.

— დავლიოთ საბჭოთა ხელისუფლების სადღეგრძელო იმისათვის, რომ ჩვენ ადამიანები გაგვხადა,—სთქვა ვარვარამ. — საბჭოთა ხელისუფლების სადღეგრძელო!

დაჩუმდა, ჩაფიქრდა:

— და იმათი სადღეგრძელო, ვინც ჯერ ჩვენთან არ არის, ვინაც ხვალ ვნახავთ,—და ფანჯრისკენ გაიქნია თავი.

ფანჯრის იქით ვიწრო და მყვირალა ქუჩაში ხალხი ბორავდა. ვინ მღეროდა და ვინ გაჰკიოდა იქ მწვავე და ნერვიული ხმით? ვინ დაინახა ამ ღამეს მომავალი?

ვარვარა ილინიშნას სიტყვა ისეთი იყო, რომლის შემდეგაც ლაპარაკი ზედმეტია.

სტუმრები თანდათან დაცხრნენ, დაშოშმინდნენ, ლაპარაკი ფრონტზე ჩამოაგდეს.

მთელის ძალით საბჭოთა საზღვრებს დაჯახებული ომი თითქოს დაიმსხვრა და მიმოიფანტა. იბრძოდნენ იაპონიაში, იბრძოდნენ შანხაიში, კორეელი გლეხები ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა ქონებას, ხოლო მანჯურელი გლეხები საბჭოთა ავიოდესანტების მიერ გატყვევებულ ქალაქებს ეპატრონებოდნენ.

საბჭოთა მიჯნებიდან უკუქცეული იაპონიის არმიები ჯერ

საზღვართან ჩასაფრდნენ, მაგრამ ფრონტი სწრაფად გადადიოდა მათ ზურგში. და ისინიც მიდიოდნენ სამხრეთისკენ, ჩინეთის ულრან ტყეებში, დასაბამს აძლევდნენ უამრავ პატარა სამაზრო ომს, მოუწოდებდნენ მონღოლებს, დიდ ბედნიერებას პპირდებოდნენ ჩინელ მაჰმადიანებს, ამხედრებდნენ მაზრას მაზრის წინააღმდეგ, გენერალს გენერლის წინააღმდეგ, ვაჰარს ვაჰარის წინააღმდეგ.

იწყებოდა აღმოსავლეთის დიდი ხანძარი.

მაგრამ იაპონელებს კვალდაკვალ მისდევდნენ ვან სიუნ-ტინის უფეხო და უხელო ავიტატორები. იუ-შანის რკინისგზელი პარტიზანები, ჩენის რაზმები, და ვილაც უკვე აგებდა ქარხნებს და ომში დაზიანებულ ტანკებით ხნავდა განთავისუფლებულ, ჯერ კიდევ სისხლით გაჟღენთილ მიწას.

— ეჰ, ცემენტი რომ მქონდეს!— შურით ამოიოხრა ვან სიუნ-ტინმა სწორედ გაცხარებული სამხედრო მსჯელობის დროს.

სუფრის გარშემო მსხდომნი კვლავ აჩოქებოდნენ. რათა სტუმრები არ შესდგომოდნენ საქმიან ლაპარაკს, შლეგელმა სიტყვა მისცა იუ-შანს.

თენდებოდა. დილის გარიჟრაჟმა ააფერადა სუფრა და მის ირგვლივ მსხდომნი. დაღლილ სახეებზე განთიადის სხივები ათამაშდნენ და ამის გამო ისინი უფრო აღელვებულნი და აღზნებულნი გამოიყურებოდნენ.

ომი ყველას თვალწინ ედგა და როდესაც იღვებოდნენ, მხოლოდ მასზე ფიქრობდნენ, მარტო მასზე, ლურსმანზე და ბრძოლაზე, სახერხ მასალასა და მარილზე.

მაგრამ დღეს გვიან იყო სიტყვები ომზე, და იუ-შანმა მოისურვა ცოტა რამ მეგობრობაზე ეთქვა.

— ოსუდა!— ხმამალა დაიძახა მან, როგორც ფრონტის წინ იძახდა. — შენ მრავალი წლის განმავლობაში ომობდი ჩვენთან ერთად მანჯურიისათვის, ჩინეთისათვის, კორეისათვის. ახლა მე მინდა ვალი გადაგიხადო.

ლუზა მის სიტყვებს უთარგმნიდა რუსებს, შუან-შენი— კორეელებს. ოსუდა იაპონურად იმეორებდა იუს სიტყვებს.

და ყველას ჟრუანტელი უვლიდა ტანში იმის გამო, რომ ხმა-ზალა უსმენდნენ იუ-შანს.

— წამიყვანე და სიკვდილამდე იყავ ჩემი მფლობელი, ისევე, როგორც ჩვენ გფლობდით შენ,—წარმოსთქვა მან და სუფრაზე ეს სიტყვები: „სიკვდილამდე იყავ ჩემი მფლობელი, ისევე, როგორც ჩვენ გფლობდით შენ“ ლუზამ გაუმეორა რუსებს, ოსუღამ—იაპონელებს, შუან-შენმა—კორეელებს, დემიდოვმა—ნანაელებს, შლეგელმა—მონღოლებს. — სად არის ჩემი სამშობლო? აი იგი: ლუზა, ჩენი, შენ. სამშობლო მუღამ ჩემთან არის. ხელი ჩემი მსუბუქია, თავი ჩემი ბედნიერი. რუსეთის მიწამ არ მიმიღო სამარეში. ჩინეთის მიწამ კორეას გადასცა ჩემი თავი, კორეას მიწამ უარი სთქვა ჩემზე შენს სასარგებლოდ. ვლადიკავობ როგორც ჩინელი, როგორც შენი ძმა: წამიყვანე და თუ დავიღუპო, ჩამფალი მიწაში იქ, სადაც დავეარდები, გაახურე ლურსმანი და გავარვარებული ლურსმნით ამოსწვი ხის ძეგლზე: „ცხოვრება უფრთხილდებოდა მას ჩვენთვის. იგი დაიღუპა თავისუფალი ნიბონისათვის“.

— შენ მაინც არ მოკვდები!—წამოიძახა აცრემლებულმა ლუზამ. — შე წყეტლო, შენა...

— თუ არ მოკვდები და გავსწიოთ წინ!—მიუგო იუმ და მაგიდას ხელი დაჰკრა. — ჩენი მიწა დიდია.

იმ წუთში ყველამ თავის თავზე გაიფიქრა.

რომელიმე მათგანის სიკვდილს არევ-დარევა შეჰქონდა ხარჯთაღრიცხვებში. შლიდა გეგმებს. ამრუდებდა ადამიანთა ბედის მოძრაობას. რომელიღაც სატვიროთო მატარებლები გზაზე შეჩერდებიან. ვიღაც ადამიანები. დიდხანს ივლიან და ვერ გაერკვევიან. რას მოჰკიდონ ხელი, რაღაც მნიშვნელოვანი აზრები, ახალი საქმეების ჩანასახები, ვერ მიაღწევენ იმათ ყურამდე, ვისთვისაც ისინი იყვნენ დანიშნული. და ამასთან ერთად ყოველი მათგანის სიკვდილი დიადი მარგანიზებელი ძალა იყო. სიკვდილი, როგორც მზე, საგმირო საქმეებით სახელოვანი მათი სიცოცხლის დიად ფესვებს აპოხიერებდა და სიცოცხლეს ანიჭებდა ახალ და ახალ ყლორტებს. და რაც უფრო დიადი იყო მათი სიკვდილი, რაც უფრო შემადრწუნებელი იყო მათი გმირობა, მით უფრო მეტი სიდიადითა და სიხარულით იწყებოდა მათი მომდევნოების სიცოცხლე. იგი აადვილებდა მომავალი საგმირო საქმეების შესრულებას, ასწავლიდა მომავალ ცხოვრებას და ჰქმნიდა სილამაზისა და ღირსების ფილოსო-

ფიას იმათთვის, ვინც დღეს ჯერ კიდევ ჩვილი იყო. ამ ხალხმა იცოდა ცხოვრება, იცოდა სიკვდილი.

და მეც გავიფიქრე ჩემს თავზე.

გავიფიქრე და დავინახე ჩემი ბრძოლას უკვე, ის მძვინვარე უკვე, როდესაც გადასწყდა ჩემი სიცოცხლის საერთო აზრი და მისი უკანასკნელი საამური ამოსუნთქვა. დავინახე ლაოტეშანის მალლობები, საიდანაც თვალწინ იშლებოდა შეშფოთებული პორტ-არტური. პარაშუტის თეთრ ღრუბლებს ქვეშ ძირს ვეშვებოდი ჰაერრიდან.

უფრო და უფრო თბილი და სურნელოვანი ხდებოდა მტრედისფერმწვანე საღამო და უფრო მშვიდდებოდა და ღინჯდებოდა ჩემი მშფოთვარე სული.

ვხედავ, ძირს, მიწაზე, დიდიხანია უკვე ბრძოლა მიმდინარეობდა, რადგან ძირს ვეშვებოდი და ჩემს ირგვლივ ზრდილობიანად ზუზუნებდნენ ტყვიები და გრგვინავდნენ ქვემეხები. შემდეგ, მიწის მახლობლად, მომესმა ხალხის ყვირილი, ბრძანების უცხო, უცნობი ხმა, მასების უცნობი ხმაური, უცნობი მოძრაობა, და მივხვდი: დადგა ჩემი ბრძოლის წამი. ძირს ვეშვებოდი პატარა მეყუმბარედ და ჩემი ბრძოლა მოკლე უნდა ყოფილიყო. გავანთავისუფლე სარტყელზე მიმაგრებული ყუმბარა, შემდეგ მეორე. მათს ხანმოკლე ხანძარში მოვასწარი დამენახა, როგორ გაიფანტნენ აქეთ-იქით პატარა ადამიანები უცხო ტანისამოსში, იაპონელები, და გავიგონე ჩემი მეზობლების მიერ ჰაერიდან გადასროლილი სხვა ყუმბარები გრიადი.

-- ურა! ურა!—გაისმა ქვემოთ.

გავანთავისუფლე მესამე და უკანასკნელი ყუმბარა. იგი მეგებებოდა სხეულის ნაფლეთებით და სისხლით გაქლენთილი კვამლით. გაშმაგებული აზარტის მწვავე ყრუოლამ სიხარულით აღავაო ჩემი არსება. „როდესაც იბრძვი, უნდა გაიმარჯვო“, გავიფიქრე მე და შევეუერთდი მიწაზე მიმდინარე ბრძოლის ცეცხლსა და გრიადს, შევეუერთდი ღრუბლებს, მზეს, სიმღერას. ქარმა გვერდზე გადამისროლა. და მივეტურავდი, როგორც ბრძოლის ნიავი, ზღვისაკენ. შერშაინის მშობლიური ლეგიონების თავზე.

რედაქტორი ილია აგლაძე
ტიქრედ. ს. ქველაძე

* *

გად. წარმ. 10/V 1938 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭ.
21/VI — 1938 წ. ტირაჟი
4.000; წიგნ. ზომა 6 X 9
ფორმის რაოდენობა 32
შეკვეთის № 3770; მთავლი-
ტის რწმ. № ე. 2049

* *

წიგნი აიწყო და დაიბეჭდა
„ზარია ვოსტოკა“-ს სტამ-
ბაში. შეიკინდა გამომცემ
„ფედერაცია“-ს სტამბაში
თბილისი, პლეხანოვის
პროსპ. № 181.